ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

ნანი მანველიშვილი

,,ქალის სტატუსი და მდგომარეობა საბჭოთა კავშირში (1936-1945 წწ.)“

ისტორიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის დოქტორი,

ასისტენტ-პროფესორი ზაალ გოგენია

თბილისი

2025

ანოტაცია

სადისერტაციო ნაშრომი მიმოიხილავს 1936-1945 წლებში „ახალი საბჭოთა ქალის“ შესახებ არსებულ დისკურსს საბჭოთა საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის მაგალითზე. სადისერტაციო ნაშრომი მსჯელობს ქალის სტატუსზე საზოგადოებაში სტალინის მმართველობის დროს, განიხილავს სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1936 წლის 27 ივნისის N65 დადგენილებას „აბორტის აკრძალვის შესახებ“, 1944 წლის 8 ივლისის N37 ბრძანებას და მათზე დაყრდნობით აანალიზებს სახელმწიფო პოლიტიკას ქალთა მიმართ. კვლევა ცხადყოფს, რომ სამმა ძირითადმა მიზეზმა განაპირობა ქალთა სტატუსის ცვლილება ე.წ. „დიდი სამამულო ომის“ დროს საბჭოთა კავშირში. სახელმწიფოს სურდა: 1. საზოგადოების ჩართულობის ზრდა ომში 2. ქალთა „გამოყენება“ ომის მიზნებისთვის 3. ეროვნული სულისკვეთების გაძლიერება და ბრძოლისუნარიანობის ამაღლება. ამ მიზნების გათვალისწინებით, საბჭოთა პროპაგანდა ქმნიდა ქალის ახალ მოდელებს - მისაბაძ მაგალითებს. საბჭოთა სახელმწიფო ცვლილებების განხორციელების მიზნით, იყენებდა მხატვრულ ლიტერატურას (ლექსები, მოთხრობები) და პოლიტიკურ პლაკატებს, როგორც პროპაგანდის საშუალებას. სადისერტაციო ნაშრომის მიზანია, გამოიკვეთოს ქალთა არქეტიპული სახეები, რომელთაც საბჭოთა პროპაგანდა ხელოვნების გავლით საბჭოთა საქართველოში ამკვიდრებდა ე.წ. „დიდი სამამულო ომის დროს“. დისერტაციაში განხილულია ქალთა ხუთი სხვადასხვა არქეტიპული სახე (მშრომელი ქალი, მსხვერპლი ქალი, ქალი-დედა, ფემინური ქალი და მებრძოლი ქალი), რომელთაც ვხვდებით საბჭოთა ლიტერატურასა და პლაკატებზე. საბჭოთა პროპაგანდა, ერთი შეხედვით, ემანსიპაციის პროცესს უწყობდა ხელს. თუმცა, სახელმწიფოს მიზანი იყო ომისთვის მზადება და საზოგადოების ყველა სეგმენტის ინსტრუმენტალიზაცია, ომის მიზნისთვის გამოყენება. კვლევა ეფუძნება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საარქივო მასალების (საარქივო დოკუმენტები, ლიტერატურა, პლაკატები) ანალიზს და ხელს უწყობს ე.წ. „დიდი სამამულო ომის“ დროს საბჭოთა ქალების სტატუსისა და როლის ისტორიის გამოკვლევას.

Annotation

The dissertation examines the discourse surrounding the "New Soviet Woman" in the Soviet Socialist Republic of Georgia from 1936 to 1953. It discusses the status of women in society during Stalin's rule, analyzing the 1936 decree N65, the July 8, 1944 Order No. 37, and the state's policy towards women based on these. The research reveals that three main factors influenced the shift in women's status in the Soviet Union during the so-called "Great Patriotic War." The dissertation demonstrates that three main causes triggered women's changing roles during the Great Patriotic War in the Soviet Union: The State's desire to increase the public's participation or engagement in the War, the use of women's resources for war-related objectives, and strengthening the fighting spirit of the nation. With these objectives in mind, Soviet propaganda tried to create new models of women. The Soviet state used literature (poems, stories) and political posters to implement these changes as propaganda tools. The dissertation aims to identify the archetypal female figures that Soviet propaganda sought to instill in Georgian society through the arts during the "Great Patriotic War." It explores five archetypes of women (the working woman, the victim woman, the mother, the feminine woman, and the warrior woman) depicted in Soviet literature and posters. The paper reveals that, despite Soviet propaganda framing these changes as part of women's emancipation, the true purpose of these policies was to harness all sectors of society in service of wartime goals. By examining archival materials from the Soviet Socialist Republic of Georgia, this study offers fresh insights into how the roles and status of Soviet women evolved during the Great Patriotic War.

საკვანძო სიტყვები: *ახალი საბჭოთა ქალი; მეორე მსოფლიო ომი; ქალთა ემანსიპაცია; ქალთა რეპრეზენტაცია საბჭოთა ლიტერატურაში; ქალთა რეპრეზენტაცია საბჭოთა პლაკატებზე; საბჭოთა საქართველო;*

Keywords: *New Soviet Woman; World War II; Women's Emancipation; Women's Representation in Soviet Literature; Women's Representation in Soviet Posters; Soviet Georgia;*

სარჩევი

შესავალი 1

თავი I. სტალინი და ქალთა სტატუსი 32

თავი II. სახელმწიფო კანონმდებლობის ანალიზი ქალთა მდგომარეობის შესახებ.... 57

§ 2.1. სახელმწიფო კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა 57
§2.2. ქალი-მეუღლე 61
§2.3. ქალი-დედა 67
§2.4. 1936 წლის 27 ივნისის N65 დადგენილება „აბორტის აკრძალვის შესახებ“ და შეცვლილი ქალთა სტატუსი 70
§2.5. სახელმწიფოს როლი და კანონი აბორტის აკრძალვის შესახებ 73
§2.6. რა როლი აქვთ გარშემომყოფებს, რომლებიც მომავალი დედის ირგვლივ არიან თავმოყრილი? 79
§2.7. 1936 წლის 27 ივნისის დადგენილება და გმირი დედის სტატუსი 84
§2.8. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ინფორმაცია 1936 წლის დადგენილების შესახებ 87

თავი III. 1944 წლის 8 ივლისის N37 ბრძანება ქალთა სტატუსის შესახებ..... 90

§3.1. მრავალშვილიანი დედა და გმირი დედა 92
§3.2. მარტოხელა დედები 97
§3.3. ორსული ქალები.....98
§3.4. დაუქორწინებელი, მარტოხელა ქალები. 101

თავი IV. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული მასალები მეორე მსოფლიო ომის შესახებ..... 103

§4.1. მეორე მსოფლიო ომით განპირობებული გამოწვევები 104
§4.2. საქართველოს შინაგან სამინისტროს არქივში დაცული მასალები 1940-იან წლებში ქალთა აქტივობის შესახებ 116

თავი V. ქალთა არქეტიპული სახეები საბჭოთა ქართული იკონოგრაფიული მასალების მიხედვით..... 119

§ 5.1. მებრძოლი ქალი 133
§ 5.2. მშრომელი ქალი 138
§ 5.3. დედის არქეტიპული სახე 145
§ 5.4. ქალი მსხვერპლი 153

თავი VI. ქალთა არქეტიპული სახეები საბჭოთა ქართულ ლიტერატურაში..... 164

§ 6.1. პარტიზანი, მებრძოლი ქალი.....181
§ 6.2. დედის სახე.....192
§ 6.3. მშრომელი ქალები 203
§ 6.4. ქალი მსხვერპლი 211
§ 6.5. ფემინური ქალი.....217

დასკვნა 229
გამოყენებული ლიტერატურის სია: 242
წყაროები და დოკუმენტური მასალები: 242
პერიოდული პრესის მასალები: 256
დანართი 267

შესავალი

საკვლევი საკითხის აქტუალობა. ქალთა ისტორიის კვლევა ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. საბჭოთა კავშირში ქალთა სტატუსთან დაკავშირებით არაერთი ნაშრომი არსებობს, რომლებიც ქალთა სტატუსის ისტორიას სხვადასხვა საბჭოთა რესპუბლიკების საარქივო მასალებზე დაყრდნობით იკვლევს. აღნიშნული სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას, გამოიკვლიოს ქალთა მდგომარეობა 1930-იან 1940-იან წლებში საბჭოთა საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკაში.

საქართველოს ისტორიის თანამედროვე პრაქტიკაში ნაკლებად არის შესწავლილი ქალთა ისტორია მეოცე საუკუნეში, რაც განაპირობებს საკითხის აქტუალობასაც. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საბჭოთა ისტორიული გამოცდილების შესწავლა და გადააზრება. საბჭოთა კავშირში საზოგადოებაში ქალთა როლის გადაფასება მოხდა 1930-იანი წლების შემდეგ და შეიქმნა „ახალი ტიპის ქალის“ მოდელი. ქალთა სტატუსის ცვლილება აისახა ქალების ყოველდღიურ ცხოვრებაზე. სტალინის რეჟიმი მომხრე იყო ადამიანური რესურსის მაქსიმალურად გამოყენების ხარჯზე უზრუნველეყო ქვეყნის ეკონომიკური და დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესება. შესაბამისად, 1930-იან წლებში აქტიურად დაიწყო ქალების ჩართვა სამუშაო სივრცეში. გაჩნდა საბავშვო ბაგა-ბაღები და ქალებისთვის მუშაობა სოციალური სტატუსის ამაღლების შესაძლებლობად იქცა. საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანა ემანსიპაციის საბურველში გახვეული, იყენებდა ქალთა გათავისუფლების მოტივს მათ სამუშაო სფეროში ჩართვის მიზნით. სტალინის მმართველობის დროს ქალთა დატვირთვა გაორმაგდა, თუმცა პროპაგანდისტული მანქანის დახმარებით, საზოგადოებაში მკვიდრდებოდა შეხედულებები, რომელიც ქალთა შრომის მომხრე იყო. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქალთა ერთ-ერთ პირველ მოვალეობად დედობა მოიაზრებოდა. შესაბამისად, სამსახურისა და ოჯახის შენარჩუნება ყველა საბჭოთა ქალის მოვალეობად იქცა.

ქალთა ისტორიის კვლევა საშუალებას გვაძლევს ერთმანეთისგან განვასხვაოთ, ჯერ ერთი, რა მიზანი ამოძრავებდათ სინამდვილეში სახელმწიფოს მესვეურებს, როდესაც

ქალთა ემანსიპაციის სახელით, ცდილობდნენ ქალთა რესურსის მაქსიმალურად გამოყენებას. მეორეც, ერთმანეთისგან გავმიჯნოთ პროპაგანდის ინსტრუმენტები და მცდელობა საზოგადოება მოექცია საკუთარი გავლენის ქვეშ. და მესამე, საარქივო დოკუმენტების და სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომების შესწავლის შემდეგ, საქართველოს მაგალითზე, გავაცნობიეროთ ის ცვლილებები, რომელიც მეორე მსოფლიო ომმა ქალთა ერთობას მოუტანა.

თუმცა, საკითხის უკეთ გასაგებად აუცილებელია, პირველ რიგში განიმარტოს გენდერის და გენდერული თანასწორობის ცნებები, რათა სრული წარმოდგენა გვქონდეს ქალთა მიმართ სახელმწიფოს მიერ გატარებულ პოლიტიკაზე. გენდერის ცნება პირველად ამერიკელ ფემინისტებს შორის ჩნდება. ისინი უარყოფდნენ ბიოლოგიურ დეტერმინს და საუბრობდნენ სქესთა შორის განსხვავებების სოციალურ ბუნებაზე. ჯოან სკოტი თავის სტატიაში "ისტორიული ანალიზის სასარგებლო კატეგორია" გამოყოფს ორ მიდგომას, რომელსაც ფემინისტი ისტორიკოსები იყენებენ.[1] პირველი მიეკუთვნება აღწერით კატეგორიას, რომელიც უშვებს მოვლენების არსებობას, მაგრამ არ აკეთებს ინტერპრეტაციას. მეორე მიდგომა კი კაუზალური ხასიათისაა და ის ცდილობს, გაიგოს ფენომენის ბუნება და ის მიზეზები, რამაც მისი წარმოშობა განაპირობა. ჯოან სკოტი გენდერის რამდენიმე ვერსიას იყენებს. პირველ ვერსიაში გენდერი ქალის სინონიმია და ნეიტრალურ ფორმას ინარჩუნებს. გენდერის ტერმინის მეორე გამოყენება გულისხმობს ინფორმაციას ქალებსა და კაცებზე, რაც მიუთითებს, რომ ქალები არიან კაცების სამყაროს ნაწილი. ეს კი მიდგომას პრობლემურს ხდის. ტერმინის მესამე გამოყენება უარყოფს ბიოლოგიურ დეტერმინიზმს და გვთავაზობს გენდერს, როგორც კულტურულ კონსტრუქციას და ქმნის გენდერულად კონსტრუირებულ ქალთა და მამაკაცთა როლებს[2]. ჯოან სკოტი პატრიარქატის თეორიაზე დაყრდნობით ავითარებს გენდერის განმარტებას. პატრიარქატის თეორია განიხილავს ქალის სუბორდინაციას, რაც აიხსნება მამაკაცის ქალზე დომინირებით[3]. პატრიარქატისთვის

[1] **Joan W. Scott,** "Gender: A Useful Category of Historical Analysis," The American Historical Review 91, no. 5 (1986): 1053–1075, https://doi.org/10.2307/1864376.

[2] **Joan W. Scott,** "Gender: A Useful Category of Historical Analysis," The American Historical Review 91, no. 5 (1986): 1053–1075, https://doi.org/10.2307/1864376.

[3]**Elene Japaridze, Maia Barkaia, Nino Zhgenti, Mariam Amashukeli.** *The Study of Georgian Youth's Awareness, Perceptions, and Attitudes of Gender Equality* (Tbilisi: Center for Social Sciences, 2014), 10.

რეპროდუქტოლოგია ამოსავალია, ქალების დამორჩილების სათავე კი სექსუალური ობიექტივიზაციაა. ამიტომ გამოსავალი ქალთა ცნობიერების ამაღლებაშია, რომელიც ხელს შეუწყობს ქალებს, აღიარონ საკუთარი იდენტობა და პოლიტიკური ქმედებები განახორციელონ. ამ თეორიის შეზღუდვას წარმოადგენს გენდერის სოციალური და კულტურული კონსტრუქციის იგნორირება.

მეორე თეორიული განმარტება მარქსისტ ფემინისტებს ეკუთვნის. მათ ოჯახი, საყოფაცხოვრებო საქმე და სექსუალობა მიაჩნდათ წარმოების სახეების ცვლილებების შედეგად. მათი აზრით, გამოსავალი მდგომარეობს სამუშაოს სქესობრივი ნიშნით დაყოფის გაუქმებაში, რაც დაასრულებს მამაკაცთა დომინირებას. თუმცა, მარქსი და ენგელსი საკუთრებით ურთიერთობას მიიჩნევდნენ ქორწინების საფუძვლად. ჯონ სკოტი არ ეთანხმება მარქსისტულ ფემინიზმს. მისი აზრით, ეკონომიკური სისტემა არ განაპირობებს გენდერულ ურთიერთობებს, რადგან ქალთა სუბორდინაცია კაპიტალიზმამდე არსებობდა და გაგრძელდა სოციალიზმის დროსაც[4].

მესამე შემთხვევაში კი ჯონ სკოტი გამოყოფს გენდერის ფსიქო-ანალიტიკურ კონცეფციას, რომელიც თავის თავში აერთიანებს ანგლო-ამერიკულ და ფრანგულ სკოლებს. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი კი ზიგმუნდ ფროიდისა და ჟან ლაკანის სტრუქტურალისტურ და პოსტ-სტრუქტურალისტურ სწავლებებს ეყრდნობა. ამ მიდგომის ამოსავალი ბავშვების განვითარებაზე დაკვირვება და ამ გზით მათი გენდერული იდენტობის ჩამოყალიბების საფუძვლების ძიებაა. სკოტის აზრით, ამ მიდგომის ნაკლოვანებას წარმოადგენს გენდერის კონცეფციის შემოსაზღვრა ოჯახით და პოლიტიკისა და სოციალური სისტემების უგულებელყოფა. მთლიანობაში, ჯონ სკოტი საუბრობს რა გენდერზე, ის მიიჩნევს, რომ გენდერი არის ანალიტიკური კატეგორია, რომელიც უზრუნველყოფს გენდერულ ურთიერთობებს. ის გამოყოფს გენდერის 4 ელემენტს, რომელიც სქესთა შორის განსხვავებას ეფუძნება. პირველი კულტურის სიმბოლოებია, რომლებიც მრავალგვარი რეპრეზენტაციის საშუალებას იძლევა. მეორე - ნორმატიული ცნებები, რომელიც სიმბოლოს რეპრეზენტაციის საშუალებას გვაძლევს; მესამე პოლიტიკის და სოციალური ინსტიტუტების ცნებაა,

---

[4]**Joan W. Scott,** "Gender: A Useful Category of Historical Analysis," The American Historical Review 91, no. 5 (1986): 1053–1075, https://doi.org/10.2307/1864376.

ხოლო მეოთხე - სუბიექტური იდენტობა. რომ შევაჯამოთ, "ქალი" და "კაცი" არის ცარიელი კატეგორია მანამ, სანამ ის არ შეივსება სოციალური ურთიერთობებით[5].

გენდერული თანასწორობის ფუნდამენტური განმარტება გვხვდება გაეროს 1979 წელს მიღებულ კონვენციაში - ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ (Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women (CEDAW))[6]. გენდერული თანასწორობის ცნება გულისხმობს ქალების და კაცების სრულ თანასწორობას, თანაბარ შესაძლებლობებს ყველა სფეროში. გენდერული თანასწორობა არ ნიშნავს, რომ ქალები და კაცები ერთნაირები გახდებიან. არამედ იმას, რომ მათი უფლებები, პასუხისმგებლობები და შესაძლებლობები არ არის დამოკიდებული მათ სქესზე[7]. გენდერული თანასწორობის 3 ინდიკატორს გამოყოფენ ეს ავტორები: განათლება, დასაქმება და პოლიტიკური აქტივობა. გენდერის მკვლევრის ნეილა ქაბირის აზრით, განათლებაზე ხელმისაწვდომობა ქალების ცხოვრებაში იწვევს ცვლილებებს. განათლებული ქალი მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღებაში, მოძალადე ქმრებსაც უფრო მარტივად უმკლავდება.[8] შესაბამისად, გენდერული თანასწორობის ინსტრუმენტად ქაბირს ქალთა დასაქმება წარმოუდგენია.

საბჭოთა კავშირში ქალთა ისტორიის შესწავლისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ პოლიტიკური ელიტა განსაკუთრებულ აქცენტს საკუთარი საშინაო პოლიტიკის წარმატებით განხორციელებაზე აკეთებდა და ქალთა გაძლიერება საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესში ნაკლებად იყო. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს მიერ გატარებული ცვლილებები ძალიან მნიშვნელოვანი იყო ქალთა სტატუსისა და მდგომარეობისთვის საზოგადოებაში. ზოგიერთ შემთხვევაში მარქსისტულ-ლენინისტური შეხედულებები ქალთა საკითხისადმი შესაბამისობაში იყო ბევრი ქალის და ფემინისტის მიდგომასთან. ბოლშევიკების მიერ გატარებულ ცვლილებებს კი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა ქალთა ისტორიისთვის.

---

[5] **Japaridze,** et al., *The Study of Georgian Youth's Awareness,* 12.
[6] Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women (CEDAW).1979: https://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/text/econvention.htm [ბოლო ვიზიტი 20/02/2025]
[7] **Japaridze,** et al., *The Study of Georgian Youth's Awareness*, 14.
[8] **Naila Kabeer**. "Gender Equality and Women's Empowerment: A Critical Analysis of the Third Millennium Development Goal 1," *Gender and Development* 13, no. 1 (2010): 13–24.

გენდერის მკვლევარს, იანა ნოპოვას საბჭოთა კავშირის მიერ ქალთა ემანსიპაციის მიზნით გატარებულ ცვლილებებზე საუბრისას, საბჭოთა რეჟიმის მიერ განხორციელებული ზომების კლასიფიცირების მიზნით, შემოაქვს სამოტივაციო და მოქმედებითი ცნებები. მოქმედებითი ზომები იყოფა პირდაპირ და არაპირდაპირ ჩართულობად, ხოლო სამოტივაციო ჩართულობა გულისხმობს იმ გავლენას, რაც სსრკ-ს შიდა პოლიტიკას ქალთა მიმართ, საერთაშორისო კუთხით ჰქონდა[9]. მართალია არაპირდაპირი ქმედებები, არ ისახავდა მიზნად, გავლენა მოეხდინა ქალებზე, მაგრამ ირიბად მაინც მათ მაინც ჰქონდა გავლენა ქალთა სტატუსზე საზოგადოებაში. რაც შეეხება სახელმწიფოს პირდაპირ ჩართულობას - ნოპოვა ასე უწოდებს იმ აქტივობებს, რომლებიც მიმართული იყო ქალებზე გავლენის მოხდენისაკენ[10].

არ შეიძლება უარვყოთ ფაქტი, რომ საბჭოთა პოლიტიკამ დიდი როლი ითამაშა ქალთა უფლებების მიმართულებით. გენდერის მკვლევარი, ჩანდრა მოჰანტი მიიჩნევს, რომ მარქსისტული რევოლუციური და ნაციონალური მოძრაობა იქცა ქალთა ემანსიპაციის და განვითარების წინაპირობად[11]. შესაბამისად, მართალია საბჭოთა მმართველების პირდაპირ მიზანს არ წარმოადგენდა ქალთა ემანსიპაცია, მაგრამ მათ მიერ განხორციელებულმა პროგრამებმა თავისდაუნებურად გამოიწვია ქალთა მოძრაობის გაძლიერება.

საბჭოთა ლიდერებს სჯეროდათ, რომ ემანსიპაციის მაღალი დონე მიუთითებდა საზოგადოების განვითარების ხარისხზე. ამიტომ, საბჭოთა პროპაგანდისთვის ქალთა ემანსიპაციის საკითხი საბჭოთა სისტემის კაპიტალიზმზე უპირატესობის დასტური იყო[12]. მარქსისტულ-ლენინისტური ჩარჩოს მიხედვით კი, პროპაგანდა დადებითად იყო შეფასებული და პროგრესისთვის აუცილებელ ნაწილად ითვლებოდა. სწორედ ამით აიხსნება ემანსიპაციის საბურველში გახვეული ცვლილებების პროპაგანდის ნაწილად ქცევა და პროპაგანდის ფართო გამოყენება სასურველი მიზნის მისაღწევად.

---

[9] **Yana Knopova**, *The Soviet Union and the International Domain of Women's Rights* (unpublished, 2011), 3.
[10] **Knopova**, *The Soviet Union and the International Domain of Women's Rights* , 4
[11] **Chandra Mohanty,** "Cartographies of Struggle: Third World Women and the Politics of Feminism," in *Third World Women and the Politics of Feminism*, ed. Chandra Mohanty, Ann Russo, and Lourdes Torres (Bloomington: Indiana University Press, 1991), 17.
[12] **Beatrice Brodsky Farnsworth**. "Bolshevism, the Woman Question, and Aleksandra Kollontai". *The American Historical Review* 81, no 2 (1976): 292-316.

მარქსისტი თეორიტიკოსები ფრიდრიხ ენგელსი, აუგუსტ ბებელი, ვლადიმერ ლენინი, ალექსანდრა კოლონტაი, ინესა არმანდი და კლარა ცეტკინი ფიქრობდნენ, რომ ეკონომიკურმა საზოგადოებამ შექმნა მოცემულობა, რის გამოც ქალები დაქვემდებარებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. შესაბამისად, ქალთა ემანსიპაციის აუცილებელ წინაპირობად ეკონომიკური დამოუკიდებლობა მიაჩნდათ.

საბჭოთა კავშირის ჩამოყალიბების შემდეგ, 1920-იან წლებში გატარდა ღონისძიებები, რომელთა მიზანს ქალთა გათავისუფლება და სამუშაო სივრცეში ჩართვა წარმოადგენდა. პირველი პერიოდის ცვლილებების შედეგი იყო: სამოქალაქო ქორწინების ლეგალიზება, ქალთა განქორწინების საკითხში ქალების და მამაკაცების გათანაბრება და აბორტის ლეგალიზება, რაც მსოფლიო მასშტაბით პირველი შემთხვევა იყო. თუმცა კი, არ მოიაზრებოდა, რომ აბორტი ქალთა უფლება იყო, არამედ მიიჩნეოდა, რომ არასასურველი სოციალურ-ეკონომიკური პირობების შედეგი იყო. ბოლშევიკების მმართველობის პირველი პერიოდის გამოწვევებს შორის იყო დასაქმებული ქალების რაოდენობის ზრდა. მეორე პერიოდი, რომელიც პირობითად სტალინის ერთმმართველი ხელისუფლების დამყარებიდან აითვლება, 1928 წლიდან დაიწყო და 1960-იანი წლების ბოლომდე გაგრძელდა. ამ პერიოდის მთავარი გამოწვევა სწრაფი ინდუსტრიალიზაცია და მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას მუშახელის ნაკლებობა გახდა. სტალინი ჯერ კიდევ 1930-იან წლებში მიიჩნევდა, რომ „ქალთა საკითხი“ წარმატებით გადაიჭრა და სოციალიზმმა ქალები გაათავისუფლა. თუმცა ბოლშევიკების მმართველობის მესამე პერიოდში, ლ. ბრეჟნევის ხელისუფლების დროს, გადაისინჯა ქალთა საკითხი და შეფასდა როგორც „შეუსრულებელი“ (რუს.:Невыполним). სქესთა შორის არათანასწორი უფლებების/მოვალეობების შესახებაც ღიად გაჟღერდა. საზოგადოებაში გაჩნდა აზრი, რომ არსებობს ფორმალური თანასწორობა, მაგრამ ფაქტობრივი თანასწორობა სქესთა შორის ჯერ კიდევ შესასრულებელი ამოცანაა.[13] გენდერის მკვლევრის, მერი ბაკლის მიხედვით, ქალების ეკონომიკური და პოლიტიკური როლები უცვლელი იყო საბჭოთა ისტორიაში. თუმცა სხვადასხვა დროს მას სხვადასხვაგვარად ექცეოდნენ. ჯერ კიდევ ლენინის, კოლონტაის და არმანდის მიერ დასმული საკითხი, ქალის

[13] **Mary Buckley**, *Women and Ideology in the Soviet Union* (Ann Arbor: University of Michigan Press, 1989), 223.

დამონებული მდგომარეობიდან გამოხსნის შესახებ, მისი პოლიტიკური აქტიურობის, სოციალური სერვისებისა და კანონის წინაშე თანასწორობის შესახებ - საბჭოთა იდეოლოგიის ძირითად თემებად იქცა.

საკვლევი თემის მიზანი. საკვლევი თემის მიზანია საარქივო წყაროების, საბჭოთა სხვადასხვა ბეჭდური პროდუქციის (მხატვრული ლიტერატურის და პლაკატების) ანალიზის შედეგად, გამოკვეთოს საბჭოთა პროპაგანდის მიერ შექმნილი ქალთა სხვადასხვა არქეტიპული სახე, რომელსაც საბჭოთა პროპაგანდა ამკვიდრებდა საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში 1930-40-იან წლებში. შესაბამისად, სადისერტაციო ნაშრომის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში დამკვიდრებული პროპაგანდისტული ნიმუშების კვლევა და ამ გზით ხელოვნების ინსტრუმენტალიზაციის პროცესისთვის თვალის მიდევნებაა. გარდა ამისა, სადისერტაციო ნაშრომი მიზნად ისახავს, ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით, 1936-1945 წლებში საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ქალთა სტატუსის ძიებას, რაც გულისხმობს ქალთა უფლებების კვლევას საკანონმდებლო დონეზე. შესაბამისად, სადისერტაციო ნაშრომი განიხილავს 1936 წლის დადგენილებას და 1944 წლის ბრძანებას და ამის საფუძველზე იკვლევს შეცვლილ ქალთა სტატუსს. ამასთან, კვლევის ჰიპოთეზას წარმოადგენს დაშვება, რომლის მიხედვითაც ომი და ომით შექმნილი გარემოებები იწვევს ქალთა საკითხის გააქტიურებას სახელმწიფოში. ომით გამოწვეული საჭიროებები, სახელმწიფოს მმართველებს ადამიანური რესურსის გაზრდას აიძულებს, რაც მიღწევადი ხდება ქალთა გააქტიურებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის ხარჯზე. ამ იდეას ავითარებს რევიზიონისტული სოციალური ისტორიის მკვლევარი, შეილა ფიცპატრიკი სტატიაში „ომი და საზოგადოება საბჭოთა კონტექსტში“.[14] ომი და მშვიდობა არის ორი სხვადასხვა მდგომარეობა. როცა ერი ომშია ჩართული, იცვლება მთავრობის ურთიერთობა საზოგადოებასთან, იცვლება მთავრობის ძალაუფლების მიზანი, ეკონომიკის წარმოების მიზანი და მოქალაქეების მართვის მიზანი[15]. ომის და მშვიდობის თეორიებიდან გამომდინარე ომის დროს მეოცე საუკუნეში ომი ნიშნავდა მთავრობის კონტროლის ზრდას, ძალაუფლების

[14] **Sheila Fitzpatrick**. “War and Society in Soviet Context: Soviet Labor Before, During, and After World War II,” *International Labor and Working-Class History*, no. 35 (1989): 37–52.
[15] **Fitzpatrick**, “War and Society in Soviet Context,” 39.

კონცენტრაციას, ეკონომიკის ცენტრალიზაციას. ის ქმნიდა სამოსის, საკვების და საწვავის განაწილების რაციონალურ სისტემას და მოქალაქეებს ავალდებულებდა სხვადასხვა საქმიანობაში ჩართვას. ზოგიერთ ცვლილებას დროებითი ხასიათი ჰქონდა, დანარჩენებს კი საშუალო ან გრძელვადიანი შედეგები. ომის ერთ-ერთი შედეგი იყო ქალთა ჩართვა სამუშაო სივრცეში. ომის შემდგომ წლებში კი ბევრი ყოფილი მებრძოლი ქვეყანა განიცდიდა სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებებს, რაც გამოწვეული იყო როგორც ომის გამოცდილებით, ისე ახალი მოლოდინებით, რომლებიც მოსახლეობაში არსებობდა. თუმცა, შეილა ფიცპატრიკი მიიჩნევს, რომ საბჭოთა კავშირში მშვიდობისა და ომის დროინდელი ორგანიზაციის კონტრასტი ნაკლებად მკვეთრი იყო, ვიდრე სხვა მებრძოლ ქვეყნებში, რადგან საბჭოთა საზოგადოება ომის დაწყებამდე უკვე ნაწილობრივ „მობილიზებული“ იყო — რაც ნიშნავს იმას, რომ ქვეყანა ნახევრად საომარ მზადყოფნაში იყო და ქვეყანაში არსებობდა კრიზისისა და საგანგებო სიტუაციის ატმოსფერო — ამის მაგალითია ინდუსტრიალიზაციის კამპანია 1930-იანი წლების დასაწყისში. სახელმწიფოსა და საზოგადოების ეს ნიმუში შენარჩუნებული დარჩა როგორც ომის პერიოდში, ისე ომის შემდგომ ხანაშიც. ომმა განსაკუთრებული ადგილი დაიკავა საბჭოთა მოქალაქეების ცხოვრებაში. 40 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის მმართველები იხსენებდნენ ომს და ხალხის მეხსიერების პოლიტიკას განსაკუთრებულ, საერთო გამოცდილებად წარმოსახავდნენ, რომელსაც სულიერი სიძლიერის და საერთო მიზნების დანიშნულებაც ჰქონდა.[16] ამ ტიპის „აღტაცება“ ომით და შეჭიდულობასთან მიახლოებული დამოკიდებულება სხვა მებრძოლი ქვეყნების გამოცდილებაში არ გვხვდება. ომის შემდგომ პერიოდში ომი გახდა ისეთივე მნიშვნელოვანი ქვაკუთხედი და საბჭოთა იდენტობის საფუძველი საბჭოთა კავშირში, როგორც თავად რევოლუცია. შესაძლო ახსნა ის არის, რომ რეალურმა ომმა საბჭოთა მოქალაქეები გააერთიანა და შექმნა საერთო მიზანი, რომელიც რეჟიმსა და საზოგადოებას აკავშირებდა. რეალურ ომში საბჭოთა მოქალაქეებს შეეძლოთ გაემართლებინათ ყველა სირთულე და მსხვერპლი — არა მხოლოდ ომის დროს, არამედ, წინა დეკადის დროს მიღებული „გამოცდილებები“: ტერორი და სისასტიკე. სტალინი მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა გამარჯვებას აღწერდა, როგორც 1930-იანი

[16] **Fitzpatrick**, “War and Society in Soviet Context,” 39.

წლების პოლიტიკის უდიდეს შედეგს. სავარაუდოდ, საბჭოთა მოქალაქეების უმეტესობამ ასე თუ ისე მიიღო ეს მტკიცება და ასევე მიიღო მოწოდება, რომ გამარჯვების დღიდან, საზოგადოება კვლავ „მობილიზებული“ უნდა დარჩენილიყო გაურკვეველი დროის განმავლობაში, თუ რაიმე ახალი ომი დაიწყებოდა გამარჯვებულ სახელმწიფოებს შორის. ამავე დროს, ომმა გააჩინა საზოგადოებაში ცვლილების მოლოდინები (განსაკუთრებით კოლექტივიზაციისა და კულტურული კონტროლის მიმართ), მაგრამ ეს მოლოდინები იმედგაცრუებად იქცა და საზოგადოებამ ესეც მოითმინა.

ნაშრომის ერთ-ერთ ძირითად მიზნად რჩება იმის ჩვენება, თუ როგორ მოქმედებდა საბჭოთა პროპაგანდა საზოგადოებაზე, ქალთა რომელ როლურ სახეებს ამკვიდრებდა და არსებული კანონმდებლობის საფუძველზე, რა როლი ენიჭებოდა ქალს საზოგადოებაში. სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას, კიდევ ერთხელ გადაიხედოს ქალთა სტატუსი საბჭოთა საზოგადოებაში სტალინის მმართველობის დროს და დადგინდეს რამდენად რეალური იყო ქალთა ემანსიპაცია და რა იყო ამ საკითხით მანიპულირების ნამდვილი მიზანი.

ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩო. 1936 წლის 27 ივნისს სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტმა მიიღო N65 დადგენილება აბორტის აკრძალვის შესახებ, რომლითაც არამხოლოდ გაძვირდა განქორწინება[17], არამედ, აბორტი კვლავ უკანონო გახდა - რაც საბჭოთა ქალების ისტორიაში შემობრუნების წერტილად იქცა, დასრულდა წარმოსახვითი ბრძოლა „ქალთა საკითხის“ გადასაჭრელად და სქესთა შორის თანასწორობა გამოცხადდა, რაც რეალობას არ შეესაბამებოდა. მეორე მსოფლიო ომმა გავლენა მოახდინა ქალთა სტატუსსა და მდგომარეობაზე. შესაბამისად, კვლევის შემოსაზღვრა 1936-1945 წლებით ლოგიკურად მიგვაჩნია.

ნაშრომის მეთოდოლოგიური ბაზა. ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საარქივო მასალების, ლიტერატურისა და პლაკატების კვლევა, რაც მოითხოვს სხვადასხვა მეთოდოლოგიის გამოყენებას. ვინაიდან, კვლევის ფოკუსში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და მასში განხორციელებული ცვლილებებია

[17] შენიშვნა: იგულისხმება განქორწინების საფასურის გაზრდა. (ნ.მ.)

მოქცეულია, სადისერტაციო ნაშრომის მეთოდს წარმოადგენს „შემთხვევის შესწავლა“, რომელიც გულისხმობს კომუნიკაციური მოვლენების ინტენსიურ და დეტალურ შესწავლას ბუნებრივ გარემოში. მეთოდი ძალიან ეფექტურია განსაკუთრებით იმ დისციპლინებისთვის, რომელთა ჭეშმარიტება პლურალისტურია და არ დადის ერთ რომელიმე პასუხამდე, ამის ნაცვლად ის გვთავაზობს რამდენიმე შესაძლო ვარიანტს. „შემთხვევის შესწავლა“ ეყრდნობა დაკვირვების მეთოდს, მაგრამ გარდა დაკვირვების მეთოდისა, ითვალისწინებს კონტექსტის აღწერას როგორც ვიწრო, ისე ფართო გაგებით. სადისერტაციო ნაშრომი შესაბამისად, ეყრდნობა საქართველოს გამოცდილებას და მიღებული ცოდნის განზოგადებას ახდენს.

გარდა ამისა, ტექსტებზე მუშაობისას გამოვიყენეთ კონტენტ-ანალიზის მეთოდი. კვლევის დასაწყისში მოვიძიეთ კვლევისთვის საჭირო დოკუმენტები: პირველადი და მეორეული წყაროები. შემდეგ ეტაპზე მოძიებული დოკუმენტები გარკვეული ნიშნით დაიყო. მესამე ეტაპზე დოკუმენტებს მიენიჭათ კონკრეტული სიტყვა-მარკერები, რაც იძლევა ტექსტების კოდირების საშუალებას. მოძიებული მეორეული წყაროების დამუშავების შემდეგ, გამოკვლეულ იქნა წინაპირობები, რომელიც წინ უძღვოდა 1936 წლის დადგენილებას აბორტის აკრძალვის შესახებ. სხვადასხვა ავტორის ნაშრომების გაცნობის შემდეგ, შეიქმნა ზოგადი სურათი სტალინის მმართველობის დროს ქალთა სტატუსის შესახებ 1930-იან 1940-იან წლებში.

კვლევის მეორე ნაწილი დაეთმო საარქივო დოკუმენტებზე მუშაობას. საარქივო დოკუმენტებზე მუშაობისას, სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივის და საქართველოს შინაგან სამინისტროს არქივის შესაბამისი ფონდების შესწავლის შემდეგ, გამოიყო ის საქმეები, რომელთა სათაურში ფიგურირებდა ქალთა საკითხი. ამის შემდეგ, მოძიებული საარქივო დოკუმენტები დამუშავდა და მოერგო დისერტაციის საკვლევ მიზანს. გამოიყო, ერთი მხრივ, საკანონმდებლო ცვლილებები და მეორე მხრივ, შესწავლილ იქნა კორესპონდენციები, რომლებიც შეეხებოდა ქალთა მდგომარეობას მეორე მსოფლიო ომის დროს. შესწავლილი კორესპონდენციები დაჯგუფდა სხვადასხვა ნიშნით. თუ მეორე და მესამე თავის მიზანი იყო 1936 წლის დადგენილების და 1944 წლის 8 ივლისის N37 ბრძანების საფუძველზე განესაზღვრა სახელმწიფო პოლიტიკა ქალთა მიმართ, მეოთხე თავში განვიხილეთ სსიპ საქართველოს ეროვნულ არქივში

დაცული კორესპონდენციები ქალთა მდგომარეობის შესახებ, მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას. აღნიშნული კორესპონდენციები ეკუთვნის საბჭოთა მოქალაქეებს, რაც იძლევა საშუალებას საკითხს შევხედოთ სხვა მხრიდან.

წყაროების დამუშავებისას გამოვიყენეთ ისტორიზმის პრინციპი, რაც გულისხმობს ისტორიული მოვლენების შესწავლას დინამიკაში. წყაროებთან მუშაობის დროს კრიტიკული ანალიზის მეთოდით განხილულ იქნა საბჭოთა საქართველოში არსებული მდგომარეობა და ქალთა საკითხი. შევისწავლეთ სამეცნიერო ლიტერატურა და საარქივო მასალები ისტორიულ-სისტემური მეთოდით. დისერტაციაში დასმულია პრობლემა და შემდეგ მისი გადაჭრის გზა. ასევე, ახსნილია ისტორიული მოვლენების მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.

რაც შეეხება სადისერტაციო ნაშრომის მეექვსე და მეშვიდე თავს, კვლევის პროცესში საბჭოთა ბეჭდური მასალების (მხატვრული ლიტერატურისა და პლაკატების) შესწავლისას მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდა პროპაგანდის მექანიზმზე და იმ წესრიგზე, რომელსაც პროპაგანდის საშუალებით სახელმწიფო ამკვიდრებდა. ბეჭდური მასალების შესწავლისას გამოვიყენეთ კოდირების პრინციპი. გამოიყო 5 კოდური სიტყვა: ქალი-დედა, მსხვერპლი ქალი, მშრომელი ქალი, ფემინური ქალი, მებრძოლი ქალი. თითოეული კატეგორია ცალ-ცალკე დახასიათდა და შეიქმნა ქალთა არქეტიპული სახე, რომელსაც საბჭოთა პროპაგანდა ხელოვნების გავლით ამკვიდრებდა. პლაკატების კვლევისას სადისერტაციო ნაშრომის ამ თავის მიზანი იყო ურთიერთმიმართების დადგენა პლაკატებსა და ისტორიულ კონტექსტს შორის. ამიტომ, კვლევის პროცესში გამოყენებულია კომპოზიციური მთლიანობის მეთოდი. ამ მეთოდის მიხედვით, გამოიკვეთა და დახასიათდა პლაკატების აღწერითი მხარე, ფერთა და ფორმების ცვლილება და სხვ. ამასთან, კვლევის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ტექსტებს, რომლებიც თან ერთვის პლაკატებს. ხშირ შემთხვევაში ტექსტი მეორეხარისხოვანია, მაგრამ მთლიანობაში პლაკატის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.

რაც შეეხება საბჭოთა ლიტერატურის კვლევას, ამ თავში ყურადღება მიექცა საბჭოთა საქართველოს ორი მნიშვნელოვანი პერიოდული გამოცემის გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ და ჟურნალ „მნათობის“ კვლევას. კვლევის

მეთოდოლოგია მოიაზრებდა პირველ რიგში, ზოგადი ფონის შესწავლას, რომელსაც ჟურნალ-გაზეთები ამკვიდრებდნენ. ამასთან, მოძიებული ჟურნალ-გაზეთების დაჯგუფებას კოდური სიტყვების მიხედვით და შემდეგში ქალთა არქეტიპული სახეების დახასიათებას.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე. ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს ცალკეული კვლევები, რომლებიც ქალთა სტატუსის ისტორიას იკვლევს სხვადასხვა საბჭოთა რესპუბლიკების საარქივო მასალებზე დაყრდნობით. თუმცა, სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს პირველ გამოკვლევას ქართულ ისტორიოგრაფიაში ქალთა სტატუსის შესახებ სტალინის მმართველობის დროს, 1936-1945 წლებში, რომელიც ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს: ქართულ მხატვრულ ლიტერატურას, ქართულ საარქივო მასალებს, პოლიტიკურ პლაკატებს და ინგლისურენოვან მეორეულ წყაროებს. კვლევის სიახლეს წარმოადგენს ისტორიის მომიჯნავე მეცნიერებათა წყაროების გამოყენება ჭეშმარიტების დასადგენად. ნაშრომი, ერთი მხრივ, ქართულ ენაზე წარმოადგენს პირველ კვლევას, რომელშიც გაერთიანებულია სხვადასხვა ინგლისურენოვანი მკვლევრების დამოკიდებულება ქალთა საკითხისადმი, ზოგადად, საბჭოთა კავშირის მასშტაბით და, მეორე მხრივ, სადისერტაციო ნაშრომი არის მცდელობა საბჭოთა საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის მაგალითზე, დაადგინოს, ქალთა როლი საზოგადოებაში სტალინის მმართველობის დროს და იმსჯელოს ქალთა არქეტიპულ სახეებზე საბჭოთა ხელოვნებაში.

ნაშრომის სტრუქტურა. ნაშრომი შედგება შესავალი ნაწილის, ექვსი თავისა და დასკვნისაგან. თითოეული თავი იყოფა პარაგრაფებად, რომლებიც შეესაბამება სადისერტაციო ნაშრომის საკვლევ კითხვებსა და მასალებს. სადისერტაციო ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული წყაროების და ლიტერატურის ჩამონათვალი. ასევე, დანართის სახით წარმოდგენილია ცხრილები, რომლებიც ასახავს ქალთა დასაქმებას, მათზე სახელმწიფოს მიერ გაცემულ დახმარებას და სხვ. დანართის სახით, ასევე, წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული პლაკატები, რომელთა კვლევას სადისერტაციო ნაშრომის მეშვიდე თავი ეყრდნობა.

ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზა. სადისერტაციო ნაშრომის წყაროთმცოდნეობით ბაზას წარმოდგენს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის

უახლესი ისტორიის არქივში დაცული საარქივო დოკუმენტები, მათ შორის, ფონდები N284 და N600. აღნიშნულ ფონდებში დაცულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის არქივში შემონახული დადგენილებები, ბრძანებები, კორესპონდენციები. ფონდი N284 და N600 წარმოადგენს ერთ-ერთ პირველად წყაროს, საბჭოთა საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის მაგალითზე, ქალთა სტატუსის შესწავლის საქმეში. გარდა ამისა, სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში მოძიებული მასალები. სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის არქივში, დამუშავდა რაიკომის ქალი-მდივნების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ, ქალთა სია რომლებიც იკავებდნენ რაიკომის მდივნების პოსტს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მასშტაბით, 1941-1945 წლების პერიოდში.

გარდა ამისა, მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს სსრკ-ს კანონების კრებული და სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები, 1938-1944 წლების მდგომარეობით,[18] რომელშიც თავმოყრილია საბჭოთა კავშირის სრული კანონმდებლობითი ბაზა. 1936 წლის კონსტიტუცია[19] და სხვ. კანონთა კრებულის დამუშავების შემდეგ, შესაძლებელი გახდა ქალთა მიმართ გამოცემული კანონების შესწავლა და სახელმწიფოს გენდერული პოლიტიკის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიღება.

წყაროებს შორის გამორჩეულია ლენინის[20], ტროცკის[21], სტალინის[22] საჯარო გამოსვლების ჩანაწერები, რომლებიც წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს. ჩანაწერების შესწავლა, საშუალებას აძლევს მკვლევარს, განსაზღვროს ბოლშევიკების რეალური მიზნები ქალთა ემანსიპაციის პროცესში და შეაფასოს პოლიტიკური გარემო, რომელიც თან ახლდა ამ ცვლილებებს.

---

[18] **Сборник законов** СССР и указов Президиума Верховного совета СССР. 1938-1944 г.г. — М.: Ведомости Верховного совета СССР, 1945.

[19] **Конституция** (основной закон) Союза Советских Социалистических Республик : [Принята 5 дек. 1936 г.]. - Ленинград: Партиздат ЦК ВКП(б), 1936. გვ. 27 https://www.prlib.ru/item/420918 [ბოლო ვიზიტი 18.01.2025].

[20] **Vladimir Lenin**, "Can the Bolsheviks Retain State Power?" October 1, 1917, https://www.marxists.org/archive/lenin/works/1917/oct/01.htm. [ბოლო ვიზიტი 24/10/2024].

[21] **Leon Trotsky**, *The Revolution Betrayed: What Is the Soviet Union and Where Is It Going?* (1936), https://www.marxists.org/archive/trotsky/1936/revbet/ch07.htm#ch07-1 [ბოლო ვიზიტი 24/10/2024].

[22] **Joseph Stalin,** *Speech on Agrarian Policy*, December 27, 1929, https://history.hanover.edu/courses/excerpts/111stalin.html. [ბოლო ვიზიტი 24/10/2024].

საბჭოთა გენდერული პოლიტიკისა და საბჭოთა პროპაგანდის მექანიზმების კვლევის მიზნით, საინტერესოა საბჭოთა პერიოდიკის (ჟურნალ-გაზეთების პერიოდული გამოცემების) კვლევა. ხშირ შემთხვევაში პრესა წარმოადგენდა პირველად საშუალებას მოსახლეობაზე გავლენის მოხდენის თვალსაზრისით. განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც საბჭოთა სახელმწიფო პროპაგანდა ომის საჭიროებებს იყო მორგებული. შესაბამისად, საინტერესოდ მივიჩნიეთ საბჭოთა საქართველოში ძირითადი ლიტერატურული ჟურნალისა და გაზეთის კვლევა. ჟურნალი „მნათობი“ და ჟურნალი „ლიტერატურული საქართველო“, წარმოადგენდა ერთ-ერთ ძირითად ლიტერატურულ ორგანოს, რომლის დახმარებით საზოგადოებაში ვრცელდებოდა საბჭოთა სახელმწიფოს მმართველების მიერ მოწონებული პროექტები.

საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული საბჭოთა პლაკატები პროპაგანდის ერთ-ერთ წყაროა და კვლევისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. პლაკატების კვლევა, საშუალებას აძლევს მკვლევარს, დაადგინოს თუ რა გავლენას ახდენდა სოციალური რეალიზმი ხელოვნების ცალკეულ დარგებზე და რა იყო ის სტანდარტი, რომელიც ქალებისთვის მისაბაძ მოდელად უნდა ქცეულიყო.

ქალთა სტატუსის კვლევის მიმართულებით, მნიშვნელოვან პროექტს წარმოადგენს საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის მიერ, 2012 წელს გამოცემული წიგნი „დაკარგული ისტორია - მეხსიერება რეპრესირებული ქალების შესახებ[23]“, რომელიც აერთიანებს ზეპირ ისტორიებს ქალებზე, რომლებიც საბჭოთა სისტემას ემსხვერპლნენ. მოგონებები წარსულის გაცოცხლების და საბჭოთა პოლიტიკის შედეგების გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა.

საბჭოთა კავშირში მცხოვრები ქალების ზეპირი ისტორიების შესახებ საინტერესო წიგნს წარმოადგენს ჰაინრიხ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის და ფონდი „ტასოს“ ერთობლივი პროექტი: „ქალი საბჭოთა სოფელში“. წიგნი აერთიანებს 17 ინტერვიუს,

[23]**ნინო ბექიშვილი,** რედ., *დაკარგული ისტორია - მეხსიერება რეპრესირებული ქალების შესახებ* (თბილისი: 2012). https://taso.org.ge/114/geo/ [ბოლო ვიზიტი 01.11.2024]

რომელთა რესპონდენტები საბჭოთა კავშირში მცხოვრები ქალები არიან. მხოლოდ ერთი რესპონდენტია მამაკაცი, რომელიც დედის ისტორიას იხსენებს[24].

2024 წელს თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI), შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (SIDA) ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და რეპრესირებული ელისაბედ აბზიანიძის შვილთაშვილთან, ნინო ისაკაძესთან თანამშრომლობის ფარგლებში გამოსცა წიგნი - "ლიზიკო აბზიანიძის მოგონებები[25]". ლიზიკო აბზიანიძის მოგონებები მემუარული ტიპის ნაშრომია, 1937-1938 წლების გამოცდილებების შესახებ.

სადისერტაციო ნაშრომში გამოვიყენებთ საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში თავმოყრილი საბჭოთა ეპოქის პერიოდული გამოცემები, აუდიო მასალები, დისერტაციები, პლაკატები, აფიშები და სხვ.

საბჭოთა საქართველოში დაბეჭდილი პლაკატების ანალიზისას, განსაკუთრებულ წყაროს წარმოადგენს მარიამ გაჩეჩილაძის წიგნი „ქართული პლაკატი", რომელშიც გაერთიანებულია, როგორც პოლიტიკური და სარეკლამო ხასიათის პლაკატები, ისე კინოფილმების, თეატრისა და სხვა ტიპის წარმოდგენებისთვის შესრულებული აფიშები[26].

სადისერტაციო ნაშრომის მიზნებისთვის საინტერესოა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1954 წელს ქ. ჯ. ანთიძის მიერ დაცული დისერტაცია სათაურით: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ქალთა მონაწილეობა საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში (1941-1945წ.წ.)[27]". ქ. ჯ. ანთიძის დისერტაცია საბჭოთა კლიშეების მიხედვით შექმნილი კვლევაა. თუმცა, საგულისხმოა ის დოკუმენტები, რომელზე დაყრდნობითაც ავტორი მსჯელობს

---

[24] **ბექიშვილი,** *დაკარგული ისტორია.*

[25]**ანტონ ვაჭარაძე,** რედ., *ლიზიკო აბზიანიძის მოგონებები* (თბილისი: 2024), https://idfi.ge/ge/liziko_abzianidze_diary.

[26] **მარიამ გაჩეჩილაძე.** *ქართული პლაკატი,* (თბილისი: გამომცემლობა არტანუჯი, 2023).

[27] ქ.ჯ. ანთიძე, *საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ქალთა მონაწილეობა საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომში (1941-1945წ.წ.)* (დისერტაცია, 1954), https://digitallibrary.tsu.ge/book/2020/feb/dissertations/disertacia31/antidze%20sabchota.pdf.

ქალთა სტატუსზე საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში. ასევე, საინტერესოა, საბჭოთა ისტორიკოსის ხედვა და საკითხის დასმა.

სამეცნიერო ლიტერატურის ზოგადი მიმოხილვა. ქალთა ისტორიის შესწავლა უფრო ადრე იწყება, ვიდრე ხშირად ხსენებული 1960-იანი წლების ამერიკული სამოქალაქო უფლებების მოძრაობაა. ქალთა ისტორიის კვლევა დაკავშირებულია ჯერ კიდევ აღორძინების პერიოდში, ქრისტინა დე პიზანისა და კორნელიუს აგრიპას ავტორობით გამოსულ ტრაქტატებთან ქალების მიმართ,[28] რომელსაც მოჰყვა 1772 წელს ოლიმპიადა დე გუჟის „ქალისა და ქალი მოქალაქის უფლებების დეკლარაცია[29]".ფემინიზმის, როგორც ქალთა სქესთა თანასწორუფლებიანობის თეორიამ ჩამოაყალიბა ქალთა მოძრაობა, რომელიც XIX-XX საუკუნეებში სამ ეტაპად წარიმართა[30]. ფრანგული „ანალების" და ამერიკული „ახალი ისტორიის", სკოლების წარმომადგენელმა თეორიტიკოსებმა და პრაქტიკოსებმა დასვეს კითხვა, თუ როგორ შეიძლება არსებობდეს ჭეშმარიტი ისტორია მაშინ, როცა ის მთლიანად გამორიცხავს მეორე (მდედრობით) სქესს, ხოლო მამრობითი სქესის მხოლოდ გარკვეულ ნაწილს შეისწავლის. ქალთა ისტორიის განვითარებამ 1970-იანი წლებიდან ახალ საფეხურზე გადაინაცვლა, რაც კარგად არის აღწერილი გერდა ლერნერის, ჯოან კელის[31] და ჯოან სკოტის[32] მიერ. ქალთა ისტორიის მკვლევრები ადრეულ ეტაპზე ცდილობდნენ, ეჩვენებინათ ქალების მნიშვნელოვანი როლი ისტორიაში, მათი წვლილის დემონსტრირების გზით. თანდათან გაიზარდა ქალთა ისტორიით დაინტერესებული მკვლევრების მიზნები, კვლევის ფოკუსში მოექცნენ რიგითი, მუშათა კლასის ქალები და გლეხის ქალები. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდათ სუფრაჟისტ ქალებს, მუშათა მოძრაობებში მონაწილე, პოლიტიკურ და საგანმანათლებლო საქმიანობაში ჩართულ ქალებს. მოგვიანებით კი, ქალთა ისტორიის მკვლევრების ფოკუსში აღმოჩნდნენ „დამალული" ქალები, ისეთები, როგორებიც არიან: მეძავები, მონაზვნები, გლეხი ქალები, დიასახლისები და სხვ. ქალთა ისტორიის კვლევისას

---

[28] **ხათუნა ქოქრაშვილი.** „ქალთა ისტორია" და გენდერული კვლევები საისტორიო მეცნიერებაში. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2 no. 6 (თბილისი: 2009), 384.

[29] **Olympe de Gouge**, *The Rights of Woman* (1791), The Rights of Women.[ბოლო ვიზიტი 20/02/2025].

[30] დამატებითი ინფორმაციისთვის იხ.:**ქოქრაშვილი**, „*ქალთა ისტორია* და გენდერული კვლევები."

[31] **Joan Kelly-Gadol.** „Did Women have a Renaissance?", in Women in European history, 1st ed. (1977): 137-164.

[32]**Joan W. Scott,** "Gender: A Useful Category of Historical Analysis," The American Historical Review 91, no. 5 (1986): 1053–1075, https://doi.org/10.2307/1864376.

ისტორიკოსთა დისკურსის რევიზიონისტული ხასიათი აშკარაა თეორიულ დებატებში, რომლებიც თან ახლდა ქალთა ისტორიის კვლევის გაფართოებას. რევიზიონისტული ისტორია, გარდა იმისა, რომ მსჯელობს ისტორიის შინაარსზე, ენასა და თეორიაზე, იგი ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ინსტიტუციონალიზებული თემების, პერიოდიზაციისა და კაცობრიობის ისტორიაში ზოგიერთი მოვლენის მნიშვნელობის სისწორეს. ჯოან კელის სტატია „ქალებს ჰქონდათ რენესანსი?“[33] კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეარყია ტრადიციული ისტორიის „ჭეშმარიტებები“ ამ რევიზიონისტულმა მიდგომამ. XX საუკუნის 60-70-იან წლებში საფუძველი ჩაეყარა ქალთა კვლევებს აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში. 1974 წელს კი შერი ორტნერის სტატიამ[34] სათავე დაუდო დისკუსიას „გენდერის“ ცნების შესახებ. ამ დროიდან მოყოლებული გენდერის კვლევები ქალთა კვლევების საფუძვლად იქცა[35]. XX საუკუნის 80-იან წლებში კი საფუძველი ჩაეყარა გენდერულ ისტორიას, როგორც სქესთა კვლევის ახალ მიმართულებას. აღსანიშნავია, რომ ქალთა ისტორია, გენდერული ისტორიის ნაწილად მოიაზრება. თუმცა, ქალთა ისტორია წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს გენდერის კვლევისათვის.[36]

რაც შეეხება ქალთა პოლიტიკას საბჭოთა კავშირში და სახელმწიფო მოხელეების დამოკიდებულებას ქალთა სტატუსისადმი, საინტერესო კვლევები მიეძღვნა. ამერიკელმა ისტორიკოსმა გეილ ლაპიდუსმა წიგნში „ქალი საბჭოთა საზოგადოებაში“ აჩვენა, რომ სტალინურმა ხელმძღვანელობამ ოჯახიდან ქალების გათავისუფლების იდეაზე უარი თქვა, რათა ქალთა სამრეწველო და რეპროდუქციული შრომა გამოეყენებინა თავის სასარგებლოდ[37].

რუსეთის ისტორიის მკვლევარმა რიჩარდ სტაიტსმა, ნაშრომში „ქალთა განმათავისუფლებელი მოძრაობა რუსეთში: ფემინიზმი, ნიჰილიზმი და ბოლშევიზმი“ სტალინური ოჯახის პოლიტიკის “თერმიდორული ხასიათის” ხაზგასმით, აღნიშნა, რომ მრავალი თავდაპირველი ბოლშევიკი ლიდერი, მათ შორის

---

[33] **Kelly-Gadol**, “Did Women Have a Renaissance?”

[34]**Sherry B. Ortner**, “Is Female to Male as Nature Is to Culture?” in *Woman, Culture, and Society*, ed. M. Z. Rosaldo and L. Lamphere (Stanford, CA: Stanford University Press, 1974), 68–87.

[35] **ქოქრაშვილი**, „*ქალთა ისტორია* და გენდერული კვლევები“, 386.

[36] **ქოქრაშვილი**, „*ქალთა ისტორია* და გენდერული კვლევები“, 393.

[37] **G. W. Lapidus**, *Women in Soviet Society* (Berkeley: University of California Press, 1978), 97

ლენინი, მორალსა და ოჯახთან დაკავშირებით კონსერვატიულ შეხედულებებს ინარჩუნებდა[38].

საბჭოთა ქალების ისტორიის კვლევისას განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს რუსეთის სოციალური და პოლიტიკური ისტორიის სპეციალისტის ვენდი გოლდმანის ნაშრომები: „ქალები გზაგასაყარზე: გენდერი, პოლიტიკა და დაგეგმარება საბჭოთა ინდუსტრიალიზაციაში[39]"; „ქალები, სახელმწიფო და რევოლუცია" და „ტერორი და დემოკრატია სტალინის მმართველობის დროს". გოლდმანის კვლევამ დეტალურად გააანალიზა საბჭოთა პოლიტიკის ცვლილებების შესახებ დებატები და ფაქტორები, რომლებიც ქალებს ეხებოდა. მისი ნაშრომი აჩვენებს, რომ ბევრი გლეხი და მუშა ეწინააღმდეგებოდა პოლიტიკას, რომელიც ხელს უწყობდა განქორწინებას ან სხვა ფორმით ასუსტებდა ოჯახს. მან, ასევე, აღწერა სოციალური და მატერიალური რეალობა (მილიონობით უსახლკარო ბავშვი, ფინანსურად არასაკმარისად უზრუნველყოფილი ბავშვთა თავშესაფრები, არასრულწლოვანთა მზარდი დანაშაული და მამაკაცთა უპასუხისმგებლობა), რამაც საბჭოთა ლიდერებს ტრადიციული ოჯახის და დედობის მოდელის დაწინაურებისკენ უბიძგა. ამ კვლევებმა აჩვენა, არა მხოლოდ საბჭოთა ოჯახის პოლიტიკის ევოლუცია, არამედ ქალთა გათავისუფლების მოძრაობის ბედიც საბჭოთა კავშირში[40].

ამერიკელმა ისტორიკოსმა სტივენ კოტკინმა თავის კვლევაში „საბჭოთა ცივილიზაცია" ყურადღება გაამახვილა პროპაგანდისა და იდეოლოგიის როლზე საბჭოთა იდენტობებისა და რეალობების შექმნაში[41]. „თავად ბოლშევიზმი, მისი ევოლუციის ჩათვლით, უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ როგორც ინსტიტუტების ერთობლიობა, პიროვნებათა ჯგუფი ან იდეოლოგია, არამედ როგორც ძლიერი სიმბოლოების და დამოკიდებულებების კლასტერი, ახალი ენა და ახალი გამოხატვის ფორმები, საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში მოქცევის ახალი გზები, და ახალი

---

[38] **Richard Stites**, *The Women's Liberation Movement in Russia: Feminism, Nihilism, and Bolshevism, 1860-1930 - Expanded Edition* (Princeton, NJ: Princeton University Press, 1990), 28–29.

[39] **Wendy Goldman,** *Women at the Gates: Gender, Politics, and Planning in Soviet Industrialization* (Cambridge: Cambridge University Press, 2002).

[40]**Wendy Goldman**, *Women, the State and Revolution* (Cambridge: Cambridge University Press, 1993), 255.

[41] **Stephen Kotkin**, *Magnetic Mountain: Stalinism as a Civilization* (Berkeley: University of California Press, 1995), e-book, 14.

ჩაცმის სტილიც კი – მოკლედ, როგორც უწყვეტი გამოცდილება, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იყო ახალი ცივილიზაციის, სახელად სოციალიზმის, წარმოდგენა და მისი რეალიზაციისკენ სწრაფვა[42].“ კოტკინმა რადიკალურად გააფართოვა იდეოლოგიის ცნება, გადააქცია ის ტოტალიტარული პოლიტიკის გეგმიდან კულტურის ანთროპოლოგიურ განსაზღვრებად, როგორც ამას ისტორიკოსი კლიფორდ გირთზი აღწერს[43]. ტერმინი იდეოლოგია შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც შეზღუდული, სპეციფიკური რწმენების ნაკრები ან როგორც უფრო განუსაზღვრელი რამ, რაც ჩვენს რწმენებს აფერადებს და განსაზღვრავს სოციალურ პრაქტიკებს. ფილოსოფოს ლუი ალთუსერის მიხედვით, იდეოლოგია არა მხოლოდ რეალური სოციალური ურთიერთობების დამახინჯებული გამოხატულებაა, არამედ საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც ადამიანები ცხოვრობენ თავიანთ სამყაროში და იმეორებენ მათი არსებობის პირობებს[44]. იდეოლოგიას გააჩნია მატერიალური არსებობის გამოხატულება, სოციალური პრაქტიკებისა და რიტუალების სახით. მაგალითად, კოტკინის მსჯელობაში ვხედავთ მაგნიტოგორსკის მოსახლეობას, რომლებიც „ბოლშევიზმის ენას“ სწავლობენ და სხვა კონკურენტი დისკურსების ნაკლებობის პირობებში საკუთარ იდენტობებს პარტიის მიერ მიცემული ინტელექტუალური კატეგორიებით გამოხატავენ[45].

სხვა კვლევები ხსნიან, თუ რამ განაპირობა საბჭოთა რეჟიმის დამოკიდებულების ცვლილება ფემინიზმის მიმართ, სამოქალაქო ომიდან 1930-იანი წლების რეაქციამდე. გაურკვეველია, როდის დაიწყო ეს ცვლილება — სამოქალაქო ომის დროს, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის (ნეპ-ის) პერიოდში თუ პირველი ხუთწლიანი გეგმის დროს? ვენდი გოლდმანი თავის წიგნში წერს, რომ ბოლშევიკების წარუმატებლობა ქალთა ემანსიპაციის მიმართულებით განაპირობა არა პოლიტიკის შემქმნელების ტრადიციულმა ღირებულებებმა, არამედ „რუსი ქალების“ თანდაყოლილმა კონსერვატიზმმა[46]. იგი მიუთითებს ეკონომიკურ ფაქტორებზეც, რომლებიც ხელს უშლიდნენ ქალთა სექციას „ჟენოტდელს“ (რუს. Женотдел) ბავშვთა დაცვისა და სხვა

[42] **Kotkin**, *Magnetic Mountain*, 14.
[43] **Clifford Geertz,** “Ideology as a Cultural System,” in *The Interpretation of Cultures* (New York: Basic Books, 1973), 195.
[44] ციტირებულია სტატიიდან: **Choi Chatterjee**, “Ideology, Gender and Propaganda in the Soviet Union: A Historical Survey,” *Left History* 2 (1999): 15.
[45] **Stephen Kotkin**. Magnetic Mountain – Stalinism as a Civilization. Berkeley, 1995. გვ. 14.
[46] **Goldman**, *Women, the State and Revolution,* 257.

საზოგადოებრივი მომსახურეებების შექმნაში. ამასთან, გოლდმანი აჩვენებს, რომ როგორც პროლეტარები, ისე გლეხი ქალები მიიჩნევდნენ, რომ 1920-იანი წლების მძიმე ეკონომიკურ პირობებში შეუძლებელი იყო ოჯახის რჩენა მამებისა და ქმრების წვლილის გარეშე. ბეატრიჩე ფარნსვორტი და ბარბარა კლემენტი ეთანხმებიან გოლდმანს იმაში, რომ ბოლშევიკებმა 1920-იან წლებში ოჯახთან მიმართებით უფრო ტრადიციული სოციალური პოლიტიკა გაატარეს[47]. საბოლოოდ, კი ალბათ ამის მიზეზად უნდა მივიჩნიოთ ფაქტი, რომ ტრადიციული ოჯახური სტრუქტურის მხარდაჭერა უფრო მარტივი და იაფი იყო, ვიდრე ისეთი სახელმწიფოს შექმნა, რომელიც ყველა საბჭოთა ბავშვის კეთილდღეობაზე იზრუნებდა. გოლდმანისგან განსხვავებით, ისტორიკოსი ბეატრიჩე ფარნსვორტი და ბარბარა კლემენტი მიიჩნევენ, რომ იდეოლოგიურ კონსერვატიზმს, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ განმსაზღვრელს, უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე რუსი ქალების დამოკიდებულებებს. ქალთა ისტორიის მკვლევარი, ელიზაბეთ ვუდიც იდეოლოგიის საკითხზე აკეთებს აქცენტს და აცხადებს, რომ ბოლშევიკების შეხედულებები ქალთა გათავისუფლების შესახებ 1920-იან წლებში არსებითად არ შეცვლილა. ამის ნაცვლად, ის ამტკიცებს, რომ ეს იდეები ჯერ კიდევ XIX საუკუნის რუსეთში არსებობდა და ქალების მიმართ მტრული და დამცინავი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა, ქალები ძირითადად აღიქმებოდნენ ჩამორჩენილ, გაუნათლებელ დედებად, რომელთაც მამაკაცთა ხელმძღვანელობა სჭირდებოდათ[48]. ქალების საჯარო სფეროში ჩართვის ვალდებულების და ფემინიზმისადმი მტრული დამოკიდებულების თანაარსებობა არც თუ მარტივი დავალება იყო, ამის გამო ბოლშევიკური იდეოლოგია ორაზროვნებითა და დაძაბული ხასიათით გამოირჩევა. ელიზაბეთ ვუდის თქმით, ეს "ჩამორჩენილობის" ნარატივები დიდ როლს თამაშობდა ქალთა საკითხების მიმართ მტრობისა და გულგრილობის შენარჩუნებაში[49]. მიუხედავად იმისა, რომ გენდერული ბალანსის შესახებ დაწყებული საუბრები

---

[47] **Barbara Evans Clements**, "The Birth of the New Soviet Woman," in *Bolshevik Culture: Experiment and Order in the Russian Revolution*, ed. Abbott Gleason, Peter Kenez, and Richard Stites (Bloomington, IN: Indiana University Press, 1985), 220–237.

Beatrice Farnsworth, "Bolshevik Alternatives and the Soviet Family: The 1926 Marriage Law Debates," in *Women in Russia*, ed. Dorothy Atkinson, Alexander Dallin, and Gail W. Lapidus (Stanford, CA: Stanford University Press, 1977), 139–165.

[48]**Elizabeth Wood,** *The Baba and the Comrade: Gender and Politics in Revolutionary Russia* (Bloomington, IN: Indiana University Press, 1997), 44.

[49] **Wood**, *The Baba and the Comrade,* 47.

ბოლშევიკებს აძლევდა ძალაუფლებას და ზემოქმედების საშუალებას ოჯახურ ცხოვრებასა და ინტიმურ ურთიერთობებზე, ტრადიციული გენდერული ცნებები და აღქმები მაინც ნარჩუნდებოდა, მაშინაც კი, როცა ბოლშევიკები აცხადებდნენ, რომ ისინი შეძლებდნენ "ბაბას" (რუს."Баба") "ამხანაგად" გარდაქმნას და ქალებს მოუწოდებდნენ, რომ ისინი "დედები" ყოფილიყვნენ საზოგადოებისთვის, ფართო გაგებით.

საბჭოთა იკონოგრაფიის მკვლევრები ვიქტორია ბონელი, ელიზაბეთ უოთერსი და ელიზაბეთ ბერნშტაინი[50], თავიანთ ნაშრომებში, რომლებიც ეხება ქალების რეპრეზენტაციას პლატაკებზე, აღნიშნავენ რომ ქალებს წარმოაჩენდნენ, როგორც ზედმეტ ან ხშირად მტრულად განწყობილს რევოლუციის მიმართ. რევოლუციისადმი პოზიტიურად განწყობილი მოდელი, როგორიცაა “კოლხოზნიცა” (რუს. "Колхозница" -კოლმეურნე ქალი), ხშირად აღიქმებოდა როგორც არარეალური და მამაკაცზე დაქვემდებარებული[51]. ისტორიკოს სუზან რეიდის სტატიის მიხედვით, ყველაფერი ფემინური, ქალური აღქმულია პასიურ, მორჩილ, უკრიტიკო და ადვილად მოსატყუებელ საქციელთან. მიუხედავად განსხვავებებისა, ყველა ავტორი თანხმდება, რომ სტალინიზმი წარმოადგენდა საბჭოთა კავშირში ქალთა მდგომარეობის ყველაზე მძიმე პერიოდს. სახელმწიფო, პროპაგანდის საშუალებებით ღიად აცხადებდა, რომ თითქოს ქალთა განთავისუფლება მიღწეულ იქნა, სინამდვილეში კი ყველა წახალისების პოლიტიკა უგულებელყოფილი იყო, ქალები იქცნენ სამუშაო ძალად და გამრავლების საშუალებად. პატრიარქალური ოჯახი, რომელსაც გადაერქვა სახელი და სოციალისტური ეწოდა, განდიდებული იყო, ამასთან, განქორწინება გართულდა, აბორტი გამოცხადდა არალეგალურად, ხოლო ქალებს მოუწოდებდნენ, რომ ჩართულიყვნენ საზოგადოებრივ საქმიანობაში და სამშობლოს დემოგრაფიულ ვითარებაზე ეზრუნათ[52].

---

[50]**Frances L. Bernstein**, "Envisioning Health in Revolutionary Russia: The Politics of Gender in Sexual-Enlightenment Posters of the 1920s," *Russian Review* 57, no. 2 (1998): 191–217.

[51] **Elizabeth Waters.** The female form in Soviet political iconography 1917-1932.in Clements, Barbara Evans, Engel, Barbara Alpern and Worobec, Christine D.. eds. Russia's Women: Accommodation, Resistance, Transformation. (Berkeley: University of California Press, 1991), 226 https://doi.org/10.1525/9780520910195

[52] **Janet Evans,** "The Communist Party of the Soviet Union and the Women's Question: The Case of the 1936 Decree 'In Defense of Mother and Child,'" *Journal of Contemporary History* 16, no. 4 (1981): 757–775.

რა თქმა უნდა, არიან მკვლევრები, რომლებიც ამ შეხედულებას არ იზიარებენ. შეილა ფიცპატრიკისა და რობერტა მენინგამის აზრით, სოფლად სახელმწიფო მხარს უჭერდა პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავდა სოფლის ქალების პატრიარქალური დომინაციისგან განთავისუფლებას და მათ ჩართვას არასასოფლო საქმიანობაში[53]. საინტერესოა, რომ მკვლევართა შორის არსებული დებატები განხილულია ძირითადად მორალურ ჭრილში და ის განთავისუფლებასა და კონსერვატიზმს შორის მერყეობს.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკური აზროვნება "ქალთა საკითხზე" კლასიკურ მარქსიზმსა და სოციალ-დემოკრატიულ აზროვნებაზე იყო დაფუძნებული, პროპაგანდა ამ ფილოსოფიურ საფუძველს შერჩევით და შემოქმედებითად იყენებდა, სხვადასხვა ისტორიულ მომენტსა და პერიოდში სხვადასხვა ასპექტზე აქცენტირებით. ენგელსი, თავის ნაშრომში „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“, ამტკიცებდა, რომ ქალის სტატუსი დამოკიდებული იყო წარმოების მექანიზმსა და მასთან დაკავშირებულ საკუთრებით ურთიერთობებზე[54]. ენგელსი ამტკიცებდა, რომ პატრიარქატის წარმოშობა კერძო საკუთრების შექმნასთან იყო დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ ეს თეორია სადავოა, ოჯახისა და ქალის ფუნქციის ისტორიული კონტექსტის განხილვით, ენგელსმა ეჭვქვეშ დააყენა პატრიარქალური დისკურსის მიერ ქალებისთვის მინიჭებული "თანდაყოლილი" და "ბუნებრივი" ფუნქციების სისწორე.

მარქსიზმის მიხედვით, "ქალის საკითხი" მხოლოდ კაპიტალისტურ საზოგადოებაში არსებობდა და ქალთა ჩაგვრის ინსტრუმენტი კაპიტალიზმი და პატრიარქატი იყო. თუ კაპიტალიზმი, ისტორიული მატერიალიზმის კანონებით, განადგურებისთვის იყო განწირული, კაპიტალისტური კულტურის ის მახასიათებლებიც განწირული იყო, რომლებიც ქალების დაქვემდებარებას უწყობდნენ ხელს. პოსტ-კაპიტალისტურ საზოგადოებაში ქალები, პირველ რიგში, მშრომელები იქნებოდნენ[55].

---

[53] **Sheila Fitzpatrick,** "'Middle-Class Values' and Soviet Life in the 1930s," in *Soviet Society and Culture: Essays in Honor of Vera S. Dunham*, ed. Terry L. Thompson and Richard Sheldon (London: Routledge, 1988), 20–38, https://doi.org/10.4324/9780429307157-3.

[54]**Friedrich Engels**. The Origin of the Family, Private Property, and the State. (London: Penguin Group, 2010): 31.

[55]**Engels**, *The Origin of the Family, 31.*

მნიშვნელოვანია დევიდ ჰოფმანის რედაქტორობით გამოცემული წიგნი „სტალინის მმართველობა - აუცილებლად საკითხავი“, რომელიც აერთიანებს მოშე ლევინის, სტივენ კოტკინის, გეილ ლაპიდუსის, შეილა ფიცპატრიკისა და სხვა ავტორთა კვლევებს. მოშე ლევინი რევიზიონისტული სოციალური ისტორიის წარმომადგენელი, მიიჩნევს, რომ საბჭოთა საზოგადოების პრიმიტიულმა პირობებმა ხელი შეუწყო სტალინიზმის ჩამოყალიბებას[56]. ს. კოტკინის აზრით, უბრალო საბჭოთა მოქალაქე თავს აღიქვამდა უსულო საგნად. მას არ ჰქონდა სხვა არჩევანი გარდა იმისა, რომ ჩართულიყო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში სტალინიზმის პირობებში[57]. ამავე წიგნში დაიბეჭდა გეილ ლაპიდუსის კვლევა, რომლის მიხედვითაც ქალების ახლებური როლი შერწყმული იყო ძველ ღირებულებებსა და ტრადიციებთან და ერთად „ქმნიდა სტალინური ეპოქის სურნელს[58]“.

კვლევისთვის მნიშვნელოვანია შეილა ფიცპატრიკის ნაშრომი „ყოველდღიური ცხოვრება სტალინის მმართველობის დროს: ჩვეულებრივი ცხოვრება უჩვეულო დროში“. შ. ფიცპატრიკი წიგნში აანალიზებს იმ გარემო პირობებს, რაც თან ახლდა სტალინის მმართველობას. მას მიაჩნია, რომ შეკითხვა, საბჭოთა მოქალაქე ეთანხმებოდა თუ არა სამყაროს საბჭოურ აღქმას, ძალიან ჰგავს კითხვას იმის შესახებ, შუა საუკუნეების ადამიანი თუ იზიარებდა ქრისტიანულ მსოფლმხედველობას და აზრს მოკლებულია, რადგან სხვა ალტერნატივა მათ არ ჰქონდათ. მისი აზრით, საბჭოთა მსოფლმხედველობის წარმატებას განაპირობებდა ის, რომ ეს სახელმწიფო ბევრისთვის პროგრესთან იყო დაკავშირებული.[59] შეილა ფიცპატრიკის ამავე სახელწოდების წიგნის სრული ვერსია 1999 წელს გამოვიდა. წიგნში ავტორი აანალიზებს 1930-იან წლებში სახელმწიფოს პოლიტიკას ქალთა მიმართ. ის წერს: „(საბჭოთა დისკურსში) ქალები „ტანჯული სქესია“, რომელსაც აქვს გამძლეობისა და

---

[56] **Moshe Lewin,** "Social Origins. Grappling with Stalinism," in *Stalinism*, ed. D. L. Hoffmann (Oxford: Blackwell Publishing, 2003), 40, https://doi.org/10.1002/9780470758380.ch1.

[57] **Stephen Kotkin**, "The Welfare State; Magnetic Mountain: Stalinism as a Civilization," in *Stalinism*, ed. D. L. Hoffmann (Oxford: Blackwell Publishing, 2003), 108, https://doi.org/10.1002/9780470758380.ch1.

[58]**Gail Warshofsky Lapidus**, "Women in Soviet Society: Equality, Development, and Social Change," in *Stalinism*, ed. D. L. Hoffmann (Oxford: Blackwell Publishing, 2003), 218, https://doi.org/10.1002/9780470758380.ch9.

[59] **Sheila Fitzpatrick**, "Resistance and Conformity," in *Everyday Stalinism: Ordinary Life in Extraordinary Times*, in *Stalinism*, ed. D. L. Hoffmann (Oxford: Blackwell Publishing, 2003), 173, https://doi.org/10.1002/9780470758380.ch1.

თავის გაწირვის უნარი, ისინი არიან ოჯახის ბურჯები, რომლებიც ძალიან იშვიათ შემთხვევაში უარყოფენ თავიანთ პასუხისმგებლობას ქმრების თუ შვილების წინაშე. ამავდროულად, კაცები წარმოდგენილნი არიან როგორც ეგოისტები, უპასუხისმგებლოები, მოძალადეები და ქალებისა და შვილების მიმტოვებლები[60].

ყურადღებას იმსახურებს რიჩარდ პაიპსის ნაშრომი „რუსული რევოლუციის მოკლე მიმოხილვა“, რომელშიც ავტორი განიხილავს საბჭოთა პროპაგანდის წარმოშობის ისტორიას და ძირითად მახასიათებლებს. ასევე, მკვლევარი მსჯელობს საბჭოთა ხელოვნებისა და ცენზურის დამოკიდებულებაზე, რაც საბჭოთა ლიტერატურის შესწავლისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს[61]. გარდა ამისა, წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა 1936 წლის კონსტიტუციას და ქალთა შეცვლილ სტატუსს.

ბარბარა ევანს კლემენტსი კვლევაში „რევოლუციის ქალიშვილები: ქალთა ისტორია სსრკ-ში“ მსჯელობს იმ მიზეზებზე, რომლებმაც ქალთა სტატუსის ცვლილება გამოიწვია. ის მიიჩნევს, რომ საბჭოთა კავშირში ქალთა ისტორიის გაანალიზებისთვის, აუცილებელია გაითვალისწინო ისტორიული მემკვიდრეობა, როგორც ცალკეულ რესპუბლიკაში, ისე კონკრეტულად საბჭოთა რუსეთში, ასევე, საბჭოთა ხალხის მრავალფეროვნება. ამიტომ, მას არასწორად მიაჩნია ფაქტების განზოგადება[62]. წიგნი მიმოიხილავს ქალთა ისტორიას მეფის რუსეთიდან 1940-იან წლებამდე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ცალკეულ საბჭოთა ქალებს, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ქვეყნის ისტორიაში. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ქალთა სექციის - ჟენოტდელის (რუს. Женотдел) ისტორიაზე.

ყურადსაღებია ბარბარა ევანს კლემენტსის წიგნი „ბოლშევიკი ქალები“, რომელშიც ავტორი წარმატებულ ბოლშევიკ ქალებზე მსჯელობს. კვლევაში განსაკუთრებულ როლს უთმობს მეხსიერების პოლიტიკას. მას მიაჩნია, რომ კოლექტიური იდენტობა იდეოლოგიაზე მეტია. ის აერთიანებს ინტელექტუალურ კონსტრუქციებს, როგორიცაა მარქსიზმი, მაგრამ ასევე აქვს სხვა კავშირებიც. „კოლექტიური იდენტობა ნიშნავს საკუთარი თავის გამოხატვას, თვითლოიალურობას და საზოგადოებრიობის

[60] **Sheila Fitzpatrick**. Everyday Stalinism. Oxford University Press, 1999, 143.
[61] **Richard Pipes**. *A Concise History of the Russian Revolution* (New York: Vintage Books, 1995), 316–317.
[62] **Barbara Evans Clements**, *Daughters of Revolution: A History of Women in the USSR* (Arlington Heights, IL: Harlan Davidson, Inc., 1994), 15.

შეგრძნებას, ეს ყველაფერი ერთად ქმნის კოლექტიურ თვითაღქმას. კოლექტიური იდენტობა განსაკუთრებით კარგად მუშაობს მცირე ჯგუფებში, ასე იყო ქალი-ბოლშევიკების შემთხვევაში. მათ სწამდათ სოციალ-დემოკრატების კოლექტიური იდენტობის. ისინი თავს სწირავდნენ მუშათა კლასის ბრძოლაში სოციალისტური მომავლისკენ. ერთი მთავარი მახასიათებელი მათ რაც ჰქონდათ იყო სიმტკიცე, რთული ხასიათი და სიმკაცრე"[63]. ბოლშევიკი ქალების ბიოგრაფიების გაანალიზების ფონზე, ავტორი მსჯელობს მიზეზებსა და გარემოებებზე, რამაც ხელი შეუწყო „ახალი ტიპის ქალის" შექმნას.

ისტორიკოსი ფილიპ ბუბიერი წიგნში „სტალინის ეპოქა" მსჯელობს ტოტალიტარიზმის ნიშნებზე საბჭოთა სახელმწიფოში. ის განიხილავს საბჭოთა პრესის მახასიათებლებს და გავლენას საზოგადოებაზე. ის აანალიზებს საბჭოთა სახელმწიფოს დამოკიდებულებას ოჯახისა და სქესთა შორის ურთიერთობების მიმართ და მიაჩნია, რომ სახელმწიფო პოლიტიკა ორაზროვანი და ბუნდოვანი იყო[64]. წიგნში განხილულია 1918 წლის კანონი, 1936 წლის კონსტიტუცია და 1944 წლის ბრძანება, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ქალთა სტატუსის განსაზღვრაში.

ამერიკელი ეთნოგრაფი ქირსთენ გოდსი წიგნში „წითელი ვალკირიები" საინტერესოდ წარმოაჩენს საბჭოთა ქალებს, რომლებმაც შეცვალეს ტრადიციული გენდერული პარადიგმა და ე.წ."მამაკაცური როლები" იდეალურად მოირგეს. ქირსთენ გოდსს მიაჩნია, რომ თუ დასავლეთში ფემინიზმის სამი ტალღის წარმომადგენლები დამოუკიდებლად იბრძოდნენ პოლიტიკური უფლებებისთვის, აღმოსავლეთში ქალები თანხმდებოდნენ, რომ საჭირო იყო მათთვის პოლიტიკური უფლებების ქონა, მაგრამ ისინი მამაკაცებთან ერთად იბრძოდნენ თანასწორი მსოფლიოს შექმნისთვის. „ქალებმა რუსეთში 1917 წელს მიიღეს ხმის მიცემის უფლება. 1920-იანი წლებიდან ეუფლებოდნენ მამაკაცურ პროფესიებს. ხოლო 1930-იან წლებში ქალებს ჰქონდათ დოქტორის ხარისხი ფიზიკაში და სხვა საბუნებისმეტყველო დარგებში, რაც იშვიათობას წარმოადგენდა.[65]"

---

[63]**Barbara Evans Clements**, *Bolshevik Women* (Cambridge, UK: Cambridge University Press, 1997), 59.
[64] **Philip Boobbyer**, *The Stalin Era* (London and New York: Routledge, 2000), 153.
[65] **Kristen Ghodsee,** *Red Valkyries* (London and New York: Verso, 2022), 4.

სადისერტაციო ნაშრომის მიზნებისთვის, საინტერესო იყო ქირსთენ გოდსის წიგნი „ისტორიის მარცხენა მხარე“, რომელშიც ავტორი ერთი ქალის მაგალითზე, გადმოსცემს საბჭოთა ქალების ისტორიას. ქირსთენ გოდსის კვლევა ელენა ლაგადიმოვას შეეხება. ლაგადიმოვა ჯერ კიდევ 14 წლის ასაკში იბრძოდა მეორე მსოფლიო ომში, ხოლო მოგვიანებით, ბულგარელ ქალთა მოძრაობის პრეზიდენტი გახდა[66].

საბჭოთა პოლიტიკური პლაკატების შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ვიქტორია ბონელის წიგნმა „ძალაუფლების ხატები: საბჭოთა პოლიტიკური პლაკატები ლენინისა და სტალინის ეპოქაში“[67]. კვლევაში ავტორი განიხილავს სტალინის მმართველობის დროს შექმნილ პოლიტიკურ პლაკატებს, მსჯელობს საერთო მახასიათებლებზე და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქალის გამოსახულებას პლაკატებზე.

საბჭოთა პლაკატების ანალიზისას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სუზან კორბესეროს სტატია „დაფარული ფემინურობა - ქალთა სახეები საბჭოთა პერიოდის ომის პროპაგანდაში (1941-1945)”[68]. სტატიაში ავტორი განიხილავს როლურ მოდელებს, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს ქალებისთვის შეიქმნა. ამასთან, ავტორი ასკვნის, რომ ომამდე პლაკატები ქალთა საომარ მონაწილეობას გამოხატავდნენ როგორც ნაკლებად ბუნებრივ და დროებით მოვლენას, ომის დასასრულისთვის პროპაგანდამ ქალების ფემინურ რეპრეზენტაციებზე გაამახვილა ყურადღება. საბჭოთა სახელმწიფომ კი ამ დროს განაახლა პოლიტიკური კონტროლი და უფრო კონსერვატიული გენდერული პოლიტიკა გაატარა.

განსაკუთრებულია მწერალ სვეტლანა ალექსიევიჩის წიგნი „ომს არ აქვს ქალის სახე“, რომელშიც ცხადად ჩანს მეორე მსოფლიო ომგამოვლილი ქალების ტრავმები და ის ყოველდღიური გამოწვევები, რაც მათ ჰქონდათ[69].

---

[66] **Kristen Ghodsee,** *The Left Side of History* (Durham and London: Duke University Press, 2015), 1, https://doi.org/10.1215/9780822375821.

[67] **Victoria E. Bonnell**, *Iconography of Power: Soviet Political Posters under Lenin and Stalin* (Berkeley: University of California Press, 1998).

[68] **Susan Corbesero**, "Female Images in Soviet Wartime Poster Propaganda, 1941–1945," *Aspasia* 4, no. 1 (March 1, 2010): 104.

[69] **სვეტლანა ალექსევიჩი.** ომს არ აქვს ქალის სახე. თარგმნილია თამარ კოტრიკაძის მიერ. (თბილისი: ინტელექტი, 2017): 57.

საბჭოთა ქალების როლს მეორე მსოფლიო ომში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს გენდერის მკვლევარის ანა კრილოვას წიგნი „საბჭოთა ქალები ბრძოლაში“. ანა კრილოვა ახასიათებს ქალი მებრძოლების სახეს და როლს წითელ არმიაში. ის განიხილავს ქალი მეომრის ფენომენს და მას უწოდებს „ყვავილებს იარაღის გვერდით[70]“, რითაც ხაზს უსვამს ქალების ფემინურ ბუნებას, რომელიც აუცილებელი იყო საბჭოთა არმიაში. ამავე წიგნში, ავტორი ვრცლად განიხილავს საბჭოთა პროპაგანდის მექანიზმებს, რომლებიც მიზანმიმართული იყო ქალების ომში ჩართვისაკენ. ა. კრილოვა მსჯელობს საბჭოთა პრესაზე, იკონოგრაფიაზე, ლიტერატურასა და ფილმოგრაფიაზე, როგორც პროპაგანდის საშუალებებზე. მას მიაჩნია, რომ ომამდელი ოფიციალური კულტურა, ინსტიტუციური მიდგომა და გენდერული პოლიტიკა ხელს უწყობდა მრავალფეროვანი და ურთიერთსაწინააღმდეგო გენდერის დამკვიდრებას[71]. ა. კრილოვა დეტალურად განიხილავს ქალთა ახლებურ რეპრეზენტაციას საბჭოთა პრესაში და დამკვიდრებულ არქეტიპულ სახეებს - ქალი დედის, ქალი მეუღლის და მებრძოლი ქალის. კრილოვა მსჯელობს იმ სირთულეებზე, რომლებიც ფრონტზე წასულ ქალს ხვდებოდა. საბჭოთა პრესა ამ ინფორმაციას არ ბეჭდავდა, სინამდვილეში კი ქალების დიდი ნაწილი ფრონტზე განიცდიდა შევიწროებას მამაკაცთა მხრიდან[72]. ანა კრილოვას მიაჩნია, რომ საბჭოთა პრესა ურთიერთსაწინააღმდეგო მისაბაძ მოდელებს ამკვიდრებდა. გაზეთ „პრავდას“ სტატიაში საბჭოთა ქალების მოვალეობის შესახებ ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო იდეაა გაჟღერებული: ერთი, რომლის მიხედვით, ქალები უნდა დარჩნენ ფრონტის ზურგში. მეორე, რომლის მიხედვით პოლინა ოსიპენკო, საბჭოთა სამხედრო მფრინავი, გამანადგურებელ ავიაციაში - არის ქალი-ეტალონი და ის იდეურად დაპირისპირებულია ზურგის დიასახლისებთან. სტატია გაურკვევლად სრულდება და არ ჩანს, იდეალური საბჭოთა ქალი არის ის, ვინც თავს შესწირავს და დარჩება სახლის ფრონტზე თუ მებრძოლი ქალი, რომელიც ფრონტზეა და იბრძვის[73].

---

[70] **Anna Krylova,** *Soviet Women in Combat: A History of Violence on the Eastern Front* (Cambridge: Cambridge University Press, 2010), 17.
[71] **Krylova**, *Soviet Women in Combat*, 20.
[72] **Krylova**, *Soviet Women in Combat*, 97.
[73] **Krylova**, *Soviet Women in Combat*, 104.

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტისა და კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაციის მიერ, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით, გამოცემული კვლევა „ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა: მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან სკკპ მე-20 ყრილობამდე (1941-1956 წწ.)“ ძალიან საინტერესო წყაროს წარმოადგენს. აღნიშნული კვლევა ეყრდნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულ საბჭოთა პარტიულ და უშიშროების საარქივო მასალებს[74]. აღნიშნული პროექტი ფასდაუდებელია საარქივო დოკუმენტების მრავალფეროვნების თვალსაზრისით და მკითხველს აძლევს შესაძლებლობას ახლებურად შეაფასოს ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა.

სოციალისტური რეალიზმი, რომელიც „სოციალისტური ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქმედებითი მეთოდია, რომლის მიზანია სინამდვილის მართალი, ისტორიულად კონკრეტული გამოსახვა მის ევოლუციურ განვითარებაში.“ სოციალისტური რეალიზმის გააზრებისთვის ქართულ საბჭოთა ლიტერატურის კონტექსტში წარმოდგენილია ნანა გაფრინდაშვილის, მ. მირესაშვილის, ნ. წერეთლის ორნაწილად გამოცემულ კვლევაში „სოციალისტური რეალიზმის თეორიული ისტორია“, რომელიც ძვირფას წყაროს წარმოადგენს საბჭოთა ხელოვნების კვლევის მიმართულებით[75].

ჰაინრიხ ბიოლის ფონდის, სამხრეთ კავკასიის ოფისის დაფინანსებით 2020 წელს წარმატებით განხორციელდა პროექტი „მეორე მსოფლიო ომი და ქალები“. პროექტის ფარგლებში შეიქმნა სამი სტატია, რომლებიც მნიშვნელოვან კვლევას წარმოადგენს საბჭოთა ქალების შესახებ. ნინო ცქიფურიშვილის სტატია „ზურგის დიასახლისები“ აღწერს ქალთა როლს მეორე მსოფლიო ომის დროს, ქართული პირადი კორესპონდენციის საფუძველზე[76]. ანა ლოლუას სტატიაში „ქალთა რეპრეზენტაცია

---

[74] **მაკა ელბაქიძე, ირმა რატიანი,** რედ., „ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა: მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან სკკპ მე-20 ყრილობამდე (1941-1956 წწ.)“. (თბილისი: გამომცემლობა მწიგნობარი, 2019).

[75] **ნანა გაფრინდაშვილი, მარიამ მირესაშვილი, ნინო წერეთელი**. სოციალური რეალიზმის თეორიული ისტორია ქართული ლიტერატურის მაგალითზე, ტომი II (თბილისი, 2010).

[76]**ნინო ცქიფურიშვილი.** *ზურგის დიასახლისები* (ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, 2021), https://feminism-boell.org/ka/2021/01/12/zurgis-diasakhlisebi.

დიდი სამამულო ომისადმი მიძღვნილ გამოფენებში[77]“ აღწერს ე.წ. „დიდი სამამულო ომისადმი“ მიძღვნილ გამოფენებში (1960-იანი წლების მიწურულიდან, 1980-იანი წლების დასაწყისის ჩათვლით) ქალთა რეპრეზენტაციის ფორმებსა და მნიშვნელობებს. ხოლო თათია ბარბაქაძე სტატიაში „იდეოლოგია, გენდერი და პროპაგანდა[78]“ იკვლევს ქალთა გამოსახულებას მეორე მსოფლიო ომის პერიოდში.

სადისერტაციო ნაშრომის მიზნებისთვის საინტერესო იყო გენდერის მკვლევარი სალომე ცოფურაშვილი რეფერატის „ქალთა რეპრეზენტაციის მოდიფიკაცია 1920–იანი წლების ქართულ საბჭოთა მუნჯ ფილმებში - ორიენტალიზაცია, აგენტობა და კლასი“ - გაცნობა[79]. ასევე, სალომე ცოფურაშვილის სტატია „1920-იანი წლების ახალი საბჭოთა ქალი: მოლოდინები, რეალობა, რეპრეზენტაცია“ წარმოადგენს მნიშვნელოვან კვლევას „ახალი ტიპის საბჭოთა ქალის“ შესახებ. ავტორი აანალიზებს, ერთი მხრივ, საბჭოთა მმართველების მოლოდინებს „ახალი საბჭოთა ქალების“ შესახებ და, მეორე მხრივ, იმ გამოწვევებს, რომელიც ქალების წინაშე იდგა.

1930-იანი წლების საბჭოთა ქალების ისტორიის კვლევისთვის საინტერესო იყო ნინო ცქიფურიშვილისა და ლანა მუშკუდიანის სტატია „8 მარტის გაშუქება ქალთა ჟურნალებში“. სტატიაში გაანალიზებულია ჟურნალ „ჩვენ გზაში“ დაბეჭდილი სტატიები 8 მარტის შესახებ. ავტორების მიზანი იყო 8 მარტის კრიტიკული გადააზრება და იმ მითის დანგრევა, რომ საბჭოთა რეჟიმმა ქალებს რეალური თანასწორობა მოუტანა[80].

ქალთა ისტორიის კვლევისას საინტერესოა ლელა გაფრინდაშვილის სტატია „წერა, ბედისწერა და ქალების მიმოწერა“, რომელშიც ავტორი მწერალ ქალთა ხელნაწერების და მიმოწერის საფუძველზე, მსჯელობს მეოცე საუკუნის ოციან წლებში დამყარებულ წესრიგზე და თანამედროვე ფემინისტური დღის წესრიგის წინამორბედ

---

[77]**ანა ლოლუა.** *ქალთა რეპრეზენტაცია დიდი სამამულო ომისადმი მიძღვნილ გამოფენებში.* (ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, 2021), https://feminism-boell.org/ka/2021/01/26/kalta-reprezentatsia-didi-samamulo-omisadmi-midzghvnil-gamopenebshi

[78]**თათია ბარბაქაძე.** *იდეოლოგია, გენდერი და პროპაგანდა.* (ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, 2021), https://feminism-boell.org/ka/2021/01/15/ideologia-genderi-da-propaganda

[79] **სალომე ცოფურაშვილი.** „ქალთა რეპრეზენტაციის მოდიფიკაცია 1920–იანი წლების ქართულ საბჭოთა მუნჯ ფილმებში - ორიენტალიზაცია, აგენტობა და კლასი“, ავტორეფერატი(2016), გამოუქვეყნებელი.

[80] **ნინო ცქიფურიშვილი, ლანა მუშკუდიანი,** „8 მარტის გაშუქება ქალთა ჟურნალებში,“ *ხმა ქართველი ქალისა* 2 (2021): 1-24, https://doi.org/10.48614/vgw.2.2018.2501

დისკურსზე.[81] მნიშვნელოვანია ამავე ავტორის კვლევა „დედათა კითხვა და/თუ ქალთა საკითხი საქართველოში“, რომელიც დაიბეჭდა კრებულში „გენდერი კულტურა თანამედროვეობა“[82]. სტატია მიმოიხილავს მე-19 საუკუნეში დასმულ ქალთა საკითხს. მართალია, სტატია პირდაპირ კავშირში არ არის საბჭოთა ქალებთან, მაგრამ იკვლევს მე-19 საუკუნის საქართველოში არსებულ დამოკიდებულებებს ქალთა მიმართ, რაც ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებისთვის აუცილებლად მიგვაჩნია.

ელენე ჯაფარიძის, მაია ბარქაიას, ნინო ჟღენტის და მარიამ ამაშუკელის კვლევაში „გენდერული თანასწორობის შესახებ ქართველი ახალგაზრდების ცოდნის, აღქმისა და დამოკიდებულებების კვლევა“, მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ზოგადად გენდერის ცნებას, მის ისტორიას და დამოკიდებულებებს. აღნიშნულ წიგნს გენდერული პოლიტიკის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი როლი აქვს. ავტორები მიმოიხილავენ გენდერის, როგორც ცნების რამდენიმე განმარტებას. ავტორები ამ ნაშრომში მსჯელობენ საბჭოთა კავშირში დამკვიდრებულ სქესთა შორის არსებულ წესრიგზე და მიიჩნევენ, რომ ისევე როგორც მეოცე საუკუნის 40-იან წლებში, დღემდე საქართველოში არსებობს დამკვიდრებული გენდერული რწმენები ქალების და მამაკაცების შესახებ.[83]

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას, შეიქმნას ცოდნა საბჭოთა ქალების სტატუსის შესახებ 1930-იან 1940-იან წლებში. მიღებული დასკვნები და კვლევის შედეგები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც ისტორიკოსთა წრეში, ასევე, საკითხით დაინტერესებული მომიჯნავე მკვლევრების მიერ. გარდა ამისა, ნაშრომის შედეგები და დასკვნები შესაძლოა იქცეს დამატებით ლიტერატურად სასწავლო პროგრამებისთვის, როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო საფეხურზე, რომლებიც შეეხება საბჭოთა კავშირის ისტორიას.

ნაშრომის აპრობაცია. სადისერტაციო ნაშრომის გარკვეული ნაწილები გამოქვეყნებულ იქნა სტატიების და საკონფერენციო მასალების სახით. გარდა ამისა,

---

[81] **ლელა გაფრინდაშვილი.** „წერა, ბედისწერა და ქალების მიმოწერა“. *ხმა ქართველი ქალისა* 1 (2017): 1-21. https://womensvoice.tsu.ge/index.php/WOM/article/view/1794.

[82] **ლელა გაფრინდაშვილი.** „დედათა კითხვა და/თუ ქალთა საკითხი საქართველოში“. წიგნში *„გენდერი, კულტურა, თანამედროვეობა* (თბილისი 2005): 28-49.

[83] **Japaridze,** et al., *The Study of Georgian Youth's Awareness,* 12.

სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი წარმოდგენილი იქნა სადოქტორო კოლოკვიუმი N1-ის და სადოქტორო კოლოკვიუმი N2-ის სახით.

ამასთან, სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი ნაწილი შესრულდა შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების კონკურსი 2021-ის (გრანტის შიფრის NPHDF-21-1322), ვენეციის კა'ფოსკარის უნივერსიტეტში ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამის სტიპენდიის (2021 წელი) და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის ერთობლივი „Rustaveli-DAAD"- ის სასტიპენდიო პროგრამის (2024 წელი) ფარგლებში.

თავი I. სტალინი და ქალთა სტატუსი

1922 წლის აპრილში ცეკა-ის პლენუმზე სტალინი აირჩიეს ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად და ამ პოსტზე იმყოფებოდა 30 წელზე მეტხანს. ხოლო, ლენინის გარდაცვალებისა და მთავარი მოწინააღმდეგეების დამარცხების შემდგომ, მისი ძალაუფლება ერთპიროვნული გახდა. „პერმანენტული რევოლუციის“ თეორიის შემოქმედი ლეონ ტროცკი იყო[84]. საბჭოთა ბოლშევიკების ნაწილი მიიჩნევდა, რომ რუსეთში დაწყებული რევოლუცია უნდა გაგრძელებულიყო და მთელ მსოფლიოს მოსდებოდა. უნდა ითქვას, რომ ასე არ მოხდა რამაც გამოიწვია ერთგვარი დისონანსი ქვეყნის შიგნით. როგორც ისტორიკოსი ედუარდ ჰალეტ კარი მიუთითებს, სტალინმა საჭირო დროს წამოაყენა ლოზუნგი „სოციალიზმი ერთ ქვეყანაში“ და მიმართულება მისცა სახელმწიფოს არსებობას.[85] ვინაიდან, ახლადშექმნილი სახელმწიფო მარტო იწყებდა ბრძოლას კაპიტალიზმის წინააღმდეგ, მას სჭირდებოდა ეკონომიკური საფუძველი, ინდუსტრიული ბაზა, სოფლის მეურნეობის განვითარება, რათა გადაერჩინა საკუთარი თავი. სტალინმა საზოგადოებას წარუდგინა გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ათი წლის ვადაში ეკონომიკური სიდუხჭირის დაძლევას. 1928 წლის ოქტომბერში გაცხადდა პირველი ხუთი წლის გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა სწრაფ ინდუსტრიალიზაციას და კოლექტივიზაციას, რაც თავისთავად მოითხოვდა მუშახელის სწრაფ ზრდას. მარქსისტული იდეოლოგიის მიხედვით ინდუსტრიალიზაცია აუცილებელი იყო სოციალიზმის დამყარებისთვის. ბოლშევიკური პოლიტიკური კულტურის მიხედვით ეს იყო ამოსავალი, რათა დაეძლიათ "აზიური ჩამორჩენილობა", კულტურის ნაკლებობა. სტალინმა ამ იდეას დაუმატა შემდეგი: ინდუსტრიალიზაცია ეროვნული გადარჩენის საქმეა[86]. ინდუსტრიალიზაციის დროს ერი „სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლაში შევიდა“, ამ ბრძოლის მიზანი კი იყო მძიმე ინდუსტრიის ზრდა. სტალინის აზრით, ამ გზით, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოების კავშირი მტრულად განწყობილ კაპიტალისტურ ძალას შორის - უნდა გადარჩენილიყო. ფრონტი, ბრძოლა, სანგრები - ეს სიტყვები გამოიყენებოდა ინდუსტრიალიზებული ქალაქების

[84] **Leon Trotsky**. *The Permanent Revolution and Results and Prospects* (New Park Publications, 1975), 239-240.
[85] **Carr, E.H**. What is History? Penguin Books, New York, 1961, 79.
[86] **Fitzpatrick**, “War and Society in Soviet Context,” 38.

პროექტებში, როგორიცაა მაგ. მაგნიტოგორსკი[87] და ამ გზით ხდებოდა მოსახლეობის მობილიზება ინდუსტრიაში ჩაბმისთვის. რაც შეეხება, სტალინის მიერ დამკვიდრებულ „Культурность“ (რუს.) - კულტურულად ცხოვრების წესს, 1920-იან, 1930-იან და 1940-იან წლებში საბჭოთა კავშირი აქეზებდა საბჭოთა მოქალაქეებს, რათა მათ დაერეგულირებინათ თავიანთი ცხოვრების წესი და უფრო „კულტურული“ გაეხადათ. საბჭოთა კონტექსტში ის მოიცავდა ცხოვრების ახლებურ წესს - დასვენებას, პოლიტიკასა და პირად ჰიგიენას.[88] ამ მიმართულებით განსაკუთრებული როლი ჰქონდათ ცოლებს, რომელთაც „დაევალათ“ ეზრუნათ საკუთარ მეუღლეებზე ჰიგიენის, წესრიგის მიმართულებით, სამუშაო სივრცესა და სახლში „Культурность“-ის შენარჩუნების გზით[89].

საბჭოთა კავშირის ეკონომიკური დაგეგმვის კომიტეტის (რუს. Госпла́н) ეკონომისტებმა მას შემდეგ რაც ეკონომიკური განვითარების გეგმა შეადგინეს, აღმოაჩინეს, რომ ქვეყანაში საკმარისი ადამიანური რესურსი არ არსებობდა, ხოლო უმუშევრების 55%-ს ქალები შეადგენდნენ. შესაბამისად, ქალებს უნდა შეევსოთ თავისუფალი სამუშაო ადგილები. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რამაც განაპირობა ქალების როლის ცვლილება სტალინის მმართველობის პერიოდში. საბჭოთა კავშირის ეკონომიკური დაგეგმვის კომიტეტის მიერ შექმნილი „პერსპექტივები ქალ მუშებზე“ პირველი დოკუმენტია, რომელიც აქცენტს აკეთებს ქალ მუშებსა და ინდუსტრიის მუშაკებზე. დამგეგმავები ფიქრობდნენ ქალების ჩართვას სამუშაო სივრცეში პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზებით. ქალების უმუშევრობის მაჩვენებელი ძალიან მაღალი იყო, 1929 წლისთვის 55%-ს უტოლდებოდა[90]. Госпла́н-ის გეგმა არ ითვალისწინებდა სქესის მიხედვით სეგრეგაციის დაძლევას მთავარ მიზნად და თანასწორ შესაძლებლობებს. მათი აზრით, კაცები უნდა გადასულიყვნენ ფიზიკურად შედარებით რთულ სამუშაოზე და მათ ადგილს დაიკავებდნენ ქალები - მომსახურების სფერო მთლიანად ქალებს უნდა აეთვისებინათ. გეგმის მიხედვით, ქალებისთვის შესაფერისი სამსახურების გამოყოფა

[87] **Fitzpatrick**, “War and Society in Soviet Context,” 39.
[88]**Tricia Starks**, *Body Soviet: Propaganda, Hygiene, and the Revolutionary State* (University of Wisconsin Press, 2008), 28, https://doi.org/10.1080/19409419.2009.10756745
[89] **Susan E. Reid**, “All Stalin’s Women: Gender and Power in Soviet Art of the 1930s,” *Slavic Review* 57, no. 1 (1998): 152, https://doi.org/10.2307/2502056.
[90]**Б. Маршева.** Вопросы женского труда, *Охрана труда*, 1930, вып. (3): 2. Стр. 170.

უნდა მომხდარიყო. ახალი ცხოვრების დასაწყებად აუცილებლობად მიიჩნეოდა ქალის გათავისუფლება საჭმლის მომზადების, სახლის საქმის და ბავშვის აღზრდისგან. ამ მიზანს ემსახურებოდა კომუნალური სასადილოების შექმნის იდეა. საჯარო სასადილოებს უნდა ჩაენაცვლებინა კერძო სამზარეულოები, რაც წარუმატებელი აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, პროექტის შედეგად 1929 წლიდან 1935 წლამდე პერიოდში 4 მილიონამდე ქალი დასაქმდა, აქედან 1.7 მილიონი კი მრეწველობაში აღმოჩნდა ჩართული.[91] მსგავსი ცვლილებები განხორციელდა სოფლად, კოლექტივიზაციის შედეგად, 1930-იანი წლების ბოლოს სოფლის მეურნეობაში ჩაბმული პირების 60% ქალი იყო. გარდა ამისა, წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა 1939 წლისთვის 9-49 წლის ასაკის ქალებში საბჭოთა რუსეთის მასშტაბით 39%-დან 80%-მდე გაიზარდა.[92] კოლექტივებში დასაქმებული ქალები სარგებლობდნენ დეკრეტული შვებულებით და შედარებით ლმობიერი მოპყრობით ხელმძღვანელობისგან. ამის გამო, მთავრობას ნელ-ნელა მომხრეები გამოუჩნდა, განსაკუთრებით ქალებს შორის.

მარქსისტური თეორიის ამოსავალი დებულება "ყველასგან შესაძლებლობის მიხედვით, და ყველას საჭიროების მიხედვით[93]" - შორეული მომავლისთვის გადაიდო. გაუქმდა თანაბარი ხელფასების შესაძლებლობაც და დამკვიდრებული მარქსისტული მიდგომა შეიცვალა შემდეგნაირად: „ყველასგან შესაძლებლობის მიხედვით და ყველას შესრულებული საქმის მიხედვით[94]. დაწესდა გარკვეული სამსახურეობრივი შკალა, რომელიც განსაზღვრავდა მუშის ცოდნის და მუშაობის ხარისხს, მძიმე და მარტივ სამუშაო გარემოს და ხელფასსაც შესაბამისად გასცემდა. ქვეყანაში დაიწყო კოლექტივიზაციის და ინდუსტრიალიზაციის პროცესი, რომელსაც ლენინიც განიხილავდა, თუმცა ერთი განსხვავებით, მას მიაჩნდა, რომ კოლექტივიზაციის პროცესი უნდა ყოფილიყო ნებაყოფლობითი, განსხვავებით სტალინისგან. 1928 წელს, მიწების მხოლოდ 3% იყო კოლექტივიზებული. თუმცა, პარტიაში ერთსულოვნება საკითხთან დაკავშირებით არ იყო, ბუხარინი ფიქრობდა,

---

[91] **Barbara Evans Clements**, *A History of Women in Russia: From Earliest Times to the Present* (Indiana University Press, 2012), 241, http://www.jstor.org/stable/j.ctt16gz5pn. [ბოლო ვიზიტი 10/01/2025].
[92] **Clements**, *A History of Women in Russia, 246.*
[93] **Stephen J. Lee.** Stalin and the Soviet Union. (London, 1999), 55.
[94] **Lee**, *Stalin and the Soviet Union,* 55.

რომ ეს პროცესი უნდა აჰყოლოდა „გლეხის ფეხის ნაბიჯს".[95] ამ აზრს არ იზიარებდა თავად სტალინი და რაც შეიძლება სწრაფად სურდა შედეგის მიღწევა. ამაზე მეტყველებს სტალინის მოწოდება „კულაკების, როგორც კლასის ლიკვიდაციის[96]“ შესახებ.

ხუთწლიანი გეგმა მოითხოვდა ქალების აქტიურ ჩართვას სამუშაო სივრცეში. შესაბამისად, წინა პლანზე გამოდის ახალი ტიპის ქალი, რომელიც აქტიური იქნებოდა და იმუშავებდა, მაგრამ ამავე დროს მისაბაძი დედისა და მეუღლის ფუნქციებს შეითავსებდა. საბჭოთა მმართველები ქალთა ემანსიპაციაში არ მოიაზრებდნენ მხოლოდ ქალების გათავისუფლებას სახლის საქმისგან და მათთვის მუშაობის შესაძლებლობის მიცემას, „ახალი ტიპის ქალი“ ახალი იდენტობის მქონე პიროვნება უნდა ყოფილიყო, რუსული გლეხის ქალი „ბაბა“ (რუს.: Баба) უნდა გადაქცეულიყო ამხანაგად - „საბჭოთა შეგნებულ მოქალაქედ“[97]. ახალი ტიპის ქალი ახალი იდენტობის მქონე პიროვნება იქნებოდა. პირველი ხუთწლედის დროს ქალები წარმოადგენდნენ ადამიანურ რესურსს, რომელსაც იყენებდნენ სამუშაო სივრცეში. ამიტომ მათი ჩართვა ინდუსტრიალიზაციის პროცესში სულ უფრო და უფრო აქტიური ხდებოდა. ასეთმა მიდგომამ 1929-1935 წლებში შედეგი გამოიღო და თითქმის ოთხი მილიონი ქალი ჩაერთო ანაზღაურებად სამსახურში. აქედან, 1,7 მილიონი ქალი წარმოებაში[98]. დასახული გეგმის მიხედვით, 1935 წლისთვის სამრეწველო მუშების 42% ქალები უნდა ყოფილიყვნენ[99]. ეს პროცესი გარკვეულ პრობლემებთან იყო დაკავშირებული. კერძოდ, ერთი მხრივ, ქალები არ იყვნენ მზად, რომ მუშაობა დაეწყოთ, მეორე მხრივ, ქალების ჩართვას მრეწველობის მშენებლობაში წინააღმდეგობა მოჰყვა მამრობითი სქესის წარმომადგენლებისგან. მამაკაცები ზოგიერთ შემთხვევაში ქალებს კონკურენტებად აღიქვამდნენ, ხოლო იყო შემთხვევები, როდესაც ქალების დასაქმება საჭიროდ არ მიაჩნდათ. მცდელობამ, შეეცვალათ დამოკიდებულება ქალების სამსახურში ჩაბმისადმი, შედეგი ვერ გამოიღო და ქალსა და მამაკაცს შორის განსხვავებები უფრო გააღრმავა. ამის გამოვლინება კი იყო პირდაპირი კონფლიქტები სამუშაო ადგილას.

---

[95] **Attwood**, *Creating the New Soviet Woman,* 81.
[96] **Stalin**, Speech on Agrarian Policy.
[97]**Wood**, *The Baba and the Comrade,* 44.
[98] **Elena Shulman,** *Stalinism on the Frontier of Empire* (New York, 2008), 38.
[99] **Shulman**, *Stalinism on the Frontier of Empire*, 38.

1920-1930-იან წლებში ქალთა შორის დასაქმების პოპულარიზაციის მიმართულებით დიდი შრომა გასწია ქალთა სექციამ - (Женотдел რუს.) - ქალთა განყოფილება - ცენტრალური კომიტეტის სააგენტო, რომელსაც ინესა არმანდი ხელმძღვანელობდა, 1919 წელს დაარსდა. განყოფილების მიზანი იყო „აგიტაცია და პროპაგანდა“ მუშა და გლეხ ქალებს შორის[100]. 11-წლიანი არსებობის მანძილზე ქალთა განყოფილებამ დიდი როლი შეასრულა ქალთა გათავისუფლების საქმეში.[101] ელენა შულმანის აზრით, 1930 წელს ქალთა სექციის - „ჟენოტდელის“ გაუქმების შემდეგ, ქალებმა დაკარგეს სივრცე, სადაც თავიანთ გულისტკივილს გამოხატავდნენ.[102] 1930-იან წლებში კიდევ ერთი ორგანიზაცია ჩამოყალიბდა სახელწოდებით „ცოლების მოძრაობა“ (რუს.:Движение жен), რომელიც არ იყო პარტიული და უფრო მეტად სამოქალაქო ორგანიზაციის ფუნქციებს ითავსებდა. ამ ორგანიზაციის წევრებს მოიხსენიებდნენ ქალი აქტივისტების („Общественница“ რუს.) სახელით[103]. სხვა ქალთა ორგანიზაცია არ გვხვდება ე.წ. „დიდი სამამულო ომის“ დაწყებამდე, მანამ სანამ 1941 წელს არ ჩამოყალიბდა საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იქცა საბჭოთა ქალების კომიტეტად[104].

მას შემდეგ, რაც ქალი გახდა სამუშაო ძალა, გაიზარდა განქორწინების და აბორტის მაჩვენებლები, საგრძნობლად დაეცა შობადობის დონე. ასევე, აშკარა გახდა უწესრიგობა სკოლაში, გაიზარდა დანაშაული მოზარდებში.[105] ამ მიზეზების გამო, სახელმწიფომ გადაწყვიტა მკაცრად მისდგომოდა ამ საკითხს, დაიწყო მუშაობა „თავისუფალი სიყვარულის“ აკრძალვაზე. ბოლშევიკებს შორის ისედაც არ იყო ერთსულოვნება ამ თემაზე. ხოლო 1936 წლის დადგენილებამ აბორტის გაუქმების შესახებ არამხოლოდ გააძვირა განქორწინების პროცესი, არამედ, აბორტი კვლავ უკანონობად აქცია. ამასთანავე, წასახალისებლად, სახელმწიფომ დაიწყო სხვადასხვა ღონისძიების გატარება. მათ შორის, დედების დაჯილდოება, რომლებიც

---

[100] **Clements**, *Daughters of Revolution*, 43.

[101] ქალთა განყოფილებას არსებობის მანძილზე ჰყავდა 5 ხელმძღვანელი: ინესა არმანდი« ალექსანდა კოლონტაი, სოფია სმიდოვიჩი, კლავდია ნიკოლაევნა და ანა არტიუხინა.

[102] **Shulman**, *Stalinism on the Frontier of Empire*, 39.

[103]**Mary Buckley,** “The Soviet ‘Wife-Activist’ Down on the Farm,” *Social History* 26, no. 3 (2001): 282–97, https://doi.org/10.1080/03071020110070873.

[104] **Buckley**, “The Soviet ‘Wife-Activist,’”290.

[105] **Shulman**, *Stalinism on the Frontier of Empire*, 40.

მრავალშვილიანები იყვნენ და დიდ ოჯახებს უძღვებოდნენ.[106] 1936 წლის დადგენილება განქორწინების გართულების გზით, მიზნად ისახავდა მამების პასუხისმგებლობის ზრდას. ამაზე მეტყველებს დადგენილების მერვე მუხლი, რომლის მიხედვით: „ოჯახური და ოჯახური პასუხისმგებლობების მიმართ არასერიოზული დამოკიდებულების წინააღმდეგ საბრძოლველად, განქორწინებისას აუცილებელია ორივე განქორწინებული მეუღლის რეესტრის ოფისში გამოძახება... გაზრდილ იქნას განქორწინების სარეგისტრაციო საფასური: პირველი განქორწინება - 50 მანეთი, მეორე - 150 მანეთი, მესამე და შემდგომი - 300 მანეთი... ალიმენტის დაკისრების შემთხვევაში მამას ჩამოეჭრას ხელფასის ¼ (ერთი ბავშვის შესანახად) ან ხელფასის ⅓ (ორი შვილის შესანახად) ან ხელფასის ½ (სამი ან მეტი შვილის შესანახად)“[107]. ამ პოლიტიკას ხშირად უწოდებენ „ორმშობლიან პრონატალიზმს“ (ინგლ. two-parent pronatalism)[108]“ - მოსახლეობის გამრავლების რეგულირების პოლიტიკას ორივე მშობლის ჩართულობის გზით. თუ, ერთი მხრივ, კანონი მიზნად ისახავდა დახმარებოდა მარტოხელა დედებს და მამების პასუხისმგებლობა გაეზარდა, მეორე მხრივ, აბორტის აკრძალვა შესაძლებელია შეფასდეს, როგორც სტალინის მიერ ქალთა თავისუფლების შეზღუდვის მცდელობად[109]. დასავლელი მეცნიერების ნაწილი მიიჩნევს, რომ „ქალთა სექციის“ გაუქმება იქცა ქალთა ემანსიპაციის დასასრულის დასაწყისად. უფრო მეტიც, ბოლშევიკებს ქალების გათავისუფლება კი არ სურდათ პატრიარქატისაგან, არამედ მათ უნდოდათ ოჯახის სუბორდინაციისგან ქალის გამოხსნა და ამ გზით ორივე სქესის გამოყენება კომუნიზმის სასარგებლოდ[110]. ხოლო სტალინი აცხადებდა, რომ „ქალთა საკითხი“ წარმატებით გადაიჭრა და სქესთა თანასწორობა მიღწეულ იქნა[111]. ამის გამო „ჟენოტდელის“ არსებობის საჭიროებას ვეღარ ხედავდა.

აღსანიშნავია, რომ თუ ბოლშევიკების ნაწილი, მათ შორის ინესა არმანდი, ალექსანდრა კოლონტაი და სხვ. მსჯელობდნენ ოჯახის ინსტიტუტის

---

[106] **Shulman**, *Stalinism on the Frontier of Empire*, 40.

[107] Постановление Центрального Исполнительного Комитета и Совета Народных Комиссаров. О запрещении абортов, 27 июня 1936 г. № 65/1134..., გვ. 308-309.

[108] **M. Nakachi,** *Replacing the Dead: The Politics of Reproduction in the Postwar Soviet Union* (Oxford University Press: New York, 2021), 10.

[109] **K. Petrone,** “Soviet Women’s Voices in the Stalin Era,” *Journal of Women’s History* 16, no. 2 (2004): 198.

[110] **Petrone**, “Soviet Women’s Voices,” 198.

[111] **ციტირებულია ნაშრომიდან: Buckley**, “The Soviet ‘Wife-Activist,’” 291.

თანდათანობითი გაქრობის შესახებ, ეს მიდგომა სრულიად შეიცვალა სტალინის მმართველობის დროს. სტალინმა, პირიქით, დაიწყო ოჯახის ინსტიტუტის გაძლიერება, როგორც სახელმწიფოს პოლიტიკური და იდეოლოგიური საყრდენის. სტალინის იზიარებდა ტრადიციული სოციალური პოლიტიკის ნორმებს და კონსერვატორულად უყურებდა ამ საკითხს. ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისას კი, შობადობის მაჩვენებლის დაცემის გამო, მან უპირატესობა ტრადიციულ ოჯახებს მიანიჭა და არა ექსპერიმენტებს. ამასთან დაკავშირებით, სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორი გ. ლაპიდუსი აღნიშნავდა: „საბჭოთა კავშირში დაწინაურდნენ ტრადიციული ოჯახები „როგორც სტაბილურობის კუნძულნი საზოგადოებრივი ქაოსის ზღვაში“.[112] სტალინის რეჟიმი თანდათან კარგავდა ლენინის მმართველობის დროს დამკვიდრებულ ნიშნებს, თანდათან ინტერნაციონალიზმი ნაციონალიზმად იქცა, ხოლო ოჯახის რადიკალური გარდაქმნის იდეა დასამარდა, საზოგადოებაში ქალის ახალი როლის განხილვა დასრულდა და ხელახლა დადგა „ოჯახური ღირებულებების“ წინა პლანზე წამოწევის საკითხი[113]. მაშინ, როცა მარქსისტები, მათ შორის მარქსი და აუგუსტ ბებელი, ოჯახს მიიჩნევდნენ ბურჟუაზიულ ინსტიტუტად, რომელიც ექსპლუატაციას უწევდა როგორც პროლეტარიატის კლასს, ისე ქალებს, როგორც ცალკეულ ინდივიდებს. სისტემის შეცვლისთვის გამოიყენეს შემდეგი მეთოდები: ოჯახის ინსტიტუტის მოძველებულ ვარიანტად გამოცხადება, ქალის ნაწილობრივი გათავისუფლება: გაყრის და აბორტის უფლების და შრომის ბაზარზე თანაბარი უფლების მინიჭებით.[114] თუმცა, ხსენებულმა რეფორმებმა საზოგადოებაში ფეხი ვერ მოიკიდა. მოგვიანებით სტალინმა ტრადიციონალიზმისკენ შემობრუნება სცადა. როგორც ვახსენეთ, 1929 წელს სტალინმა გააუქმა ქალთა დეპარტამენტი „ჟენოტდელი“ და გამოაცხადა, რომ ქალთა საკითხში შედეგი მიღწეულია.[115]

---

[112] **Lapidus**, *Women in Soviet Society*, 97.

[113] **Ronald Grigor Suny,** "Stalin and his Stalinism: Power and Authority in the Soviet Union, 1930–1953," in *Stalinism*, ed. D.L. Hoffmann (Blackwell Publishing, 2003), 19, https://doi.org/10.1002/9780470758380.ch1.

[114] **Stephen J. Lee.** Stalin and the Soviet Union. London, 1999, გვ. 55.

[115] **Buckley**, *Women and Ideology in the Soviet Union,* 79

რუსი ისტორიკოსი ოლგა ხასბულატოვა საბჭოთა პოლიტიკას ქალებისადმი ჰყოფს სამ ნაწილად: 1917-1930, 1930-1960, 1960-1990[116]. პირველ პერიოდში, მისი აზრით, საბჭოთა მთავრობისთვის სქესთა თანასწორობა პრიორიტეტი იყო, საბჭოთა კანონმდებლობა ითვალისწინებდა ქალებისთვის აბორტის უფლებას, განქორწინება ლეგალიზებული იყო და სხვ. მეორე პერიოდში სახელმწიფო დიდ ყურადღებას უთმობდა თანაბარ პოლიტიკურ უფლებებს. ამასთან, 1930-1960-იან წლებში სახელმწიფოს გამოწვევად იქცა სწრაფი ინდუსტრიალიზაცია და ომის პერიოდის მუშახელის ნაკლებობა. შედეგად, 1935 წელს განქორწინების პროცესი გართულდა და გაძვირდა, ხოლო, 1936 წელს აბორტი აიკრძალა. თუმცა, ოლგა ხასბულატოვას აზრით, მეორე პერიოდში (1930-1960 წლები) ქალები წარმოებაში დარჩნენ მეორეულ პოზიციაზე, ხოლო ქალის როლი საოჯახო საქმიანობაში თითქმის არ შეცვლილა, ქალები დარჩნენ ორმაგი დატვირთვის ქვეშ: საოჯახო საქმისა და სამსახურის[117]. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, კიდევ ერთხელ გადაისინჯა აღნიშნული პოლიტიკა. 1955 წელს აბორტი ლეგალიზებულად გამოცხადდა. თუმცა, უცნაური ის იყო, რომ ამის შემდეგ სახელმწიფოში დაიწყო აქტიური პროპაგანდა აბორტის წინააღმდეგ, რასაც თან ერთვოდა კონტრაცეპტივების მოხმარების წახალისებისა და პრონატალიზმის პოლიტიკა[118]. თუმცა, ქალთა ორმაგი დატვირთვა არ შეცვლილა.

1930-იან წლებში ქალთა კატეგორიის რეკოდირება მოხდა საბჭოთა საჯარო დისკურსში. თუ მანამდე ქალი პოლიტიკურად არააქტიური იყო, 1930-იანი წლებიდან ქალები იქცნენ საბჭოთა სისტემის მოდერნულობის ნაწილად. ინდუსტრიალიზაციის გენდერული განზომილება გულისხმობდა საბჭოთა ქალის ახლებური იმიჯის შექმნას, - თავისუფალი, „ახალი ტიპის“ ქალი, რომელიც პროგრესის სიმბოლო იყო. მარქსს და ენგელსს მიაჩნდათ, რომ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება მსოფლიოში გახდებოდა გენდერული თანასწორობის საწინდარი, ხოლო ქალთა ემანსიპაცია საჯარო სფეროში გამოიწვევდა მათ

[116]**Ольга А. Хасбулатова.**, *Обзор опыта советской государственной политики в отношениях женщин* (Санкт-Петербург: Алетейя, 2003), 397-422, http://www.owl.ru/win/books/genderpolicy/khasbulatova1.htm [ბოლო ვიზიტი 19.02.2025].

[117] **Хасбулатова**, *Обзор опыта советской государственной политики, 401.*

[118]**Amy E. Randall**. „Abortion Will Deprive You of Happiness!': Soviet Reproductive Politics in the Post-Stalin Era," *Journal of Women's History* 23, no. 3 (2011): 14, https://doi.org/10.1353/jowh.2011.0027.

გათავისუფლებას დაქვემდებარებული მდგომარეობიდან[119]. სტალინის ინდუსტრიულმა რევოლუციამ ქალები საჯარო სივრცეში ჩართო. განათლება, განსაკუთრებით ტექნიკური მიმართულებები, გახდა ქალების შემდგომი წინსვლის მიზეზი.[120] შედეგად, შეიქმნა ერთგვარი სტალინისეული საბჭოთა ქალის მოდელი, რომელიც აერთიანებდა რევოლუციამდელ საბჭოთა ღირებულებებს ოჯახისა და ქორწინების თაობაზე, და მეორე მხრივ, რევოლუციის შემდგომ მიდგომას ინდუსტრიალიზაციის, განათლების და პატრიოტიზმის შესახებ[121].

ამდენად, 1917 წლიდან 1936 წლამდე პერიოდში სოციალისტურმა სახელმწიფომ ოჯახის ინსტიტუტის შესახებ დამოკიდებულებაში მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. დაწყებული ქალის თავისუფლებით და ოჯახის ინსტიტუტის გაუქმების თეორიით დასრულებული, პოლიტიკა მიზნად ისახავდა ოჯახის გაძლიერებას. 1936 წლის 5 დეკემბერს მიღებულმა ახალმა კონსტიტუციამ სცნო ქალის თანასწორი უფლებები სამსახურებრივი, კულტურული თუ პოლიტიკური თვალსაზრისით[122]. კონსტიტუციის მეათე თავის 122-ე მუხლის მიხედვით, ქალებს შეეძლოთ ანაზღაურებადი სამსახური შეეთავსებინათ დედობასთან, ესარგებლათ ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულებით, ასევე, დედათა სახლების, საბავშვო ბაღების საშუალებით, აღეზარდათ ბავშვები.[123] საბჭოთა პრესა აფასებდა რა 1936 წლის კონსტიტუციას, წერდა, რომ: „მან უზრუნველყო მამაკაცის უფლებებთან ქალთა უფლებების გათანაბრება პოლიტიკური სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში[124]“. ისტორიკოსი როჯერ მარვიკი 1936 წლის კონსტიტუციის შეფასებისას აცხადებდა რომ სინამდვილეში ქალების დატვირთვა გასამმაგდა და აერთიანებდა სამ კომპონენტს: დედობას, სამსახურს და სამხედრო

---

[119] **K.B. Usha**, "Political Empowerment of Women in Soviet Union and Russia: Ideology and Implementation," *International Studies* 42, no. 2 (2005): 143, https://doi.org/10.1177/002088170404200203.

[120] **Attwood**, *Creating the New Soviet Woman,* 52.

[121] **Roger D. Markwick and Euridice Charon Cardona**, *Soviet Women on the Frontline in the Second World War* (New York: Palgrave Macmillan, 2012), 7.

[122] **Конституция** (основной закон) Союза Советских Социалистических Республик : [Принята 5 дек. 1936 г.]. - Ленинград: Партиздат ЦК ВКП(б), 1936. გვ. 27 https://www.prlib.ru/item/420918 [ბოლო ვიზიტი 18.02.2025].

[123]**Конституция** (основной закон), 27.

[124] „სტალინური კონსტიტუციის დროშა მიუძღვის წინ საბჭოთა მებრძოლებს“, *გაზ. ლიტერატურული საქართველო* 43(254) (1941 წლის 24 ოქტომბერი): 1.

წვრთნას[125]. ამერიკელი ისტორიკოსი გრეტა ბუჩერი კი მიიჩნევს, რომ საბჭოთა სახელმწიფო ქალებისგან მოითხოვდა ყოფილიყვნენ მზრუნველი დედები, შრომისმოყვარე მუშები და უბადლო დიასახლისები[126].

მიუხედავად აბორტის ლეგალიზებისა, 1920-იანი წლების ბოლოს, აბორტების რიცხვმა გადააჭარბა შობადობის მაჩვენებელს ქალაქის ტიპის ზოგიერთ დასახლებაში.[127] თუ 1920-იანი წლების ბოლოს ჟურნალებიდან „ასწავლიდნენ" ქალებს სხვადასხვა გზას არასასურველი ფეხმძიმობის თავიდან ასაცილებლად, 1930-იანი წლების შუაში, სახელმწიფო აღარ ცდილობდა დახმარებოდა ქალებს ამ საქმეში და პირიქით, არწმუნებდა მათ, რომ რაც მეტი შვილი ჰყავდათ, უკეთესი იყო.

1936 წლის 26 მაისს გაზეთ „პრავდაში" დაბეჭდილი კანონპროექტი განხილვის საგნად იქა. მოგვიანებით კი 1936 წლის 27 ივნისს, გამოვიდა დადგენილება „აბორტის აკრძალვის, მშობიარეთათვის მატერიალური დახმარების გაუმჯობესების, მრავალშვილიანი მშობლების სახელმწიფო მხარდაჭერის დაწესების, სამშობიარო სახლების, საბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების ქსელის გაფართოების, ალიმენტის გადაუხდელობისთვის სისხლის სამართლებრივი სასჯელის გამკაცრებისა და განქორწინების კანონმდებლობაში გარკვეული ცვლილებების შესახებ"[128], რომელმაც აბორტი არალეგალურად გამოაცხადა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დედის მდგომარეობა იყო საფრთხეში. აბორტის აკრძალვის ერთ-ერთი მიზეზი შობადობის შემცირება გახლდათ. კანონპროექტის გამოცემის შემდეგ იწერებოდა, რომ ამის მიზეზი ქალის ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის დაცვა იყო[129]. გაზეთები იუწყებოდნენ, რომ აბორტი იყო ძალიან საშიში, მაშინაც კი, თუ მას პროფესიონალი

---

[125] **Roger D. Markwick**, "The Motherland Calls: Soviet Women in the Great Patriotic War: 1941-1945," in *Women and Gender in Twentieth Century Russia*, ed. Melanie Ilic (Palgrave Macmillan, 2008), 219.

[126] **G. Bucher,** "Struggling to Survive: Soviet Women in the Postwar Years," *The Journal of Women History* 12, no. 1 (2000): 144, https://doi.org/10.1353/jowh.2000.0018.

[127] **Attwood**, *Creating the New Soviet Woman,* 115. **Goldman**, *Women, the State and Revolution,* 289–90.

[128]Постановление Центрального Исполнительного Комитета и Совета Народных Комиссаров. О запрещении абортов, увеличении материальной помощи роженицам..,. 27 июня 1936 г. № 65/1134 // Опубликовано в № 149 Известий ЦИК Союза ССР и ВЦИК от 28 июня 1936 г. Постановление Центрального Исполнительного Комитета [ბოლო ვიზიტი 19.02.2025].

[129] **ივ. თიკანაძე, გ. ცაგარელი, ა. ედიბერიძე.** „სპეციალისტები კანონპროექტის შესახებ". *გაზეთი კომუნისტი* N136 (4595) (1936 წლის 14 ივნისი): 3.

ექიმი ასრულებდა[130]. აღსანიშნავია, რომ 1920 წელს, როდესაც აბორტის დაკანონება მოხდა, ამის მიზეზად კვლავ ქალის ჯანმრთელობა სახელდებოდა (აბორტს ძირითადად ბებია-ქალები აკეთებდნენ, რომელთაც სათანადო ცოდნა და გამოცდილება არ ჰქონდათ, შედეგად დედები ხშირად იღუპებოდნენ ან აბორტის შემდგომი გართულებებით იტანჯებოდნენ).

სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილება აისახა პროპაგანდაზე: ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა სტატიები, რომლის მიხედვით თითქოს არც ერთ საბჭოთა ქალს თავისი სურვილით არ უნდოდა აბორტის გაკეთება, რადგან „ყველა ჯანმრთელ ქალს უნდა შვილი“[131], ხოლო „აბორტი ძველთაგანვე ცნობილი ბოროტებაა[132]“. გაზეთი „კომუნისტი“ მოუწოდებდა მკითხველს რომ „დროა ფარულად აბორტების გაკეთებას თავი დავანებოთ, გავაცნოთ მშრომელ ქალთა ფართო მასას აბორტის მავნებლობა“.[133] პროპაგანდის თანახმად, კაცები აშინებდნენ და აიძულებდნენ აბორტის გაკეთებას ქალებს, რადგან მათ (კაცებს) უნდოდათ სიამოვნება მიეღოთ უპასუხისმგებლო სექსუალური კავშირისგან და ეშინოდათ მოსალოდნელი მშობლის სტატუსის[134]. ამასთან, პროპაგანდა პასუხისმგებლობას აკისრებდა ექიმებს და ბებიაქალებს: “დროა აილაგმონ აბორტმახერები, რომელნიც თავისი პირადი ინტერესებისათვის არ ინდომებ მშრომელ ქალთა ჯანმრთელობას[135]“. ამ კანონით, სახელმწიფო აცხადებდა, რომ ეს იყო სასჯელი ამგვარად მოაზროვნე მამაკაცებისთვის. ეს ეხებოდა არა მარტო დაუქორწინებელ კაცებს, არამედ ქმრებსაც: „აბორტი არის პატარა 5-7 წუთიანი ქმედება, და შედეგად, აღარ მოგიწევს 9 თვის განმავლობაში სხეული და გარეგნობა დაიმახინჯო[136]" - ჟურნალისტების აზრით, ქმრები ამ სიტყვებით აძალებდნენ მეუღლეებს აბორტის გაკეთებას. ახალი კანონის მიხედვით, ექიმი, რომელიც არალეგალურად ჩაატარებდა აბორტს, დაისჯებოდა 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთით. არასანიტარულ პირობებში ჩატარების შემთხვევაში კი მინიმუმ 3 წლამდე

---

[130] **იგ. იმედაძე. „**კოლმეურნეები იხილავენ კანონპროექტს“, *გაზეთი კომუნისტი* N130 (4589) (1936 წლის 06 ივნისი): 3.

[131] „**Материнство –** это особенное чувство, оно прекрасно!“, *Работница*, №17 (1936): 5.

[132] **ივ. თიკანაძე.** „აბორტის მავნებლობა.“, *გაზეთი კომუნისტი* N20 (4479) (1936 წლის 26 იანვარი): 3.

[133] **ალ. ალექსიძე.** „ვებრძოლოთ ფარულ აბორტს“. *გაზეთი კომუნისტი* N93 (4552) (1936 წლის 22 აპრილი):3.

[134] „**Материнство** – это особенное чувство, оно прекрасно!“, *Работница*, №17 (1936): 5.

[135] **გ. ღამბარაშვილი.** „აბორტის მნიშვნელობა“, *გაზეთი კომუნისტი* N90 (4549) (1936 წლის 18 აპრილი):3.

[136] „**Материнство** – это особенное чувство, оно прекрасно!“, *Работница*, №17 (1936): 5.

თავისუფლების აღკვეთით. პირი, რომელიც ოპერაციას ატარებდა და სამედიცინო განათლება არ ჰქონდა, მას სულ მცირე ერთ წლამდე პატიმრობა მოელოდა. თავად ქალი, როგორც მსხვერპლი, მსუბუქად უნდა დასჯილიყო. პირველი მცდელობის შემდეგ დასჯის ფორმა საზოგადოებრივი საქმიანობის აღსრულება იყო, განმეორების შემთხვევაში, ქალს დაეკისრებოდა ჯარიმა 300 რუბლის ოდენობით. ხოლო ქმარს ორ წლამდე ციხე ემუქრებოდა. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ აბორტის შემთხვევაში, მამაკაცს უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა, ვიდრე დედას. ვფიქრობთ, ამას ორი მიზეზი აქვს: ერთი, ქალებს არ უნდა დაჰკარგვოდათ სურვილი გამხდარიყვნენ დედები, ხოლო მეორე, მამაკაცებს უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ ოჯახში, ვიდრე ქალებს, ამიტომ, ამ გადაწყვეტილების მთელი სიმძიმე მათ კისერზე იყო. ამგვარად, გენდერული დისბალანსი, მიუხედავად ქალთა წინა პლანზე წამოწევისა, კვლავ არსებობდა.

1930-იან წლებში კომუნისტურმა რეჟიმმა, 1920-იანი წლებისგან განსხვავებით, ქალთა მიმართ პოლიტიკა შეცვალა, ყურადღებას ამახვილებდა ქალის ბუნებრივ მოვალეობაზე - დედობასა და დიასახლისობაზე. რეჟიმს სურდა, რომ ქალებს მთელი ენერგია ოჯახისა და ბავშვებისკენ გადაეტანათ. ელენე შულმანი ამ პროცესს "დიდ უკანდახევას" უწოდებს. ამის მაგალითად ასახელებს 1936 წ. აბორტის კრიმინალიზაციას.[137] ამავე აზრს იზიარებს რ. რუთშილდი და მიაჩნია, რომ აბორტის აკრძალვა, უარყოფითი მოვლენა იყო, რომელმაც ქალთა ემანსიპაციის პროცესი შეაჩერა[138]. თუმცა, ამავე დროს აბორტის აკრძალვა მოსალოდნელიც იყო, რადგან ბოლშევიკები ხელისუფლებაში მოსვლისას აბორტის დაშვებას დროებით მოვლენად აღიქვამდნენ. თუმცა, შეცვლილი კანონის შედეგად, 1936 წლის შემდეგ შობადობა ჯერ

გაიზარდა, მაგრამ 1938 წელს ისევ შემცირდა,[139] ქალები ახლა უკვე სხვა მეთოდებით ცდილობდნენ არასასურველი ფეხმძიმობის თავიდან აცილებას.

საბჭოთა ქალების საკითხის ცნობილი მკვლევარი, ვენდი გოლდმანი მიიჩნევდა, რომ 1930-იან წლებში წარმოდგენილი ოჯახის მოდელი შეუთავსებელია ბოლშევიკების

---

[137] **Shulman**, *Stalinism on the Frontier of Empire*, 13.

[138] **R. Ruthchild,** "Sisterhood and Socialism: The Soviet Feminist Movement," *A Journal of Women Studies* 7, no. 2 (1983): 5, https://doi.org/10.2307/3346279.

[139]**Attwood**, *Creating the New Soviet Woman,* 124.

მიზნებთან, მაგრამ რიჩარდ სტაიტსი, არანაკლებ ცნობილი მკვლევარი ამ კუთხით, არ ეთანხმებოდა ამ მოსაზრებას და საპირისპიროს ამტკიცებდა - 1930-იან წლებში წარმოდგენილი ოჯახის მოდელი შესაბამისობაში იყო ბოლშევიკების ღირებულებებთან.[140] ზოგიერთი კი მიიჩნევს, რომ ბოლშევიკებს არასდროს სურდათ ქალის გათავისუფლება ოჯახური მოვალეობისგან.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ჯერ კიდევ მიმდინარეობს დავა, ორ ძირითად მოსაზრებას შორის: ბოლშევიკებს ნამდვილად სურდათ ქალების გათავისუფლება და მათი დამოუკიდებელ პირებად ჩამოყალიბება, თუ ისინი უბრალოდ ათავისუფლებდნენ ქალს საშინაო სფეროდან, რათა მათი მუშაობა გამოეყენებინათ სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობისთვის. ვენდი გოლდმანი მიიჩნევს, რომ არსებობდა სოციალისტურ-ლიბერტარიანული ტრადიცია ბოლშევიკებს შორის, მაგრამ საბოლოოდ ის 1930-იან წლებში უნაყოფოდ დასრულდა, რადგან ინდუსტრიალიზაცია გახდა მთავარი არბიტრი სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრისას.[141] ამდენად, ინდუსტრიალიზაციამ თითქმის ყველა სფეროზე მოახდინა გავლენა. ისტორიკოსების ნაწილი კითხვას სხვანაირად სვამს და აცხადებს, რომ მთავარი ის კი არ არის, გაათავისუფლეს თუ არა კომუნისტებმა ქალი, არამედ მსჯელობა მიმდინარეობს ქმედების მიზნის გამოსარკვევად. ისტორიკოსების ეს ნაწილი ფიქრობს, რომ მიზანი ყოველთვის იყო საშინაო სფეროს გარდაქმნა, და ქალის საოჯახო როლის სახელმწიფოსთვის დამორჩილება.[142] ამდენად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მართალია, ქალის როლი შეიცვალა, მან მიიღო არაერთი უფლება და დაეკისრა გარკვეული ვალდებულებები, მაგრამ ამ ცვლილებების უკან სახელმწიფოს პოლიტიკა მოიაზრებდა ქალთა ფენებში მომხრეების გაჩენის შესაძლებლობას და საოჯახო ცხოვრებაში ცვლილებების შეტანის გაადვილებულ პროცესს.

"ახალი საბჭოთა ქალი" იყო საბჭოთა კავშირის მიერ გენდერული ბალანსის დამყარების მცდელობა, რომელიც „განვითარებული" დასავლური ევროპის

---

[140]**Stites,** *The Women's Liberation Movement in Russia* 69.

[141] **Shulman**, *Stalinism on the Frontier of Empire*, 31.

[142] **Michelle Fuqua,** *The Politics of the Domestic Sphere: The Zhenotdely, Women's Liberation, and the Search for a Novyi Byt in Early Soviet Russia* (Seattle: Henry M. Jackson School of International Studies, University of Washington, 1996).

ხედვისაგან ბევრად განსხვავდებოდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გენდერული ბალანსის აღქმა იმ პერიოდის საბჭოთა კავშირსა და თანამედროვე ფემინიზმს შორის საკმაოდ დიდია. ფემინიზმის ზოგადი განმარტებისთვის, საინტერესოა თამარ ცხადაძისეული ვერსია: ფემინიზმი სამი სხვადასხვა მოვლენის აღიარებას ნიშნავს: პირველი, სოციალური წყობა, რომელშიც ქალთა შესაძლებლობები შეზღუდულია, მეორე - მამაკაცებს აქვთ სოციალური უპირატესობები, მაგრამ ეს არ არის განპირობებული ბიოლოგიური ან თეოლოგიური მოცემულობით, მესამე - საზოგადოება საჭიროებს ამგვარი სისტემის ცვლილებას, რათა სქესთა შორის თანასწორობა დამყარდეს[143]. 1930-იან წლებში დამკვიდრებული „ახალი საბჭოთა ქალი“ უნდა ყოფილიყო დაუღალავი მუშაკი და „განმანათლებელი“ მეუღლე, რომელიც სტანდარტს ამკვიდრებდა ოჯახში. ის წმინდანისა და ბურჟუა ქალის არქეტიპს ჰგავდა პასუხისმგებლობის უნარით ოჯახისა და საზოგადოების წინაშე[144]. ის იყო ქალის თავგანწირვის განახლებული იდეა. ქალი წირავდა საკუთარ თავს უკეთესი მსოფლიოს ასაშენებლად და თან ამ გზით, მადლობას უხდიდა სახელმწიფოს პატრიარქატის მარწუხებისგან გათავისუფლების გამო. მოგვიანებით დამკვიდრებული ქალის თავისუფლების ფემინისტური მოდელისგან განსხვავებით, ბოლშევიკების რწმენით, ახალი საბჭოთა ქალის თავისუფლება თავისთავად საკმარისი არ იყო და მის მიზანს წარმოადგენდა ახალი ტიპის საზოგადოების მშენებლობა[145].

საბჭოთა კავშირში ქალის ერთ-ერთ ძირითად მოვალეობად დედობა განიხილებოდა. დედობა საზოგადოებრივ ვალდებულებად იქცა. ამიტომ, ყველა ქალი უნდა მიჰყოლოდა ამ ტენდენციას. სოციალისტური თეორიის მიხედვით, დედობა და ბავშვზე ზრუნვა - არა ინდივიდუალური, არამედ საზოგადოებრივი საქმეა. თეორიტიკოსი ა. კოლონტაი აცხადებდა, რომ დედობა უნდა გახდეს "წმინდა", არამხოლოდ სიტყვიერად, არამედ პრაქტიკულადაც. ნადეჟდა კრუპსკაიას, ლენინის მეუღლეს, კი მიაჩნდა, რომ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს დედაზე როგორც

---

[143] **თამარ ცხადაძე,** *ანტიფემინიზმი: უმეცრება, უპასუხისმგებლობა თუ ბრძოლა პრივილეგიების შენარჩუნებისთვის? ვის ეშინია ფემინიზმის საქართველოში* (თბილისი: ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი, 2013), 12.

[144] **Clements**, *A History of Women in Russia, 253.*

[145] **Clements**, *A History of Women in Russia*, 253.

ფეხმძიმობის დროს, ასევე, შემდგომშიც უნდა დაეხმაროს ბავშვების აღზრდაში. ბაღების შექმნის აუცილებლობაც ბავშვების სწორი განვითარებისთვის, უკვე 1918 წლიდან სახელმწიფოს სამოქმედო გეგმის ნაწილად იქცა. დედის კულტის გაძლიერების მიზეზებს შორის უნდა გამოვყოთ სამი მათგანი: 1. რეპროდუქცია სახელმწიფო მიზანი გახდა, რის გამოც ქალები უნდა დაჯილდოებულიყვნენ. 2. სახელმწიფოს აზრით, ქალების სხეული იყო ჭურჭელი, რომლითაც დაინტერესებული იყო სახელმწიფო. 3. ბავშვები უნდა აღზრდილიყვნენ ნამდვილ კომუნისტებად. შესაბამისად, საბჭოთა სახელმწიფოში დედობა თანდათან იქცა „მსახურების უმაღლეს ფორმად“[146]. შესაბამისად, ბოლშევიკებს სჯეროდათ, რომ 1. დედობა არ იყო პირადი/პერსონალური საქმე, არამედ სოციალური, საზოგადო. 2. დედობა ქალის "ბუნებრივი" მოთხოვნილება იყო 3. დედობა იყო ფუნქცია, რომელიც საჭიროებდა სახელმწიფო ფასილიტაციას[147]. 1930-იან წლებში და მის შემდგომ, დედის კულტის შექმნა ამ მიზეზებს უკავშირდება.

რაც შეეხება ახალი ტიპის ქალის ცხოვრებას საბჭოთა საზოგადოებაში, უნდა ითქვას, რომ თავისუფალი დროის ცნება, ინდუსტრიული რევოლუციის შემდეგ გაჩნდა, რაც თავის თავში გულისხმობდა სამსახურისა და სახლის ერთმანეთისგან გამიჯვნას[148]. ამიტომ, ლინ ეტვუდის აზრით, მკაფიო სხვაობა სამსახურსა და საქმეს შორის საბჭოთა საზოგადოებაში არ არსებობდა. თავისუფალი დროის ცნება იყო გენდერული ტერმინი, რადგან მანამდე ქალებისთვის დასვენება არ არსებობდა. ისინი ძირითადად საშინაო საქმეებში იყვნენ ჩართულნი და მიიჩნეოდა, რომ შვებულება მათ არ სჭირდებოდათ. ამიტომ, მცირე ნაწილს შეეძლო დასვენება. გამონაკლისები იყვნენ: ქალები დაქორწინებამდე, რომლებსაც შეეძლოთ ემუშავათ, ხოლო როცა დაქორწინდებოდნენ, ოჯახისთვის უნდა მიეხედათ[149].

სტალინის მმართველობის პერიოდში ქალთა და დედათა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ხელს უწყობდა მომუშავე ქალებისთვის დაწესებული სარგებელი. 1944 წლის 8 ივლისის N37 ბრძანებით ყველა დასაქმებული ქალი იღებდა თექვსმეტ

---

[146] **Olga Issoupova.** “From duty to pleasure? Motherhood in Soviet and post-Soviet Russia” in “ Gender, State, and Society in Soviet and Post-Soviet Russia”, Ed. Sarah Ashwin (London: Routledge, 2009), 31.
[147] **Issoupova**, “From Duty to Pleasure,” 32.
[148] **Attwood**, *Creating the New Soviet Woman,* 29.
[149] **Attwood**, *Creating the New Soviet Woman,* 117.

კვირიან დეკრეტულ შვებულებას, რომელიც იყო სრულად ანაზღაურებადი[150]. დეკრეტული შვებულების ნახევარი შეეძლო გამოიყენებინა ბავშვის დაბადებამდე. ამას გარდა, მას შეეძლო დეკრეტული შვებულების ვადის გასვლის შემდეგ სახლში დარჩენილიყო, ანაზღაურების გარეშე, ერთი წლის განმავლობაში. ქალს, სურვილის შემთხვევაში, ჰქონდა რეგულარული ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებაც. ა. ჰეიტლინგერი, რომელიც საუბრობს ქალთა პრივილეგიებზე, აღნიშნავს, რომ ევროპის მასშტაბით უკეთესი პირობები მხოლოდ სკანდინავიის ქვეყნებშია.[151] გარდა ამისა, ახალი კანონმდებლობის მიხედვით, დაურეგისტრირებელი ქორწინება ვეღარ გაუთანაბრდებოდა დარეგისტრირებულ ქორწინებას. დაუქორწინებელი დედა ვერ მიიღებდა შვილისთვის მამის გვარს დაბადების მოწმობაში. გართულდა განქორწინების პროცესიც. ამიერიდან, ორივე პარტნიორი უნდა მისულიყო მმაჩის ბიუროში და დაედასტურებინა საკუთარი მოსაზრება. ასევე, გაიზარდა განქორწინების ღირებულება და პირველ ჯერზე, 50 რუბლს, მეორე შემთხვევაში 150-ს, ყველა მომდევნო შემთხვევაში კი 300 რუბლს შეადგენდა.[152] აღსანიშნავია, რომ განქორწინების შესახებ ინფორმაცია იწერებოდა პირის პირადობის დამადასტურებელ მოწმობაში.

კიდევ ერთი ცვლილება შევიდა კანონში - განქორწინების შემთხვევაში თუ წყვილს ერთი საერთო შვილი ჰყავდა, ქმარს მოუწევდა ხელფასის მეოთხედი გადაეხადა ყოფილი მეუღლისთვის, ორი შვილის შემთხვევაში - ხელფასის მესამედი, სამი და მეტი შვილის შემთხვევაში კი - ხელფასის ნახევარი.[153] თუ მამაკაცი, უარს იტყოდა დაკისრებული ვალდებულების შესრულებაზე, მას გაასამართლებდნენ და ციხეში აგზავნიდნენ სამ წლამდე ვადით.[154] საჭირო შემთხვევებში განიხილებოდა ხელფასის დაქვითვაც. თუ ყოფილი ცოლი და ყოფილი ქმარი ერთ ფაბრიკაში მუშაობდნენ, ხელმძღვანელი პირდაპირ ცოლს აძლევდა ქმრის ხელფასიდან ნაწილს. თუ სხვადასხვაგან მუშაობდნენ, ხელმძღვანელს უნდა გაეკონტროლებინა, თუ იხდიდა ქმარი ალიმენტს. ბავშვზე ზრუნვის შესახებ აღნიშნული იყო პასპორტშიც,

---

[150] 1944 წლის 8 ივლისის N37 ბრძანება, Сборник законов СССР и указов Президиума Верховного совета СССР. 1938-1944 г.г. — М.: Ведомости Верховного совета СССР, 1945. გვ 238.
[151] **Alena Heitlinger,** *Women and State Socialism* (London, 1979), 109.
[152] **Attwood**, *Creating the New Soviet Woman,* 117.
[153] **Attwood**, *Creating the New Soviet Woman,* 117.
[154] **Attwood**, *Creating the New Soviet Woman,* 118.

შესაბამისად, მამაკაცებს არც ერთ სამსახურში თავის დაძვრენის საშუალება არ ჰქონდათ, მათ შორის სამსახურის შეცვლის შემთხვევაშიც.[155] ამ რეფორმის მთავარი სამიზნე მამაკაცები იყვნენ, რათა რაც შეიძლება ნაკლებ მამაკაცს გასჩენოდა ოჯახის მიტოვების სურვილი და დედობის ტვირთი შემცირებულიყო ქალისთვის.

როგორც ვხედავთ, სოციალისტური სახელმწიფო დედას პრივილეგიებთან ერთად პასუხიმგებლობებსაც უწესებდა. ბავშვების აღზრდის საქმე კვლავ დედის მოვალეობად, პასუხისმგებლობად აღიქმებოდა და ბავშვების აღზრდის საქმეში მამაკაცების ჩართვა არც განიხილებოდა. ამ ასპექტით, ფემინიზმი და მარქსისტულ-ბოლშევიკური მიდგომა რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. ფემინიზმი მამაკაცებსაც იმავე ვალდებულებას უწესებს ბავშვების აღზრდაში, თუ „ქალის საქმის“ შესრულებაში, როგორსაც ქალებს[156].

აღსანიშნავია, აქტიური პროპაგანდისტული მოქმედებები განხორციელებული ქალთა ჩართულობის გაზრდის მიზნით. პირველ რიგში, ამ ფუნქციას ჟურნალ-გაზეთები ასრულებდნენ, რომლებიც ვრცელდებოდა მთელი ქვეყნის მასშტაბით. მეორე მაგალითი, კი პირდაპირ მიუთითებს და აღწერს ქალთა ჩართულობის გაძლიერების მიზნით წარმოებულ პროპაგანდისტულ მიდგომას. საბჭოთა კავშირი გამოარჩევდა ხოლმე რამდენიმე ქალ-ეტალონს, რომლებიც საზოგადოებისთვის მისაბაძი ხდებოდა. ერთ-ერთი იყო პაშა ანგელინა - პირველი ტრაქტორისტი ქალი, რომელიც დაპირდა სტალინს, რომ შექმნიდა ქალი ტრაქტორისტების ბრიგადას. მან შეასრულა თავისი სიტყვა და 1937 წელს 53 ბრიგადა წარადგინა ერთობლივ შეხვედრაზე. ამ დამსახურების გამო ის ლენინის ორდენით დაჯილდოვდა.[157] ის ხშირად ჰყვებოდა იმ სირთულეებზე, რომელთა დაძლევაც მოუწია. განსაკუთრებით, წინააღმდეგობასა და დაცინვაზე, რომელსაც მამრობითი სქესის წარმომადგენლების მხრიდან აწყდებოდა. განსაკუთრებით შთამბეჭდავები იყვნენ, ქალი ტრაქტორისტები, რომელთაც ხშირად ბეჭდავდნენ ჟურნალის პირველ ყდაზე, პოსტერებზე და იღებდნენ ფილმებშიც კი. ზოგადად, ტრაქტორი გახდა კოლექტივიზაციისა და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, ხოლო ქალი-

[155] **Attwood**, *Creating the New Soviet Woman,* 118.
[156] **Bell hooks,** *Feminist Theory from Margin to Center* (The USA: South End Press, 1984), 142.
[157] **Melanic Ilic**, Women *in the Stalin Era* (New York: 2001):124.

ტრაქტორისტები - ქალის წარმატებული ემანსიპაციის სიმბოლო.[158] მიუხედავად იმისა, რომ ქალი ტრაქტორისტები იწვრთნებოდნენ მძღოლებად, სწავლის დასრულების შემდეგ მათ უჭირდათ სამსახურის მოძებნა.[159] ჟურნალ-გაზეთები ამ შემთხვევაშიც ცდილობდნენ სახელისუფლებო ხაზის გატარებას, მაგალითად, ჟურნალი „Крестьянка“ მიმართავდა მამაკაცებს, რომელთაც მიაჩნდათ, რომ ქალის საქმე მხოლოდ „ძროხის მოწველა და ბავშვების აღზრდა იყო, და არა მანქანა-დანადგარებთან მუშაობა“[160], რომ ისინი თავისდაუნებურად „კლასობრივი მტრები“ ხდებოდნენ. მოცემულ პასაჟში, მართალია იგრძნობა „ხალხის მტრის სტატუსით“ მანიპულირება, მაგრამ თავად შედეგი, რომლის მიხედვითაც ქალებიც მოიაზრებოდნენ ინდუსტრიული საქმის შემსრულებლად, უკვე წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. თუმცა კი თავისი მოტივები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ მიდგომასაც ჰქონდა.

ცალკე განხილვის საკითხია სოფლად მცხოვრები ქალების ემანსიპაცია. სტალინის მმართველობის პირველ წლებში, სოფლად მცხოვრები ქალი რაციონალიზმის და რომანტიზმის ერთგვარი ერთობა იყო. ქალი, რომელიც კაცის გვერდით მუშაობდა სასოფლო-სამეურნეო სფეროში, ამასთანავე, სოფლის საბჭოში მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა მინიჭებული, მაგრამ ამავე დროს, სახლი რჩებოდა ქალების პასუხისმგებლობის მთავარ სივრცედ. ქალები უნდა გამკლავებოდნენ მოძალადე ქმრებს, მაგრამ „თავიანთი კეთილი გულით ეპატიებინათ ყველაფერი“.[161] თვით ტრაქტორისტი ქალებიც კი, რომლებიც რეალიზებულნი იყვნენ ასე თუ ისე საზოგადოებაში, დარჩნენ ტრადიციულ „ქალურ არსებებად“. აღსანიშნავია, კიდევ ერთი დეტალი, როდესაც აღწერდნენ ქალ-ტრაქტორისტებს, მათ მდედრობით ბუნებას აღწერაშივე ესმებოდა ხაზი. „ქალი-ტრაქტორისტი სიყვარულით უყურებს ტრაქტორს, ისე როგორც დედა, თავის გმირ-შვილს“.[162] ამ პასაჟში, აშკარად ჩანს ორი მთავარი ფაქტი: ერთი, მართალია სახელმწიფო ხელს უწყობდა ქალების დაწინაურებას ყველა სფეროში, მათ შორის, „მამაკაცურ საქმიანობაშიც“, თუმცა, ქალებს, რაც არ უნდა გაეკეთებინათ და როგორი პროფესიაც არ უნდა აერჩიათ, მაინც

[158] **Attwood**, *Creating the New Soviet Woman,* 94
[159] **Attwood**, *Creating the New Soviet Woman,* 95.
[160] **Attwood**, *Creating the New Soviet Woman,* 95.
[161] **Attwood**, *Creating the New Soviet Woman,* 96.
[162] **Attwood**, *Creating the New Soviet Woman,* 97.

აღიქმებოდნენ შედარებით სუსტ არსებებად, რომელშიც დედობრივი შეგრძნებები ყველაფერზე ძლიერი იყო.

კიდევ ერთი მოძრაობის დაწყება უკავშირდება სტალინის მმართველობას. 1935 წლიდან მუშათა შორის დაიწყო ე.წ. სტახანოვური მოძრაობა. ეს მოძრაობა ქვანახშირის მომპოვებელი ქარხნის მუშის, ალექსეი სტახანოვის სახელს უკავშირდება, რომელმაც 1935 წელს 7 ტონის ნაცვლად 102 ტონა ქვანახშირის მოპოვება შეძლო. სინამდვილეში ლინ ეტვუდი მიიჩნევს, რომ საქმე ცოტა სხვაგვარად იყო, ალექსი სტახანოვს თავის სექტორში სამუშაო გაუნახევრეს, რის გამოც მას თავისუფლად მოქმედების საშუალება ჰქონდა. ხოლო დამატებითი სამუშაო, რომელსაც ჩვეულებრივ ის ასრულებდა, თავისი თანამშრომლების მიერ სრულდებოდა.[163] თუმცა, მიზანი, ამ „აქციის“ ერთადერთი და ნათელი იყო - ეჩვენებინათ თუ რა საფეხურს აღწევს სოციალიზმი თავისი მოქალაქეების დახმარებით და რამდენის გაკეთება შეუძლია მონდომებულ სოციალიზმის მაშენებელ პიროვნებას. ამის შემდეგ, 1936 წელი პირველ სტახანოვურ წლად გამოცხადდა. სტალინის აზრით, “ახალი ხალხი ლენინის და სტალინის პარტიით ამაღლებული, ნამდვილი სასწაულის შემოქმედნი არიან”.[164] სტახანოველები საზოგადოების ინსპირაცია უნდა ყოფილიყვნენ. სტახანოვი იყო პირველი, რომელიც შემდეგში ნორმა გახდებოდა. სტახანოვური მოძრაობა კი იყო „ახალი ხალხის, ახალი დროისა და ახალი ტექნოლოგიური შესაძლებლობების”[165] ერთიანობა.

1936 წლისთვის მუშების მესამედი სტახანოველი იყო. ეს იყო "უბრალო და თავმდაბალი ხალხის ერთობა", რომელიც დიდებისა და გამდიდრებისკენ არ ისწრაფვოდა. მათ დამსახურებისთვის, აძლევდნენ დამატებით ხელფასს, სამოგზაურო ტურებს შავ ზღვაზე, რადიოს, წიგნებს, საკვების ამანათებს და რაც მთავარია, უკეთეს საცხოვრებელს ქალაქში. ამდენად, ამან ხალხს საშუალება მისცა დაეგროვებინათ ხელფასი, და შემდეგში ეს ხალხი იქცა ახალ საბჭოთა საშუალო კლასად. სტახანოვურ მოძრაობაში ქალებიც აქტიურად ჩაებნენ. ახალი ტექნოლოგიების გამოყენების ხარჯზე, ისინი გარკვეულწილად ახერხებდნენ

[163] **Attwood**, *Creating the New Soviet Woman,* 98.
[164] **Attwood**, *Creating the New Soviet Woman,* 98.
[165] **Attwood**, *Creating the New Soviet Woman,* 98.

პროდუქტიულობის გაზრდას. მათ სჯეროდათ „სოციალიზმის მშენებლობის“ და თავსაც არ ზოგავდნენ. ქალი სტახანოველები გამოირჩეოდნენ წარმატებებით. პირველ რიგში, ისინი ინოვაციური იდეების მომწოდებლები იყვნენ. მაგალითისთვის უნდა გავიხსენოთ, ლენა კონდაროვა, რომელმაც რამდენიმე სამანქანო დანადგარის ერთდროულად ჩართვის სპეციფიკა შეიმუშავა. [166]

მარქსიზმის მიხედვით სოციალიზმი ქალთა ემანსიპაციას გამოიწვევდა. თუმცა, საბჭოთა კავშირში ასე არ მოხდა. სოციალიზმმა არ გააუქმა საქმის დაყოფა სქესის მიხედვით. ქალები უფრო მეტად დასაქმებული აღმოჩნდნენ ნაკლებად პრესტიჟულ სექტორში, ძველმოდურ ინდუსტრიებში (ტექსტილი) და ძალიან იშვიათად იკავებდნენ აღმასრულებელი ხელისუფლების პოსტს[167]. თუმცა კი ქალებს ჰქონდათ მიზეზი და ამბიცია, ეჩვენებინათ საპირისპირო სქესისთვის, თუ რისი გაკეთება შეეძლოთ მათ. ამიტომ, მათი დევიზი იყო ყველაფრის "საუკეთესოდ გაკეთება".[168] მაგალითად, მფრინავი პოლინა ოსიპენკოს სურვილი იყო „ეფრინა უფრო მაღლა, და უფრო შორს და უფრო სწრაფად”,[169] ვიდრე ყველა დანარჩენ გოგონას მსოფლიოდან. ქალების აქტიურობას განაპირობებდა, ასევე, სამშობლოსთვის წარმატების მოტანის სურვილი. გარდა ამისა, იყო კიდევ ერთი მიზეზი - სიყვარული ბელადისადმი. ერთ-ერთმა საბჭოთა მოქალაქემ, ანა მოროზოვამ 10 მანქანის ამოქმედება შეძლო ერთდროულად, მას შემდეგ რაც საკუთარი თვალით იხილა "საყვარელი ლიდერი და მასწავლებელი სტალინი”[170] - აღნიშნული ფრაზა პროპაგანდის კარგი ნიმუშია. მკითხველი რწმუნდება, რომ სტალინი შესაძლოა იქცეს შთაგონების წყაროდ. როგორც ჩანს, ამ „მოვლენას“ გავლენა ჰქონდა სხვა ადამიანებზე და მათაც გადაეცემოდათ ეს მუხტი. პაშა ანგელინა - ცნობილი ტრაქტორისტი ქალიც შთაგონებული იყო „მამა-სტალინის“ იდეით და მიზნის მისაღწევად მას, როგორც ინსპირაციას ისე იყენებდა. ზოგადად, სტალინის მამად აღქმის მცდელობა ახალი არ იყო, ჯერ კიდევ რუსეთის იმპერატორი აღიქმებოდა რუსეთში „ბატიუშკად“ (რუს.:

---

[166] **Attwood**, *Creating the New Soviet Woman,* 99.
[167] **Sandrine K, Francoise Th.** “Real Socialism” and the Challenge of Gender, *CLO Women, Gender, History* N41 (2015): 13 https://doi.org/10.4000/cliowgh.859
[168] **Attwood**, *Creating the New Soviet Woman,* 100.
[169] **Attwood**, *Creating the New Soviet Woman,* 98.
[170] **Attwood**, *Creating the New Soviet Woman,* 101.

„Батьюшка“), და ამ შემთხვევაში იმავე ფუნქციას ითავსებდა სტალინი[171]. ამდენად, სტახანოველი ქალები აერთიანებდნენ ახლადშეძენილ მასკულინურ თვისებებს და, მეორე მხრივ, ტრადიციულ, ქალურ ღირებულებებს. აღსანიშნავია, რომ სტახანოველები უმეტესად ობოლი ან მძიმე წარსულის მქონე ოჯახებიდან იყვნენ, რომელთაც „ოჯახური სითბო კოლექტივში იპოვეს".[172] პროპაგანდა საბჭოთა საზოგადოებას ერთ დიდ ოჯახად წარმოაჩენდა, ამ ოჯახის მმართველი კი სტალინი იყო.

ქალაქის პარალელურად, მსგავსი ტენდენცია შეინიშნებოდა სოფლადაც, გლეხი ქალები ცდილობდნენ შეუერთდებოდნენ ახალ მიმდინარეობას გეგმის გადაჭარბების შესახებ. საბჭოთა პროპაგანდა იყენებდა ნ. ხუდიაკოვას მაგალითს, გლეხი ქალის, რომელმაც შეაგროვა 4200 ლიტრი რძე წელიწადში, ამისთვის ის ძროხას დღეში 6-ჯერ წველიდა. მიუხედავად წარმატებებისა, სტახანოველი ქალების გამოწვევად რჩებოდა შვილების გაჩენის საკითხი. ისინი ვერ უთავსებდნენ ერთმანეთს რთულ სამსახურს და მრავალშვილიანობას. 1930-იანი წლებიდან ქვეყნის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა დემოგრაფიული მაჩვენებლები გახდა. პირველმა ხუთწლედმა აჩვენა, რომ შობადობის მაჩვენებელი კატასტროფული იყო. მაშინ როცა, ქალი სტახანოველები ირჩევდნენ კარიერას, ეს თავისთავად განაპირობებდა იმას, რომ უმრავლესობა უშვილო და გაუთხოვარი რჩებოდა, ამიტომ ისინი ვერ იქნებოდნენ საბოლოოდ იდეოლოგიურად, "ახალი საბჭოთა ქალის" განსახიერება. მართალია, ისინი იყვნენ თავდადებული მუშები, მაგრამ ისინი ვერ გახდებოდნენ მისაბაძი მაგალითები ყველა ქალისთვის. საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკა მოითხოვდა დედის კულტის გაძლიერებას და ამ გზით დემოგრაფიული პოლიტიკის გაუმჯობესებას[173].

ცალკე განსახილველი საკითხია, რამდენად იყო ყველა ქალი თანაბარ პირობებში. კულაკებისა და ინტელიგენციის წარმომადგენელებისთვის ეს ყველაზე საშინელი წლები იყო. 1930-იანი წლების ბოლოს კი კლასთა შორის განსხვავებები კიდევ უფრო

---

[171] **Attwood**, *Creating the New Soviet Woman,* 103.
[172] **Attwood**, *Creating the New Soviet Woman,* 102.
[173] M. Ilic, *Soviet Women: Everyday Lives* (London and New York: Routledge, 2020), 7, https://doi.org/10.4324/9780429330117.

თვალსაჩინო გახდა.[174] 1930-იანმა წლებმა გააადვილა განათლებაზე წვდომა და გაიზარდა დასაქმების მაჩვენებელი[175]. თუმცა, კლასთა შორის განსხვავებები კიდევ უფრო გამწვავდა. ცალკე კლასად ჩამოყალიბდა მაღალი რანგის მამაკაცების ცოლების ერთობა, რომელთაც მოუწოდებდნენ, ეზრუნათ მხოლოდ ქმრებზე და ასე ემსახურათ ქვეყნისთვის.[176] საარქივო დოკუმენტებში გვხდება ინჟინერ-ტექნიკოსების და წითელარმიელების ცოლების მოძრაობის შესახებ ინფორმაცია, რომელსაც პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა[177]. მათი დახმარებით მთავრობა ახერხებდა საკუთარი პოზიციის გავრცელებას ქალთა საზოგადოებაში. კიდევ ერთი პოზიცია, რომელიც ქალებს აძლევდა საშუალებას, გამხდარიყვნენ ქვეყნის „ყველაზე გასაოცარი რანგის ნაწილი“ - სტახანოველის ცოლობა იყო. ისინი თავად არ ამყარებდნენ რეკორდს, მაგრამ მხარში დგომით, სტახანოველ ქმრებს უქმნიდნენ ყველა პირობას, რათა ემსახურათ ქვეყნის წინაშე. ეს გულისხმობდა, სახლის მოწესრიგებას, ინტერესს ქმრის საქმიანობისადმი, შვილების სამაგალითოდ აღზრდას და სხვ. ასეთ ქალებს უნდა ეპოვათ დრო და საკუთარი ინტელექტუალური შესაძლებლობის გაფართოებაზეც ეზრუნათ, რადგან ქმრებს სჭირდებოდათ საინტერესო და კულტურული კომპანიონები. მართალია ოფიციალური სამსახური არ ჰქონდათ ამ რანგის ქალბატონებს, მაგრამ სტახანოველების ცოლებს შეეძლოთ შეეტანათ წვლილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში: ბიბლიოთეკების, სასადილოების, ბაღების შექმნით. თუმცა, მიუხედავად ამ საქმეებისა, სტახანოველების მეუღლეების მთავარი კონტრიბუცია საზოგადოებისთვის ქმრების მხარდაჭერა იყო. ვფიქრობთ, ეს მაგალითი კარგად ასახავს საბჭოთა სახელმწიფოს გენდერულ პოლიტიკას, რომელიც არასდროს არ ყოფილა დაბალანსებული. პირიქით, ის ყოველთვის ორაზროვანი და ურთიერთსაპირისპირო ხასიათით გამოირჩეოდა. ერთი მხრივ, სახელმწიფო მხარს უჭერდა ქალების ემანსიპაციას და მათ ასაქმებდა ე.წ. „მამაკაცურ პოზიციებზე“, ხოლო მეორე მხრივ, ვხედავთ ქალის როლურ სახეს, რომელიც იდეალური მეუღლის თვისებებს აერთიანებს და მაქსიმალურად მორგებულია მამაკაცის ინტერესებზე.

---

[174] **Marcelline Hutton,** *Resilient Russian Women in the 1920s and 1930s* (Lincoln, 2015), 215.

[175] **William M. Mandel.** "Soviet Women in the Work Force and Professions," *American Behavioral Scientist* (Berkeley, California, 1971), 262. **Ofer, Gur. Vinokur, Aaron.** “Work and Family Roles of Soviet Women: Historical Trends and Cross-Section Analysis”. *Journal of Labor Economics* no3 (1) (1985): 335. **Michael Paul Sacks,** *Women's Work in Soviet Russia: Continuity in the Midst of Change* (Praeger, 1976), 91.

[176] **Hutton**, *Resilient Russian Women,* 215.

[177] **სსცა,** ფ. 284, აღწ. 1. საქმე 3137. ფურც. 2.

აღსანიშნავია კიდევ ერთი დეტალი, რომელიც 1936 წლის კონსტიტუციამ დაამკვიდრა. „მუშაობა სავალდებულოა სსრ-ში, ეს არის ღირსების საქმე ყველა მოქალაქისთვის, რომელსაც შეუძლია მუშაობა და ვინც არ მუშაობს, არ ჭამს“[178] - ასეთი იყო კონსტიტუციის პათოსი. საინტერესოა, განვიხილოთ როგორ მოქმედებდა მოცემული კანონი ქალებზე. განარჩევდნენ ქალთა ორ კატეგორიას: დიასახლისის პოზიტიური ფენომენი და დიასახლისის ნეგატიური ფენომენი. ზემოთხსენებული სტახანოველების მეუღლეები და ასევე, ქალები, რომლებიც დაქორწინებულნი იყვნენ საბჭოთა ელიტის წარმომადგენლებზე: ინჟინრებზე, წითელი არმიის ოფიცერებზე და სხვ. სრული უფლება ჰქონდათ, არ ემუშავათ და პირიქით, სახელმწიფო ამ კატეგორიის ქალებისგან არც მოითხოვდა მუშაობას. თავისთავად ისმის კითხვა თუ რა იყო ამის მიზეზი: მიიჩნეოდა, რომ ქალებს, უკვე შეჰქონდათ თავიანთი წვლილი, სოციალიზმის მშენებლობაში, რადგან ისინი საკუთარ თავს უძღვნიდნენ ქმრების კეთილდღეობას, რათა მათთვის საუკეთესო პირობები შეექმნათ და წარმატების მიღწევის გარანტი ყოფილიყვნენ.[179]

რაც შეეხება მეორე კატეგორიას, სრულგანაკვეთიანი დიასახლისები, რომლებიც უბრალო მუშებზე იყვნენ დაქორწინებული და არა ელიტის წარმომადგენლებზე, ანდა სტახანოველებზე, წარმოდგენილი იყვნენ სულ სხვა კუთხით. მათი საქმიანობა არ იყო საზოგადოებრივი მნიშვნელობის, რადგან მათ ქმრებს დიდი მიღწევები არ ჰქონდათ. სხვა სიტყვებით თუ განვმარტავთ, ამ კატეგორიის ქალები მხოლოდ საკუთარ ოჯახზე ზრუნავდნენ და არა საზოგადოებაზე.[180] შესაბამისად, მათ არც აფასებდნენ და პატივსაც ნაკლებად სცემდნენ. ჟურნალები, თავიანთ სტატიებში ხშირად "არცხვენდნენ" ასეთ ქალებს, რომელთაც „არ ჰქონდათ საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გრძნობა“ და მოუწოდებდნენ სამსახურში აქტიური ჩაბმისკენ. რა თქმა უნდა, მიდგომა არასწორი იყო, მაგრამ მიზანი მარტივად გასაგები - „შერცხვენის“ მეთოდით, ცოლებსა თუ ქმრებზე გავლენის მოხდენა. და მაინც როგორი უნდა ყოფილიყო ახალი ტიპის ქალი? ამ კითხვაზე თავად სტალინი პასუხობდა და აცხადებდა, რომ „ჩვენ არ გვყოლია ასეთი ქალები წარსულში.. ეს

[178] **Attwood**, *Creating the New Soviet Woman,* 111.
[179] **Attwood**, *Creating the New Soviet Woman,* 111.
[180] **Attwood**, *Creating the New Soviet Woman,* 113.

სრულიად ახალი ხალხია"[181]. ამდენად, ქალი-გმირების ფენომენი გადმოდის წინა პლანზე. ქალების მახასიათებელი სტალინის მმართველობის დროს უნდა ყოფილიყო: ფიზიკური სიძლიერე, მზადყოფნა და გმირობის სურვილი. ინდუსტრიალიზაციის დაწყებიდან ქალები წარმოდგენილი იყვნენ შრომის გმირებად მამაკაცებთან ერთად და ამ გზით, თავიანთი წვლილი შეჰქონდათ საზოგადოებაში. 1930-იანი წლების განმავლობაში იყო ერთგვარი მოსალოდნელი ომის საფრთხე, ამიტომ, ქალებს კაცებზე არანაკლები როლი უნდა ეთამაშათ ქვეყნის დაცვაში. ქალებს უნდა შეენარჩუნებინათ მრეწველობა იმ შემთხვევაში, თუ კაცები იბრძოლებდნენ და საჭირო შემთხვევაში, ქალები იბრძოლებდნენ მტრის წინააღმდეგ საკუთარი ხელებით კაცებთან ერთად და "მიუშვერდნენ მკერდს ქვეყნის დასაცავად მტერს".[182] ამ მიზნების განხორციელებას სჭირდებოდა საჭირო პირობები, ამიტომ 1930-იანებში დიდი ყურადღება მიექცა ფიზიკურ აქტივობას, სპორტს. ჟურნალებში იწერებოდა, რომ ათლეტური გარეგნობა მნიშვნელოვანია, ის ქალს ლამაზსა და ჯანსაღს ხდის, მთავარი მიზანი კი არის მზადება მუშაობისა და თავდაცვისათვის. ამდენად, თანდათან უფრო აქტიური გახდა სროლის და ფრენის შემსწავლელი კლუბები ქალებისთვის, "რათა დაეცვათ საბჭოთა ქვეყანა". ისინი სწავლობდნენ იარაღის ხმარებას. ქალი პარაშუტისტები პირდაპირ აცხადებდნენ, რომ თუ საჭირო გახდება: "ჩვენ მზად ვიქნებით დავიცვათ დედა-სამშობლო“.[183] ამ ტენდენციას ვხედავთ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებშიც. 1934 წლის 12 სექტემბერს ინსტრუქტორ სევერიან ივარდავას ხელმძღვანელობით შესრულდა პარაშუტით ხტომა კაჩის აეროდრომზე.[184] ეს ამბავი მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისით, რომ სევერიან ივარდავა - პირველი ქართველი პარაშუტისტი, ინსტრუქტორ-პარაშუტისტი, სამხედრო მფრინავი, სამამულო ომის მონაწილე და პოლკოვნიკი იყო. მან 1932 წლის 10 მაისს ყირიმის ცაში პირველად შეასრულა 800 მეტრის სიმაღლიდან დაშვება (ვინსეიტოვიჩი 1934, 1)[185]. თუმცა, 1934 წლის 12 სექტემბერს შესრულებული დაშვების მნიშვნელოვნებას

[181] Stalin's pronouncement on female 'heroes of labour' appears (with no heading) in Rabotnitsa, no. 4 (1938): 22.

[182] **Attwood**, *Creating the New Soviet Woman,* 127.

[183] **Attwood**, *Creating the New Soviet Woman,* 127.

[184] **ო. ვინსეიტოვიჩი,** "პირველი პარაშუტისტი ქალები საბჭოთა კავშირში", 1934 წ. თბილისი. გვ 1. https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/211101

[185] **ვინსეიტოვიჩი,** "პირველი პარაშუტისტი ქალები ", 1.

ზრდიდა ის ფაქტი, რომ პარაშუტისტებს შორის ორი ქართველი ქალი იყო: გოგებაშვილი მარგარიტა (მარგო) დიმიტრის ასული და ტარასენკო გალინა ალექსანდრეს ასული.[186]

ამდენად, ომის შემთხვევაში საბჭოთა ქალი დანიშნულების თვალსაზრისით, თითქმის უტოლდებოდა მამაკაცს. როგორც აღვნიშნეთ, სტალინის აზრით, საქმე სრულიად ახალი სახის ქალთან გვქონდა, რომელიც შეითავსებდა განსხვავებულ ფუნქციებსაც, მათ შორის, ჩაებმებოდა საომარ მოქმედებებში გარკვეული დოზით. ამას ამტკიცებს ზემოთ მოხმობილი მაგალითი: პარაშუტისტობა ცალსახად მამაკაცის საქმიანობად აღიქმებოდა, მასში ქალების ჩაბმა კი სიახლე იყო და ხაზს უსვამდა საბჭოთა საშინაო პოლიტიკას - ქალთა რესურსის გამოყენება სამხედრო სფეროში.

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ სტალინის მმართველობის პერიოდში დაიწყო ქალთა აქტიური ჩაბმა როგორც ინდუსტრიალიზაციის, ისე კოლექტივიზაციის მიმართულებით. თუმცა, მიუხედავად ამისა, ქალის პირველად საზოგადოებრივ მოვალეობად მაინც დედობა დარჩა, ამ კუთხით გატარდა სხვადასხვა ცვლილება, რათა ერთი მხრივ, გაუმჯობესებულიყო დემოგრაფიული მაჩვენებელი, მეორე მხრივ, კი ქალებს გაადვილებოდათ ბავშვების აღზრდა. მთლიანობაში 1930-იან წლებში შეიცვალა მანამდე დამკვიდრებული ტენდენციები და 1930-იანი წლების მიწურულს ჩამოყალიბდა ახალი ტიპის ქალის სახე. საბჭოთა სახელმწიფო პოლიტიკა ამ მიმართულებით ურთიერთსაწინააღდმეგო იყო: ერთი მხრივ, აყალიბებდა იდეალური ქალის პორტრეტს, რომელიც ზრუნავს საკუთარ მეუღლეზე, იცავს მის ინტერესს, ზრდის ბავშვებს და ჩართულია სოციალურ საქმიანობაში, მეორე მხრივ, კი წინა პლანზე წამოვიდა ქალი, რომელიც ითავსებს „მამაკაცურ როლებს“. ის შესაძლოა იყოს ტრაქტორისტი, ისევე როგორც მფრინავი და პარაშუტისტი. რეალურ ცხოვრებაში ამ ორი როლის გაერთიანება ერთ პიროვნებაში, საკმაოდ დიდი გამოწვევა იყო. ამიტომ, ის მაინც ერთეულების ხვედრი გახლდათ.

[186] **ვინსეიტოვიჩი,** “პირველი პარაშუტისტი ქალები “, 1.

თავი II. სახელმწიფო კანონმდებლობის ანალიზი ქალთა მდგომარეობის შესახებ

§ 2.1. სახელმწიფო კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა

ამ თავის მიზანია, გამოარკვიოს საბჭოთა საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკაში ქალთა მდგომარეობა საბჭოთა კანონმდებლობის განხილვის საფუძველზე. ნაშრომი ემყარება მაგალითზე დაფუძნებულ კვლევას და მის ობიექტს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და აქ მცხოვრები ქალები წარმოადგენენ. შემთხვევის შესწავლის მეთოდით ვეცდებით, გამოვკვეთოთ ის ძირითადი მახასიათებელი, რაც საბჭოთა კანონმდებლობას ჰქონდა და ვიმსჯელოთ თუ რა გავლენას ახდენდა ის ქალთა სტატუსსა და მდგომარეობაზე საბჭოთა საქართველოში. ამ მიზნით, საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული მასალის ანალიზი მაღალი ღირებულების მატარებელია. საქართველოს ეროვნულ არქივში ინახება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის იურიდიული განყოფილების 1928-1930 წლებით დათარიღებული N284 ფონდი, საქმე N856. საქმეში დევს საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსი. კვლევის მიზანს წარმოადგენს ქალთა მდგომარეობის შესწავლა 1930-იან, 1940-იან წლებში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მაგალითზე. თუმცა, კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია 1930-იან წლებში არსებული კანონმდებლობის განხილვა, რაც შესაძლებელს გახდის, ქალთა მდგომარეობა საზოგადოებაში სრულყოფილად გაანალიზდეს.

საბჭოთა კავშირის 1918 წლის და 1926 წლის ოჯახსა და ქორწინებაზე შექმნილი კოდექსები განიხილავს ქორწინება-განქორწინების საკითხს. 1918 წლის კოდექსმა რამდენიმე სიახლე შემოიტანა საბჭოთა ცხოვრებაში. ქალთა გაძლიერების წინაპირობად გამარტივებული განქორწინების პროცედურა იქნა მიჩნეული. 1926 წლის კანონით, ქორწინება და განქორწინება რეგისტრაციის გარეშეც შესაძლებელი გახდა.[187] განქორწინება შესაძლებელი იყო მიზეზის გარეშეც. დაურეგისტრირებელი ქორწინება უთანასწორდებოდა რეგისტრირებულს. გარდა ამისა, მსურველ მხარეს

[187] **Heitlinger**, *Women and State Socialism*, 84.

შეეძლო ეცნობებინა ხელისუფლებისთვის, რომ მას უნდოდა განქორწინება და თუ ის თავად არ იყო ფიზიკურად წარმოდგენილი, მას საფოსტო ბარათს უგზავნიდნენ შეცვლილი სტატუსის შესახებ.[188] რა შეიძლებოდა ყოფილიყო ამის მიზანი? – გაეთავისუფლებინათ მილიონობით ქალი, რომელიც დაქორწინებული იყო თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ. თუმცა დროთა განმავლობაში აღმოჩნდა, რომ განქორწინების გამარტივებამ საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო, ქალებმა დაკარგეს დაცულობის შეგრძნება, რომელიც წინათ ჰქონდათ. ვინაიდან მამაკაცები უკეთესად იყენებდნენ შექმნილ ვითარებას და მარტივად ანგრევდნენ ოჯახებს. ქმრებზე ფინანსურად დამოკიდებული ქალები კი იძულებულნი იყვნენ, უარი ეთქვათ განქორწინებაზე და მიუხედავად რთული და გაუსაძლისი ყოფისა, ეცხოვრათ ქმრების გვერდით. მარტოხელა დედებს უმეტესად არ შეეძლოთ ეკონომიკურად უზრუნველეყოთ ოჯახი. 1920-იან წლებში ქალებს შორის უმუშევრობის დონე მაღალი იყო, ხოლო გამოცდილება და განათლების დონე დაბალი. ამიტომ ისინი ფინანსურად დამოუკიდებლები იშვიათად იყვნენ. ამასთან, განქორწინების გაადვილებულმა პროცესმა, გარდა იმისა, რომ ქალი დააზარალა, გამოიწვია აბორტის და მიტოვებულ ბავშვთა რაოდენობის ზრდა.[189]

იმპერიულ რუსეთში რელიგიური ქორწინება ითვლებოდა აუცილებელ პროცედურად წყვილის ცხოვრებაში. ოქტომბრის გადატრიალებამ ეს მიდგომა შეცვალა. 1917 წლის 20 დეკემბრამდე დაფიქსირებული რელიგიური ქორწინება ლეგალურად ჩაითვალა, ხოლო ამ თარიღის შემდგომ უკვე სავალდებულო გახდა ქორწინების სამოქალაქო პროცედურა - რეგისტრაცია მმაჩის ბიუროში. ეს თავის თავში არ კრძალავდა საეკლესიო ცერემონიას. მიუხედავად ამისა, ფართო პროპაგანდა მიმდინარეობდა რელიგიური ქორწინების მნიშვნელობის დასამცირებლად. საბჭოთა ჟურნალ-გაზეთები ჯვრისწერას „ცრურწმენის ცერემონიად“ მოიხსენიებდნენ და მოუწოდებდნენ მკითხველს, თავი აერიდებინათ ამ „ზედმეტი პროცედურისთვის“.[190] სოფლად ქალების უმეტესობა მომხრე იყო ჯვრისწერის, მათ სურდათ თავიანთი ქორწინება ეკლესიაში დაედასტურებინათ,

[188] **Heitlinger**, *Women and State Socialism*, 85.
[189] **Attwood**, *Creating The New Soviet Woman*, 40.
[190] ციტირებულია წიგნიდან: **Attwood**, *Creating The New Soviet Woman,* 41.

განსხვავებით მამაკაცებისგან, რომლებიც სამოქალაქო ქორწინების მომხრენი იყვნენ. ამის მიზეზი, ერთი მხრივ, პარტია იყო: მამაკაცების არ სურდათ, ვინმეს პარტიიდან შეეწუხებინა ან შენიშვნა მიეცა ქორწინების დაურეგისტრირებლობის გამო. მეორე მხრივ, სამოქალაქო ქორწინება უფასო იყო, ხოლო მღვდლისთვის გარკვეული თანხის გადახდა იყო საჭირო. მესამე, ქალების დიდი ნაწილი რელიგიური იყო. შესაძლოა ესეც იყოს ამ ფაქტის ერთ-ერთი ახსნა.

1926 წლისთვის 100 000 დაურეგისტრირებელი ქორწინება იყო საბჭოთა კავშირში და ისინი უფრო ნორმა გახდა, ვიდრე გამონაკლისი[191]. როგორც აღვნიშნეთ, 1926 წლის კანონმდებლობამ, რეგისტრირებული და არარეგისტრირებული ურთიერთობა გაათანაბრა. ამას თავისი მიზანი ჰქონდა: კაცებს მეტი პასუხისმგებლობა უნდა ეგრძნოთ შვილების მიმართ, განურჩევლად რეგისტრირებული თუ არარეგისტრირებული ქორწინებისა.[192] ამაში ჩანს სახელმწიფოს სურვილი, მხარი დაუჭიროს დედებს და ბავშვებს. თუმცა, ეს უკანასკნელი სახელმწიფოს გენდერული პოლიტიკის ნაწილი იყო. ვინაიდან რეგისტრირებული და არარეგისტრირებული ქორწინება გათანაბრდა, აუცილებელი იყო სასამართლოს დაედგინა, ესა თუ ის კავშირი რამდენად იყო „ქორწინება“, ამის შემდეგ კი მამისთვის დაეკისრებინა შესაბამისი ვალდებულება. კერძოდ, რადგან დაურეგისტრირებელი ქორწინების მტკიცებულება არ არსებობდა, სასამართლო მსჯელობდა წყვილის თანაცხოვრების, ბავშვების ერთად გაზრდის ან საერთო ბიუჯეტის მიხედვით და მხოლოდ ასე განსაზღვრავდა მამის მოვალეობას ბავშვების მიმართ. მიუხედავად ფურცელზე დაწერილი მარტივი პროცედურებისა, რეალობაში, ბევრად რთული იყო სიმართლის დადგენა და ხშირ შემთხვევაში ძალიან დიდი დრო სჭირდებოდა.[193] შესაბამისად, ყოველდღიურ ცხოვრებაში ქალებს გაუსაძლის პირობებს უქმნიდა, მათ მარტო უწევდათ ყოველდღიური პრობლემების გადალახვა.

1918 წლის საოჯახო კანონმა ქალები იურიდიულად გაუთანაბრა კაცებს, ქალებს შეეძლოთ ეკონტროლებინათ საკუთარი ხელფასი, ხოლო ბავშვებს უნდა მიეღოთ

---

[191] **Attwood**, *Creating the New Soviet Woman,* 44.
[192] **Attwood**, *Creating the New Soviet Woman,* 46.
[193] **ნანი მანველიშვილი.** ქალის სტატუსის ცვლილება სტალინის მმართველობის დროს საქართველოსა და საბჭოთა კავშირში (1922-1935 წლები), თბილისი, 2017. გვ 30.

მხარდაჭერა მშობლებისგან.[194]1918 წლის ახალმა კანონმა ქალების სრული პოლიტიკური თანასწორობა დაამკვიდრა. ოჯახის კანონმა, რომელიც იმავე წელს გამოვიდა, აღიარა ქალთა კანონიერი თანასწორობა, ქორწინება გახდა სამოქალაქო პროცედურა და ჩამოშორდა ეკლესიას. განქორწინება ლეგალიზებული გახდა. გაუქმდა განსხვავება კანონიერად და უკანონოდ დაბადებულ შვილებს შორის. შესაბამისად, მამებს უკანონო შვილებზეც იგივე ვალდებულება გაუჩნდათ, რაც კანონიერის შემთხვევაში ჰქონდათ. ახალი კონსტიტუციის მიხედვით, ქორწილი უნდა ყოფილიყო „თანასწორი მოქალაქეების თავისუფალი კავშირი“.[195] ამ აზრს იზიარებს ისტორიკოსი ვენდი გოლდმანი და წერს, რომ 1918 წლის საოჯახო კანონი მსოფლიოში ყველაზე პროგრესული საოჯახო კანონმდებლობის მაგალითი იყო.[196] მისგან განსხვავებით, ქალთა ისტორიის მკვლევარ ირინა არისტახოვას მიაჩნია, რომ სწორედ 1918 წლის კანონის დახმარებით შეძლეს ბოლშევიკებმა საზოგადოებაზე გავლენის მოპოვება: კანონმა რელიგიური ქორწინება არალეგალურად გამოაცხადა და ეკლესია დაქვემდებარებულ მდგომარეობაში გადაიყვანა სამოქალაქო ქორწინების შემოღების გზით, რამაც ბოლშევიკებს მისცა ძალაუფლება ეკონტროლებინა მოქალაქეები[197].

საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კოდექსის დამუშავებისას აქცენტი გაკეთდა რამდენიმე საკითხზე. კერძოდ, 1. როგორ არის კანონთა კოდექსის მიხედვით ქალის როლი წარმოდგენილი ქორწინებაში? 2. რა პასუხისმგებლობებს აკისრებს ქალს კანონმდებლობა ოჯახში, შვილის(ების) მიმართ? 3. რამდენად თანასწორია ქორწინებასა და ოჯახში ქალისა და მამაკაცის როლები საკანონმდებლო დონეზე?

საკვლევი კითხვების ჩამოყალიბების შემდეგ, კანონთა კოდექსი კოდირებების მიხედვით დაჯგუფდა. გამოვყავით ორი სიტყვა მარკერი: ქალი-მეუღლე და ქალი-დედა. კვლევის შედეგად, დავახასიათეთ თითოეული მათგანი და მივანიჭეთ შემაჯამებელი კოდი.

---

[194] **Ghodsee**, *Red Valkyries,* 63.

[195] **Clements**, *Daughters of Revolution*, 41.

[196] **Sarah Eshwin Ed.**, *Gender, State, and Society in Soviet and Post-Soviet Russia* (London and New York: Routledge, 2000), 7. **Ruthchild**, "Sisterhood and Socialism,"9. **Women's Everyday Lives** in War and Peace in the South Caucasus, edited by Ulrike Ziemer. Cham: Palgrave Macmillan, 2020. გვ. 212. https://doi.org/10.1007/978-3-030-25517-6_8

[197] **Irina Aristarkhova,** *Women and Government in Bolshevik Russia* (University of Warwick, 1995): 16.

§2.2. ქალი-მეუღლე

საბჭოთა რუსეთის ჩამოყალიბებამდე, მეფის რუსეთში სამოქალაქო ქორწინება არ არსებობდა და მის ნაცვლად დამკვიდრებული იყო რელიგიური ქორწინება. საბჭოთა რუსეთის შექმნის შემდეგ, ბოლშევიკური პარტია აქტიურად ებრძოდა ქვეყნის შიგნით რელიგიურ მოძრაობებს. იგივე პოლიტიკა გაგრძელდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შემდგომ და თითოეულ რესპუბლიკაში გატარდა ცვლილებები, რომლებიც უზრუნველყოფდა სამოქალაქო ქორწინების სავალდებულო ხასიათს და აუქმებდა რელიგიურ ქორწინებას. ეს კი გაგრძელება იყო პოლიტიკის, რომელიც გულისხმობდა რელიგიის უკანა პლანზე გადანაცვლებას. როგორც ისტორიკოსი მიხეილ ქართველიშვილი განმარტავს: „რელიგია, მათ შორის მართლმადიდებლობა, ითვლებოდა საბჭოთა რუსეთის მოქალაქეების პირად (კერძო) საქმედ. საეკლესიო ფიცის დადება გაუქმდა, ჯვრისწერამ დაკარგა იურიდიული ძალა, სასკოლო პროგრამებიდან ამოიღეს საღვთო სჯულის სწავლება... ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ შესანიშნავად იცოდა, რომ სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამიჯვნის შემთხვევაში, ამ უკანასკნელს პოლიტიკურ-იდეოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვნად დაასუსტებდა[198].“

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული 1928-1930 წლების საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის ზოგადი დებულების, პირველი თავის, პირველი მუხლის მიხედვით „ქორწინება უნდა გატარებულ იქნეს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოთა რეგისტრაციაში... ქორწინების რეგისტრაცია შემოღებულია როგორც სახელმწიფო ინტერესების დასაცავად, ისე მეუღლეთა და მათი შვილების პირადი და ქონებრივი უფლება-ინტერესების დაცვის გასაადვილებლად“[199] აღნიშნული ციტატა ცხადყოფს საბჭოთა მმართველობის მიზანს, დაარწმუნოს მოქალაქეები სამოქალაქო ქორწინების აუცილებლობაში და განსაზღვროს იურიდიული ქორწინება მათი ინტერესების ნაწილად. მეორე მუხლის თანახმად, „დოკუმენტის და მოწმეთა ჩვენებას, რომლებითაც დასტურდება

[198] **მიხეილ ქართველიშვილი.** *საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა და მისი ასახვის თავისებურებები 1953-1964 წლებში* (თბილისი, 2022), 41.

[199] საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი (შემდგომში სსცა) ფ. 284, აღწ. 1. საქმე 856, ფურცელი 1. 1928-30 წწ. საქორწინო, საოჯახო და სამეურნეო კანონთა კოდექსი.

ქორწინება რელიგიური წესით, არავითარი იურიდიული ძალა არ აქვთ“.[200] საბჭოთა მთავრობა 1930-იან წლებში ჯერ კიდევ ებრძოდა ხალხში დამკვიდრებულ ტრადიციას რელიგიური ქორწინების შესახებ. ეს ჩანაწერიც ამის დადასტურებაა. თუმცა რელიგიური წესით ქორწინებას, რომელიც საქართველოს რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 28 აპრილის N28 დეკრეტული შვებულების „მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების შესახებ“[201] მიღებამდე მოხდა, ისეთივე ძალა ჰქონდა, როგორც რეგისტრაციაში გატარებულ ქორწინებას. ეს ნაწილი საბჭოთა ხელისუფლებას აძლევდა შესაძლებლობას, თავიდან აერიდებინა ქორწინებების ხელახალი რეგისტრაცია.

კოდექსის მეორე თავი განსაზღვრავს ქორწინების რეგისტრაციის წინაპირობებს. წინაპირობები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია ქორწინებით კავშირში ქალთა სტატუსის დასადგენად. ქორწინების რეგისტრაციის წინაპირობად კოდექსის მიხედვით განისაზღვრა შემდეგი საჭიროებები: 1. ორივე მხარის თანხმობა 2. საქორწინო ასაკი 3. შესაბამისი დოკუმენტები ქორწინების რეგისტრაციისთვის. ქორწინება ორი ქორწინების ასაკს მიღწეული პირის თანხმობის საფუძველზე ფორმდება. კოდექსის მიხედვით, საქორწინო ასაკად ქალისთვის განისაზღვრა – 16 წელი, მამაკაცისთვის – 18 წელი.[202] ამასთან, ქორწინება იკრძალება იმ პირებისთვის, რომლებიც 1. დაქორწინებულები არიან. 2. პირები, რომლებიც „ჭკუანაკლულებად ან სულით ავადმყოფებად“[203] იქნენ ცნობილი. 3. „მეურვესა და მეურვეობაში მიცემულს შორის, შვილად ამყვანსა და შვილად აყვანილს შორის იმ დრომდე, სანამ მათ შორის არსებობს მეურვეობიდან და შვილად აყვანიდან გამომდინარე იურიდიული ურთიერთობა“. 4. „პირდაპირი ამავალი ან შთამავალი შტოს ნათესავთა შორის/მამისა და ქალიშვილის, დედისა და ვაჟიშვილის, პაპისა და შვილიშვილის შორის და სხვ. ძმასა და დას შორის. ამასთან, როგორც ისეთ ძმასა და დას შორის, რომელნიც დედითაც და მამითაც ერთნი არიან, აგრეთვე ისეთ შორისაც, რომელნიც მამით

[200] **სსცა,** ფ. 284, აღწ. 1. საქმე 856 , ფურცელი 1. 1928-30 წწ. საქორწინო, საოჯახო და სამეურნეო კანონთა კოდექსი.
[201] **სსცა,** ფ. 284, აღწ. 1. საქმე 856 , ფურცელი 1. 1928-30 წწ. საქორწინო, საოჯახო და სამეურნეო კანონთა კოდექსი.
[202] **სსცა,** ფ. 284, აღწ. 1. საქმე 856 , ფურცელი 1. 1928-30 წწ. საქორწინო, საოჯახო და სამეურნეო კანონთა კოდექსი.
[203] **სსცა,** ფ. 284, აღწ. 1. საქმე 856 , ფურცელი 1. 1928-30 წწ. საქორწინო, საოჯახო და სამეურნეო კანონთა კოდექსი.

ერთნი არიან, დედით კი სხვადასხვა. ანდა დედით ერთნი არიან, მამით კი სხვადასხვა. არ შეიძლება ქორწინება აგრეთვე ოთხი თაობის ნათესავთა შორის/ბიძაშვილებს, დეიდაშვილებსა და მამიდაშვილებს შორის[204]". თუმცა, შენიშვნა ითვალისწინებს მესამე და მეოთხე თაობის ნათესავთა შორის ქორწინების ნებართვას „განსაკუთრებულ შემთხვევაში" საოლქო და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვის შემთხვევაში.[205]

ინტერესს იწვევს დაშვება, რომელიც მეურვეს და მეურვეობაში მიცემულს ქორწინებას არ უკრძალავს. მხარეები არ არიან ერთმანეთის ნათესავები, ამიტომ კანონმდებლობას დასაშვებად მიაჩნია ქორწინება მაშინ, როცა მკაცრად კრძალავს პირველი თაობის ნათესავებს შორის ქორწინებას (ასევე, ნახევარ დებსა და ნახევარ ძმებს შორის ქორწინებას, (არ აქვს მნიშვნელობა დედა ჰყავთ მათ საერთო თუ მამა). ქორწინება ასევე ითვალისწინებდა ორივე მხარის თანხმობას და ორივე მხარეს ერთნაირ წინაპირობებს უყენებდა. სქესის მიხედვით არათანაბარ პირობებზე საუბარი ამ ნაწილში შეუძლებელია, რომელიმე მხარეს უფრო მეტ ან ნაკლებ პასუხისმგებლობას არ აკისრებდა.

რაც შეეხება შენიშვნას ოთხი თაობის ნათესავების ქორწინების დაშვების თაობაზე, სავარაუდოა, რომ ოთხი თაობის ნათესავთა შორის ნათესავთა ქორწინებას კოდექსი უშვებს ისლამის რელიგიური თემისთვის, რადგან როგორც სსრკ-ში ისე საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკაში, ბევრი მუსლიმი ცხოვრობდა, მათი ცხოვრების წესი კი ითვალისწინებდა ოთხი თაობის ნათესავების ქორწინებას.

კოდექსი განმარტავს ქორწინების გაბათილების მიზეზებს. აღსანიშნავია, რომ ქორწინების გაბათილება შესაძლებელია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. თუმცა, ქორწინება ბათილად იქნება ცნობილი, თუ მეუღლეებს საქორწინო ასაკი არ აქვთ. შესაბამისად, როგორც მდედრობითი, ისე მამრობითი სქესის წარმომადგენელს ქორწინების გასაფორმებლად აუცილებელი წლოვანება უნდა ჰქონოდა. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არ გამორიცხავს არასრულწლოვანთა

[204] **სსცა,** ფ. 284, აღწ. 1. საქმე 856 , ფურცელი 1. 1928-30 წწ. საქორწინო, საოჯახო და სამეურნეო კანონთა კოდექსი.
[205] **სსცა,** ფ. 284, აღწ. 1. საქმე 856 , ფურცელი 1. 1928-30 წწ. საქორწინო, საოჯახო და სამეურნეო კანონთა კოდექსი.

ქორწინებას ქვეყნის მასშტაბით. თუმცა, ქორწინება არ გაუქმდება არასრულწლოვნებს შორის იმ შემთხვევაში თუ მათ სასამართლო პროცესის დროს შეუსრულდებოდათ საქორწინო ასაკი. არასრულწლოვანთა ქორწინება ძალაში რჩებოდა, თუ ქორწინებას მოჰყვა ორსულობა ან შვილის გაჩენა[206]. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით საინტერესოა ეს პასაჟი, რომლის მიხედვით მართალია კანონმდებლობა კრძალავს არასრულწლოვანთა ქორწინებას, მაგრამ როდესაც საკითხი ეხება ორსულობას და შვილის გაჩენას, ამ შემთხვევაში ქორწინებას ძალაში ტოვებს. სავარაუდოა, რომ ეს უკანასკნელი დაშვება მცირეწლოვანის ინტერესებიდან გამომდინარეობდა. ასევე, მარტოდ დარჩენილ დედაზე ზრუნვა სახელმწიფოს ვალდებულება გახდებოდა, რაც დამატებით რესურსს მოითხოვდა და ამიტომ, ქორწინების ძალაში დარჩენა ლოგიკურ გამოსავლად მიიჩნეოდა. გარდა ამისა, არასრულწლოვანი მეუღლეების ქორწინება არ უქმდება, თუ ცოლქმრულ ურთიერთობას მოჰყვა ერთ-ერთი მეუღლის დაავადება ან შრომის უნარის დაკარგვა[207]. საბჭოთა კავშირის პროპაგანდა იდგა ლოზუნგზე, რომლის მიხედვით „შრომა აკეთილშობილებს ადამიანს“. შესაბამისად, შრომისუუნარო ადამიანი ქორწინების გარეშე ბევრად დიდ ტვირთს წარმოადგენდა ქვეყნის ეკონომიკისთვის. ქორწინებაში მყოფზე ზრუნვა კი მის მეუღლეს დაევალებოდა. სწორედ ამით აიხსნება ქორწინების გაბათილებაზე უარის თქმა.

კოდექსის მეოთხე ნაწილი განსაზღვრავს მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს. მეუღლეებს შეუძლიათ ქორწინების რეგისტრაციის დროს დაიტოვონ საკუთარი გვარი, მეორე გვარი ან ორივე გვარი ერთად. უცხოელზე დაქორწინების შემთხვევაში მეუღლეები ინარჩუნებენ თავის მოქალაქეობას.[208] თანასწორი ქორწინების ერთ-ერთი წინაპირობაა საკუთრებაზე თანაბარი უფლებების ქონა. ამ მხრივ კოდექსი განსაკუთრებით საინტერესოა. მეოთხე თავის მე-16 პუნქტის მიხედვით, ქონება რომელიც ეკუთვნოდა მეუღლეს ქორწინებამდე, რჩება მის კერძო ქონებად. ქონება, შეძენილი მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში, ეკუთვნის ორივეს

---

[206] **სსცა,** ფ. 284, აღწ.1. საქმე 856 , ფურც. 4 1928-30 წწ. საქორწინო, საოჯახო და სამეურნეო კანონთა კოდექსი.

[207] **სსცა,** ფ. 284, აღწ. 1. საქმე 856 , ფურც. 2, 1928-1930 წწ. საქორწინო, საოჯახო და სამეურნეო კანონთა კოდექსი.

[208] **სსცა,** ფ. 284, აღწ. 1. საქმე 856 , ფურც. 2, 1928-1930 წწ. საქორწინო, საოჯახო და სამეურნეო კანონთა კოდექსი.

თანასწორწილად[209]“. აღნიშნული ჩანაწერი მნიშვნელოვანია, რადგან სქესის მიხედვით არ განსაზღვრავს ქონების კუთვნილებას. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ინფორმაცია კი შენიშვნა-განმარტების ნაწილში ჩნდება: „ცოლის შრომა, გაწეული ოჯახური საქმისა და შვილების მოსავლელად, იმავე უფლებას ანიჭებს ცოლს ქონებაზე, რასაც კი ანიჭებს ქმარს მისი შრომა, გაწეული ცხოვრების სახსრის მოსაპოვებლად.[210]“ შესაბამისად, საბჭოთა კანონმდებლობის მიხედვით, ქალის მიერ გაწეული შრომა საოჯახო საქმიანობის ნაწილში აძლევდა ქალს უფლებას ესარგებლა საერთო ქონებით. მამაკაცს, რომელიც მუშაობდა და ოჯახის ფინანსური დასაყრდენი იყო, არ ჰქონდა განსაკუთრებული უფლება ან უპირატესობა საერთო ქონებაზე. განქორწინების შემთხვევაში, ქალს ერთგვარად იცავდა კოდექსი და თანაცხოვრების დროს შეძენილი ქონების მეწილედ ხდიდა მას.

კოდექსი ითვალისწინებდა მეუღლეებს შორის ქონებრივი ხელშეკრულების დადებასაც. თუმცა, პრაქტიკაში თითქმის არ იყო დამკვიდრებული მისი გაფორმება. ეს შესაძლოა აიხსნას კულტურული გარემოთი და დამკვიდრებული წეს-ჩვეულებებით. ამასთან, მეოთხე თავის, მე-18 პუნქტის მიხედვით „ქონებრივი ხელშეკრულება არც ერთი მხარის ქონებრივ უფლებებს არ უნდა ავიწროებდეს“[211]. ამ პასაჟის მიხედვით, კოდექსი ქმნიდა ძლიერ ქალს, რომელიც მსხვერპლის როლში არ უნდა ყოფილიყო, მას ჰქონდა უფლება განქორწინების შემდეგ, ებრძოლა ქონების ნახევრისთვის და საჭიროების შემთხვევაში მოეთხოვა „სარჩო“ მეუღლისგან.

საინტერესოა, რომ კოდექსი „გაჭირვებულ და შრომის უნარმოკლებულ“ მეუღლეს აძლევდა უფლებას მოეთხოვა მეუღლისგან „სარჩო“. სარჩოში იგულისხმება თანხა, რომელიც არსებობის მინიმუმს წარმოადგენდა. იმ შემთხვევაში თუ ამ უკანასკნელს ჰქონდა დახმარების საშუალება. ქორწინების გაუქმების შემთხვევაში ეს პირობა უცვლელი რჩებოდა მაშინაც, თუ შრომის უნარი მეუღლემ ქორწინებამდე დაკარგა, ქორწინების დროს ან განქორწინებიდან არაუგვიანეს 1 წლის განმავლობაში. სარჩოს

---

[209] **სსცა,** ფ. 284, აღწ. 1. საქმე 856, ფურც. 3, 1928-1930 წწ. საქორწინო, საოჯახო და სამეურნეო კანონთა კოდექსი.
[210] **სსცა,** ფ. 284, აღწ. 1. საქმე 856, ფურც. 1, 1928-1930 წწ. საქორწინო, საოჯახო და სამეურნეო კანონთა კოდექსი.
[211] **სსცა,** ფ. 284, აღწ. 1. საქმე 856, ფურც. 3. 1928-1930 წწ. საქორწინო, საოჯახო და სამეურნეო კანონთა კოდექსი.

მიღების უფლება ჰქონდათ შრომისუნარიან უმუშევარ, გაჭირვებულ მეუღლეებსაც 1 წლის განმავლობაში. თუმცა, ხელახალი დაქორწინების შემთხვევაში აღნიშნული პირობა უქმდებოდა[212]. როგორც ჩანს, კოდექსი ითვალისწინებდა ქალებისთვის ნაკლებ სამუშაო ადგილებს ქვეყნის მასშტაბით, ასევე, ქალები ნაკლებად გამოცდილები იყვნენ და მათთვის სამსახურის ძებნა ბევრად რთული იყო. შესაბამისად, ერთ წლამდე მათი ფინანსური უზრუნველყოფა კოდექსის ნაწილად იქცა. თუმცა, კოდექსი ქართულ ენაზეა შედგენილი და ამ ნაწილში არ არის დაკონკრეტებული სქესი. შესაბამისად, როგორც ჩანს ქმარსაც ჰქონდა უფლება ესარგებლა მოცემულობით და ქალის მუშაობის შემთხვევაში მისგან მოეთხოვა „სარჩო“ ერთ წლამდე ვადით.

კოდექსის მიხედვით, ქორწინების გაუქმება შესაძლებელი იყო ორივე მეუღლის ან მინიმუმ ერთ-ერთის თანხმობის შედეგად. განქორწინება, ისევე როგორც ქორწინება უნდა გაფორმებულიყო სამოქალაქო აქტების ჩამწერი განყოფილების მმაჩის ბიუროში.[213] ეს უზრუნველყოფდა მომავალში ქონებრივი დავების მარტივად გადაჭრასა და ქორწინების სტატისტიკის წარმოებას. განქორწინების შემთხვევაში მეუღლეები თანხმდებოდნენ, რომელი შვილი რომელ მეუღლესთან დარჩებოდა და რომელი მეუღლე რამდენს გაიღებდა შვილების აღსაზრდელად.

ამ თავში დავახასიათეთ ქალი-მეუღლე, კოდექსის მიხედვით. ვფიქრობთ, ქალი-მეუღლის როლს კარგად ასახავს შემაჯამებელი კოდი „ძლიერი ქალი ნიშნავს ძლიერ დედას და ძლიერ მომავალს“ - რადგან დაქორწინებული ქალის მიღმა, საბჭოთა სისტემა ყოველთვის ხედავდა მომავალ დედას, რომელსაც ქვეყნის დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესება „ევალებოდა“.

---

[212] **სსცა,** ფ. 284, აღწ. 1. საქმე 856, ფურც. 3. 1928-1930 წწ. საქორწინო, საოჯახო და სამეურნეო კანონთა კოდექსი.

[213] **სსცა,** ფ. 284, აღწ. 1. საქმე 856, ფურც. 4. 1928-1930 წწ. საქორწინო, საოჯახო და სამეურნეო კანონთა კოდექსი.

§2.3. ქალი-დედა

1928-1930 წლების საქორწინო, საოჯახო და სამეურნეო კანონთა კოდექსის მეორე კარი აწესრიგებს ქალი-დედის უფლება-მოვალეობას ქორწინებაში და მის მიღმა. 1930-იან წლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხად იქცა მამების მიერ პასუხისმგებლობის აღება და შვილზე ზრუნვა. ამ მიზნით საბჭოთა კავშირის პოლიტიკა, დედას აძლევდა შესაძლებლობას, თავად განეცხადებინა მამის ვინაობა მმაჩის ბიუროში. მამობის დაუდგენლობის შემთხვევაში კი სასამართლო აგვარებდა ამ საკითხს.

კოდექსის მეორე კარის, პირველი თავის მიხედვით დგინდება, რომ ბავშვებს, რომელთა მშობლები არ ყოფილან დაქორწინებული, ისეთივე უფლებები აქვთ, როგორც ქორწინებაში დაბადებულ ბავშვებს“.[214] ვფიქრობთ, ეს ძალიან საინტერესო დეტალია, რომელიც ლეგიტიმაციის პრობლემას აგვარებს და უკანონო თუ კანონიერი ქორწინებიდან დაბადებულ ბავშვებს ერთმანეთთან ათანაბრებს.

31-ე მუხლი კი ქალს ანიჭებდა უფლებას, ქორწინების სტატუსის მიუხედავად ორსულობის განმავლობაში ან მშობიარობიდან 1 თვის ვადაში განცხადება შეეტანა მმაჩის ბიუროში და კონკრეტული პირი დაესახელებინა ბავშვის მამად. ამ ვადის გასვლის შემთხვევაში მამობის დადგენა ხდებოდა სასამართლოს წესით.

იმ შემთხვევაში თუ განცხადებას მხოლოდ დედა წერდა, მმაჩის ადგილობრივი ორგანო ვალდებული იყო, მამისთვის სამი დღის ვადაში ეცნობებინა ფაქტის შესახებ. ხოლო სავარაუდო მამა უწყების მოსვლიდან 1 თვის განმავლობაში ვალდებული იყო დაედასტურებინა ან უარეყო მამობა.[215] თუ მამაკაცი უარს ამბობდა შვილის აღიარებაზე, დედას უფლება ჰქონდა სასამართლოს წესით გამოერკვია საკითხი. ხოლო პირი, რომელიც უწყების მიღების შემდგომ ადასტურებდა ბავშვის მამობას, ვალდებული იყო მონაწილეობა მიეღო ყველა ხარჯში: ორსულობის, მშობიარობის, ბავშვის კვების, გაზრდის და სხვ. ეს პირი ასევე ვალდებული იყო დახმარება

[214] **სსცა,** ფ. 284, აღწ. 1. საქმე 856, ფურც. 4. 1928-1930 წწ. საქორწინო, საოჯახო და სამეურნეო კანონთა კოდექსი.
[215] **სსცა,** ფ. 284, აღწ. 1. საქმე 856, ფურც. 5. 1928-1930 წწ. საქორწინო, საოჯახო და სამეურნეო კანონთა კოდექსი.

აღმოეჩინა დედისთვის ორსულობის დროს და მშობიარობიდან 1 წლის განმავლობაში[216].

ამდენად, კოდექსი კიდევ უფრო შორს მიდიოდა და განმარტავდა, რომ: „თუ სასამართლომ დაადგინა, რომ დედას ბავშვის ჩასახვის დროს სქესობრივი ურთიერთობა ჰქონდა სხვასთანაც, ვინც განცხადებაში იყო მითითებული, სასამართლო ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, მხოლოდ ერთს სცნობს მამად და დააკისრებს ყველა ვალდებულებას, რასაც კოდექსი ითვალისწინებს .[217] ვფიქრობთ, რეალობაში ამ მუხლის განხორციელება საკმაოდ რთული იქნებოდა, ერთი მხრივ, პრაქტიკული თვალსაზრისით - რთული იქნებოდა მამობის დადგენა, მეორე მხრივ, კი კულტურული გარემოს გათვალისწინებით, ხელს შეუწყობდა სტერეოტიპების დამკვიდრებას.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვისაუბროთ რამდენიმე ძირითად ნიშანზე, რომლითაც საბჭოთა ხელისუფლება ქორწინების საკითხს უდგებოდა. პირველი ნიშანი არის ბავშვზე - ახალშობილზე ზრუნვა. ყველა მუხლი მორგებულია სახელმწიფოს ინტერესს, რომ ბავშვი გაიზარდოს ოჯახში, რომელიც ფინანსურად მყარი იქნება. ამ შემთხვევაში ფინანსურ სიმყარეს მამობის დადგენის შემთხვევაში უზრუნველყოფს მამა. იმ შემთხვევაშიც კი თუ მამის საკითხი ბუნდოვანია, სასამართლო უფლებამოსილია დედის სექსუალურ პარტნიორებს შორის ჩაატაროს გამოძიება და შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება. საგულისხმოა, რომ არც ერთ შემთხვევაში არ უშვებს კოდექსი ორი ადამიანის მამად აღიარებას. ასევე, მეორე ნიშანი, რომელიც გამოიკვეთა - ეს არის ფეხმძიმობის, მშობიარობის და ბავშვის გაჩენის შემდეგ ქალზე ზრუნვა. სახელმწიფო ითვალისწინებს დედის მდგომარეობას, რომელიც შესაძლოა ვერ მუშაობდეს ბავშვის გაჩენის შემდგომ, ან არ ჰქონდეს საკმარისი შემოსავალი, ამიტომ 1 წლამდე ვადით მასზე ზრუნვის საკითხი მამის ვალდებულებაა.

---

[216] **სსცა,** ფ. 284, აღწ. 1. საქმე 856, ფურც. 5. 1928-1930 წწ. საქორწინო, საოჯახო და სამეურნეო კანონთა კოდექსი.

[217] **სსცა,** ფ. 284, აღწ. 1. საქმე 856, ფურც. 7. 1928-1930 წწ. საქორწინო, საოჯახო და სამეურნეო კანონთა კოდექსი.

კოდექსის მიხედვით, ბავშვს მშობლების შეთანხმების საფუძველზე შესაძლოა ჰქონოდა მხოლოდ მამის, მხოლოდ დედის ან ორივეს გვარი ერთად. იმ შემთხვევაში კი თუ მამა გაურკვეველია, ბავშვს დედის გვარი ექნებოდა. შესაბამისად, ამ ნაწილშიც, კოდექსი თანაბარ პირობებს უყენებს ორივე სქესს. თუმცა, საინტერესოა ის ფაქტი, რომ დედის გვარზე ბავშვის დაწერა, იმ შემთხვევაში როდესაც ქორწინებაში იმყოფებოდნენ მშობლები, ძალიან იშვიათი გამონაკლისი იყო. ამის ახსნა შესაძლებელია კულტურული გარემოს გავლენით.

39-ე მუხლის მიხედვით, ორივე მშობელი მონაწილეობდა შვილის აღზრდაში. ასევე, ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ: მშობლები ვალდებულები არიან აღზარდონ ბავშვი და მას „მისცენ ისეთი მიმართულება, რაც საბჭოთა სახელმწიფოს მიზნებს შეეფერება“.[218] ამდენად, კანონმდებლობა ცალმხრივად ქალის ვალდებულებად არ მიიჩნევს ბავშვის აღზრდას და მხოლოდ მას არ აკისრებს პასუხიმგებლობას. ერთი შეხედვით, გენდერულად გადანაწილებული როლები არ გვხვდება. თუმცა, რეალურ ცხოვრებაში ეს სხვაგვარად ხორციელდებოდა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ გარდა კანონმდებლობისა, საბჭოთა ხელისუფლება ტოტალიტარიზმის ინსტრუმენტად იყენებდა პროპაგანდას. ხოლო პროპაგანდისტული მანქანა პლაკატების, ლიტერატურის თუ ჟურნალ-გაზეთების დახმარებით ამკვიდრებდა გენდერულად დანაწილებულ როლებს ოჯახში. ასევე, საინტერესოა, რომ კანონმდებლობით არის განსაზღვრული მშობლების ვალდებულება - ისე აღზარდონ შვილი, როგორც საბჭოთა სახელმწიფოსთვის იქნება მისაღები.

კანონის მესამე თავი ეხება შვილად აყვანის საკითხს. გამოიყოფა რამდენიმე ნიშანი. შვილად შესაძლოა აყვანილ იქნას არასრულწლოვანი, ბავშვი. შვილად აყვანისთვის აუცილებელია პირის - მომავალი მშობლის წლოვანება იყოს მინიმუმ 20 წელი. შვილად აყვანა ეკრძალებოდათ რელიგიური წარმომადგენლობის პირებს, ყოფილ პოლიციებს, ქმედითუუნაროებს, და სხვ. [219] სავარაუდოა, რომ საბჭოთა მმართველებს ჰქონდათ შიში, იმ შემთხვევაში თუ ბავშვებს იშვილებდნენ საეკლესიო პირები,

[218] **სსცა,** ფ. 284, აღწ. 1. საქმე 856, ფურც. 7. 1928-1930 წწ. საქორწინო, საოჯახო და სამეურნეო კანონთა კოდექსი.
[219] **სსცა,** ფ. 284, აღწ. 1. საქმე 856, ფურც. 10. 1928-1930 წწ. საქორწინო, საოჯახო და სამეურნეო კანონთა კოდექსი.

ყოფილი პოლიციელები, რომლებიც საბჭოთა კავშირის შექმნამდე მსახურობდნენ - ისინი ბავშვებს აღზრდიდნენ ღირებულებებით, რომლებსაც ებრძოდა საბჭოთა სისტემა. შესაბამისად, კანონში ამ პუნქტის შემოტანა ემსახურება საფრთხისგან თავის არიდებას, რაც თავის თავად ხელს უწყობს საზოგადოების კლასიფიცირებას.

ამ თავში ვისაუბრეთ ქალი-დედის სახეზე, რომელიც კოდექსის მიხედვით არსებობდა. ყველაზე კარგად შემდეგი შემაჯამებელი კოდი მიესადაგება სახელმწიფო საკანონმდებლო პოლიტიკას დედის მიმართ - „დედაზე ზრუნვა პირველი და აუცილებელი მოვალეობაა“. დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსი სსიპ საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც ადგენს მეუღლეების უფლება-მოვალეობებს ქორწინებაში. ჩვენი კვლევისთვის კი დამატებით ღირებულებას იძენს და შესაძლებლობას გვაძლევს ვისაუბროთ კანონის წინაშე მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის შესახებ. გარდა ამისა, კოდექსის მიხედვით, შესაძლებელი გახდა ქალის ორი როლური სახის - ქალი მეუღლისა და ქალი დედის გამოკვეთა. ორივე მათგანის უფლებებს და მოვალეობებს ამტკიცებს კოდექსი და რიგ შემთხვევაში უზრუნველყოფს ქალების უფლებების დაცვას, ზრუნავს დედაზე ორსულობის დროს და ბავშვის გაჩენის შემდგომ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში ყოველდღიური მაგალითები განსხვავდებოდა კანონმდებლობით დამკვიდრებული ნორმებისგან და მხოლოდ ფურცელზე რჩებოდა.

§2.4. 1936 წლის 27 ივნისის N65 დადგენილება „აბორტის აკრძალვის შესახებ“ და შეცვლილი ქალთა სტატუსი

1920-იან წლებში ბოლშევიკები ოჯახის ინსტიტუტს ბურჟუაზიულ და პატრიარქატის გადმონაშთად მიიჩნევდნენ. მაშინ როცა საბჭოთა რუსეთში თავისუფალი, დაურეგისტრირებელი ქორწინებები ჩვეულებრივი მოვლენა იყო, საბჭოთა რუსეთში ქორწინების რეგისტრაცია სავალდებულო გახდა. 1920-იანი წლების ბოლოს ბოლშევიკებს შორის დამკვიდრდა შეხედულება ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ. ქალებისთვის მხოლოდ დიასახლისობა აღარ იყო საკმარისი და სირცხვილად ითვლებოდა. ზოგიერთი ენთუზიასტი (მათ შორის, ა. კოლონტაი)

1920-იან წლებში ფიქრობდა, რომ ბავშვები სახელმწიფოს უნდა აღეზარდა, მაგრამ ამ რადიკალიზმს არ იზიარებდა მთავრობა, მათ შორის არც ლენინი, რომელიც უფრო კონსერვატორული შეხედულების იყო[220]. 1930-იან წლებში საბჭოთა სახელმწიფომ დაიწყო შობადობის და ოჯახის გაძლიერების კამპანია. ამის შედეგი იყო სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1936 წლის 27 ივნისის N65 დადგენილება „აბორტის აკრძალვის, მშობიარეთათვის მატერიალური დახმარების გაუმჯობესების, მრავალშვილიანი მშობლების სახელმწიფო მხარდაჭერის დაწესების, სამშობიარო სახლების, საბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების ქსელის გაფართოების, ალიმენტის გადაუხდელობისთვის სისხლის სამართლებრივი სასჯელის გამკაცრებისა და განქორწინების კანონმდებლობაში გარკვეული ცვლილებების შესახებ“, რომელიც რეალურად წარმოადგენდა დადგენილებას აბორტის აკრძალვის შესახებ[221]. 1930-იან წლებში დაიწყო განქორწინების პროცესის გართულება, მრავალშვილიანი დედების დაჯილდოება, უპასუხისმგებლო მამების და ქმრების სტიგმატიზირება, მშობლების ავტორიტეტის დამკვიდრება სკოლის დახმარებით და სხვ. მართალია 1930-იან წლებში ქალთა ემანსიპაციამ წარმატებით იმუშავა: გაიზარდა განათლების მაჩვენებელი, სოციალური სერვისები გაუმჯობესდა, ქალთა აქტივობა - საჯარო ინსტიტუტებში გაიზარდა, პოლიტიკურ თუ კულტურულ ცვლილებებში ქალებიც ჩართულნი აღმოჩნდნენ. მიუხედავად ამისა, ქალების დიდი ნაწილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით[222] მამაკაცებთან შედარებით დაბალ ხელფასს იღებდა და წამყვან პოზიციებზეც იშვიათად ჩნდებოდნენ. ბოლშევიკების მიერ შექმნილი ქალის კულტი აერთიანებდა ფემინურობას და ოჯახურ ცხოვრებას. ქალები საზოგადოების თანასწორი წევრები გახდნენ, მაგრამ ამასთან ისინი უნდა ყოფილიყვნენ მხარდამჭერი ცოლები და თავგანწირული დედები. ამ მიზეზების გამო 1930-იანი წლები ბევრი ქალისთვის მძიმე გადასატანი აღმოჩნდა. ქალაქად მცხოვრები ქალები იტანჯებოდნენ დაბალი ხელფასით, სახიფათო სამუშაო პირობებით, არათანასწორი სოციალური სერვისით, პროდუქტების ნაკლებობით და

---

[220] **Sheila Fitzpatrick**. *Everyday Stalinism* (Oxford: Oxford University Press, 1999), 142

[221] Постановление Центрального Исполнительного Комитета и Совета Народных Комиссаров. О запрещении абортов, увеличении материальной помощи роженицам,... 27 июня 1936 г. № 65/1134 // Опубликовано в № 149 Известий ЦИК Союза ССР и ВЦИК от 28 июня 1936 г. Постановление Центрального Исполнительного Комитета [ბოლო ვიზიტი 19.02.2025].

[222]**Clements**, *A History of Women in Russia, 242.*

გადატვირთული საცხოვრებლებით. ამისგან განსხვავებით, სოფლად, კოლმეურნე ქალები კოლექტივიზაციის „მსხვერპლად“ იქცნენ და სოფლის მეურნეობის მშენებლობაში ჩაერთვნენ[223], მათი პასუხისმგებლობა გაორმაგდა.

დადგენილების მიღებამდე გაზეთ „პრავდაში“ დაიბეჭდა კანონპროექტი აბორტის აკრძალვის შესახებ. ამ თავის მიზანია, გამოკვეთოს 1936 წლის 26 მაისს გაზეთ „პრავდაში“ დაბეჭდილი კანონპროექტის მნიშვნელობა საბჭოთა ქალებისთვის და იმსჯელოს აბორტის წინააღმდეგ დაწყებული კამპანიის შესახებ[224]. 1936 წელს კონსტიტუციაში შეტანილმა ცვლილებამ აბორტის აკრძალვის შესახებ დიდი გავლენა იქონია ქალთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ამიტომ, ეს თარიღი საბჭოთა კავშირის ისტორიაში ქალთა სტატუსის კვლევისას გარდამტეხი მნიშვნელობისაა. 1936 წლის შემდგომ თანდათან ნიადაგი მზადდებოდა მსოფლიო ომისთვის. შესაბამისად, საბჭოთა ლიდერისთვის თანდათან უფრო მეტ მნიშვნელობას იძენდა დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესების საკითხი ქვეყნის შიგნით. აბორტის აკრძალვის ერთ-ერთ გამართლებად სწორედ დემოგრაფიული ვარდნა მიიჩნეოდა.

ვფიქრობთ, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, საინტერესოა განვიხილოთ 1936 წლის კანონპროექტი, რომელიც კომიტეტის 1936 წლის 27 ივნისის N65 დადგენილების საფუძველი გახდა. კანონის განხილვისას გამოვყავით სამი კითხვა და ამის მიხედვით, საკითხი დავყავით სამ კატეგორიად, თითოეულ კატეგორიას მივანიჭეთ შემაჯამებელი კოდი და დავახასიათეთ: 1. როგორ ეხმარება სახელმწიფო მომავალ დედას, რათა მას არ გაუჩნდეს აბორტის გაკეთების სურვილი. ამ კითხვით კოდირება შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად - სახელმწიფოს როლი. 2. კანონის მიხედვით, ვინ შეიძლება იყოს გმირი დედა? კოდირების შედეგად ამოსავალი სიტყვებია - დედობა გმირობის ტოლფასია 3. კანონის მიხედვით, რა როლი აქვთ გარშემომყოფებს, რომლებიც მომავალი დედის ირგვლივ არიან თავმოყრილი. კოდირების მიხედვით, ეს კატეგორია აქცენტს აკეთებს გარშემომყოფების პასუხიმგებლობაზე. მომდევნო ქვეთავებში ვეცდებით პასუხი გავცეთ სამივე შეკითხვას.

---

[223]**Clements**, *A History of Women in Russia, 241.*

[224] შენიშვნა: მოგვიანებით კანონპროექტი კანონად იქცა.

§2.5. სახელმწიფოს როლი და კანონი აბორტის აკრძალვის შესახებ

1936 წლის 27 ივნისს გამოქვეყნებულ 1936 წლის 27 ივნისის N65 დადგენილებას „აბორტის აკრძალვის შესახებ“ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ქალების მომავლისთვის. დადგენილება ცვლიდა 1920 წელს მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვით საბჭოთა რუსეთი პირველი სახელმწიფო გახდა მსოფლიოში, რომელშიც აბორტი დაკანონებული გახდა. 1920 წლის ნოემბერში ჯანდაცვის სახალხო კომისარიატმა აბორტის დაკანონება ამცნო ფართო საზოგადოებას. კანონის მიხედვით, აბორტის გაკეთების უფლება მხოლოდ და მხოლოდ ექიმს ჰქონდა. ბებიაქალებს, რომლებიც სოფლად ხშირად ითავსებდნენ ამ ფუნქციას, ჩამოერთვათ აბორტის გაკეთების უფლება, ხოლო ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, ისინი კანონის წინაშე დაისჯებოდნენ.[225] ჟურნალებში იწერებოდა, რომ აბორტის დაკანონება გაზრდიდა მათ რიცხვს. ამ აზრის კონტრარგუმენტად გამოყენებული იყო შემდეგი ჰიპოთეზა: თავისუფალი აბორტი კი არ გაზრდის მათ რიცხვს, არამედ უზრუნველყოფს ორსული პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილურობას, ვინაიდან ოპერაცია ჩატარდება გამოცდილი ექიმის მიერ და საფრთხე არ შეექმნება პაციენტის სიცოცხლეს. თუმცა, აბორტის დაკანონება დროებით მოვლენად მიიჩნეოდა. ბოლშევიკები ფიქრობდნენ, რომ როდესაც სოციალიზმის მშენებლობის გზაზე გაუმჯობესდებოდა ქალთა მდგომარეობა და დედებს ექნებოდათ საკმარისი საკვები, სამედიცინო მომსახურება თუ ბავშვთა მოვლის საშუალებები, ისინი თავად იტყოდნენ უარს აბორტზე.

ამდენად, სახელმწიფომ, მართალია, მსოფლიოში პირველად, ქალებს მისცა არჩევანის თავისუფლება და შესაძლებლობა, თავად განესაზღვრათ თავიანთი მომავალი, მიუხედავად ამისა, აბორტი, როგორც ქალის უფლება, არ განიხილებოდა. ახალი დეკრეტი აბორტს „ბოროტებას“ უწოდებდა და მიესალმებოდა ფართო ფენებში აგიტაციას მის წინააღმდეგ.[226] ბოლშევიკები თვლიდნენ, რომ მას შემდეგ, რაც ქალების სოციალური მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა, ისინი თანდათან თვითონვე იტყოდნენ უარს აბორტის გაკეთებაზე და აღარ შეეშინდებოდათ დედობის. ამდენად,

[225] **Goldman,** *Women, the State and Revolution,* 255.
[226] **Goldman**, *Women, the State and Revolution,* 256.

მომავალში ფეხმძიმობა უნდა გამხდარიყო მხოლოდ და მხოლოდ ბედნიერების ნიშანი და არა წუხილის მიზეზი. „აბორტი – როგორც მასობრივი ფენომენი, დაკარგავდა საკუთარ როლს მომავალში“.[227] უნდა ითქვას, რომ ეს დაშვება ჰიპოთეტური ხასიათის იყო და არ ითვალისწინებდა გარემო ფაქტორს, რომელიც ქალებს აიძულებდა მიეღოთ აბორტის გადაწყვეტილება, ასევე, უარყოფდა აბორტის გაკეთებას, როგორც ქალთა უფლებას.

ალექსანდრა კოლონტაი, ქალთა უფლებების აქტიური დამცველი, იზიარებდა ამ პათოსს. საინტერესოა, რა იდგა ბოლშევიკების ამგვარი დამოკიდებულების მიღმა? ბოლშევიკების უმეტესობას, მათ შორის ა. კოლონტაის, სწამდათ რომ „დედობა არ არის პირადი საქმე“.[228] მასაც სჯეროდა, რომ აბორტი გაქრებოდა მას შემდეგ, რაც სახელმწიფო შექმნიდა ბავშვთა ზრუნვის ძლიერ ინსტიტუტს, ქალები კი, თავის მხრივ, გაიაზრებდნენ „ბავშვის გაჩენას, როგორც საზოგადოებრივ ვალდებულებას“.[229] 1936 წელს გამოქვეყნებული კანონპროექტი, სწორედ ამ დაშვებას ეყრდნობოდა და მკითხველს აცნობდა, რომ როგორც ჩაფიქრებული იყო, დადგა დრო როდესაც ქალებს შეეძლოთ იმდენი შვილის გაჩენა, რამდენის შესაძლებლობაც მიეცემოდათ. შესაბამისად, აბორტის ლეგალიზებული სახით არსებობის საჭიროება აღარ იყო.

1936 წლის 26 მაისს „პრავდაში“ გამოქვეყნებული სტატია ასე იწყებოდა: „ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მისცა საწყისი კლასობრივი ექსპლუატაციის მოსპობას, თვითონ კლასების მოსპობას. ამავდროულად, დაიწყო ქალების სრული და საბოლოო გათავისუფლება. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ქალი არ სარგებლობს ისეთი სრული თანაბარუფლებიანობით, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორც საბჭოთა კავშირში.“[230] დასაწყისიდანვე განმარტებული იყო არსებული რეალობა, რომლის მიხედვით კომუნიზმი თავისი არსით განხორციელდა საბჭოთა კავშირში და ამან გავლენა იქონია ქალებზე. ქალები იქცნენ წამყვან ძალად საბჭოთა სახელმწიფოებში. სწორედ ამ დაშვებიდან გამომდინარეობს კანონის მიზანი - ქალებისთვის დაკისრებული ვალდებულების (დედობის) შესრულების შესახებ.

---

[227] **Goldman**, *Women, the State and Revolution,* 256.
[228] **Goldman**, *Women, the State and Revolution,* 256.
[229] **Goldman**, *Women, the State and Revolution,* 257.
[230] „აბორტის აკრძალვის და დედათა დახმარების გაზრდის პროექტი“, *გაზ. „პრავდა“* N143 (6749) (1936 წლის 26 მაისი): 1.

სტატია ასევე აცნობდა მკითხველს, რომ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ქალი, როგორც დედა და მოქალაქე, რომელსაც აქვს საპასუხისმგებლო ვალდებულება - გააჩინოს და აღზარდოს საბჭოთა მოქალაქე, ისეთი პატივისცემით არ სარგებლობს, როგორც ეს საბჭოთა კავშირში ხდება. შესაბამისად, ავტორებს სურთ, დაარწმუნონ მკითხველი, რომ 1936 წლისთვის საბჭოთა კავშირმა მიაღწია ისეთ სამოქალაქო საზოგადოებას, რომელშიც ქალის როლი და დანიშნულება გარკვეულია და სახელმწიფო იცავს ქალებს.

საინტერესოა, რომ ავტორი ასახელებს რამდენიმე მიზეზს, რის გამოც აქამდე ქალები სრულად ვერ სარგებლობდნენ შვილის გაჩენისა და აღზრდის უფლებით. მიზეზებს შორის დასახელებულია: სამოქალაქო ომი, შეიარაღებული ინტერვენციის გამო ეკონომიკური კრიზისი და რევოლუციამდელი ეპოქის გამოყოლილი შეხედულებები - არასაკმარისი კულტურის დონე ქალებში - ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზები მიიჩნევა ქალების შვილის გაჩენის შეზღუდვის მიზეზებად. მათ შორის, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის და იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ აბორტის დაკანონება 1920 წლის 18 ნოემბრიდან განხილულია როგორც დროებითი გარემოება, რომელიც გამოიწვია „წარსულის მორალურმა გადმონაშთებმა“ და „აწმყოს მძიმე ეკონომიკურმა პირობებმა“[231]. შესაბამისად, სახელმწიფო თავის ვალდებულებად მიიჩნევდა გაეუმჯობესებინა მოცემულობა და ამის შემდეგ აეკრძალა აბორტი. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა 1936 წელს მიღებული დადგენილება. როგორც აღვნიშნეთ, მიიჩნეოდა რომ საბჭოთა სახელმწიფომ მიაღწია განვითარების დონეს, რომლის ფარგლებში დაიძლია როგორც წარსულის „გადმონაშთები“ (იგულისხმება სოციალურ-კულტურული გარემოებები), ასევე, აწმყოს „ეკონომიკური პირობები“.

ისეთი სახელმწიფო, როგორიც სსრკ იყო, გენდერული პოლიტიკის განსაზღვრისას, ამოსავალ წერტილად მოიაზრებდა ლენინისეულ მოსაზრებას. ამიტომ, სტატიაში გამოყენებულია მისი მოსაზრება აბორტის შესახებ - აბორტის, როგორც სოციალური

[231] „აბორტის აკრძალვის და დედათა დახმარების გაზრდის პროექტი“, *გაზ. „პრავდა“* N143 (6749) (1936 წლის 26 მაისი): 1.

ბოროტების საწინააღმდეგოდ[232]. ლენინი თვლიდა, რომ არასაკმარისი იყო მხოლოდ აბორტის აკრძალვის კანონი. ის მიუთითებდა, რომ კაპიტალიზმის პირობებში, ეს კანონები ასახავენ „გაბატონებული კლასების თვალთმაქცობას რადგან ისინი არ მკურნალობენ კაპიტალიზმის ტკივილს არამედ აქცევენ მას ავთვისებიანად ჩაგრული მასებისთვის.“[233] შესაბამისად, მიიჩნეოდა რომ სოციალიზმის პირობებში, „კაპიტალიზმის ექსპლუატაციისგან“ დაცლილ სამყაროში შესაძლებელი იყო ქალი ყოფილიყო საზოგადოების სრულყოფილი წევრი. ამდენად, მთავრობის პოზიცია გულისხმობდა სათანადო პირობების შექმნას ქალთა კეთილდღეობის მიზნით, რათა მათ აბორტი აღარ „დასჭირვებოდათ“. თუმცა, ამ პათოსს არ იზიარებდა ლევ ტროცკი, რომელიც 1936 წელს გამოქვეყნებულ წერილში „რევოლუციის ღალატი“ აკრიტიკებდა სტალინის მმართველობას. მათ შორის სტალინის შეხედულებას „ქალთა საკითხის“ გადაწყვეტის შესახებ. ტროცკი მიიჩნევდა, რომ საბჭოთა ქალი „ჯერ არ არის თავისუფალი“..[234] „სანამ საზოგადოებას არ ექნება შესაძლებლობა, საკუთარ თავზე აიღოს ოჯახზე მატერიალური ზრუნვის საკითხი, დედა ვერ შეძლებს წარმატებით შეასრულოს სოციალური ფუნქცია, გარდა იმ შემთხვევაში, თუ მის სამსახურში იქნებიან თეთრი მონები: ძიძა, მოსამსახურე, მზარეული და ა.შ[235].“ ამ ნაწილში ტროცკი იზიარებდა მარქსის შეხედულებას, რომლის მიხედვით სახლის საქმე „ანტიკური მონობის“ ფორმა იყო[236]. ამ საკითხთან დაკავშირებით, მკვლევარი ალისა კლოთი მიიჩნევს, რომ 1930-იან წლებში საბჭოთა პოლიტიკა ქალთა საკითხისადმი პარადოქსული იყო:[237] ერთი მხრივ, ქალებს აძლევდა იმედს, რომ „მზარეული ქალიც შეძლებდა ემართა ქვეყანა[238]“, მეორე მხრივ, კი გაზრდილი ზეწოლა საზოგადოებისგან, რომელიც „კულტურულ“ ცხოვრებას ამკვიდრებდა, ქალებისგან მოითხოვდა უფრო მეტად ყოფილიყვნენ საოჯახო საქმეებში ჩართულნი.

---

[232] „აბორტის აკრძალვის და დედათა დახმარების გაზრდის პროექტი“, *გაზ. „პრავდა“* N143 (6749) (1936 წლის 26 მაისი): 1.

[233] „აბორტის აკრძალვის და დედათა დახმარების გაზრდის პროექტი“, *გაზ. „პრავდა“* N143 (6749) (1936 წლის 26 მაისი): 1.

[234] **Trotsky**, *The Revolution Betrayed*.

[235] **Trotsky**, *The Revolution Betrayed*.

[236] **Karl Marx**, *Capital: A Critical Analysis of Capitalist Production* (London: Swan Sonnenschein and Co., Ltd, 1906), 448.

[237] **Alissa Klots**. "The Kitchen Maid as Revolutionary Symbol: Paid Domestic Labour and the Emancipation of Soviet Women," in *Women and Gender in Twentieth Century Russia*, ed. Melanie Ilic (Palgrave Macmillan, 2008), 97.

[238] **Lenin,** “Can the Bolsheviks Retain State Power?”

შესაბამისად, 1920-იან წლებში დამკვიდრებული დისკურსი საოჯახო საქმის ანაზღაურებად შრომად გადაქცევის შესახებ თანდათან გაუფერულდა, ხოლო ომის დასრულების შემდგომ საერთოდ გაქრა[239].

„პრავდაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ჩამოთვლილია მიმართულებები, რომლებშიც სახელმწიფოს ჩართვა აუცილებელია, რათა ქალებმა შეძლონ და უარი თქვან აბორტზე. ესენია: დედების და მათი შვილების მატერიალური უზრუნველყოფა, მრავალშვილიანი ოჯახების სახელმწიფოს მიერ დაცვა, სამშობიარო სახლების, ბავშვთა ბაგა-ბაღების ქსელის განვითარება, მინიმალური თანხის განსაზღვრა, რომლის გადახდის ვალდებულებაც აქვს მამას ბავშვის შენახვის მიზნით, ასევე, დადგენილება, რომელიც უზრუნველყოფს მყარ ოჯახს და არ მისცემს საშუალებს ოჯახისადმი „თავქარიანი დამოკიდებულება“ ჰქონდეს რომელიმე მეუღლეს. ყველა ჩამოთვლილი მიზეზი განმარტებულია როგორც აბორტის საწინააღმდეგო ქმედება, რომლის კონტროლი სახელმწიფოს ხელშია. შესაბამისად, ამ პასაჟში განსაკუთრებით ჩანს, როგორ ხედავს საბჭოთა სახელმწიფო საკუთარ როლს აბორტის წინააღდეგ ბრძოლაში. საგულისხმოა, რომ სტატია გამორიცხავს ქალების პირად სურვილს, არ გააჩინონ შვილი იმ შემთხვევაში, თუ ყველა პირობა აქვთ მათ ამისთვის. სტატია იზიარებს პათოსს, რომ ყველა ქალი უნდა იყოს დედა და თუ უარს ამბობს ამაზე, ეს გარემოებების გამო ხდება. სწორედ გარემოებების ცვლილება აიღო საკუთარ ვალდებულებად საბჭოთა ხელისუფლებამ. ამ მიზნით გატარდა ცვლილება კანონშიც და შეიცვალა ქორწინების წესი.

1920-იანი წლები მთლიანად დაეთმო ბაგა-ბაღების მშენებლობას და საზოგადოებაში ბავშვების ბაღში სიარულის კულტურის დამკვიდრებას. თავის მხრივ, სახელმწიფომ დაიწყო რეგიონებში დედათა და ბავშვთა სახლების მშენებლობა, რომლის მიზანი იყო ერთი - თეორიული ცოდნის მიცემა დედებისთვის - ორსულობისა და შემდეგ უკვე ახალდაბადებული ბავშვის მოვლის შესახებ, მეორე მიზანი კი იყო ახალბედა დედების მომზადება დედობისთვის. დედათა და ბავშვთა სახლები წარმოადგენდა სივრცეს, სადაც დედები ეცნობოდნენ ინფორმაციას ბავშვების აღზრდის, მოვლის შესახებ. 1936 წლისთვის კი კანონპროექტის ავტორის აზრით, მიიჩნეოდა რომ საბჭოთა საზოგადოება მზად იყო აბორტის აკრძალვა ბუნებრივ მოცემულობად

[239] **Klots**, "The Kitchen Maid as Revolutionary Symbol," 97.

მიეღო. გაზეთ „პრავდაში“ კანონპროექტის გამოქვეყნების შემდეგ, დაიწყო კანონპროექტის განხილვა რესპუბლიკებში, რაიონულ ცენტრებში. ამას მოწმობს საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული მასალა, რომელიც 1936 წლის 20 ივნისით თარიღდება. საარქივო მასალის მიხედვით, თბილისში ჩატარდა შეხვედრა კანონპროექტის „მშრომელთათვის ფართო გასაცნობად[240]“. როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, იმისთვის რომ მოსახლეობას მიეღო აღნიშნული პროექტისადმი, თბილისში კრების მოწვევას წინ უძღოდა რეგიონებში „კანონპროექტის ხმამაღლა კითხვა და წინადადებათა შეგროვება“[241]. როგორც ჩანს, მთავრობას ჰქონდა მოლოდინი, რომ პროექტი უარყოფითად განაწყობდა საზოგადოებას და წინასწარ ამზადებდა მათ.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ 1936 წლის კანონპროექტში კოდირების შედეგად, შეიძლება ცალკე გამოვყოთ სახელმწიფოს როლი აბორტის მაჩვენებლის შესამცირებლად. 1936 წლის კანონპროექტი სახელმწიფოს პასუხისმგებლობად მიიჩნევს აბორტის მაჩვენებელის ცვლილებას წლიდან წლამდე, შესაბამისად, თავისი პასუხიმგებლობის ფარგლებში გეგმავს სხვადასხვა ტიპის კამპანიებს, რათა შემცირდეს აბორტის რაოდენობა. როდესაც ვახასიათებთ სახელმწიფოს როლს 1936 წლის კანონპროექტის მიხედვით, პირველ რიგში, ცალსახაა, რომ სახელმწიფო არის გადაწყვეტილების მიმღები და აბორტი არალეგალური ხდება, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფო ცდილობს შექმნას გარკვეული განწყობა მოსახლეობაში, ამისთვის კი იყენებს პროპაგანდის საშუალებებს. ამასთან, გარდა საზოგადოებრივი განწყობისა, სახელმწიფო იღებს გარკვეულ ზომებს (ბაგა-ბაღების[242], სამშობიარო სახლების მშენებლობა, გადასამზადებელი კურსები ქალებისთვის და სხვ.), რათა უზრუნველყოს დედების და ბავშვების მდგომარეობის გაუმჯობესება. ვინაიდან კვლევის მიზანი არის სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზი, ძნელია ვისაუბროთ რამდენად სრულდებოდა ის პრაქტიკულად. ან რა ტიპის ცვლილებებს იწვევდა სახელმწიფოს მიერ ჩატარებული კამპანიები. თუმცა, აბორტის აკრძალვის შემდეგ, აბორტი არ გამქრალა, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ არაკანონიერად, მაგრამ მაინც იკეთებდნენ ქალები აბორტს. შესაბამისად, ეს ეწინააღმდეგება დაშვებას, რომ

[240] **სსცა,** ფ. 284, აღწ. 1. საქმე 3032, ფურც. 3.
[241] **სსცა,** ფ. 284, აღწ. 1. საქმე 3032, ფურც. 4.
[242] **სსცა,** ფ. 600, აღწ. 1. საქმე 7213, ფურც. 81.

საბჭოთა სახელმწიფოში შექმნილი იყო პირობები, რომლებიც ქალებს აბორტის გაკეთების სურვილს დაუკარგავდა.

§2.6. რა როლი აქვთ გარშემომყოფებს, რომლებიც მომავალი დედის ირგვლივ არიან თავმოყრილი?

საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანა ამკვიდრებდა შეხედულებას, რომლის მიხედვით დედა თავად არასდროს გაიკეთებს აბორტს, მას გარემო პირობები ან გარშემომყოფები „აიძულებენ" რომ მიმართოს ამ გზას. შესაბამისად, სახელმწიფო მიიჩნევდა, რომ მათ უნდა შეექმნათ ყველა პირობა, რათა დედებს აბორტის გაკეთების სურვილი არ ჰქონოდათ. ეს გულისხმობდა ქვეყნის აღჭურვას შესაბამისი ინფრასტრუქტურული ერთეულებით: კლინიკები, ბაგა-ბაღები, სარძევე დაწესებულებები[243] და სხვ. ამასთან, სახელმწიფო უზრუნველყოფდა კადრების გადამზადებას. გარდა ამისა, საჭიროდ მიიჩნეოდა სწორად წარმოებული პროპაგანდა, რომ მოსახლეობაში დამკვიდრებულიყო ახალი ღირებულებები. ვინაიდან ღირებულებათა სისტემის ფორმირება რთული პროცესია და დიდ დროს მოითხოვს, მანამდე საბჭოთა ხელისუფლებამ ინიცირება გაუკეთა ახალ პროექტს, რომელიც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის წინაშე აყენებდა ყველას, ვინც მეტ-ნაკლებად დაკავშირებული იყო აბორტთან. კანონი ძალიან მკაცრად ექცეოდა ყველას, დედის გარდა. დედის შემთხვევაში საბჭოთა მთავრობა მორალური დამცირების ფორმას ირჩევდა. შესაბამისად, ამ კუთხით „პრავდაში" დაბეჭდილი საკანონმდებლო პროექტი მრავალმხრივ საინტერესოა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საბჭოთა საზოგადოებაში ორმაგი მორალური სტანდარტი არსებობდა და ის განსაკუთრებით მკაცრი იყო ქალთა მიმართ: ერთი მხრივ, თუ მამაკაცები, რომელთაც სექსუალური გამოცდილება არ ჰქონდათ დაცინვის ობიექტი ხდებოდნენ, ქალები,

[243] შენიშვნა: ამ ტიპის დაწესებულებებში დედებს, რომელთაც არ ჰქონდათ საკმარისი რძე ეხმარებოდნენ და ასწავლიდნენ როგორ გამოეკვებათ ახალშობილი (ავტ. ნ. მანველიშვილი).

რომელთაც მოუწესრიგებელი სექსუალური ცხოვრება ჰქონდათ საზოგადოებისგან შევიწროებულნი იყვნენ და იტანჯებოდნენ[244].

„პრავდაში“ დაბეჭდილი კანონპროექტი ითვალისწინებდა აბორტის აკრძალვას ყველგან: როგორც საავადმყოფოებში, ისე ექიმებთან სახლში და ორსულებთან კერძო სახლებში ვიზიტის დროს. აბორტი დასაშვები იყო მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, თუ ორსულის ჯანმრთელობა იდგა საფრთხის ქვეშ. ის ექიმი, რომელიც არ დაემორჩილებოდა აღნიშნულ წესს, დაისჯებოდა სისხლის სამართლის კოდექსით, რაც ითვალისწინებდა ერთიდან ორ წლამდე პატიმრობას, ხოლო თუ აბორტი ჩატარდებოდა სანიტარიის ნორმების დაცვის გარეშე, არა სპეციალიზებულ სამედიცინო პირობებში, ექიმის თავისუფლების აღკვეთის ვადა იყო არანაკლებ 3 წელი. სავარაუდოდ, ეს სხვაობა განპირობებული იყო შედეგით: არასპეციალიზებულ სამედიცინო პირობებში ჩატარებული ოპერაციის შემდგომ, გართულების მეტი შანსი იყო, რაც მომავალში დედის გართულებული ფიზიკური მდგომარეობის მიზეზი შეიძლება გამხდარიყო. საინტერესოა, რომ ბოლშევიკური პროპაგანდა ხშირად საუბრობდა ორსულის გარშემომყოფთა როლზე აბორტის გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ბოლშევიკები მიიჩნევდნენ, რომ ქალებს თავიანთი სურვილით აბორტის გაკეთება არასდროს უნდათ, მამაკაცები ან სხვა გარშემომყოფები აიძულებენ და ითანხმებენ დედებს. სწორედ ამიტომ, კანონში ცვლილება შეეხო გარშემო მყოფებსაც, აბორტის დაძალების შემთხვევაში დაწესდა სისხლის სამართლის სასჯელი - 2 წლამდე პატიმრობა. საინტერესოა, რომ კანონი ყველაზე ნაკლებად ორსულ ქალს სჯიდა აბორტის გამო. პირველი აბორტის შემთხვევაში ქალის მორალური შერცხვენა - საზოგადოებრივი განკიცხვა ხდებოდა, ხოლო განმეორებითი ქმედების შემთხვევაში - 300 მანეთით დაჯარიმება. [245]

სახელმწიფო აბორტის გაუქმების შემდეგ შეეცადა მეტ-ნაკლებად გაემარტივებინა ახალშობილთან დაკავშირებული ხარჯები ოჯახისთვის. მაგალითისთვის, კანონპროექტის მიხედვით, მშობიარის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ის სოციალური დაზღვევით უნდა ყოფილიყო დაზღვეული.

---

[244] **Elizabeth Waters**, "Victim or Villain? Prostitution in Post-Revolutionary Russia," in *Women and Society in Russia and the Soviet Union*, ed. Linda Edmondson (Cambridge University Press, 1992), 170.

[245] „აბორტის აკრძალვის და დედათა დახმარების გაზრდის პროექტი“, *გაზ. „პრავდა“* N143 (6749) (1936 წლის 26 მაისი): 1.

ამასთან, სახელმწიფო სოციალური დაზღვევა ახალშობილის მოვლის საშუალებებისთვის 32 მანეთიდან გაიზარდა 45 მანეთამდე. ასევე, გაიზარდა სახელმწიფოს დახმარება ბავშვის კვებისთვის. მანამდე დახმარება ითვალისწინებდა თვეში 5 მანეთს, 1936 წლიდან კი კანონპროექტი ითვალისწინებდა 10 მანეთს - თვეში. საინტერესოა, რომ მათ ვინც არ სარგებლობდა დაზღვევით, სახელმწიფო იმავე პირობებს სთავაზობდა. ფაქტობრივად, ბავშვზე გაცემული დახმარების გაორმაგება მოხდა, რასაც უნდა უზრუნველეყო დემოგრაფიული პრობლემის გამოსწორება.

ამასთან, კანონი განსაზღვრავდა დეკრეტული შვებულების ხანგრძლივობას - მშობიარობამდე 56 დღე და მშობიარობის შემდგომ 56 დღის ხანგრძლივობით[246]. ამ პერიოდით სარგებლობის უფლება ჰქონდა ქალს, რომელიც დასაქმებული იყო. გარდა უშუალოდ ორსული ქალისა, ცვლილება შეეხო დასაქმების სექტორსაც. რადგან აღნიშნული ცვლილებების მიზანი იყო აბორტის შემცირება და დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესება, მნიშვნელოვანი იყო დამსაქმებელ შემზადებული შეხვედროდა ამ ფაქტს. ამიტომ, კანონი ავალდებულებდა დამსაქმებელს, ორსულობის მოტივით უარი არ ეთქვა ქალის სამსახურში აყვანის თაობაზე, ასევე, იკრძალებოდა ხელფასის დაქვითვა იმავე მოტივით. გარდა ამისა, კანონი ავალდებულებდა დამსაქმებელს, გადაეყვანა ორსული მსუბუქ სამუშაოზე, ხელფასის შენარჩუნებით, ბოლო 6 თვის განმავლობაში.[247] ყველა ჩამოთვლილი ცვლილების: დეკრეტული შვებულება, ორსულობის მოტივით ქალების სამსახურში აყვანაზე უარის ართქმა, ხელფასის შენარჩუნება და მსუბუქი სამუშაო - მიზანი იყო საზოგადოებაში ბავშვის გაჩენის საწინააღმდეგოდ არსებული დაბრკოლებების დაძლევა. ხშირად ქალები, რომლებიც სამსახურის დაკარგვის საფრთხის წინაშე იდგნენ, არჩევდნენ აბორტი გაეკეთებინათ. ასევე, სახელმწიფო უფრთხილდებოდა ორსულ ქალს და შესაბამისად, დამსაქმებელს ავალდებულებდა ორსული ქალი ზედმეტად არ დაეტვირთა. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ვსაუბრობთ კანონით დამკვიდრებულ წესებზე. თუმცა, რეალურად რამდენად სრულდებოდა

[246] „აბორტის აკრძალვის და დედათა დახმარების გაზრდის პროექტი“, *გაზ. „პრავდა“* N143 (6749) (1936 წლის 26 მაისი): 1.
[247] „აბორტის აკრძალვის და დედათა დახმარების გაზრდის პროექტი“, *გაზ. „პრავდა“* N143 (6749) (1936 წლის 26 მაისი): 1.

ახლად შემოღებული რეგულაციები, ცალკე კვლევის საგანია და მოსახლეობის გამოცდილებას ეყრდნობა.

როგორც აღვნიშნეთ, კანონპროექტი დიდ ყურადღებას აქცევს გარშემომყოფებს, რომელიც უშუალოდ ორსულთან არიან დაკავშირებული. ამასთან, კანონი ახალისებს უშუალოდ დედებსაც. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ცვლილებებისა, კანონი აწესებდა სპეციალურ ჯილდოს მრავალშვილიანი დედებისთვის. შვიდი შვილის დედას ყოველი შემდგომი შვილის დაბადებისას წელიწადში 2000 მანეთი დაერიცხებოდა, ბავშვის დაბადებიდან 5 წლის განმავლობაში, ხოლო 11 შვილის დედას, ყოველ შემდგომ შვილზე 5000 მანეთი გადაეცემოდა და ბავშვის დაბადების მეორე წლიდან ყოველწლიურად 3000 მანეთი 4 წლის განმავლობაში. [248] აღსანიშნავია, რომ კანონი მრავალშვილიან დედად თვლის შვიდი და მეტი შვილის გამჩენ დედას. დარიცხული თანხა კი შესაძლოა საზოგადოების ნაწილისთვის მიმზიდველი ყოფილიყო, საბჭოთა ხელფასების გათვალისწინებით.

როგორც აღვნიშნეთ, საბჭოთა ხელისუფლება აბორტის გაუქმების შემდგომ აუცილებლობად მიიჩნევდა ყველა პირობა შექმნილიყო, რათა ქალებს აბორტის გაკეთების სურვილი არ გასჩენოდათ. ამ მიზნით, ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი ეკავა სამშობიარო სახლების ხელმისაწვდომობას, განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც ამის ფუფუნება ქალებს ნაკლებად ჰქონდათ. ამ მიზნით, კანონი ითვალისწინებდა სამშობიარო სახლების ქსელის გაფართოებას. კერძოდ, 1939 წლის 1 იანვრისთვის 11 000 ახალი სამშობიარო საწოლი დაემატებოდა საავადმყოფოებს. სოფლებში მშობიარეთა სტაციონარული დახმარების გაზრდის მიზნით აშენდებოდა და ექსპლუატაციაში შევიდოდა 32 000 სამშობიარო საწოლი, აქედან 16 000 საწოლი - სოფლის საავადმყოფოების სამშობიარო განყოფილებაში და 16 000 საწოლი - საკოლმეურნეო ორგანიზაციის საფასურის 75% - კოლმეურნეთა ხარჯზე და 25% სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე.[249] კანონპროექტი ასევე ითვალისწინებდა ახალი სამეანო პუნქტების შექმნას მშობიარეთა სახლში მოვლის უზრუნველსაყოფად.

---

[248] „აბორტის აკრძალვის და დედათა დახმარების გაზრდის პროექტი“, *გაზ. „პრავდა“* N143 (6749) (1936 წლის 26 მაისი): 1.

[249] „აბორტის აკრძალვის და დედათა დახმარების გაზრდის პროექტი“, *გაზ. „პრავდა“* N143 (6749) (1936 წლის 26 მაისი): 1.

სამეანო პუნქტების გახსნა 1936 წლიდან უნდა დაწყებულიყო. 1939 წლის 1 იანვრისთვის მათი რიცხვი 14400 იქნებოდა[250].

ბოლშევიკები მიიჩნევდნენ, რომ ქალების სამუშაო სივრცეში დაბრუნების მიზნით მაქსიმალურად უნდა მომხდარიყო დედების საქმის განაწილება. ამ მიზნით 1920-იანი წლებიდან მოყოლებული, ერთი მხრივ, შენდებოდა ბაგა-ბაღები, ხოლო მეორე მხრივ, პროპაგანდისტული მანქანა ცდილობდა დაენერგა „ბაღის კულტურა“ სოციუმში. ამ მიზნით, ახალი პროექტი ითვალისწინებდა საბავშვო ბაგების ქსელის გაფართოებას. პროექტის მიხედვით, 1939 წლის 1-ელი იანვრისთვის საბავშვო ბაგების რაოდენობის გაორმაგება უნდა მომხდარიყო და გაუტოლდებოდა 800 ათასს[251]. გარდა ბაგების მშენებლობისა და ბაგებში საწოლების დამატებისა, კანონი ითვალისწინებდა ახალგახსნილი დაწესებულებების შესაბამისი კადრებით აღჭურვას. ამიტომ, იგეგმებოდა შესაბამისი პერსონალის გაგზავნა იმ რეგიონებში, სადაც კადრების ნაკლებობა იყო.

ჯერ კიდევ 1920-იანი წლებიდან დაიწყო რძის სამზარეულოების მშენებლობა. მისი მიზანი იყო ახალშობილ ბავშვებსა და დედებზე ზრუნვა. იგივე პოლიტიკა გრძელდებოდა 1930-იანი წლების განმავლობაში. “პრავდაში” დაბეჭდილი პროექტი ამ მიმართულებითაც ამახვილებს მკითხველის ყურადღებას და აღნიშნავს, რომ ქალაქებში იგეგმებოდა 800 ახალი რძის სამზარეულოს აშენება, 3 წლამდე ასაკის ბავშვთა კვებისთვის.

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ საბჭოთა მთავრობა ითვალისწინებდა, რომ ორსულობა და დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესება კომპლექსური საკითხია. შესაბამისად, დიდ ყურადღებას უთმობდა სახელმწიფოს და საზოგადოების ჩართულობის ხარისხს ბავშვთა აღზრდის საქმეში. სწორედ ამ მიზნით, ახალი კანონპროექტი ითვალისწინებდა გარშემომყოფების დასჯას, თუ ისინი წაახალისებდნენ აბორტს ან უშუალოდ პროცესში იქნებოდნენ ჩართული. ამასთან, უზრუნველყოფდა სათანადო პირობების შექმნას: ბაგა-ბაღების, კლინიკების, დედათა და ბავშვთა სახლების მშენებლობით. შესაბამისად, ამ კითხვის კოდირების

---

[250] „აბორტის აკრძალვის და დედათა დახმარების გაზრდის პროექტი“, *გაზ. „პრავდა“* N143 (6749) (1936 წლის 26 მაისი): 1.

[251] „აბორტის აკრძალვის და დედათა დახმარების გაზრდის პროექტი“, *გაზ. „პრავდა“* N143 (6749) (1936 წლის 26 მაისი): 1.

შემდეგ, მთავარ მარკერ სიტყვებად იქცა - საზოგადოების როლი აბორტის აკრძალვის საქმეში. მისი დახასიათებისას გამოიკვეთა, რომ დედის ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით სახელმწიფო საზოგადოებრივი განწყობის ცვლილებას ცდილობდა. ამისთვის იყენებდა, ერთი მხრივ, დასჯის, მეორე მხრივ კი, წახალისების მეთოდს.

§2.7. 1936 წლის 27 ივნისის დადგენილება და გმირი დედის სტატუსი

გარდა ცვლილებებისა, რომელსაც ახალი კანონი აწესებდა, საბჭოთა კავშირის პროპაგანდისტული მანქანა ქმნიდა ახალ გმირ-ქალის სახეს, რომელიც ყველასთვის მისაბაძი უნდა ყოფილიყო. ეს პროცესი 1930-იანი წლებიდან დაიწყო და მეორე მსოფლიო ომის დაწყებასთან ერთად კიდევ უფრო გაღრმავდა. დედის კულტი ბევრ საბჭოთა რესპუბლიკაში არსებობდა, მათ შორის, საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში. შესაბამისად, სახელმწიფომ დედის კულტის სათავისოდ გამოყენება სცადა. საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანა სხვადასხვა პროპაგანდისტული საშუალებით იქნებოდა ეს პლაკატები, მხატვრული ნაწარმოები თუ სხვა, ქმნიდა დედის როლურ სახეს, რომელიც ყველასთვის მისაბაძი უნდა ყოფილიყო. თანდათან საზოგადოებაში მკვიდრდება სტერეოტიპული მიდგომები დედობასთან და დედის კულტთან დაკავშირებით.

დედის კულტის დამკვიდრება რთული და მრავალმხრივი პროცესია. შესაბამისად, ვფიქრობთ, საინტერესოა განიმარტოს, თუ რა როლს ანიჭებდა დედას 1936 წელს „პრავდაში“ დაბეჭდილი ახალი კანონპროექტი. კანონპროექტი ძალიან დიდი სიფრთხილით ეკიდება დედის სახეს. მიუხედავად იმისა, რომ მისი ძირითადი სათქმელი შეეხება აბორტის არალეგალურად გამოცხადებას და ამ პროცესში გადაწყვეტილების მიმღები თავად ორსულია, კანონი ყველანაირად ცდილობს, ამ ფაქტს გვერდი აუაროს და ამ მიზნით, დაწვრილებით საუბრობს გარშემომყოფებზე, მათი დასჯის მექანიზმზე, სახელმწიფოს როლზე და გაძლიერებულ სამუშაოზე საზოგადოების გარდასაქმნელად, მაგრამ ერიდება საუბარს ორსულის დასჯის

შესახებ. მართალია, ორსულ ქალს ელის საზოგადოებრივი გაკიცხვა,[252] მაგრამ არა სისხლის სამართლის სასჯელი. მათ შორის, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგივე ქმედებას მეორედ ჩაიდენს. აბორტის განმეორების შემთხვევაში ორსულის მაქსიმალური სასჯელი არის ფულადი ჯარიმა 300 მანეთის ოდენობით. მეორე მხრივ, ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს საზოგადოებრივი გაკიცხვის ფენომენი საბჭოთა საზოგადოებაში. მართალია, ეს ერთი შეხედვით უწყინარ და ნაკლებად საზიანო დასჯის მეთოდად გვევლინება, მაგრამ სავარაუდოა, რომ ქალისთვის ძალიან სტრესული აღმოჩნდებოდა. მით უფრო, რომ მას საჯარო გაკიცხვა ელოდა და ტოტალიტარულ რეჟიმში არსებული საზოგადოება არ დაინდობდა ქალს. სწორედ ამის დადასტურებად უნდა მივიჩნიოთ საბჭოთა კავშირში დამკვიდრებული სტერეოტიპი, რომლის მიხედვით ქალები აბორტის ლეგალიზების შემდგომაც, მუდმივად მალავდნენ ინფორმაციას აბორტის შესახებ. ის მორალურად გაუმართლებელ საქციელად ითვლებოდა და არა ქალის უფლებად მთელი საბჭოთა კავშირის ისტორიის მანძილზე.

იმავე ინფორმაციას ვხვდებით საქართველოს ეროვნული არქივის N600 ფონდის, N4520 საქმეში. ამ დოკუმენტის მიხედვით, ცეკას და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს სისხლის სამართლის კოდექსის N149 და N166 მუხლების ცვლილება მოხდა და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „აიკრძალოს ექიმის მიერ აბორტის გაკეთება საავადმყოფოს ან სამშობიარო სახლის გარეთ ან თუნდაც საავადმყოფოში თუ სამშობიარო სახლში, მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც ორსულობის გაგრძელება არ წარმოადგენს საშიშროებას ორსული ქალის სიცოცხლისთვის ან მძიმე ზიანს არ უქადის მის ჯანმრთელობას[253]. აგრეთვე, „თუ მშობლებს არ სჭირთ მემკვიდრეობით გადამდები მძიმე ავადმყოფობა, გამოიწვევს საპყრობილეში დაპატიმრებას ერთი წლიდან ორ წლამდე. აბორტის გაკეთება ანტისანიტარულ ვითარებაში ან ისეთი პირის მიერ, ვისაც სპეციალური სამედიცინო განათლება არ აქვს, - საპყრობილეში დაპატიმრებას არანაკლებ სამი წლისა. ქალის

[252] „აბორტის აკრძალვის და დედათა დახმარების გაზრდის პროექტი“, *გაზ. „პრავდა“* N143 (6749) (1936 წლის 26 მაისი): 1.

[253] **სსცა,** ფ. 600, აღწ. 1. საქმე 4520 , დადგენილება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭოს რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი, სისხლის სამართლის კოდექსის 149 და 166 მუხლების შეცვლის შესახებ. ფურც. 290-291.

იძულება აბორტისათვის - საპყრობილეში დაპატიმრებას ორ წლამდე. აბორტის გაკეთება გამოიწვევს ორსული ქალისთვის საზოგადოებრივ გაკიცხვას, ხოლო აბორტის აკრძალვის განმეორებით დარღვევისთვის - ჯარიმას სამას მანეთამდე[254]". შესაბამისად, როგორც „პრავდაში" დაბეჭდილი კანონპროექტი, ისე საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტი ცხადყოფს, რომ აბორტის გაკეთების დროს დედას ყველაზე ნაკლები პასუხისმგებლობა ეკისრებოდა. შეიძლება ეს ავხსნათ რამდენიმე გარემოებით: პირველი, დედას სახელმწიფო არ მიიჩნევს მამაკაცთან თანაბარი უფლების მქონე პირად, შესაბამისად, მიაჩნია, რომ მამაკაცის გარეშე ქალი დამოუკიდებლად ამ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს. ამიტომ, აბორტის გადაწყვეტილების პასუხისმგებლობა მამაკაცს, მომავალ მამას ეკისრება. მეორე მხრივ, სავარაუდოა, რომ სახელმწიფოს გენდერული პოლიტიკისთვის უფრო მომგებიანი იყო აბორტის გამკეთებელი დედა წარმოედგინა მსხვერპლის სახით, რომელიც არის უმწეო და ის დახმარებას მოელის სახელმწიფოსგან. ასეთ შემთხვევაში ის დასჯის ობიექტი ვერ იქნება. სახელმწიფოს დემოგრაფიული პოლიტიკისთვის დედის დასჯა არ იქნებოდა მაინცდამაინც მისაღები, რადგან თუ დედა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში აღმოჩნდებოდა, მით ნაკლები შესაძლებლობა რჩებოდა, რომ მომავალში ის გააჩენდა შვილებს და აღზრდიდა ისე, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს დაკვეთა იყო. შესაბამისად, როდესაც 1936 წლის კანონპროექტს ვაანალიზებთ, ცხადი ხდება, რომ გმირი დედის ხატიდან, მსხვერპლი ქალის ხატამდე სულ ერთი ნაბიჯია. როგორც კვლევის პროცესში გამოიკვეთა, საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკა ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო იყო. ამ შემთხვევაშიც აშკარაა, რომ გმირი დედის ერთ-ერთ მახასიათებლად შეიძლება მივიჩნიოთ მისი გამოცდილება - გააჩინოს რაც შეიძლება მეტი შვილი და უარი თქვას აბორტის გაკეთებაზე.

[254] **სსცა,** ფ. 600, აღწ. 1. საქმე 4520 , ფურც, 290-291.

§2.8. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ინფორმაცია 1936 წლის დადგენილების შესახებ[255]

ამ პარაგრაფის მიზანია გამოკვეთოს ქალთა მდგომარება საზოგადოებაში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მაგალითზე, საქართველო ეროვნულ არქივში დაცული მასალების საფუძველზე. საქართველოს ეროვნული არქივის N600 ფონდის N4520 საქმეში შემონახულია რამდენიმე დადგენილება, რომელიც 1936 წლის კანონპროექტის თანმდევი იყო. ვფიქრობთ, ამ დოკუმენტების ანალიზი ხელს შეუწყობს განისაზღვროს სახელმწიფოს პოლიტიკა ქალთა მიმართ, 1936-1945 წლებში. თუმცა, სამწუხაროდ ასეთი არც თუ ისე ბევრი დოკუმენტია შემონახული საქართველოს ეროვნულ არქივში. მათი ნაწილი არ არის ხელმისაწვდომი მკვლევრებისთვის, მეორე ნაწილის ანალიზს კი ამ თავში წარმოგიდგენთ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 22 ოქტომბრის დადგენილებით, გამოიყო სპეციალური დახმარება მრავალშვილიანი დედებისთვის. დადგენილების ფარგლებში შეირჩა 54 მრავალშვილიანი დედა. კვლევის ფარგლებში დამუშავდა N4520 და N4521 საქმის მასალები მრავალშვილიანი დედების შესახებ[256] (იხ. დანართი ცხრილი N1.1).

ჯამში საარქივო დოკუმენტებში მოძიებულ იქნა 193 ქალის შესახებ ინფორმაცია. სამწუხაროდ, პირველად წყაროში არ არის მითითებული ინფორმაცია ქალების ასაკის, საქმიანობის ან სხვა დეტალების შესახებ. საარქივო დოკუმენტი პირდაპირ კავშირშია 1936 წელს მიღებულ დადგენილებასთან აბორტის აკრძალვის შესახებ. აბორტის აკრძალვის შემდგომ სახელმწიფომ დაიწყო წამახალისებელი ღონისძიებების გატარება. პირველადი წყარო არასრულია, თუმცა გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შესახებ 1930-იანი წლების მეორე ნახევარში. ვინაიდან დადგენილებების ნაწილი არ

[255] **სსცა,** ფ. 600, აღწ. 1. საქმე 4520 , ფურც, 43-44, 1936 წლის 22 ოქტომბრის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება N1336.
[256] **სსცა,** ფ. 600, აღწ. 1. საქმე 4520 , ფურც, 34-48. 1936 წლის 22 ოქტომბრის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება N1336.

ინახავს ინფორმაციას შვილების რაოდენობის შესახებ, სრულყოფილად ამაზე საუბარი რთულია. თუმცა, არსებული ინფორმაციით შვილების მაქსიმალური რაოდენობა 12-ს შეადგენდა, ხოლო მინიმალური რაოდენობა, რომელზეც დახმარება გაიცემოდა 7 შვილი იყო. აღნიშნული დადგენილებების მიხედვით, ყველაზე მეტი დედა (რაოდენობა: 22), რომლებიც იღებდნენ მრავალშვილიანობის დახმარებას ფიქსირდება ჭიათურის რაიონში, მას მოსდევს ტფილისი (რაოდენობა: 19) და ორჯონიკიძის (შემდგომში: ხარაგაული) რაიონი (რაოდენობა: 17). ყველაზე ნაკლები მრავალშვილიანი დედა ფიქსირდება დუშეთის და ჯუღელის რაიონის (რაოდენობა:1), ასპინძის (რაოდენობა:2) და ბორჯომის (რაოდენობა: 2) რაიონებში[257]. რაც შეეხება მაქსიმალურ თანხას, გაიცა 6000 მანეთის ოდენობით გურჯაანის რაიონში მცხოვრებ, 9 შვილის დედაზე - სოფიო ოთარაშვილზე. დედებზე გაცემული მინიმალური წლიური თანხა კი 2000 მანეთს შეადგენდა[258]. განსხვავებულია თანხის გაცემის ვადა. მოცემული დადგენილებები არ იძლევა საშუალებას სრულყოფილად გავაანალიზოთ, რა პრინციპით არჩევდა სახელმწიფო წლიური დახმარების რაოდენობას. სავარაუდოა, რომ ითვალისწინებდა ბავშვების ასაკს და რაოდენობას.

აღნიშნული ილუსტრაცია (იხ. დანართი ცხრილი N1.2) კარგად აჩვენებს, როგორ არის გადანაწილებული დახმარება რეგიონების მიხედვით. 1936 წლის 26 მაისს გამოქვეყნებულ კანონპროექტს აბორტის აკრძალვის შესახებ, მოჰყვა სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები ქალთა მხარდაჭერის და გაძლიერების მიმართულებით. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 27 ოქტომბრის N1379 დადგენილება, საბავშვო ბაგების და სამშობიარო სახლების მშენებლობის მსვლელობის შესახებ[259]. დადგენილების მიხედვით, „აღინიშნება

[257] **სსცა,** ფ. 600, აღწ. 1. საქმე 4521, ფურც, 36-43. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 9 დეკემბრის N1698 დადგენილება.

სსცა, ფ. 600, აღწ. 1. საქმე 4521, ფურც, 36-43. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 9 დეკემბრის N1698 დადგენილება.

[258] **სსცა,** ფ. 600, აღწ. 1. საქმე 4521, ფურც, 36-43. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 9 დეკემბრის N1698 დადგენილება.

[259] **სსცა,** ფ. 600, აღწ. 1. საქმე 4520, ფურც, 129. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 27 ოქტომბრის N1379 დადგენილება, საბავშვო ბაგების და სამშობიარო სახლების მშენებლობის მსვლელობის შესახებ.

საბავშვო ბაგების და სამშობიარო სახლების მშენებლობის ნელი ტემპით გაშლა[260]“. ამიტომ, დადგენილების მიზანია, ხაზი გაუსვას საბავშვო ბაგების და სამშობიარო სახლების მშენებლობის მნიშვნელობას და ფაქტობრივად, მოწოდებაა, რომ აუცილებელია მშენებლობის დასრულება გეგმით გათვალისწინებულ ფარგლებში. საბჭოთა სახელმწიფოს გენდერული პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენდა დედებისთვის სათანადო პირობების შექმნა, რათა მათ უარი არ ეთქვათ შვილის გაჩენაზე. შესაბამისად, საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული დადგენილებები საბავშვო ბაგების და სამშობიარო სახლების მშენებლობის შესახებ ადასტურებს, რომ სახელმწიფო პოლიტიკა საბჭოთა საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკაში იზიარებდა სახელმწიფოს მიერ დაწესებულ ზოგად სტანდარტულ კურსს. თუმცა, მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდგომ, საგარეო პოლიტიკაში შემოტანილმა ცვლილებებმა გავლენა იქონია საშინაო პოლიტიკაზე, რაც აისახა ქალთა ყოფაზეც. შესაბამისად, ომის დაწყების შემდგომ შეიცვალა საჭიროებები. გრძელვადიანი დაგეგმვის პოლიტიკა შეცვალა მოკლე ვადიანმა ყოველდღიურმა გამოწვევებმა, რომლის წინაშეც აღმოჩნდნენ საბჭოთა ოჯახები. შესაბამისად, სახელმწიფომ ფეხი აუწყო ახალ გარემოებებს. ამის დასტურია 1944 წლის 8 ივლისის N37 ბრძანება ქალთა მდგომარეობის შესახებ, რომელსაც მესამე თავში გავაანალიზებთ.

[260] **სსცა,** ფ. 600, აღწ. 1. საქმე 4520, ფურც, 129. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 27 ოქტომბრის N1379 დადგენილება, საბავშვო ბაგების და სამშობიარო სახლების მშენებლობის მსვლელობის შესახებ.

თავი III. 1944 წლის 8 ივლისის N37 ბრძანება ქალთა სტატუსის შესახებ

საბჭოთა ხელისუფლება მეორე მსოფლიო ომის პერიოდში დიდი სირთულეების წინაშე აღმოჩნდა. განსაკუთრებით 1941 წლის შემდეგ, როდესაც ამოქმედდა ჰიტლერის „ბარბაროსას“ გეგმა, რომელიც გულისხმობდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის წამოწყებას. საბჭოთა მთავრობისთვის მნიშვნელოვან ამოცანად იქცა ადამიანური რესურსების მობილიზება, საბრძოლო განწყობის ამაღლება, ფრონტს მიღმა დარჩენილი მეურნეობის, ფაბრიკა-ქარხნების უწყვეტი მუშაობა. ყველა ამ მიზეზის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი გახდა მდედრობითი სქესის წარმომადგენლებზე ზრუნვა, პროპაგანდის სწორად წარმოება, რათა ისინი ჩართულნი ყოფილიყვნენ სახელმწიფო კამპანიებში. ომის დაწყების შემდეგ, ქალებს “დაევალათ,” ჩაენაცვლებინათ ფრონტზე წასული მამაკაცები როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში. ამავე დროს ისინი უნდა ყოფილიყვნენ მისაბაძი დედები და მეუღლეები. შესაბამისად, ფრონტს მიღმა დარჩენილი ქალების ტვირთი გასამმაგდა. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ქალების ნაწილი უშუალოდ ფრონტზე მსახურობდა. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზის გათვალისწინებით 1944 წლის 8 ივლისს, სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანება „ორსული ქალების, მრავალშვილიანი დედების, მარტოხელა დედებისთვის სახელმწიფო დახმარების გაზრდის, დედათა და ბავშვთა დაცვის გაძლიერების, „გმირი-დედის“, საპატიო წოდების და დედობის „მედალის“ და დედობის ორდენის“ დაწესების შესახებ[261]“.

ამ თავში მიმოვიხილავთ ცვლილებებს, რომლებიც დაამკვიდრა 1944 წლის ბრძანებამ და ვეცდებით, გამოვკვეთოთ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი 1944 წელს მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებსა და ბრძანებას შორის. ასევე, ვისაუბრებთ ქალთა სახეებზე, რომელსაც ამკვიდრებდა 1944 წლის ბრძანება. ბრძანების უკეთ გაანალიზების მიზნით, დასაწყისში კოდირების საფუძველზე გამოვყავით სიტყვა მარკერები, რომლებიც დედის როლურ სახეებს აღწერს. მაგალითად: მრავალშვილიანი დედა და მარტოხელა დედა. კვლევის ფარგლებში თითოეულ მათგანზე ვისაუბრებთ ცალ-

[261] **1944 წლის 8 ივლისის N37 ბრძანება,** Сборник законов СССР и указов Президиума Верховного совета СССР. 1938-1944 г.г. — М.: Ведомости Верховного совета СССР, (1945):234.

ცალკე და დავახასიათებთ. ასევე, ცალკე გამოვყავით ქორწინების კატეგორია და მისი მნიშვნელობა ომის დროს. მსჯელობის საგანია წამახალისებელი ღონისძიებები სახელმწიფოს მხრიდან, რომელიც მიზნად ისახავს, დედების მოტივაციის ამაღლებას. მაგალითად: სახელმწიფო აჯილდოებდა დედებს მედლით, რომელიც მნიშვნელოვანი იყო სოციალური სტატუსის თვალსაზრისით და სხვა დატვირთვა ნაკლებად ჰქონდა.

1944 წლის ბრძანება შემდეგნაირად იწყება: „დედებსა და შვილებზე და ოჯახის გამყარებაზე ზრუნვა ყოველთვის იყო საბჭოთა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ამოცანა. დედისა და ბავშვის ინტერესების დაცვით, სახელმწიფო დიდ მატერიალურ დახმარებას უწევს ორსულ ქალებს და დედებს შვილების შენახვისა და აღზრდისთვის. რადგან ოჯახს აქვს მნიშვნელოვანი მატერიალური გაჭირვება, საჭიროა სახელმწიფო დახმარების ღონისძიებების შემდგომი გაფართოება. ორსული ქალების, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების მატერიალური დახმარების გაზრდის მიზნით, მრავალშვილიანობის წახალისების და დედათა და ბავშვთა დაცვის გაძლიერების მიზნით, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს“...[262] დასაწყისიდანვე, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ბრძანებაში გამოკვეთს 1. საბჭოთა სახელმწიფოს ამოცანას - იზრუნოს დედებზე, შვილებსა და ოჯახის ინსტიტუტზე. 2. პირველი ამოცანის შესასრულებლად სახელმწიფო საკუთარ ვალდებულებად მიიჩნევს, იზრუნოს და დახმარება გაუწიოს დედებს, შვილებს და ოჯახს. 3. ბრძანების დასაწყისიდანვე აღნიშნულია, რომ ბრძანების მიღების აუცილებლობა დადგა გარე ფაქტორის გამო - ამ შემთხვევაში საუბარია მატერიალურ გაჭირვებაზე, რომელიც ომის მიმდინარეობისას საბჭოთა ოჯახებისთვის კარგად ნაცნობი რეალობა იყო. 4. ბრძანებას ჰყავს კონკრეტული ადრესატები - ქალები. მათი დაჯგუფება კი ხდება ბრძანების სხვადასხვა თავში.

პირველ რიგში, გავაანალიზებთ, როგორ წარმოაჩენს ბრძანება დედების კატეგორიას. ბრძანებაში დედის რამდენიმე სახე ჩნდება. ესენია: მრავალშვილიანი დედა, ორსული ქალი და მარტოხელა დედა. ცალკე კატეგორიად განხილულია შინაბერა და

[262] **1944 წლის 8 ივლისის N37 ბრძანება,** Сборник законов СССР и указов Президиума Верховного совета СССР. 1938-1944 г.г. — М.: Ведомости Верховного совета СССР, (1945):234.

მცირეოჯახიანი მოქალაქეები. კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, საინტერესოდ მიგვაჩნია თითოეული მათგანის დახასიათება.

§3.1. მრავალშვილიანი დედა და გმირი დედა

მრავალშვილიანი დედის კატეგორია აერთიანებს, როგორც ქმრიან, ისე ქვრივ ქალებს, რომელთაც ჰყავთ ორ შვილზე მეტი. ამდენად, თუ შევადარებთ 1936 წლის კანონმდებლობას, 1944 წელს შეიცვალა მრავალშვილიანი დედის განმარტება. 1944 წლის ბრძანებაში ვკითხულობთ: "სახელმწიფო დახმარება მიეცემა მრავალშვილიან დედებს, რომელთაც ჰყავთ ორი შვილი, მესამე შვილის გაჩენისას და ყოველი შემდგომი შვილის დაბადებისას, ნაცვლად ადრე არსებული წესისა, როდესაც სახელმწიფო დახმარებას იღებდა მრავალშვილიანი დედა ექვსი შვილით, მეშვიდე და მომდევნო ბავშვზე.[263]" როგორც ჩანს, ომის მიმდინარეობამ რადიკალურად შემოაბრუნა მრავალშვილიანი დედის სტატუსი. ეს პირველ რიგში, განპირობებული იყო დემოგრაფიული მაჩვენებლის ვარდნით. მამაკაცების დიდი ნაწილი ფრონტზე იმყოფებოდა, ფრონტს მიღმა დარჩენილ ქალებს კი ჰქონდათ ვალდებულება, ეზრუნათ ოჯახის ყველა წევრზე. შესაბამისად, ბავშვების გამოკვება მათ პირდაპირ დანიშნულებად იქცა. ამიტომ, სახელმწიფომ საკუთარ ვალდებულებად ჩათვალა შეეცვალა მიდგომა. თუმცა საგულისხმოა, რომ ეს ცვლილება 1944 წელს მოხდა მაშინ, როდესაც ომში გარდატეხა უკვე შეტანილი იყო და გერმანია დამარცხების გზას ადგა.

მრავალშვილიან დედებზე სახელმწიფო დახმარება გაიცემოდა შემდეგი რაოდენობით. (იხ. დანართი ცხრილი N1.3 დახმარება მრავალშვილიან დედებს) ყოველთვიური დახმარება მრავალშვილიან დედებს ჰქონდათ ბავშვის დაბადების მეორე წლიდან ხუთი წლის ასაკამდე. აღსანიშნავია, რომ იმ დედებს, რომლებსაც ამ ბრძანების გამოცემის დღისთვის ჰყავდათ სამი, ოთხი, ხუთი და ექვსი შვილი, დახმარება ეძლეოდათ ყოველ შემდგომ დაბადებულ ბავშვზე. საინტერესოა, რომ სახელმწიფო მრავალშვილიანი დედის სტატუსის განსაზღვრისას, რაოდენობაში

[263] **1944 წლის 8 ივლისის N37 ბრძანება,** Сборник законов СССР и указов Президиума Верховного совета СССР. 1938-1944 г.г. — М.: Ведомости Верховного совета СССР, (1945):234.

ითვალისწინებდა დაღუპულ ან უგზოუკვლოდ დაკარგულებს ომის ფრონტზე.[264] რაც უნდა ითქვას, რომ სამართლიანი გადაწყვეტილება იყო. მით უფრო, ომის მიმდინარეობის პერიოდში, როდესაც უგზოუკვლოდ დაკარგულების რიცხვი საკმაოდ დიდი იყო.

საბჭოთა პროპაგანდა ცალკე კატეგორიად გამოყოფდა გმირი დედის სტატუსს. მეორე მსოფლიო ომმა პროპაგანდის მნიშვნელოვან წყაროდ აქცია მისაბაძი მაგალითების შექმნა და საზოგადოებაში მათი პოპულარიზება. გმირი დედა ასეთ კატეგორიას მიეკუთვნება. გმირი დედა თავის თავში აერთიანებს ურთიერთსაწინააღმდეგო ფენომენს: ერთი მხრივ, ეს არის ძლიერი, შემდგარი ქალი, მრავალი შვილით და მეორე მხრივ, ის არის ფემინური და სუსტი ქალი, რომლის დაცვა ევალება მეუღლეს, ვაჟიშვილსა და სახელმწიფოს. საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანა სწორედ ამ ორი მიმართულებით წარმოაჩენს დედის სახეს სხვადასხვა პროპაგანდისტული დანიშნულების წყაროში: პოლიტიკურ პლაკატებზე, მხატვრულ ლიტერატურაში და სხვ. (ამ საკითხის განხილვისთვის იხილეთ შესაბამისი თავი (ავტორი: ნ.მ.) შესაბამისად, თუ ერთი მხრივ, ქალებმა უნდა მიბაძონ ძლიერ მრავალშვილიან დედას, მეორე მხრივ, მამაკაცებს „ევალებათ“ დაიცვან ისინი.

1944 წლის ბრძანების მესამე ნაწილი შეეხება „დედობის მედლის“, ორდენის „დიდება დედობას“ და „გმირი დედის“ საპატიო წოდების დაწესებას. „დედობის მედალს“ ბრძანების მიხედვით, აქვს პირველი და მეორე ხარისხი. პირველი ხარისხის „დედობის მედალი“ გადაეცემა ქალს ექვსი და მეტი შვილის გაჩენა-აღზრდისთვის, ხოლო მეორე ხარისხის მედალი გადაეცემა ხუთი შვილის გაჩენა-აღზრდისთვის.[265] ამავე ბრძანებით, დაწესდა ორდენი „დიდება დედობას“ პირველი, მეორე და მესამე ხარისხის ორდენებით. აქედან, პირველი ხარისხი გადაეცემოდა 9 და მეტი შვილის შემთხვევაში, მეორე ხარისხი - 8 შვილის, ხოლო მესამე ხარისხის ორდენი - 7 შვილის გაჩენა-აღზრდის შემთხვევაში. ცალკე იყო გამოყოფილი „გმირი დედის“ საპატიო წოდება, რომელიც გადაეცემოდა ათი შვილის გაჩენისა და აღზრდის შემთხვევაში

[264] 1944 წლის 8 ივლისის N37 ბრძანება, Сборник законов СССР и указов Президиума Верховного совета СССР. 1938-1944 г.г. — М.: Ведомости Верховного совета СССР, (1945):234.
[265] 1944 წლის 8 ივლისის N37 ბრძანება, Сборник законов СССР и указов Президиума Верховного совета СССР. 1938-1944 г.г. — М.: Ведомости Верховного совета СССР, (1945):235.

დედას და ის ჯილდოვდებოდა „გმირი დედის ორდენით“ და სსრკ უმაღლესი საბჭოს სიგელით. ბავშვთა რაოდენობაში ამ შემთხვევაშიც, ითვლებოდნენ ბავშვებიც, რომლებიც დაღუპული იყვნენ ან უკვალოდ დაკარგულები.

ამ თავის გაანალიზებისას, გარდა დედის ახალი ტიპის ჩამოყალიბებისა, ყურადღებას იქცევს ტერმინოლოგიური ნაწილი. საბჭოთა პროპაგანდა დიდ ყურადღებას აქცევდა სიტყვებს, რომლებიც აღწერდნენ ამა თუ იმ მოქალაქის დამსახურებას. შესაბამისად, მედლის სახელწოდება განსაზღვრავდა მომავალში მედლის მიმღების სოციალურ მდგომარეობას საზოგადოებაში. „დედობის მედალი“, ორდენი „დიდება დედობას“ და „გმირი დედის“ საპატიო წოდება - სამივე მათგანში ფიგურირებს მარკერი სიტყვა - დედა. ამ ნარატივში, აშკარაა, რომ მნიშვნელობას იძენს დედის ფიგურა, რომელიც სამაგალითოა ყველა საბჭოთა მოქალაქისთვის. ასევე, ორდენის და მედლის სახელწოდება პირდაპირი მესიჯია საზოგადოებისთვის. თავად ორდენი მოუწოდებს მასებს და ეუბნება რომ - დიდება დედობას. დედობა, ითვლება დაფასებულ „საქმედ“ და მისი შემოქმედი - მთავარი ავტორი ამის გამო ჯილდოვდება. სიმპტომატურია სიტყვა „გმირის“ შემოტანა და დამკვიდრება სიტყვა „დედის“ გვერდით. გმირი დედა უნდა იქცეს გადამრჩენელად საბჭოთა საზოგადოებაში[266]. გმირობაში მოიაზრება, როგორც შვილების გაჩენა (ბრძანება სწორედ ასე განმარტავს გმირობის არსს), ასევე საბჭოთა პროპაგანდა გმირობად აფასებს ქალის ვალდებულებას არამხოლოდ გააჩინოს, არამედ აღზარდოს შვილები საბჭოთა იდეოლოგიით. „გმირი დედის“ საპატიო წოდებით ბოლო დაჯილდოება 1991 წლის 4 ნოემბერს გაიმართა. ჯამში კი გმირი დედის ორდენით დაჯილდოვდა დაახლოებით 431 ათასი ქალი[267]. რაც შეეხება „დიდება დედობას“ ორდენის სამივე ხარისხით საბჭოთა კავშირის არსებობის მანძილზე დაჯილდოვდა 5.5 მილიონზე მეტი ქალი.[268] „დედობის მედლის“ პირველი და მეორე ხარისხის მფლობელი კი 15 მილიონამდე ქალი იყო.[269]

---

[266]123 1944 წლის 8 ივლისის N37 ბრძანება, Сборник законов СССР и указов Президиума Верховного совета СССР. 1938-1944 г.г. — М.: Ведомости Верховного совета СССР, (1945):238.

[267] **ჯიმშერ რეხვიაშვილი,** "გასეირნება საბჭოთა ლექსიკისა და ტერმინოლოგიის სასაფლაოზე," *რადიო თავისუფლება,* https://www.radiotavisupleba.ge [ბოლო ვიზიტი 20/01/2025]

[268] **რეხვიაშვილი,** "გასეირნება საბჭოთა ლექსიკისა და ტერმინოლოგიის სასაფლაოზე."

[269] **რეხვიაშვილი,** "გასეირნება საბჭოთა ლექსიკისა და ტერმინოლოგიის სასაფლაოზე."

აღსანიშნავია, რომ მედლის და ორდენის ხარისხებს განასხვავებდა გაჩენილი შვილების რაოდენობა. თუმცა, ორდენი და მედალი არ გულისხმობდა სხვა რაიმე შეღავათით სარგებლობას. შესაბამისად, წმინდა პროპაგანდისტული დანიშნულების მატარებელი იყო და მის მიზანს მხოლოდ მოქალაქეების წახალისება წარმოადგენდა. შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანა გმირი დედის სახეს და მრავალშვილიანი დედის სახეს აერთიანებდა და საზოგადოებაში ამკვიდრებდა აზრს, რომლის მიხედვით იდეალური დედის სახე თავის თავში გულისხმობს მრავალშვილიანობასაც.

1944 წლის ბრძანების მეხუთე ნაწილი შეეხება ქორწინების, ოჯახის და მეურვეობის შესახებ კანონში შეტანილ ცვლილებას. ბრძანების მიხედვით, მხოლოდ დარეგისტრირებული ქორწინება ითვალისწინებს უფლებებს და მოვალეობებს, რომელიც მეუღლეებს აკისრიათ. 1944 წლის ბრძანებამ გააუქმა მანამდე არსებული 1936 წლის დადგენილება, რომლის მიხედვით დედას სასამართლოს წესით შეეძლო გამოეკვლია მამის ვინაობა და ალიმენტი დაეკისრებინა მისთვის. მხოლოდ დარეგისტრირებული ქორწინების შემთხვევაში დაეკისრებოდა ამიერიდან მამას ალიმენტი[270]. იმ შემთხვევაში თუ ბავშვის გაჩენის დროს დედა არ იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში, ამ შემთხვევაში ახალდაბადებულს დედის გვარი მიენიჭებოდა და დედის სურვილის შემთხვევაში მამის სახელი ჩაიწერებოდა დაბადების მოწმობაში.[271] შესაბამისად, ეს ნიშნავდა, რომ 1944 წლის ბრძანების მიხედვით, მხოლოდ რეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებული ბავშვები ითვლებოდნენ ლეგიტიმურებად[272].

ასევე, შეიცვალა განქორწინების წესი. განქორწინება, ბრძანების მიხედვით, საჯარო გახდა და სასამართლოს გადაწყვეტილებას დაექვემდებარა. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში იყო შესაძლებელი სასამართლოს დახურულად გამართვა. განქორწინების მიზნით, აუცილებელი გახდა სასამართლოში

---

[270] **1944 წლის 8 ივლისის N37 ბრძანება,** Сборник законов СССР и указов Президиума Верховного совета СССР. 1938-1944 г.г. — М.: Ведомости Верховного совета СССР, (1945): 239.

[271] **1944 წლის 8 ივლისის N37 ბრძანება,** Сборник законов СССР и указов Президиума Верховного совета СССР. 1938-1944 г.г. — М.: Ведомости Верховного совета СССР, (1945): 239.

[272] **Irina Mukhina and Liubov Denisova,** eds., *Rural Women in the Soviet Union and Post-Soviet Russia* (London and New York: Routledge, 2010), 3.

განქორწინების მოტივის მითითება. განცხადების საფასური კი 100 მანეთი იყო. სასამართლო პროცესს უნდა დასწრებოდა ორივე მეუღლე. ასევე, საჭირო იყო მოწმეების დასწრება და მათი გამოკითხვა. საგულისხმოა, რომ ადგილობრივ გაზეთში იბეჭდებოდა პუბლიკაცია წყვილის სასამართლო პროცესის შესახებ. სავარაუდოა, რომ ამ უკანასკნელის დანიშნულება იყო საზოგადოებრივი შერცხვენა. შესაძლოა, ოჯახების ნაწილს ერჩია ქორწინებაში დარჩენა, ვიდრე ამ პროცედურის გავლა და საჯაროდ საზოგადოებისგან კრიტიკის მოსმენა. ზოგადად, საბჭოთა სისტემა ხშირად იყენებდა საჯაროდ გაკიცხვის ინსტრუმენტს მოქალაქეების წინააღმდეგ. მსგავს პრაქტიკას ვხვდებით დედის წინააღმდეგ, რომელიც აბორტს იკეთებს.

საინტერესოა, რომ სასამართლოს ჰქონდა უფლება, ეზრუნა წყვილის შერიგებაზე. იმ შემთხვევაში თუ სახალხო სასამართლო ვერ შეარიგებდა წყვილს, საქმე გადაეცემოდა მაღალი ინსტანციის სასამართლოს. განქორწინების დროს დაზუსტებული უნდა ყოფილიყო, თუ რომელი შვილი რჩება რომელ მშობელთან და შესაბამისი თანხა, რომელსაც მშობელი იხდის ბავშვისთვის. ამავე ბრძანების მიხედვით, განქორწინების შემდეგ ქონების გაყოფა ხდებოდა მეუღლეებს შორის. ასევე, საგულისხმოა რომ სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, მეუღლეები იხდიდნენ 500-დან 2000 მანეთამდე თანხას. [273]

განქორწინების პროცესის გართულება და მაღალი გადასახადის დაწესება ემსახურებოდა მიზანს, რაც შეიძლება ნაკლებ წყვილს ჰქონოდა განქორწინების სურვილი. შესაბამისად, ერთი მხრივ, დედის ხატის გაძლიერება, მისი მხარდაჭერა და წახალისება, ხოლო მეორე მხრივ, განქორწინების პროცესის გართულება ხელს შეუწყობდა ოჯახის ინსტიტუტის გაძლიერებას, რაც სახელმწიფო პოლიტიკის მიზანი იყო. განსაკუთრებით ომის მიმდინარეობის პერიოდში, ძლიერი ოჯახი სახელმწიფოს დასაყრდენი უნდა ყოფილიყო.

[273] **1944 წლის 8 ივლისის N37 ბრძანება,** Сборник законов СССР и указов Президиума Верховного совета СССР. 1938-1944 г.г. — М.: Ведомости Верховного совета СССР, (1945):239.

§3.2. მარტოხელა დედები

1944 წლის N37 ბრძანება ცალკე კატეგორიად განიხილავს მარტოხელა დედას. მარტოხელა დედად საბჭოთა კავშირში მიიჩნეოდა ქალი, რომელიც არ იმყოფებოდა ქორწინებაში და ჰყავდა შვილ(ებ)ი. მარტოხელა დედებისთვის სახელმწიფო აწესებდა სახელმწიფო დახმარებას ბავშვების შენახვისა და აღზრდისათვის. კერძოდ, ერთ ბავშვზე გაიცემოდა 100 მანეთი თვეში, ორ ბავშვზე - 150 მანეთი, ხოლო სამ და მეტ ბავშვზე - 200 მანეთი. სახელმწიფო დახმარება გაიცემოდა 12 წლამდე ასაკის ბავშვებზე. ასევე, მარტოხელა დედებს, რომლებსაც სამი და მეტი შვილი ჰყავდათ, დამატებით ერიცხებოდათ მრავალშვილიანობის დახმარება შესაბამისი რაოდენობით.[274] კითხვას ბადებს საკითხი, თუ რატომ გასცემდა სახელმწიფო დახმარებას 12 წლამდე და არა ბავშვების სრულწლოვანებამდე. სავარაუდოა, რომ ამ გზით სახელმწიფო ზოგავდა ამ მიმართულებით თანხებს. ამასთან, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ განსაკუთრებით ომის პერიოდში 12 წლიდან ბავშვები აქტიურად იყვნენ დასაქმებული სხვადასხვა მიმართულებით.

მარტოხელა დედას დაქორწინების შემთხვევაში უნარჩუნდებოდა მისი სტატუსით განსაზღვრული დახმარება. ასევე, დედები, რომლებიც იღებდნენ ალიმენტს ამ ბრძანების გამოცემამდე დაბადებულ ბავშვებზე, ჰქონდათ უფლება მიეღოთ ალიმენტი ბავშვის სრულწლოვანებამდე, მაგრამ მარტოხელა დედის სტატუსით განსაზღვრულ დახმარებას ვეღარ მიიღებდნენ.

მარტოხელა დედობის სიმძიმე საბჭოთა ხელისუფლებისთვის მეტ-ნაკლებად გასაგები იყო. ყოველ შემთხვევაში, 1920-იან წლებში ბოლშევიკებს შორის არსებულ შეხედულებას, რომ სახელმწიფო უნდა დახმარებოდა მშობლებს ბავშვების აღზრდაში, 1944 წელსაც იზიარებდნენ. ამას მოწმობს, ბავშვთა დაწესებულებებში ბავშვების დატოვების შესაძლებლობა. მარტოხელა დედას შეეძლო აღსაზრდელად დაეტოვებინა შვილი. ბრძანების მიხედვით, „დაწესებულება ვალდებულია მიიღოს

[274] **1944 წლის 8 ივლისის N37 ბრძანება,** Сборник законов СССР и указов Президиума Верховного совета СССР. 1938-1944 г.г. — М.: Ведомости Верховного совета СССР, (1945):235.

ბავშვი, შეინახოს და აღზარდოს სახელმწიფოს ხარჯით“[275]. თუმცა, დედას უფლება ჰქონდა ნებისმიერ დროს დაებრუნებინა შვილი უკან. იმ დროს, როდესაც ბავშვი დაწესებულებაში იქნებოდა, დედაზე სახელმწიფო დახმარება აღარ გაიცემოდა.

მარტოხელა დედების კატეგორიას ასევე შეეხო ახალშობილზე გაცემული დახმარების ზრდა. ახალშობილზე სოციალური დაზღვევა და კოოპერატიული არტელები ერთობლივად გასცემდნენ 45 მანეთს, ეს თანხა გაიზარდა და გაუთანაბრდა 120 მანეთს. ბრძანებაში ასევე განსაზღვრული იყო, რომ ამ თანხით უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო ახალშობილის თეთრეულის კომპლექტის შეძენა[276]. საინტერესოა, რომ ბრძანება კონკრეტულ ნივთს - თეთრეულის კომპლექტს ასახელებს. სავარაუდოდ, ახალშობილებისთვის ჰიგიენის შენარჩუნების მიზნით აწესებდა ამას სახელმწიფო. მეორე მხრივ, კი ეს იყო ერთგვარი დაზღვევა, რათა მშობელს სხვა მიზნით არ გამოეყენებინა მიღებული თანხა.

§3.3. ორსული ქალები

ბრძანებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ფეხმძიმე ქალებს. შესაბამისად, ვფიქრობთ, ცალკე კატეგორიად უნდა გამოიყოს ორსული ქალების სახე, რომლებიც სახელმწიფო პოლიტიკისთვის ძალიან მნიშვნელოვნები არიან - ისინი მომავალი დედები არიან და განსაზღვრავენ ქვეყნის დემოგრაფიულ პოლიტიკას. ეს ტენდენცია შენარჩუნებულია ომის დროსაც. შესაბამისად, ბრძანების მეორე ნაწილი შეეხება ორსული ქალების, დედების შეღავათით სარგებლობას, დედათა და ბავშვთა დაცვის დაწესებულებების გაფართოების ზომებს. ამ ნაწილში განსაზღვრულია დეკრეტული შვებულების პირობები. აღსანიშნავია, რომ ორსულობის და მშობიარობის დროს ქალებს მიეცათ უფლება ნაცვლად 63 დღისა, ესარგებლათ 77 კალენდარული დღით. აქედან, მშობიარობამდე 35 კალენდარული დღე და მშობიარობის შემდგომ 42

[275] **1944 წლის 8 ივლისის N37 ბრძანება,** Сборник законов СССР и указов Президиума Верховного совета СССР. 1938-1944 г.г. — М.: Ведомости Верховного совета СССР, (1945):235.
[276] **1944 წლის 8 ივლისის N37 ბრძანება,** Сборник законов СССР и указов Президиума Верховного совета СССР. 1938-1944 г.г. — М.: Ведомости Верховного совета СССР, (1945):235.

კალენდარული დღე. როგორც ვხედავთ, ბრძანების მიხედვით, სადეკრეტო შვებულების პერიოდი გაიზარდა, რაც ცალსახად დადებითი მოვლენა იყო ქალებისთვის.

ამასთან, დეკრეტული შვებულების პერიოდში გაიცემოდა სახელმწიფო დახმარება. ბრძანება ითვალისწინებდა განსაკუთრებულ შემთხვევებსაც: მძიმე მშობიარობას ან ტყუპების გაჩენას. ამ შემთხვევაში მშობიარობის შემდგომი შვებულება 56 კალენდარულ დღემდე იზრდებოდა[277].

ამასთან, საინტერესოა შედარებისთვის გავიხსენოთ, რომ როგორც 1936 წლის კანონპროექტში იყო მითითებული, ორსული ქალების დასაქმება რეგულირდებოდა კანონმდებლობით. კერძოდ, ორსულები გადაყვანილი უნდა ყოფილიყვნენ ბოლო ექვსი თვის განმავლობაში მსუბუქ სამუშაოზე, ხელფასის შენარჩუნებით.[278] 1944 წლის ბრძანების მიხედვით კი, ქალები ორსულობის მეოთხე თვიდან არ უნდა დასაქმებულიყვნენ ზეგანაკვეთურ სამუშაოზე, ხოლო ძუძუთა კვების პერიოდში ქალების დასაქმება ღამის საათებში არ იყო ნებადართული[279].

ომის პერიოდში სურსათის ნაკლებობა განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენდა ორსულებისთვის. ამას ითვალისწინებდა 1944 წლის ბრძანება და ორსულ ქალებზე (6 თვიდან) და ლაქტაციის პერიოდში (პირველი 4 თვის განმავლობაში) გასცემდა გაორმაგებულ პროდუქტს.[280] გარდა ამ შეღავათისა, ორსული ქალები, სარგებლობდნენ დამატებითი შეღავათებით: ორსულებს, რომელთაც ჰყავდათ სხვა სკოლამდელი ასაკის შვილები, 1944 წლის ბრძანების მიხედვით, საბავშვო ბაღებსა და ბაგებში იხდიდნენ 50%-ით ნაკლებ გადასახადს[281].

---

[277] **1944 წლის 8 ივლისის N37 ბრძანება,** Сборник законов СССР и указов Президиума Верховного совета СССР. 1938-1944 г.г. — М.: Ведомости Верховного совета СССР, (1945):235.

[278] „აბორტის აკრძალვის და დედათა დახმარების გაზრდის პროექტი“ *გაზ. „პრავდა“* N143 (6749), (1936 წლის 26 მაისი): 1.

[279] **1944 წლის 8 ივლისის N37 ბრძანება,** Сборник законов СССР и указов Президиума Верховного совета СССР. 1938-1944 г.г. — М.: Ведомости Верховного совета СССР, (1945):235.

[280] **1944 წლის 8 ივლისის N37 ბრძანება,** Сборник законов СССР и указов Президиума Верховного совета СССР. 1938-1944 г.г. — М.: Ведомости Верховного совета СССР, (1945):235.

[281] **1944 წლის 8 ივლისის N37 ბრძანება,** Сборник законов СССР и указов Президиума Верховного совета СССР. 1938-1944 г.г. — М.: Ведомости Верховного совета СССР, (1945):235.

ამავე ბრძანებით, იმისთვის, რომ დედებს თავი კომფორტულად ეგრძნოთ, დაწესებულებებში, სადაც ქალები მუშაობდნენ, ძირითად შემთხვევაში ესენი იყო საბავშვო ბაღები, ბაგები, სკოლები, სასადილოები და სხვ. უნდა მოწყობილიყო მეძუძური დედების და ქალთა პირადი ჰიგიენის ოთახი. ეს პასაჟი ორმხრივად მნიშვნელოვანია. ერთი, რომ ქალების მუშაობის არეალი განსაზღვრულია სახელმწიფოს მიერ და ე.წ. ქალურ პროფესიებზე მოიაზრება მათი დასაქმება. ასეთ სივრცედ განხილულია მაგალითად, საბავშვო ბაღი. სახელმწიფოს გენდერული პოლიტიკის ანალიზისას, ძალიან მნიშვნელოვანია ამ მიდგომის გავრცობა, რაც გვაფიქრებინებს და ადასტურებს კვლევაში მოყვანილ მოსაზრებას, რომლის მიხედვით საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა 1936-1945 წლებში ქალთა მიმართ იყო ურთიერთსაწინააღმდეგო და თავის თავში მოიაზრებდა გენდერული როლების გადანაწილებას საზოგადოებრივ თუ საშინაო საქმიანობაში. სწორედ ამით აიხსნება, რომ ქალები უმეტესწილად მუშაობდნენ ე.წ. ქალურ პოზიციებზე და არა ე.წ. მამაკაცურ პოზიციებზე.

მეორე, სახელმწიფო პოლიტიკა ზრუნავს ახალშობილის ჯანმრთელობაზე. ამ მიზნით, მიზანშეწონილად მიაჩნდა ბავშვების ძუძუთი კვება და შესაბამისი ოთახების მოწყობა. ბრძანება უზრუნველყოფს, რომ მომავალში თითოეულ სამშენებლო პროექტში გათვალისწინებული იყოს დედის ოთახის მოწყობა, რაც დედებისთვის იქნება დამატებითი კომფორტი. ეს თავისთავად ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკას დადებითად ახასიათებს.

ომის დროს, მოსახლეობა განიცდიდა ყოველდღიური მოხმარების საგნების, საბავშვო ტანსაცმლის, ჰიგიენის ნივთების ნაკლებობას. ამიტომ, 1944 წლის ბრძანებაში დამატებით მითითებულია, რომ უნდა გაფართოვდეს საბავშვო ტანსაცმლის და ჰიგიენის ნივთების წარმოება, რათა „მოხდეს მათი მიწოდება ბავშვთა დაწესებულებისთვის და ასევე, გასაყიდად უნდა მიეწოდოს მოსახლეობას.“[282] საგულისხმოა, რომ ეს პასაჟი გვხვდება 1944 წლის ბრძანებაში, რაც ადასტურებს ომით გამოწვეულ ყოველდღიურ საჭიროებებს, რომლებსაც ოჯახები თავად ვერ უმკლავდებიან. ეს საკითხი კი განსაკუთრებით მტკივნეული უნდა ყოფილიყო

[282] **1944 წლის 8 ივლისის N37 ბრძანება,** Сборник законов СССР и указов Президиума Верховного совета СССР. 1938-1944 г.г. — М.: Ведомости Верховного совета СССР, (1945):235.

ორსული ქალებისთვის, რომლებსაც ჰქონდათ ვალდებულება ეზრუნათ ოჯახის დანარჩენ წევრებზე.

§3.4. დაუქორწინებელი, მარტოხელა ქალები.

ამ პარაგრაფის მიზანია, 1944 წლის 8 ივლისის N37 ბრძანების მიხედვით, განვიხილოთ სახელმწიფო პოლიტიკა დაუქორწინებელი, მარტოხელა ქალებისადმი. საბჭოთა ელიტა მეტად შემწყნარებელია დაოჯახებული და მრავალშვილიანი ქალებისადმი, განსაკუთრებით ომის დროს, განსხვავებით საზოგადოების იმ სეგმენტისგან, რომელიც არ/ვერ მიყვებოდა სახელმწიფოს მიერ დაწესებულ სტანდარტს (მაგ. არ იზიარებდა მრავალშვილიანი დედის კონცეფციას, არ იყო დაქორწინებული და სხვ.) შესაბამისად, სახელმწიფო მიიჩნევდა, რომ საზოგადოების ამ ნაწილს ბევრად მეტი ვალდებულება უნდა დაკისრებოდა, რათა შეევსო „დანაკლისი“. 1944 წლის ბრძანების მეოთხე ნაწილი შეეხება „შინაბერა, მარტოხელა და მცირე ოჯახიანი მოქალაქეების გადასახადებს“. სათაურიდანვე ირკვევა, რომ დაუქორწინებელი პირები სახელმწიფოს პოლიტიკის განსაზღვრისას ცალკე კატეგორიას წარმოადგენენ. 1944 წლის ბრძანებაში ვკითხულობთ: “1941 წლის 21 ნოემბრის სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების ცვლილების თანახმად, დაწესდეს, რომ გადასახადს იხდის მოქალაქე, რომელსაც არ ჰყავს შვილები და მოქალაქე, რომელსაც ერთი ან ორი შვილი ჰყავთ.“[283] მამაკაცები გადასახადის გადამხდელებად ითვლებიან 20-დან 50 წლამდე ასაკში, ხოლო ქალები 20-45 წლის ასაკობრივ კატეგორიაში. მოქალაქეებს, რომლებიც ექვემდებარებიან საშემოსავლო გადასახადს, შვილების არყოლის შემთხვევაში ექმნებათ ვალდებულება გადაიხადონ თავიანთი შემოსავლის 6%, ერთი შვილის შემთხვევაში - შემოსავლის 1% და 2 შვილის შემთხვევაში შემოსავლის 0.5%. რაც შეეხება კოლმეურნეებს: უშვილოები იხდიან - 150 მანეთს წელიწადში, 1 შვილის შემთხვევაში - 50 მანეთს წელიწადში, 2 შვილის შემთხვევაში - 25 მანეთს წელიწადში. დანარჩენი

[283] **1944 წლის 8 ივლისის N37 ბრძანება,** Сборник законов СССР и указов Президиума Верховного совета СССР. 1938-1944 г.г. — М.: Ведомости Верховного совета СССР, (1945):238.

მოქალაქეები: უშვილოები გადაიხდიან 90 მანეთს წელიწადში, ერთშვილიანები - 30 მანეთს წელიწადში, ორშვილიანები - 15 მანეთს წელიწადში[284]. საინტერესოა, რომ მე-18 პუნქტის მიხედვით, ამ გადასახადისგან გათავისუფლებულნი არიან, სამხედრო 8აწილის წარმომადგენლები, ოფიცრები არმიასა და ფლოტში, სამხედრო მოსამსახურის ცოლები, ასევე მოქალაქეები, რომელთა შვილები დაიღუპნენ ან დაიკარგნენ ფრონტზე, უნარშეზღუდული პირები და სხვ.[285] ბრძანების ამ ნაწილის განხილვის შედეგად, შესაძლებელია ვიმსჯელოთ სახელმწიფოს მოტივზე, ერთი მხრივ, შეუქმნას არაკომფორტული პირობები მათ, ვინც არ არის დაქორწინებული, და მეორე მხრივ, წაახალისოს ერთი და ორშვილიანი ოჯახები, რათა მათაც ჰქონდეთ მეტი შვილის გაჩენის მოტივაცია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა დემოგრაფიული პრობლემა მეორე მსოფლიო ომის დროს, თუმცა აღნიშნული სახელმწიფო პოლიტიკა ჯერ კიდევ 1930-იანი წლებიდან ამუშავდა. ამას მოწმობს, მეორე თავში განხილული 1936 წლის კანონპროექტი.

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ 1944 წლის ბრძანება ითვალისწინებდა მეორე მსოფლიო ომით გამოწვეულ მძიმე პირობებს, რომელშიც აღმოჩნდნენ საბჭოთა მოქალაქეები. შესაბამისად, ერთი მხრივ, ბრძანება აყალიბებს გარკვეულ ტენდენციებს, რომლებიც საბჭოთა გენდერული პოლიტიკისთვის იყო მისაღები. როგორიცაა: მრავალშვილიანი ოჯახების (განსაკუთრებით დედების) მხარდაჭერა, ქალების წახალისება და მოტივაციის გაზრდა, რათა მათ რაც შეიძლება მეტი შვილი გააჩინონ, დედის იდეალური ხატის შექმნა, ორსული ქალებისთვის მეტ-ნაკლებად კომფორტული გარემოს შექმნა დეკრეტული შვებულების გაზრდის, მეძუძური დედების ოთახების ფორმირებით სამუშაო ოთახებში და სხვ. ამასთან, არაპირდაპირ 1944 წლის ბრძანება გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს დაუქორწინებელ მოქალაქეებს: მათ უწევთ მეტი გადასახადის გადახდა, იქმნება ერთგვარი სტერეოტიპული შეხედულებები მარტოხელა ადამიანების შესახებ. ამ კუთხით ბევრად მეტი როლი ჰქონდა საბჭოთა პროპაგანდას საბჭოთა ლიტერატურასა და იკონოგრაფიაში.

---

[284] **1944 წლის 8 ივლისის N37 ბრძანება,** Сборник законов СССР и указов Президиума Верховного совета СССР. 1938-1944 г.г. — М.: Ведомости Верховного совета СССР, (1945):238.

[285] **1944 წლის 8 ივლისის N37 ბრძანება,** Сборник законов СССР и указов Президиума Верховного совета СССР. 1938-1944 г.г. — М.: Ведомости Верховного совета СССР, (1945):238.

თავი IV. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული მასალები მეორე მსოფლიო ომის შესახებ

აღნიშნული კვლევის მიზანია გამოკვეთოს ქალთა სახეები, რომლებიც დამკვიდრდა მეორე მსოფლიო ომის დროს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში. საკითხის შესწავლის მიზნით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული მასალების გაანალიზება. ამ მიზნით, შევისწავლეთ ფონდი N600 და N284. უნდა ითქვას, რომ ფონდი N248 მოიცავს ვრცელ ინფორმაციას 1930-იან წლებში „ახალი ტიპის ქალის“ ფორმირების შესახებ. თუმცა, მეორე მსოფლიო ომის პერიოდთან დაკავშირებით, არც თუ ბევრი დოკუმენტის მოძიებაა შესაძლებელი. მიუხედავად ამისა, ანაწერებში იძებნება ვრცელი ინფორმაცია კონკრეტული პირების შესახებ, რომლებიც ომის უშუალო მონაწილენი იყვნენ. არქივში დაცულია მათი განცხადებები, რომლებიც დღეს ისტორიულ მნიშვნელობას იძენს. N600 და N248 ფონდის დამუშავებისას, მთავარ საკვლევ კითხვად იქცა საკითხი: როგორ ეხმარება საბჭოთა სახელმწიფო ფრონტის მიღმა დარჩენილ ქალებს ოჯახის შენახვაში. კვლევის პროცესში მოპოვებული საარქივო მასალების სიმცირის და ზოგიერთ შემთხვევაში ქალთა საცხოვრებლის მიუთითებლობის გამო, რთულია კვლევის ობიექტად სოფლად მცხოვრები ან ქალაქად მცხოვრები ქალების მოაზრება. შესაბამისად, კვლევის ნაწილი სოფლად მცხოვრებ ქალებს ეხება, ნაწილი კი - ქალაქში მცხოვრებ ქალებს. ვინაიდან კვლევის მეთოდოლოგია გულისხმობს შემთხვევის ანალიზს, კვლევის ფოკუსში მოექცა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, შესაბამისად საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული მასალები ორმაგად საინტერესოა. კვლევის პროცესში გამოვყავით წერილები/განცხადებები, რომლებშიც კარგად ჩანს ფრონტს მიღმა დარჩენილი დიასახლისის ყოველდღიური პრობლემები. შესაბამისად, ძირითადი კითხვები, რომელსაც კვლევის ეს თავი პასუხობს, შემდეგნაირად ფორმულირდება: 1. რა გამოწვევების წინაშე დადგა დიასახლისი ომის დაწყების შემდეგ და როგორ აისახა ეს პროცესი მის ყოველდღიურ ცხოვრებაზე 2. როგორ ეპყრობა სახელმწიფო წითელარმიელთა ოჯახის პრობლემებს? 3. რა ტერმინები ჭარბობს ტექსტში?

აღსანიშნავია, რომ ანაწერებში დაახლოებით 100-მდე განცხადების მოძიება არის შესაძლებელი. შესაბამისად, მკვლევარს უწევს დასკვნების განზოგადება. რაც თავის მხრივ, უშვებს შესაძლებლობას, რომ კვლევის შედეგები შეიძლება ნაწილობრივ განსხვავდებოდეს არსებული რეალობისგან. თუმცა, კვლევის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოს ეროვნული არქივის სხვა ანაწერებში არ ინახება მსგავსი ტიპის ინფორმაცია.

§4.1. მეორე მსოფლიო ომით განპირობებული გამოწვევები

ამ პარაგრაფში მიმოვიხილავთ იმ გამოწვევებს, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აქტუალური გახდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ცვლილებები, რომლებიც ქალებს შეეხოთ. ამ მიზნით, დამუშავებულ იქნა საარქივო მასალები და გამოიკვეთა რამდენიმე სახასიათო ნიშანი: პირველი, საარქივო მასალებში ძალიან მცირეა იმ დოკუმენტების რაოდენობა, რომლის ავტორები ქალები არიან. უფრო ხშირად ვხვდებით წერილებს, განცხადებებს, რომლის ავტორები მამაკაცები არიან და აქედან ვიგებთ ინფორმაციას ქალების ყოფის შესახებ. ვინაიდან შეზღუდული რაოდენობის საარქივო მასალებია ხელმისაწვდომი, საჭიროდ ჩავთვალეთ მამაკაცების მიერ დაწერილი წერილები/განცხადებები დაგვემუშავებინა და ამის მიხედვით გვემსჯელა ქალთა მდგომარეობაზე.

საარქივო მასალებში იძებნება ინფორმაცია წითელარმიელთა ოჯახებისთვის სახელმწიფოს მიერ დანიშნული პენსიის შესახებ[286]. საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი აწარმოებდა სტატისტიკას გაცემული დახმარებების შესახებ. თუმცა, რეალურ ცხოვრებაში ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც მოქალაქეები ჩიოდნენ არასწორად გადანაწილებული დახმარების შესახებ. ზოგიერთ შემთხვევაში კი გაცემული პენსია ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს. წულუკიძის რაიონის სოფელ კინჩხაში მცხოვრები სილიბისტრო კირთაძე წითელარმიელი იყო, ის განცხადებით

[286] **სსცა,** ფ. 600, აღწ. 1. საქმე 602, ფურც. 94-97. მოხსენებები და მიმოწერა. თბილისის სამხედრო ნაწილებში დისციპლინის განმტკიცებისა და წითელარმიელთა ოჯახების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ.

მიმართავს საქართველოს მშრომელთა დეპუტატების უმაღლეს საბჭოს. განცხადების მიხედვით, სახელმწიფო დიდ დახმარებას უწევს წითელარმიელთა ოჯახებს და ქვრივ-ობლებს.[287] განცხადების დაწერის მიზეზად მითითებულია კინჩხის მშრომელებზე პურის არათანასწორად გადანაწილება და ერთი პირის მიერ სხვადასხვა კოლმეურნეობიდან ხორბლის გატანა. განმცხადებელი ასახელებს კონკრეტულ სახელებსა და გვარებს და მათ ადანაშაულებს პურის არაკანონიერად მითვისებაში. შესაბამისად, ომის მიმდინარეობისას, გარდა ომით გამოწვეული პურის და საკვების ნაკლებობისა, მოსახლეობისთვის და ამ შემთხვევაში ფრონტის მიღმა დარჩენილი ქალებისთვის გამოწვევად იქცა თითოეულ ოჯახზე გამოყოფილი საკვების არასწორი გადანაწილება. ზოგიერთ შემთხვევაში სახელმწიფო განცხადების საფუძველზე იწყებდა მოკვლევას. კირთაძის განცხადების საპასუხოდ დაიწყო კვლევა. საპასუხო წერილის მიხედვით, კირთაძის ბრალდება უარყოფილ იქნა.

განცხადებებს შორის არის ედესა მეგრელიშვილის განცხადება. საარქივო მასალებმა არ შემოინახა დედანი, თუმცა განცხადების საფუძველზე ჩატარებული კვლევის შემდეგ ჩანს, რომ ედესა მეგრელიშვილი წითელარმიელი დათიკო მეგრელიშვილის დედაა, რომელიც უნარშეზღუდულია და ამ მიზეზით ითხოვს დახმარებას[288]. განცხადების პასუხად წერია, რომ მართალია ის უნარშეზღუდულია, მაგრამ მას არ ჰყავს არავინ „სარჩენი“. მას კოლმეურნეობიდან მიღებული ჰქონია პური, ღვინო, სიმინდი და ფული. ედესა მეგრელიშვილის ორივე ვაჟი დაპატიმრებული ყოფილა. ამასთან, ზესტაფონის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ქალს ადანაშაულებს შვილის წითელარმიელი „დათიკო მეგრელიშვილის შრომა-დღეებზე გამოყოფილი სურსათ-სანოვაგის განიავებაში, სახლის მასალის განიავებაში და სხვ.“[289] ეს შემთხვევა ჩვენი კვლევის მიზნებისთვის მრავალმხრივ საინტერესოა. პირველ რიგში, საუბარია უნარშეზღუდულ ქალზე, რომელსაც, როგორც ჩანს, საკუთარი შრომით არ შეუძლია შემოსავლის მიღება. მის მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს შვილების დაპატიმრება. ამის გასასამართლებლად, აღმასკომის თავმჯდომარე მიჩნევს, რომ ქალს, რადგან სარჩენი არავინ ჰყავს, ეს მდგომარეობას

[287] **სსცა,** ფ. 600, აღწ. 1. საქმე 6598 , ფურც, 11-12. წერილები, კორესპონდენციები, აქტები.
[288] **სსცა,** ფ. 600, აღწ. 1. საქმე 6598 , ფურც, 13. წერილები, კორესპონდენციები, აქტები.
[289] **სსცა,** ფ. 600, აღწ. 1. საქმე 6598 , ფურც, 13. წერილები, კორესპონდენციები, აქტები.

ამსუბუქებს და მისი მოთხოვნა მიიღოს სახელმწიფოსგან დახმარება, არ არის მიზანშეწონილი. ომის მიღმა დარჩენილი ქალები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც სხვების მზრუნველობას საჭიროებდნენ, ომმა ორმაგად დააზარალა, ხოლო სახელმწიფო ხშირად უსამართლოდ ექცეოდა მათ.

განცხადებებს შორის არის ზექიე მელეღ-ოღლის წერილი. იგი ზემო ტოპალ-ოღლში (კახაბრის დასახლება, სავარაუდოდ იგულისხმება ბათუმის შემოგარენი (ნ. მ.) ცხოვრობდა[290]. ქალის განცხადებიდან ირკვევა, რომ ის არის ქვრივი, შრომისუნარმოკლებული და მას ჰყავს ორი მცირეწლოვანი 10 და 12 წლის შვილები. ქალს ზემო ტოპალ-ოღლიში აქვს მიწა, რომელზეც გაშენებულია პატარა ბაღი ციტრუსებით, ხეხილით და ა. შ.[291] როგორც ჩანს, მიწა/ყანა აეროდრომისგან 2 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს და ამ მიზეზის გამო ქალს გასახლებას უპირებენ. ქალი განცხადებაში ირწმუნება, რომ ეს არ წარმოადგენს საფრთხეს ოჯახისთვის და სთხოვს სახელმწიფოს, რომ მისცეს მას და კიდევ 2 ოჯახს, რომლებიც აეროდრომიდან 2 კილომეტრის რადიუსში ცხოვრობენ, უფლება რომ დარჩნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილას და არ გადაასახლონ[292]. წერილი სასოწარკვეთილებით არის სავსე. ამაზე მეტყველებს ფრაზები, რომლებსაც ქალი იყენებს: „თუ გამასახლებთ, სად უნდა წავიდე ჩემს ოჯახთან ერთად?!(თარგმანი რუსულიდან (ნ. მ.) “[293]; ...მომყავს მოსავალი: სიმინდის, ლობიოს, კარტოფილის, ბრინჯის და მწვანილის .. რითაც შემიძლია ჩემი ოჯახი გამოვკვებო“; „რაც შეეხება გადასახლებას, არ შემიძლია ღია ცის ქვეშ დავტოვო ჩემი ოჯახი“ (სტილი დაცულია ნ.მ);[294] ამ წერილში კარგად ჩანს ქალის მდგომარეობა - ქალი უნარშეზღუდულია და ჰყავს ორი მცირეწლოვანი შვილი, რომელთა გამოკვებაც თავად უწევს, რადგან მეუღლე გარდაცვლილი ჰყავს. ასეთ დროს მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა მიწის ნაკვეთი, რომელზეც მოჰყავს მოსავალი. ეს ნაკვეთი მისთვის გადარჩენის საშუალებაა. თან წერილში ის ადასტურებს, რომ კოლმეურნეობის ჩამოყალიბების

[290] **სსცა,** ფ. 600, აღწ. 1. საქმე 6598, ფურც, 116. წერილები, კორესპონდენციები, აქტები.
[291] **სსცა,** ფ. 600, აღწ. 1. საქმე 6598, ფურც, 116. წერილები, კორესპონდენციები, აქტები.
[292] **სსცა,** ფ. 600, აღწ. 1. საქმე 6598, ფურც, 116. წერილები, კორესპონდენციები, აქტები.
[293] **სსცა,** ფ. 600, აღწ. 1. საქმე 6598, ფურც, 116. წერილები, კორესპონდენციები, აქტები.
[294] **სსცა,** ფ. 600, აღწ. 1. საქმე 6598, ფურც, 116. წერილები, კორესპონდენციები, აქტები.

დღიდან მიწა მათი ოჯახის საკუთრებაში იყო. ამით ამყარებს აზრს, რომ მას არ მიუთვისებია სხვისი მიწა და არც კოლმეურნეობისთვის წაურთმევია.

ქალების განცხადებების ნაწილი შეეხება სახელმწიფოს მიერ დახმარების (პენსიის) მიუღებლობას. ზოგ შემთხვევაში 1941 წლის 26 ივნისის ბრძანებულება სახელმწიფო დახმარების გაცემის შესახებ არ ითვალისწინებდა ქალების მდგომარეობას, რომლებიც მარტო დარჩნენ ოჯახში როგორც შრომისუნარიანი მოქალაქეები. მათ ჰქონდათ ვალდებულება ეზრუნათ შვილებსა და მოხუც მშობლებზე. თუმცა, სახელმწიფო წითელარმიელების დახმარების გაცემის დროს ითვალისწინებდა წითელარმიელის ოჯახურ მდგომარეობას და არა მისი მეუღლის. ამიტომ, ზოგიერთ შემთხვევაში ქალებს უწევდათ ზრუნვა საკუთარ მშობლებსა და შვილებზე, მაგრამ ვერ იღებდნენ დახმარებას, რადგან დახმარება წითელარმიელის სიდედრსა და სიმამრზე არ გაიცემოდა. ასეთი შემთხვევაა ვერა გობოზაშვილის განცხადებაში, რომლის მიხედვით, ვერა წერს, რომ „ყველანი ჩემი ქმრის - წითელარმიელის კმაყოფაზე ვიმყოფებოდით და ვიმყოფებით კიდეც“[295]. ის განცხადებით ითხოვს წითელარმიელთა პენსიის დანიშვნას. განცხადების მიხედვით, ოჯახში შრომისუნარიანი მხოლოდ თვითონ არის, ოჯახში ასევე ჰყავთ მოხუცები და მცირეწლოვანი შვილი. განცხადებაში ქალი წერს, რომ „ერთი ძროხა გვყავდა და ისიც აგვიწერეს სამხედრო გადასახადში“.[296] გარდა ამისა, განცხადებას თან ერთვის ცნობები, რომლის მიხედვით მტკიცდება, რომ ვერას ქმარი წითელარმიელია და მას სახლში ჰყავს მოხუცებულები, შრომისუნარმოკლებულები. საინტერესოა, რომ უნარშეზღუდულ მოქალაქეებს სახელმწიფო განსაკუთრებულ დახმარებას არ უწევს.

იმავე საქმის დეტალებიდან ჩანს, რომ დიმიტრი გობოზაშვილი 1940 წლიდან წითელ არმიაში მსახურობდა. სახკომსაბჭოს პასუხის მიხედვით, ცნობილი ხდება, რომ დახმარების დამნიშვნელმა კომისიამ დაუშვა შეცდომა და დიმიტრი გობოზაშვილის სიდედრი და სიმამრი მიიჩნია მის მშობლებად, ამიტომ პირველ პერიოდში მათ დაენიშნათ პენსია. მეორედ როდესაც საკითხი გადაისინჯა, კომისიამ გაუუქმა პენსია, რადგან 1941 წლის 26 ივნისის ბრძანებულების მიხედვით, „მობილიზებულის

[295] **სსცა,** ფ. 600, აღწ. 1. საქმე 6598, ფურც, 46-48. წერილები, კორესპონდენციები, აქტები.
[296] **სსცა,** ფ. 600, აღწ. 1. საქმე 6598, ფურც, 46-48. წერილები, კორესპონდენციები, აქტები.

სიდედრსა და სიმამრს დახმარება არ ენიშნება."[297] აღნიშნული მაგალითი აჩვენებს, რომ მიუხედავად სახელმწიფოს მიერ დადგენილი რეგულაციებისა, ზოგიერთ შემთხვევაში ქალები უმწეო მდგომარეობაში ვარდებოდნენ და ერთადერთი გამოსავალი დამატებითი სამსახურის შოვნა იყო, რაც ასევე სირთულეს წარმოადგენდა ომის წლებში.

ქალებისთვის კიდევ ერთ გამოწვევად იქცა სამსახურიდან გათავისუფლების საკითხი, რომელიც ყოველთვის სამართლიანი გადაწყვეტილების შედეგი არ იყო. ამ შემთხვევაშიც, მათ უწევდათ შეგუებოდნენ მოცემულობას და ახალი სამსახური მოეძებნათ, რაც ომის პერიოდში კიდევ უფრო რთული იყო. შესაბამისად, კიდევ ერთ გამოწვევას წარმოადგენდა სამსახურიდან გათავისუფლება და ახალი სამსახურის ძიება. საარქივო მასალებში არსებობს დოკუმენტი, რომელიც აღწერს ნინა მელიას ისტორიას სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე. ნინა მელია 1939 წლიდან მუშაობდა საგალანტერიო ფაბრიკა „კომსომოლკაში" - საგრეხ საამქროში - ძაფის მრთველად. მოგვიანებით, დააწინაურეს და გადაიყვანეს საწნავ საამქროში კოჭებზე ვისკოზის ძაფზე სამუშაოდ. მას ბრალს დებდნენ, რომ ის უწესრიგოდ ტოვებდა მანქანას, რაც მეორე დღეს იწვევდა საქმის შეფერხებას. ასევე, მისი გათავისუფლების მოტივად მითითებულია ქალის ქცევა - როდესაც ომის გამო ვისკოზის ძაფი გამოილია და ნინას უნდა ემუშავა ბამბის ძაფზე, მან უარი განაცხადა, რადგან არ იყო მიჩვეული ბამბის ძაფზე მუშაობას. ამის გამო 1942 წლის 18 მარტიდან ის გაათავისუფლეს.[298] ამ გადმოსახედიდან რთულია დავადგინოთ, რამდენად რეალური იყო აღნიშნული ბრალდება. თუმცა, საარქივო მასალებში იძებნება განმცხადებლის პოზიცია, რომლის მიხედვით ის უმიზეზოდ გაათავისუფლეს დაკავებული პოზიციიდან. ომის პერიოდში ქალების ყოველდღიური რეალობა გაუსაძლისი იყო. ის, ერთი მხრივ, გულისხმობდა ყოველდღიურ სახლის საქმეებს, ბავშვების და მოხუცების მოვლას, ამასთან, მათ დიდ ნაწილს უნდა მოეხერხებინა და ჰქონოდა სამსახური. სხვა შემთხვევაში ოჯახის გამოკვება შეუძლებელი იქნებოდა. ასეთ პირობებში ძნელად დასაჯერებელია, რომ ნინა მელია ძაფის მასალის

[297] **სსცა,** ფ. 600, აღწ. 1. საქმე 6598, ფურც, 51. წერილები, კორესპონდენციები, აქტები.
[298] **სსცა,** ფ. 600, აღწ. 1. საქმე 6599, ფურც, 85-86. განცხადებები, ცნობები და მიმოწერა კერძო პირებთან. წითელარმიელთა ოჯახებისთვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა, საბინაო საკითხებზე და სხვ. შესახებ.

ცვლილების გამო მზად იყო, უარი ეთქვა სამსახურზე. მეორე მხრივ, თავად გალანტერიის მხრიდან საფუძვლიან მიზეზად არ მიგვაჩნია ქალის გათავისუფლება დასახელებული მოტივით.

ქალების ყოველდღიური ცხოვრება ომის პერიოდში ძალიან მძიმე იყო. ამაზე მეტყველებს ლექსიკა, რომელსაც იყენებენ ქალები განცხადებებში. მათ განცხადებებში ჭარბობს სიტყვები: „უკიდურესი გაჭირვება“, „უმწეო მდგომარეობა[299]“, „შრომისუუნარო“, „შიმშილით არ დავწყვიტო[300]“, ღია ცის ქვეშ დავტოვო ჩემი ოჯახი“;[301]

საქართველოს ეროვნულ არქივში N 600 ფონდის N7070 საქმეში დაცულია მოხსენებითი ბარათები და მიმოწერა სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფის და სამხედროების ოჯახებისთვის დახმარების აღმოჩენის შესახებ[302]. N7070 საქმეში ინახება დოკუმენტი, რომლის მიხედვით სახელმწიფომ 1944 წელს წითელარმიელთა ოჯახიდან 123 ქალზე გასცა 3692 მანეთის დახმარება[303]. ამავე საქმეში ინახება, როგორც ქალების, ისე მამაკაცების განცხადებები დახმარების აღმოჩენის თაობაზე. სამწუხაროდ, წერილები საქმეში არ არის. მხოლოდ შუალედური ცნობები წერილის დარეგისტრირების შესახებ. ამის გამო ზუსტი ინფორმაცია წერილების შინაარსის შესახებ არ გვაქვს. თუმცა, განცხადებები დასათაურებულია, რაც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მათ შესახებ. ყველაზე ხშირად სათაურის ტექსტში გვხვდება სიტყვები: “დახმარების აღმოჩენა“

---

[299] **სსცა,** ფ. 600, აღწ. 1. საქმე 6599, ფურც, 84-85. განცხადებები, ცნობები და მიმოწერა კერძო პირებთან. წითელარმიელთა ოჯახებისთვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა, საბინაო საკითხებზე და სხვ. შესახებ.

[300] **სსცა,** ფ. 600, აღწ. 1. საქმე 6599, ფურც, 46-47. განცხადებები, ცნობები და მიმოწერა კერძო პირებთან. წითელარმიელთა ოჯახებისთვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა, საბინაო საკითხებზე და სხვ. შესახებ.

[301] **სსცა,** ფ. 600, აღწ. 1. საქმე 6598, ფურც. 116. წერილები, კორესპონდენციები, აქტები.

[302] **სსცა,** ფ. 600, აღწ. 1. საქმე 7070, ფურც. 2. მოხსენებითი ბარათები და მიმოწერა საქ. სსრ. სახკომსაბჭოსთან არსებული სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახების სახელმწ. უზრუნველყოფის და საყოფაცხოვრებო მოწყობის სამართველოსთან.

[303] **სსცა,** ფ. 600, აღწ. 1. საქმე 7070, ფურც. 1. მოხსენებითი ბარათები და მიმოწერა საქ. სსრ. სახკომსაბჭოსთან არსებული სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახების სახელმწ. უზრუნველყოფის და საყოფაცხოვრებო მოწყობის სამართველოსთან.

„წითელარმიელის ოჯახები“, „სამამულო ომის ინვალიდი“ და ა.შ.[304] მეომართა ოჯახებს უამრავი გამოწვევა ჰქონდათ ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამის დასტურია წერილების სათაურები. მაგალითად: განცხადება ბინის სახურავის შეკეთების შესახებ; ფეხსაცმელით და ქვეშაგებით დახმარების აღმოჩენის შესახებ[305] და სხვ. წერილებში საუბარია ყოველდღიურ გამოწვევებზე, რომლებსაც წითელარმიელთა ოჯახები თავად ვერ უმკლავდებოდნენ. ამიტომ, დახმარებას სახელმწიფოსგან ელოდნენ.

ომის პერიოდში იმდენად გართულდა სამსახურის მოძიება, რომ ქალები განცხადების საფუძველზე ეძებდნენ სამსახურს. ქალების დიდი ნაწილი მასწავლებლად მსახურობდა, თუმცა შემოსავალი არც თუ საკმარისი იყო. ამას მოწმობს სახელმწიფოს მიერ დანიშნული დახმარება მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით[306]. ეკატერინე კვალიაშვილი-ზალდასტანიშვილის განცხადება ამის მაგალითია. მას ჰყავს მცირეწლოვანი შვილები, ქმარი - ფრონტზე. ქალი ითხოვს დასაქმებას კომისარიატში ან სხვა მსგავს ადგილზე[307]. საბჭოთა ხელისუფლებას, როგორც აღვნიშნეთ, 1930-იან წლებში ჰქონდა დასაქმების პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებდა ქალების ჩართვას სხვადასხვა სექტორში. საქართველოს ეროვნულ არქივში ინახება საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, დადგენილებები და სხვ. ერთ-ერთ დოკუმენტში საუბარია ქალთა შრომის პერსპექტიულ მიმართულებებზე. მიიჩნეოდა, რომ სავაჭრო დარგში ქალთა ჩართვა შესაძლებელია. თუმცა, 1933 წლისთვის სახელმწიფო სრულად ვერ იყენებდა გადამზადებული, კვალიფიციური ქალების რესურსს[308]. ამის მიზეზი სხვადასხვა იყო: საზოგადოება არ იყო მზად, ქალების რესურსი სრულად გამოეყენებინა სამუშაო სივრცეში, საზოგადოების ღირებულებათა სისტემა განსხვავებული იყო და ქალების ჩართვა სამუშაო სფეროში, როგორც ქალებისთვის, ისე მამაკაცებისთვის გამოწვევას

---

[304] **სსცა,** ფ. 600, აღწ. 1. საქმე 7070, ფურც. 16-15. მოხსენებითი ბარათები და მიმოწერა საქ. სსრ. სახკომსაბჭოსთან არსებული სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახების სახელმწ. უზრუნველყოფის და საყოფაცხოვრებო მოწყობის სამართველოსთან.

[305] **სსცა,** ფ. 600, აღწ. 1. საქმე 7070, ფურც. 23-24. მოხსენებითი ბარათები და მიმოწერა საქ. სსრ. სახკომსაბჭოსთან არსებული სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახების სახელმწ. უზრუნველყოფის და საყოფაცხოვრებო მოწყობის სამართველოსთან.

[306] **სსცა,** ფ. 600, აღწ. 1. საქმე 7203, ფურც. 24. მოხსენებითი ბარათები, დადგენილება და მიმოწერა.

[307] **სსცა,** ფ. 600, აღწ. 1. საქმე 6599, ფურც, 7. განცხადებები, ცნობები და მიმოწერა კერძო პირებთან.

[308] **სსცა,** ფ. 284, აღწ. 1. საქმე 2510, ფურც. 4. მიმოწერა, დადგენილებები.

წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ, სახელმწიფო ცდილობდა, ხელოვნურად დაერეგულირებინა სამუშაო სივრცეში ქალთა ჩართვის საკითხი. 1933 წლის სსრ საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის წერილის მიხედვით, არსებობდა დირექტივა, რომ „იქ, სადაც ქალის შრომა უნდა იქნეს გამოყენებული უპირატესად ან მხოლოდ და მხოლოდ, არ ღებულობდნენ მამაკაცებს“[309]. ამავე წერილის მიხედვით, აუცილებლობას წარმოადგენდა ქალთა მომზადება-გადამზადების პროგრამების გააქტიურება, რათა ქალებს მაღალი თანამდებობების დაკავების შესაძლებლობა ჰქონოდათ. მაგალითად, 1932 წლის გეგმა ითვალისწინებდა 30 000 ქალის შრომის გამოყენებას, 1933 წლის საქართველოს ცეკას დადგენილებით კი გეგმა შესრულდა 40%-ით[310]. სახელმწიფო პოლიტიკა ითვალისწინებდა წამახალისებელ ღონისძიებებს კოლმეურნეობაში ქალთა შრომის გამოყენებისათვის. ამ მიზნით, მაგ. 1933 წელს ჟურნალი "მშრომელი ქალი" აცხადებდა რესპუბლიკურ კონკურსს ქალებისთვის რომელშიც ჩაბმული აღმოჩნდა 60 საბჭოს წევრი ქალი, 256 აქტივისტი, ჯამში სულ 3175 ქალი.[311] ლანჩხუთის რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგის წერილიდან ირკვევა, რომ გამოცხადებულ კონკურსში ჩაბმის შედეგად „ღარიბი და საშუალო ქალები ხდებიან საშუალო და შემლებული ფენა“[312]. გარდა ამისა, იგეგმებოდა ღონისძიებები, რომელთა მიზანი ქალთა გაძლიერება იყო: საბჭოთა მეურნეობებში „ქალთა აქტივის“ შექმნა, მათი ჩაბმა საწარმოო თათბირებში, სოც. შეჯიბრი და დამკვრელობა[313] (რომელიც საბჭოთა ფენომენი იყო და მანამდე არ არსებობდა)[314] ქალთა შორის, სტატიები წარმატებულ ქალებზე ადგილობრივ კედლის გაზეთებში და სხვ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ქალების დიდ ნაწილს საშუალო ან დაბალ პოზიციაზე უწევდათ მუშაობა. ძალიან მცირე იყო იმ ქალების პროცენტული წილი, ვინც მაღალ თანამდებობას იკავებდა. თანდათან ჩამოყალიბდა სტერეოტიპი, რომლის მიხედვითაც, ქალები, რომელთაც მაღალი თანამდებობა ეკავათ,

---

[309] **სსცა,** ფ. 284, აღწ. 1. საქმე 2423, ფურც. 3. კორესპონდენციები საქართველოს სსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

[310] **სსცა,** ფ. 284, აღწ. 1. საქმე 2385, ფურც. 25. დადგენილება სრულიად საქართველოს ცეკა პრეზიდიუმისა და 1933 წ. სახალხო მეურნეობაში ქალთა შრომის გამოყენების შესახებ.

[311] **სსცა,** ფ. 284, აღწ. 1. საქმე 5138, ფურც. 4. მოხსენებები, ბრძანებები, მიმოწერა.

[312] **სსცა,** ფ. 284, აღწ. 1. საქმე 5138, ფურც. 4. მოხსენებები, ბრძანებები, მიმოწერა.

[313] დამკვრელი ერქვა შრომის მეწინავე ადამიანს, რომელიც დიდ წარმატებას აღწევდა სხვადასხვა სახის შრომაში. იყვნენ დამკვრელი მემანქანეები, დამკვრელი მეტალურგები, დამკვრელი ინჟინრები, გეოლოგები და ა.შ. (დ. ჯიშკარიანი).

[314] **სსცა,** ფ. 284, აღწ. 1. საქმე 2459, ფურც. 16. 1933 წლის მესამე კვარტლის სამუშაო კალენდარული გეგმა.

დასაქორწინებლები იყვნენ. შესაბამისად, წარმატებული კარიერა და დედობა ერთმანეთის დაპირისპირებულ ტერმინებად იქცა მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ[315].

მმართველ წრეებში უკმაყოფილებას იწვევდა ქალთა დაწინაურების მაჩვენებელი, 1933 წლის მდგომარეობით. „ცაკის საორგანიზაციო განყოფილებამ ვერ აღმოაჩინა მასალები, ვერც პროფესიონალური და ვერც სამეურნეო ორგანიზაციების ხაზით, ქალთა დაწინაურების ციფრების (შესახებ)“[316]. როგორც დოკუმენტიდან ჩანს, 1930-იან წლებში გამოიკვეთა გარკვეული ტენდენცია რეგიონების მიხედვით ქალთა დასაქმების მიმართულებით: „მოწინავე რიგებში გვყავს ჩვენ ლანჩხუთი, ოზურგეთი, ჩოხატაური, აფხაზეთი და აჭარისტანი (სტილი დაცულია ნ.მ.). ამავე დროს გვყავს ჩამორჩენილი რაიონებიც. მაგალითად: დუშეთის რაიონი და კასპის რაიონი.“[317] უნდა ითქვას, რომ 1930-იან წლებში კოლმეურნე ქალები ისევე შრომობდნენ, როგორც მამაკაცები, მაგრამ იშვიათად იკავებდნენ მმართველ პოზიციას[318]. 1930-იანი წლების ბოლოს და ომის დაწყების შემდეგ, საარქივო დოკუმენტებში აღარ ჩანს ქალთა დასაქმების პოლიტიკის მაჩვენებელი. ეს განპირობებული იყო როგორც საგარეო ისე საშინაო ფაქტორებით. მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ ბევრი ცვლილება გამოიწვია, დაიწყო საშინაო პოლიტიკის გადახედვა და პრიორიტეტების გადაფასება.

ზემოთ ვსაუბრობდით გამოწვევებზე, რომლებიც წითელარმიელების მეუღლეებს ჰქონდათ ფრონტს მიღმა. კიდევ უფრო რთულ და გაუსაძლის მდგომარეობაში აღმოჩნდნენ სახელმწიფოს მიერ მოღალატეებად გამოცხადებული პირების ოჯახები. მათ ყველანაირ დახმარებაზე უარს ეუბნებოდა სახელმწიფო და უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში ქონების კონფისკაციით სრულდებოდა ეს პროცესი. ამას ემატებოდა საზოგადოებრივი წნეხი და „ხალხის მტრის“ იარლიყის მიწებება ოჯახებისთვის. ამიტომ, ასეთი ოჯახები განიცდიდნენ ორმაგ დარტყმას: მათ მძიმე სოციალური პირობები ჰქონდათ საცხოვრებლად და თან საზოგადოებისგან შევიწროებული და დამცირებული იყვნენ.

---

[315] **Bucher**, “Struggling to Survive,” 144.
[316] **სსცა,** ფ. 284, აღწ. 1. საქმე 2510, ფურც. 4. მიმოწერა, დადგენილებები.
[317] **სსცა,** ფ. 284, აღწ. 1. საქმე 2510, ფურც. 5. მიმოწერა, დადგენილებები.
[318] **Mukhina and Denisova,** *Rural Women*, 10.

საქართველოს ეროვნული არქივის N600 ფონდის, N612 საქმეში ინახება ქსენია პავლეს ასული ნარუშვილის ქონების კონფისკაციის მასალები. საინტერესოა ტერმინები, რომელსაც ქონების აღმწერი იყენებს, ის ქსენია ნარუშვილს მოიხსენიებს „სამშობლოს მოღალატის მეუღლის[319]“ სახელით. ჩამორთმეულ ქონების ჩამონათვალში მსხვილი საკუთრების - სახლის გარდა, მითითებულია ისეთი წვრილმანი ნივთები როგორიცაა: ქვაბი, მაგიდა, საცერი, კოლოფი, შარვალი, ბოქლომი, [320] თოხი, ჩაფი, დოქი, ლამპა[321] და სხვ.

სამშობლოს მოღალატის სტატუსით დაპატიმრებული არჩილ საგინაშვილის მეუღლესაც ანნა საგინაშვილს ჩამოართვეს ქონება, რაც გადავიდა ორჯონიკიძის სახელობის რაიონული საბჭოს გამგებლობაში. დანარჩენი ქონება დაექვემდებარა რეალიზაციას, ხოლო მიღებული თანხა უნდა ჩარიცხულიყო სახელმწიფოს ანგარიშზე[322]. ზოგიერთ შემთხვევაში კონფისკაციის შემდეგ ჩამორთმეული ქონების მიყიდვა ხდებოდა კოლმეურნეობისთვის მიზერულ ფასად[323.] შეიძლება ითქვას, რომ ომის სიმძიმე განსაკუთრებულ ტვირთად დააწვა ხალხის მტრად შერაცხულ ოჯახებს. ისინი უნდა გამკლავებოდნენ, ერთი მხრივ, ომისგან მიყენებულ ზარალს და მეორე მხრივ, სახელმწიფოსგან ხელოვნურად შექმნილ ბარიერებს.

ქალთა საკითხის კვლევისას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა ქალების მდგომარეობა, რომლებსაც მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მარტო უწევდათ ყველა გამოწვევის გამკლავება, საკითხი ეხება მატერიალურ და ემოციურ ნაწილს. ზოგიერთ შემთხვევაში მეუღლის გარდაცვალების გარემოება კიდევ უფრო დამთრგუნველი იყო და მასთან გამკლავება ქალებს დამოუკიდებლად უწევდათ. ამის მაგალითია გულიაშ ბერიძის განცხადება, რომლის მიხედვითაც, ქალს 1943 წელს მოუკლეს

---

[319] **სსცა,** ფ. 600, აღწ. 2. საქმე 612, ფურც. 52. მიმოწერა, მოხსენებითი ბარათები, საკონფისკაციო მასალები.

[320] **სსცა,** ფ. 600, აღწ. 2. საქმე 612, ფურც. 52. მიმოწერა, მოხსენებითი ბარათები, საკონფისკაციო მასალები.

[321] **სსცა,** ფ. 600, აღწ. 2. საქმე 612, ფურც. 126. მიმოწერა, მოხსენებითი ბარათები, საკონფისკაციო მასალები.

[322] **სსცა,** ფ. 600, აღწ. 2. საქმე 612, ფურც. 99. მიმოწერა, მოხსენებითი ბარათები, საკონფისკაციო მასალები.

[323] **სსცა,** ფ. 600, აღწ. 2. საქმე 612, ფურც. 124. მიმოწერა, მოხსენებითი ბარათები, საკონფისკაციო მასალები.

მეუღლე[324]. მეუღლეზე საუბრისას გულიაში წერს, რომ მისი ქმარი იყო ღარიბი კოლმეურნე გლეხი. სიტყვათა შეთანხმება „ღარიბი კოლმეურნე“ ძალიან სიმპტომატურია საბჭოთა ტერმინოლოგიისთვის. თითქოს საზოგადოებაში ამკვიდრებს განწყობას, რომლის მიხედვით კოლმეურნე უნდა იყოს ღარიბი. შესაბამისად, იყენებს ამ სიტყვათა შეთანხმებას გულიაშ ბერიძე დოკუმენტში და თითქოს დასაწყისიდანვე, ცდილობს წამკითხველში ემპათია აღძრას.

როგორც დოკუმენტიდან ჩანს, გულიაშ ბერიძის მეუღლე დააბეზღეს თითქოს გაქცევას აპირებდა მაშინ, როცა მთაში იყო წასული. „ზასტავის“ უფროსმა და გამომძიებელმა ერაძემ დააკავეს მისი ქმარი, ჯერ აწამეს ძაღლების დახმარებით და მერე მოკლეს.[325] ამ შემთხვევის ანალიზისას, საყურადღებოა თავად ქალის მდგომარეობა. გარდა იმისა, რომ მან დაკარგა მეუღლე, რომელიც ოჯახში შემოსავალს უზრუნველყოფდა, ამასთან ეს პროცესი ემოციური თვალსაზრისით ძალიან მძიმე უნდა ყოფილიყო ქალისთვის. მით უფრო, როდესაც საქმე ეხება მეუღლის წამებით სიკვდილს. ქალის დისკურსში გამოირჩევა ფრაზები: „ოჯახი გამინადგურეს“, „კერძო ინტერესით მომიკლეს“, „აშინებდნენ, სამხედრო გიჭირავს და გაიქეცი საზღვარგარეთო“[326] და სხვ.

შეიძლება ითქვას, რომ ქალთა მდგომარეობა მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას გართულდა. ერთი მხრივ, ფრონტზე წასული მამაკაცების ჩანაცვლებამ და ოჯახში პასუხისმგებლობის ქალებზე გადასვლამ მათი მდგომარეობა დაამძიმა. მეორე მხრივ, სახელმწიფოში შექმნილი რთული საგარეო პოლიტიკა, გავლენას ახდენდა საშინაო პოლიტიკაზე და ყოველდღიურ ცხოვრებას გაუსაძლისს ხდიდა. ამას ემატებოდა სახელმწიფოს მიერ ხელოვნურად შექმნილი ბარიერები: „ხალხის მტრად“ ოჯახების გამოცხადება, რაც ქალების ზურგზე გადადიოდა. მათ უნდა შეენარჩუნებინათ ფიზიკური და სულიერი სიძლიერე და გამკლავებოდნენ ამ სირთულეებს.

---

[324] **სსცა,** ფ. 600, აღწ. 2. საქმე 601, ფურც. 36-38. მოხსენებითი ბარათები და მიმოწერა.
[325] **სსცა,** ფ. 600, აღწ. 2. საქმე 601, ფურც. 36-38. მოხსენებითი ბარათები და მიმოწერა.
[326] **სსცა,** ფ. 600, აღწ. 2. საქმე 601, ფურც. 36-38. მოხსენებითი ბარათები და მიმოწერა.

ომის დროს ქალთა მდგომარეობის ამსახველ საარქივო დოკუმენტებს შორის საინტერესო სტატისტიკას წარმოადგენს ფონდ N600, საქმე N636-ში დაცული ინფორმაცია სკოლაში ქალთა მოსწრების შესახებ. კერძოდ, აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს სტატისტიკურ მონაცემს 1932 წლიდან 1945 წლის ჩათვლით სკოლებში გოგონების რაოდენობის შესახებ, საერთო რაოდენობასთან მიმართებით[327]. (იხ. დანართი - ცხრილი N1.4) სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შედეგად, აშკარაა ომის გავლენა ქალთა განათლების მიღების მაჩვენებელზე როგორც ზოგადად მოსწავლეების რაოდენობის, ასევე, კონკრეტულად გოგონების რაოდენობის შესახებ. 1932 წლიდან მოსწავლეების საერთო მაჩვენებელი ზრდადია. ეს მაჩვენებელი იკლებს 1941-1942 სასწავლო წლიდან, ხოლო 1942-43 წლებში 530 000-მდე ეცემა. 1943-1944 სასწავლო წლიდან მაჩვენებელი მატულობს და ინარჩუნებს ზრდადობის ტენდენციას მომდევნო წლებში. 1930-იან წლებში მდედრობითი სქესის მოსწავლეების მაჩვენებელი მზარდია. რადიკალური ცვლილება ფიქსირდება 1942-1943 წლებში, მაჩვენებელი შედარებით უმჯობესდება 1943-1944 წლებში და ინარჩუნებს ამ ტენდენციას, ხოლო 1944-1945 წლებში კი კვლავ იზრდება.[328] თუ გავითვალისწინებთ მეორე მსოფლიო ომის ქრონოლოგიას, ეს მაჩვენებელი საინტერესო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას გვაძლევს. კერძოდ, 1941 წელი საბჭოთა კავშირისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, 3 ივნისს მეორე მსოფლიო ომი ახალ ეტაპზე გადავიდა. გერმანიამ დაიწყო ოპერაცია „ბარბაროსას“ განხორციელება და საბჭოთა კავშირს უშუალოდ დაუპირისპირდა. შესაბამისად, საბჭოთა მთავრობამ ადამიანური რესურსის დიდი ნაწილი სამხედრო საქმეში ჩართო. საბჭოთა პროპაგანდა აქტიურად ამუშავდა და „ფაშისტური გერმანიის ვერაგული თავდასხმა საბჭოთა კავშირზე“ იქცა ამოსავალ ნარატივად ბევრი საბჭოთა მოქალაქისთვის. აქედან გამომდინარე, მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის შექმნილი ვითარება პირველ თვეებში მიუღებელი და რთული აღმოჩნდა. ამის გამო, ცხოვრების რიტმი შეიცვალა. შესაძლოა ამით აიხსნას სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობის კლება. ოჯახების დიდ ნაწილს არ ჰქონდა სათანადო შემოსავალი, რომ ბავშვების სკოლაში სიარული უზრუნველეყო. ამასთან, გასათვალისწინებელია ფსიქოლოგიური

[327] **სსცა,** ფ. 600, აღწ.2. საქმე 636, ფურც. 36-41. საქართველოს გასაბჭოების წლისთავთან დაკავშირებით წარმოდგენილი სტატისტიკური ცნობები სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით.

[328] **სსცა,** ფ. 600, აღწ. 2. საქმე 636, ფურც. 36-41. საქართველოს გასაბჭოების წლისთავთან დაკავშირებით წარმოდგენილი სტატისტიკური ცნობები სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით.

განწყობა, მოზარდებისთვის კიდევ უფრო რთულად შესაგუებელი იქნებოდა ომით გამოწვეული ცვლილებების გათვალისწინება. ხოლო ომის კრიზისული პერიოდის გასვლის შემდეგ, საბჭოთა კავშირის მაცხოვრებლები მეტ-ნაკლებად სტაბილური ცხოვრების წესს დაუბრუნდნენ. ამას ასახავს რიცხვებიც.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული მასალები მნიშვნელოვანია საბჭოთა საქართველოში ქალთა საკითხის კვლევისას. ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, ომით გამოწვეული სირთულეები, რომლებსაც ქალები ცდილობდნენ გამკლავებოდნენ. მათ განცხადებებსა და წერილებში იგრძნობა სასოწარკვეთილება, დარდი, რასაც განიცდიან და ამასთან, ბრძოლისუნარიანობა, რომლითაც შექმნილ ვითარებას უმკლავდებიან. ძნელია ამ გადმოსახედიდან სრულყოფილად წარმოაჩინო ის გამოწვევები, რომლებიც ქალებს ჰქონდათ. თუმცა, გამოიკვეთა რამდენიმე მათგანი: სამსახურის გარეშე დარჩენის საშიშროება, ოჯახის თითოეულ წევრზე პასუხისმგებლობის აღება და ზრუნვა, საკუთარი ემოციური სტაბილურობის შენარჩუნება.

§4.2. საქართველოს შინაგან სამინისტროს არქივში დაცული მასალები 1940-იან წლებში ქალთა აქტივობის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ქალთა მდგომარეობის კვლევის მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში სამინისტროს) არქივში დაცული მასალები მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სამინისტროს არქივში პირველადი წყაროების მოძიება ვერ მოხდა. სამინისტროს არქივში იძებნება მასალები ქალთა მდგომარეობის შესახებ 1930-იან წლებში. თუმცა, კვლევის მიზნებისთვის მათი გამოყენება რელევანტურად არ მიგვაჩნია. კვლევის მიზნების გათვალისწინებით, სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის არქივის მე-2 განყოფილებაში დამუშავდა სია რაიკომის ქალი-მდივნების შესახებ. კერძოდ, ქალთა ჩამონათვალი 1941-1945 წლების

პერიოდში, რომლებიც იკავებდნენ რაიკომის მდივნების პოსტს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მასშტაბით[329]:

1. **ტოგონიძე ალექსანდრა ვლადიმერის ასული** - საქართველოს კპ (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში 1938-1941 წწ. საქართველოს კპ (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი კადრების დარგში 1939-1941 წწ. საქართველოს კპ თბილისის ლენინის რაიკომის მეორე მდივანი 1941-1947 წწ.
2. **აბაევა ნადეჟდა კონსტანტინეს ასული** - საქართველოს კპ (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში 1942-? წწ.
3. **ჩოფიკაშვილი ელენე დავითის ასული** - საქართველოს კპ (ბ) თბილისის მოლოტოვის რაიკომის მეორე მდივანი 1942-? წწ.
4. **შარუხია მარია ალექსანდრეს ასული** - საქართველოს კპ (ბ) თბილისის პირველი მაისის რაიკომის მესამე მდივანი 1941-1946 წწ.
5. **არაქელოვა მარია იაკობის ასული** - საქართველოს კპ (ბ) თბილისის 26 კომისრების რაიკომის მეორე მდივანი 1940-1943 წწ.
6. **ქვლივიძე თამარ ნიკოლოზის ასული** - საქართველოს კპ (ბ) თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი 1943-1949 წწ.
7. **კიკაჩეიშვილი ნინა ირაოდიონის ასული** - საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი 1939-1952 წწ.
8. **ციკოლია თამარ სპირიდონის ასული** - საქართველოს კპ სოხუმის საქალაქო კომიტეტის მდივანი 1942 – 1943 წწ.
9. **ხოცუაშვილი ეკატერინე გიორგის ასული** - საქართველოს კპ ლენინგორის რაიკომის მეორე მდივანი 1943 – 1944 წწ.
10. **გასიევა ეფროსინე ედუარდის ასული** - საქართველოს კპ ცხინვალის საქალაქო კომიტეტის მდივანი კადრების დარგში 1939-1944 წწ.

[329] შენიშვნა: სია დამუშავებულია სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის არქივის მე-2 განყოფილების მიერ და დოკუმენტის მითითება არ არის შესაძლებელი.

აღნიშნული სია ბევრის თქმის საშუალებას არ იძლევა. თუმცა, აშკარაა, რომ 1941-1945 წლებში ჯამში სულ 10 ქალი იკავებდა მაღალ პოზიციას საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში. გვარების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მათგან სამი არაქართული წარმოშობის უნდა ყოფილიყო: გასიევა ეფროსინე ედუარდის ასული, არაქელოვა მარია იაკობის ასული და აბაევა ნადეჟდა კონსტანტინეს ასული. აქედან ორი მათგანი ცხინვალის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საოლქო ნაწილში მსახურობდა, ხოლო მესამე თბილისში. დანარჩენ რეგიონებში არ ფიქსირდება არაქართული წარმოშობის ქალთა აქტივობა. აჭარასა და საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში ქალთა აქტივობა კიდევ უფრო ნაკლები იყო. ამაზე მეტყველებს მოცემული სიაც.

თავი V. ქალთა არქეტიპული სახეები საბჭოთა ქართული იკონოგრაფიული მასალების მიხედვით

ამ თავის მიზანია დაადგინოს თუ როგორ იყენებდა საბჭოთა მმართველობა პროპაგანდისტულ მანქანას საკუთარი საშინაო პოლიტიკის განხორციელების მიზნით და როგორ შეძლო საბჭოთა ხელოვნების ინსტრუმენტალიზაცია. საბჭოთა საშინაო პოლიტიკა მიზნად ისახავდა „ახალი ტიპის ქალის“ შექმნას, რაც დასტურდება სადისერტაციო ნაშრომის პირველ ნაწილში განხილული კანონებითა და დადგენილებებით. თუმცა, საშინაო პოლიტიკის განხორციელებისთვის აუცილებელი იყო სწორად წარმოებული პროპაგანდა, რომელიც ხელს შეუწყობდა ქალთა ახალი როლური სახეების დამკვიდრებას.

დასაწყისისთვის მიმოვიხილავთ თუ როგორ აღიქვამდნენ კულტურას მარქსისტები და ბოლშევიკები. მარქსიზმის მიხედვით, კულტურა არის „სუპერსტრუქტურა“ რომელიც აღმოცენდა ეკონომიკის ფესვებზე და ირეკლავს კლასების ღირებულებებს და ინტერესებს, ხოლო რელიგია არის პრიმიტიული რწმენა სამყაროს გასაგებად[330]. მარქსისტების აზრით, სოციალიზმის ტრიუმფი მოიტანს ახალ კულტურას, რომელიც იქნება პროლეტარიატის ღირებულებების შესაბამისი და რელიგია გაქრება. ამის სჯეროდათ ბოლშევიკებსაც, როგორც კი ქვეყნის სათავეში მოვიდნენ, მათ იერიში მიიტანეს რელიგიაზე.[331]

ბოლშევიკების აზრით, კულტურის დანიშნულება იყო პროპაგანდის წარმოება ფართო გაგებით. რაც შეეხება თავად პროპაგანდის ისტორიას: პროპაგანდას საფუძველი ჩაეყარა XVII საუკუნეში, რომის პაპმა შექმნა პროპაგანდის კონგრეგაცია კათოლიციზმის გავრცელების მიზნით, ხოლო ყოველდღიურ ცხოვრებაში პროპაგანდისთვის ცენტრალური ადგილის მინიჭება ბოლშევიკების მიერ დანერგილი სიახლე იყო. საბჭოთა კავშირში პროპაგანდის დახმარებით შეიქმნა წარმოსახვითი სამყარო, რომელიც არსებობდა ყოველდღიურ ცხოვრებასთან ერთად.

---

[330] **Pipes**, *A Concise History of the Russian Revolution*, 312.
[331] **Pipes**, *A Concise History of the Russian Revolution*, 312.

საბჭოთა მოქალაქეები იძულებული იყვნენ, ერწმუნათ ამ სამყაროსი, ან თავი მოეჩვენებინათ რომ სწამდათ ასეთი წარმოსახვითი მსოფლიოსი.[332]

მართალია სიტყვა „პროპაგანდა“ ჯერ კიდევ კონტრ-რევოლუციის პერიოდში წარმოიშვა. თუმცა, მხოლოდ XX საუკუნეში ტოტალიტარული რეჟიმების არსებობის დროს დაიწყეს მისი აქტიური გამოყენება. XX საუკუნის 20-იან წლებში, მას შემდეგ რაც ტოტალიტარული რეჟიმი დამყარდა საბჭოთა კავშირში, სახელმწიფოს მმართველთა მთავარ მიზნად იქცა ახალი ტიპის სახელმწიფოს შექმნა. ამისათვის საჭირო იყო მოსახლეობაში პოლიტიკური რეჟიმისადმი მიმღებლობის ზრდა. სწორედ ამიტომ, ტოტალიტარული რეჟიმი იყენებს პროპაგანდას, როგორც მექანიზმს სასურველი შედეგის მისაღწევად.

რაც შეეხება სტალინის მმართველობამდე პერიოდის ხელოვნების კონტროლის მექანიზმს, უნდა აღინიშნოს, რომ ცენზურა ახალი სიტყვა სულაც არ იყო ბოლშევიკურ სამყაროში და ჯერ კიდევ ძველ რუსულ ტრადიციას წარმოადგენდა - 1864 წლამდე რუსეთის იმპერიაში ყველა დოკუმენტი გამოქვეყნებამდე გადიოდა ცენზურას. 1864 წლიდან ცენზურა არსებობდა სახეშეცვლილი ფორმით, ხოლო 1906 წელს სრულად გაუქმდა.[333] ლენინის მმართველობის პერიოდში, კულტურული აქტივობები ორი გზით კონტროლდებოდა: 1. ცენზურა და 2. მკაცრი მონოპოლია კულტურულ ღონისძიებებსა და ორგანიზაციებზე. კონტროლის მიზნით, ყველა წიგნი უნდა დაბეჭდილიყო სახელმწიფო ბეჭდვითი სახლის მიერ. ეს დაგვირგვინდა 1922 წ. „გლავლიტის[334]“ შექმნით, რომლის მიზანი იყო ლიტერატურის ცენზურაში გატარება.[335]

XX საუკუნეში ტოტალიტარულმა ქვეყნებმა განსხვავებული პოლიტიკა აწარმოეს ქალთა მიმართ. მიმდინარე თავში ვეცდებით, განვიხილოთ ქალთა შეცვლილი სტატუსი საბჭოთა კავშირში საბჭოთა საქართველოს იკონოგრაფიული მასალების დახმარებით, მეორე მსოფლიო ომის დროს.

---

[332] **Pipes**, *A Concise History of the Russian Revolution*, 313.
[333] **Pipes**, *A Concise History of the Russian Revolution*, 315.
[334] **შენიშვნა:** (რუსული აკრონიმი:Главное управление по делам литературы и издательств).
[335] **Pipes**, *A Concise History of the Russian Revolution*, 316.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ ევროპაში რიგი ცვლილებები გამოიწვია, მათ შორის საბჭოთა კავშირშიც. რაც შეიძლება მეტი ადამიანური რესურსის მობილიზება გახდა საჭირო ფრონტზე და ფრონტს მიღმა. შესაბამისად, საბჭოთა პროპაგანდა სახელმწიფოს მთავარ იარაღად იქცა. საბჭოთა პროპაგანდის მთავარ დანიშნულებად იქცა ბრძოლისუნარიანობის ამაღლება ჯარისკაცებში, ხოლო ფრონტს მიღმა დარჩენილებს უნდა ჰქონოდათ სათანადო მზაობა, რათა გაეძლოთ ომით გამოწვეული სირთულეებისთვის და საჭირო შემთხვევაში თავი გაეწირათ.

მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენს, გამოარკვიოს ქალთა ახალი სახეები მეორე მსოფლიო ომის, უფრო კონკრეტულად კი ე.წ. „დიდი სამამულო ომის“ დროს, საბჭოთა საქართველოს იკონოგრაფიის საფუძველზე. ამ თავის ძირითადი საკვლევი კითხვის ფორმულირება შემდეგნაირად შეიძლება: როგორ აისახა ქალთა სტატუსის ცვლილება მეორე მსოფლიო ომის პერიოდში შექმნილ პლაკატებზე? კვლევის მიზანია გამოკვეთოს ქალის ახალი როლური სახეები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს დამკვიდრდა.

კვლევა ეყრდნობა ე.წ. „დიდი სამამულო ომის“ პერიოდში საბჭოთა კავშირში გამოშვებულ ბეჭდურ მასალებს - პლაკატებს პროპაგანდისტული მნიშვნელობა ჰქონდათ. კვლევის მიზანია გამოკვეთოს მოცემულ ისტორიულ ჩარჩოში ქალთა ახალი იმიჯი/როლი. კვლევა მოიცავს აღნიშნული პლაკატების სახელოვნებათმცოდნეო ანალიზს, რაც გულისხმობს, პლაკატების აღწერას, ფერების და წარწერების გათვალისწინებით. ასევე, აღსანიშნავია, ისტორიული კონტექსტი, რომელიც პლაკატების რეპრეზენტაციის საფუძველია. გარდა ამისა, კვლევის დროს ყურადღება გამახვილდა პლაკატის შექმნის დროზე, პლაკატის გავრცელების მასშტაბზე, ფორმატსა და აუდიტორიაზე.

შევისწავლეთ საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში არსებული 1939-1945 წლებში შექმნილი საბჭოთა პერიოდის პლაკატები. 1939-1945 წლებში გაერთიანებულია 9440 პლაკატი. კვლევის დასაწყისში პლაკატების ვიზუალური დათვალიერების შემდეგ, პლაკატების შერჩევა მოხდა პირველ რიგში იმ ნიშნით, რომ მასზე გამოსახულნი ყოფილიყვნენ ქალები. შემდეგ, ქალთა სახეების კლასიფიცირება/დაჯგუფება

განხორციელდა პლაკატების დანიშნულების მიხედვით. ამასთან, პლაკატების დაყოფა მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ქალთა როლური სახეების გათვალისწინებთ. ამის მიხედვით, ქალთა სახეები დაიყო პლაკატებზე გამოსახული ქალთა არქეტიპული სახეების მიხედვით: ქალი-დედა, ქალი-მებრძოლი, ქალი-მუშა და სხვ. დაჯგუფებული პლაკატები აღიწერა და გამოიძებნა სახასიათო ნიშან-თვისებები, რომლებიც მათ აქვთ. ასევე, კვლევა აღწერს და მსჯელობს პლაკატების ძირითად სათქმელზე, ქვეტექსტსა და გამოსახვის ხერხებზე, რომლებსაც შემქმნელი იყენებს, რათა გავლენა მოახდინოს მნახველზე.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ქალთა სტატუსის კვლევის მიზნით, პირველ რიგში, შეგროვდა როგორც წერილობითი, ისე ვიზუალური მასალები. მასალების შეგროვების შემდგომ, ისინი დამუშავდა თვისებრივი კვლევის მეთოდით, კონკრეტულად კი კონტენტ-ანალიზის მეთოდით. კვლევის მიზანი იყო ურთიერთმიმართების დადგენა პლაკატებსა და ისტორიულ კონტექსტს შორის. ასევე, კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა კომპოზიციური მთლიანობის მეთოდი. ამ მეთოდის მიხედვით, გამოიკვეთა და დახასიათდა პლაკატების აღწერითი მხარე, ფერთა და ფორმების ცვლილება და სხვ. ამასთან, კვლევის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პლაკატებზე დართულ ტექსტებს. ხშირ შემთხვევაში ისინი მეორეული მნიშვნელობისაა, მაგრამ მთლიანობაში პლაკატის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ამასთან, მოპოვებული პლაკატები დაჯგუფდა გარკვეული ნიშნით და მიენიჭა კონკრეტული სიტყვა-მარკერი, რომელიც უკეთ გამოხატავს მის მნიშვნელობას.

იკონოგრაფია და მისი მნიშვნელობა. იკონოგრაფიის სახელით არის ცნობილი ისტორიული მიმართულება, რომელიც ნახატებსა და გამოსახულებებს სწავლობს. სიტყვა „იკონოგრაფია“ პირველად გამოიყენა ჩეზარე რიპამ. მან 1593 წელს დაწერა წიგნი სათაურით „იკონოლოგია“[336]. თუმცა, ამის შემდეგ, ტერმინი დავიწყებას მიეცა. მოგვიანებით კი, ადრეულ XIX საუკუნეში ტერმინი კვლავ გამოიყენეს. XX საუკუნის 30-იან წლებში ევროპაში ჩამოყალიბდა იკონოგრაფების ჯგუფი, რომლებმაც დაიწყეს იკონოგრაფიის პრინციპების შესწავლა. ამ ჯგუფში შედიოდნენ ერვინ პანოფსკი და

[336] **Cesare Ripa.** *Iconologia, or, Moral Emblems* (London: 1709), 3.

ები ვარბურგი. პანოფსკი 1939 წ. დაწერილ ესეში საუბრობს იკონოგრაფიის შესწავლის სამ ეტაპზე და წერს, რომ ნახატების შემქმნელებს ყოველთვის აქვთ გარკვეული მესიჯი მნახველისთვის. პანოფსკის მიხედვით, იკონოგრაფიის შესწავლის პირველი ეტაპია - პრეიკონოგრაფიული აღწერა, რაც გულისხმობს უბრალოდ ნახატის აღწერას. მეორე საფეხური არის იკონოგრაფიული ანალიზი, რომლის დროსაც ხდება კონკრეტული ფაქტის დაზუსტება. მესამე ეტაპი კი, გულისხმობს მიღებული შედეგის ინტერპრეტაციას[337]. პანოფსკის მიაჩნდა, რომ ნახატები არის კულტურის ნაწილი და მათი გაგება საერთო კულტურის ცოდნის გარეშე წარმოუდგენელია. კლასიკური კულტურის ცოდნის გარეშე, შეუძლებელია მაგალითად, გაიგო დასავლური ნახატების უმეტესობა. აღსანიშნავია, რომ ნახატი ყოველთვის მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა საზოგადოებაზე, ვინაიდან ნახატის აღქმა ბევრად უფრო სწრაფად არის შესაძლებელი და ის მნახველზე უფრო მეტ შთაბეჭდილებას ახდენს.[338]

1920-იან წლებში მოსახლეობის დიდმა ნაწილმა, საბჭოთა კავშირში არ იცოდა წერა-კითხვა.[339] მაგ. 1920 წლისთვის საბჭოთა კავშირში სოფლის მოსახლეობის 83%, ხოლო, ქალაქის მოსახლეობის 53 %-მა წერა-კითხვის უცოდინარი იყო[340]. ამიტომ ნახატებითა და გამოსახულებებით სასურველი გზავნილის მიწოდება ფერების, გამოსახულებების დახმარებით ბევრად უფრო მარტივი და გასაგები იყო წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანებისთვის. პლაკატების გამოყენებას კიდევ ერთი უპირატესობას ჰქონდა, ჯერ კიდევ მეფის რუსეთში, მაშინ როცა პირველი მსოფლიო ომი მიმდინარეობდა, მელნის, ფურცლების მარაგი სწრაფად იწურებოდა პროპაგანდისტული პლაკატების ბეჭდვა, რომელსაც ასობით ადამიანი ნახავდა, ბევრად იაფი და მომგებიანი იყო. შემდეგში, ამავე მიზეზით, რუსეთის სამოქალაქო

---

[337] ციტირებულია წიგნიდან: **Peter Burke** *Eyewitnessing: The Uses of Images as Historical Evidence* (London: 2001), 35.

[338] ციტირებულია წიგნიდან: **Luciano Cheles**., "Iconic Images in Propaganda," *Modern Italy* (2016): 454.

[339] **Bonnell**, *Iconography of Power,* 4.

[340] **Annie Duprat**. "The Iconography of Twentieth-Century Totalitarian Regimes," review of *The Iconography of Twentieth-Century Totalitarian Regimes*, by Victoria E. Bonnell and Enrico Sturani, *Contemporary European History* 8, no. 3 (1999): 444, http://www.jstor.org/stable/20081722. [ბოლო ვიზიტი 10/01/2025].

ომის დროსაც გაგრძელდა პლაკატების ბეჭდვა,[341] ხოლო მეორე მსოფლიო ომის დროს ახალ საფეხურზე ავიდა.

რაც შეეხება პლაკატების შინაარსობრივ მხარეს, როგორც მეფის რუსეთის ისე საბჭოთა მმართველობის დროს უპირატესობა ენიჭებოდა გამოსახულებას, რომელიც ადვილად აღსაქმელი და მისაღები იქნებოდა საზოგადოებისთვის.[342] ასევე, მთავრობა უპირატესობას ანიჭებდა უფრო მეტად ბუნებრივ, რეალისტურ ფოტოებს.[343] პოსტერის გასაგებად აუცილებელია ისტორიული კონტექსტის გააზრება,[344] ამის გარეშე პოსტერის სრულყოფილად გააზრება წარმოუდგენელია. ამ თავის მიზანია, გაანალიზოს პოლიტიკური და აგიტაციური პლაკატები ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით.

1930-იანი წლებიდან, მას შემდეგ რაც იოსებ სტალინმა მოახერხა ძალაუფლების სრულყოფილად ხელში აღება, საბჭოთა კავშირში ხელოვნებისადმი ახალი პოლიტიკა ამოქმედდა. ხელოვნების მიმართულებით ცვლილებები 1932 წელს შევიდა ძალაში. ამ წელს სახელმწიფომ „სოციალისტური რეალიზმი“ ერთადერთ მისაღებ მხატვრულ მეთოდად აღიარა.[345] ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მიხედვით სოციალისტური რეალიზმი (შემოკლებით სოცრეალიზმი) განიმარტება შემდეგნაირად: „სოციალისტური ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქმედებითი მეთოდი, რომლის მიზანია სინამდვილის მართალი, ისტორიულად კონკრეტული გამოსახვა მის ევოლუციურ განვითარებაში. ს.რ-ის ხელოვნება მხატვრულად ასახავს სინამდვილეს ისე, როგორც ის არის და როგორც უნდა იყოს, გვაძლევს რეალურისა და იდეალურის, ესთეტიკურისა და ეთიკურობის სინთეზს.“[346] აღნიშნული ცვლილება, რა თქმა უნდა, ითვალისწინებდა მხატვრების მიერ შესაბამისი ზომების გატარებას, ინდივიდუალიზმის უარყოფას და საკუთარი შემოქმედების მკაცრი იდეოლოგიური ჩარჩოს ფარგლებში მოქცევას. ლიტერატურათმცოდნე, პროფ. ნანა გაფრინდაშვილი სოციალისტური რეალიზმის შესახებ წერს: “საბჭოთა კავშირში

[341] **Bonnell**, *Iconography of Power,* 5
[342] **Waters.** “The Female Form in Soviet Political Iconography,”227.
[343] **Waters.** “The Female Form in Soviet Political Iconography,”226.
[344] **Bonnell**, *Iconography of Power,* 19.
[345] **გაფრინდაშვილი, მირესაშვილი, წერეთელი,** *სოციალური რეალიზმის თეორიული ისტორია*, 52.
[346] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბილისი, ტომი 9 (1965): 491-492.

სოციალისტური რეალიზმის მეთოდის ჩამოყალიბება სრულიად ლოგიკური იყო, რადგან საბჭოთა მთავრობას სჭირდებოდა მხოლოდ ბედნიერ და უზრუნველ მომავალზე ორიენტირებული ხელოვნება, რომელშიც რეალობის ანალიზს წარმატებით ჩაანაცვლებდა კომუნიზმისა და პარტიის რწმენა, რომელშიც არ იქნებოდა ავანგარდიზმის ადგილი, ხოლო რეალისტური ხელოვნება დაემორჩილებოდა სოცრეალისტურ კანონს. სოცრეალიზმი იყო მეთოდი, რომელიც აბსოლუტურად ჰარმონიულად უპასუხებდა საბჭოთა ხელისუფლების მოთხოვნებს და გაატარებდა საბჭოთა პოლიტიკას კულტურის სფეროში ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე“[347]. შესაბამისად, სწორედ სოცრეალიზმს დაქვემდებარებულ ხელოვნებას უნდა შეექმნა ილუზია „ახალი ტიპის ქალის“ შესახებ.

1930-იანი წლებიდან პლაკატების გავრცელების არეალი გაიზარდა. როგორც აღვნიშნეთ, საბჭოთა სახელოვნებო გამომცემლობაში პოსტერი დაბეჭდვამდე გადიოდა ცენზურას.[348] ამასთანავე, საბჭოთა კავშირში 1930-იანი წლებიდან იცვლება პოსტერის მთავარი ფიგურაც. თუ მანამდე მთავარი ფიგურა იყო მჭედელი, ამ პერიოდში ხდება მუშა[349]. ეს იყო მეორე ხუთწლედის თანმდევი პროცესი. სტალინის მიერ დაწყებულმა გარდაქმნებმა გავლენა იქონია ხელოვნებაზე. უფრო სწორად, ვინაიდან სახელმწიფო ხელოვნების ინსტრუმენტალიზაციას ახდენდა, ამ გზით სახელმწიფოს ახალი პოლიტიკა პირდაპირ აისახა პოლიტიკურ პლაკატებზე, ხოლო მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდგომ, ისევე როგორც კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის ხუთწლედებში, თანდათან პოსტერებზე გამოჩნდა საბრძოლო სულისკვეთების მქონე ფიგურები: მებრძოლები, პარტიზანები, მუშები და სხვა. პოსტერები პირდაპირ ირეკლავდნენ იმ მოვლენებს, რომლებიც მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფო პოლიტიკის თვალსაზრისით.

როგორც საბჭოთა პლაკატების მკვლევრები, ვიქტორია ბონელი და ელიზაბეთ უოთერსი მიუთითებენ, 1930-იან წლებში ქალების გამოსახვა პლაკატებზე

---

[347] **ნანა გაფრინდაშვილი.** *“სოცრეალიზმის ეპოქის ქართული სალიტერატურო ცხოვრება ლიტერატურული კომპარატივისტიკის თვალსაზრისით”.* https://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/8/81 [ბოლო ვიზიტი 10/01/2025].

[348] **Bonnell**, *Iconography of Power,* 7.

[349] **Bonnell**, *Iconography of Power,* 8.

აქტუალური გახდა[350]. ეს განპირობებული იყო ქვეყანაში განვითარებული მოვლენებით. ქალები განსაკუთრებით ხშირად კოლექტივიზაციის ხელშემწყობ ვიზუალურ პროპაგანდაში ჩნდებიან. არა იმიტომ, რომ ისინი პრაქტიკულად იყვნენ მისი მხარდამჭერები, არამედ იმიტომ, რომ ისინი იყვნენ მათ შორის, ვინც ყველაზე მეტად ეწინააღმდეგებოდა ტრადიციული ცხოვრების წესის რღვევას. ახალი საზოგადოებრივი წყობის საფუძველი ოჯახი იყო, ისინი კი როგორც დედები (ან ბებიები) და აღმზრდელები, ახალი საბჭოთა წესრიგის საყრდენად იქცნენ. ამავდროულად, მზარდი ეკონომიკა ქალების შრომის ბაზარზე ჩართვას მოითხოვდა. 1936 წელსაც კი, როცა ახალი კანონმდებლობა ქალების რეპროდუქციულ როლს უსვამდა ხაზს, „პრავდა“ იმ ქალების უფრო მეტ ფოტოს ბეჭდავდა, რომლებიც არატრადიციულ საქმიანობას ეწეოდნენ, ვიდრე ისეთი ქალების, რომლებიც მხოლოდ ცოლები და დედები იყვნენ. ვიზუალური რიტორიკით ცდილობდნენ დაეკომპენსირებინათ ის დაპირებები, რაც ვერ შესრულდა[351]. ის მიზნად ისახავდა ქალების დარწმუნებას, რომ ქალები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანდნენ სოციალიზმის შენებაში, ხოლო ამავდროულად, მათი მისწრაფებების ფორმირებასა და მოქცევას ისეთ ჩარჩოებში, რომლებიც ბევრ შემთხვევაში ტრადიციული გენდერული რეკომენდაციების აღდგენას გულისხმობდა. გარდა ამისა, პლაკატების შესწავლისას მნიშვნელოვანი დადგინდეს რა ზომის იყო დაბეჭდილი პლაკატები, ვინ იყო პლაკატის შემქმნელი და ვინ იყო სამიზნე აუდიტორია. ასევე, პლაკატის ტირაჟის დადგენა იძლევა საშუალებას განისაზღვროს აუდიტორიის მასშტაბი. კვლევის პროცესში ჩვენი ყურადღება დაეთმო პლაკატის შინაარსობრივ დატვირთვას. გამოიყოფა ორი ძირითადი ხაზი: მეთოდისტური ხასიათის პლაკატები და პროპაგანდისტული დანიშნულების პოლიტიკური პლაკატები. პოლიტიკური პლაკატების კვლევისას მნიშვნელოვანია პერსონიფიკაციის მეთოდის გამოვლენა[352]. საბჭოთა პოლიტიკური პლაკატების დიდი ნაწილი ხშირად პერსონიფიცირების გზით არის შექმნილი. პლაკატზე გამოსახული ფიგურები იძენს დამატებით დატვირთვას და შექმნილი სახე-სიმბოლოებით ესაუბრება მნახველს.

[350] ციტირებულია სტატიიდან: **Reid**, “All Stalin’s Women,” 136.

[351]ციტირებულია სტატიიდან: **Reid**, “All Stalin’s Women,” 136.

[352] შენიშვნა: პერსონიფიკაცია - ლათინური სიტყვიდან მომდინარეობს და გამოსახვის მხატვრულ ხერხს ნიშნავს. ტერმინს ასევე ვუწოდებთ გაპიროვნებასაც, რაც ნიშნავს ადამიანური თვისებების „მიწერას“ უსულო თუ სულიერი საგნის, ანდა გამოგონილი პერსონაჟისთვის.

პროპაგანდისტულ პოსტერებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფერებს. ფერების დახმარებით პოსტერის შემქმნელი „ესაუბრება“ მნახველს და ახერხებს ძირითადი სათქმელი ამ ფორმითაც გადასცეს. ამიტომ, საბჭოთა იკონოგრაფიის შესწავლისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფერებს. საბჭოთა ხელისუფლება წმინდა ფერად მიიჩნევდა წითელს. ეს შერჩევა შემთხვევითი არ იყო: წითელი რელიგიურ ფერად მიიჩნეოდა და ის ხატებთან, რელიგიასთან ასოცირდებოდა. ბოლშევიკების აზრით, წითელი ფერი ადამიანის ან საგნის განსაკუთრებულობას უსვამდა ხაზს.[353] მეორე მხრივ, 1792 წლის შემდეგ იაკობინელებმა[354] წითელი აჯანყების ფერად აქციეს.[355] ზოგადად, ბოლშევიკები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საფრანგეთის დიდ რევოლუციას. ბოლშევიკური ისტორიოგრაფიის მიხედვით, მიიჩნეოდა რომ მსოფლიო ისტორიაში საფრანგეთის რევოლუცია გარდატეხის შემტანი იყო. საინტერესოა, რომ ქალთა გამოსახვის დროს, ბოლშევიკები ეყრდნობოდნენ ფრანგულ გამოცდილებას. ამდენად, ბოლშევიკებმა როდესაც წითელი აირჩიეს საკუთარ ფერად, სურდათ, მოსახლეობაში გაეღვიძებინათ ძველი შეგრძნებები. მოსახლეობას უნდა ეგრძნო სიახლოვე წარსულ ტრადიციებთან და ამავდროულად, ჰქონოდა ახალი ხელისუფლების მიმღებლობა.

რაც შეეხება ქალთა გამოსახვას პოსტერებზე, ჯერ კიდევ მეფის რუსეთში ქალი ითვლებოდა რუსეთის სახე-სიმბოლოდ, ხოლო სამშობლოს ვიზუალიზაცისთვის ქალის ფიგურას იყენებდნენ. ამაზე მიუთითებს სიტყვა „როდინაც“ (Родина - სამშობლო (რუს.)), რომლის საფუძველი ბავშვის შობასთან/დაბადებასთან არის ასოცირებული. შესაბამისად, რუსულ კულტურაში სამშობლო მდედრობითი სქესის ფენომენი იყო. [356] თუმცა, ეს მიდგომა რუსეთში არ დაწყებულა: ჯერ კიდევ დელაკრუამ (Delacroix)[357] თავის ცნობილ ნახატში „თავისუფლება მიუძღვება ხალხს“

---

[353] **Bonnell**, *Iconography of Power,* 4.106.

[354] მე-18 საუკუნის საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდში; რადიკალურ-პოლიტიკური კლუბის წევრები, რევოლუციურ-დემოკრატიული ბურჟუაზიის წარმომადგენლები, რომლებიც გამოდიოდნენ გლეხებთან,მუშებთან, ხელოსნებთან ერთად; პარიზის წმ. იაკობის მონასტრის სახელის მიხედვით, სადაც მათი კლუბი იყო მოთავსებული. http://www.nplg.gov.ge [ბოლო ვიზიტი: 21/02/2025].

[355] **Bonnell**, *Iconography of Power,* 13.

[356] **Bonnell**, *Iconography of Power,* 55.

[357] **ეჟენ დელაკრუა** (Eugène Delacroix, 1798-1863) ჟერიკოს სიკვდილის შემდეგ პარიზის ყველაზე მნიშვნელოვანი რომანტიკოსი მხატვარია, რომელიც თავის შემოქმედებაში იმ დროის სასტიკი ბრძოლების მონაწილე გმირებისა და მსხვერპლთა სახეებს აღბეჭდავდა. https://www.nplg.gov.ge [ბოლო ვიზიტი 10/01/2025].

ქალს ალეგორიულად სამშობლოს მნიშვნელობა მიანიჭა.[358] შესაბამისად, საბჭოთა კავშირში ქალს, უფრო კონკრეტულად კი დედას, მიენიჭა სიმბოლური დატვირთვა და ის იქცა სამშობლოს სინონიმად. ეს კი ჯერ ფრანგული, შემდეგ კი რუსეთის იმპერიის გამოცდილების საფუძველზე მოხდა.

ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, პირველ პერიოდში ბოლშევიკები ერიდებოდნენ ქალების პლაკატებზე გამოსახვას. ამ დროს იკონოგრაფიაში ქალებს უფრო ალეგორიული დატვირთვა ჰქონდათ. 1920-იანი წლებიდან მდგომარეობა იცვლება. ალეგორიულობა ჩაანაცვლა ქალთა გამოსახულებებმა: პლაკატებზე ვხვდებით ქალ-მუშებს და ქალ-გლეხებს.[359] 1920-იანი წლების პლაკატებზე ქალი დამოუკიდებელ ძალას არ წარმოადგენდა და ვერც იქნებოდა, რადგან ჯერ ამ დროს იწყებდა საბჭოთა სახელმწიფო თავისი პოლიტიკის განხორციელებას ქალთა მიმართ. ამასთან, ჯერ კიდევ არ არსებობდა ერთიანი აზრი სქესთა შორის როლების გადანაწილების, ქალთა სტატუსის და სხვ. შესახებ. სწორედ ამიტომ, ამ პერიოდის პოსტერებზე ქალი, როგორც წესი, დამხმარის როლს ასრულებს.[360] 1920-იანი წლების პოსტერებზე დედები და ოჯახებიც ნაკლებად ჩნდება.[361] თუმცა, ორივე თვალსაზრისით 1930-იანი წლების მეორე ნახევრიდან და მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდგომ იცვლება პოლიტიკური პლაკატების შინაარსობრივი მხარე: ქალი, როგორც დამოუკიდებელი ძალა და ქალები, როგორც სანიმუშო დედები, ჩნდებიან პოსტერებზე. ეს პროცესი პირდაპირ კავშირშია საბჭოთა კავშირის საშინაო პოლიტიკასთან. „ახალი ტიპის ქალი“ თავის თავში აერთიანებდა, ერთი მხრივ, პერსონას, რომელიც ზრუნავს ოჯახზე და იდეალური დედის სახეა და, მეორე მხრივ, ის საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმეშია ჩართული, მუშაობს და ხელს უწყობს „სოციალიზმის აღმშენებლობას“. ობიექტურობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში, გენდერულ თანასწორობაზე საუბრისას კატო მიქელაძისა და ლიდია მეგრელიძის ჩანაწერებში ვხვდებით ორგვარ ტენდენციას, ერთ მხრივ, ისინი საუბრობენ გენდერულ თანასწორობაზე, როგორც ისტორიულად არსებულ მოცემულობაზე და ხაზს უსვამენ ქართველი ქალების ადგილს საზოგადოებაში,

[358] **Duprat**, “The Iconography of Twentieth-Century Totalitarian Regimes,” 445.
[359] **Bonnell**, *Iconography of Power,* 82.
[360] **Waters**. “The Female Form in Soviet Political Iconography,”235.
[361] **Waters**. “The Female Form in Soviet Political Iconography,”235.

ხოლო, მეორე მხრივ, მსჯელობა მიმდინარეობს ქართველი ქალების მძიმე, დაქვემდებარებულ ცხოვრებაზე[362]. „ახალი ტიპის საბჭოთა ქალიც“ მსგავს განსაცდელში აღმოჩნდა, სტალინის იდეა „სუპერ-ქალის“ შექმნისა, რომელიც თავის თავში იდეალურ დედას, მეუღლეს და მუშას გააერთიანებდა საბოლოოდ დასრულდა გაორმაგებული ტვირთით, რომელიც ქალებს უნდა ეტარებინათ[363].

1920-იანი წლების პლაკატებში ქალები დამხმარის როლში გვევლინებიან. ისინი მჭედლის, მუშის, ექიმის ან სხვ. დამხმარეები არიან, მათ არ აქვთ დამოუკიდებელი როლები. 1930-იანი წლებიდან კი საშინაო პოლიტიკის ცვლილებასთან ერთად პოლიტიკური პლაკატებიც იცვლება.[364] კოლმეურნე ქალი ანუ „კოლხოზნიცა“ (Колхозница რუს.) წამყვანი ფიგურა ხდება პოსტერებზე, ის დამოუკიდებელია და მას დამხმარის ფუნქცია აღარ აქვს. ეს ცვლილება კი პირდაპირ კავშირშია ქალთა მიმართ საბჭოთა მთავრობის საშინაო პოლიტიკასთან. სტალინისთვის მნიშვნელოვანი იყო რაც შეიძლება მეტი ადამიანის ჩართვა ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის ნაწილში, რათა სწრაფად მიეღო სასურველი შედეგი. შესაბამისად, სქესი შემზღუდველი ვერანაირად იქნებოდა. ამიტომ, „ახალი ტიპის ქალის“ პირდაპირი დანიშნულება იყო აქტიურად ჩაბმა იმ პროცესებში, რომლებიც სახელმწიფოს განვითარებისკენ იყო მიმართული - ასეთია სახელმწიფო პროპაგანდა.

პირველი ხუთწლედის დროს, ქალთა გამოსახულება რადიკალურად არ შეცვლილა. წითელთავსახვევიანი, ახალგაზრდა „პროლეტარკა“ (Пролетарка რუს.), მაქსიმალურად რეალისტურად გამოსახული - ამ პერიოდის დამახასიათებელი ფიგურაა. თუ ადრე ქალს გამოსახავდნენ პლაკატებზე და ამ გზით ქალთა საზოგადოებას მოუწოდებდნენ, მიებაძათ მათთვის, ახლა აუდიტორია უფრო გაფართოვდა[365], რადგან მუშა ქალი აქტიურად ჩაერთო კოლმეურნეობაში და ქალთა გამოსახულებები პლაკატებზე გახშირდა. 1929 წელს პირველად ჩნდება ქალის

---

[362] **მაია ტაბიძე**, „წარსულის რეპრეზენტაცია ქართულ ფემინისტურ ნააზრევში,“ *ხმა ქართველი ქალისა* N1 (2017 წლის 03 აპრილი): 6..
ლ. მეგრელიძე. „ქალი ცხოვრებასა და ლიტერატურაში”. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის არქივი (თარიღი უცნობია).
[363] **Usha,** “Political Empowerment of Women,” 149.
[364] **Bonnell**, *Iconography of Power,* 84.
[365]**Waters,** “The Female Form in Soviet Political Iconography,”236.

გამოსახულება ორ და სამ კაპეკიან ფულის მონეტებზე[366]. 1935 წელს კი ღირსების ორდენი, რომელიც სამხედრო, სამეცნიერო, და ეკონომიკის სფეროში მიღწეული წარმატებისთვის გაიცემოდა, გახდა პირველი მედალი, რომელზეც ჩნდება ქალის ფიგურა - მამაკაცის ფიგურის უკან ვხედავთ ქალს, რომელიც მიჰყვება მამაკაცს და ორივენი წითელი ვარსკვლავის ქვეშ არიან გამოსახული[367]. ქალისა და მამაკაცის გამოსახვა ამის შემდეგ პოლიტიკურ პლაკატებზე ჩვეულებრივი მოვლენა ხდება. ყველაზე ცნობილი ქანდაკება, რომელშიც ქალის ფიგურას ვხვდებით არის, ვერა მუხინას მიერ შექმნილი „Рабочий и колхозница“ (მუშა და კოლმეურნე ქალი) გახდა[368]. ქანდაკება 1936 წლის კონსტიტუციის შედეგს - სქესთა თანასწორობას უსვამს ხაზს. მართალია, მამაკაცს დომინანტური, მარცხენა მხარე უკავია, მაგრამ ფიგურები თითქმის ერთნაირია ზომაში და ორივენი ერთნაირ მოქმედებას ასრულებენ. ქანდაკების სათაური ხაზს უსვამს გლეხების და მუშების ალიანსს. ე. უოთერსის აზრით, ქანდაკებაში ქალი ძლიერი პერსონაა, თუმცა, მას მეორეული როლი აქვს მინიჭებული. გენდერული უთანასწორობა თავს იჩენს არა ფიგურების კომპოზიციაში, არამედ საგნებში, რომლებიც მათ უჭირავთ: მამაკაცს ურო, ხოლო ქალს - ნამგალი. საბჭოთა იდეოლოგიის მიხედვით გლეხები მოსახლეობის უმეტესობას შეადგენდნენ, მაგრამ კომუნიზმის მშენებლობისთვის ბრძოლაში მეორე ადგილი ეკავათ[369]. ეს როლი ქალს ერგო. ამით აიხსნება მისი მეორეული პოზიცია. განსხვავებით კოლმეურნე ქალისგან, დედის გამოსახულება საბჭოთა იკონოგრაფიაში ნაკლებად გვხვდება მანამ, სანამ 1938 წელს პირველი მარკა შეიქმნებოდა და 1940-იან წლებში მედალი „დიდება დედას,“ დედის გამოსახულება მხოლოდ დედათა კლინიკებში გამოფენილ პლაკატებზე გვხვდება, რომელიც ბავშვთა მოვლას ეხებოდა და სპეციფიკური დანიშნულება ჰქონდა[370].

ამასთან, აღსანიშნავია 1930-იანი წლების პლაკატებზე ქალთა ჩაცმულობა: უმეტეს შემთხვევაში ქალებს თავსაფარი კეფაზე აქვთ დამაგრებული და არა ნიკაპთან

---

[366] **Waters,** “The Female Form in Soviet Political Iconography,”239.

[367]"The Order of the Badge of Honor established in the USSR," November 25, 1935, *Presidential Library*, https://www.prlib.ru/en/history/619755 [ბოლო ვიზიტი, 10/10/2024].

[368] **Мухина В. И**. Рабочий и колхозница. Модель скульптурной группы для Советского павильона на Международной выставке 1937 года в Париже. 1936. Отлив: 1937. https://rusmuseumvrm.ru/data/collections/sculpture/20/so-724/index.php

[369] **Waters**. “The Female Form in Soviet Political Iconography,”240.

[370] **Waters**. “The Female Form in Soviet Political Iconography,” 241.

შეკრული. ეს მინიშნებაა, რომ ის ძველი სტილის რუსი ქალი კი არ არის, არამედ, ახალი ტიპის ქალია - კოლმეურნე.[371] ასევე, ადრეული პერიოდის პლაკატებზე ქალების ფორმები განსხვავდება მოგვიანებით დამკვიდრებული ფორმებისგან. ძველ პლაკატებზე ქალების ფორმები უფრო ქალურია: განიერი თეძოებით და ჩასხმული აგებულებით, რაც ხაზს უსვამს მათ ნაყოფიერებას. მოგვიანებით, 1930-იანი წლების შემდგომ, ქალების ფორმები პოსტერებზე უფრო გამოკვეთილი და დახვეწილი ხდება, სილუეტი უფრო გამხდარია და ისინი ბევრად ახალგაზრდულად გამოიყურებიან.[372] ზოგადად, საბჭოთა კავშირში ქალების ბუნებრივ სილამაზეს ანიჭებდნენ უპირატესობას, ისინი არც ჭარბ წონიანები უნდა ყოფილიყვნენ და არც ძალიან გამხდრები. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად კი მოვლილი თმა და სახე მიიჩნეოდა[373]. რაც შეეხება ფერთა სიმბოლიკას, საბჭოთა კავშირში დაბეჭდილი 1920-იანი წლების პლაკატებზე უფრო მკაცრი ფერებია წარმოდგენილი: წითელი, შავი. ხოლო, 1930-იანი წლებიდან მოყოლებული ისინი პასტელურმა ფერებმა: ცისფერმა, მწვანემ, ვარდისფერმა ჩაანაცვლა.[374]

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ გამოიწვია ფრონტზე წასული მამაკაცების ჩანაცვლება. ახალი ტიპის საბჭოთა ქალი ითავსებდა „მამაკაცურ პროფესიებს“, მაგრამ ამასთანავე, უნდა ყოფილიყო „ქალური“. ეს ცვლილება კარგად ჩანს პლაკატებზე. 1930-იანი წლების მეორე ნახევრიდან პოსტერებზე ჩნდება „ახალი ტიპის“ ქალი, რომელიც, ერთი მხრივ, ძლიერი, შემდგარი და დამოუკიდებელია, მაგრამ მეორე მხრივ, ის ირგებს სუსტი, დაუცველი ქალის როლს. ეს ურთიერთსაწინააღმდეგო თვისებები საბჭოთა პროპაგანდისტული აზრის მიხედვით, თანაარსებობდა და ერთმანეთს ხელს არ უშლიდა.

საბჭოთა პოსტერების კვლევისას გამოვყავით რამდენიმე ტიპის ქალი, რომელიც პლაკატებზე გვხვდება. ესენია: პირველი - მებრძოლი, ფაშისტებზე შურისმაძიებელი ქალი; მეორე - დედის სახე, მესამე - მამაკაცის საქმის სრულყოფილად

---

[371] **Bonnell**, *Iconography of Power* ,102

[372] **Bonnell**, *Iconography of Power,* 105.

[373] **Y. Gradskova**. *Soviet People with Female Bodies: Performing Beauty and Maternity in Soviet Russia in the mid 1930-1960s* (PhD dissertation, Acta Universitatis Stockholmiensis, 2007), 183, https://urn.kb.se/resolve?urn=urn:nbn:se:su:diva-6980.

[374] **Bonnell**, *Iconography of Power,* 117.

შემსრულებელი, მუშა-ქალი, მეოთხე - ქალი-მსხვერპლი. ქვემოთ ვეცდებით დავახასიათოთ თითოეული მათგანი. დაჯგუფების მიზანია, გამოვკვეთოთ ცალკეული სახეები, რომლებსაც საბჭოთა მთავრობა ახალისებდა და ამის მიხედვით ვიმსჯელოთ ქალთა მიმართ საბჭოთა პოლიტიკაზე. პლაკატების კვლევისას გამოკვლეულ იქნა სამიზნე აუდიტორია, პლაკატის ზომა და დანიშნულება, პლაკატის შემქმნელის ვინაობა, ეთნიკური ნიშნები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ა.შ. აღნიშნული ინფორმაცია საშუალებას იძლევა გაანალიზდეს სახელმწიფო პოლიტიკა ქალთა მიმართ.

საბჭოთა ხელისუფლებისთვის მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდგომ მნიშვნელოვანი იყო რაც შეიძლება მეტი ადამიანური რესურსის გამოყოფა ფრონტისთვის ან მის მიღმა[375]. შესაბამისად, საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანა ამ მიმართულებით ამუშავდა და ქალის, როგორც მებრძოლის სახის დამკვიდრება დაიწყო. რაც შეეხება დედის ხატის შექმნას, ეს ყველაზე კარგად ნაცნობი მოდელი იყო საბჭოთა საზოგადოებისთვის. 1930-იან წლებში დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესების მიზნით, დედის როლის გაიდეალება საბჭოთა საშინაო პოლიტიკის ნაწილად იქცა. რაც შეეხება მებრძოლ ქალს, ის შურით აღვსილი უნდა ყოფილიყო, მას ყველა და ყველაფერი უნდა გაეწირა საკუთარი სამშობლოს სიყვარულის გამო. პლაკატებზე ასევე ჩნდება მუშა ქალის სახე, ქალის, რომელიც წარმატებით მუშაობს როგორც კოლმეურნეობაში, ისე ინდუსტრიალიზაციაში. განსაკუთრებული დატვირთვა ამ არქეტიპულმა სახემ შეიძინა ომის მიმდინარეობის დროს, რადგან თუ მანამდე ქალებს დამატებითი ადამიანური რესურსის როლი ჰქონდათ, ამიერიდან ისინი უნდა ყოფილიყვნენ ფრონტზე წასული მამაკაცის ჩამნაცვლებლები სამუშაო სივრცეში. ომის მიმდინარეობისას ასეც მოხდა, ქალებმა შეითავსეს ახალი პროფესიები. გაზეთი „კომუნისტი“ ამის თაობაზე წერდა: „სამამულო ომის პერიოდში ბევრი ქალი დაეუფლა ახალ საწარმოო სპეციალობებს. სამხედრო ტემპებით მუშაობის საუკეთესო მაგალითებს გვიჩვენებენ ქალები - ინჟინრები, ტექნიკოსები, ტრაქტორისტები, შოფერები, კომბაინერები, მექანიკოსები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, ბრიგადირები, ფერმერთა გამგეები“[376]. ციტატა ადასტურებს, რომ

[375] **სსცა,** ფ. 600, აღწ. 2. საქმე 588. ფურც. 49.
[376] “ქალთა საერთაშორისო დღე“, *გაზეთი კომუნისტი* N49 (6993) (1944 წლის 8 მარტი): 1.

ქალები მოერგნენ ახალ როლურ სახეებს. სახელმწიფო პოლიტიკა კი მოუწოდებდა მათ, გამოეჩინათ გმირობა და ომის პერიოდში შეეთავსებინათ ყველანაირი საქმე და „მთელი ძალღონე სამშობლოს თავდაცვისთვის მიემართათ“.[377] შესაბამისად, მათი დატვირთვა გაორმაგდა.

ქვემოთ ვეცდებით, დავახასიათოთ თითოეული როლური სახე დეტალურად და ვიზუალიზაციის მიზნით, წარმოვადგინოთ შესაბამისი პოლიტიკური პლაკატი.

§ 5.1. მებრძოლი ქალი

როგორც აღვნიშნეთ, მოცემულ თავში ჩვენი მიზანია, გამოვკვეთოთ ქალთა არქეტიპული სახეები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს ჩამოყალიბდა საბჭოთა ქართული პლაკატების საფუძველზე. პირველ არქეტიპულ სახეს წარმოადგენს მებრძოლი ქალი.

საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანა საკუთარი გავლენის გასავრცელებლად ხშირად იყენებდა პრესას. საბჭოთა პრესის იდეოლოგიურ ფუნქციას აღიარებდნენ, როგორც საბჭოთა, ისე დასავლელი მკვლევრები და მას "პარტიის უძლიერეს იდეოლოგიურ იარაღს უწოდებდნენ"[378]. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საბჭოთა პრესაში ძირითადად იწერებოდა ტრადიციულად დამკვიდრებულ ქალთა ისეთი როლების შესახებ, როგორებიცაა: დედა, და, ქალიშვილი, ექთანი. საინტერესოა, რომ ქალების მისამართით პირდაპირი მოწოდება, სამხედროები გამხდარიყვნენ და წასულიყვნენ ფრონტზე, პრესაში არ გაჟღერებულა. აქედან გამომდინარე, ისტორიკოსი ანა კრილოვა, ასკვნის, რომ 1941 წლისთვის საბჭოთა რეჟიმი არ იყო მომხრე, რომ ქალები როგორც სამხედროები, ჩართულიყვნენ ომში, მათ მხოლოდ დამხმარე როლი უნდა ჰქონოდათ ამ საქმეში[379]. თუმცა, უნდა ითქვას, რომ არანაირი ამკრძალავი კანონი ან ბრძანება არ გამოსულა, რომელიც ქალებს მებრძოლთა რიგებში შესვლას აუკრძალავდა. მთლიანობაში, II მსოფლიო ომის დროს 520 000 საბჭოთა ქალი

---

[377] „საბჭოთა ქალი დიდი ძალაა“, *გაზეთი კომუნისტი* N239 (6244) (1941 წლის 9 ოქტომბერი): 1.

[378] **Lynne Attwood,** *The New Soviet Man and Woman: Sex Role Socialization in the USSR* (Palgrave Macmillan, UK), 165, https://doi.org/10.1007/978-1-349-21030-5.

[379] **Krylova**, *Soviet Women in Combat*, 113.

მსახურობდა წითელ არმიაში, 300 000 ჩართული იყო ბრძოლაში, ხოლო დანარჩენი დამხმარე პერსონალი იყო (ეს რიცხვი დღემდე საკამათოდ რჩება).[380]

პირველად ქალი-მებრძოლის სახე ბოლშევიკების გამარჯვების შემდგომ, სამოქალაქო ომის დროს გამოჩნდა - შეიარაღებული დედის სახით, რომელიც მზად არის დაიცვას თავი და ამასთან, ის იბრძვის უკეთესი მომავლისთვის[381]. ეს ტენდენცია გრძელდება 1930-იან წლებში და ქალი მებრძოლი ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებაში ჩნდება: პლაკატებზე, ნახატებში, ლიტერატურულ ნაწარმოებებში და სხვ. 1934 წელს ეკრანებზე ფილმი „ჩაპაევი“ გამოჩნდა. ფილმის დახმარებით შეიქმნა პირველი საბჭოთა ქალი-სამხედროს პერსონაჟი - ანკა, როგორც ხშირად მას უწოდებდნენ - ტყვიამფრქვევიანი მებრძოლი. ანკა პოპულარიზებას უწევდა ახალ იარაღს - ტყვიამფრქვევს მომავლის ომში ავტომატიც, ისევე როგორც ქალი-მებრძოლი, ძირითად იარაღად ითვლებოდა[382]. 1938 წელს საბჭოთა ფილმოგრაფიას შეემატა ისტორიული ფილმი „ალექსანდრე ნეველი (,,Александр Невский“ რუს.)“. ფილმში ტევტონები ჩნდებიან, რაც მნახველში აჩენს შეგრძნებას, რომ ფილმი გერმანელებს ეხება - ტევტონები იპყრობენ გერმანულ მიწას. თუმცა, სავარაუდოა, რომ ფილმს ალეგორიული დატვირთვა აქვს. ამავე ფილმში ქალის სამხედრო პერსონა ჩნდება ვასილისას სახით, რომელიც მეორეხარისხოვანი პერსონაჟია, ის კარგავს მამას და ძმას და შურისძიების მიზნით უერთდება არმიას. ეს პასაჟი სიმპტომატურია და კარგად ასახავს ქალების სახეს, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა პროპაგანდისტულმა მანქანამ დაამკვიდრა როგორც ლიტერატურაში, ისე იკონოგრაფიაში. რაც შეეხება ფილმს, ის სრულდება ქორწილით. ფილმში ნაჩვენებია ორი ქორწილი, ერთი ტრადიციული, მეორეში ვასილისა როგორც სამხედრო პირი, ისე იწერს ჯვარს. ამ პასაჟს სიმბოლური დატვირთვა აქვს: ვასილისა ორ როლს აერთიანებს: ჯარისკაცია და თან ფემინურობასაც არ კარგავს. ეს პერსონაჟი ამ გზით ქალების ახალ კონცეპტს ქმნის, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა პროპაგანდისთვის იყო მისაღები[383].

---

[380] **Krylova**, *Soviet Women in Combat*, 3.
[381] **Krylova**, *Soviet Women in Combat* ,64.
[382] **Krylova**, *Soviet Women in Combat*, 67.
[383] **Krylova**, *Soviet Women in Combat*, 69-70.

სტალინის დროს დამკვიდრებული ახალი საბჭოთა ადამიანის იდენტობა ეფუძნებოდა სოციალურ ვალდებულებას, რომელიც ომისთვის მზადებას გულისხმობს. სტალინურმა რეჟიმმა სკოლის სისტემა, ახალგაზრდა კომუნისტების ლიგა, კლუბები თუ სხვა ორგანიზაციები ისე დააპროგრამა, რომ მათ წინასაომარი განწყობა ჰქონოდათ. ამიტომ ქალი-მებრძოლის იდეა შეიქმნა სტალინის ოფიციალური კულტურული პროგრამის ფარგლებში. პარადოქსია, რომ ტოტალიტარულმა სისტემამ გამოიწვია რადიკალური ტრანსფორმაცია საზოგადოების ხედვაში.[384] ანა კრილოვა საუბრობს ქალ-მებრძოლებზე, რომლებიც შეიჭრნენ მამაკაცების სივრცეში და მათი დესტაბილიზაცია გამოიწვიეს. მებრძოლი ქალები თავის თავში აერთიანებენ კარგი ჯარისკაცის და ფემინური ქალის თვისებებს. „ისინი არიან ყვავილები იარაღის გვერდით, რომელიც არ კარგავს ფემინურობას“ - წერს კრილოვა[385] და აქვე სვამს კითხვას, ეს ქალები მასკულინირებული ქალები არიან თუ ფემინიზირებული ჯარისკაცები? პასუხი სადავოა.

სტალინის ტოტალიტარულმა რეჟიმმა პარადოქსულია, მაგრამ 1930-იან წლებში გააქტიურა უფრო მეტი საშუალება გენდერის გამოხატვისა და დანახვისთვის, ვიდრე მოგვიანებით შედარებით ლიბერალურმა საბჭოთა რეჟიმმა, პოსტსტალინურ ეპოქაში. ანა კრილოვა მიიჩნევს, რომ ომამდელი კულტურა, ინსტიტუციური მიდგომა და გენდერული პოლიტიკა ხელს უწყობდა მრავალფეროვანი და ურთიერთსაწინააღმდეგო გენდერის დამკვიდრებას. სტალინის კულტურული პროდუქტები: პრესა, ლიტერატურა და ფილმები, ამას დამატებული განათლება - ხელს უწყობდა სტალინისტური იდეოლოგიის დამკვიდრებას ქალთა თანასწორობის შესახებ.[386] 1930-იანი წლების სტალინის საგანმანათლებლო რეფორმამ გენდერის კულტურულ ფენომენს დაუდო სათავე. ინტეგრირებული განათლების მიზანი იყო, ბავშვებს ახალი ურთიერთობები ესწავლათ და დაეძლიათ ბურჟუაზიული და პატრიარქალური შეზღუდვები. შესაბამისად, გაძლიერდა დამოუკიდებელი ქალების

[384] **Krylova**, *Soviet Women in Combat*, 15.
[385] **Krylova**, *Soviet Women in Combat*, 17.
[386] **Krylova**, *Soviet Women in Combat*, 20.

ფრთა, რამაც ომის მიმდინარეობისას ლოგიკურად შექმნა მებრძოლი ქალის არქეტიპული სახე.

იმისთვის რომ ზუსტად განისაზღვროს პლაკატის დანიშნულება მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ პლაკატის შექმნის წელი, გამომცემლობა, გამოცემის წელი, ტირაჟი და პლაკატის მასშტაბი. ირაკლი თოიძის მიერ შესრულებული საბჭოთა პოლიტიკური პლაკატი „დედასამშობლოსთვის“(იხ. სურ.1) 1943 წელს არის შექმნილი. ი. თოიძე ცნობილი მხატვრის მოსე თოიძის ვაჟი გახლდათ. ჯერ კიდევ 1937 წელს შოთა რუსთაველის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები თოიძემ შექმნა. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში კი მისი პლაკატები საბჭოთა კავშირის მასშტაბით იბეჭდებოდა. მათ შორის, პლაკატი „დედა სამშობლო გვეძახის“ ომის თემაზე შექმნილი პლაკატების სიმბოლოდ იქცა. რაც შეეხება პლაკატს „დედასამშობლოსთვის“, ის დაიბეჭდა 50 000 ეგზემპლარად, ხოლო მოგვიანებით მეორედ დაბეჭდეს 25 000 ტირაჟით. ეს რიცხვი საკმაოდ დიდია, რაც მიუთითებს პლაკატის გავრცელების მასშტაბურობაზე. შინაარსობრივი თვალსაზრისით, პლაკატი უნდა მივაკუთვნოთ პოლიტიკური პლაკატის კატეგორიას. პლაკატი დაიბეჭდა სახელმწიფო საგამომცემლო სახლში „Искусство“ (რუს.) და ითვალისწინებს სოცრეალიზმისთვის დამახასიათებელ სტილს. პლაკატის ძირითადი ფერი წითელია. პლაკატის პირველ ხაზზე ვხედავთ შავად გამოსახულ შეიარაღებულ ჯარისკაცებს, რომლებიც მამრობითი სქესის წარმომადგენლები არიან, თითოეულს მომარჯვებული აქვს იარაღი და აშკარაა, რომ ისინი იცავენ მათ ზურგს უკან მდგარ ქალს. პლაკატის ცენტრში ვხედავთ ქალს, რომელიც წითელ მოსასხამში გახვეულა, მარჯვენა ხელში მცირეწლოვანი ბავშვი, ხოლო მარცხენა ხელში წითელი ფერის შუბი უჭირავს. ქალი ახალგაზრდა და ენერგიულია, საბრძოლველად განწყობილი. პლაკატს ახლავს წარწერაც, რომელიც ასევე წითელი ასოებით არის მიწერილი: „დედასამშობლოსთვის!“ პლაკატზე გამოსახული ქალი, ერთი მხრივ, წარმოადგენს მებრძოლ ქალს, ხოლო, მეორე მხრივ, არის დედა და, შესაბამისად, სამშობლოს სინონიმი. ჯარისკაცების პირდაპირ მოვალეობად ქცეულა დედის და მაშასადამე, სამშობლოს დაცვა. ეს ხაზი გასდევს არამხოლოდ ომის დროს შექმნილ პლაკატებს, არამედ მხატვრულ ლიტერატურასაც. წითელი ფერი შემთხვევითი არ არის, ის პირველ რიგში, გამოკვეთს მთავარ ფიგურას, მეორე მხრივ, კი აჯანყების და

დაუმორჩილებლობის ფერია. პლაკატის მიზანია, აღძრას ბრძოლის სურვილი ქალებში, რომლებიც საკუთარ თავს ამოიცნობენ წითელმოსასხამიან „სამშობლოს“ ფიგურაში. ასევე, ფრონტზე მყოფი ჯარისკაცებისთვის ბრძოლის გაგრძელება დედის გადარჩენას უთანაბრდება. როგორც ვნახეთ, ამ პლაკატში დედის და მებრძოლი ქალის ფიგურა გაერთიანებულია. თითოეული პლაკატის შემთხვევაში, ჩვენ გამოვყავით შემაჯამებელი კოდი, რომელიც კარგად ახასიათებს პლაკატს. ამ პლაკატის შემთხვევაში ის წარმოგვიდგება როგორც „სამშობლოსთვის მებრძოლნი“, პლაკატიდან იგრძნობა მებრძოლების განწყობა, რომლებიც მზად არიან თავი გასწირონ ქვეყნისთვის.

რაც შეეხება მეორე პლაკატს, პლაკატის ავტორი რუსი მხატვარი და გრაფიკოსი ისააკ რაბიჩევია. პლაკატი შექმნილია 1942 წელს სახელმწიფო გამომცემლობა „Искусство“-ის მიერ და იმეორებს სოცრეალიზმის მახასიათებლებს. პლაკატი შინაარსობრივი თვალსაზრისით პოლიტიკური პლაკატების ჟანრს წარმოადგენს. პლაკატის ტირაჟი 30 000 იყო, ხოლო ფასი ერთი რუბლი. სამწუხაროდ, საარქივო მასალებში არ იძებნება ინფორმაცია პლაკატის ზომის შესახებ (იხ, დანართი - სურ. 2). პლაკატის კომპოზიციის ცენტრში არის ქალი, რომელსაც ხელები ცაში აქვს აწეული, მარცხენა მუშტად შეკრული, ხოლო მარჯვენა ხელში თოფი უჭირავს. პლაკატი შესრულებულია მუქ ფერებში, შავი და ღია ნაცრისფრამდე გარდამავალი. ქალი ახალგაზრდა და ენერგიული ჩანს. ყურადღებას იპყრობს ქარისგან გაწეწილი თმა, რომელსაც უფრო მეტი სიმძაფრე შემოაქვს მნახველში. თუმცა, პლაკატზე სულისშემძვრელ ფიგურად რჩება ქალის წინ მცირეწლოვანი ბავშვის სხეული. მისი სხეულის კონტურებიდან გამომდინარე, ის გარდაცვლილია. ამას თან ერთვის წარწერა: „ჩვენ შურს ვიძიებთ! გავანადგუროთ ფაშისტი კაციჭამიები!’ სავარაუდოა, რომ პლაკატის მთავარი გმირი შურისმაძიებელი, მებრძოლი დედაა, რომელიც მზად არის გაანადგუროს, მოკლას „ფაშისტები“. საინტერესოა, რომ ქალები, რომლებიც ხშირად სუსტ და ფემინურ არსებებად არიან წარმოდგენილი საბჭოთა პლატაკებზე, ომის პერიოდში „კარგავენ სისუსტეს“ და იქცევიან ძლიერ, მებრძოლ ქალებად, რომლებიც მზად არიან დაიცვან საკუთარი ოჯახი და სამშობლო. კომპოზიციას ფონურ ნაწილად გასდევს ალმოდებული სოფელი/ქალაქი. ესეც მტრის დაუნდობლობის კიდევ ერთი მითითებაა. საბჭოთა პროპაგანდისტული მესიჯი იყო

ფაშისტებისგან „მხეცის“ შექმნა, რომელიც არც ბავშვებს და არც ქალებს - ყველაზე მოწყვლად კატეგორიას - არ ინდობს. ამიტომ, ყველა საბჭოთა მოქალაქის ვალდებულებად ქცეულა მის წინააღმდეგ იარაღის ძალით ბრძოლა. ამ პლაკატის შემაჯამებელი კოდი არის - თავდაცვა და შურისძიება, როგორც ერთადერთი გამოსავალი.

§ 5.2. მშრომელი ქალი

1930-იან წლებში საბჭოთა კავშირში ხელისუფლების მიერ დაწყებულმა მიდგომამ - „რევოლუცია ქვემოდან“ მხარდაჭერა პოვა უბრალო ადამიანებშიც. კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის პროცესში მილიონობით ქალი და კაცი ჩაერთო.[387]

სტალინის რეჟიმი თანდათან კარგავდა ლენინის პერიოდის მახასიათებლებს: ინტერნაციონალიზმი იქცა ნაციონალიზმად, ასევე დაიწყო ოჯახის ინსტიტუტის გაძლიერება. თუ პირველი ბოლშევიკები არ გამორიცხავდნენ ოჯახის ინსტიტუტის შესუსტებას მომავალში, სტალინის მმართველობის დროს ეს მიდგომა შეიცვალა და ოჯახის რადიკალური გარდაქმნის იდეა დასამარდა. ამასთან, ხელახლა განისაზღვრა ქალის როლი საზოგადოებაში და ხელახლა დადგა „ოჯახური ღირებულებების“ საკითხი.[388]

სტალინიზმი თავის თავში აერთიანებდა, ერთი მხრივ, რევოლუციურ სისტემას, რომელსაც არ უნდოდა ძველი რუსეთის დაბრუნება და ამავე დროს კონსერვატორული მიდგომის მომხრე იყო, რაც გულისხმობდა სახელმწიფოში იერარქიას, ტრადიციული ღირებულებების, როგორიცაა პატრიოტიზმი და პატრიარქატი გამყარებას[389]. აღნიშნული პოლიტიკა გაგრძელდა მეორე მსოფლიო ომის დროსაც. განსაკუთრებული ძალა შეიძინეს ქალებმა, რომლებიც როგორც

[387] **Suny**, “Stalin and his Stalinism,”18.
[388] **Suny**, “Stalin and his Stalinism,”19.
[389] **Suny**, “Stalin and his Stalinism,”20.

ფრონტზე, ისე ფრონტს მიღმა ომის დროს სახელმწიფოს დასაყრდენად იქცნენ. შესაბამისად, „ახალი ტიპის ქალი“, რომლის იდეაც 1930-იან წლებში ჩამოყალიბდა, ომის წლებში კიდევ უფრო გაძლიერდა. ამ არქეტიპული სახეებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა მშრომელი ქალის სახე.

ქალების ახალი როლი არ იყო შემთხვევითი. ქალები იყვნენ დაკავშირებულნი ინდუსტრიული განვითარების გეგმასთან. სტალინის ინდუსტრიალიზაციის გეგმა გულისხმობდა ურბანიზაციას, მოხმარებას, რეპროდუქციული პოლიტიკის ცვლილებას. მოშე ლევინმა, 1960-იან წლებში ჩამოყალიბებული საბჭოთა კვლევების სკოლის მთავარმა მკვლევარმა, საზოგადოების ასეთ ცვლილებას მცოცავი საზოგადოება (ინგ.: „quicksand society”) უწოდა, რომლის მიზანი იყო სტაბილურობის კუნძულის შექმნა სოციალური ქაოსის ზღვაში.[390] „ქალების ახლებური როლი შერწყმული იყო ძველ ღირებულებებსა და ტრადიციებთან და ერთად ქმნიდა სტალინური ეპოქის მახასიათებლებს“ - წერს ლევინი.[391]

ასევე, ბევრის მთქმელია რიცხვები: 1930-37 წლებში ქალების აქტიური ჩართვა მოხდა ინდუსტრიაში. 1932 წელს დასაქმებული ქალების რიცხვი 3 მილიონიდან 6 მილიონამდე გაიზარდა. 1937 წელს საბჭოთა კავშირში 9,4 მილიონი ქალი იყო დასაქმებული. ხოლო 1939 წელს ინდუსტრიაში ქალების წილი იყო 41.6%. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, ქალების წილი სამუშაო სექტორში იყო უპრეცედენტო და გაუტოლდა 56%-ს.[392]

1930-იან წლებში კი სტალინის ახალი გენდერული პოლიტიკის შედეგად, ოჯახის ინსტიტუტის გაძლიერება დაიწყო, ოჯახი იქცა ამოსავალ ქვაკუთხედად. ის უნდა ყოფილიყო სოციალური წესრიგის მოდელი. საბჭოთა კავშირის წამყვან გაზეთ „პრავდაში“ იწერებოდა, რომ მოუწესრიგებელი სექსუალური ცხოვრება და „თავისუფალი სიყვარული“ ბურჟუაზიული ელემენტი იყო.[393] შესაბამისად, ქალებს უნდა ეზრუნათ საკუთარ სახელზე საზოგადოებაში. ამის პარალელურად შეიქმნა მუშა ქალის და მზრუნველი დედის არქეტიპი. ორივე მათგანი რიგ შემთხვევაში

[390] ციტირებულია წიგნიდან: **Lapidus**, "Women in Soviet Society," 217.
[391] ციტირებულია წიგნიდან: **Lapidus**, "Women in Soviet Society," 217.
[392] **Lapidus**, "Women in Soviet Society," 220.
[393] **Lapidus**, "Women in Soviet Society," 227.

განსხვავდება ერთმანეთისგან. თუმცა, როგორც პლაკატებზე, ისე მხატვრულ ნაწარმოებებში ხშირად ვხვდებით პერსონაჟებს, რომლებშიც გაერთიანებულია ქალი-მუშის და ქალი-დედის სახე. ისინი ხშირად ურთიერთგამომრიცხავი ქმედებებით ან მახასიათებლებით ჩნდებიან. ქალი-მუშის შემთხვევაში, ის ითავსებს ყველანაირ საქმეს, რაც მამაკაცურ საქმიანობად მოიაზრებოდა საბჭოთა საზოგადოებაში. მაგალითისთვის შეიძლება გავიხსენოთ ქალი-ტრაქტორისტები, რომლებსაც ხშირად გამოსახავდნენ პლაკატებზე, ქალი-ტრაქტორისტები ძლიერი, თავდაჯერებული ქალების სახეს ქმნიან, თუმცა არ კარგავენ ფემინურობას, რაზეც მეტყველებს მათი ჩაცმის სტილი, თმა და სხვ.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში დაბეჭდილ პოლიტიკურ პლაკატზე გრძელდება დაწყებული ტენდენცია და პლაკატის ერთ-ერთ მთავარ ფიგურას წარმოადგენს მშრომელი ქალი. კვლევის დროს გამოვარჩიეთ 3 ძირითადი პლაკატი, რომელიც კარგად გამოხატავს მშრომელი ქალის იდეას. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ პლაკატი შექმნილია საბჭოთა საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკაში, რასაც ადასტურებს პლაკატის ქართულენოვანი წარწერა.

მესამე (იხ. დანართი - სურ.3) პლაკატი დახატა 1941 წელს, გრ. მირზოევმა და დაიბეჭდა გამომცემლობა „კომუნისტის“ მიერ. პლაკატი გამოვიდა 3600 ტირაჟით, რაც მიუთითებს მის ადგილობრივ გამოყენებაზე. სავარაუდოა, რომ ქართული წარწერის გამო, პლაკატის ძირითად აუდიტორიას ქართულენოვანი მოსახლეობა წარმოადგენდა. შესაბამისად, განსხვავებით სხვა განხილული პლაკატებისგან, აღნიშნული პლაკატი ნაკლებად მასშტაბური იყო. უცნობია პლაკატის ზომა. პლაკატს აგიტაციური დანიშნულება ჰქონდა და პოლიტიკური პლაკატის კატეგორიას მიეკუთვნება. პლაკატის მარჯვენა მხარეზე გამოსახულია მშრომელი ქალი, რომელიც კომბაინზე ზის და მოსავალს იღებს. გამოსახულებას ხორბლის სიმბოლო აქვს ფონად. განსხვავებით სხვა პლაკატებისგან, ამ პლაკატზე პირდაპირ არ იგრძნობა ომისგან გამოწვეული საფრთხე. არ ჩანს დაზიანებული სახლები, არც იარაღს და სიკვდილს ვხედავთ. თუმცა თუ მხოლოდ ნახატს დავაკვირდებით, ერთადერთ „უცნაურობად“ შეიძლება მოგვეჩვენოს ქალის ხილვა ტრაქტორისტის პოზიციაზე. ამ შემთხვევაშიც, თუ გავიხსენებთ 1930-იანი წლებში საბჭოთა პოლიტიკას ქალთა

მიმართ, ადვილი გასაგები იქნება, რომ ქალი ტრაქტორისტები სიახლეს არ წარმოადგენდა და ჯერ კიდევ ომამდე დაიწყეს მათი დასაქმება ე.წ. „მამაკაცურ პროფესიებზე“.

პლაკატის გამოკვეთილად საინტერესო ნაწილს წარმოადგენს წარწერა: „დროულად და მთლიანად დავამთავრებთ კომბაინებისა და მოსავლის ასაღები სხვა მანქანების რემონტს. მოსავალს ავიღებთ შემჭიდროვებულ ვადაში და უდანაკარგოდ“ (სტილი დაცულია ავტ. ნ.მ.). წარწერის პირველი ნაწილით მკითხველი იგებს, რომ მართალია ყველა მანქანა-დანადგარი არ არის გამართული, მაგრამ სახელმწიფო მათ შეკეთებას დაჩქარებული ტემპით აპირებს. ხოლო მეორე ნაწილის მიხედვით, მოსახლეობას არ ემუქრება შიმშილი (ეს ქვეტექსტში იკითხება - მოსავლის გვიან ან დანაკარგით აღება გამოიწვევს შიმშილს) და სახელმწიფო აიმედებს მათ. შესაბამისად, წარწერის გაანალიზებისას, აშკარაა, რომ ომით გამოწვეული სურსათის და ადამიანური რესურსის ჩანაცვლების პოლიტიკას ახორციელებს სახელმწიფო. პლაკატის მთავარი დანიშნულება საზოგადოებისთვის მაგალითის მიცემაა. ქალებს აგულიანებს, რომ მათ შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ საზოგადოების ცხოვრებაში, შეუძლიათ მომავალში ჩაანაცვლონ ფრონტზე წასული მამაკაცები და სრულყოფილად იყვნენ ჩაბმული სამეურნეო საქმიანობაში. ამასთან, პლაკატი აიმედებს ნებისმიერი სქესის, ასაკის ადამიანს, რომ მიუხედავად სირთულეებისა ქალების ჩართულობის და სახელმწიფოს დახმარების გზით, შიმშილობა არ ემუქრება ოჯახებს. ამ პოლიტიკური პლაკატის შემაჯამებელი კოდი შესაძლოა იყოს - ჩანაცვლება და გადარჩენა, რადგან ქალებს შეუძლიათ ჩაანაცვლონ მამაკაცები და ამავდროულად გადაარჩინონ სამშობლო. მშრომელი ქალის დახასიათებისას აშკარაა რომ პლაკატზე გამოსახული ქალი ძლიერი, ახალგაზრდა, ენერგიული ქალია, რომელსაც არ ეშინია სიახლეების და მზად არის, გაუმკლავდეს ახალ გამოწვევებს. ყველა თვისებასთან ერთად, ის ახერხებს იყოს ქალურიც.

მეორე პლაკატის სათაურია (იხ. დანართი - სურ.4) „კოლმეურნეობის ეზო“. პლაკატის ავტორია ქართველი მხატვარი რ. რევაზიშვილი. პლაკატი შექმნილია 1941 წელს თბილისში, გამომცემლობა „სახელგამის“ მიერ. პლაკატი დაიბეჭდა 4000 ეგზემპლარად. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში დაბეჭდილი

პლაკატები ადგილობრივ აუდიტორიაზე იყო გათვლილი. ამით აიხსნება ნაკლებტირაჟიანი გამოცემა. პლაკატი არ არის არც მეთოდისტური და არც პოლიტიკური ხასიათის. პირველი პლაკატის მსგავსად, ამ პლაკატზეც მნახველს თვალში ხვდება სიმშვიდე და ომისგან დაცლილი რეალობა. პლაკატი დაბეჭდილია 1941 წელს. გადაწყვეტილია სადა, მხიარულ ფერებში. განსაკუთრებით ჭარბობს მწვანე ფერი. პლაკატს რამდენიმე გმირი ჰყავს: არიან ქალები, მამაკაცები და ბავშვები. ერთი შეხედვით საქმე გადანაწილებულია და მამაკაცები ჩართულნი არიან საოჯახო საქმეებში. თუმცა, თუ დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ ქალები დაკავებულნი არიან ე.წ. ქალური საქმეებით: ერთ-ერთი ძროხას წველის, მეორე ღორებს კვებავს, ხოლო მესამე აივანზე დგას და ხელში ახალშობილი ბავშვი უჭირავს. ამ დროს უკანა ფონზე ვხედავთ მამაკაცს, რომელიც შეშას ჩეხავს. შესაბამისად, აშკარაა, რომ ამ პლაკატზე გენდერულად გადანაწილებულ როლებთან გვაქვს საქმე. პლაკატის მიზანია, მნახველში დაამკვიდროს სიმშვიდის განცდა. მიუხედავად მიმდინარე ომისა, საბჭოთა სოფელი აგრძელებს მშვიდ ცხოვრებას, ბავშვები იზრდებიან მშვიდობიან გარემოში, ჯანსაღი საკვები ხელმისაწვდომია მათთვის. პლაკატის შემაჯამებელი კოდი შესაძლოა იყოს შემდეგი - კოლმეურნეობა, როგორც ჯანსაღი და მშვიდი ცხოვრების გარანტი. პლაკატზე გამოხატული ქალები გარეგნულად მშვიდად გამოიყურებიან. მათი პასუხისმგებლობაა სახლის ყოველდღიური საქმეების მოგვარება, ბავშვების მოვლა და ა.შ. პლაკატზე ახალგაზრდა და ენერგიულ ქალებს ვხედავთ, რომლებიც ფემინურობას ინარჩუნებენ.

მესამე პლაკატის ავტორი ვალენტინ სლეპჩენკოა, რომელმაც საზოგადოებას თავი გააცნო ომის პერიოდის პლაკატებით. პლაკატი „ახალგაზრდა კოლმეურნეებო, იბრძოლეთ უხვი მოსავლისთვის!“ 1943 წელს შეიქმნა ხაბაროვსკის საგამომცემლო სახლის მიერ, 3000-იანი ტირაჟით (იხ. დანართი - სურ. 5). პლაკატი პირდაპირ არ ასახავს ომის საფრთხეს. პლაკატი შესრულებულია მკვეთრ ფერებში, განსაკუთრებით ჭარბობს წითელი ფერი. ამის გამო წინა ორი პლაკატისგან განსხვავებით უფრო აგრესიული და გამომწვევია. პლაკატის მთავარი ფიგურა მშრომელი ქალია. მას აცვია მშრომელი ქალის უნიფორმა. მეტი სიმძაფრისთვის მარჯვენა ხელში ქანჩი უჭირავს, რასაც სიმბოლური დატვირთვა უნდა ჰქონდეს. გენდერული როლების მქონე საზოგადოებაში, ქანჩის მომხმარებლად მამაკაცი მიიჩნევა. აქ სწორედ ეს

სტერეოტიპია დამსხვრეული. მხატვარმა ვალენტინ სლეპჩენკომ მშრომელ ქალს, როგორც მამაკაცური საქმის შემსრულებელს, ხელში ქანჩი დააჭერინა. ამ შემთხვევაში ქალის ვალდებულება არის მამაკაცის ჩანაცვლება. ამ აზრს უნდა ატარებდეს ეს სიმბოლური პასაჟი. მშრომელი ქალის უკანა ფონზე ვხედავთ ხორბლის ყანას და კომბაინს. ყურადღებას იქცევს პლაკატის წარწერაც. პირველი წარწერა დიდი, წითელი, გამუქებული ასოებით არის შესრულებული: „ახალგაზრდა კოლმეურნეებო, იბრძოლეთ უხვი მოსავლისთვის!“. როგორც აღვნიშნეთ, უშუალოდ ომის სიმძიმე არ ჩანს პლაკატზე, მაგრამ უხვი მოსავლისთვის ბრძოლა მიმდინარე ომის ასოციაციას იწვევს. მით უფრო, რომ პლაკატი 1943 წელს ე.წ. „დიდი სამამულო ომის“ მიმდინარეობისას არის შესრულებული. ასევე მარცხენა ზედა კუთხეში ვხედავთ მომცრო ზომის წარწერას: „ჩვენი კოლმეურნეები, რომელთაც უანგაროდ უყვართ თავისი სამშობლო და ჩვენი წითელი არმია ძალას არ დაიშურებენ, რათა მიიღონ ისეთი მოსავალი, რომლის მსგავსიც ჯერ არ უნახავს ჩვენს მინდვრებს“. სიტყვების ავტორია მიხეილ კალინინი, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე. ამ სიტყვების მიზანია მოტივაციის ამაღლება მშრომელებს შორის. ეს ტენდენცია მსგავსი იყო წინა ორი პლაკატის შემთხვევაშიც. თუმცა, ამ პლაკატში ბევრად მეტად ჩანს ომის საფრთხე. წარწერებში ნახსენები სიტყვები: „ბრძოლა“, „სამშობლო“, „წითელი არმია“ მნახველს შეახსენებს, რომ ქვეყანა ომშია ჩაბმული და კოლმეურნის საქმიანობის პირნათლად შესრულება გულისხმობს სამშობლოს სამსახურში ყოფნას. სწორედ ამიტომ ვფიქრობთ, ამ პლაკატის შემაჯამებელი კოდი შესაძლოა იყოს შემდეგი ფრაზა: კოლმეურნეობა, როგორც სამშობლოს სამსახურში ყოფნის მაგალითი. წინა პლაკატების მსგავსად, ამ პლაკატზე გამოსახულია ახალგაზრდა, ენერგიული ქალი, რომელიც დანარჩენებს მოუწოდებს იყვნენ შრომისმოყვარეები. როგორც წინა პლაკატებზე, ამ შემთხვევაშიც ქალის ჩაცმულობა სტანდარტულია და არაფრით გამორჩეული. ნაკლებად არის გამოკვეთილი ქალის ფორმები. თუმცა, აშკარაა, რომ პირველ შემთხვევაში ქალს ქვედაბოლო აცვია, ისევე როგორც მეორე შემთხვევაში. მესამე პოსტერზე არ ჩანს დაზუსტებით რა აცვია ქალს.

აღნიშნულ პლაკატზე (იხ. დანართი - სურ. 6.) მართალია პირდაპირ მშრომელი ქალი არ არის გამოსახული, მაგრამ ბევრი ასპექტით მნიშვნელოვანია და ამიტომ, საჭიროდ ჩავთვალეთ კვლევის ნაწილში მისი გამოყენება. პლაკატის ავტორები არიან

ვატოლინა, ნ. და დენისოვი, ნ. პლაკატი შეიქმნა 1941 წელს, თბილისის სახელგამში. პლაკატზე წარწერა ქართულ ენაზეა შესრულებული, ხოლო პლაკატის ტირაჟი 5000 იყო. პლაკატზე არ არის ინფორმაცია პლაკატის ზომის შესახებ, შინაარსის მიხედვით კი პლაკატი პოლიტიკურ-აგიტაციურ ჟანრს მიუკუთვნება. პლაკატის მთავარი ფიგურა წითელთავსაბურავიანი ახალგაზრდა ქალია. მკაცრი გამომეტყველებით ის მნახველს მიანიშნებს, რომ ლაპარაკის დრო არ არის და ჩუმად ყოფნას ითხოვს. პლაკატს ორი წარწერა აქვს, პირველი დიდი, წითელი ასოებით შესრულებულია პლაკატის ქვედა ნაწილში: „ნუ ლაყბობ!“. ამ შემთხვევაში საინტერესოა, რომ პლაკატის ავტორი იყენებს ზმნას „ლაყბობა“. რაც ქართულ ენაში უაზრო და უმიზნო ლაპარაკს ნიშნავს. სულხან-საბა ორბელიანის განმარტების მიხედვით „ლაყაფი“ განმარტებულია როგორც „ცუდმოუბარი“[394]. მოწოდებას ბრძანების ფორმა აქვს და ამკვიდრებს განწყობას, რომ ახლა არ არის ბევრი ლაპარაკის დრო. არც ერთ საბჭოთა მოქალაქეს არ აქვს ლაყბობის დრო. კიდევ უფრო ბევრის მთქმელია მეორე წარწერა: „იყავ ფხიზელი, შეუდრეკელი, იცოდე, გისმენს თვით ყრუ კედელიც, თავაღებული ლაყბობა, ჭორი, ღალატისაგან არ არის შორი.“ ამ პასაჟში ძალიან კარგად ჩანს ნიშნები, რომელიც ახასიათებს ტოტალიტარულ სახელმწიფოს.

ზბიგნევ ბჟეზინსკი, პოლონელ-ამერიკელი დიპლომატი და პოლიტოლოგი ტოტალიტარიზმის მახასიათებლებზე საუბრისას აღნიშნავს, რომ ტოტალიტარულ სახელმწიფოსთვის დამახასიათებელია გაბატონებული იდეოლოგია, პარტია, რომელსაც ერთი კაცი ხელმძღვანელობს, პოლიციური კონტროლი, კომუნიკაციის მონოპოლია, ეკონომიკის მართვა სახელმწიფოს მიერ[395]. ამ შემთხვევაში ამ პლაკატის მიხედვით განსაკუთრებით კარგად ჩანს კომუნიკაციის კონტროლი. სახელმწიფო აფრთხილებს მოსახლეობას, რომ მოსმენა დამკვიდრებულია ფორმაა და ყრუ კედელიც კი შეიძლება გისმენდეს. ქართულ ენაში დამკვიდრებულია იდიომა: კედლებსაც ყურები აქვთ, რაც საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის კარგი ილუსტრაციაა. ამდენად, მოქალაქეს მოეთხოვება იყოს ფრთხილად, რადგან შესაძლოა მას უსმენდნენ. სწორედ ამიტომ, ავტორს მიაჩნია, რომ ყველამ უნდა

---

[394] **სულხან-საბა ორბელიანი**, *სიტყვის კონა*, რედ. რევაზ დანელია (თბილისი: გამომცემლობა „ეგრისი,“ 1993), 212..

[395] **Carl Friedrich and Zbigniew Brzezinski,** *Totalitarian Dictatorship and Autocracy* (Cambridge, MA: Harvard University Press, 1965), 4.

მოუკლოს ლაპარაკს, ლაყბობას. კიდევ უფრო მძაფრდება პათოსი მეორე წინადადებაში, ლაყბობა და ჭორი უახლოვდება ღალატს. ამ ნაწილში კარგად ჩანს სახელმწიფოს დამოკიდებულება საკუთარი მოქალაქეებისადმი, მათ უნდა იცოდნენ, რომ ჭორაობა შესაძლოა ღალატად გადაკვალიფიცირდეს. ეს არ არის გაზვიადებული იდეა, საბჭოთა კავშირის ისტორიაში ამის დამადასტურებელი ბევრი მაგალითია. მაგალითისთვის, გავიხსენოთ ევგენი მიქელაძე, რომელიც დასმენის საფუძველზე დახვრიტეს. კიდევ ერთ დეტალზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება, პლაკატის ავტორმა ეს სიტყვები მდედრობითი სქესის წარმომადგენელს ათქმევინა. სავარაუდოა, რომ ეს ამძაფრებს დამკვიდრებულ სტერეოტიპს, რომლის მიხედვით, ქალები უფრო მეტად არიან ჭორაობის და ლაყბობის მოყვარულნი, ვიდრე მამაკაცები.

ასევე, აღნიშნული პლაკატი არაპირდაპირ უკავშირდება მიმდინარე ომს. საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანა მიიჩნევს, რომ თუ ყველა „ლაყბობას მიეცემა“ ეს გამოიწვევს დროის და რესურსის დანაკარგს, რაც ასე მნიშვნელოვანია ომში ჩართული ქვეყნისთვის და არაერთხელ გამოჩნდა სხვა პლაკატების ანალიზისას. ღალატის განსაზღვრება საბჭოთა კავშირში არ არსებობდა, მაგრამ ღალატის ყველაზე მძიმე ფორმად სამშობლოს ღალატი ითვლებოდა. შესაბამისად, ის ვინც ლაყბობს, სამშობლოს არ ეხმარება - შესაძლოა, ამ შემაჯამებელ კოდამდე დავიყვანოთ პლაკატის მთავარი სათქმელი. რაც შეეხება პლაკატზე გამოსახულ ქალს, განსხვავებით მანამდე აღწერილი პლაკატებისა, ამ პლაკატზე გამოსახულია მკაცრი გარეგნობის, შუა ხნის ქალი. პლაკატის და წარწერის შეჯერებისას აშკარაა, რომ ქალი გაბრაზებულიც კი არის. თუმცა, ქალს თავსაფარი უკეთია, რაც ხაზს უსვამს მის ქალურობას, ფემინურობას.

§ 5.3. დედის არქეტიპული სახე

საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკა ოჯახისა და სქესთა შორის ურთიერთობების შესახებ ორაზროვანი და ბუნდოვანი იყო, 1930-1940-იან წლებში. ბოლშევიკებს, ერთი მხრივ, სურდათ, თავი გაეწირათ რევოლუციისთვის და, მეორე მხრივ,

გათავისუფლებულიყვნენ „ბურჟუაზიული ქცევის ნორმებისგან“.[396] საბჭოთა იდეოლოგია ქალთა ემანსიპაციის თაობაზე საუბრობდა ჯერ კიდევ 1920-იან და 1930-იან წლებში. ამას შედეგად მოჰყვა ქალთა ნაკადის ჩართვა სამუშაო სივრცეში. საბჭოთა პროპაგანდა 1930-იანი წლების მეორე ნახევარში დაუბრუნდა ტრადიციული ოჯახის კონცეპტს. [397] როგორც აღვნიშნეთ, 1936 წელს რადიკალური შემობრუნება მოხდა საბჭოთა საშინაო პოლიტიკაში: ლიბერალური საოჯახო კანონები გაუქმდა, ხოლო აბორტი კანონგარეშედ გამოცხადდა. ამის პარალელურად ძლიერდება დედის ინსტიტუტი. დედობა იქცა საჯარო აქტად და ეროვნული საქმის ტოლფასი გახდა. დედობა ნიშნავდა მომავალი თაობის რეპროდუქციას, რაც მომავალში „დაიცავდა სამშობლოს აგრესიისგან“[398].

ე.წ. „დიდი სამამულო ომის“ პერიოდში სახელმწიფოს რიტორიკა გამძაფრდა და კიდევ უფრო მეტი ზეწოლა გაჩნდა ქალებზე, როგორც მომავალი თაობის რეპროდუქტოლოგებზე. დიდი ოჯახების წახალისების მიზნით, სახელმწიფომ დააწესა გარკვეული წამახალისებელი ჯილდოები. „დედობის მედალი“ მათთვის ვისაც 5 ან 6 შვილი ჰყავდათ. „დიდება დედას“ მედალი - 7-9 შვილის დედას, „გმირი დედა“ - 10 და მეტი შვილის დედას.[399] შესაბამისად, ომის წლებში განსაკუთრებით გაიზარდა დედის, როგორც მისაბაძი პერსონის როლი. საბჭოთა პროპაგანდა ამკვიდრებდა მესიჯებს, რომლის მიხედვით, ქალებს რაც შეიძლება მეტი შვილი უნდა გაეჩინათ და რომ ეს „საქმე“ სამშობლოს სჭირდებოდა. დედები უნდა ყოფილიყვნენ მისაბაძი მაგალითი, მათ ერთნაირი წარმატებით უნდა აღეზარდათ შვილები, ჰქონოდათ სამსახური და შეესრულებინათ საზოგადოებისთვის საჭირო საქმე. საბჭოთა პროპაგანდის მიხედვით, რადგან გამრავლება იყო საზოგადო აქტი და ვალდებულება, შესაბამისად ფეხმძიმე ქალის კეთილდღეობაც იყო საჯარო საქმე.[400] ამდენად, ქალის იდენტობა და ინდივიდუალურობა 1930-იან 1940-იან წლებში არ

[396] **Boobbyer**, *The Stalin Era*, 153.
[397] **Michael Paul Sacks,** *Women's Work in Soviet Russia: Continuity in the Midst of Change* (New York: Praeger, 1976), 31.
[398] **Ilic**, *Women in the Stalin Era*, 20.
[399] **Ilic**, *Women in the Stalin Era*, 21.
[400] **Ilic**, *Women in the Stalin Era*, 60.

განისაზღვრებოდა დამოუკიდებლად, ქალის სტატუსის შეფასება ხდებოდა, მისი როგორც ცოლის და დედის ფუნქციის მიხედვით.[401]

ომის დაწყების შემდგომ, დედის არქეტიპულმა სახემ დამატებითი ღირებულება შეიძინა. დედა სიმბოლურად გაუთანაბრდა სამშობლოს. შესაბამისად, სამშობლოს დასაცავად თავის გაწირვა გაუტოლდა საკუთარი დედის გადარჩენას და პირიქით, ფრონტზე წასვლა და თავის გაწირვა ნიშნავდა საკუთარი ოჯახის გადარჩენისთვის ბრძოლას. საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანის დასაყრდენი იყო საბჭოთა პრესა, რომელიც ხელს უწყობდა საბჭოთა დედის იდეალის შექმნას. 1943 წლის აპრილში, „პრავდაში" გამოქვეყნდა სტატია და დაამკვიდრა ტერმინი „ფრონტის ჯარისკაცების დედა", რაც თავის თავში გულისხმობდა, როგორც მდედრობითი, ისე მამრობითი სქესის მებრძოლების დედას[402]. ტერმინის დამკვიდრების მიზანი იყო დედის იდეალის გამყარება და მისთვის დამატებითი პასუხისმგებლობის დაკისრება.

აქვე, საინტერესოა, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს დედის არქეტიპული სახის განსხვავებული ინტერპრეტაციები შემოდის საბჭოთა პოლიტიკურ პლაკატებზე. ზოგიერთ შემთხვევაში პლაკატებზე ხატავდნენ მოხუც, თმაშევერცხლილ ქალებს, რომლებიც ასაკში იყვნენ და შესაბამისად, მნახველში ისინი უფრო მეტად აძლიერებდნენ ემპათიას, ამ ტიპის არქეტიპულ სახეს მარტივად შეეძლო სიბრალულის აღძვრა მნახველში, ხოლო მებრძოლებში კი ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას იწვევდა. თითოეულ ჯარისკაცს ჰქონდა განცდა, რომ ბრძოლის წარმატებით დასრულება საკუთარი დედების გადარჩენას უთანაბრდებოდა. ამის პარალელურად საბჭოთა პროპაგანდისტული მიდგომის საფუძველზე პლაკატებზე გამოხატავდნენ შუა ხნის, ენერგიულ დედებს, რომლებიც მაგალითი უნდა ყოფილიყვნენ დანარჩენი ქალებისთვის. ისინი, მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. სუსტი სქესის წარმომადგენლები იყვნენ, შექმნილი გამოუვალი მდგომარეობის დროს მზად იყვნენ ებრძოლათ და თავი გაეწირათ საჭიროების შემთხვევაში. ეს იყო საპროგრამო პლაკატები უბრალო საბჭოთა მოქალაქეებისთვის, მათ უნდა გაეცნობიერებინათ, რომ მიუხედავად „ქალური სისუსტეებისა" ომით შექმნილი ვითარება განსაკუთრებული

[401] **Ilic**, *Women in the Stalin Era*, 229.
[402] **Krylova**, *Soviet Women in Combat*, 225.

იყო და მათგან მოითხოვდა თავგანწირვას, პიროვნულ ცვლილებას და ფიზიკურ მზადყოფნას „სამშობლოს გადასარჩენად“.

ცალკე განხილვის საგანია მეთოდისტური პლაკატები, რომელთა შორის კვლევის დროს გამოვარჩიეთ სამი პლაკატი, რომელიც მიზნად ისახავს აუდიტორიას მიაწოდოს ინფორმაცია ბავშვის აღზრდის თაობაზე. მართალია, კონკრეტულად დედა ყველა მეთოდურ პლაკატში არ გვხვდება, მაგრამ ბავშვის მოვლა-ზრუნვის საკითხზე პასუხისმგებელ პირად მდედრობითი სქესის წარმომადგენლები არიან მიჩნეულნი.

შესაბამისად, კვლევის ამ ნაწილში დამუშავდა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის არქივში დაცული პლაკატები, რომლებზეც გამოსახული არიან დედები. პლაკატები დაჯგუფდა, დამუშავდა შემაჯამებელი კოდის დედა, როგორც სამშობლოს სიმბოლო, დედა როგორც მებრძოლი, დედა როგორც მსხვერპლი და დედა, როგორც ბავშვების აღმზრდელი - მიხედვით. კვლევაში წარმოდგენილია რამდენიმე პლაკატი, რომელიც ყველაზე კარგად გამოხატავს 1. დედის სახეს, რომელიც ჩამოყალიბდა ომის პერიოდში 2. დედის ყოველდღიურ ცხოვრებას ომის დროს. ამ ნაწილში ვიმსჯელებთ დედის სახეზე, რომელიც გვხვდება საბჭოთა ქართულ პოლიტიკურ პლაკატებზე 1941-1945 წლებში, ამასთან, გავაანალიზებთ მეთოდისტურ პლაკატებს, რომელთა მთავარ აუდიტორიას წარმოადგენდნენ ქალები/დედები. ისინი დამატებით ინფორმაციას გვაწვდიან ქალთა ყოველდღიური საქმიანობის და ბავშვთა აღზრდის დამკვიდრებული ნორმების შესახებ.[403]

საბჭოთა საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკაში ყველაზე ცნობილი პოლიტიკური პლაკატი, რომელზეც დედის სახის იკონოგრაფიულ გამოსახულებას ვხედავთ, არის ქართველი მხატვრის, ფერმწერისა და გრაფიკოსის ირაკლი თოიძის 1941 წელს შექმნილი პლაკატი „დედა-სამშობლო გვეძახის“. პლაკატი თბილისის სახელმწიფო გამომცემლობამ 3000-იანი ტირაჟით დაბეჭდა. მეორე მსოფლიო ომის საბჭოთა პლაკატებს შორის „დედა სამშობლო გვეძახის“ ყველაზე ცნობილი პლაკატი

[403]იხ. დანართი 7.

გახდა, ის საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკაში ერთნაირი წარმატებით გამოიცა. პლაკატის ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს შუა ხნის, ენერგიული, მკაცრი გარეგნობის ქალი, რომელიც წითლებშია ჩაცმული. როგორც უკვე აღვნიშნეთ, წითელი რელიგიურ ფერად მიიჩნეოდა და ხატებთან, რელიგიასთან ასოცირდებოდა. ბოლშევიკების აზრით კი, წითელი ფერი ადამიანის ან საგნის განსაკუთრებულობას უსვამდა ხაზს.[404] ქალს მარცხენა ხელში სამხედრო ფიცი უჭირავს, რომლის მიხედვით მოქალაქე თანახმაა თავი გასწიროს საკუთარი სამშობლოს გადასარჩენად, ხოლო ფიცის დარღვევის შემთხვევაში საბჭოთა სახელმწიფოსგან მკაცრი სასჯელის მოლოდინი აქვს. ქალს მარჯვენა ხელი აღმართული აქვს, მოწოდების ნიშნად. უკანა ფონზე კი ვხედავთ შემართულ იარაღსა და ხიშტებს, რომლებიც სიმბოლურად ერთიანობის განცდას იწვევს და საბრძოლო განწყობის მანიშნებელია. საგულისხმოა წარწერა: "დედა-სამშობლო გვეძახის," რომელიც პირდაპირი მოწოდებაა მნახველისადმი. ამ პლაკატმა საბჭოთა სოციალისტური ქვეყნები მოიარა და აღიარებულ იქნა ერთ-ერთ წარმატებულ პლაკატად.[405] განსხვავებით სხვა საბჭოთა პლაკატებისგან, ამ პლაკატზე ვხედავთ ძლიერ ქალს, რომელსაც არ ეშინია ომის და სულაც არ წარმოადგენს ე.წ. „სუსტ სქესს". ასევე, რაც ყველაზე მთავარია, ამ პლაკატზე გამოსახული ქალის ფიგურა წარმოადგენს სამშობლოს სიმბოლოს. ასეთი შეუდრეკელი და ძლიერია სამშობლო, თუ მის დამცველად თავგანწირული მებრძოლები დგანან - ეს პლაკატის ძირითადი სათქმელია. ამდენად, პლაკატის შემაჯამებელი კოდი შესაძლოა იყოს შემდეგი - დედა სამშობლოა და სამშობლო დედაა, მისთვის თავგანწირვა კი ყველასთვის სავალდებულოა. პლაკატზე გამოსახული დედის დახასიათებისას უნდა აღინიშნოს, რომ ის არის ფიზიკურად და სულიერად ძლიერი, გამბედავი, ენერგიული და ბრძოლისუნარიანი ქალი, რომელსაც არ ეშინია და მზად არის საკუთარი სიცოცხლის ფასად სამშობლოს კეთილდღეობაზე იზრუნოს.

---

[404] **Bonnell**, *Iconography of Power,* 106.

[405] **მარიამ გაჩეჩილაძე,** „1958 წელს მოსკოვში ჩატარებული ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის აფიშები და მათი როლი ქართული სარეკლამო ხელოვნების შემდგომ განვითარებაში," *ქართული ხელოვნება,* https://www.georgianart.ge/index.php/ka/2010-12-03-16-25-41/178-1958-.html [ბოლო ვიზიტი 09/10/2024].

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, საბჭოთა პროპაგანდა ქალების ურთიერთსაწინააღმდეგო და განსხვავებულ სახეებს ამკვიდრებდა. ძლიერი და ენერგიული დედის ხატის გვერდით ჩნდება მოხუცი, მსხვერპლის როლში მყოფი დედის სახე. ამ ტიპის განსხვავებულ ილუსტრაციას ვხვდებით 1942 წელს ფ. ანტონოვის მიერ შექმნილ პლაკატზე (იხ. დანართი - სურ. 8). ეს პლაკატი პირდაპირ ასახავს ომის მიმდინარეობას, პლაკატი აგიტაციური ხასიათისაა. პლაკატის ცენტრალური ფიგურა მოხუცებული, თეთრთმიანი დედაა, რომელიც შეწუხებულია და მნახველში ტოვებს განცდას, რომ ის არის დაუცველიც და მნახველისგან ითხოვს შველას. მას მარჯვენა ხელში პატარა შეკვრა უჭირავს, ხოლო მის უკან ვხედავთ ალმოდებულ სოფელს/ქალაქს. ჩნდება განცდა, რომ ქალი გაურბის „ფაშისტების“ მიერ გადამწვარ დასახლებას, რომელსაც, სავარაუდოდ, მისი სახლიც შეეწირა. თუმცა, მხოლოდ ნახატი არ არის საკმარისი პლაკატის დედააზრის სრულყოფილად გასაგებად. მეტის მთქმელია პლაკატის წარწერა: „ჩემო შვილო, შენ ხედავ ჩემს ხვედრს... გაანადგურე ფაშისტები წმინდა ბრძოლაში.“ წარწერის და ნახატის ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ მოხუც დედას ფაშისტებმა სახლ-კარი გადაუწვეს და ღია ცის ქვეშ დატოვეს ერთი ფუთის ამარა. სავარაუდოა, რომ მან გამოქცევა შეძლო და საკუთარ სამშობლოში დევნილად იქცა. სწორედ ეს უნდა იგულისხმებოდეს წარწერის პირველ ნაწილში, რომელშიც ქალი საუბრობს თავის ხვედრზე, ბედზე. ხოლო წარწერის მეორე ნაწილი, პირდაპირი მოწოდებაა, რომელიც მიემართება შვილს, ისე ყველა საბჭოთა მოქალაქეს: „გაანადგურე ფაშისტები წმინდა ბრძოლაში“. - ეს სიტყვები მიგვანიშნებს, რომ ე.წ. „დიდი სამამულო ომი“ არის წმინდა ომი, რომელშიც გადაწყდება ქვეყნის გადარჩენის საკითხი. საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანა, ამ აზრს ამკვიდრებდა სახელმწიფოს არსებობის მანძილზე. საგულისხმოა სიტყვები, რომლებსაც იყენებს პლაკატის ავტორი „წმინდა ომი“, „ხვედრი“ და „ფაშისტები“. სამივე სიტყვა კარგად ნაცნობია საბჭოთა საზოგადოებისთვის. მათთვის გასაგები უნდა იყოს, რომ ეს არ არის უბრალოდ ომი და ეს არის „წმინდა ომი“, რომელიც სიკვდილიც დიდების მომტანია. ამ სიტყვებს, ყველაზე ძვირფას არსებას, დედას ათქმევინებს ავტორი და მიანიშნებს, რომ „წმინდა ომში“ გადარჩენა უდრის დედის გადარჩენასაც. პლაკატი შესრულებულია ლურჯი ფერის სხვადასხვა ტონალობაში. მნახველის ყურადღებას იქცევს მუქ ფონზე მოხუცი ქალის ჭაღარა თმა

და თეთრი, სიბერისგან დაუძლურებული ხელები, რომელიც კიდევ უფრო მეტად გამოკვეთილია. პლაკატის შემაჯამებელი კოდი შესაძლებელია ასე ფორმულირდეს: მოხუცი დედები, რომლებიც ფაშისტებმა გასწირეს, სამართლიან პასუხს ითხოვენ.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანა გარდა პოლიტიკური პლაკატებისა მეთოდისტურ პლაკატებსაც ქმნიდა. ჩვენი ყურადღების ცენტრში ამჯერად მეთოდისტური პლაკატები უნდა მოვაქციოთ. (იხ. დანართი - სურ. 9 სურ. 10 სურ. 11) პირველი ორი პლაკატი 1941 წელს შეიქმნა საქართველოს ჯანსახკომის სანგანათლების განყოფილებაში, 2000-იანი ტირაჟით. პლაკატი მეთოდისტური ხასიათისაა და მისი მიზანია მნახველს მიაწოდოს ინფორმაცია ახალშობილის სწორად მოვლასთან დაკავშირებით. მე-9 სურათზე ვხედავთ ქალს, სავარაუდოდ, დედას, რომელიც ჩვილს აბანავებს. იმ დროისთვის დამკვიდრებული სამედიცინო გამოცდილების მიხედვით, პლაკატის ავტორი მოუწოდებს დედებს, რომ ბავშვი პირველად აბანაონ მხოლოდ იმის შემდეგ, როცა მოეცლება ჭიპლარი. ასევე, პლაკატი აზუსტებს დეტალებს, როგორი წყლით არის რეკომენდებული ბავშვის დაბანა და სხვ. რაც შეეხება მე-10 სურათს, ამ პლაკატის მიხედვით, მნახველი იღებს ზოგად რეკომენდაციებს ბავშვის დაბანისა და გასუფთავების შესახებ. ორივე პლაკატი შექმნილია 1941 წელს, გამომცემლობა „საქმედგამის“ რედაქციის მიერ. რაც შეეხება, მე-11 ფოტოს, 1940 წელს შექმნილი ტ. ერიომინას მიერ შინაარსობრივად განსხვავდება პირველი ორი პლაკატისგან და აგიტაციური პლაკატის კატეგორიაში გადის. პლაკატი მოსკოვ-ლენინგრადის გამომცემლობის მიერ დაიბეჭდა, პლაკატის ფორმატია 62/94, ხოლო ტირაჟი - 750 ცალი. პლაკატი საკმაოდ დიდი ზომისაა, თუმცა ტირაჟი ბევრად ჩამორჩება სხვა განხილული პლაკატების ტირაჟს. ეს შეიძლება აიხსნას სამიზნე აუდიტორიის სიმცირით - პლაკატის აუდიტორიას ძირითადად ქალები წარმოადგენენ. ასევე, აშკარაა, რომ ომის თემატიკაზე შექმნილი პლაკატები ბევრად დიდი ტირაჟით იბეჭდებოდა. პლაკატის სათაურიდანვე ირკვევა მისი მთავარი მიზანი: “საბავშვო ბაღებისა და ბაგების სანიმუშო მუშაობით დავეხმაროთ ახალგაზრდა მუშა-ქალ დედების სწავლებას, ზრდასა და დაწინაურებას“. პლაკატზე ვხედავთ ახალგაზრდა ქალს, მცირეწლოვან შვილთან ერთად და მეორე ქალს, სავარაუდოდ, ბაგა-ბაღის თანამშრომელს, რომელიც თეთრ ხალათშია გამოწყობილი და მზად არის ბავშვი ჩაიბაროს. სიმპტომატურია, რომ დედის უკან ვხედავთ

ქალაქის ცხოვრებას: მოქალაქეებს, მიმავალ მატარებელს და ა.შ. რაც სოციალური ცხოვრების სიმბოლური ასახვაა, ხოლო აღმზრდელი ქალის უკან ჩანს საბავშვო ბაღი, რომელშიც ბავშვები იღებენ სკოლამდელ განათლებას, ბავშვების უმეტესობა თამაშობს, თუმცა, ასევე, ვხედავთ ქალს, რომელიც ბავშვს უკითხავს წიგნს. მთლიანობაში პლაკატის მიზანი გასაგებია, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, საბჭოთა სახელმწიფო პოლიტიკა საკმარისად არ მიიჩნევდა ქალებისთვის მხოლოდ დედის როლის მორგებას. სანიმუშო დედობასთან ერთად, მათ უნდა ჰქონოდათ სამსახური და საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმეები შეესრულებინათ. სწორედ ამ მიზნით დაიწყო 1920-იან წლებში პირველი ბაგა-ბაღების დაარსება. თუმცა საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ქალების შრომის შემსუბუქება, მოიაზრებოდა ისევ ქალების შრომის ხარჯზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, მარქსისტ თეორიტიკოს ბებელსაც ასე წარმოედგინა - ქალების გათავისუფლება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ ქალების დახმარებით[406]. სწორედ ამით აიხსნება, რომ არც ერთ პლაკატზე, რომელიც ბავშვის მოვლას, ზრუნვას და ა.შ. ეხება, მამრობითი სქესის წარმომადგენელს ვერ ვხედავთ. ამდენად, პლაკატების მიზანია ერთი, მიაწოდოს კონკრეტული რეკომენდაცია დედებს და მეორე, კიდევ ერთხელ განსაზღვროს ქალის როლი საზოგადოებაში - როგორც დედის და როგორც დედების დამხმარის. რაც შეეხება პლაკატების კომპოზიციას, პირველი და მეორე პლაკატი ნაკლებად დატვირთულია, ფონად მიყვება ღია კრემისფერი. პლაკატზე გამოსახულ პირებს აცვიათ სადა, მათი პოზიციის შესაფერისი ტანსაცმელი. რაც შეეხება მესამე პლაკატს, ის ყველაზე მეტად დატვირთული კომპოზიციისაა, ცენტრალურ ფიგურებს წარმოადგენენ დედა, ბავშვი და აღმზრდელი, ხოლო პლაკატს უკანა ფონად გასდევს, ერთი მხრივ, ქალაქური ცხოვრებისთვის დამახასიათებელი ყოფა: ტრამვაი, ხიდები, მაღალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, ხალხმრავალი ქუჩები და ა.შ. მეორე მხრივ, პლაკატზე ვხედავთ საბავშვო ბაღს, რომელიც აჩენს განცდას, რომ აქ უსაფრთხო გარემოა შექმნილი ბავშვის დასატოვებლად. პლაკატზე ჩანს აღმზრდელი, რომელიც ბავშვს წიგნს უკითხავს, ბავშვები, რომლებსაც მრავალნაირი სათამაშოები აქვთ და სხვ. რაც მნახველში სიმშვიდის და ჯანსაღი გარემოს განცდას აჩენს.

[406] **August Bebel,** *Woman under Socialism* (e-book; 2009), 227..

აღნიშნული პლაკატების შემაჯამებელი კოდი ასე განისაზღვრება: მომავალ თაობაზე ზრუნვა ქალების პასუხისმგებლობაა. აღსანიშნავია, რომ სამივე პლაკატი ომის პერიოდშია შექმნილი. თუმცა კი ომის გავლენა არ იგრძნობა მათზე. რაც მიანიშნებს, რომ მიუხედავად ომით გამოწვეული სირთულეებისა სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკა დემოგრაფიული საკითხის, ბავშვების მოვლისა და აღზრდის შესახებ 1930-იან წლებში დაწყებულ ტენდენციებს მიჰყვება. ხოლო ომის დროს მამაკაცების ფრონტზე მასობრივად გაწვევამ, ქალების დატვირთვა ბავშვთა მოვლისა და აღზრდის მიმართულებით გააორმაგა.

შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ დედის არქეტიპულ სახეს მეორე მსოფლიო ომის დროს ჩამოყალიბებულ ქალთა სახეებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. დედის იდეალი რამდენიმე არქეტიპული სახით გვხვდება. ესენია: დედა, როგორც სამშობლოს სიმბოლო, დედა, როგორც მებრძოლი, დედა, როგორც მსხვერპლი და დედა, როგორც შვილების აღმზრდელი და მათზე მზრუნველი. მიუხედავად მათი ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათისა, საბჭოთა იდეოლოგია თანაბარი წარმატებით ამკვიდრებდა ამ როლურ სახეებს საბჭოთა იკონოგრაფიაში.

§ 5.4. ქალი მსხვერპლი

საბჭოთა სახელმწიფო პოლიტიკა 1920-იანი წლებიდან მიმართული იყო ახალი ტიპის ქალების ჩამოყალიბებისკენ, რომლებსაც სოციალიზმის შექმნის ვალდებულება გააზრებული ექნებოდათ. ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ ქალებიც. ბარბარა ევანს კლემენტმა, აკრონის (აშშ) უნივერსიტეტის ემერიტუსმა პროფესორმა, თავის წიგნში „ბოლშევიკი ქალები“ დაამკვიდრა ტერმინი „ბოლშევიჩკი[407]“ - ქალი ბოლშევიკები. ავტორი ასე უწოდებს იმ ქალ ბოლშევიკებს, რომლებიც იბრძოდნენ ქალთა უფლებებისთვის სსრკ-ში 1920-იან წლებში. ის ამ ქალებს ორ ნაწილად ჰყოფს: ისინი, ვინც 1917 წლის რევოლუციამდე შეუერთდნენ

[407] **Clements**, *Bolshevik Women*, 14.

მოძრაობას და ისინი, რომლებიც 1917-1921 წლებში შეუერთდნენ მოძრაობას[408]. კლემენტი წერს, რომ „ბოლშევიჩკების“ დასახასიათებლად იყენებდნენ რუსულ სიტყვას „Твёрдая“, რაც ნიშნავს მოუდრეკელს. ამ ქალების იდენტობის დასახასიათებლად იყენებდნენ სიტყვებს: რაციონალური, არასენტიმენტალური და სხვ. ასეთ ქალს შეეძლო თავი გაეწირა მიზნისთვის. უპირველესად კი ასეთი ქალი რევოლუციური მოძრაობის მეთაურს უნდა დამორჩილებოდა. შეიძლება ითქვას, რომ „ბოლშევიჩკების“ კოლექტიური იდენტობა მოითხოვდა ქალებისგან მსხვერპლშეწირვას - მათ უნდა დაეთმოთ საკუთარი ფემინურობა და საკუთარ თავში წინ წამოეწიათ ხასიათის სიმტკიცე. მიიჩნეოდა, რომ ბუნებრივად ქალები სუსტები და ფემინურები იყვნენ, იმისთვის რომ „ბოლშევიჩკების“ იდენტობა შეეძინათ, ქალებს უნდა დაეთმოთ შინაგანი სისუსტე და მტკიცე ხასიათი გამოევლინათ. სწორედ ამ მახასიათებლებით უნდა ყოფილიყო „აღჭურვილი“ საბჭოთა ქალი ე.წ. „დიდი სამამულო ომის“ დროს.

საბჭოთა სახელმწიფო პოლიტიკა ე.წ. „დიდი სამამულო ომის“ დაწყების შემდგომ შეიცვალა, საბჭოთა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ქალები საჭიროების შემთხვევაში ჩართულიყვნენ ბრძოლაში. ზოგიერთ შემთხვევაში ეს იყო უშუალოდ ფრონტის ხაზზე ბრძოლა, ზოგჯერ გულისხმობდა დამხმარის როლს ფრონტზე - მედდის, მზარეულის და ა.შ. სახით. ასევე, მნიშვნელოვანი იყო ქალების როლი, რომლებიც ფრონტის მიღმა რჩებოდნენ - მათ „სახლის ჯარისკაცების“ როლი უნდა შეესრულებინათ, ეზრუნათ ოჯახზე და შეეთავსებინათ, როგორც ქალების, ისე მამაკაცების როლი. ამის მიხედვით, გაზეთი ”პრავდა“ სთავაზობდა თავის მკითხველს საბჭოთა ქალის განსხვავებულ სახეებს: მებრძოლი ქალიდან დაწყებული, ქალი-მსხვერპლით დამთავრებული. 1943 წელს “კომსომოლსკაია პრავდა” გამოშვებაში წერდა 6 გმირ ქალზე, რომლებიც ომში მონაწილეობდნენ. ესენი იყვნენ: ზოია კოსმოდემიანსკაია, ელიზავეტა ჩაიკინა, ანტონინა პეტროვა და წითელი არმიის ჯარისკაცი, მარია ოილივანოვა, ნატალია კოვშოვა და სერჟანტი მარია ბაიდა.[409] სტატია განასხვავებდა ქალებს, რომლებიც „მოწამეობრივად აღესრულნენ“ ფრონტის მიღმა და ქალებს, რომლებიც ფრონტზე იბრძოდნენ. ორივე ქმედება სახელმწიფოსგან

[408] **Clements**, *Bolshevik Women*, 14.
[409] **Krylova**, *Soviet Women in Combat*, 218.

მოწონებული იყო, მაგრამ ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული. ამ პერიოდში საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანის დამსახურებით, ზოია კოსმოდემიანსკაია გახდა ქალი-მსხვერპლის სიმბოლო, რომელიც ეწამა და თავი შესწირა მტერს, სამაგიეროდ, სხვებს მაგალითი მისცა[410]. 1942 წლის 27 იანვარს „პრავდაში“ მასზე ვრცელი სტატია დაიბეჭდა. ეს სტატია ზოიას ტრადიციულ გენდერულ პარადიგმაში ათავსებს[411], რომლის მიხედვით ქალი მზად არის, თავი გასწიროს და იყოს მსხვერპლის როლში, ხოლო მამაკაცის გენდერული როლი გულისხმობს დომინანტობას, აგრესიულობას, ლიდერობას და სიძლიერეს პატრიარქატის შენარჩუნების მიზნით[412]. „პრავდაში“ დაბეჭდილი სტატიის მიხედვით, 18 წლის ზოია გერმანელების მიერ ოკუპირებულ სოფელ პეტრიშჩევოში ცხოვრობდა, როდესაც გერმანელების დასჯის მიზნით, ამუნიციით სავსე სახლი ააფეთქა. გერმანელებმა ის დაიჭირეს და 2 დღის განმავლობაში აწამებდნენ, სცემდნენ, ატარებდნენ ფეხშიშველს თოვლში[413]. ჟურნალისტი პიოტრ ლიდოვი წერდა, რომ ზოია არის მსხვერპლი, რომელიც ებრძოდა მტერს მეტაფორულად, მას ფიზიკურად არ უბრძოლია, მაგრამ საკუთარი სიკვდილით და თავგანწირვით შთააგონა სხვა ქალები და მამაკაცები, რომ შური ეძიათ მისი სიკვდილის გამო. პიოტრის აზრით, ზოია არის ქალი მოწამე, რომელმაც თავისი სიკვდილით ქვეყანას გამარჯვების საშუალება მისცა[414]. ზოია კოსმოდემიანსკაია ქალი-მსხვერპლის და წამებულის არქეტიპული სახის კარგი მაგალითია. ლიდოვის სტატიის შემდგომ საბჭოთა ლიტერატურაში შეიქმნა მოთხრობები, ლექსები ზოიას გმირობაზე, რამაც კიდევ უფრო გაამყარა ლეგენდა.

მეორე მსოფლიო ომის დროს, საბჭოთა პროპაგანდა წარმატებით ამკვიდრებს ქალი-მსხვერპლის არქეტიპულ სახეს. იგი ჩუმად, მოთმინების ხარჯზე ახერხებს მტერთან გამკლავებას. საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანის მიხედვით, მართალია, მას

---

[410] **Adrienne, Harris,** *The Myth of the Woman Warrior and World War II in Soviet Culture* (PhD diss., University of Kansas, 2008), 121.

[411] **D. G. Dutton and T. L. Nicholls**, "The Gender Paradigm in Domestic Violence Research and Theory: Part 1—The Conflict of Theory and Data," *Aggression and Violent Behavior* 10, no. 6 (2005): 680–714, https://doi.org/10.1016/j.avb.2005.02.001.

[412] **Dutton and Nicholls,** "The Gender Paradigm in Domestic Violence," 680–714.

[413] **П. Лидов,** “Таня”, *Правда*, 27 января 1942 г.; С. Любиимов, “Мы не забудем тебя, Таня!”, *Комсомольская правда*, 27 января 1942 г., 6.

[414] **Krylova**, *Soviet Women in Combat*, 220.

ფიზიკური მონაცემები არ უწყობს ხელს, რადგან საუბარია ფემინურ, სუსტ ქალზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, მას შეუძლია თავისი სიკვდილით მოიპოვოს გამარჯვება მტერზე და სხვებისთვის მაგალითად იქცეს. პროპაგანდის მიზანიც ეს არის, შექმნას ქალი-პერსონაჟები, რომელთა სიკვდილის შემდეგ სხვებისთვის მისაბაძი იქნებიან. ეს მოდელი წინააღმდეგობაში მოდის ქალი-მებრძოლის არქეტიპთან რადგან, ქალი-მებრძოლი, ყოველთვის მზად არის ხელში იარაღი აიღოს და საკუთარი სამშობლო გადაარჩინოს. მსხვერპლი ქალის არქეტიპულ სახეზე საუბრისას არ უნდა გამოგვრჩეს დაშვება, რომელიც მნახველს/მკითხველს აცნობებს, რომ მტერი იმდენად დაუნდობელია, რომ მას შეუძლია „უმწეო ქალებსა და ბავშვებზეც“ კი აღმართოს ხელი. მსხვერპლი ქალი თავისი არსით მოწყვლადი კატეგორიაა და მის წინააღმდეგ შეიარაღებული გერმანელისგან მტრის ხატის შექმნა საბჭოთა პროპაგანდის ერთ-ერთი მიზანი გახდა, ხოლო მსხვერპლი ქალის არქეტიპული სახე თავის თავში აერთიანებს მეორე არქეტიპულ სახეს - ფემინურ ქალს.

კვლევის ეს ნაწილი დაეთმო ქალი-მსხვერპლის არქეტიპული სახის შესწავლას. კვლევის მიზანი იყო დაგვედგინა, საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში დაბეჭდილ პოლიტიკურ პლაკატზე რა დანიშნულება ჰქონდა ქალი-მსხვერპლის არქეტიპულ სახეს, რა ფორმით გამოხატავდნენ მას მხატვრები და რომელი ძირითადი პროპაგანდისტული მესიჯები ახლდა თან ამ ტიპის პლაკატებს. პლაკატების დამუშავებისას, გამოვარჩიეთ სამი პლაკატი, რომლებზეც კარგად ჩანს მსხვერპლი-ქალის სახეს.

1942 წელს ი. გურროს მიერ შექმნილი პლაკატი სათაურით „ყოჩაღის წინააღმდეგ თვითონ ცხვარია!“ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში დაიბეჭდა გამომცემლობა „საქმხატვრის“ მიერ. პლაკატის ტირაჟი 2000 იყო (იხ. დანართი სურ 12.). პლაკატზე არ არის მითითებული ფორმატი და ზომა. მრავალმხრივ საინტერესოა. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ ილუსტრაცია შავ-თეთრ ფერებშია შესრულებული, რაც აძლიერებს ტრაგიზმის განცდას, ამასთან, პლაკატს კიდევ უფრო მარტივად აღსაქმელს ხდის. პირველ ილუსტრაციაზე ვხედავთ გერმანელს, რომელმაც ეს-ეს არის ესროლა ახალგაზრდა ქალს, დედას. ქალი რომ დედაა, ამას ადასტურებს მის წინ ორი მცირეწლოვანი ბავშვის ცხედარი, რომლებიც ამავე

გერმანელის მიერ მოკლულები უნდა იყვნენ. შესაბამისად, პლაკატი გამოხატავს ორმაგ ტკივილს, დედის თვალწინ დახოცეს შვილები და შემდეგ თავად დედაც მოკლეს. დედის ფიგურა ნაზი და ჰაეროვანია, რაც მის ფემინურობას და ქალურობას გამოკვეთს. მნახველში უმწეო ბავშვების დედის თვალწინ სიკვდილი ემპათიას აძლიერებს და გერმანელს, როგორც დაუნდობელს და სასტიკს ისე ახასიათებს. გამომსახველობითი ფორმის მიხედვით ილუსტრაცია გროტესკულია, რაც მას კიდევ უფრო მძაფრ ელფერს სძენს.

ილუსტრაციის მეორე ნაწილი კი პასუხია იმ ძალადობაზე, რომელსაც „ფაშისტი გერმანელები“ სჩადიან. ავტორი გვიხატავს შეშინებული გერმანელის სახეს, რომლის წინააღმდეგ, მაყურებლისთვის უცნობს იარაღი მიუშვერია. საინტერესოა პლაკატის წარწერა. ყოჩაღის წინააღმდეგ თვითონ ცხვარია - ყოჩაღში საბჭოთა ჯარისკაცი იგულისხმება, ხოლო ცხვარში გერმანელი. პლაკატის ავტორის აზრით, გერმანელები სუსტებს (ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს) ებრძვიან, რადგან იციან, რომ მარტივად გაიმარჯვებენ, მაგრამ თავისზე ძლიერთან უცებ ცხვრად იქცევიან. პლაკატის სათაურის და გამოსახულების ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ პლაკატის მთავარი აზრია გერმანელის სისუსტის ჩვენება, მომავალი გამარჯვების ჩანერგვა საბჭოთა მოქალაქეებში და შურისძიების გაღვივება მოკლული ქალებისა და ბავშვების გამო. ამ პლაკატის შემთხვევაშიც აშკარაა მსხვერპლი ქალის როლი: ის არ იბრძვის, მაგრამ მისი სიკვდილი სხვებისთვის მაგალითად უნდა იქცეს. ეს მონაკვეთი ძალიან ჰგავს ზოია კოსმოდემიანსკაიას სახით შექმნილი გმირის სახეს, რომელიც თავად იღუპება, მაგრამ სხვებისთვის მეტაფორულად რომ ვთქვათ, „გზის გამნათებელი“ ხდება. ასევე, საინტერესოა, რომ ამ პლაკატზე სამი არქეტიპული სახე გაერთიანებულია ერთ ქალში: თავგანწირული დედის, ფემინური ქალის და მსხვერპლი ქალის. ამ პლაკატის შემაჯამებელი კოდი შესაძლოა იყოს შემდეგი: ქალების და ბავშვების მკვლელობა მხდალი გერმანელების საქმეა. ეს კი ხაზს უსვამს მათ ვერაგობას და არაადამიანურობას. თუმცა, ყველა გერმანელი მიიღებს დამსახურებულ პასუხს საბჭოთა კავშირის მებრძოლებისგან. ამის სიმბოლური გამოსახულება პლაკატზე არის გერმანელისკენ მიბჯენილი თოფის ლულა.

პლაკატი „არ დავივიწყებთ, გადავუხდით“(იხ. დანართი - სურ. 13) 1942 წელს შეიქმნა, თბილისში გამომცემლობა „Грузхудожник“-ის მიერ. პლაკატის ავტორები არიან ელენე ახვლედიანი და ალექსანდრე გიგოლაშვილი. პლაკატი დაიბეჭდა 10 000-იანი ტირაჟით, რაც ხაზს უსვამს პლაკატის გავრცელების მასშტაბურ ხასიათს. შინაარსობრივი თვალსაზრისით პლაკატი პოლიტიკური ხასიათისაა და აგიტაციური დანიშნულება აქვს. ეს პლაკატი შინაარსობრივად ძალიან ჰგავს პლაკატს „ყოჩაღის წინააღმდეგ თვითონ ცხვარია![415]“. კვლევისთვის მნიშვნელობას მატებს ქართული წარწერები, რაც ხაზს უსვამს მათი შექმნის ადგილსა და აუდიტორიას, ვისთვისაც შეიქმნა ეს პლაკატები. პლაკატის „არ დავივიწყებთ, გადავუხდით“ მთავარი გმირი ახალგაზრდა მამაკაცია, რომელსაც ცალ ხელში თოფი უჭირავს, მეორე ხელით კი მცირეწლოვან გოგონას იხუტებს, რომელიც ტირის. მამაკაცი იერით, გარეგნული ნიშნებით, ტანსაცმლით - ეთნიკურად ქართველს ჰგავს, რაც მნახველში აძლიერებს სიახლოვის განცდას. უნდა ითქვას, რომ საბჭოთა იკონოგრაფიაში ეს იშვიათი შემთხვევაა, ეთნიკური ნიშნები პოლიტიკურ პლაკატებზე იშვიათად ჩნდება. მამაკაცს სახე დამწუხრებული აქვს, მის გამოხედვაში მომხდარით გამოწვეული გაბრაზება და წუხილი იკითხება. უკანა ფონზე ვხედავთ პლაკატის ყველაზე ემოციურ ნაწილს - მოკლულ დედას, რომელიც დიდი ალბათობით გერმანელის ტყვიას ემსხვერპლა და მის მცირეწლოვან ვაჟიშვილს, რომელიც შეშინებულია და დედის ცხედარს დაჰყურებს. პლაკატის მიხედვით, აშკარაა რომ ქალი მტერს ემსხვერპლა. პლაკატის ავტორები ახერხებენ მთელი სიმძაფრით გადმოგვცენ მომხდარი. სახეზეა ქალი მსხვერპლის არქეტიპული სახე, რომელიც მართალია ომს შეეწირა, მაგრამ დანარჩენებისთვის ეს უნდა იქცეს მაგალითად და ცოცხლად დარჩენილებმა მისთვის შური უნდა იძიონ. სწორედ ამაზე მიანიშნებს, პლაკატის ბოლოს პატარა ასოებით მიწერილი „არ დავივიწყებთ, გადავუხდით“. პლაკატი მიჰყვება ომის დროინდელ პროპაგანდისტულ ხაზს: ერთი მხრივ, პლაკატზე მოწყვლადი კატეგორია - ქალი და ბავშვები არიან გამოსახული, რომელსაც მტერი ადვილად ერევა და მეორე მხრივ, შურისმაძიებელი მამა, რომელიც ტრაგედიის მიუხედავად, სასოწარკვეთილებას არ მიეცემა და მზად არის, ბრძოლა გააგრძელოს და სამაგიერო გადაუხადოს გერმანელებს. შესაბამისად, პლაკატის მთავარი აზრიც

[415] **ი. გურრო.** “ყოჩაღის წინააღმდეგ თვითონ ცხვარია!” პოლიტიკური პლაკატი. 1942. თბილისი : საქმხატვარი. https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/17495 [23/01/2025 ბოლო ვიზიტი].

სწორედ ეს არის, მიუხედავად სიკვდილისა, ცოცხლად დარჩენილებს აქვთ ვალდებულება, რომ გააგრძელონ ბრძოლა. პლაკატი უნდა გახდეს მოტივაციის მიმცემი ყველასთვის, ვინც ძვირფასი ადამიანი დაკარგა ომში. როგორც აღვნიშნეთ, პლაკატი განსხვავდება სხვა განხილული პოსტერებისგან კიდევ ერთი ნიშნით - პოსტერის გმირები გარეგნული ნიშნებით (კანის და თმის ფერი, აღნაგობა) ეთნიკურად ქართველებს ჰგვანან, რის გამოც მნახველში კიდევ უფრო ამძაფრებს სიახლოვის განცდას. ასევე, უკანა ფონზე დახატული აივნიანი, ფერადი სახლები ქმნის ძველი თბილისის განწყობას. შესაბამისად, ყველა სხვა პლაკატისგან განსხვავებით ამ პლაკატზე ყველაზე მეტად იგრძნობა, რომ მოქმედება ხდება საბჭოთა საქართველოში. პლაკატის შემაჯამებელი კოდის ფორმულირება კი ამგვარად შეიძლება: მიუხედავად დანაკარგისა და გლოვისა, შურისძიებისთვის მზადყოფნა აუცილებელია. მნიშვნელოვანია სიტყვები, რომლებსაც პლაკატზე ვხვდებით „არ დავივიწყებთ“ და „გადავუხდით“. ორივე ფრაზაში დევს დაპირება, რომ მომავალში მტერზე შურს იძიებს საბჭოთა მოქალაქე. შესაბამისად, სამაგიეროს გადახდა და სამართლიანობის აღდგენა პრინციპით „თვალი თვალის წილ“ გამართლებულია.

ქალი-მსხვერპლის არქეტიპულ სახეზე როცა ვსაუბრობთ, არ უნდა გამოგვრჩეს ამ არქეტიპის სახეცვლილი ფორმა იმ ქალების სახით, რომლებიც ფრონტის მიღმა რჩებოდნენ და მათ დაეკისრათ ყველა პასუხისმგებლობის (ოჯახის მოვლა, მუშაობა, შვილების აღზრდა) საკუთარ თავზე აღება. საბჭოთა მმართველობა მიიჩნევდა, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს ქალებს ჰქონდათ ვალდებულება, ჩაენაცვლებინათ მამაკაცები (მშრომელი ქალის არქეტიპი), ყოფილიყვნენ მისაბაძი დედები (დედის არქეტიპი), საჭირო შემთხვევაში გაეწირათ თავი და დაეცვათ საკუთარი ოჯახი (მებრძოლი ქალის არქეტიპი) და თან შეენარჩუნებინათ ქალურობა (ფემინური ქალის არქეტიპი). ასევე, მათ ფრონტზე წასულ მამაკაცებზე უნდა ეზრუნათ (გაეგზავნათ საკვები, ტანსაცმელი, წერილები - მორალური მხარდაჭერის ნიშნად). ყველა ზემოთ ჩამოთვლილი შესაძლოა გავაერთიანოთ მსხვერპლის არქეტიპულ სახეშიც, რადგან ქალები ასეთ შემთხვევაში, ირგებდნენ მსხვერპლის როლს, რომელიც საბჭოთა პროპაგანდისტული იდეების მიხედვით, აუცილებელი და გარდაუვალი იყო. ამასთან, ქალებს ჰქონდათ ვალდებულება, დალოდებოდნენ ფრონტიდან

დაბრუნებულ ქმრებს და საჭიროების შემთხვევაში ყველა პირობა შეექმნათ მათი კეთილდღეობისთვის. თუმცა, საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანა თითქმის არ საუბრობს ქალების საჭიროებაზე: მათ ფსიქოლოგიურ თუ ფიზიკურ მზაობაზე, რათა გაეწიათ „ღირსეული პარტნიორობა“ (რასაც სამშობლო ავალდებულებდა) საკუთარი მეუღლეებისთვის.

აღნიშნულ პლაკატებზე (იხ. დანართი სურ. 14. სურ.15. სურ. 16.) სწორედ ასეთ არქეტიპულ სახეს ვხვდებით, რომელიც ქალი-მსხვერპლის დაჯგუფებაში თავსდება. სურ. 14-ზე ვხედავთ ფრონტზე მიმავალ ჯარისკაცს, რომელიც ემშვიდობება საყვარელ ქალს - სავარაუდოდ, მეუღლეს. ქალი წარმოდგენილია ფემინური სახით, თავი მამაკაცის გულმკერდზე უდევს და თვალები დახუჭული აქვს. ეს მდგომარეობა მნახველში აღძრავს მის მიმართ თანაგრძნობას. ქალი მსხვერპლის როლშია წარმოდგენილი, ის ყველაზე ძვირფასს - თავის მეუღლეს აცილებს ფრონტზე, თავად კი მზად არის მის არყოფნაში იზრუნოს ოჯახზე. „დიდება უკრაინის განმათავისუფლებლებს! სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!“ - პლაკატის წარწერა მიანიშნებს, რომ პლაკატი უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკაში შეიქმნა და განსაკუთრებით უკრაინელებს ეხება. პლაკატზე დახატული ქალი თავსდება 1942 წელს დაბეჭდილ პლაკატზე „ამხანაგებო! გაიღეთ თბილი ტანსაცმელი წითელი არმიისთვის!“ - კარგად ჩანს ფრონტის მიღმა დარჩენილი ქალების როლი. მათ უნდა შეძლონ და სათანადო დახმარება, მორალური თუ ფიზიკური, გაუწიონ ფრონტზე წასულ მებრძოლებს. სწორედ ამიტომ, საბჭოთა პროპაგანდისტული მესიჯი მოუწოდებს ქალებს, რომ ჩართულნი იყვნენ მოხალისეობრივ საქმიანობაში და შეაგროვონ ტანსაცმელი წითელარმიელებისთვის. ეს როლიც ქალებისთვის არის ერთგვარი მსხვერპლი - ფრონტს მიღმა დარჩენილებს აქვთ ვალდებულება, რომ სხვადასხვა გზით „ემსახურონ სამშობლოს“. ამ პოსტერზე ვხედავთ ახალგაზრდა, ენერგიულ ქალს, რომელსაც ხელი მოწოდების ნიშნად ჰაერში აქვს აწეული და თითქოს დახმარებას აუდიტორიას სთხოვს. პლაკატის მთავარი ფერი წითელი და ნაცრისფერია. პლაკატზე ასევე ჩანს თბილი ტანსაცმელი, რომელიც ასე ესაჭიროებათ წითელარმიელებს. განსხვავებით მე-14 პლაკატისგან, მე-15 პლაკატზე გამოსახული ქალი ნაკლებად ფემინურია. თუმცა, ორივე შესაძლებელია მოვათავსოთ მსხვერპლი ქალის არქეტიპულ სახეში.

მე-16 სურათი მანამდე განხილული პლაკატების ერთგვარი შეჯამებაა. პლაკატზე ვხედავთ სამ ქალს, განსხვავებულ ტანისამოსში გამოწყობილებს. ქალები დაახლოებით ერთი და იმავე ასაკის არიან, მაგრამ განსხვავებული პროფესიების, რასაც ადასტურებს მათი ჩაცმულობა. მოკლედ შეჭრილი თმა და ღიმილი სახეზე კი ფემინურობის ნიშანია. ასევე, სამივე ქალი ერთი მიმართულებით იყურება, რაც სიმბოლურად შესაძლებელია გულისხმობდეს, რომ მიუხედავად განსხვავებული გამოცდილებებისა მათ აერთიანებთ საერთო მიზანი, რომლისკენაც ყველანი ერთად, განსხვავებული საქმის კეთებით მიდიან. პლაკატზე განსხვავებული გარეგნობის, პროფესიის ქალების გამოსახვის მიზანია მინიშნება, რომ ყველა ქალს ეხება მთავარი მესიჯი, რომელიც პლაკატის წარწერაზეა ასახული: „გაუმარჯოს საბჭოთა ქალებს - სოციალიზმის ქვეყნის მგზნებარე პატრიოტებს!“. ეს სამოტივაციო ტექსტი მოუწოდებს ქალებს თავიანთ საქმეში იყვნენ მისაბაძი და თავი გასწირონ სოციალიზმისთვის. შეძახილები „გაუმარჯოს“, „წინ!“ და ა.შ. საბჭოთა პროპაგანდის დამახასიათებელი ნიშანი იყო და მათ მოწოდების, დარიგების დანიშნულება ჰქონდა. ასევე, პლაკატის წარწერაში გამოყენებული ეპითეტის „მგზნებარე“ დანიშნულებაა გააძლიეროს ემოცია და ხაზი გაუსვას პატრიოტი ადამიანების მნიშვნელობას. ეს პლაკატი 1941 წელს არის შექმნილი. გადავწყვიტეთ, პლაკატზე გამოსახული ქალები, მოგვექცია ქალი-მსხვერპლის არქეტიპულ სახეში, რადგან ყველა როლი, რომელსაც გვთავაზობს პლაკატი, ქალებისგან მოითხოვს ერთ რამეს - თავგანწირვას. საბჭოთა სახელმწიფო/სამშობლო კი ქალებისგან სწორედ ამას ითხოვს - მსხვერპლად შეეწირონ საჭიროების შემთხვევაში. აღნიშნული პლაკატების შემაჯამებელი კოდი შესაძლებელია ასე წარმოვადგინოთ: ქალებს - ექიმებს, მასწავლებლებს, მშრომელებს თუ დიასახლისებს შეუძლიათ იზრუნონ წითელი არმიის სიძლიერეზე და ამ გზით თავი გასწირონ საკუთარი სამშობლოსთვის.

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს შექმნილ პლაკატებზე ქალი-მსხვერპლის არქეტიპული სახე მრავალფეროვნებით გამოირჩევა. პლაკატების დამუშავების შემდეგ, აშკარაა რომ მსხვერპლი ქალის არქეტიპული სახე ხშირად აერთიანებს ქალის სხვა არქეტიპულ სახეებსაც. მსხვერპლი ქალის არქეტიპული სახე ხასიათდება როგორც სუსტი და ფემინური, თუმცა ამავე დროს შესაძლოა იყოს საკუთარი საქმის პროფესიონალი, გამბედავი ქალიც, რომელიც

საჭიროების შემთხვევაში მსხვერპლის როლს ირგებს და იქცევა შუქურად დანარჩენი საბჭოთა მოქალაქეებისთვის. ქალი-მსხვერპლი პლაკატების ნაწილზე გამოსახულია ცოცხლად, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ის უკვე მოკლულია „ფაშისტი გერმანელის“ მიერ, რაც მის ღირებულებას აუდიტორიის თვალში ზრდის.

დასკვნა. დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ამ თავში კვლევა შეეხო ქალის არქეტიპულ სახეებს საბჭოთა პლაკატებზე, რომლებიც შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა კავშირში. კვლევის დროს გამოიკვეთა რამდენიმე არქეტიპული სახე: მებრძოლი ქალი, მშრომელი ქალი, ქალი მსხვერპლი, ქალი-დედა. თითოეული მათგანის დახასიათებისას ყურადღება გავამახვილეთ პოსტერის შექმნის დროზე, ფერებზე, რომელსაც იყენებს მხატვარი, პოსტერის ძირითად მიზანზე და მახასიათებლებზე, რომელიც ქალ-პერსონაჟებს აქვთ. მებრძოლ ქალზე საუბრისას გამოიკვეთა, რომ 1930-იან წლებში დაწყებული ახალი ტიპის ქალის ჩამოყალიბების პროცესი ომის დროსაც გაგრძელდა. ამ მიზანს ემსახურებოდა მებრძოლი ქალის არქეტიპული სახის შექმნა. ამ ტიპის ქალი უნდა ყოფილიყო მზად, გაეწირა საკუთარი სიცოცხლე სამშობლოსთვის, ის იყო ძლიერი, ენერგიული და შურისმაძიებელი. მშრომელ ქალზე საუბრისას დავასკვენით, რომ საბჭოთა კავშირისთვის ომის პერიოდში ქალების სამუშაო ძალად გამოყენება განსაკუთრებულ ძალას იძენს. სწორედ ამიტომ, ქალების დასაქმება „მამაკაცურ“ პროფესიებზე გარდაუვალია. ეს ტენდენცია ჯერ კიდევ ომამდე არსებობდა, ომის წლებში კი პირდაპირ დამკვიდრდა სიტყვა „ჩანაცვლება“. ამიტომ პლაკატებზე გვხვდებიან ქალები, რომლებიც თანაბარი წარმატებით უვლიან შვილებს, იღებენ მოსავალს და არიან ჩაბმულები ინდუსტრიულ საქმიანობაში. პროპაგანდის მიხედვით, ისინი ამ გზით ეხმარებოდნენ საკუთარ ქვეყანას. დედის არქეტიპზე საუბრისას დავასკვენით, რომ პლაკატებზე დედის ორი ძირითადი სახე გვხვდება - პირველი არის მებრძოლი, ახალგაზრდა ქალი, რომელიც მზად არის თავი გასწიროს ქვეყნისთვის, და მას ხშირად სამშობლოს სიმბოლური დატვირთვა აქვს და მოხუცი, თმაშეევერცხლილი ქალი, რომელიც დახმარებას ითხოვს და მისი დახმარება და გადარჩენა შეუძლიათ ფრონტზე წასულ ჯარისკაცებს. ორივე შემთხვევაში, პროპაგანდისტული მანქანის მიზანია მოტივაციის მიცემა წითელარმიელებისათვის. მსხვერპლი ქალის არქეტიპული სახე შედარებით უფრო ვრცელი კატეგორია, ვინაიდან თითოეულ ზემოთ ჩამოთვლილ არქეტიპულ

სახეს შეუძლია პარალელურად მოირგოს მსხვერპლის როლი. თუმცა, ქალი-მსხვერპლის შემთხვევაშიც გვაქვს ორი ხაზი, პირველი როდესაც ქალი ღიად სწირავს თავს, მას არ შესწევს ძალა, რომ შეეწინააღმდეგოს მტერს, მაგრამ თავისი სიკვდილით ის აძლიერებს თავისიანებს და მეორე, ქალი, რომელიც რჩება ფრონტს მიღმა და მზადაა მამაკაცის დაბრუნებამდე მოუაროს ოჯახს, იყოს კარგი დიასახლისი, სახლში დარჩენილმა იზრუნოს წითელარმიელებზე და სხვ. ყველა ეს ქმედება გულისხმობს საკუთარი თავის გაწირვას სხვების კეთილდღეობისთვის და ამიტომ ერთიანდება მსხვერპლი ქალის არქეტიპულ სახეში. მთლიანობაში აშკარაა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ქალთა არქეტიპული სახეები ურთიერთსაწინააღმდეგოა, თუმცა ეს არ წარმოადგენს წინაღობას საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანისთვის. ის აღწევს დასახულ მიზანს, ამკვიდრებს მისაბაძ მაგალითებს, რომლებიც საბჭოთა მოქალაქეებმა ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად უნდა აქციონ და მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას მიაღწიონ დასახულ მიზანს - გაიმარჯვონ გერმანელებზე.

თავი VI. ქალთა არქეტიპული სახეები საბჭოთა ქართულ ლიტერატურაში

ამ თავში განვიხილავთ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილ მხატვრულ ნაწარმოებებს და ვიმსჯელებთ ქალთა არქეტიპულ სახეებზე, რომლებიც ჩამოყალიბდა მხატვრულ ლიტერატურაში, 1941-1945 წლებში.

საკითხის უკეთ გასაგებად საჭიროა განიმარტოს, თუ რა როლი ჰქონდა მხატვრულ ლიტერატურას საბჭოთა კავშირში და როგორ ფასდება საბჭოთა კულტურა თანამედროვე მეცნიერებაში. საბჭოთა კავშირში მხატვრულ ლიტერატურას უნდა შეექმნა პერსონაჟები, რომლებიც საბჭოთა მოქალაქისთვის მისაბაძი იქნებოდნენ[416]. სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად აფასებენ საბჭოთა კულტურას, გამოყოფენ რა სამ ძირითად პრინციპს: 1. ორთოდოქსულ-აპოლოგეტური, რომელიც ხოტბას ასხამს საბჭოთა კულტურას 2. ნეგატიური, რომელიც საბჭოთა კულტურის ყველა მიმართულებას იწუნებს 3. ობიექტურ-ისტორიული, რომელიც რადიკალიზმისგან დაცლილია.[417] საბჭოთა კულტურა მეტწილად სოციალისტური სახელმწიფოს იდეოლოგიურ ჩარჩოებში იყო მოქცეული, მაგრამ ამის მიღმა არსებობდნენ მწერლები, კულტურის მოღვაწეები, რომლებიც, მიუხედავად ზეწოლისა, ახერხებდნენ საკუთარი სათქმელის საზოგადოებამდე მიტანას.

“1934 წ. მოსკოვში გაიმართა საბჭოთა კავშირის მწერლების პირველი საკავშირო ყრილობა, რომელმაც ერთადერთ მხატვრულ მეთოდად სცნო მხატვრული რეალიზმი”.[418] აქედან მოყოლებული ლიტერატურა და მთლიანად ხელოვნება დაექვემდებარა სახელმწიფო იდეოლოგიასა და პოლიტიკას. სოციალისტური რეალიზმის განმახორციელებელ ორგანოდ კი ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირი.[419] მხატვრული ნაწარმოებების კონტროლი ლიტერატურული ჟურნალების გავლით ხდებოდა. საბჭოთა ტრადიციის მიხედვით ლიტერატურული

---

[416] **Ziemer, U**, *Women’s everyday lives in war and peace in the South Caucasus.* Palgrave Macmillan, Winchester, UK, 2020. გვ. 3. https://doi.org/10.1007/978-3-030-25517-6

[417] **გაფრინდაშვილი, მირესაშვილი, წერეთელი,** *სოციალური რეალიზმის თეორიული ისტორია*,14.

[418] **გაფრინდაშვილი, მირესაშვილი, წერეთელი,** *სოციალური რეალიზმის თეორიული ისტორია*,16.

[419] **გაფრინდაშვილი, მირესაშვილი, წერეთელი,** *სოციალური რეალიზმის თეორიული ისტორია*,52.

სიახლეები მკითხველს ჟურნალების-გაზეთების საშუალებით მიეწოდებოდა. 1922 წლის 6 ივნისს დაარსდა მთავლიტი - ლიტერატურის და საგამომცემლო საქმეთა მთავარი სამმართველო[420]. ეს ორგანო აკონტროლებდა და ცენზურაში ატარებდა ლიტერატურის ყველა მიმართულებას. სოცრეალისტი მწერალი დასავლელი მწერლისგან განსხვავებით, ბოლომდე თავისუფალი ვერ იქნებოდა, მას აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინა პარტიის ინტერესი და არ აცდენილიყო მის კურსს.[421] თანამედროვე ქართველი მკვლევარი ნანა გაფრინდაშვილი წიგნში „სოციალისტური რეალიზმის თეორიული ისტორია“ გამოყოფს მწერლების 5 სხვადასხვა ტიპს იმის მიხედვით, თუ როგორ პასუხობდნენ ისინი სახელმწიფოს მიერ მთავლიტის დაარსებას. გამოყოფს 5 ტიპის მწერალს: 1. მწერლები, რომლებიც გულწრფელად იზიარებდნენ საბჭოთა იდეოლოგიას. 2. მწერლები, რომლებიც თვლიდნენ, რომ კომუნისტური იდეალების დამახინჯება ხდებოდა 3. მწერლები, რომლებიც წერდნენ და აქებდნენ საბჭოთა სისტემას, მაგრამ პირად ცხოვრებაში უარყოფნენ საბჭოთა იდეალებს 4. მწერლები, რომლებიც პუბლიცისტურ გამოსვლებში ხელისუფლების იდეებს იზიარებდნენ, მაგრამ წერის დროს შეძლებისდაგვარად მაინც ასახავდნენ სინამდვილეს 5. მწერლები, რომლებიც არ ეგუებოდნენ შექმნილ ვითარებას არც პირად ცხოვრებაში და არც წერის დროს.[422] შესაბამისად, ამ კლასიფიკაციის მიხედვით, ამ პერიოდში შექმნილი ნაწარმოებები ერთმანეთისგან განსხვავებული იყო.

როგორც ისტორიკოსი, ა. ივაშკინი განმარტავს, სოციალურ რეალიზმს, ისევე როგორც ფორმალიზმს, არ ჰქონდა კონკრეტული ფორმა. ის ნიშნავდა იმას, რაც სახელმწიფო მოხელეებისთვის იყო მისაღები[423]. მიუხედავად ამისა, სოცრეალიზმმა ჩამოაყალიბა არქეტიპების სპეციფიკური სისტემა, რომელიც მისაბაძი უნდა ყოფილიყო საბჭოთა საზოგადოებისთვის. სოციალური რეალიზმის გასაგებად, საჭიროა გავიხსენოთ მწერლობისადმი ბოლშევიკების დამოკიდებულება. „მწერლები ადამიანის სულის ინჟინრები არიან“ - წერდა სტალინი, „მწერალი სოციალიზმის ბებიაქალი და

[420] **გაფრინდაშვილი, მირესაშვილი, წერეთელი,** *სოციალური რეალიზმის თეორიული ისტორია*,193.
[421] **გაფრინდაშვილი, მირესაშვილი, წერეთელი,** *სოციალური რეალიზმის თეორიული ისტორია*,69.
[422] **გაფრინდაშვილი, მირესაშვილი, წერეთელი,** *სოციალური რეალიზმის თეორიული ისტორია*, 15.
[423] ციტირებულია სტატიიდან: **A. Ivashkin,** "Who's Afraid of Socialist Realism?" *The Slavonic and East European Review* 92, no. 3 (2014): 430.

კაპიტალიზმის მესაფლავეა“ ამბობდა მაქსიმ გორკი. „ლიტერატურა უნდა ეკუთვნოდეს პარტიას“ - ეს კი ლენინის სიტყვებია.[424] აღსანიშნავია, რომ მ. გორკი საბჭოთა მხატვრულ ლიტერატურაში განსაკუთრებით დაფასებული მწერალი იყო, სოციალისტური რეალიზმის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო მისმა ნაწარმოებებმა, განსაკუთრებით კი მოთხრობამ „დედა“.[425] საბჭოთა პრესის მასალების მიხედვით „დედა“ არის შთამაგონებელი საბჭოთა ქალებისა, ჩვენი დედებისა და ჩვენი ქალიშვილებისა, რომელნიც ბრძოლისაკენ გზას ულოცავენ თავიანთ შვილებს, თავიანთ ძმებსა და თავიანთ ქმრებს[426].“ გორკის მოთხრობამ „დედა“ შექმნა ქალის სახე, რომელიც აუცილებელი იყო სულიერი განვითარებისთვის, რუსი ქალი მოთხრობაში სუსტი და დაუცველი კი არ არის, არამედ პირიქით, სულიერი წინამძღოლია[427], რაც სიმპტომატურია ახალი ტიპის საბჭოთა ქალისთვის. ომის პერიოდში ის უნდა გახდეს ერის სულიერი დედა.

სტალინის ზემოთ აღნიშნული ფრაზით თუ ვიმსჯელებთ, მწერლის დანიშნულება ადამიანის სულის გამოჭედვა იყო. შესაბამისად, მხატვრული ლიტერატურა ერთ-ერთი ძირითადი დასაყრდენი უნდა ყოფილიყო საბჭოთა პროპაგანდისთვის, როგორც მეორე მსოფლიო ომამდე პერიოდში, ისე ომის დაწყების შემდგომ. სწორედ ამ მიზნით გაზეთებსა და ჟურნალებში ცალკე სვეტი ეთმობოდა მწერლების როლს ე.წ. „დიდი სამამულო ომის“ მიმდინარეობისას. გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ 1941 წელს დაიბეჭდა სტატია „დავძაბოთ მთელი ჩვენი შემოქმედებითი ენერგია“, რომელშიც დასმულია ის მიზნები, რომლებიც თითოეულ საბჭოთა მწერალს უნდა ჰქონდეს: „ქართველი საბჭოთა მწერლების წინაშე დღეს უწმინდესი ამოცანაა დასმული: გვერდში ედგას იმ ადამიანებს, რომელნიც სჭედენ გამარჯვებას ფაშისტურ ჭირზე. ქართველი საბჭოთა მწერლები თოფით და კალმით ხელში არიან ე.წ. „დიდი სამამულო ომის“ მებრძოლი ჯარისკაცები... სამამულო ომის პირველ დღეებიდან მან მისცა თავის კალამს მტრისადმი დაუნდობელი მეომრის

---

[424] ციტირებულია წიგნიდან: **გაფრინდაშვილი, მირესაშვილი, წერეთელი,** *სოციალური რეალიზმის თეორიული ისტორია*, 18.

[425] **გაფრინდაშვილი, მირესაშვილი, წერეთელი,** *სოციალური რეალიზმის თეორიული ისტორია*, 9.

[426] „საბჭოთა პატრიორი ქალი“, *ლიტერატურული საქართველო* 6 (217) (1942 წლის 8 თებერვალი):1.

[427] **Heather DeHaan,** "Engendering a People: Soviet Women and Socialist Rebirth in Russia," *Canadian Slavonic Papers / Revue Canadienne Des Slavistes* 41, no. 3/4 (1999): 440, http://www.jstor.org/stable/40870101. [ბოლო ვიზიტი 10/01/2025].

სიმახვილე და გადააქცია თავისი სტრიქონები გერმანიის ფაშიზმის განადგურებისათვის მოწოდების ძახილად.“[428] ამ ფრაზებში აშკარად იკითხება სახელმწიფოს მოთხოვნა საბჭოთა მწერლებისადმი: როგორც სხვა პროფესიის ადამიანებს მოუწიათ საკუთარი პროფესიის ომზე მორგება, ასევე მწერლობის ძირითადი ამოცანები ომის მიმდინარეობისას განისაზღვრა ბრძოლისუნარიანობის ამაღლებით.

ამ თავის მიზანია, ახალი ტიპის ქალების არქეტიპული სახეების გამოკვეთა საბჭოთა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში. სახელმწიფო პროპაგანდა ამკვიდრებდა ქალების რამდენიმე სახასიათო არქეტიპულ სახეს, რომელიც მისაბაძი უნდა ყოფილიყო საბჭოთა მოქალაქეებისთვის. ამის მსგავსად, საბჭოთა მხატვრულ ლიტერატურაშიც ყალიბდება ქალთა ახალი არქეტიპული სახეები, როგორებიცაა: ქალი-პარტიზანი, რომელიც ქალი მებრძოლის კატეგორიასაც ითავსებს, შურისმაძიებელი დედა, ქალი, რომელიც ეუფლება „მამაკაცურ საქმეს“ და ქმრის/მამის ჩამნაცვლებელია ოჯახში, მშრომელი ქალი, მსხვერპლი ქალი, ფემინური ქალი და ა.შ. ამ თავში საბჭოთა საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკაში დაბეჭდილი მხატვრული ნაწარმოებების ანალიზის საფუძველზე, შევეცდებით ვიმსჯელოთ ქალთა არქეტიპულ სახეებზე, დავახასიათოთ თითოეული მათგანი და მივანიჭოთ შემაჯამებელი კოდი.

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ 1942 წლის 8 თებერვლის სტატიაში „საბჭოთა პატრიოტი ქალი,“ აყალიბებს იდეას, თუ როგორი უნდა იყოს ქალი ე.წ. „დიდი სამამულო ომის დროს“: „სამამულო ომმა მთელი სიცხადით დაგვანახა, საბჭოთა ქალი როგორც საარაკო გმირების აღმზრდელი დედა, როგორც უშიშარი მეომრის ღირსეული მეუღლე, როგორც გულადი მებრძოლის სიცოცხლისათვის მზრუნველი მოამაგე და როგორც ზურგის თავდადებული მომუშავე და ბოლოს როგორც შეუპოვარი მებრძოლი იარაღით ხელში[429]“ - ამ პასაჟში კარგად ჩანს ყველა როლური სახე, რომელსაც საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანა ქალებს აკისრებდა. ლიტერატურის როლი კი ავტორის აზრით, მდგომარეობს იმაში, რომ შექმნას

[428] “დავძაბოთ მთელი ჩვენი შემოქმედებითი ენერგია“, *ლიტერატურული საქართველო* 48 (207) (1941 წლის 28 ნოემბერი):1.
[429] „საბჭოთა პატრიორი ქალი“, *ლიტერატურული საქართველო* 6 (217) (1942 წლის 8 თებერვალი):1.

საბჭოთა ქალი პერსონაჟები, რომლებიც რეალური ქალების პროტოტიპები იქნებიან და მათ საგმირო საქმეებს შემოინახავენ. თუმცა სტატიის ავტორი მიიჩნევს, რომ ქალების „შრომითი სიმამაცე“ და „საბრძოლო გმირობა“ საბჭოთა მწერლობამ სათანადოდ ვერ ასახა მწერლობაში. თუმცა, აქვე, ავტორი დებს პირობას, რომ საბჭოთა მწერლობა გადაიხდის ამ „ვალს“, და შექმნის „საბჭოთა ქალის განზოგადებულ სახეს[430]“. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ საბჭოთა ქართული მწერლობის ერთ-ერთი მიზანი ომის წლებში გახდა ახალი ტიპის ქალის სახის შექმნა ლიტერატურაში. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, სტატიის ავტორის მოსაზრებისგან განსხვავებით, რომ ჯერ საბჭოთა ლიტერატურაში ჩნდება ქალის სხვადასხვა არქეტიპული სახე და რეალობაში ამ ტიპის ქალების გამოჩენა მოგვიანებით ხდება არასრულყოფილი ფორმით.

ახალი ტიპის ქალების ასპარეზზე გამოჩენის მთავარ მიზეზს კი სახელმწიფო პოლიტიკა წარმოადგენდა: უზრუნველეყო საზოგადოების ჩართულობის ზრდა ომში, გამოეყენებინა ქალთა რესურსი მაქსიმალურად და აემაღლებინა საბრძოლო განწყობა ქვეყანაში. ამ მიზნით ეწყობოდა ქალთა ერთიანი ანტიფაშისტური მიტინგები, რომლის დროსაც საბჭოთა ქალები მიმართავდნენ მსოფლიოს ქალებს და მოუწოდებდნენ, გამოეცხადებინათ თანადგომა „ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში“[431]. მოგვიანებით, მსოფლიო ქალებისადმი მიმართვა ვრცელდებოდა საბჭოთა კავშირში ცნობილი ქალების განცხადებებით[432]. ეს მეთოდიც პროპაგანდის ინსტრუმენტად იქცა.

ამ თავის მიზანს წარმოადგენს მეორე მსოფლიო ომის დროს ქალების ახლებური რეპრეზენტაციის საკითხის კვლევა და ლიტერატურული პერსონაჟების როლი საბჭოთა იდეოლოგიურ პროპაგანდაში. კვლევის ძირითადი კითხვის ფორმულირება კი შემდეგნაირად შეიძლება: 1. ქალთა რომელი არქეტიპული სახეები ჩამოყალიბდა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, კონკრეტულად კი ე.წ. „დიდი სამამულო ომის დროს“ (1941-1945 წწ.) საბჭოთა საქართველოში გამოსული მხატვრული

---

[430] „საბჭოთა პატრიორი ქალი“, *ლიტერატურული საქართველო* 6 (217) (1942 წლის 8 თებერვალი):1.

[431] „მთელი მსოფლიოს ქალებისადმი“, *გაზეთი კომუნისტი* 111 (6427) (1942 წლის 13 მაისი):1.
„გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს ქალთა ერთიან ანტიფაშისტურ ფრონტს!“, *გაზეთი კომუნისტი* 214 (6219) (1941 წლის 10 სექტემბერი):1.

[432] მთელი მსოფლიოს ქალებს“, *გაზეთი კომუნისტი* N213 (6218) (1941 წლის 9 სექტემბერი):1.

ლიტერატურის მიხედვით? ასევე, რა ძირითადი ნიშნებით ხასიათდებიან ქალთა ახლებური სახეები და რა გავლენა ჰქონდათ მათ საბჭოთა საზოგადოებაზე?

აღნიშნული კვლევა ემყარება 1941-1945 წლებში სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველთვიურ სალიტერატურო, სახელოვნებო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალის „მნათობი“ და საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანოს გაზეთის „ლიტერატურული საქართველო“ ანალიზს. აღნიშნული წლები შეირჩა შემდეგი მიზნით: მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდგომ, საბჭოთა კავშირისთვის გარდამტეხი იყო 1941 წლის 22 ივნისს გერმანიის მიერ ომის გამოცხადება, რომელსაც მოგვიანებით საბჭოთა პროპაგანდისტულმა მანქანამ ე.წ. „დიდი სამამულო ომი“ უწოდა. 1941-1945 წლები კი გამორჩეული აღმოჩნდა პროპაგანდისტული თვალსაზრისით. თუ 1941 წლის ივნისამდე „მნათობსა“ და გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ ძალიან ნაკლებია, ან თითქმის არ შეინიშნება პროპაგანდისტული მესიჯები ომის თაობაზე, 1941 წლის ივნისიდან ჟურნალი და გაზეთი ცვლის მიმართულებას და აქცენტს აკეთებს პატრიოტული სულისკვეთების გააქტიურებაზე. კვლევის შეზღუდვას განსაზღვრავს ამ თემაზე არსებული ლიტერატურული ნაწარმოებების სიმრავლე. ჟურნალ „მნათობისა“ და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ გარდა საბჭოთა საქართველოში გამოდიოდა სხვა სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთები, რომელთა შინაარსს არ ითვალისწინებს მოცემული კვლევა. შესაბამისად, ესეც წარმოადგენს კვლევის შეზღუდვას.

პირველ ეტაპზე გაანალიზდა სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო, სახელოვნებო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჟურნალ „მნათობის“ 1941-1945 წლების და საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანოს გაზეთის „ლიტერატურული საქართველო“ 1941-1943 წლების ნომრები. კვლევის ფარგლებში დამუშავდა ჟურნალ „მნათობის“ სულ 46 და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 119 ნომერი. „ლიტერატურული საქართველო“ თვეში სამჯერ გამოიცემოდა, ხოლო „მნათობი“ თვეში ერთხელ. ლიტერატურული საქართველოს რედაქტორი გახლდათ შალვა რადიანი და აკაკი თათრიშვილი, ხოლო ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორი იყო ალიო მაშაშვილი.

როგორც ჟურნალის, ისე გაზეთის სატიტულო გვერდზე განთავსებული იყო საერთაშორისო რევოლუციური პროლეტარიატის დევიზი: "პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!".

სტალინის დროს ქალთა შეცვლილ სტატუსზე მუშაობდნენ ისეთი მეცნიერები, როგორებიც არიან: კეტრინ ჰოჯსონი, ანა კრილოვა, ლინ ეტვუდი და ვენდი გოლდმანი. კეტრინ ჰოჯსონი და ანა კრილოვა იკვლევენ კონკრეტულად მხატვრულ ლიტერატურაში დამკვიდრებულ სახეებს, რომლებიც გვხვდება მეორე მსოფლიო ომის დროს. ჰოჯსონი იკვლევს ომისა და ქალების დამოკიდებულებას. მას მიაჩნია, რომ ქალები ფემინურობას ინარჩუნებენ ომშიც კი. ქალები და აგრესია ერთად არასდროს გვხვდება. როგორც წესი ქალებს არ შეუძლიათ სროლა - წერს ჰოჯსონი[433]. ხოლო ქალების პატრიოტიზმის გამოხატულებაა წამების გაძლება დიდი დროის განმავლობაში, გამძლეობა და მოთმინების დიდი უნარი,[434] რითიც ისინი განსხვავდებიან მამაკაცებისგან.

სვეტლანა ალექსიევიჩი თანამედროვე პერიოდის გამორჩეული მწერალია, მან რამდენიმე ნაწარმოები მიუძღვნა ქალების და ომის ურთიერთობას. სვეტლანა ალექსიევიჩი როცა წერს მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ქალებზე წერისას აცხადებს, რომ ქალები და ცხოვრება ერთმანეთის სინონიმებია.[435] ასევე, ალექსიევიჩს მიაჩნია, რომ ყველა ადამიანს მეორე მსოფლიო ომის საკუთარი ვერსია აქვს.[436]
მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდგომ კი ისევე როგორც ხელოვნების სხვა მიმართულებებმა, ლიტერატურამაც სხვა დამატებითი დატვირთვა შეიძინა - საბჭოთა მწერლობა უნდა გამხდარიყო საბჭოთა მოქალაქეებისთვის გზის მაჩვენებელი, მწერლები კი მაგალითის მიმცემნი. ამის დასტურად, ომის დაწყებისთანავე, 40-მდე ქართველი მწერალი გაემგზავრა ფრონტზე,[437] რაც კარგი მაგალითი უნდა ყოფილიყო უბრალო მოქალაქეებისთვის. ამ პერიოდის ლიტერატურისთვის დამახასიათებელი გახდა შეგონებითი ტექსტების სიმრავლე.

---

[433] **Katharine Hodgson**. "Women in Poetry and Women Poets," in *Written with the Bayonet: Soviet Russian Poetry of World War Two*, 207–56 (Liverpool: Liverpool University Press, 2011), 216.
[434] **Hodgson**, "Women in Poetry,"216.
[435] **Angela Brintlinger.** "Mothers, Father(s), Daughter: Svetlana Aleksievich and *The Unwomanly Face of War*," *Canadian Slavonic Papers* 59, no. 3-4 (2017): 206, https://doi.org/10.1080/00085006.2017.1379114.
[436] **Brintlinger**, "*Mothers, Father(s), Daughter*," 210.
[437] **Brintlinger**, "*Mothers, Father(s), Daughter*," 57.

ხშირად პოეზიასა თუ პროზაში მთავარი პერსონაჟები მშობლის, ცოლის ან დების პირით საუბრობდნენ და გამოხატავდნენ იმედს, რომ ომში წასული პირი არ შეარცხვენს ოჯახის სახელს.[438] მხატვრულ ნაწარმოებებში გაძლიერდა პატრიოტული თემატიკა, ისტორიული ნაწარმოებები და პიროვნებები წინა პლანზე გადმოვიდნენ. ამ პერიოდის ნაწარმოებებში ძირითადად ორი შეფასების ფორმაა წარმოდგენილი: კარგი და ცუდი. პერსონაჟებიც ასე იყოფიან.[439]

ქალთა სტატუსის ცვლილება პირდაპირ კავშირში იყო მიმდინარე ომთან. ამას ადასტურებს ისიც, რომ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, საბჭოთა ჟურნალებსა და ლიტერატურაში ცენტრალური პოზიცია ეკავა ოჯახის ხელახალი გაერთიანების შესაძლებლობას.[440] ამ შემთხვევაში, ქალების ახალი როლი მოიაზრებდა საზოგადოების „განკურნებას," „გაჯანსაღებას".[441] მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას და მისი დასრულების შემდგომ, მხატვრულ ლიტერატურაში იქმნება ქალების სახე, რომლებიც უთანაგრძნობენ მამაკაცებს, უქმნიან ყველანაირ პირობებს რომ მათ თავი სრულფასოვან წევრებად იგრძნონ. მამაკაცებს, რომლებმაც ფრონტზე ტრავმა მიიღეს და ახლებურ რეალობასთან შეგუება უჭირთ, ახალი ტიპის ქალი უნდა მოევლინოს მხსნელად. ომის დასრულების შემდგომ, მხატვრული ლიტერატურა ქმნიდა ისეთი ქალის არქეტიპებს, რომლებიც დასახიჩრებულ მამაკაცს საქმროდ თუ ქმრად კვლავ აღიარებდნენ და ხელს უწყობდნენ მათ ჩართულობას საზოგადოებაში.[442] მეორე მსოფლიო ომის ლიტერატურაში პირადი სივრცე განისაზღვრა სამკურნალო სივრცედ. ხოლო ქალები ტრავმირებული მამრობითი სქესის წარმომადგენლების მკურნალები[443] უნდა ყოფილიყვნენ. თუ ომის პერიოდში ქალებმა დაარღვიეს გენდერული საზღვრები და დაიკავეს „მამაკაცის სივრცე".[444] ომის შემდგომ, ვალდებულები იყვნენ ეს როლი კვლავ მამაკაცებისთვის გადაეცათ. ასევე, საინტერესოა პარადიგმა, რომლის მიხედვით, ქალი პერსონაჟების დამოკიდებულება

---

[438] **Brintlinger**, "*Mothers, Father(s), Daughter*," 61.
[439] **Anna Krylova**. "Imagining socialism in the soviet century," *Social History* 42 no 3, (2017):316.
[440] **Anna Krylova**. "Healers of Wounded Souls: The Crisis of Private Life in Soviet Literature, 1944-1946," *Journal of Modern History* 73, no. 2 (2001): 308, https://doi.org/10.1086/321026..
[441] **Krylova**, "Healers of Wounded Souls," 314.
[442] **Krylova**, "Healers of Wounded Souls," 324.
[443] **S. T. Dawson**, "Women and the Second World War," *International Journal of Military History and Historiography* 39 (2019): 171–80, https://doi.org/10.1163/24683302-03902002.
[444] **Krylova**, "Healers of Wounded Souls," 325.

ომის დროს და მის შემდეგ იცვლება. თუ ომის პერიოდში ქალები არ კარგავენ ქალურობას და ელიან სატრფოს დაბრუნებას ფრონტიდან, მას შემდეგ რაც სამხედროები ბრუნდებიან სახლში და მათი სხეული ჭრილობებით არის სავსე, ქალებში იღვიძებს დედობრივი ინსტიქტი და ისინი ახლა არა მხოლოდ სატრფოს როლში არიან, არამედ ითავსებენ მზრუნველი დედის როლს და უთანაგრძნობენ სატრფოს თავს გადახდენილ ამბავს.[445] თუმცა, არსად ჩანს, რას განიცდიან ქალები, როგორია მათი ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა. ქალის პიროვნული „მე"-ს ადგილი საბჭოთა საზოგადოებაში ძალიან შევიწროებულია. ის არის სხვების ზრუნვით დაღლილი, მუდამ მოამაგე და ყურადღებიანი. თუმცა, არსად ჩანს ქალების ტკივილი, დარდი და სიძნელეები, რომელთა გამკლავებაც უწევდათ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მხატვრულ ლიტერატურაში საზოგადოდ დამკვიდრებული ქალი პერსონაჟებისგან განსხვავებით, საბჭოთა მხატვრულ ლიტერატურაში ქალები აქტიური აქტორები არიან. თუ ძველბერძნულ ლიტერატურაში ვხვდებით პენელოპეს პერიფერიულ პერსონაჟს, რომელიც ელოდება ოდისევსის დაბრუნებას ტროას ომიდან, მისგან განსხვავებით, მე-20 საუკუნეში საბჭოთა ქალები ჩართულნი იყვნენ ომში[446]. ამას მოუწოდებს სახელმწიფო ინსტიტუტებიც. საბჭოთა ლიტერატურა არ უარყოფს ქალების მიღწევებს ომში, მაგრამ ისინი სხვა ღირებულებისაა მამაკაცების „დამსახურებასთან" შედარებით.[447] მიუხედავად ქალთა აქტიურობისა, საბჭოთა ლიტერატურა ამკვიდრებდა ქალის და მამაკაცის ტრადიციულ როლებს, რომლის მიხედვით კაცები მებრძოლი ჯარისკაცები იყვნენ, ხოლო ქალები - მორწმუნე ცოლები, რომლებიც არ გააციებდნენ კერიაში ცეცხლს,[448] მაგრამ თუ სამშობლოს დასჭირდებოდა, ბრძოლაშიც ჩაებმებოდნენ. შესაბამისად, ქალების ომში ყოფნა საბჭოთა ლიტერატურისთვის გამონაკლისი შემთხვევაა. ბოლშევიკების აზით, „ომი არ არის ქალის საქმე".[449] ქალის ძირითად მოვალეობად ბოლშევიკებისთვის ცოლობა

---

[445] **Krylova**, "Healers of Wounded Souls," 329.
[446] **Katharine Hodgson**. "The Other Veterans: Soviet Women's Poetry of World War 2," in *World War 2 and the Soviet People*, eds. J. Garrard and C. Garrard (London: Palgrave Macmillan, 1993), 77, https://doi.org/10.1007/978-1-349-22796-9_5.
[447] **Hodgson**, "The Other Veterans," 77.
[448] **Hodgson**, "The Other Veterans," 77.
[449] **Hodgson**, "Women in Poetry," 210.

და დედობა აღიქმებოდა, რაც ტრადიციული გენდერული პარადიგმის ნაწილია. ამიტომ, ომის დროს ქალთა მაღალი აქტივობა, ომის დასრულების შემდგომ კვლავ საწყის პუნქტს უნდა დაბრუნებოდა. შესაბამისად, მხატვრულ ლიტერატურაში არ ჩანს, რა დამსახურება ჰქონდათ ომში ქალებს. უფრო მეტად გამახვილებულია ყურადღება მათი, როგორც დედების, ცოლების როლზე. ასევე, ლიტერატურაში ხოტბას ასხამენ იმ ქალებს, რომლებიც შრომობენ მამაკაცების მაგივრად და თან ქალურობას ინარჩუნებენ.[450] მართალია, არსებობს მებრძოლი ქალების ნაწილიც, მაგრამ ეს მაინც შემთხვევითი და დროებითი მოვლენაა.

კვლევა, როგორც აღვნიშნეთ, ემყარება ლიტერატურულ ჟურნალ „მნათობის“ და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ანალიზს, 1941-1945 წლებში. ჟურნალის კვლევისას საინტერესო ტენდენცია გამოიკვეთა - ქალთა ემანსიპაცია სახელმწიფო პროპაგანდის აქტიური ნაწილია, თუმცა ქალთა ემანსიპაცია განიხილება მხოლოდ „საჭირო დოზით“. კერძოდ: სტალინური კულტურის მესვეურთათვის მისაღები იყო ქალი, რომელიც გარდა დიასახლისისა საჭირო დროს (მაგალითად ომის პერიოდში) შეძლებდა ჩაენაცვლებინა ქმარი/მამა სამუშაო ადგილზე. ქალთა ემანსიპაცია საბჭოთა კავშირში უნდა განვიხილოთ არა როგორც საზოგადო მოვლენა, რომლის მიზანს ქალთა სრული თანასწორობის მიღწევა წარმოადგენდა, არამედ დროებითი, ომის თანმდევი მოვლენა. ქალების გააქტიურება, პირველ რიგში, არასაკმარისი მუშახელის რაოდენობით იყო გამოწვეული. ამასთანავე, ქალთა ემანსიპაციას თან ახლდა ქალთა დატვირთვის ზრდა: გარდა სამსახურებრივი მოვალეობისა, ქალები საოჯახო საქმიანობაში წინანდებურად აქტიურად უნდა ყოფილიყვნენ ჩართული.

კვლევის დროს გამოვყავით ქალის რამდენიმე სახე, რომლებიც აქტიურად გვხვდება ლიტერატურულ ნაწარმოებებში. ესენია: პირველი - პარტიზანი, მებრძოლი, ფაშისტებზე შურისმაძიებელი ქალი; მეორე - დედის სახე, მესამე - მამაკაცის საქმის სრულყოფილად შემსრულებელი, მშრომელი ქალი, მეოთხე - ფემინური ქალი, მეხუთე - მსხვერპლი ქალი. ქვემოთ ვეცდებით დავახასიათოთ თითოეული მათგანი. შექმნილი ლიტერატურული სახეები საზოგადოებისთვის სანიმუშო უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, საბჭოთა მწერალი თუ პოეტი, ვალდებული იყო საკუთარი პერსონაჟი გარკვეულ ჩარჩოში ჩაესვა და მისთვის მიენიჭებინა ის თვისებები,

[450] **Hodgson**, "Women in Poetry," 210.

რომლებიც სახელმწიფო პროპაგანდისთვის აუცილებელი გახლდათ. საბჭოთა პროპაგანდა ჟურნალ „მნათობსა“ და გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ თავს იჩენს არა მხოლოდ მხატვრულ ნაწარმოებებში, არამედ სახელმწიფოს მაღალ ეშელონებზე მყოფი პირების განცხადებებშიც, რომელთაც ჟურნალი აქტიურად ბეჭდავდა. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვიაჩესლავ მოლოტოვი 1941 წ. 22 ივნისს რადიოთი მიმართვისას მოუწოდებს ქალებს „ჯეროვნად მოეკიდონ თავის მოვალეობას“[451]. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ი.ბ. სტალინი 3 ივლისს, 1941 წ. რადიო მიმართვისას განმარტავდა, რომ საბჭოთა მოქალაქის მოვალეობაა „სიმამაცე, გამბედაობა, უშიშროება“ გამოიჩინოს ბრძოლაში[452]. მისი აზრით, საბჭოთა ადამიანმა თავისი მუშაობა „საომარ ყაიდაზე“[453] უნდა გარდაქმნას. ამ მიმართვაში სტალინი მწერლების და ლიტერატურის მნიშვნელობასაც შეეხო. მისი აზრით, ლიტერატურა უნდა დაუკავშირდეს სამხედროების „საბრძოლო უნარიანობის გაძლიერებას და წითელი არმიის განმტკიცებას“[454]. მწერლების დანიშნულება „საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობის“[455] გაღვიძებაა. „მხატვრული ნაწარმოებები უნდა აღაფრთოვანებდეს ჩვენს მებრძოლებს, ბრძოლისა და შრომის ენთუზიაზმს ზრდიდეს მასებში“[456].

საბჭოთა აგიტაციური პროპაგანდა ომის პერიოდში ავალდებულებდა პრესას ომის მიმდინარეობისას ჟურნალ-გაზეთების მთავარ მიმართულებად ექციათ საზოგადოებაში საბრძოლო განწყობის ამაღლება[457]. „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილი სტატიების მიხედვით, საბჭოთა მწერალს დამატებითი ამოცანა აქვს შესასრულებელი, ის მარტო საბჭოთა მწერალი აღარ არის და მან უნდა შეითავსოს პოლიტიკური აგიტატორის ფუნქცია. სტატიაში განმარტებულია, რას მოიაზრებს პოლიტიკური აგიტატორობა: „საბჭოთა მწერალი ჩადგა დიდი სამამულო

---

[451] **ვიაჩესლავ მოლოტოვი,** „სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მიმართვა...“ *მნათობი* 6-7 (1941 წლის ივნისი-ივლისი):6.

[452] **იოსებ სტალინი,** „თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თამჯდომარის ი.ბ. სტალინის გამოსვლა..“ *მნათობი* N6-7 (1941 წლის ივნისი-ივლისი):10.

[453] **იოსებ სტალინი,** „თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თამჯდომარის ი.ბ. სტალინის გამოსვლა..“ *მნათობი* 6-7 (1941 წლის ივნისი-ივლისი):15.

[454] **იქვე.,** გვ. 16.

[455] **იქვე.,** გვ. 16

[456] **იქვე.,** გვ. 16.

[457] **C. K. Berkhoff.** *Motherland in Danger: Soviet Propaganda during World War II* (Cambridge: Harvard University Press, 2012), 11, https://doi.org/10.2307/j.ctt2jbqnd.

ომის სამსახურში, გახდა ამ ჭეშმარიტად სამართლიანი ომის - ფაშისტური ურჩხულისაგან დაპყრობილ ხალხთა განმათავისუფლებელი ომის - პროპაგანდისტი“[458]. ამ ფრაზის მიხედვით, აშკარაა, რომ საბჭოთა მწერლის დანიშნულება ომის დროს გაფართოვდა და მას დაევალა პროპაგანდისტული იდეების გავრცელებაც. ამის შესახებ ღიად იწერებოდა ჟურნალ-გაზეთებში. „ლიტერატურულ საქართველოში“ ვკითხულობთ: „საბჭოთა მწერლის კალამს დღეს სხვა დანიშნულება არ უნდა ჰქონდეს, გარდა ერთი დანიშნულებისა - სოციალისტური სამშობლოსათვის თავდადების ცეცხლით აღანთოს ყოველი საბჭოთა მოქალაქე[459]“. ამიტომ, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა საბჭოთა საგმირო საქმეების ასახვა საბჭოთა მხატვრულ ლიტერატურაში. სტატიის ავტორის აზრით, „მწერალ-აგიტატორი თან ეხმარება მოსახლეობას, რომ სიმართლე გაიგონ, ქმნის ნაწარმოებებს და მათ სულიერ განწყობაზე ზრუნავს. თან პრაქტიკულად არის ჩაბმული ომში“.[460] შესაბამისად, მხატვრული ლიტერატურის დანიშნულება ე.წ. სამამულო ომის დროს გაფართოვდა. მწერალი კი უნდა დამორჩილებოდა ამ ახალ ტენდენციას და ქცეულიყო საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანის განმახორციელებელ ელემენტად. საბჭოთა სახელმწიფო მწერლისგან მოითხოვდა, რომ ომის მიმდინარეობისას მისი „ყოველი სტრიქონი, ყოველი სიტყვა ყოფილიყო ბასრი და ფხიანი“[461] სწორედ აქედან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ საბჭოთა ქართული ლიტერატურის შესწავლა მნიშვნელოვანია იმ პერიოდის საბჭოთა სოციალისტურ საქართველოში შექმნილი პოლიტიკური აზრის საკვლევად და საზოგადოებაში ქალთა სტატუსის შესაფასებლად.

„ლიტერატურული საქართველოს“ კიდევ ერთი თავისებურებაა ის ფაქტი, რომ მასში მარტო ლექსები და მოთხრობები არ იბეჭდება. გაზეთში გვხვდება, როგორც ი. სტალინის და მოლოტოვის ბრძანებები, ასევე, ყველა სახელოვნებო სივრცეში განხორციელებული პროექტები, რომლებიც მიმართულია საბჭოთა

---

[458] „საბჭოთა მწერალი - პოლიტიკური აგიტატორი,“ *ლიტერატურული საქართველო N*39 (198) (1941 წლის 26 სექტემბერი): 1.

[459] „წინ ჩვენი გამარჯვებისთვის!“, *ლიტერატურული საქართველო N*28 (187) (1941 წლის 10 ივლისი):1.

[460] „საბჭოთა მწერალი - პოლიტიკური აგიტატორი“, *ლიტერატურული საქართველო N*39 (198) (1941 წლის 26 სექტემბერი): 1.

[461]„მწერლობა სამამულო ომის სამსახურში“, *ლიტერატურული საქართველო N*30 (189) (1941 წლის 25 ივლისი): 1.

ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისკენ. მაგ. გაზეთი ბეჭდავდა სპექტაკლების შესახებ ინფორმაციას, რომლებიც საბჭოთა საქართველოს სხვადასხვა თეატრის სცენაზე იდგმებოდა. გაზეთში იბეჭდებოდა ახლადდაწერილი სიმღერები, კომპოზიციები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის თემატიკას შეეხებოდა. გაზეთი ყურადღებას ამახვილებდა იმ ფაქტზე, თუ რა ამოცანა აქვს ზოგადად საბჭოთა ქართულ მწერლობას, ასევე, ლიტერატურულ საღამოებზე, რომლის მიზანი საბჭოთა ფრონტის და ზურგის გმირების განდიდება იყო. შეიძლება ითქვას, რომ გაზეთის მთელი მუშაობა გადაწყობილი და მორგებული იყო ე.წ. „სამამულო ომს“.

„მნათობის“ 1941 წლის ივნისის ნომერი დატვირთულია საბრძოლო თემატიკით. მაგ. ივნისის ნომრის პირველივე ლექსია ალიო მაშაშვილის „სიმღერა გამარჯვებისა“[462] - მაშაშვილის ეს ლექსი საპროგრამოა, მკითხველს უსახავს მომავალი ომის სიმძიმეს: „ბრძოლა იქნება დიდი, ბრძოლა იქნება მკაცრი“[463] მსგავსი მოწოდება ჩანს კლავდია დევდარიანის მოთხრობაში „ზარი“: „სამშობლოს გაჭირვება ადგია, ყველანი ისე უნდა დავეხმაროთ, როგორც შეგვიძლია“.[464] კალე ბობოხიძე ლექსში „სახალხო ლაშქარი“ გერმანელების განადგურებისკენ აქეზებს მკითხველს: „გავანადგუროთ, დავბუგოთ, - მტარვალთა გზა და სავალი[465] ამ მიმართვების მთავარი სამიზნე საბჭოთა მოქალაქეები იყვნენ და მიზანს კი მკითხველის საბრძოლო სულის ამაღლება წარმოადგენდა.

ომის დაწყების პირველ პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა მოქალაქეებს შორის ბრძოლისუნარიანობის ამაღლება. მიზნის მისაღწევად „მნათობში“ იბეჭდებოდა ძველი, ისტორიული ომების შესახებ ინფორმაცია. ასევე, „მნათობი“ სთავაზობდა მკითხველს ცნობილი სარდლების ბიოგრაფიებს. მაგ. „მნათობის“ 1941 წ. ივნისის ნომერში დაიბეჭდა სტატია პეტრე ბაგრატიონის შესახებ. ნომერში, ვ. პ. ბაგრატიონი, რომელიც საკუთარ თავს ბაგრატიონის შთამომავალს უწოდებს მკითხველს უყვება ბაგრატიონის ისტორიას.[466] ასევე, ამავე ნომერში

---

[462] **ალიო მაშაშვილი,** „სიმღერა გამარჯვების“, *მნათობი* N6-7 (1941 წლის ივნისი-ივლისი): 17.
[463] **მაშაშვილი,** „სიმღერა გამარჯვების,“ 17.
[464] **კლავდია დევდარიანი,** „ზარი,“ *მნათობი N3 (*1944 წლის მარტი):31-34.
[465] **კალე ბობოხიძე,** „სახალხო ლაშქარი”, *ლიტერატურული საქართველო* N31 (190) (1941 წლის 1 აგვისტო):1.
[466] **ვ.პ. ბაგრატიონი,** „უშიშარი სარდალი“, *მნათობი* N6-7 (1941 წლის ივნისი-ივლისი):164-170.

დაიბეჭდა სტატია „რა არის სიმამაცე“[467] რომლის მიზანია მოუწოდოს მოსახლეობას ბრძოლისაკენ. ისტორიული ნარატივის გაცოცხლება ბრძოლისუნარიანობის გაღვივების მიზნით ჩანს გიორგი ქუჩიშვილის ლექსში „ცხრანი“. ლექსში აღწერილია ცხრა შეფიცული ადამიანის ისტორია, ასოციაციურად საბჭოთა საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის მკითხველს ახსენებს 9 ძმა ხერხეულიძის გმირულ ისტორიას. ეს უნდა იყოს მკითხველში ბრძოლისუნარიანობის ამაღლების საფუძველი[468]. იგივე იდეის მატარებელია ალექსანდრე აბაშელის „წითელი ყვავილები“.[469]

ამავე მიზნით იბეჭდებოდა „მნათობსა“ და „ლიტერატურულ საქართველოში“ ცნობილი ქართველი პუბლიცისტების თუ მწერლების წერილები. მაგ. 1943 წ. დაიბეჭდა გიორგი ჯიბლაძის პუბლიცისტური წერილი „გერმანიის მილიტარიზმის კრიტიკა ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკაში“[470]. ილია ჭავჭავაძის შეხედულებები მორგებულია ანტიგერმანულ განწყობას, რომლის გავრცელება სურს საბჭოთა ხელისუფლებას. ვინაიდან, ილია ჭავჭავაძე ქართველი ხალხისთვის „ერის მამად“ იყო მიჩნეული, საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანა, მისი დახმარებით ცდილობს, გერმანელებისგან შექმნას მტრის ხატი. იმავე მიზნით, დაიბეჭდა 1944 წ. გიორგი შატბერაშვილის ლექსი „ერეკლე მეფის ანდერძი“[471]. ლექსის მთავარი მიზანი გმირული წარსულის გახსენება და ამ გზით მკითხველზე შთაბეჭდილების მოხდენაა. რა თქმა უნდა, აღნიშნული გზა მკითხველზე ზემოქმედების მოხდენის მიზნით აირჩია რედაქციამ. ამ მეთოდით ადვილი იყო ბრძოლაში ჩართვის მნიშვნელობის ახსნა საბჭოთა მოქალაქეებისთვის. ამავე მიზნით, იბეჭდებოდა სტატიები საქართველოს ისტორიიდან და ასევე, ქართველი სამხედროების შესახებ. საბჭოთა ისტორიოგრაფია ნაპოლეონის რუსეთში შესვლას პირველ სამამულო ომად მოიხსენიებს. 1941 წლის 28 ნოემბერს დაბეჭდილ სტატიაში „რუსეთის პირველი სამამულო ომი და მასში მონაწილე ქართველები“ ტრიფონ რუხაძე საუბრობს ქართველების როლზე ე.წ. პირველ სამამულო ომში. ის ასახელებს კონკრეტულ

---

[467] **მ. გრომოვი,** „რა არის სიმამაცე“, *მნათობი* N6-7 (1941 წლის ივნისი-ივლისი):171-175..

[468] **გიორგი ქუჩიშვილი,** „ ცხრანი“, *მნათობი* N5 (1943 წლის მაისი):5.

[469] **ალექსანდრე აბაშელი,** „წითელი ყვავილები“, *მნათობი* N11-12 (1943 წლის ნოემბერი-დეკემბერი): 21.

[470] **გიორგი ჯიბლაძე,** „გერმანიის მილიტარიზმის კრიტიკა ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკაში“, *მნათობი* N 1 (1943 წლის იანვარი):116.

[471] **გიორგი შატბერდაშვილი,** „ერეკლე მეფის ანდერძი“, *მნათობი* N 3 (1944 წლის მარტი): 30.

პირებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ომში[472]. ამ სტატიის მიზანია ქართველ მკითხველს შეახსენოს რომ ისინი „რუსი ძმების“ გვერდით წინათაც იბრძოდნენ და დღესაც იგივე მოეთხოვებათ. ამავე ტენდენციას აგრძელებს სტატიები, რომლებშიც მკითხველს მოუთხრობენ ცოტნე დადიანის[473], ქეთევან დედოფლის[474], გიორგი სააკაძის,[475] შავლეგოს[476] და სხვათა გმირობის შესახებ და ერთგვარად, შეახსენებს მკითხველს ქართველთა ისტორიულ გამოცდილებას, რომელიც მათთვის გაკვეთილი უნდა იყოს.

გარდა ისტორიული გამოცდილების ხელახლა გაზიარებისა, საბჭოთა პრესა აქტიურად მიმართავდა პირდაპირი მოწოდებებით საკუთარ მკითხველს და უსახავდა გზას, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ რათა „ნამდვილი საბჭოთა მოქალაქეები“ ყოფილიყვნენ. „ლიტერატურულ საქართველოში“ 1941 წლის 12 სექტემბერს დაიბეჭდა სტატია „შრომის ფრონტი და ჩვენი ამოცანები“. რომელშიც ავტორი გაცხადებულად მოუწოდებს ყველას, რომ გამოიჩინონ „შრომითი გმირობა“, რაც გულისხმობს ფრონტზე წასული მამაკაცების ჩანაცვლებას: „მილიონობით ჯარში გასულ ვაჟკაცებს სცვლიან ქალები, დები და ცოლები, რომლებიც სწრაფად ეუფლებიან თავიანთი ძმებისა და ქმრების კვალიფიკაციას და დღითიდღე ადიდებენ შრომის ნაყოფიერებას[477]“. გარდა ამისა, სპეციალური დავალება აქვთ საბჭოთა მწერლებს, რომლებმაც უნდა შეძლონ და გამოაჩინონ ნაწარმოებებში „ზურგის გაასკეცებული მუშაობა, საბჭოთა პატრიოტის დაძაბული შრომა, რომელიც ჰკვებავს ფრონტს და უზრუნველყოფს ჩვენი არმიის ძლევამოსილებას[478]“.

---

[472] **ტრიფონ რუხაძე,** „რუსეთის პირველი სამამულო ომი და მასში მონაწილე ქართველები“, *ლიტერატურული საქართველო* N48 (207) (1941 წ 28 ნოემბერი): 2.

[473] **სერგო კლდიაშვილი,** „ერისთავი ცოტნე“, *ლიტერატურული საქართველო* N4 (260)(1943 წლის 10 თებერვალი): 2.

[474] **ქეთევან ირემაძე,** „კოცონზე“, *ლიტერატურული საქართველო* N7 (283) (1943 წ 12 მარტი):2.

[475] **ალ. ბარამიძე,** “პატრიოტიული მოტივები ძველ-ქართულ პოეზიაში”, *ლიტერატურული საქართველო* N23 (234) (1942 წლის 6 ივნისი):1.

[476] **დ. გივარგილიანი,** „ქართველი გმირები“, *ლიტერატურული საქართველო* N34 (245) (1942 წლის 1 სექტემბერი): 2.

[477]„შრომის ფრონტი და ჩვენი ამოცანები“, *ლიტერატურული საქართველო* N37 (196)(1941 წ 12 სექტემბერი):1

[478]„შრომის ფრონტი და ჩვენი ამოცანები“, *ლიტერატურული საქართველო* N37 (196)(1941 წ 12 სექტემბერი):1.

მეორე ნიშანი, რომლითაც საბჭოთა მწერლობა ფაშისტებს ებრძოდა, იყო გერმანელებისგან „მტრის ხატის“ შექმნა. ამისთვის, საჭირო იყო მოსახლეობას გასჩენოდა ღია სიძულვილი გერმანელებისადმი. მხატვრულ ნაწარმოებებში ხშირად გვხვდება ფაშიზმის დახასიათებისას ემოციური ლექსიკა. 1941 წლის ივნისის ნომერში დაიბეჭდა სტატია „ფაშიზმის სამყაროში“. ამ სტატიაში აღწერილია, თუ როგორ უსწორდებიან ფაშისტები ქალებს და ბავშვებს[479]. ეს ხაზი შემდეგ თითქმის ყველა ნაწარმოებშია გატარებული. მაგ. კალე ბობოხიძის „მტარვალში“ ავტორი წერს: „აღარ შერჩება მტარვალს თარეში, დედების კვნესა, ბავშვების ცრემლი“.[480] ამდენად, მხატვრულ ნაწარმოებებში ხშირად აღწერდნენ ქალებსა და ბავშვებზე მოძალადე, მკვლელ გერმანელებს. ქალებსა და ბავშვებზე ძალადობა განსაკუთრებულად მტკივნეული იყო მკითხველისთვის და ბევრად მეტ ემპათიას ბადებდა და ხაზს უსვამდა მტრის სისასტიკეს (მსგავს პროპაგანდას თავის მხრივ, ეწეოდა გერმანული მხარეც).[481]

როგორც „მნათობის,“ ისე „ლიტერატურული საქართველოს“ შემთხვევაში, 1941 წლის ივნისის ნომერში ჭარბობს პირდაპირი მოწოდება მტრის წინააღმდეგ, სტატიებში ძირითადად გამოყენებულია სიტყვები: „დაუძინებელი მტერი“, განვგმიროთ“, „ბარბაროსები“, „გავანადგურეთ“ და სხვ.[482] ეს ტერმინოლოგია გერმანელების მიმართ შემდეგ ჟურნალ-გაზეთებშიც აქტიურად გამოიყენება.

გარდა ზოგადად გერმანელი ერისგან მტრის ხატის შექმნისა, საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანა თავისი მოქალაქეებისთვის ქმნიდა ისტორიებს გერმანული მხარის ცნობილი მეთაურების შესახებ. მათ შორის კი გამორჩეულად ბევრი იწერებოდა ჰიტლერზე. მაგ. ა. ვინეგრადოვი და ა. დეიჩი სტატიაში „შარა-გზის ყაჩაღი[483]“ და ილია ერენბურგი სტატიაში „ვინ არიან ისინი?[484]“ ჰიტლერის

---

[479] „ფაშიზმის სამყაროში“, *მნათობი* N6-7 (1941 წლის ივნისი-ივლისი): 215.

[480] **კალე ბობოხიძე,** „მტარვალი“, *მნათობი* N 12 (1941 წლის დეკემბერი): 95.

[481] **C. Usborne.** "Female Sexual Desire and Male Honor: German Women's Illicit Love Affairs with Prisoners of War during the Second World War," *Journal of the History of Sexuality* 26, no. 3 (2017): 467, http://www.jstor.org/stable/44862407 [ბოლო ვიზიტი 10/01/2025].

[482] **ტ. ჯატიევი,** „პოეტი მეომარი“, *ლიტერატურული საქართველო* N26 (185) (1941 წლის 27 ივნისი): 1.

[483] **ა. ვინეგრადოვი და ა. დეიჩი,** „შარა-გზის ყაჩაღი“, *ლიტერატურული საქართველო* N31 (190) (1941 წლის 01 აგვისტო): 2.

[484] **ილია ერენბურგი,** „ვინ არიან ისინი“, *ლიტერატურული საქართველო* N30 (189) (1941 წლის 25 ივლისი):1.

ბიოგრაფიას მოუთხრობენ მკითხველს. თუმცა, ყველა აბზაცი და ყველა წინადადება დაცლილია ობიექტურობისგან და მათი მიზანია, მკითხველში ზიზღის და სიძულვილის გაჩენა ჰიტლერისადმი. ამავე მიზნით, იწერებოდა სტატიები, რომლებშიც ცნობილი პიროვნებები გმობდნენ ჰიტლერის ქმედებებს და მხარს უჭერდნენ საბჭოთა კავშირის ბრძოლას მათ წინააღმდეგ. ამის მაგალითია, „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილი სტატია „გერმანიის ფაშისტი ბარბაროსების წინააღმდეგ“. სათაური სუბიექტურია და გერმანელებისგან მტრის ხატს ქმნის. სტატიის ავტორი (ავტორი: დ. ვასაძე) მკითხველს გააცნობს „მსოფლიო კულტურის მოწინავე მუშაკებს“, რომლებმაც დაგმეს ჰიტლერის საბჭოთა კავშირთან დაპირისპირება. სტატია იხსენებს მწერალ ლიონ ფეიხტვანგერს, ჰერბერტ უელსს, ჟიულ რომენს, ჰენრიხ მანს და თეოდორ დრაიზერს[485]. თითქოს ამ გზით უნდა დაარწმუნოს თავისი მკითხველი, რომ საბჭოთა მოქალაქეები მარტო არ არიან და მათ მსოფლიო უჭერს მხარს. მეორე მხრივ, კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვას მოსაზრებას, რომ ჰიტლერის დაწყებული ომი აგრესიულია, ხოლო საბჭოთა მხარე მხოლოდ თავდაცვით პოზიციაზეა. არ უარვყოფთ ფაქტს, რომ გერმანელი სამხედროები სასტიკად ექცეოდნენ მოწინააღმდეგეს. თუმცა, სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის მებრძოლებიც არაერთ სამხედრო დანაშაულს ჩადიოდნენ[486]. მაგალითისთვის საკმარისია ვახსენოთ პოლონეთში დატრიალებული „კატინის ტრაგედია“. განსხვავება ამ ორ ქმედებას შორის არის შემდეგი: გერმანელების დანაშაული უფრო ღიად ჩანდა, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების დანაშაული შედარებით დამალული იყო.

კვლევის შემდეგ ნაწილში ვიმსჯელებთ თითოეულ არქეტიპული სახის დანიშნულებაზე, ხერხებზე, რომელსაც ავტორი იყენებს ასეთი პერსონაჟების შესაქმნელად და მათ როლზე საბჭოთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

---

[485] **დ. ვასაძე,** „მთელი მსოფლიოს მოწინავე მწერლები გერმანიის ფაშისტი ბარბაროსების წინააღმდეგ“, *ლიტერატურული საქართველო* N28 (187) (1941 წ. 10 ივლისი): 2.

[486] **M. Reyes,** "Experiences of Soviet Women Combatants During World War II" (History Thesis, 2017), 20, https://digitalcommons.buffalostate.edu/history_theses/41.

§ 6.1. პარტიზანი, მებრძოლი ქალი.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა დაიწყო ბრძოლა გერმანიის წინააღმდეგ, საბჭოთა პროპაგანდისტულმა მანქანამ მაშინვე შექმნა ფაშისტი გერმანელებისგან მტრის ხატი, რომელიც რიგითი საბჭოთა მოქალაქისთვის ასოცირებული უნდა ყოფილიყო უგულო, უგრძნობ, სასტიკ და ველურ არსებასთან, რომელიც ყველაფერზე იყო წამსვლელი. საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანა ყურადღებას აქცევდა განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფებისადმი (ფეხმძიმე ქალები, ქალები, ბავშვები, მოხუცები) გერმანელების დამოკიდებულებას. საბჭოთა თემატიკაზე შექმნილ ნაწარმოებებში ხშირად ჩანს გერმანელი, რომელიც კლავს ბავშვს, აწამებს ფეხმძიმე ქალს ან მოხუცს. საბჭოთა პროპაგანდა ამ გზით ცდილობდა გერმანელისგან მტრის ხატის შექმნას. „ფაშისტის" მოკვლა კი ყველა ღირსეული საბჭოთა მოქალაქის ვალი იყო. ელიზბარ პოლუმორდვინოვი მოთხრობაში „მე ის მოვკალი" მთავარ პერსონაჟ-ქალს ფაშისტი ჯარისკაცის მკვლელობის შემდეგ ათქმევინებს: „მე ის მოვკალი...კიდევ მოვკლავ..."[487] ამდენად, „ფაშისტების" მკვლელობისკენ პირდაპირი მოწოდება ისმის მხატვრულ ნაწარმოებებშიც.

1930-იან წლებში მამაკაცების დომინანტური პოზიცია ხელშეუხებელი იყო, ხოლო ქალების ემანსიპაცია ბოლომდე ვერ განხორციელდა[488]. მიუხედავად ამისა 1930-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი გმირი ქალების კულტს[489]. მეორე მსოფლიო ომის ფრონტის გააქტიურებასთან ერთად ქალებისთვის საჭირო იყო მაგალითის მიცემა, რათა ჩართულიყვნენ ომში. ასე თანდათან ყალიბდება ქალი მებრძოლის სახე. გამორჩეული იყო ქალი პილოტების როლი, რომლებიც გახდნენ მისაბაძი მაგალითები. ამ ტიპის ქალებმა ქალის სოციალურ-ბიოლოგიური ვალდებულება - დედობა, გარკვეულწილად, შეცვალეს. აღსანიშნავია, რომ მშვიდობის დროსაც ქალი-მებრძოლების დახმარებით ქალებს მიეცათ უფლება წასულიყვნენ ფრონტზე[490]. გარდა პილოტებისა, საბჭოთა კავშირის ხელისუფლება ხელს უწყობდა ქალი

---

[487] **ელიზბარ პოლუმორდვინოვი,** „მე ის მოვკალი", *ბნათობი* N2 (1942 წლის თებერვალი):76.

[488] **Anna Krylova,** Stalinist Identity from the Viewpoint of Gender: Rearing a Generation of Professionally Violent Women-Fighters in 1930s Stalinist Russia," *Gender and History* 16, no. 3 (2004): 627, https://doi.org/10.1111/J.0953-5233.2004.00359.X.

[489] **Markwick**, "The Motherland Calls," 220.

[490]**Krylova**, "Stalinist Identity from the Viewpoint of Gender,"629.

სნაიპერების[491], ავტობუსის მძღოლების, ტრაქტორისტების და სხვ. ე.წ. „მამაკაცურ პროფესიებზე“ ქალების დაწინაურებას. საბჭოთა ქალი სნაიპერი იყო ვერა სტაფინსკაია, რომელსაც გამოსახავდნენ ფოტოებზე და ამ გზით პოპულარიზაციას უწევდნენ მის საქმიანობას. ფოტოს მიხედვით ქალი არის ახალგაზრდა, ენერგიული სამხედრო[492]. პრესაც ხელს უწყობდა ქალი სამხედროების დაწინაურებას. ამ მიზნით „კომსმოლსკაია პრავდაში“ 1936 წლიდან იბეჭდებოდა ქალების წერილები. პოლინა ოსიპენკო, მარინა რასკოვა და ვალენტინა გრიზოდუბოვა გახდნენ პირველი ქალები, რომლებმაც მიიღეს „საბჭოთა კავშირის გმირის“ ტიტული[493]. მთლიანობაში, 1930-იანი წლების ბოლოს შეიქმნა ქალი სამხედრო პირების სახე, ისინი მისაბაძები იყვნენ დანარჩენი საბჭოთა მოქალაქეებისთვის. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დროსთან ერთად საბჭოთა ლიტერატურასა და ფოლკლორში ფრონტზე წასულმა ქალმა დაკარგა ღირებულება. გაჩნდა ჭორები და ხუმრობები ქალებზე, თითქოს ისინი პროსტიტუციის მიზნით, ან ქმრების საპოვნელად მიდიოდნენ ფრონტზე[494]. გაჩნდა დამაკნინებელი მეტსახელი - „ფრონტის ცოლები“ და „ცოლი, როგორც ნადავლი“[495] - რომლითაც აღწერდნენ ფრონტზე წასულ ქალებს. ეს დამოკიდებულება უარყოფითად აისახა ქალების შეფასებაზე. მათ უწევდათ ბრძოლა საკუთარი სახელის და საზოგადოებაში ადგილის შესანარჩუნებლად. ასევე ისიც უნდა ითქვას, რომ ფრონტზე წასული ქალები ორმაგ წნეხს განიცდიდნენ: ერთი მხრივ, ომის გამო და, მეორე მხრივ, მამაკაცებისგან, რომლებიც ხშირად ძალადობდნენ, შეურაცხყოფას აყენებდნენ[496] და ამცირებდნენ მათ[497]. სამხედრო სამსახურში 16-30 წლის ასაკის ქალები მსახურობდნენ. ექსტრემალურ პირობებში მყოფებს ხშირად უყვარდებოდათ მამაკაცი სამხედროები. ზოგიერთ შემთხვევაში კი მამაკაცებით გარშემორტყმულ ქალებს ერთი პარტნიორის ყოლა თავის დაცვის საშუალებად ესახებოდათ[498].

---

[491] **S. Goldstein,** *War and Gender: How Gender Shapes the War System and Vice Versa* (Cambridge: Cambridge University Press, 2001), 48.
[492] **Krylova**, "Stalinist Identity from the Viewpoint of Gender,"633.
[493] **Krylova**, "Stalinist Identity from the Viewpoint of Gender," 646.
[494] **Krylova**, "Stalinist Identity from the Viewpoint of Gender," 650.
[495] **Markwick**, “The Motherland Calls,” 226.
[496] **Roger D. Markwick**. “‘A Sacred Duty’: Red Army Women Veterans Remembering the Great Fatherland War, 1941-1945.” *Australian Journal of Politics and History* 54 no. 3 (2008):403.
[497] **Z. Saktaganova, A. Sagatova, Z. Nurigenova,** "Historiographical Review of the Problem 'Woman of the USSR in the Great Patriotic War – Hero or Victim?'," 2020, 285, https://doi.org/10.5281/zenodo.3984252.
[498] **Mie Nakachi.** “A Postwar Sexual Liberation?” *Cahiers du Monde Russe* [En ligne], 52/2-3 (2011): 5, http://journals.openedition.org/monderusse/9345; https://doi.org/10.4000/monderusse.9345.

ქალების დამსახურება ომის ფარგლებში არ იყო სათანადოდ დაფასებული. ჰოდჯსონი თვლის, რომ ქალების დამსახურება ომის დროს დაიკარგა. ის სვამს კითხვას: „სად არის უცნობი ექთნის საფლავი?“[499]. ომის დასრულების შემდეგ ნათელი გახდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების შეფასებით, მამაკაცების დამსახურება ომში აღემატებოდა ქალების დამსახურებას. მამაკაცები როგორც გმირები, ისე ბრუნდებოდნენ ფრონტიდან, ხოლო ქალები მთელი ცხოვრება მალავდნენ ფრონტზე ყოფნის ისტორიას[500].

ქალები წარმოადგენდნენ იმ ადამიანურ რესურსს, რომელსაც ფრონტზე წასული მამაკაცების ჩანაცვლება შეეძლო. ზუსტი რიცხვის დადგენა წითელ არმიაში ქალთა რაოდენობის შესახებ დღემდე სადავო საკითხად რჩება[501]. სამხედრო სამსახურში მყოფი ქალების რიცხვი 500 000-დან 2 მილიონამდე მერყეობს. თუმცა, კვლევების დიდი ნაწილი სარწმუნო რაოდენობად მიიჩნევს 800 000 ქალის მონაწილეობას სამხედრო სამსახურში[502]. განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა ქალთა 46-ე დანაყოფი, რომელსაც გერმანელებმა მეტსახელად „ღამის ჯადოქრები“ შეარქვეს[503]. აქვე უნდა ითქვას, რომ საბჭოთა სახელმწიფო მოხელეები სამხედრო საქმიანობაში ჩართულ ქალებს არ მიიჩნევდნენ საბჭოთა სამხედრო ელიტის წევრებად. ქალების ჩართვა ბრძოლაში დროებით მოვლენად განიხილებოდა. ამას მოწმობს საგანმანათლებლო სივრცეში გენდერული სეგრეგაცია და ახლადშექმნილ სუვოროვის კადეტთა სასწავლებელში ქალების ჩარიცხვაზე უარის თქმა[504].

ამ ფონზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, მსჯელობა ქალი პარტიზანების შესახებ, რომლის არქეტიპული სახე საბჭოთა მხატვრულ ლიტერატურაში შეიქმნა. ომის მიმდინარეობისას, პარტიზან ქალებს ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საბჭოთა

---

[499] **Hodgson**, "Women in Poetry," 253.

[500] **Nakachi**, “A Postwar Sexual Liberation,” 7.

[501] **Reina Pennington** "Offensive Women: Women in Combat in the Red Army in the Second World War," *The Journal of Military History* 74, no. 3 (July 2010): 782.

[502]**Saktaganova, Sagatova, and Nurigenova**, "Historiographical Review," 282. **Madison Pavia-Logan.** *The Motherland Calls: the portrayal of women in war posters during the great patriotic war, 1941-1945.* Thesis. (unpublished). გვ. 3. **Carmen Sheide**. “Unstintingly master warfare”: Women in the Red Army”. in the book: Women and Gender in Twentieth century Russia. edited by Melanie Ilic. Palgrave Macmillan, (2008):233. **S. Susan Corbesero**. *Gender, State, and Society in Soviet and Post-Soviet Russia* (London, 2000): 104. https://doi.org/10.4324/9780203135730

[503] **Kristal L M. Alfonso,** “The Soviet Female Fliers of World War II: An Examination of the Role of Women in Combat and the Policy Implications for Future American Military Operations," *Air University Press*, 2009, 30.

[504] **Pennington**, "Offensive Women,"819.

მმართველობა. ამის დადასტურებაა სტალინის 1943 წლის 7 ნოემბრის ბრძანება. ბრძანებაში დასაწყისიდანვე მიმართავს ბელადი პარტიზან ქალებს. შემდეგ კი ბრძანების მე-4 პუნქტში სტალინი ავალდებულებს პარტიზან ქალებს იბრძოლონ ფაშისტების წინააღმდეგ: „გააძლიერონ შემტევი წითელი არმიისადმი დახმარება, ანადგურონ მტრის ზურგი და შტაბები, გადაარჩინონ საბჭოთა ადამიანები..“[505]ამ მიმართვას ერთჯერადი ხასიათი არ ჰქონდა და პერიოდულად მეორდებოდა[506] [507]. უკვე 1944 წელს სტალინი აფასებდა განვლილ წლებს და წერდა: „ფასდაუდებელი დამსახურება მიუძღვით საბჭოთა ქალებს, რომლებიც თავდადებით მუშაობენ ფრონტის ინტერესებისთვის, მამაცურად იტანენ ომიანობის დროს ყველა სიძნელეს.“[508] „სამუდამოდ შევა ისტორიაში უმაგალითო შრომითი გმირობა საბჭოთა ქალებისა..“[509]. გარდა ამისა, სტალინის ბრძანებების მიხედვით, ზუსტად იყო განსაზღვრული რა თვისებების მქონე უნდა ყოფილიყო საბჭოთა ადამიანი. 1941 წლის 3 ივლისის ბრძანების მიხედვით, „საბჭოთა ადამიანების ძირითადი თვისება უნდა იყოს სიმამაცე, გამბედაობა, უშიშრობა ბრძოლაში, მზადყოფნა იმისათვის, რომ ხალხთან ერთად იბრძოლონ ჩვენი სამშობლოს მტრების წინააღდეგ[510]“ - ციტატები მოწმობს, რომ ბელადი ცდილობდა ომის წლებში მოქალაქეებისთვის სტიმული მიეცა და აემაღლებინა ბრძოლისუნარიანობა, როგორც მამაკაცებისთვის, ასევე, ქალებისთვისაც. საბჭოთა თითოეულ მოქალაქეს განურჩევლად სქესის და ასაკის უნდა ეგრძნო საკუთარი პასუხისმგებლობა და „სამშობლოს გამოსდგომოდა“. ამას მოწმობს „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილი ლექსი, რომლის ავტორი უცნობია. ერთსტროფიანი ლექსი, დიდი ფონტით სტატიებს შორის დაუბეჭდავთ, როგორც შეხსენება: „კაცი, ქალი თუ პატარა/ ქვეყნის ყოველი მუშაკი,/ ყველგან სად იყოს, სად არა,/ თავს გრძნობდეს, როგორც გუშაგი[511]!“

---

[505]**ი.ბ. სტალინი,** „ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა“, *მნათობი* N 11-12.(1943 წლის ნოემბერი-დეკემბერი): 19.

[506]**ი.ბ. სტალინი,** „ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა“, *მნათობი* N4-5 (1943 წლის აპრილი-მაისი):7.

[507]**ი.ბ. სტალინი,** „ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა“, *მნათობი* N4-5 (1944 წლის აპრილი-მაისი):5.

[508]**ი.ბ. სტალინი,** „ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა“, *მნათობი* N4-5 (1943 წლის აპრილი-მაისი):4.

[509]**ი.ბ. სტალინი,** „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის...“ *მნათობი* N11 (1944 წლის ნოემბერი): 8.

[510]„თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ი. ბ. სტალინის გამოსვლა რადიოთი“, *ლიტერატურული საქართველო* N27 (186) (1941 წლის 4 ივლისი):1.

[511] „კაცი, ქალი თუ პატარა“, *ლიტერატურული საქართველო* N30 (189) (1941 წლის 25 ივლისი): 1.

ამ ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ ქალები, რომლებიც ტრადიციული დიასახლისებისგან განსხვავდებოდნენ და გენდერული პარადიგმიდან გამოდიოდნენ. საინტერესოა, რომ საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკაში დაბეჭდილ საბჭოთა მხატვრულ ნაწარმოებებში ხშირად ჩანს მთავარი პერსონაჟის სახეცვლილება. მკითხველი თუ დასაწყისში ხედავს თავმდაბალ, მშრომელ და სუსტ ქალს, ნაწარმოების დასასრულს პერსონაჟში ფაშისტებისადმი შურისძიების წყურვილით აღვსილი, ძლიერი და გამბედავი ქალი წარმოუდგება. ეს ერთგვარი მინიშნება იყო საბჭოთა მოქალაქეებისთვის, რომ მიუხედავად საზოგადოდ მიღებული საბჭოთა გენდერული როლებისა (რომელიც ქალების ადგილს საზოგადოებაში განსაზღვრავდა), ქალებს საჭიროების შემთხვევაში უნდა ებრძოლათ და არ დანებებულიყვნენ. ხშირად ნაწარმოებები ხაზს უსვამს ფაქტს, რომ ქალებმაც შეიძლება გადაარჩინონ საბჭოთა სამშობლო. სიმპტომატურია, რომ ეს ბუნებრივ მოვლენად კი არ აღიქმება, არამედ განსაკუთრებული, გარემოებით შექმნილი ვითარებაა. ზუსტად ასეთ შემთხვევებში „იბადება“ საბჭოთა მხატვრულ ლიტერატურაში ქალი პარტიზანების სახე.

ასევე, საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანა ახალისებს იმ ქალების ქცევას, რომლებმაც თავი გაწირეს ომის დროს. მათი სახელები და გვარები ფართოდ გავრცელებული იყო საბჭოთა პრესაში. სტატიაში „ფრონტისა და ზურგის გმირი ქალები“, ავტორი ხაზს უსვამს ქალების დამსახურებას ომის მიმდინარეობის დროს. მას ქალების თავგანწირვა ორ ნაწილად აქვს გაყოფილი: ქალები, რომლებიც მსხვერპლად შეეწირნენ ომს და ქალები, რომლებიც შრომობენ და ამ გზით ეხმარებიან ბრძოლაში სამშობლოს. მსხვერპლი ქალების შემთხვევაში ის იხსენებს საბჭოთა კავშირის მასშტაბით ცნობილ ქალებს: ზოია კოსმოდემიანსკაიას და ლიზა ჩაიკინას, ანფისა სავუშიკას, ვერა პროხოროვას, კლავდია ბელოვას და ლიდია კოლკოვას[512]. ამის შემდეგ კი ქართველ ქალებზე საუბრობს, რომლებიც „თავდადებულ ლაშქარში“ არიან: „ჩაის კრეფის სტახანოველ ქიონია სარსანიას, თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის ხარატ ეკატერინე ხუბულურს, თბილისის საელმავლო დეპოს მემანქანე ბ. ქურდაძეს,

[512] „ფრონტისა და ზურგის გმირი ქალები,“ *ლიტერატურული საქართველო* N11 (222) (1942 წლის 15 მარტი): 1.

თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის მქსოველ პარასკევა გადილიას[513]. ამ პასაჟის მიზანია, ხაზი გაუსვას იმ ქალების შრომას, რომლებიც ე.წ. მამაკაცურ პროფესიებში წარმატებულები იყვნენ. თუმცა, საბჭოთა მმართველები თვლიდნენ, რომ გარდა ფრონტის წარმატებული ბრძოლისა, „საგმირო საქმეები ზურგშიც“ საჭირო და აუცილებელი იყო: „ომი მოითხოვს საბჭოთა ქალებისაგან ისევე, როგორც მთელი საბჭოთა ხალხისგან, ახალ შრომითს საგმირო საქმეებს ზურგში და საგმირო საქმეებს ფრონტზე...“[514] საბჭოთა მხატვრული ლიტერატურა ქმნიდა მებრძოლი წამებული ქალის სახეს, რომელიც თავის თავში აერთიანებდა პარტიზან ქალს[515], და მეორე მხრივ, გმირობად უთვლიდა ქალებს ზურგის ფრონტზე ჩატარებულ საქმეებს.

გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა თხზულება „მარინა ლახნო“, რომლის მთავარ პერსონაჟს წარმოადგენს პილოტი ქალი, თავისი საქმის პროფესიონალი, ძლიერი და შემდგარი, თუმცა ამავე დროს ფემინური. ავტორი აღწერს ისტორიას, როდესაც მან შეძლო და გადაარჩინა დაჭრილი საბჭოთა ჯარისკაცი. ეს გმირობის ტოლფასია და მკითხველისთვის ცხადყოფს, რომ ქალებიც შესაძლებელია იყვნენ გმირები. გარდა ამისა, მარინა ლახნოს მეუღლე ფრონტის ხაზზე იბრძვის და როგორც მოთხრობის დასასრულს ვიგებთ, სწორედ ის გადაურჩენია მარინას. როცა დაჭრილ ქმარს ხედავს, მარინა ამბობს: „საზიზღრები არიან, არ დაინდეს დაჭრილიც კი. არა, სიძულვილი აქ ცოტაა. შური უნდა ვიძიოთ. შური. დაუნდობლად უნდა ვიძიოთ. სისხლისმსმელი მხეცები არიან[516]“.

„მნათობში“ დაბეჭდილ სიმონ წვერავას მოთხრობაში „ზღვისპირული ქარი,“ ქალი პერსონაჟი - ერშოვის ცოლი ცაბაიაა, რომელსაც „უყვარს მინდვრის ყვავილები“[517] და მიწაზეც მუშაობს. თუმცა, ქმარი მისგან მეტს მოითხოვს. ერთ მონაკვეთში იგი მიმართავს ცოლს: -„ბოსტანში ტალახის ზელას, თოფზე რომ გევარჯიშა, ის აჯობებდა... საზღვარზე ვართ, ჩემო კარგო... აქ, დიდმა და პატარამ, ქალმა და კაცმა, ისე კარგად უნდა იცოდეს თოფის ხმარება, როგორც გამრჯე გლეხმა ცელის მოსმა

---

[513] „ფრონტისა და ზურგის გმირი ქალები“. *ლიტერატურული საქართველო* N11 (222) (1942 წლის 15 მარტი): 1.

[514] „საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან ქალთა საერთაშორისო დღის - 8 მარტის შესახებ,” *გაზეთი კომუნისტი* N49 (6993) (1944 წლის 8 მარტი): 1-4.

[515] **Harris**, *The Myth of the Woman Warrior*, 70.

[516] **პ.სიმონოვი**, „მარინა ლახნო“, *ლიტერატურული საქართველო* N47 (206) (1941 წ 21 ნოემბერი):1.

[517] **სიმონ წვერავა.**, „ზღვისპირული ქარი“, *მნათობი* N7-8 (1942 წლის ივლისი-აგვისტო):137.

იცის“[518]. უნდა ითქვას, რომ ეს ქალისთვის უცხო სულაც არ არის და ის უდასტურებს ქმარს, რომ მან შაშხანის მოხმარება უკვე იცის. თუმცა, იმავე მოთხრობაში ჩნდება ქალი პერსონაჟი, რომელიც ექთნად მუშაობს ფრონტზე. ირინე გატაცებულია თოფ-იარაღით, რაც დაჭრილი სამხედროს გაკვირვებას იწვევს: „შენ ქალი ხარ და ასე რატომ გიტაცებს სამხედრო საქმე?“ [519]- ეკითხება ირინეს. ერთი და იმავე მოთხრობაში ორი ასპექტი ჩანს, რომელიც საბჭოთა საზოგადოებაში ნამდვილად არსებობდა, ერთი, რომ ქალებმაც, თუ საჭიროა ხელში იარაღი უნდა აიღონ, მაგრამ ასევე უნდა ახსოვდეთ, რომ ეს დროებითი მოვლენაა, ისინი იბრძოლებენ მანამ, სანამ „სამშობლოს სჭირდება“. სხვა შემთხვევაში ბრძოლა „ქალის საქმე არ არის“. ასევე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პირველ პასაჟში მოქმედება საზღვრის პირას ხდება, რაც ქალების ჩართვას ომში კიდევ უფრო რეალურს ხდის. „მნათობში“ 1943 წელს დაიბეჭდა არჩილ ჩაჩიბაიას მოთხრობა „ჰაშიმბაიას სიმღერა“. მოთხრობაში ჩნდება ქალი-პერსონაჟი, რომელიც ცდილობს გადაარჩინოს თავისი სატრფო და ამისთვის მზადაა მტერიც კი მოკლას. ავტორის აზრით, ეს ქალისთვის უცნაური საქციელია, მაგრამ მოსაწონი.[520] ამავე მოთხრობის პერსონაჟია ქალი, რომელიც თავის მოკვლის გადაწყვეტილებას იღებს და მზადაა სიცოცხლე გაწიროს, ოღონდ მტერს არ დანებდეს. იგივე აზრია გატარებული სოლომონ თავაძის მოთხრობაში „კავკასიონის კარებთან“ - მოთხრობაში ჩანს ერთ-ერთი პერსონაჟი ეთერი, მას ასე აღწერენ: „რაც არ უნდა იყოს ქალია, ბევრ ვაჟკაცს გაუჭირდა იმდენი განსაცდელის ატანა, რაც ამან გუშინს აქეთ გამოიარა“.[521] ამდენად, ამ პასაჟებიდან ჩანს, რომ მამაკაცებს ბევრად მეტის ატანა შეუძლიათ, ქალი კი „სუსტი“ არსებაა. ეს მიდგომა ადასტურებს მოსაზრებას, რომ გენდერული როლების აღქმა საბჭოთა კავშირში ტრადიციული პარადიგმიდან განიხილებოდა.

მებრძოლი ქალი მხოლოდ ის კი არაა, ვინც იარაღით იბრძვის, არამედ ის ქალიც, რომელიც ფრონტზე თავისი „ძმების“ ჯანმრთელობაზე ზრუნავს - ასეთია საბჭოთა პროპაგანდის მიერ დამკვიდრებული კლიშე. შესაბამისად, გვხვდება არაერთი ნაწარმოები, რომლის პერსონაჟი ქალია და ფრონტზე მოწყალების დად მსახურობს.

---

[518] **სიმონ წვერავა,** „ზღვისპირული ქარი“, *მნათობი* N7-8 (1942 წლის ივლისი-აგვისტო):138.
[519] **სიმონ წვერავა,** „ზღვისპირული ქარი“, *მნათობი* N7-8 (1942 წლის ივლისი-აგვისტო):142.
[520] **არჩილ ჩაჩიბაია,** „ჰაშიმბაის სიმღერა“, *მნათობი* N9 (1943 წლის სექტემბერი):28.
[521] **სოლომონ თავაძე,** „კავკასიონის კარებთან“, *მნათობი* N 9 (1941 წლის სექტემბერი): 83.

თუმცა, ისინი „ქალურ თვისებებს“ არც ფრონტზე კარგავენ. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ქალები უმეტესად მედდები არიან და არა ექიმები, რადგან მათ სახელმწიფო ნაკლებად ანდობს ისეთ პასუხისმგებლობას, როგორსაც ექიმობა მოითხოვს.

თუმცა, მებრძოლი, პარტიზანი ქალები განსაკუთრებით დაფასებულნი არიან საბჭოთა ლიტერატურაში. ეს ჩანს ავტორების დამოკიდებულებიდან. მაგალითად, ვანდა ვასილევსკაია მოთხრობაში „ცისარტყელა“ ორ განსხვავებულ პერსონაჟს ქმნის, ორ დას, რომელთაგან პირველი - პუსია ქვეყნის მოღალატეა, „გერმანელის ხასა“, რომელსაც იმედი აქვს, რომ გერმანელი ჯარისკაცი ევროპაში წავა და თან წაიყვანს. ავტორი ჰკიცხავს „ფულზე გაყიდულ“ საბჭოთა ქალს, რომელიც გერმანელების მიერ შემოთავაზებულ სიმდიდრეს დახარბდა. პუსიას და კი სკოლის მასწავლებელია, რომელსაც ქმარი ომში დაეღუპა. შემდეგ კი, პარტიზანულ რაზმში საკუთარი სურვილით ჩაეწერა. სიუჟეტის გამძაფრების მიზნით მოგვიანებით ვიგებთ, რომ ეს უკანასკნელი ფეხმძიმედაა,[522] ფეხმძიმე ქალი კი მოწყვლადი კატეგორიაა. მკითხველისთვის გერმანელის „ნამდვილი სახის“ დასანახად ნაწარმოებში ვკითხულობთ, თუ როგორ აშიმშილებენ, აწამებენ სიცივეში ფეხმძიმე ქალს.[523] თუმცა, პარტიზანი ქალი უდრეკია. შესაბამისად, ის აღიარებს, რომ მან ააფეთქა ხიდი, მაგრამ არასდიდებით არ გასთქვამს მოძმეების ადგილსამყოფელს. რეალურად სწორედ ამას მოითხოვდა საბჭოთა მთავრობა თავისი მოსახლეობისგანაც - თავი გაეწირათ და არ გაეთქვათ თანამოძმეები. პარტიზან ქალს - ოლენას აწამებენ, აქ ავტორი წამებას სიმბოლურ დატვირთვას აძლევს. ეს მხოლოდ ერთი ადამიანის წამება არ არის, მთელი სოფელი დღეს ოლენაა, რომელსაც „კაციჭამია ფაშისტები“ დაპატრონებიან.[524] რა აძლევს ფეხმძიმე ქალს ძალას წამოდგეს არაერთი დაცემის შემდეგ? ამ კითხვის პასუხად ავტორი წერს: „ოლენას გული სავსე იყო შავი სისხლით, სიძულვილის სისხლით, რომელიც იძლეოდა ამ ძალას.“[525] შესაბამისად, ნათელია შურისმაძიებელი მებრძოლი ქალის სახე, რომელსაც ძალას მიყენებული ტკივილი აძლევს. ამდენად, ზოგიერთ ნაწარმოებში პერსონაჟი რამდენიმე არქეტიპულ სახეს

---

[522] **ვანდა ვასილევსკაია,** „ცისარტყელა“, *ძნათობი* N10 (1942 წლის ოქტომბერი.):48.
[523] **ვასილევსკაია,** "ცისარტყელა," 57.
[524] **ვასილევსკაია,** "ცისარტყელა," 65.
[525] **ვასილევსკაია,** "ცისარტყელა," 65.

აერთიანებს. ოლენა მშვიდობისმოყვარე ქალია, რომელიც ტრანსფორმაციას განიცდის და იქცევა პარტიზანად და შურისმაძიებლად. მოთხრობის მთავარი სათქმელიც ესაა, საბჭოთა მოქალაქე არ უნდა მიეცეს სასოწარკვეთას. ამის არც დრო იყო და არც მოსაწონ საქციელად მიიჩნეოდა, ტკივილი უნდა იქცეს ძალად, რომელიც შურისძიების საფუძველი იქნება.

აღსანიშნავია, რომ ქალი-პერსონაჟები ზოგიერთ შემთხვევაში დასაწყისიდანვე არ არიან პარტიზანები, მათი საფუძვლიანი გარდასახვა ხდება გარემოებებიდან გამომდინარე. ლადო ავალიანი ნოველაში „სტუმარ-მასპინძელი“ ქალი-პერსონაჟის მნიშვნელოვან ცვლილებას გვიხატავს. პირველ ეპიზოდში მარგარიტა, ჩვილი ბავშვით მეუღლესთან ერთად გარბის, რათა გადარჩეს. შემოვლითი გზა ტყეზე გადის. ქმარი იძულებულია, ფრონტზე დაბრუნდეს საბრძოლველად, ამიტომ, ცოლ-შვილს მარტო უშვებს. შედეგად, კი ქალი ფაშისტების ხელში აღმოჩნდება. მართალია, მარგარიტა არც პარტიზანია და არც ბრძოლის ხელოვნებას ფლობს, მაგრამ მასში, ავტორის აზრით, სამშობლოს დაცვის და შურისძიების სურვილი იღვიძებს. ის მტერს არასწორ ინფორმაციას აწვდის და გზას უბნევს. ავტორი, როდესაც მარგარიტას სულიერ მდგომარეობას აღწერს, აღნიშნავს, რომ ქალს საკუთარი სიცოცხლე არ ახსოვდა, ერთადერთი შვილზე ეფიქრებოდა[526]. ამ მონაკვეთში, ქალის მეორე როლური სახე ჩნდება - საბჭოთა ქალი, პირველ რიგში, ხომ იდეალური დედაა (დედის არქეტიპზე იხ. §6.2.). თუმცა, მებრძოლი ქალის შურისძიების წყურვილი იმდენად დიდია, რომ ის საკუთარ შვილსაც სწირავს. აღსანიშნავია, რომ ქალის ამ ცვლილებას დატყვევებული ქმარიც ესწრება. თუმცა, ვინაიდან ის დასახიჩრებულია, მარგარიტა მას ვერ სცნობს. საინტერესოა მონაკვეთი, როდესაც ქმარი ეჭვქვეშ აყენებს მარგარიტას და ამბობს „ნუთუ შესძლებს ქალი?“[527]- აქ ჩანს ქალთა მიმართ დამოკიდებულება. ქალი სუსტი და უჭკუოა არსებაა, ნუთუ შეუძლია მას მოატყუოს მტერი და სამშობლოს სადარაჯოზე იდგეს? ეს არის მოთხრობის ძირითადი სათქმელი. პასუხი კი თხრობის დასასრულს ჩნდება, როდესაც ვხედავთ მარგარიტას, რომელიც ააფეთქებს „ფაშისტებს“ და თავადაც იღუპება.

---

[526] **ლადო ავალიანი,** „სტუმარ-მასპინძელი“, *მნათობი* N1 (1942 წლის იანვარი):101-111.
[527] **ლადო ავალიანი,** „სტუმარ-მასპინძელი“, *მნათობი* N1 (1942 წლის იანვარი):108.

სერგო კლდიაშვილის მოთხრობაში „ომის კანონი“ ვხედავთ გერმანელების მიერ დაკავებულ ქალაქს, რომელშიც საბჭოთა მოქალაქეები შიშის ქვეშ ცხოვრობენ. ამ ფონზე გერმანელი ლეიტენანტი, რომელსაც „გერმანული გართობა მონატრებია“ შეეჩეხება ქართველ ქალს, რომელიც ავადმყოფის სანახავად მიდის და გადაწყვეტს, ქალი მოატყუოს, თითქოს საშვის მიცემას აპირებს და ბინაში შეიტყუოს. ქალს სხვა გზა არ აქვს და თანხმდება. ქალი, სახელად თამარი, ფრონტზე დაღუპულ მეუღლეს გლოვობს. სიუჟეტი ისე ვითარდება, რომ ლეიტენანტი სასმელს აძალებს ქართველ ქალს, რომ დაათროს და შემდეგ მასზე იძალადოს. უნდა ითქვას, რომ ეს არის სტანდარტული სქემა, რომელსაც ხშირად ვხვდებით მეორე მსოფლიო ომის საბჭოთა ლიტერატურულ სიუჟეტებში: მოძალადე გერმანელი, რომელიც ყველა გზით ცდილობს „ნამუსი ახადოს“ ქალს და ამისთვის არაფერს ერიდება. ის უგრძნობია, განსხვავებით საბჭოთა მოქალაქეებისგან. ამ შემთხვევაში მოთხრობაში ცალკე შემოდის აღმოსავლელი ქალის სახე. თამარი ეროვნებით ქართველია, უნდა ითქვას, რომ ეროვნებაზე ხაზგასმა იშვიათია მოთხრობებში. ამ შემთხვევაში ავტორი ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, რომ გერმანელების მორალური საზომი აბსოლუტურად განსხვავდება ქართველი ადამიანის მორალისაგან. თამარი აღწერს აღმოსავლელ ქალებს და ამბობს: „აღმოსავლეთის ქალებმა ძლიერად ვიცით შეთვისება და სიყვარული... ჩვენ შურისძიებაც ვიცით, დაუნდობელნი ვხდებით.[528]“

თამარი, მას შემდეგ რაც გააცნობიერებს, რომ ამ ბინიდან გასვლა არ უწერია, ფიქრობს ეშმაკურად დაუძვრეს მტერს. ამიტომ, ვხედავთ გარდასახვას: ნაზი, ჩუმი და კდემამოსილი ქალის ნაცვლად, ის „მოჭიკჭიკე, ცელქი და ენამახვილი“[529] ხდება, რაც თითქოს უჩვეულოც კი არის. ქალების ასეთი გარდასახვა საბჭოთა ომის ლიტერატურაში ხშირია. როგორც წესი, ამას მოჰყვება ქალის სრული გარდასახვა და ისეთი ნაბიჯის გადადგმა რაც „ქალისგან მოულოდნელია“. ზუსტად ეს შემთხვევაა აღწერილი ამ მოთხრობაშიც. მშვიდი და გაწონასწორებული თამარი, ცდილობს თამაშში აჰყვეს გერმანელს, ხოლო გადამწყვეტ მომენტში ხელთ იგდებს მის იარაღს და კლავს. აღმოსავლელი ქალის მორალის უკეთ გასაგებად კი ამბობს სიტყვებს,

---

[528]**სერგო კლდიაშვილი,** „ომის კანონი“, *ლიტერატურული საქართველო* N43 (202) (1941 წ. 24 ოქტომბერი): 1.

[529] **კლდიაშვილი,** „ომის კანონი“, 1.

რომელსაც მკითხველზე დიდი გავლენა უნდა მოახდინოს: „ქართველი ქალი მონა არასოდეს არ ყოფილა და არც იქნება“.[530] ამ ფრაზით ავტორი შეახსენებს ქართველ ხალხს იმ ისტორიულ გამოცდილებას, რომელიც ერს დაუგროვდა და გარკვეულწილად უთანაბრებს მას გერმანელებთან ბრძოლას.

საბჭოთა პროპაგანდა მხატვრული ნაწარმოებებით ცდილობდა, გავლენა მოეხდინა რიგით მოქალაქეებზე და მათში გაეღვიძებინა სამშობლოს დაცვის სურვილი, მტრის ხატის შექმნის ხარჯზე. თუმცა, ამასთანავე, როგორც აღვნიშნეთ, ქალების ეს გარდასახვა დროებითი მოვლენაა, მხოლოდ ომის დროს საჭირო, ომის შემდეგ ქალი ტრადიციულ როლს უნდა დაუბრუნდეს[531] (იხ. დანართი - ცხრილი N2.2).

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში დაბეჭდილი მოთხრობები და ლექსები ავლენს პროპაგანდისტულ ხასიათს და მიჰყვება დადგენილ ტენდენციებს. მოცემულ თავში გამოიკვეთა მებრძოლი ქალის არქეტიპული სახე, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა იყო მეორე მსოფლიო ომის დროს. მებრძოლი ქალი თავის თავში აერთიანებდა ფემინური ქალის და დედის არქეტიპული სახის ელემენტებს. ასევე, საინტერესოა, რომ პარტიზანი ქალები მოთხრობების დასაწყისში გვევლინებიან სტანდარტული, გენდერული როლების შემსრულებლებად, ხოლო გარემოების ცვლილება აიძულებთ მათ შეიცვალონ და მოერგონ ომით გამოწვეულ სირთულეებს. ამ ტიპის ქალების დახასიათებისას უნდა ითქვას, რომ ისინი გარეგნულად სუსტები, ფემინურები არიან, მაგრამ შინაგანად გამბედავები და თავზეხელაღებულები. ამასთან, მნიშვნელოვანია პატრიოტული მოტივები, რომლის დახმარებით ისინი ახერხებენ საკუთარი სიცოცხლის ფასად „სამშობლოსთვის თავის გაწირვას“. ამ თავის შემაჯამებელი კოდი შეიძლება იყოს შემდეგი: შესაძლებლობები არ არის შეზღუდული, როცა საქმე სამშობლოს გადარჩენას ეხება.

---

[530] **კლდიაშვილი,** „ომის კანონი“,

[531] **Corbesero**, "Female Images in Soviet Wartime Poster Propaganda,"104.

§ 6.2. დედის სახე

ლევ ტროცკი, საბჭოთა მარქსისტი რევოლუციონერი და თეორიტიკოსი, აანალიზებდა რა დედის როლს საზოგადოებაში, წერდა, რომ დედების საკითხი არის „კითხვათა შორის კითხვა“ და „პრობლემის ღერძი“.[532] ტროცკი დედის ინსტიტუტის გაძლიერების მომხრე იყო. მისი აზრით, „ქალი არის ერის დედა“,[533] შესაბამისად, საბჭოთა დედის სახის ჩამოყალიბება მნიშვნელოვანი იყო მომავალში საბჭოთა საზოგადოების შექმნისთვის.

რაც შეეხება სტალინს, დედათა საკითხისადმი მისი დამოკიდებულება სწორხაზოვანი იყო. როგორც აღვნიშნეთ, ქვეყანაში შექმნილი რთული დემოგრაფიული ვითარების გამო, სტალინი კონსერვატიული ოჯახების მხარდაჭერის და დედის ინსტიტუტის გაძლიერების მომხრე იყო. ქალთა დასაქმების პარალელურად, ქვეყანაში აქტიური პროპაგანდა მიმდინარეობდა, რათა ყველა საბჭოთა ქალი ყოფილიყო დედა. დედებს ხელისუფლება უქმნიდა მეტ-ნაკლებად სასურველ პირობებს: 16-კვირიანი ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულება, ამის შემდეგ ერთი წელი უხელფასო დეკრეტული შვებულება, რეგულარული ყოველწლიურად ანაზღაურებადი შვებულება და სხვ.[534] თუმცა კი, შვილის აღზრდა მთლიანად დედის საქმედ განიხილებოდა. ამ შრომის შემსუბუქება კი ისევ ქალების შრომის ხარჯზე ხდებოდა.[535] ძირითადად, საბავშვო ბაღსა თუ სკოლაში ქალი მასწავლებლები მუშაობდნენ, რაც თავისთავად გულისხმობს, იმას რომ ქალთა ემანსიპაციის სახელით დაწყებული პროცესი სხვა მიზანს ისახავდა და საბჭოთა მთავრობისთვის გენდერულად დანაწილებული როლები, მიღებული პრაქტიკა იყო.

ე.წ. „დიდი სამამულო ომის“ დაწყებამ დედის ხატის გაძლიერება გამოიწვია. დედა სამშობლოს განსახიერებად იქცა. დედისადმი ერთგულება სამშობლოსადმი ერთგულებას უტოლდებოდა. როგორც ვიზუალურ მასალებს, ისევე, მხატვრულ ნაწარმოებებს უბრალო საბჭოთა მოქალაქეში ბრძოლისუნარიანობა უნდა

---

[532] **Leon Trotsky,** *Women and the Family* (New York: 1970), 54.
[533] **Trotsky**, *Women and the Family*, 54.
[534] **Heitlinger**, *Women and State Socialism*, 109.
[535] Bebel, *Woman under Socialism*, 227.

აემაღლებინა. მოხუცი დედის პერსონაჟის შექმნა, რომელიც მოუწოდებს საკუთარ შვილს ბრძოლისკენ, ან შვილმკვდარი დედა, რომელიც თავად იძიებს შურს და ა. შ. მიზნად ისახავდა მკითხველში აღეძრა ემპათია, რასაც პერსონაჟის საკუთარ ცხოვრებასთან გაიგივება უნდა მოჰყოლოდა. ამ ტიპის პერსონაჟები მრავლად არიან როგორც „ლიტერატურული საქართველოს“, ისე „მნათობის“ მოთხრობებსა და ლექსებში. მაგალითად, „მნათობში“ დაიბეჭდა ხარიტონ ვარდოშვილის ლექსი: „ლენინგრადს[536]“, რომელშიც სამშობლო და დედა გაიგივებულია. ასევე, ალექსანდრე აბაშელის ლექსში „წითელი არმია“ დედა სამშობლოს სიმბოლოა[537]. დედისა და სამშობლოს გაიგივება და დედისთვის სიმბოლური დატვირთვის მიცემა, საკმაოდ ხშირი იყო ომის პერიოდის ლიტერატურაში. ამიტომ, როდესაც ვმსჯელობთ დედის არქეტიპულ სახეზე, ერთ-ერთი სწორედ დედის არქეტიპული სახეა, რომელიც სამშობლოს სიმბოლოდ იქცა.

დედის მეორე არქეტიპულ სახეს წარმოადგენს სახლში დარჩენილი მომლოდინე დედა - ეს არის დედის დამკვიდრებული, სტანდარტული სახე. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ დედები მხოლოდ ლოდინით კმაყოფილდებიან, ისინი მოთხრობებსა თუ ლექსებში ხშირად მოუწოდებენ შვილებს ბრძოლისაკენ და არიან მამოძრავებელი ძალა მებრძოლებისთვის. პავლე სიმონოვის მოთხრობაში „მეზღვაურის დედა“, მთავარი პერსონაჟი ამბობს: „შური იძიე მათზე, მამის გამო“.[538] მოთხრობის ბოლოს, შვილი ბრუნდება დედასთან, მაგრამ სოფელში უკვე გერმანელები არიან შემოსული. სამხედროს (შვილს) დავალება აქვს - ნიშანი მისცეს თავისიანებს. ის ასეც იქცევა, მაგრამ ბრძოლაში იღუპება. ამის ფონზე, მოსალოდნელია რომ დედა სასოწარკვეთას მიეცეს, მაგრამ მოთხრობაში ასე არ ხდება, ეს ფაქტი დედას უფრო მეტ ძალას აძლევს, მოკლული შვილის ტყვიამფრქვევს იღებს და შვილის საქმეს აგრძელებს, დასასრულს კი, სახლს ცეცხლს მისცემს, რათა ეს ნიშანი დაინახონ მომმეებმა[539]. საგულისხმოა მოთხრობის ბოლო წინადადება: „მათ (საბჭოთა ჯარისკაცებს) გზას უნათებდა კოცონის ცეცხლი, მისი ხსოვნის ცეცხლი, დედის ცეცხლი...“[540]. ზოგადად, ომის

---

[536] **ხარიტონ ვარდოშვილი,** „ლენინგრადს“, *მნათობი* N3 (1944 წლის მარტი):11.
[537] **ალექსანდრე აბაშელი,** „წითელ არმიას“, *მნათობი* N2-3 (1945 წლის თებერვალი-მარტი):6.
[538] **პავლე სიმონოვი,** „მეზღვაურის დედა“, *მნათობი* N9 (1942 წლის სექტემბერი): 79.
[539] **სიმონოვი,** „მეზღვაურის დედა“, 84.
[540] **სიმონოვი,** „მეზღვაურის დედა“, 85.

თემატიკაზე შექმნილი საბჭოთა მოთხრობები პათეტიკურობით გამოირჩევა და ეს ამ წინადადებაშიც იგრძნობა. ასევე, აშკარაა რომ ამ მოთხრობაში დედის პერსონაჟი მეორე არქეტიპულ სახეს - მებრძოლ ქალსაც აერთიანებს. ის მხოლოდ დედა არ არის და ომის გამო მასში ხდება გარდასახვა, რაც მას შურისმაძიებელ მებრძოლ ქალად აქცევს. დედის დახასიათებისას უნდა გამოვიყენოთ ეპითეტები: ძლიერი, მიზანდასახული, გამბედავი, ერთგული.

მებრძოლი დედის სახე სხვა მოთხრობებსა და ლექსებშიც[541] გვხვდება, მაგალითად, იაკინთე ლისაშვილი მოთხრობაში „პარტიზანები“ გვიყვება ერთი ოჯახის ისტორიას, რომელშიც მამა ფრონტზეა წასული და ოჯახი დედის იმედადაა დატოვებული. თუმცა, სოფელში ფაშისტები გამოჩნდებიან და არავის ინდობენ. მათ შორის არც მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს. ეს პასაჟიც სტანდარტულია საბჭოთა პროპაგანდისთვის - ფაშისტი წარმოუდგენელიც კია, რომ შეიბრალებს მოწყვლად კატეგორიას. ამ მოთხრობაში ჩანს დედა, რომლის თვალწინ გააუპატიურებენ და მოკლავენ შვილს, შედეგად კი ქალი, ღუმელის რკინის ჯოხით/საჩხრეკით[542] კლავს გერმანელს[543]. ამგვარი მკვლელობა კი პროპაგანდის მიხედვით არათუ გამართლებული, სასურველიცაა. როგორც სხვა მოთხრობაში, აქაც ჩანს მთავარი გმირის რადიკალური ტრანსფორმაცია - სუსტი, ფემინური დედა, რომელიც ახერხებს, რომ შვილის ტკივილით გამოწვეული უმწეობა, ძალად აქციოს და შური იძიოს. ამ მოთხრობის მთავარი სათქმელიც ეს არის, არც ერთ საბჭოთა მოქალაქეს არ აქვს ფუფუნება, რომ სასოწარკვეთილებას მიეცეს, შვილის სიკვდილის შემთხვევაში, მტერზე შურის ძიება უნდა იქცეს ნუგეშად.

ასევე, მოთხრობებში ჩნდება დედის პერსონაჟი, რომელიც თანახმაა, გაწიროს საკუთარი შვილი/ები. ეს არის ნიშანი, რომ დედა შვილზე წინ სამშობლოს აყენებს. დემნა შენგელიას მოთხრობაში „მეოთხე ძმა“ ვკითხულობთ პატარა ბიჭის შესახებ, რომელიც გერმანელების ტყვიას გამიზნულად გადაუდგა წინ. დედა, რომელიც ხედავს როგორ მოუკლეს შვილი, სასოწარკვეთილი არ არის, როგორც მკითხველს აქვს მოლოდინი. პირიქით, ის მზად არის საკუთარი თავიც გასწიროს და ივსება

---

[541] **სიმონ ჩიქოვანი,** „დედის ძახილი“ „ქართველი დედა“, *ლიტერატურული საქართველო* N29 (240) (1942 წ.17 ივლისი): 2.

[542] ძველ ქართულში მისი შესატყვისია - ასტამი. (ავტ. შენიშვნა).

[543] **იაკინთე ლისაშვილი,** „პარტიზანები“, მნათობი N1 (1942 წლის იანვარი):41.

სიძულვილით მტრისადმი.[544] მსგავსი სიუჟეტი გვხვდება გ. ნატროშვილის მოთხრობაში „დასავლეთის ფრონტზე“[545]. ასევე, ვხვდებით საპირისპირო შემთხვევასაც, როდესაც დედის სიკვდილი პერსონაჟზე გავლენას ახდენს და მას ბრძოლისუნარიანობას უმაღლებს. მაგალითად, გრიგოლ ჩიქოვანის მოთხრობაში „დაბრუნება“, მთავარი პერსონაჟ გვაჩის ეღუპება დედა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მას დედის ხატება აძლევს ძალას, რომ დაბრუნდეს ფრონტზე და ბრძოლა გააგრძელოს[546]. მსგავსი პასაჟია გიორგი ცაგარელის მოთხრობაში: „დონაურის ხმალი“. შვილის სიკვდილს დედა ძალიან მშვიდად ხვდება: „დედას არ უკივლია“[547] - წერს ავტორი. თუმცა, შვილის სიკვდილით გამოწვეულ სიძულვილს დედა მტრისკენ მიმართავს. ამდენად, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნაწარმოები მოწმობს, რომ საბჭოთა მხატვრულ ლიტერატურაში ომის დროს დამკვიდრდა დედის სახე, რომელიც ყველაფერზე წინ სამშობლოს აყენებს. სამშობლოსთვის მზად არის შვილიც კი გაწიროს. ეს პირდაპირი მოწოდებაა საბჭოთა მოქალაქეებისადმი. დედისთვის შვილი რომ ძვირფასია, ამას სახელმწიფო აღიარებს, მაგრამ შვილმკვდარ დედასაც კი არ აძლევს უფლებას, გლოვა გააგრძელოს. დედა მოვალეა ემსახუროს სამშობლოს, შვილის სიკვდილმა კი ის შურისმაძიებლად უნდა აქციოს. ასე იქცევიან მოთხრობის პერსონაჟებიც. შალვა დადიანის მოთხრობაში „თამბაქო“ ჩვენ ვხედავთ ფრონტზე წასული სამხედროს დედას, რომელიც იგებს შვილის სიკვდილის ამბავს. იგი ამბობს: “ჩვენ ვეღარ დავიბრუნებთ ჩვენს დაღუპულ შვილებს, ძმებს, მამებს და ქმრებს...მაგრამ თუ რამ შეამსუბუქებს ჩვენს უდიდეს მწუხარებას ეს ისაა, რომ მტერზე შური უნდა ვიძიოთ, მტერი უნდა გავანადგუროთ.“[548] მსგავსი პასაჟი სხვა ნაწარმოებებშიც გვხვდება. მაგალითად, სანდრო თევზაძის ლექსში „მარადი ხსოვნა“.[549] ფაქტობრივად, ეს არის პირდაპირი მოწოდება მკითხველისადმი, გეგმა, რომელსაც უნდა დაემორჩილოს ნამდვილი საბჭოთა მოქალაქე.

---

[544] **დემნა შენგელაია,** „მეოთხე ძმა“, *მნათობი* N8 (1941 წლის აგვისტო): 18.

[545] **გიორგი ნატროშვილი,** „დასავლეთის ფრონტზე“, *მნათობი,* N9-10 (1944 წლის სექტემბერი-ოქტომბერი): 6-14.

[546] **გრიგოლ ჩიქოვანი,** „დაბრუნება“, *მნათობი* N8 (1943 წლის აგვისტო):32.

[547] **გიორგი ცაგარელი,** „დონაურის ხმალი“, *მნათობი* N2 (1943 წლის თებერვალი): 81.

[548] **შალვა დადიანი,** „თამბაქო“, *მნათობი* N3 (1942 წლის მარტი): 28.

[549] **სანდრო თევზაძე,** „მარადი ხსოვნა“, *მნათობი* N1-2 (1944 წლის იანვარი-თებერვალი): 121.

დემნა შენგელაიას მოთხრობაში „გმირი“ ვხედავთ ზურგში დარჩენილ ქალს, რომელიც შვილსა და მოხუც ბაბუაზე ზრუნავს და თან გუშაგის ფუნქციას ასრულებს სოფლის განაპირას. მოთხრობის სიუჟეტის მიხედვით უკრაინის ამ პატარა სოფელში გერმანელები შემოვლენ და დესანტი ტყვედ აიყვანს პატარა ბიჭუნას, მთავარი პერსონაჟი ქალის შვილს. საინტერესოა დედის რეაქცია, როდესაც დაინახავს რომ შვილი მტერმა დაატყვევა: „დედამ ერთხანს მღელვარებისგან ხმა ვერ ამოიღო და მერე მისთვისვე მოულოდნელად საშინელი ხმით დაიწივლა - ჩქარა განგაში“.[550] ეს ის შემთხვევაა, როდესაც ვხედავთ პერსონაჟის გარდასახვას. თითქოს ავტორიც მოელის, რომ მტრის ხელში შვილის ხილვა დედას შეაძრწუნებს და შეაფერხებს, მაგრამ სინამდვილეში ასე არ ხდება. ამასობაში პარტიზანთა საბჭოთა რაზმიც გამოჩნდება და ორივე მხარე ერთმანეთის პირისპირ დგას. საინტერესოა, რომ ბავშვი იაზრებს საკუთარ როლს და ეუბნება თავისიანებს, რომ მის გამო თავი არ შეიკავონ და ესროლონ დივერსანტებს. თუმცა, პარტიზანები ვერ იღებენ გადაწყვეტილებას. ამ ჭიდილში თვითონ ბავშვი ცდილობს შეეწინააღმდეგოს დესანტის მეთაურს, ის კი საპასუხოდ დამბაჩას ესვრის და ადგილზე კლავს, ამას კი მოჰყვება მეთაურის მკვლელობა - მას მოკლული ბავშვის დედა კლავს. საინტერესოა, დედის პერსონაჟის გარდასახვა, რომელმაც ახლახან დაკარგა შვილი:“ დედა ფეხზე წამოიჭრა. მისი სახე ცრემლით იყო მორწყული, მაგრამ მაინც უტეხად, მედგრად გამოიცქირებოდა. მძვინვარეს და გაგორობებულს თვალები მტრისადმი ზიზღით აღვსებოდა. ცალი ხელით შაშხანა მტკიცედ ჩაბღუჯა, ხოლო მეორეთი შვილის გვამზე წაფარებული დროშა აიტაცა და მაღლა ააფრიალა. გაშალა ლაღად და შვილის სისხლით შეღებილი წითელი დროშა: ამისი...ამისი პასუხიც უნდა გაგვცენ ფაშისტებმა.... შურისგების წყურვილით აღსავსე თვალები ირგვლივ ისე მოავლო, თითქოს მთელ უკრაინას, მთელ საბჭოეთს სამაგიეროს გადასახდელად მოუწოდებდა.“[551] ამ პასაჟში მნიშვნელოვანია განცდა, რომ მიუხედავად ბავშვის სიკვდილისა, ბრძოლის გაგრძელება ღირს და სიკვდილის წილ სიკვდილით უნდა ზღონ გერმანელებმა.

სოლომონ თავაძე მოთხრობაში „დედა“ სვერკოვსკაია, ორი მცირეწლოვანი შვილის დედაა და ლიანდაგის მეთვალყურედ მუშაობს. ქალი შვილებთან ერთად ფრონტის

[550] **დემნა შენგელია,** „გმირი“, *ლიტერატურული საქართველო* N31 (190). (1941 წლის 1 აგვისტო):2.
[551] **შენგელია,** „გმირი“, 2.

ზურგში დარჩა და შეითავსა ის საქმე, რაც მშვიდობიანობის დროს მის ინტერესში არ იქნებოდა. სვერკოვსკაია თვალს ადევნებს მატარებლების მიმოსვლას და მტრის მოძრაობას, საჭირო დროს რომ შეატყობინოს თავისიანებს და მატარებელი გააჩეროს. მოთხრობაში განვითარება პიკს აღწევს, როდესაც მკითხველი აცნობიერებს, რომ გერმანელები თავს ესხმიან რკინიგზის ლიანდაგს, დედა კი არჩევანის წინაშე დგება. „რკინიგზის ლიანდაგს მტრის ყუმბარები დააყარეს. ლიანდაგის მცველმა რა ქნას? დანგრეულ სახლში ჩარჩენილ ბავშვებს მიაშუროს თუ სადგურს აცნობოს რომ მატარებელი არ გამოუშვან? არა, ახლა დაყოვნება არ შეიძლება, ყოველ წუთს შეიძლება მატარებლის გამოსვლა მოსალოდნელი. ვინ იცის, რამდენი ადამიანის სიცოცხლე ჰკიდია ახლა ბეწვზე.[552]“ ამ მონაკვეთში ავტორი გვიხატავს დედის ფიქრებს, მის შფოთვას თუ როგორ მოიქცეს. ლიანდაგის მეთვალყურე პირველ ადგილზე საკუთარ სამუშაოს და ამ პასუხიმგებლობას აყენებს. ამიტომ, ის გააკეთებს არჩევანს და გააფრთხილებს თავისიანებს. შედეგად, მატარებელი გადარჩება. თუმცა როცა სახლში ბრუნდება, ერთი შვილი გარდაცვლილი ხვდება, მეორე მძიმედ დაჭრილი. აქ თხრობა წყდება და ავტორი მიმართავს პირდაპირ ჰიტლერს: “ვაი შენ, კაციჭამია ჰიტლერო. რამდენი დედის წუხილი და მრისხანება მოითხოვს შურისძიებას. ჩვენი მეომრების ძარღვებში ჰფეთქს საბჭოთა დედების უკვდავი გზნება, ის შემმუსვრელი ძალა, რომელიც გამანადგურებელ მეხად დაგატყდება, ჯალათო ჰიტლერო[553]". ამ მოთხრობაშიც გატარებულია ის საერთო ტენდეცია რაც არსებობდა საბჭოთა მოქალაქეებისადმი: საკუთარ კეთილდღეობაზე წინ უნდა დაეყენებინათ სამშობლოს კეთილდღეობა. მოთხრობაში დედის პერსონაჟის დახასიათებისას ავტორი იყენებს სიტყვას - გაბედული. რაც თითქოს ხსნის იმას, რაც შემდეგ მოთხრობაში ხდება. გაბედული ქალია სვერკოვსკაია, არ შეუშინდა მომხდარს და „სწორი“ გადაწყვეტილება მიიღო. ის არც დაღუპული შვილის გამო მიეცა სასოწარკვეთილებას. პირიქით, ეს გახდა კიდევ ერთი მიზეზი შურისძიებისთვის.

დედის ხატი მხოლოდ კონკრეტული საბჭოთა ჯარისკაცის დედობას არ გულისხმობს და საზოგადო მოვლენაა, ამის კარგი ილუსტრაციაა კლავდია დევდარიანის მოთხრობა „დედა“. მოთხრობაში ჩანს დედა, რომელმაც ფრონტზე გაუშვა

---

[552] **სოლომონ თავაძე,** „დედა“, *ლიტერატურული საქართველო* N30 (189) (1941 წლის 25 ივლისი): 2.
[553] **თავაძე,** „დედა“, 2.

ერთადერთი შვილი, ის კი მძიმედ დაჭრილი დაბრუნდა. პირველ ეპიზოდში დედა მატარებლით მიდის შვილის სანახავად. დედა მიუსწრებს მძიმე ავადმყოფს, მაგრამ მებრძოლი მალევე იღუპება[554]. მოთხრობაში ისე ვითარდება მოვლენები, რომ იმ საწოლზე, სადაც მისი შვილი იწვა, ახლა სხვა მძიმე პაციენტი წევს, რომელსაც მომკითხავი არავინ ჰყავს. დედამ მართალია დაკარგა საკუთარი შვილი, მაგრამ მას შეუძლია იზრუნოს სხვა საბჭოთა ჯარისკაცზე - ეს აზრი მოთხრობას ლაიტმოტივად გასდევს. შვილმკვდარი დედა სიცოცხლის აზრს სხვისი შვილის (რაც მთავარია, საბჭოთა ჯარისკაცის) მოვლაში პოულობს. საინტერესოა, რომ მოთხრობის დასასრულს ჯარისკაცი კვლავ ფრონტს უბრუნდება (ბრძოლა გრძელდება და ყველა ჯარისკაცი მოვალეა იბრძოლოს - პროპაგანდა) დედა მიმართვით - „შვილო“ აცილებს მას. ავტორი წერს, რომ „ვერავინ გაიგებდა ვის ეკუთვნოდა ეს მიმართვა - დაკარგულ შვილს თუ მიმავალს“[555]. სხვისი შვილის საკუთრად მიჩნევა სხვა საბჭოთა ქართულ ნაწარმოებებშიც[556] გვხვდება. მაგ. მაყვალა მრევლიშვილი ლექსში „დედას ღირსეულს“ მიმართავს საბჭოთა დედებს, რომლებმაც საკუთარი შვილები ფრონტზე დაკარგეს და წერს: „დღეს სხვისი შვილიც შენი ღვიძლია, ვისაც კი ბრძოლის უნარი შესწევს.“[557] ამ ფრაზებში იკითხება მთავარი მოწოდება - დედა სახე-სიმბოლოა, არამხოლოდ კონკრეტული სამხედროს მშობელი, არამედ მთელი ერის მფარველი დედა. შვილის დაკარგვა კი „საპატიო“ მიზეზი არ არის. გლოვის მაგივრად შურისძიება და სხვა საბჭოთა მოქალაქეებზე ზრუნვა უნდა იყოს დედების საფიქრალი.

საკუთარი შვილის დაკარგვა არ არის საკმარისი მიზეზი სასოწარკვეთისთვის საბჭოთა მწერლობაში. პირიქით, დედებისთვის ეს ნიშანია, რომ აღივსონ სიძულვილით გერმანელებისადმი და მოძებნონ სხვა სამხედრო, თავისი ვაჟის ტოლი ჭაბუკი, რომელსაც დედობას გაუწევენ. სხვისი შვილის შვილად მიღება დამკვიდრებული ტრადიცია იყო საბჭოთა საზოგადოებაში. ბონდო კეშელავას ლექსი „შვილობილი“ გვიხატავს სწორედ ასეთ ქართველ ქალს, „დაგირბია მტერმა ბინა,

---

[554]**კლავდია დევდარიანი,** „დედა,” *მნათობი* N7-8 (1942 წლის ივლისი-აგვისტო):154-157.
[555]**დევდარიანი,** „დედა,” 154-157.
[556] **როდიონ ქორქია,** „შვილი“, *ლიტერატურული საქართველო* N25 (236) (1942 წლის 19 ივნისი):2.
[557]**მაყვალა მრევლიშვილი,** „დედას ღირსეულს“, *ლიტერატურული საქართველო* N3 (259) (1943 20 იანვარი): 2.

დაგიკარგა დედა...ქართველ ქალმა ჩაგიხუტა ვარდისფერი ბავშვი."[558] შვილად აყვანა და საკუთარის ნაცვლად სხვისი პატრონობა საზოგადოებრივი მოვალეობა უნდა გამხდარიყო, რასაც მოწმობს საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული მასალები, რომლის მიხედვით, 1944 წელს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, ლ. ბერიას ბრძანებით გაიხსნა ახალი ბავშვთა „სააღმზრდელო კოლონია 300 უპატრონო ბავშვისთვის", რომლის მიზანი იყო ომის დროს უდედმამოდ დარჩენილ ბავშვებზე ზრუნვა[559]. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირი 1940-იან წლებში ნუკლეარული ოჯახის მომხრეა, ბავშვებზე საზოგადოების ზრუნვა დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესების მიზნით, მისაღები და დასაფასებელია.

მეორე მსოფლიო ომმა მამაკაცები ფრონტზე გაამწესა, ხოლო ზურგში დარჩნენ ქალები, რომელთაც ორმაგი ტვირთი[560] უნდა აეღოთ საკუთარ თავზე: ყოფილიყვნენ დედები და ეზრუნათ შვილებზე და თან ჩართულიყვნენ საზოგადოებრივ საქმიანობაში, ემუშავათ[561]. შესაბამისად, ომის დროს ქალთა დატვირთვა კიდევ უფრო გაიზარდა. მოთხრობებში ხშირად ვხვდებით დედებს, მეუღლეებს, მათ გვერდით საინტერესო პერსონაჟებს ქმნიან ქალები, რომელთაც ოჯახი არ ჰყავთ. ამ მხრივ საყურადღებოა მარიამ გარიყულის მოთხრობა „დედისერთა", რომელშიც ყველა პერსონაჟი ქალია და მოქმედებაც ფრონტის ზურგში ხდება. ქალები განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ერთი დედაა, მეორე და, მესამე მეუღლე და ა.შ. მათ შორის, საინტერესო პერსონაჟს ქმნის ბაბე - „თავად უშვილო, გაუთხოვარი, ყოველთვის სხვისთვის თავდადებული"[562]. მართალია, საბჭოთა კავშირში დედობა ყველა ქალისთვის აუცილებლობად მოიაზრებოდა, თუმცა, თუ თავად ქალს არ ჰყავდა შვილები, სახელმწიფოს მისთვისაც ჰქონდა მოფიქრებული გამოსავალი - ასეთ ქალს შეეძლო სხვის შვილებზე ეზრუნა, რადგან მიიჩნეოდა, რომ დედობის ინსტინქტი ყველა ქალში დევს. ამ შემთხვევაში, „გაუთხოვარი" და „უშვილო"

---

[558] **ბონდო კეშელავა,** „შვილობილი", *მნათობი* N4-5.(1944 წლის აპრილი-მაისი):74.
[559] **სსცა,** ფ. 600, აღწ. 2. საქმე 604. ფურც. 82.
[560] **Alice Schuster**, Women's role in the Soviet Union: Ideology and Reality. *The Russian review*, 30 no3 (Jul 1971): 266.
[561] **T. Ewing.** Maternity and modernity: Soviet women teachers and the contradictions of Stalinism. *Women's History Review*, 19 no 3 (2010): 53. https://doi.org/10.1080/09612025.2010.489355
[562] **მარიამ გარიყული,** „დედისერთა", *მნათობი* N6 (1942 წლის ივნისი): 55.

ქალების არსებობის „გამართლება“ ეს შეიძლება ყოფილიყო - ზრუნვა სხვის შვილებზე.

როდიონ ქორქია მოთხრობაში „შვილი“ წერს: „ტასოს და მალხაზის ცხოვრება უმზეო დღეს ჰგავდა. ათი წელია შვილს ნატრობდნენ და შვილი არ ჰყავდათ[563]“ - მთელ მოთხრობას გასდევს ეს აზრი, რომ შვილის გარეშე სიცოცხლე მოწყენილი, სევდიანი, უაზროა. როგორც მარიამ გარიყულის, ასევე როდიონ ქორქიას მოთხრობაში, კარგად ჩანს სახელმწიფოს დამოკიდებულება გენდერული როლების შესახებ. ქალის ვალდებულებაა, იყოს დედა და ამის გარეშე მისი ცხოვრება არ არის დაფასებული. ასევე, უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდში დამკვიდრებული შეხედულებები წლების განმავლობაში სტერეოტიპებად ჩამოყალიბდა და საზოგადოებაში ქალთა სტატუსსა და მდგომარეობას განსაზღვრავდა.

ერთ-ერთი ეპითეტი რომელიც მოთხრობებსა და ლექსებში ხშირად გვხვდება დედის პერსონაჟის დახასიათებისას არის თმებში ჭაღარაშეპარული[564] დედის სახე, რომელიც საქმეშია ჩაფლული. „მნათობში“ დაიბეჭდა სიმონ ჩიქოვანის ლექსი „ამანათი“, ლექსის მთავარი პერსონაჟი ჭაღარა დედაა, რომელიც „ხელთათმანს ქსოვს”[565] და შვილს ამანათს უგზავნის, რომელსაც თან საგულისხმო ფრაზა ახლავს: „მოსპე, განგმირე ვერაგი მხეცი და დაიფარე ოჯახი შენი“[566]. ამდენად, ამ მონაკვეთშიც იგრძნობა დედის სახე, რომელიც ერთი, რომ შვილისთვის ბრძოლისუნარიანობის ამაღლების საფუძველი უნდა გახდეს და მეორე, ერთგვარი ფემინური სახეა, რომელიც ქსოვს, შრომობს და ელოდება ფრონტიდან შვილის დაბრუნებას. ეს შეხსენებაა, საბჭოთა ჯარისკაცისთვის თუ რისთვის იბრძვის ფრონტზე - დედის სითბოს კვლავ შესაგრძნობად, მის გადასარჩენად. უნდა ითქვას ისიც, რომ ქსოვას სიმბოლური დატვირთვა აქვს და დედის სითბოსა და ყურადღების ნიშანია, რაც ხშირად გვხვდება ომის თემატიკაზე შექმნილ სხვა მოთხრობებსა და ლექსებშიც[567].

---

[563] **როდიონ ქორქია,** „შვილი“, *ლიტერატურული საქართველო* N25 (236) (1942 წლის 19 ივნისი): 2.
[564] **სევერიან ისინია,** „ნახვამდის“, *ლიტერატურული საქართველო* N18 (294) (1943 წლის 30 ივლისი):1.
სოლომონ თავაძე, “დედის გული”, *ლიტერატურული საქართველო* N33 (244) (1942 წლის 21 აგვისტო):1.
[565] **სიმონ ჩიქოვანი,** “ამანათი” *მნათობი* N1 (1942 წლის იანვარი): 33.
[566] **ჩიქოვანი,** “ამანათი”, 33.
[567] **იოსებ ნონეშვილი,** „ოთხი ძმა“, *ლიტერატურული საქართველო* N7 (218) (1942 წლის15 თებერვალი): 2.

აქვე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დედა სამშობლოს სიმბოლური სახეცაა და მისი გადარჩენა სამშობლოს გადარჩენის ტოლფასია.

მსგავსი პასაჟი გვხვდება ალიო მაშაშვილის ლექსში „მამა“. ვხედავთ „დედის ხელებით მოქსოვილ ხალათს”[568]და დედას, რომელიც არიგებს შვილს: „შვილო, არ შედრკე! დაჰკა მტარვალებს, არ შეარცხვინო მამის სახელი!“[569]. მანდილი დედის სახე-სიმბოლოა და ქვეყნის დროშასთან ასოცირდება. დედა ხომ სამშობლოს ხატებაცაა. შესაბამისად, დედის მანდილი და ქვეყნის დროშა თანაბარი სიმბოლოებია და ამას ავტორი ლექსში „დედა და შვილი“ შესაბამისად იყენებს. ამავე ლექსის დასასრულს ვკითხულობთ: “და გამარჯვება, მას როგორც დედა, ეგებებოდა დროშის მანდილით“[570]. საგულისხმოა, მსგავსება მაშაშვილისა და ჩიქოვანის ლექსებს შორის. მათ მიერ შექმნილი დედის პერსონაჟი იდენტურია. ასევე სიტყვები, რომლებსაც ის იყენებს - „მტარვალი“, „შეარცხვინო“, „ვერაგი“ „დაჰკა“ და სხვ. გამსჭვალულია საბრძოლო სულისკვეთებით.

ლექსების უმეტესობა სათაურით და შინაარსობრივად ბრძოლის თემატიკაზეა. ხშირ შემთხვევაში ლექსები არ გამოირჩევა მხატვრული ღირებულებით და პირდაპირ მოწოდების სახე აქვს. მაგ. ალიო ადამიას ლექსი „ყირიმში გასაგზავნი წერილი“ იწყება ასე: „დედა მაიას, მოხუც მამაშენს...შენი გმირობის ამბავი უთხრეს“[571]. ამ შემთხვევაში პოეტის მიზანი ლექსის მხატვრული ღირებულების შექმნაზე მეტად მკითხველში პატრიოტიზმის გაღვიძების სურვილია. ასევე, არის ნაწარმოებები, რომელშიც, ფრონტზე წასული შვილი დედას წერს წერილს და ამხნევებს. მაგ.: შალვა აფხაიძის „წერილი დედას“[572]. ხშირია, დედის ან ქალის სახე, რომელიც შვილისგან ან ქმრისგან ელოდება საპასუხო წერილს.[573] ამ ნაწარმოებებში წერილს სიმბოლური დანიშნულება აქვს. წერილი დამაკავშირებელია ძველსა და ახალ ცხოვრებას შორის.

დავით გაჩეჩილაძე, „ოცნება გმირზე“, ლიტერატურული საქართველო N41 (200) (1941 წლის 10 ოქტომბერი): 1.

[568] **ალიო მაშაშვილი,** „მამა“, მნათობი N2(1942 წლის თებერვალი): 9.

[569] **მაშაშვილი,** „მამა“, 9.

[570] **მაშაშვილი,** „მამა“, 10.

[571] **ალიო ადამია,** „ყირიმში გასაგზავნი წერილი“, *მნათობი* N5 (1942 წლის მაისი):61.

[572] **შალვა აფხაიძე,** „წერილი დედას“, N11-12 (1943 წლის ნოემბერი-დეკემბერი):35.

[573]**აკაკი გეწაძე,** „გმირის სიკვდილი“, *მნათობი* N 3 (1944 წლის მარტი):34. .**ვიქტორ გაბესკირია,** „წარსულში“, *მნათობი* N7-8 (1944 წლის ივლისი-აგვისტო):12. **რევაზ მარგიანი,** „ფრონტის დღიურიდან“, *მნათობი* N12 (1944 წლის დეკემბერი): 37. **დომენტი თომაშვილი,** „მინაწერი“, მნათობი N1-2 (1944 წლის იანვარი-თებერვალი):22. **გიორგი ნატროშვილი,** „დასავლეთის ფრონტზე“, *მნათობი* N9-10 (1944 წლის სექტემბერი-ოქტომბერი):12.

წერილი ნიშნავს, რომ ფრონტზე წასული პირი, ჯერ კიდევ ცოცხალია. ასევე, სიმბოლურად მომავლის იმედთან, რწმენასთან ასოცირდება.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი დედის არქეტიპული სახისა, კიდევ ერთი სახე მკვიდრდება საბჭოთა ლიტერატურაში - მომლოდინე, მარტოდ დარჩენილი დედის სახე. ხშირია მოთხრობებში სიუჟეტი, რომელშიც მამა ფრონტზეა წასული და სახლში დარჩენილია დედა შვილებთან და მოხუცებთან ერთად. მას საკუთარ თავზე აქვს აღებული ვალდებულება, რომ გადაარჩინოს ოჯახის წევრები, საჭიროების შემთხვევაში დაეხმაროს ფრონტზე წასულ მეუღლეს ტანსაცმლითა და საკვებით და „ღირსეული მეუღლეობა“ გაუწიოს მას. შეიძლება ითქვას, რომ ქალები ხშირად მეორეულ პოზიციას იკავებენ ნაწარმოებებში, ისინი არიან მთავარი პერსონაჟის დედა, და, სატრფო და სხვ. მათი ფუნქციაა, შეუმსუბუქონ მამაკაცს ცხოვრება. სოლომონ თავაძის ლექსი „შენ გაიმარჯვებ“ ფრონტზე მიმავალ წითელარმიელს ყველა ახლობელი ქალი აცილებს: დედა, სატრფო, შვილი[574]. თითოეული ამხნევებს და ანუგეშებს ფრონტზე მიმავალს. ფრონტზე წასვლა ერთგვარი გამოცდაა, რომელიც უნდა გადალახოს მამაკაცმა. სხვა შემთხვევაში ოჯახს შეარცხვენს[575] - ეს არის კლიშე, რომლითაც საბჭოთა პროპაგანდა ასაზრდოებს თითოეულ მოქალაქეს.

თუმცა გვხვდება ისეთი შემთხვევა საბჭოთა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში, როდესაც დედები, მიუხედავად იმისა, რომ შვილი ჰყავთ აღსაზრდელი, იღებენ გადაწყვეტილებას და ფრონტზე მიდიან ფრონტის დად. ასეთი შემთხვევა აღწერილია კალე ბობოხიძის ლექსში „ინჯას წერილი პოლიტხელ შამილისადმი“. ლექსიდან ირკვევა, რომ „ფრონტელ დად ვხდები, ძვირფას შვილს ვტოვებ და ბრძოლის ველზე მივდივარ, შამილ. თუმცა, შეაწუხებს ბავშვს სიმარტოვე და განშორების სასტიკი წამი... ის გაიზრდება საბავშვო ბაღში, არ მოაკლდება ზრუნვა, ნუგეში[576]“. ეს ლექსი მრავალმხრივ საინტერესოა, ვხედავთ დედას, რომელსაც ფრონტის დად ყოფნა უფრო მაღალ პასუხისმგებლობად მიაჩნია და ამის გამო შვილს ტოვებს საზოგადო ზრუნვის იმედად. მეორე, 1920-იან წლებში დამკვიდრებული

---

[574] **სოლომონ თავაძე,** „შენ გაიმარჯვებ“, *ლიტერატურული საქართველო* N26 (185) (1941 წ. 27 ივნისი): 1.

[575] **როდიონ ქორქია,** „სიზმარშიც კი“, *ლიტერატურული საქართველო* N34 (245) (1942 წლის 01 სექტ.): 2.

[576] **კალე ბობოხიძე,** „ინჯას წერილი პოლიტხელ შამილისადმი“, *ლიტერატურული საქართველო* N43(202) (1941 წ. 24 ოქტომბერი): 1.

აზრი, რომლის მიხედვით ბავშვებზე ზრუნვა საზოგადო მოვლენა უნდა გამხდარიყო ახალი სახით იჩენს თავს. თუმცა უნდა ითქვას, რომ რეალობისგან მოწყვეტილია მსგავსი შემთხვევა და ნაკლებად სავარაუდოა, რომ მას ბევრი ქალი მიმართავდა რეალურ ცხოვრებაში.

საბჭოთა ლიტერატურის გავლენით თითოეულ საბჭოთა დედას საკუთარი თავის იდენტიფიცირება უნდა მოეხდინა პერსონაჟთან და ისინი სანიმუშო მოდელებად მიეღო. დედა სამშობლოს სახე-სიმბოლოა. თავად დედა კი მოვალეა სამშობლოსთვის აღზარდოს შვილი. ამ თავში განხილულ იქნა დედის არქეტიპული სახე საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ჟურნალში „მნათობი“ და გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ დაბეჭდილი მასალების მიხედვით. გამოიკვეთა დედის რამდენიმე სახე, რომელსაც საბჭოთა სისტემა ამკვიდრებს: მებრძოლი, შურისმაძიებელი დედა, ჭაღარათმიანი, მოხუცი დედა, რომელსაც გადარჩენა სჭირდება, დედა, რომელიც სამშობლოს სიმბოლოა, მომლოდინე დედის სახე და სხვ. თითოეული დედის სახის აღწერისას გამოიკვეთა საერთო მიზანი, რაც ამ პერსონაჟებს აქვთ: 1. იყვნენ გზის მაჩვენებელი საკუთარი შვილებისთვის, საკუთარი გამძლეობის, გამბედაობის საფუძველზე აამაღლონ ბრძოლისუნარიანობა სამხედროებში 2. მათი სისუსტე და მოწყვლადობა, უნდა იქცეს ჯარისკაცების ბრძოლისუნარიანობის ამაღლების მიზეზად. 3. საკუთარი შვილის დაკარგვის შემთხვევაშიც კი გააგრძელონ ბრძოლა მტრის წინააღმდეგ, სამშობლოს დასაცავად. დედის არქეტიპული სახის შემაჯამებელი კოდი შესაძლოა იყოს შემდეგი: თავგანწირვა და სამშობლოს გადარჩენა ყველა საშუალების გამოყენებით (იხ. დანართი: ცხრილი 2.3).

§ 6.3. მშრომელი ქალები

საბჭოთა კავშირში ომის პერიოდში გენდერული როლების სწრაფი და აუცილებელი ცვლილება გახდა საჭირო. ფრონტზე წასული მამაკაცები, როგორც მუშახელი, ქვეყანამ დაკარგა. შესაბამისად, საჭირო იყო პროპაგანდა, რომელიც უზრუნველყოფდა ქალების ჩართულობის ზრდას სამუშაო პროცესში. მართალია

სტალინი კონსერვატორული ოჯახის მომხრე იყო. ამიტომ, ქალსა და მამაკაცს შორის ტრადიციული გენდერული როლები გადანაწილებული იყო. თუმცა, ომი გამონაკლისის სახით უშვებს საჭირო დროს ქალთა მიერ კონკრეტული სპეციალობების დაუფლებას და ეს წახალისებულია მთავრობისგან. ამ მიმართულებას ვხედავთ „მნათობსა“ და „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილ მხატვრულ ნაწარმოებებშიც. ერთი მხრივ, თუ პერსონაჟებს უკვირთ ქალის დაინტერესება „მამაკაცური პროფესიებით“, მეორე მხრივ, ვხედავთ ამ ტიპის ქალების წახალისებას. ავტორები დადებით კონტექსტში მოიხსენიებენ ახალი როლების შემსრულებელ ქალებს.

გარდა ამისა, ქალები ანაცვლებენ ფრონტზე წასულ მამაკაცებს და იზრდება კოლმეურნეობაში მშრომელ ქალთა მაჩვენებელი. 1939 წლისთვის მუშა ქალების პროცენტული წილი 23.3%-ს უდრიდა მაშინ, როცა 1945 წლისთვის ეს მაჩვენებელი 27.6%-მდე გაიზარდა[577]. არ წყდებოდა სახელმწიფოს ზეწოლა მოსახლეობაზე, რისი ერთ-ერთი გამოხატულება იყო წელიწადში სამუშაო დღეების 60-დან 100-მდე გაზრდა[578]. ამას ემატებოდა ომით გამოწვეული შიმშილი, რაც კიდევ უფრო გაუსაძლისს ხდიდა ქალების ყოფას. ე.წ. „დიდმა სამამულო ომმა“ განსაზღვრა ქალთა „დასაქმება“ ფრონტზე. ქალები ძირითადად, მედიცინის დად, სანიტრად, სან-ინსტრუქტორად[579] და სხვ. მსახურობდნენ (და არა ექიმებად), ხოლო ფრონტს მიღმა დარჩენილმა ქალებმა მამაკაცების საქმე შეისწავლეს. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ლიტერატურულ გაზეთსა და ჟურნალში იბეჭდებოდა მოთხრობები და ლექსები ქალებზე, რომლებშიც მთავარ პერსონაჟებს დედები და ექთნები წარმოადგენენ - ორივე მათგანი ემოციურობასთან არის დაკავშირებული. ორივე სიცოცხლის სიმბოლოა, სიმტკიცის წყარო ჯარისკაცებისთვის.[580] თუ ექიმის ფუნქციაა ფიზიკურად განკურნოს პაციენტი, ექთნის დანიშნულება სნეულისთვის სულიერი მხარდაჭერის გამოცხადებაა. მოთხრობებში გვხვდება მამაკაცი ექიმები და ქალი ექთნები. ექთნების დანიშნულებად მათი ფიზიკური განკურნება კი არ მოიაზრება, არამედ სნეულის

[577]**Markwick**, “The Motherland Calls,” 222.
[578] **Markwick**, “The Motherland Calls,” 223.
[579] **Pennington**, "Offensive Women,"787.
[580] **Hodgson**, "Women in Poetry," 212.

სულიერ მდგომარეობაზე ზრუნვა, მისი სულიერი განკურნება, ნუგეშისცემა. ამის მაგალითია „შემთხვევა“ - მარიამ გარიყულის მოთხრობა[581]. იგივე მაგალითია, არჩილ ჩაჩიბაიას „მხედარი“.[582] ზოგიერთ შემთხვევაში კი, ქალი სანიტარია ან მოწყალების და, იშვიათად ჩნდება ქალი ექიმი პერსონაჟი.[583] ამის ახსნა შესაძლებელია საბჭოთა საზოგადოებაში დამკვიდრებული შეხედულებით, რომლის მიხედვით ექიმობა რთული და საპასუხისმგებლო პროფესიაა, ხოლო ქალები სუსტ არსებებად მიიჩნეოდნენ. შესაბამისად, იშვიათად გვხვდებიან „ძლიერი ქალები“, რომლებიც კარგი ექიმები არიან. ბევრად ხშირია ქალები, რომლებიც ირგებენ სულიერი მკურნალის (ექთნის, მოწყალების დის, მედდის) როლს, თავისი სინაზით და მოსმენის უნარით მათ მომაკვდავი პაციენტისთვის სიმშვიდე მოაქვთ. თუმცა, სოფია ლეივიტინა მოთხრობაში „პატარა ქალი“, აღწერს ერთ-ერთი ჰოსპიტალის ისტორიას, სადაც მსახურებისთვის გაგზავნეს ახალგაზრდა ქირურგი ქალი, რომელსაც როგორც შემდეგ აღმოჩნდება, სამხედრო ექიმი ზოტოვი არ ენდობა. ამას მოწმობს მისი სიტყვები: „მე ქირურგი მოვითხოვე, მათ კი გოგონა გამომიგზავნეს[584]“- თითქოს გამორიცხულია ახალგაზრდა ქალი კარგი ქირურგი იყოს. მოთხრობის ფაბულა სწორედ ამ იდეაზეა აგებული, ვერა შპაკი პატარა, ნაზი, სუსტი მშვიდი ქირურგი ქალია, რომელსაც ჰოსპიტალში არ ენდობიან მანამ, სანამ ერთი განსაკუთრებული შემთხვევა არ დაანახებს ყველას, რომ ის სუსტი ქალი და ექიმი სულაც არ არის. გერმანელები თავს ესხმიან ჰოსპიტალს, ზოტოვი სასიკვდილოდ იჭრება, ვერა ახერხებს, მიუხედავად იმისა, რომ თვითონაც ფეხშია დაჭრილი, წარმატებით ჩაუტაროს ოპერაცია და სიკვდილს გადაარჩინოს. ვერას შესახებ კოლეგები ფიქრობენ: "საიდან აქვს ესოდენი ძალა ამ პატარა, სუსტ და ნაზ არსებას“. ამ პასაჟებში კარგად ჩანს, როგორ ხედავს საბჭოთა საზოგადოება ქირურგ ქალს. საზოგადოების აზრით, ექიმობა მამაკაცის საქმეა და ძლიერ ხელს მოითხოვს. თუმცა, მოთხრობის მთავარი სათქმელიც ამაშია, რომ არსებობს გამონაკლისები და ზოგიერთი ქალი ბევრად წარმატებული ექიმია. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ქალი

---

[581] **მარიამ გარიყული,** „შემთხვევა“, *მნათობი* N9 (1941 წლის სექტემბერი):31.

[582] **არჩილ ჩაჩიბაია,** „მხედარი“, *მნათობი* N3 (1943 წლის მარტი):16.

[583] **ალ. კორნეიჩუკი,** „ფრონტი“, *მნათობი* N1 (1943 წლის იანვარი):94. **რევაზ მარგიანი,** „ფრონტელის დღიურიდან“, *მნათობი* N11 (1944 წლის ნოემბერი):34. **რაჟდენ გვეტაძე,** „ყინულის ქანდაკება“, *მნათობი* N1-2 (1944 წლის იანვარი-თებერვალი): 48.

[584] **სოფია ლევიტინა,** „პატარა ქალი“, *ლიტერატურული საქართველო* N13 (224) (1942 წლის 29 მარტი): 2.

ექიმები საბჭოთა ქართულ მწერლობაში იშვიათი პერსონაჟები არიან. გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა სტატია „საბჭოთა პატრიოტი ქალების წმინდა მოვალეობის შესახებ“, სტატიაში საუბარია ქალებზე, რომლებიც ომში აღმოჩნდნენ ჩართულნი: ელენე ისიდორეს ასული დალაქიშვილი, ექიმის თანაშემწე, ნინო იპოლიტეს ასული სირაძე, ექიმის თანაშემწე, მარო ივანეს ასული ეგნატაშვილი ფრონტის ხაზზე წავიდა, ნადეჟდა ნესტორის ასული ვაშაკიძე, ექიმის თანაშემწე ფრონტზე[585]. როგორც სტატიიდან ჩანს, ქალები ექიმის პოსტს არ იკავებდნენ და მათ მეორეული როლი ჰქონდათ.

გრიგოლ აბაშიძე ლექსში „ფრონტის მეგობარი“ აღწერს, როგორია მოწყალების დის ყოველდღიურობა: „ღამით ძილს ტეხს დაჭრილებთან, დღისით ახალ კარავს მართავს..“[586] მისი დახასიათებისას ქალს ადარებს მტრედს, და ფრთაფარფატას ეპითეტით მოიხსენიებს, რაც მედდის სინაზეს და ფემინურობას უსვამს ხაზს. კიდევ უფრო საინტერესოა ტაეპი, რომლის მიხედვით ქალი „წუხს რომ ქალად გაჩენილა, ნანობს ვაჟი რომ არ არის“.[587] როგორც შემდეგ ვიგებთ, ქალმა თოფის ხმარებაც იცის და ფრონტისკენაც მიუწევს გული, მაგრამ არ უნდა რომ დატოვოს თავისი პაციენტები, ამის გამო რჩება. ამ ლექსის მიხედვით პოეტმა შექმნა ქალი პერსონაჟის სახე, რომელიც ე.წ. ქალური პროფესიით არის დაკავებული - მედიცინის დაა. თუმცა, მასში არის საკმარისი ძალა, რათა იყოს მებრძოლი და წავიდეს ფრონტზე, მაგრამ მედდის პასუხისმგებლობას არ ღალატობს.

სიმონ წვერავა მოთხრობაში „ზღვისპირული ქარი“ აღწერს ომის საზღვარზე ცხოვრებას, სადაც მამაკაცები იბრძვიან, ხოლო ქალები მათ ანაცვლებენ: მიწას ამუშავებენ, შრომობენ.[588] მოთხრობის სიუჟეტში გვხვდებიან ქალები, რომლებიც ომში მიმავალ ქმრებს აცილებენ. „მნათობის“ 1942 წლის მე-6 ნომერში დაბეჭდილ გ. ქუჩიშვილის ლექსში ვხედავთ გოგონებს, რომლებიც „სოფლის ბოლოს თივას

---

[585]„საბჭოთა პატრიოტი ქალების წმინდა მოვალეობა“, *გაზეთი კომუნისტი* N212 (6217) (1941 წლის 7 სექტემბერი): 1.

[586] **გრიგოლ აბაშიძე,** „ფრონტის მეგობარი“, *ლიტერატურული საქართველო* N27 (186) (1941 წლის 04 ივლისი): 2.

[587] **აბაშიძე,** „ფრონტის მეგობარი“, 2.

[588]**სიმონ წვერავა,** „ზღვისპირული ქარი“, *მნათობი* N7-8 (1942 წლის ივლისი-აგვისტო):137. **სერგო კლდიაშვილი,** „ფანტასმაგორი“, *მნათობი* N6 (1944 წლის ივნისი): 29.

სთიბდნენ“.[589] საბჭოთა მხატვრული ლიტერატურა ყოფითი სცენებით საკმაოდ დატვირთული იყო. ავტორი მოთხრობაში/ლექსში აღწერდა ყველა საბჭოთა მოქალაქისთვის ნაცნობ რეალობას. თუმცა, ხშირად უმატებდა იმ დეტალს, რაც სახელმწიფოს მიერ გამართლებულად მიიჩნეოდა. მაგ.: კაცებისგან დაცლილ სოფელს მოთხრობაში „პარტიზანები“ ავტორი „მიტოვებულს“ უწოდებს[590]. ეს საგულისხმოა იმდენად, რამდენადაც ამ პასაჟით ქალთა სუსტი ბუნების ხაზგასმა ხდება. მამაკაცების გარეშე სოფელი/ქალაქი თითქოს პატრონის გარეშეა დარჩენილი - ეს არის სათქმელი. ასევე, მეორე მხრივ, ხაზს უსვამს ქალებისთვის მეტად რთულ მდგომარეობას - მათი პასუხისმგებლობა გაორმაგდა.

მამაკაცების ფრონტზე წასვლამ სოფლის მეურნეობაში ქალთა გააქტიურება საჭირო გახადა. შესაბამისად, ამუშავდა პროპაგანდა. ნაწარმოებებში ვხვდებით ქალ-პერსონაჟებს, რომლებიც შესაშური ტრაქტორისტები არიან. ლადო ბალიაურის მოთხრობაში „ქალი გრიგალში“ ერთ-ერთი პერსონაჟია დუნია, რომელიც ტრაქტორს მართავს, თუმცა ქალურობას არ კარგავს და „ოქროსფერ თმის კულულებს“ აფრიალებს ქარში[591]. დუნია მალე იგებს რომ ფეხმძიმედაა. მას ამ მიზეზის გამო დეკრეტულ შვებულებაში უშვებენ, მშობიარობის შემდეგ კი, დააწინაურებენ და კომბაინზე სამუშაოდ გადაჰყავთ. ეს პასაჟი ორმხრივად არის საინტერესო: ერთი, რომ საბჭოთა ხელისუფლება აფასებს ქალ-ტრაქტორისტებს, და მეორე, ქალის უპირველეს მოვალეობად დედობა განიხილება. შესაბამისად, ქალი, რომელიც დედაა, სახელმწიფოსგან პრივილეგიებს იღებს (დეკრეტული შვებულება და დაწინაურება სამსახურში). გარდა ქალი-ტრაქტორისტებისა, მოთხრობაში გვხვდებიან ქალი-მეტალურგებიც. „მნათობის“ მე-3 ნომერში დაიბეჭდა მოთხრობა „თამბაქო“, რომლის ერთ-ერთი გმირი მოსკოვიდან ახლადჩამოსული ლიუდმილაა. ის თავის თავს ასე წარადგენს: “ლიუდმილა ნიკოლაევნა ვარ, გვარად სოკოლოვა, პროფესიით ახლად გამომცხვარი მეტალურგი“[592]. ახლად გამომცხვარი თავისთავად მითითებაა, რომ მეტალურგი და ქალი საკმაოდ უცხოა საბჭოთა საზოგადოებისთვის, მაგრამ ვინაიდან ომია, ესეც დასაშვები და საჭირო გახდა. საინტერესოა, რომ როგორც ვიზუალურ

[589] **გიორგი ქუჩიშვილი,** „უკრაინისთვის“, *მნათობი* N6 (1942 წლის ივნისი): 28.
[590] **იაკინთე ლისაშვილი,** „პარტიზანები“, მნათობი N1 (1943 წლის იანვარი): 39.
[591] **ლადო ბალიაური,** „ქალი გრიგალში“, *მნათობი* N2 (1942 წლის თებერვალი): 41.
[592] **შალვა დადიანი,** „თამბაქო“, *მნათობი* N3 (1942 წლის მარტი):28.

მასალაში, ისე მხატვრულ ნაწარმოებებში ყველაფერი წარმოდგენილია არა ისე, როგორც სინამდვილეში იყო, არამედ ისე, როგორც უნდა იყოს სოციალიზმის დროს. შესაძლებელია, მხატვრული ნაწარმოებების დიდი ნაწილი სცდება რეალობას, მაგრამ ეს არის როლი, სახე, რომლისაც უნდა ირწმუნოს მკითხველმა და ცხოვრების სტილად აქციოს.

როგორც აღვნიშნეთ, მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა ქალები ეუფლებოდნენ ე.წ. „მამაკაცურ პროფესიებს". თუმცა, ქალების ამ პოზიციებზე მუშაობა რომ არ იყო საზოგადოებაში ფესვგადგმული და მიღებული, ამას მოწმობს ლიტერატურაში სხვადასხვა ფრაზები, რომელსაც მამაკაცი პერსონაჟები წარმოთქვამენ. კოტე ხიმშიაშვილი მოთხრობაში „ნახტომი ღამეში" წერს: „საპარაშუტო სკოლაში ქალი ჰყავდათ ინსტრუქტორად, ასეთ ქალს ქუჩაში ყოველთვის მოხედავენ და თვალს გაადევნებენ. იმიტომ კი არა, რომ მკერდზე პარაშუტიზმის ოსტატის ნიშანი აქვს. სხვა უფრო ჩვეულებრივი მიზეზის გამო. მას თითქოს ცისფერი ჰქონდა თვალები, მაგრამ როცა საპარაშუტო, ცისფერ კომბინეზონს ჩაიცვამდა, დარწმუნდებოდი რომ სცდებოდი."[593] ამ ამონარიდის მიხედვით, ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქალის მკერდზე პარაშუტისტის ნიშანი თითქოს საკვირველი სულაც არ არის. მაგრამ იმავე მოთხრობაში წერს: „ზოგი ქალი ბევრ მამაკაცზე გულადია, გონებაგამჭრიახი და გამძლე - მაგრამ - ცოდვა გამხელილი სჯობს - ზურაბისთვის რომ გეკითხათ, შარვალი ყველას არ უხდება."[594] ამ პასაჟში კარგად ჩანს საბჭოთა მამაკაცების დიდი ნაწილის დამოკიდებულება ქალთა ემანსიპაციის თაობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა საზოგადოებაში ტრადიციული შეხედულებები სჭარბობდა, 1930-იან 1940-იან წლებში, მას შემდეგ რაც ქალები სამუშაო სივრცეში გამოჩნდნენ, ისინი განიცდიდნენ შევიწროებას და მათ ხშირად მამაკაცები არ ხვდებოდნენ კეთილგანწყობილად[595]. ვენდი გოლდმანი აღნიშნავს, რომ გენდერული დაყოფის მცდელობამ გამოიწვია დამატებითი შეჯიბრი და კონფლიქტი ქალსა და მამაკაც

---

[593] **კოტე ხიმშიაშვილი**, „ნახტომი ღამეში", *ლიტერატურული საქართველო* N15 (174) (1941 11 აპრილი): 2.

[594] **ხიმშიაშვილი**, „ნახტომი ღამეში", 2.

[595] **Thomas G. Schrand** "The Five-Year Plan for Women's Labour: Constructing Socialism and the 'Double Burden', 1930-1932," *Europe-Asia Studies* 51, no. 8 (1999): 1465, http://www.jstor.org/stable/153838. [ბოლო ვიზიტი 10/01/2025].

მუშებს შორის[596]. გაჩნდა უსამართლობის გრძნობა, ორივე მხარე მიიჩნევდა, რომ თვითონ ასრულებდა ყველაზე მძიმე და ჭუჭყიან საქმეს. ხშირად კაცები ქალებს კოლეგებად ვერ აღიქვამდნენ და მათ როგორც სექსუალურ პარტნიორებს ისე უყურებდნენ. მართალია, ქალები თანამედროვე ტერმინს „სექსუალურ შევიწროებას“ არ იყენებდნენ, მაგრამ საუბარში აღწერდნენ ძალადობრივ და შემავიწროებელ გარემოებებს[597].

თუმცა, საბჭოთა მთავრობა ახალისებდა იმ პროფესიებს, რომლებიც ქალთა შორის არ იყო პოპულარული. წახალისების ფორმა იყო რომელიმე წარმატებული ქალის გამორჩევა და საუბარი მის დამსახურებებზე. ომის პერიოდში კი ასეთი წარმატებული ქალები ომის მიზნებისთვის გამოიყენეს. მაგ. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ წერდა „ცნობილი, აკადემიკოსი ქალის[598]“, ფიზიოლოგის, ლ. ს. შტერნის მოსაზრებას, რომელიც საუბრობდა ე. წ. „დიდ სამამულო ომზე“ და აცხადებდა, რომ „ასეთ ომში მონაწილეობის მიღება ბედნიერებაა... ბედნიერებაა, მიიღო მონაწილეობა ომში, რომელიც იხსნის კაცობრიობას ფაშიზმის წყვდიადისაგან.[599]“
გარდა, „მამაკაცური პროფესიებისა“ ნაწარმოებებში გვხვდება ქალებისთვის სტანდარტული დასაქმების სფეროები: საბავშვო ბაღის აღმზრდელი, სკოლის მასწავლებელი და სხვ. თუმცა, ეს საბჭოთა რეალობისთვის მეტად ბუნებრივი იყო, რადგან მშვიდობიანობის დროს ე.წ. ქალურ პროფესიებზე ისედაც ქალები მუშაობდნენ და დედებს, რომლებიც მუშაობდნენ, ამ გზით უმსუბუქებდნენ საქმეს.

როგორი უნდა ყოფილიყო ფრონტს მიღმა დარჩენილი ქალების ცხოვრება, კარგად ჩანს ა. აბაშელის ლექსში: „შენ წახვალ, მე აქ დავრჩები/ ქვეყანას აქვე ვჭირდები,/ მე აქ შენეულ კომბაინს/ ხელმარჯვედ ჩავეჭიდები/ შენ იქ სისხლს დაღვრი, მე ოფლად/ აქ დავეფრქვევი ყანასა./ დღეს ეს ორივე თანაბრად/ სჭირდება ჩვენს ქვეყანასა“.[600] ეს ლექსი პირდაპირი მოწოდებაა ყველა ზურგში დარჩენილი ქალისადმი. თუ

---

[596] **Goldman**, *Women at the Gates*, 226.
[597] **Goldman**, *Women at the Gates*, 227.
[598] მტერი უკუქცეული იქნება, *ლიტერატურული საქართველო* N44 (203) (1941 31 ოქტომბერი): 1.
[599] მტერი უკუქცეული იქნება. *ლიტერატურული საქართველო* N44 (203) (1941 31 ოქტომბერი): 1.
[600]**ლავროსი კალანდაძე,** „სამამულო ომი და ქართული საბჭოთა პოეზია“ *მნათობი* N2 (1942 წლის თებერვალი):125.

პლაკატებზე ხატავდნენ ქალებს, რომლებიც მამებსა და ქმრებს ანაცვლებენ ყველა საქმეში, მოთხრობებსა და ლექსებში ისმოდა მოწოდებები, რომ საზოგადოებისგან დაფასებული ის ქალი იყო, რომელიც საკუთარ კეთილდღეობას დათმობდა და დაეუფლებოდა იმ საქმეს, რომელიც თუნდაც მისი გენდერული როლისთვის ნაკლებად მისაღები იყო. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს დროებითია. მხოლოდ ომით შექმნილმა მდგომარეობამ განაპირობა ქალთა აქტიური ჩართვა „მამაკაცურ პროფესიებში". ამიტომ, ამის პარალელურად არ წყდება დედის ხატის გაძლიერება. ამასაც ორგვარი ახსნა აქვს, ერთი, რომ დემოგრაფიულ ვითარების გაუმჯობესება დედებზეა დამოკიდებული და მეორე, დედა სიმბოლურად სამშობლოს ხატებაა. შესაბამისად, მისი „გამოყენება" მხატვრულ ნაწარმოებებში საბჭოთა მოქალაქეში ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას ემსახურება. ქალების სახე, რომლებიც რჩებიან ქმრების ნაცვლად და ასრულებენ პლაკატის „ჩაგანაცვლებთ" ფუნქციას. ასეთი პერსონაჟები არიან ნაწარმოებებში „ერთხელ, ღამით"[601] და „დედის გული" მარო და მარინე,. მარინე ძლიერი ქალია, რომელიც ორმაგ ტვირთს ზიდავს: უვლის ქათმებს, ღორს, ინდაურს, ეზოს და კარს, ამის პარალელურად ზრუნავს მოხუც ქმარსა და შვილიშვილებზე[602]. არც ყანაში მუშაობას თაკილობს. მისი შვილი ფრონტზეა წასული და ქალისთვის ბუნებრივია, რომ ჩაანაცვლოს ის ყველა საქმეში, შინ და გარეთ.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში მშრომელი ქალის სახე ცალკე არქეტიპად ჩამოყალიბდა ე.წ. „დიდი სამამულო ომის" დროს. შექმნილი გარემოებებიდან გამომდინარე, ქალები აქტიურად აღმოჩნდნენ ჩაბმულნი სასოფლო-სამეურნეო, ინდუსტრიულ, სამხედრო საქმიანობაში. ამის მიხედვით ჩამოყალიბდა ქალი მედდის, ინდუსტრიის მუშაკი ქალისა თუ პილოტი ქალის სახეები. თითოეული მათგანის საერთო ნიშანი არის ფემინურობა, რაც მათ სინაზესა და სისუსტეში ვლინდება. თუმცა, ეს ფაქტი არ გამორიცხავს ქალების შრომისუნარიანობას, გამბედაობასა და თავგანწირვის უნარს. ამდენად, მათ სახელმწიფო პროპაგანდა ორმაგ ტვირთს აკისრებდა - იყვნენ სანიმუშო

---

601 **ილო მოსაშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე,** „ერთხელ, ღამით", *მნათობი* N6-7 (1941 წლის ივნისი-ივლისი): 23.

602 **სოლომონ თავაძე,** „დედის გული", *ლიტერატურული საქართველო* N33 (244) (1942 წლის 21 აგვისტო): 1.

მშრომელები ზურგის ფრონტზე და საჭირო დროს თავი გასწირონ. ამ თავის შემაჯამებელი კოდი შესაძლოა იყოს შემდეგი: შრომითი სიმამაცე საბრძოლო გმირობის ტოლფასია (იხ. დანართი - ცხრილი N2.4.).

§ 6.4. ქალი მსხვერპლი

1930-იან წლებში დაწყებულმა ცვლილებებმა ხელი შეუწყო ქალთა და მამაკაცთა გათანაბრებას საკანონმდებლო დონეზე. თუმცა, ბოლშევიკების აზრით, ქალთა ემანსიპაცია არ გულისხმობდა ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობას ყველა სფეროში. მართალია, საბჭოთა კავშირში ქალები ჩართულები იყვნენ ინდუსტრიულ თუ სამეურნეო სფეროში, მაგრამ ეს ფაქტი მათ „სუსტ ბუნებას“ არ გამორიცხავდა. ქალები კვლავ რჩებოდნენ „სუსტ“, „უმწეო“ არსებებად და საზოგადოების მოწყვლად, დაუცველ ფენას წარმოადგენდნენ. ეს მიდგომა აძლიერებდა ფრონტზე წასული მამაკაცების სურვილს, დაეცვათ საკუთარი დედები, დები „ვერაგი მტრის ურდოსგან“. უმაღლესი მთავარსარდალი ი. სტალინი თავის მიმართვაში წითელი არმიის ჯარისკაცებს ერთ-ერთ მიზნად უსახავდა: „ულმობლად შური იძიონ გერმანელ დამპყრობლებზე ჩვენი ცოლებისა და ბავშვების, დედებისა და მამების, ძმებისა და დების სისხლისა და ცრემლებისათვის[603].

საბჭოთა საქართველოს მხატვრული ლიტერატურის ანალიზი ცხადყოფს, რომ როგორც პოეზიის, ისე პროზის ნაწილში ქალების მსხვერპლის როლში გამოყვანა ერთ-ერთი ყველაზე სენსიტიური საკითხი იყო, რომელსაც შეეძლო აემაღლებინა ბრძოლისუნარიანობა საბჭოთა წითელ არმიაში. შესაბამისად, ქალი-მსხვერპლის არქეტიპული სახის შექმნის მიზანი იყო წითელარმიელებისა და დანარჩენი საბჭოთა მოქალაქეების ბრძოლისუნარიანობის ამაღლება და ამასთან, ფაშისტებისგან მტრის ხატის შექმნა, რადგან მიიჩნეოდა, რომ ისინი არ ინდობდნენ ყველაზე მოწყვლად კატეგორიასაც კი - ქალებს და ბავშვებს.

---

[603] **ი.ბ სტალინი,** „თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის სიტყვა“, მნათობი N11-12 (1943 წლის ნოემბერი-დეკემბერი): 7.

ამ მოსაზრებას ვხვდებით არაერთ ნაწარმოებებში. მაგ: გიორგი კაჭახიძე ლექსში „სამამულო ომში დაღუპულ გმირებისადმი“ წერს: „ურდოს ეკვეთეთ თავგამეტებით... რომ მხნედ დაგეცვათ დები, დედები..“[604]. იგივე პათოსია ვასო გორგაძის ლექსში „პსკოვის შარაზე“[605], ალექსანდრე აბაშელი ლექსში „ლენინგრადი“ წერს: „ხოცავენ, მოხუცთ, ქალებს და ბავშვებს/ და თავი მოაქვთ საქმით ნაძრახით“[606]. ამ ტაეპიდან ორი მნიშვნელოვანი აზრი იკითხება, ერთი, რომ მტერი იმდენად „ველური“ და “მხეცი ბუნების“ მატარებელია, რომ არ ინდობს არც მოხუცს, არც ქალს და არც ბავშვებს და უფრო მეტიც, ამაყობს ამ საქციელით. ამ პასაჟში ჩანს, ერთი მხრივ, მოწყვლადი კატეგორია მოხუცების, ქალების და ბავშვების სახით და, მეორე მხრივ, ჩანს გერმანელების სახე-ხატი.

უნდა ითქვას, რომ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ თითქმის ყოველ ნომერში გვხვდება ერთი სტატია, რომელსაც მოწოდების ფორმა აქვს და დირექტივებს აძლევს მოსახლეობას, თუ როგორ უნდა იმოქმედონ. სტატიაში „სტალინი ჩვენი გამარჯვების დროშაა“ (ავტორი უცნობია) ავტორი გერმანიას „ცოფიან ფაშისტურ ურჩხულს“ უწოდებს. ასევე, გერმანელების მიმართ სტატიაში გამოყენებულია სიტყვები: „კაციჭამიები“, „გაცოფებული ვანდალები“, „ფაშისტი ქვეწარმავლები,“ „მორიელები“[607] და სხვ.[608] სიტყვები უარყოფითი კონოტაციის მატარებელია და შესაბამისად, უარყოფითად განაწყობს მკითხველს გერმანელებისადმი.

ნ. ტიხონოვის მოთხრობაში „მძულვარება“ ვხვდებით გერმანელებისგან დარბეული ქალაქის აღწერას: „დაინახა მოკლული ბავშვიანი ქალი“[609]. ქალის წამებას გერმანელების მიერ, აღწერს რ. გვეტაძე მოთხრობაში „ყინულის ქანდაკება“, მოთხრობის სიუჟეტის მიხედვით, გერმანელმა ჯარისკაცებმა ახალგაზრდა ქალი გააშიშვლეს, შემდეგ კი, „ბოძთან ზურგით გააჩერეს და ზედ ბაწრით მიკვრა

---

[604] **გიორგი კაჭახიძე,** „სამამულო ომში დაღუპულ გმირებისადმი“, *მნათობი* N10 (1941 წლის ოქტომბერი): 39.
[605] **ვასო გორგაძე,** „პსკოვის შარაზე“, *მნათობი* N9 (1941 წლის სექტემბერი):4.
[606] **ალექსანდრე აბაშელი,** „ლენინგრადი“ *მნათობი* N2 (1943 წლის თებერვალი): 13.
[607] **აკაკი ბელიაშვილი,** „მორიელები“, *ლიტერატურული საქართველო* N22 (233) (1942 წლის 30 მაისი): 1.
[608] „სტალინი ჩვენი გამარჯვების დროშაა“, *ლიტერატურული საქართველო,* N31 (190), (1941 წლის 1 აგვისტო):1.
[609] **ნიკ ტიხონოვი,** „მძულვარება“, *მნათობი* N4-5 (1944 წლის აპრილი-მაისი): 25.

დაუწყეს...ჯარისკაცმა...მთელი კასრი წყალი, წარბშეუხრელად, თქეშად დაასხა თავზე“. მოქმედება ზამთარში ხდება. როგორც შემდეგ ვიგებთ, ვასილისა სიცივისგან ყინულის ქანდაკებად იქცა[610]. ამ შემთხვევაში ავტორი ქმნის პერსონაჟის სახეს, რომელიც მტერმა ტყვედ ჩაიგდო და მას სხვა გამოსავალი არ აქვს. ამიტომ, აქ აქცენტი არა საბჭოთა მოქალაქეზეა, რომელიც მსხვერპლის როლშია, არამედ გერმანელზე, რომელმაც დანდობა არ იცის. ასევე, ავტორი არომანტიზებს მსხვერპლად შეწირვის ნაწილს - ქალის ყინულის ქანდაკებად გადაქცევა ამის ილუსტრაციაა. ზოგიერთ მოთხრობაში კი ავტორი მსხვერპლად შეწირულ ქალს „იყენებს“ და მისი პირით მიმართავს საზოგადოებას, რომ ქალის მიერ გაღებული მსხვერპლი არ იყოს უაზრო და „თითქოს მისი (გარდაცვლილის) ფერფლიდან ისმის სიტყვები: იბრძოლეთ ვაჟკაცურად, იბრძოლეთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. სახელოვანი სიკვდილიც გმირის დაბადებაა.[611]“ ციტატა ცალსახად მიუთითებს, რომ სახელოვანი სიკვდილი უდრის გმირობას და საბჭოთა მოქალაქეებისთვის ასეთი სიკვდილი სანატრელიც კი არის.

ზოგიერთ მოთხრობაში ქალები მსხვერპლის როლში არიან და ამ გზით მამრობითი სქესის პერსონაჟების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას იწვევენ. დედის, ქალიშვილის ან ცოლის წამება ან მოკვლა მამაკაცი პერსონაჟისთვის გარდასახვის წინაპირობაა. მაგ. ნ. მიქავა მოთხრობის „კომისარი“ მთავარი პერსონაჟი, სტეფან გავრილოვი, ბრუნდება სახლში და მტრისგან გადამწვარ სოფელს ხედავს. ოჯახი: დედა და ქალი, რომელიც უყვარდა, მოკლულები არიან - ისინი ხდებიან მსხვერპლის განსახიერება. ეს სიგნალია საბჭოთა ჯარისკაცისთვის, რომ აღივსოს შურისძიების სურვილით და ბრძოლა გააგრძელოს. მოთხრობის დასასრულს გავრილოვი ამბობს: „მე ვერ მოვისვენებ მანამ, სანამ ჩვენს მიწა-წყალზე თუნდაც ერთი გერმანელი მაინც დარჩება ცოცხალი“[612]. ეს კი მოთხრობის მთავარი მესიჯია - მართალია ძვირფასი ადამიანები - ამ შემთხვევაში დედა და საყვარელი ქალი - შეიწირა მტერმა, მაგრამ ბრძოლას აქვს აზრი და არც ერთი საბჭოთა ჯარისკაცი არ უნდა დანებდეს. როგორც დედის არქეტიპული სახის კვლევისას გამოჩნდა, დედას არ აქვს უფლება

---

[610] **რაჟდენ გვეტაძე,** „ყინულის ქანდაკება“ *მნათობი* N1-2 (1944 წლის იანვარი-თებერვალი): 48.
[611] **არჩილ ჩაჩიბაია,** „ძვლები“, *ლიტერატურული საქართველო* N33 (244) (1942 წლის 21 აგვისტო): 2.
[612] **ნ. მიქავა,** „კომისარი“ *მნათობი* N9 (1942 წლის სექტემბერი):77.

სასოწარკვეთილებას მიეცეს, მსგავსი ტენდენცია ვლინდება ჯარისკაცის შემთხვევაშიც. წითელარმიელს არ აქვს უფლება სასო წარიკვეთოს და მომავლის იმედი დაკარგოს, თუნდაც მთელი ოჯახი შეეწიროს ბრძოლას. ის ვალდებულია სამშობლოს სამსახურში დარჩეს და გერმანელებზე შური იძიოს.

მეორე მსოფლიო ომის საბჭოთა საქართველოს მხატვრულ ლიტერატურაში, ქალები გერმანელების „ვერაგობის“ და „დაუნდობლობის“ გამო ხდებიან მსხვერპლნი. თუმცა, მსხვერპლი ქალის მეორე სახეს ქმნიან ისინი, რომლებმაც სატრფო, ქმარი ან მამა დაკარგეს ბრძოლის ველზე. მართალია თვითონ გადარჩნენ, მაგრამ მათ ძვირფასი ადამიანები შესწირეს ომს და ამ გზით თავად იქცნენ მსხვერპლად. ნაწარმოებებში აღწერილია ქალების მდგომარეობა, რომლებიც ვერ ეგუებიან სატრფოს, ქმრის დაკარგვას და თავად დასნეულდებიან ან სიკვდილით ასრულებენ სიცოცხლეს. ასეთ პასაჟს ვხვდებით ვიქტორ გაბესკირიას ლექსში „ავადმყოფი“.[613] ლექსი იწყება ასე: „დიდი ხანია ქალიშვილი ლოგინად არის“[614]. სატრფოს დაკარგვის შემდეგ, ეს მდგომარეობა ბუნებრივად მიიჩნევა. სოლომონ თავაძე მოთხრობაში „სიცოცხლის სიტკბო“ აღწერს ამბავს, როდესაც ფრონტზე წასვლის შემდეგ სიმონის საცოლე გაიანე გაათხოვეს. ავტორი ამას ასე ხსნის: „გოგოს აბა ვინ გააჩერებდა, აიძულეს და გაათხოვეს.[615]“ ამის შემდეგ კი გაიანე დაილია, დაჭკნა და ჯავრს გადაჰყვა“[616]. აქ კარგად ჩანს მიჯაჭვულობა ქალისა მამაკაცისადმი, რაც ქალს არ აძლევს უფლებას, მის გარეშე იარსებოს და დასნეულება ამის სიმბოლური დადასტურებაა. შესაბამისად, ეს კიდევ უფრო საინტერესო დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს: მამაკაცებისგან განსხვავებით, ქალებს უფრო მეტად უჭირთ დამოუკიდებლად ცხოვრება, ისინი მიჯაჭვული არიან საყვარელ მამაკაცს, (რაც თავსდება გენდერული პარადიგმის თეორიაში, რომელსაც საბჭოთა სახელმწიფო იზიარებდა) ამიტომ მამაკაცის გარდაცვალება თუ ზოგიერთ შემთხვევაში (მებრძოლის დედის სახე და სხვ.) შურისძიების წინაპირობად იქცევა, ქალების

---

[613] **ვიქტორ გაბესკირია,** „ავადმყოფი“, *მნათობი* N7 (1943 წლის ივლისი):13.
[614] **გაბესკირია,** „ავადმყოფი“, 13.
[615] **სოლომონ თავაძე,** „სიცოცხლის სიტკბო“, *ლიტერატურული საქართველო* N23 (182) (1941 წლის 6 ივნისი): 2.
[616] **თავაძე,** „სიცოცხლის სიტკბო“, 2.

ნაწილში იწვევს დასნეულებას და გარდაცვალებას. ამ შემთხვევაში მსხვერპლი ქალის არქეტიპული სახე აერთიანებს ფემინური ქალის არქეტიპულ სახესაც.

როდესაც სასწორზე ქალების „შერცხვენა“ და „მტერზე დანებება“ დევს, ქალები სიკვდილის სასარგებლოდ აკეთებენ არჩევანს და თავად ირჩევენ მსხვერპლად შეწირვას. გიორგი ნატროშვილი მოთხრობაში „ფურცლები საფრონტო დღიურიდან“ პერსონაჟს, რომელიც გერმანელების ტყვეობაშია, ათქმევინებს: „უმალ სიკვდილი მერჩივნა, ვიდრე, ისინი ხელს მახლებდნენ“.[617]იგივე მეორდება ვიქტორ გაბესკირიას ლექსში „წარსულში“[618]. მთავარი პერსონაჟი ქალი უფსკრულში გადაიჩეხება და ამ გზით ასცდება ტყვეობას. ამდენად, ამ ტიპის ნაწარმოებების მთავარი სათქმელი ნათელია, საბჭოთა ხელისუფლება კარნახობდა საკუთარ მოსახლეობას, გაეკეთებინა ყველაფერი, ოღონდ არ დარჩენილიყო მტრის ტყვეობაში. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ტყვედ ჩავარდნილ მოქალაქეებს საბჭოთა მთავრობა უსამართლოდ ექცეოდა, სამშობლოში დაბრუნებულებს გადასახლებაში უშვებდა ან სიკვდილით სჯიდა. შესაბამისად, ტყვედ ჩავარდნის შემთხვევაში საბჭოთა მოქალაქეს თავად უნდა დაესრულებინა საკუთარი სიცოცხლე. მეორე მხრივ, მსგავსი სიუჟეტის ნაწარმოებები ფაშისტების „მხეცური“ ბუნების ხაზგასმა იყო, რაც საბჭოთა პოლიტიკურ ელიტას ფრონტზე წარმატებისთვის სჭირდებოდა.

ასევე, აღსანიშნავია, რომ ქალი-პერსონაჟები მზად არიან თავი გაწირონ არამხოლოდ თვითმკვლელობის ან მსხვერპლად შეწირვის გზით, არამედ პასუხისმგებლობის გაორმაგების გზით. მამაკაცების თავგანწირვა ფრონტზე წასვლაში გამოიხატებოდა, ხოლო ქალები „ანაცვლებდნენ“ მამაკაცებს სამუშაო სფეროში. ასევე, ქალები დაუფიქრებლად უშვებდნენ ფრონტზე საქმროებს და ქმრებს სამშობლოს დასაცავად. არჩილ ჩაჩიბაიას მოთხრობის „მე ისევ შევცქერი მზეს“ პერსონაჟი, სახელად ნინო ეთხოვება სატრფოს და მიმართავს: „განა, მე არ ვიცი? ჩემს სიყვარულზე უფრო მაღლა დგას სამშობლოს სიყვარული...უსამშობლოდ არც ჩვენი ყოფნა, არც ჩვენი სიყვარული არ იქნება ბედნიერი...“[619]. შესაბამისად, სიცოცხლე უტოლდება მამულს და მის გარეშე ბედნიერება არ არსებობს. ამავეს ამბობს, რევაზ მარგიანი ლექსში „ფრონტელის

---

[617] **გიორგი ნატროშვილი,** „ფურცლები საფრონტო დღიურიდან“, *მნათობი* N 7 (1943 წლის ივლისი): 17.
[618] **ვიქტორ გაბესკირია,** „წარსულში“, *მნათობი* N7-8 (1944 წლის ივლისი-აგვისტო): 13.
[619] **არჩილ ჩაჩიბაი,** „მე ისევ შევცქერი მზეს“, *მნათობი* N4-5 (1943 წლის აპრილი-მაისი): 25.

დღიურიდან“: „ჩვენთვის ხომ სიცოცხლე მამული არის, - დიადი სამშობლო წმინდა“[620]. ამ ტაეპებში ყურადსაღებია სიტყვები, რომელთაც საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა: „წმინდა“, „სამშობლო“, „დიადი“, „სიყვარული“ და სხვ. ამავე აზრს ატარებს საბჭოთა პრესაში ომის დროს დამკვიდრებული სლოგანი - „ყველაფერი ფრონტისათვის[621]“, რომელიც მოუწოდებს მოქალაქეებს პირადი გრძნობები გვერდზე გადადონ და თავი სამშობლოს „მიუძღვნან“.

ამდენად, ქალები აცნობიერებენ საკუთარ მისიას: ერთი, სამშობლოს აღუზარდონ ღირსეული შვილები და ამ ფორმით მსხვერპლად შეეწირონ მათ, მეორე, თუ საჭირო გახდა პირადი ბედნიერება გვერდზე გადადონ და სამშობლოს ინტერესები დააყენონ პირველ ადგილას, მესამე - გააკეთონ ყველაფერი, რაც გააუმჯობესებს მათ ოჯახში მდგომარეობას - იშრომონ, იბრძოლონ და ა.შ. ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში უარყოფილია თავად ქალების ადგილი საზოგადოებაში, პირადი „მე“. ისინი მხოლოდ „საჭირო მსხვერპლნი“ არიან „დიადი მისიის“ შესასრულებლად. არც ერთ მოთხრობაში არ ჩანს ქალის სულიერად გატეხილი მდგომარეობის აღწერა, რადგან ეს სისუსტედ მიიჩნეოდა.

დასასრულისთვის უნდა ითქვას, რომ ქალი-მსხვერპლის არქეტიპული სახე თავის თავში აერთიანებს რამდენიმე არქეტიპს. ქალი-მსხვერპლი შესაძლოა იყოს დედაც, ფემინური ქალიც და მშრომელი ქალიც. ზოგიერთ შემთხვევაში საბჭოთა ლიტერატურული ტრადიცია ქმნის მსხვერპლი ქალის სახეს, რომელიც გარემოების შედეგად გაჩნდა - გერმანელმა იმსხვერპლა. სხვა შემთხვევებში კი ქალი თავად აკეთებს არჩევანს და იქცევა მსხვერპლად, რათა სხვებისთვის გზის მაჩვენებელი იყოს. უსისხლო მსხვერპლშეწირვის სახეა ქალი, რომელიც მამაკაცს ანაცვლებს ოჯახში და მის გარეთ მანამ, სანამ ის ფრონტზე იბრძვის. ქალი მსხვერპლის დახასიათებისას აშკარად თავს იჩენს ფემინური ხასიათი. მისი აღწერისას ჭარბობს ეპითეტები: ნაზი, ლამაზი, ქალური[622] და სხვა, რაც აძლიერებს მკითხველის ემპათიას. შემაჯამებელი კოდი ქალი მსხვერპლის არქეტიპისთვის შესაძლოა იყოს

---

[620] **რევაზ მარგიანი,** „ფრონტელის დღიურიდან“, *ძნათობი* N11 (1944 წლის ნოემბერი): 39.
[621] **Lisa A. Kirschenbaum.** "'Our City, Our Hearths, Our Families': Local Loyalties and Private Life in Soviet World War II Propaganda," *Slavic Review* 59, no. 4 (2005): 831, https://doi.org/10.2307/2697421.
[622] **არჩილ ჩაჩიბაია,** „მე ისევ შევცქერი მზეს“, *ძნათობი* N4-5 (1943 წლის აპრილი-მაისი): 25.

შემდეგი: სჯობს სიკვდილი, ვიდრე შერცხვენილი სიცოცხლე (იხ. დანართი: ცხრილი N2.5).

§ 6.5. ფემინური ქალი

ბოლშევიკები ქალთა ემანსიპაციის მომხრე იყვნენ. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, სტალინის დროს უპირატესობა ნუკლეარულ ოჯახს მიენიჭა და ქალთა ემანსიპაციის განმარტება ბოლშევიკური სახელმწიფოს მიზნებს მოერგო. ამ შემთხვევაში ადამიანური რესურსის მნიშვნელობა განაპირობებდა საჭიროებას, გაუმჯობესებულიყო დემოგრაფიული ვითარება. შესაბამისად, დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესების მიზნით შეიქმნა დედის ხატი და ქალის ძირითად დანიშნულებად დედობა იქცა. საბჭოთა იდეოლოგიის მიხედვით ქალები ფემინურობას ინარჩუნებდნენ ომშიც კი. ქალები და აგრესია ერთად არასდროს გვხვდება. როგორც წესი, ქალებს არ შეუძლიათ სროლა[623]. ქალების პატრიოტიზმის გამოხატულებაა წამების გაძლება დიდი დროის განმავლობაში, გამძლეობა და მოთმინების დიდი უნარი[624]. მიიჩნეოდა, რომ ქალი მებრძოლის არქეტიპული სახე ომით გამოწვეული შემთხვევა იყო, რადგან სტანდარტული ქალი მშვიდი, ფემინური და ქალური იყო.

ამ პარაგრაფში გაანალიზებულია თემა, თუ როგორ აღიქვამდა საბჭოთა მმართველობა ქალს, მის გარეგნულ მახასიათებლებს. ქალი უნდა ყოფილიყო მისაბაძი დედა. წყაროების ანალიზი ცხადყოფს, რომ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში დამკვიდრებული საბჭოთა სტანდარტის მიხედვით, ქალის ეტალონი იყო პიროვნება, რომელიც დაცლილი იყო მასკულინური საწყისისგან, ასევე, არ იყო გამომწვევი, სექსუალური. პირიქით, მისაბაძი ქალის აღწერისას ვხვდებით ეპითეტებს: მორცხვი, სადა, უთქმელი, წესიერი და ა. შ. დედის გარეგნული მახასიათებლები ძირითადად ყველა მოთხრობაში მსგავსია. ეს არ არის სექსუალური, ლამაზი და მიმზიდველი ქალი. პირიქით, დედის აღწერისას ვხვდებით სიტყვებს:

[623] **Hodgson**, "Women in Poetry," 220.
[624] **Hodgson**, "Women in Poetry," 220.

„მშრომელი“, „თავმდაბალი“, „წყნარი“, „მოხუცი“, თეთრთმიანი[625]“ და ა .შ. დედის დახასიათებისას მკითხველის თვალწინ ცოცხლდება ჩითის კაბაში გამოწყობილი, თავსაფრიანი ქალი, სევდიანი თვალებით და თეთრი თმებით. საბჭოთა პროპაგანდისტული მიდგომის მიხედვით დედა უნდა ყოფილიყო მეოჯახე, მშრომელი ქალი, რომლის მთავარ საზრუნავს ქმრის ბედნიერება და შვილებზე ზრუნვა წარმოადგენდა. ამ ტიპის ქალის რეპრეზენტაციას ვხვდებით სხვადასხვა მოთხრობასა თუ ლექსში, მაგ. გრიგოლ ჩიქოვანის მოთხრობაში „დაბრუნება“[626] . ლადო ავალიანი ნოველაში „კიროვის პორტრეტი“ აღწერს მთავარ პერსონაჟს ლალის, რომელიც იდეალურ მეუღლედ მიაჩნია. ქალის დახასიათებისას ავტორი გამოყოფს სამ თვისებას: ქალური მომხიბვლელობა, განათლება, ინტუიციის უნარი[627]. არჩილ ჩაჩიბაიას მოთხრობაში „შეხვედრა“ ასე არის დახასიათებული დედის პერსონაჟი: „დედა, ჭაღარა და მხრებში მოხრილი, ახლაც მოელის მათ“[628]. სიმონ ჩიქოვანი ლექსში „დედაჩემი“ შემდეგი სიტყვებით აღწერს დედას: „მშრომელი, ტურფა, შემკული აგრე“[629]. ასევე, ა. ჩაჩიბაია მოთხრობაში „მე ისევ შევცქერი მზეს“ ასე აღწერს დედას: „მოხუცი, სახედანაოჭებული დედაჩემი“[630]. სექსუალობასთან დაკავშირებით ქალებს ორი არჩევანი აქვთ: პირველი „გათხოვებას“ და შვილებზე ზრუნვასთან ასოცირდება, მეორე კი სექსუალურ შევიწროებას და ჩაგვრას უკავშირდება. პირველი არჩევანი სექსუალური წარმატების მოდელია, მეორე კი - წარუმატებლობის[631]. შესაბამისად, დაუქორწინებელ ქალებს საზოგადოებაც აგდებულად ექცევა. მათ უწევთ ბრძოლა საკუთარი სახელის შენახვისთვის. როგორც ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითები მოწმობს, დედის სახე თითქმის ერთნაირია ყველა მოთხრობასა თუ ლექსში. ის გარეგნულად კი არ არის შესამჩნევი, არამედ გაკეთებული საქმეებით იცნობა.

დედის ყველა საქმიანობა მიმართულია შვილის/ოჯახის კეთილდღეობისკენ. პიროვნული განვითარებისთვის, საკუთარი „„მე“-თვის, დედები არაფერს აკეთებენ,

---

[625] **გრიგოლ ჩიქოვანი,** „დაბრუნება“, *მნათობი* N8 (1943 წლის აგვისტო): 28.
[625] **არჩილ ჩაჩიბაია,** „მე ისევ შევცქერი მზეს“, *მნათობი* N4-5 (1943 წლის აპრილი-მაისი):30.
[626] **ჩიქოვანი,** „დაბრუნება“, 8.
[627] **ლადო ავალიანი,** „კიროვის პორტრეტი“, *მნათობი,* N11-12. (1943 წლის ნოემბერი-დეკემბერი): 22.
[628] **ჩაჩიბაია,** „მე ისევ შევცქერი მზეს“, 25.
[629]**ჩიქოვანი,** „დედაჩემი“ მნათობი N11-12 (1943 წლის ნოემბერი-დეკემბერი): 28.
[630]**ჩაჩიბაია,** „მე ისევ შევცქერი მზეს“, 30. 2. **სოლომონ თავაძე,** “ქართველ მეომრებთან,“ *მნათობი* N9-10 (1944 წლის სექტემბერი-ოტქომბერი): 113.
[631] **აია ბერაია,** ქალთა შრომა და სექსუალობა ქართულ საბჭოთა სოფელში. *ხმა ქართველი ქალისა* ტომ. 2 (2018):18.

მთელი ცხოვრება გადადებული აქვთ საკუთარი შვილებისთვის და ეს ნორმად ითვლება. ამიტომ, ქმედებაშიც ვხვდებით დედას, რომელიც წინდებს უქსოვს სამხედროებს, ჩურჩხელას ამზადებს ფრონტზე გასაგზავნად და სხვ.[632] ასევე, ხშირია პერსონაჟი, რომელსაც შვილი გარდაეცვალა და „ჭაღარა თავი შავი მანდილით" შეიმოსა[633]. ზოგიერთ შემთხვევაში, დედა უსწავლელია, მაგრამ მშრომელი: „უსწავლელია. თოხს თუ იქნევს ის, ან ძაფს ართავს"[634] და ამ პროცესშიც შვილებზე ფიქრობს. დედა დამოუკიდებელი პერსონა არ არის, დედის ფიგურა ერწყმის ოჯახის ინსტიტუტს, განსაკუთრებით კი შვილებს. ამიტომ, მოთხრობებსა და ლექსებში ნაკლებად ვხვდებით პასაჟებს, რომელიც დედის სულიერ მდგომარეობას, ფიზიკურ მზაობას აღწერს. საბჭოთა სახელმწიფო პოლიტიკისთვის ნაკლებად საინტერესო იყო, რას განიცდიდნენ ქალები, რამდენად რთული იყო მათთვის ომით გამოწვეული პრობლემების დაძლევა. საბჭოთა ქართულ ლიტერატურაში მუდმივად ჩანან ქალი პერსონაჟები, რომლებიც ახერხებენ, გაუძლონ ომით გამოწვეულ სირთულეებს და თან არ დაკარგონ ქალურობა, რაც მათი აუცილებელი მახასიათებელი უნდა იყოს.

საზოგადოებაში ქალთა სტატუსის ძიების თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა ფ. დგებუაძის მოთხრობა „ქალის გული". მოთხრობის მთავარი პერსონაჟები არიან გლეხის გოგო ცვერე, რომელსაც მდიდარი ნათლია ჰყავს. ღარიბი გლეხის შვილი ბადა და ფრანგი ჟანი. ბადას უყვარს ცვერე, მაგრამ ცვერეს არ სურს ღარიბ ბიჭზე გათხოვება. ჟანის პერსონაჟით მწერალს შემოჰყავს ზოგადად ევროპელის სახე, რომელსაც არ ესმის ქართული კულტურის. ჟანი წარმოდგენილია სურვილს აყოლილ, მატყუარა პიროვნებად, რომელიც ახალგაზრდა ქალს ინტიმურ ურთიერთობაზე დაიყოლიებს, შემდეგ კი მიატოვებს. ამ შემთხვევაშიც გლეხის გოგო ცვერე ფემინური, სუსტი და უჭკუო არსებაა. წასვლის წინ ჟანი ცვერეს ფულს ჩუქნის, ამით ცდილობს თითქოს დანაშაულის გამოსწორებას[635]. რამდენიმე საგულისხმო მონაკვეთი გვხვდება მოთხრობაში: პირველი, „მნათობში" (და ზოგადად საბჭოთა კავშირში) დაბეჭდილი მოთხრობები თუ ლექსები თითქმის არ ასახავს ინტიმურ

---

[632]**ჩიქოვანი, გრიგოლ,** „მეორედ შეხვედრა", *მნათობი* N2 (1943 წლის თებერვალი):40. 2. **დავით გაჩეჩილაძე,** „ოცნება გმირზე", ლიტერატურული საქართველო N41 (200) (1941 წლ. 10 ოქტომბერი):1.
[633] **გიორგი ცაგარელი,** „დონაურის ხმალი", *მნათობი* N2 (1943 წლის თებერვალი): 81.
[634] **ვიქტორ გაბესკირია,** „მართა", *მნათობი* N11 (1944 წლის ნოემბერი):30.
[635] **ფუცუ დგებუაძე,** „ქალის გული", *მნათობი* N11 (1944 წლის ნოემბერი): 52.

სცენებს, ეს ტაბუდადებული თემაა სოცრეალიზმის მიხედვით. მეორე, ქალის როლი საზოგადოებაში კარგად ჩანს. მის სტატუსს განსაზღვრავს ქალწულობა. შესაბამისად, „ნამუსშერცხვენილი ქალის“ ცხოვრება ორმაგად რთულია. ეს სტერეოტიპი წლების განმავლობაში იქცა საზოგადოების ნაწილად. მოთხრობაში მნიშვნელოვანია მთავარი პერსონაჟის - ბადას გარდატეხა. მოთხრობა აღწერს ისტორიულ პერიოდს, როდესაც ბოლშევიკები იკავებენ საქართველოს. ბადა რევოლუციონერი ხდება და მალე პატივსაცემი კაცის სახელს იძენს. ამდენად, აქ კარგად ჩანს მწერლის აზრით, ის „სიკეთე,“ რაც „რევოლუციამ“ მოუტანა ახალგაზრდებს - ღარიბი ბიჭიდან ის პატივსაცემი კაცი ხდება. ეს კი რევოლუციის დამსახურებაა.

ასევე, ყურადღება უნდა გავამახვილოთ ცვერეზე, როგორც დედის პიროვნებაზე: „კეთილი და ცივი გულისაა, გამოუთქმელი სევდით მოცული, მუდამ გულჩახვეული. თავგანწირვით მშრომელი“[636]. ამ ნაწილში კარგად ჩანს რა არის მისაღები საბჭოთა იდეოლოგიისთვის - მოლაყბე და მოლაქლაქე ქალი კი არა, თავშეკავებული, მომთმენი და თავის თავში ჩაკეტილი პიროვნება. მოთხრობის მთავარი სათქმელი არის მცდელობა, ერთმანეთს დაუპირისპიროს ევროპული და საბჭოთა ღირებულებები და მკითხველს დაანახოს, თითქოს ეს ორი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული რამეა. მეორე მხრივ, გვაჩვენოს პერსონაჟი, რომელიც, მართალია, ახალგაზრდობაში „შეცდა“, თუმცა, სამაგიეროდ, მოგვიანებით სამაგალითო დედად და მეუღლედ იქცა. ამ მოთხრობაში მთავარი პერსონაჟი საკუთარ ადგილს პოულობს საზოგადოებაში საკუთარი თავის დათრგუნვის გზით. ის საკუთარ სურვილებს არ ჰყვება, არ არის მეამბოხე. პირიქით, მდორედ მიჰყვება ცხოვრებას. მეორე მხრივ, ფრანგი პერსონაჟის შემოყვანით ავტორი ხაზს უსვამს ზოგადად ევროპელების, როგორც კაპიტალისტური სამყაროს წარმომადგენლის, ხასიათს და უნდა დაარწმუნოს მკითხველი, რომ ისინი მუდმივად ცდილობენ, „შეაცდინონ“ სხვები და სარგებელი ნახონ. ეს პასაჟი კი კარგად პასუხობს კაპიტალისტური ქვეყნების, როგორც მტრების იდეას.

დასაქორწინებელი ქალების შემთხვევაში, ავტორები მათი მისამართით ხშირად ხმარობენ სიტყვას „ქალწული“, რაც პერსონაჟის უმანკოებას და უდანაშაულობას

[636] **დგებუაძე,** „ქალის გული“, 68.

მოწმობს. მაგ.: ოთარ ჩხეიძის ნაწარმოებებში „გერი“, ასეთ პასაჟს ვხვდებით: „ეს ქალწული, სუსტი და ნაზი, რა ფიქრებს შეეყრება, ნეტავ?“[637]. ავტორი, მოგვიანებით, თავად „ქალწულს“ ათქმევინებს: „მე უმწეო ვარ, მე არა ვიცი, რა“.[638] აქ იკვეთება ორი საკითხი: პირველი, ქალს ყველა გარშემომყოფი სუსტ, დაუცველ არსებად აღიქვამს და მეორე, ქალისთვის ეს ფაქტი მისაღებია, საბჭოთა მკითხველში კი ამძაფრებს ფაშისტებისადმი სიძულვილს, რომლებიც განსაკუთრებით არ ინდობენ „უმწეო“ ქალიშვილებს. ასევე, დასაქორწინებელი ქალების შემთხვევაში მოთხრობებში გვხვდება ჩანართები, რომლებიც საბჭოთა იდეოლოგიის და ქალთა დანიშნულების შესახებ დამატებით შეახსენებს მკითხველს. მაგალითად: ი. ლისაშვილის მოთხრობაში „შერმადინი“ ახალგაზრდა ქალ-პერსონაჟს მიმართავენ: „კარგი დედა იქნები, მარო“[639]. ეს ფრაზა კიდევ ერთხელ ადასტურებს ბოლშევიკურ გენდერულ პოლიტიკას, რომლის მიხედვით ქალის მთავარ დანიშნულებად დედობა მოიაზრებოდა.

საინტერესოა რომ ფემინური ქალი, საბჭოთა რწმენის მიხედვით, ფლობდა ყველა სახის ხელსაქმეს, კარგი მცხობელი და მზარეული იყო. ეს რომ ასეა, ამას მოწმობს საბჭოთა ქართულ ლიტერატურაში ქალის დასახასიათებლად გამოყენებული ეპითეტები და ფრაზები. პავლე სიმონოვის მოთხრობაში „იშვიათი შემთხვევა“ ვხვდებით ასეთ დიალოგს კომისარსა და ლეიტენანტს შორის: „ - რატომ ფიქრობთ, რომ ამანათი ქალიშვილისგან არის? - შეუძლებელია, ასეთ შტურმანს საჩუქარს მხოლოდ ქალიშვილი გამოუგზავნიდა... ამასთან ძალიან ლამაზი ქალიშვილი[640]“. მანამდე კი ავტორი წერს, რომ ამანათი ყველაზე სუფთა და ნაკლებად დაჭმუჭნული იყოო. თითქოს იმ აზრის განსამტკიცებლად, რომ მხოლოდ ქალის ამანათი შეიძლება იყოს სუფთა და ნაკლებად დაჭმუჭნული.

ტრადიციული გენდერული პარადიგმის მიხედვით, ქალის ფემინურობას ხაზს უსვამს მისი ინტერესი „ქალური“ საქმეებისადმი, რაც თავისთავად გამორიცხავს იმას, რომ ის „მამაკაცური“ საქმეებით იყოს გატაცებული. იარაღის ფლობა მაგალითად,

---

[637] **ოთარ ჩხეიძე,** „გერი“, *მნათობი* N1 (1943 წლის იანვარი): 68.
[638] **ჩხეიძე,** „გერი“, 70.
[639] **იაკინთე ლისაშვილი,** „შერმადინი“, *მნათობი* N3 (1944 წლის მარტი):16.
[640]**პავლე სიმონოვი,** „იშვიათი შემთხვევა“, *ლიტერატურული საქართველო* N44 (203)(1941 წ. 31 ოქტომბერი):1.

მამაკაცურ საქმედ ითვლება. ამიტომ, როდესაც სერგო კლდიაშვილის პერსონაჟი, თამარი ამბობს:“ მე იარაღისა მეშინია, ჩემი საქმე არაა[641]“ - საზოგადოდ მიღებულ სტერეოტიპს ამტკიცებს, თუმცა მოთხრობის მეორე ნაწილში ქალი ახერხებს იარაღით მოკლას გერმანელი. ეს სიმამაცე, რომელიც არ არის დამახასიათებელია ქალებისთვის, ომით გამოწვეული გარემოებების შედეგია - ამაში გვარწმუნებს ავტორი. თავად კი ქალს აღწერს, როგორც მოკრძალებულს და მშვიდს, რაც ტრადიციულ გენდერულ პარადიგმაში კარგად თავსდება. თუმცა, ამავე მიზნით, საბჭოთა პრესიდან ხშირად მოუწოდებდნენ მოსახლეობას, განსაკუთრებით კი ქალებს, რომლებიც ზურგში დარჩნენ, რომ ეზრუნათ წითელარმიელებზე და ფრონტზე გაეგზავნათ თბილი ტანსაცმელი.[642]

ცალკე უნდა განვიხილოთ ქვრივი ქალის სახე. დაქვრივებული ქალის ვალდებულება კიდევ უფრო რთული იყო ოჯახის და საზოგადოების წინაშე. ქალი ვალდებული იყო ეზრუნა საკუთარ ოჯახზე, ამასთანავე არ შეერცხვინა ქმრის სახელი. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ლიტერატურა ამკვიდრებდა შეხედულებას, რომლის მიხედვით მეორედ გათხოვება არ იყო მისაღები და ქალის ეტალონი მეორედ არ გათხოვდებოდა. გიორგი ცაგარელის მოთხრობაში „დონაურის ხმალი“ ვხვდებით პერსონაჟს, რომელიც დაქვრივდა: “უკვე წელიწადი განვლო, რაც დონაური დაიღუპა. ერთმა მეზობელმა ქალს ჩასიძებაზე გადაუკრა სიტყვა. ქვრივმა კინაღამ კისრისტეხით გაისტუმრა გელას ხსოვნის შეურაცხმყოფელი.“[643] ამდენად, მეორედ გათხოვებაც და მთხოვნელიც შეურაცხმყოფელ საქმედ არის მოაზრებული, რაც ამყარებს სტერეოტიპს ქალების მეორედ ქორწინების თაობაზე. ქალისთვის სავალდებულოდ ითვლება დაკარგული თუ გარდაცვლილი ქმრისადმი, სატრფოსადმი ერთგულება. ეს მიიჩნევა ღირსეულ საქციელად. ნაწარმოებებში არიან ქალები, რომელთა ქმრები/სატრფოები ბრძოლის ველზე დაიღუპნენ/დაიკარგნენ, ეს პერსონაჟები იმედს არ კარგავენ და ბოლომდე მათი ერთგული რჩებიან. მაგ. ლ.

---

[641] **სერგო კლდიაშვილი,** „ომის კანონი“, *ლიტერატურული საქართველო* N43 (202) (1941 წ. 24 ოქტომბერი): 1.

[642]„თბილი ტანსაცმელი მამაც წითელარმიელებს“, *გაზეთი კომუნისტი* N215 (6220) (1941 წლის 11 სექტემბერი): 2.

[643] **გიორგი ცაგარელი,** „დონაურის ხმალი“, *მნათობი* N2 (1943 წლის თებერვალი): 73.

ავალიანის მოთხრობა „სიდუ“[644]. ამდენად, საბჭოთა ქალისთვის ქმრის და ოჯახის ერთგულება ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი უნდა ყოფილიყო. კიდევ ერთი წნეხი ქვრივ ქალებს საზოგადოებისგან ჰქონდათ, რომელიც აკონტროლებდა ქალებს რამდენად „მისაღები ფორმით“ გლოვობდნენ ქმარს. სანდრო ეულის მოთხრობაში „ამირანის ანდერძი“ ჯარისკაცის ცოლი, სახელად მედა „მტკიცედ იტანდა გულისტკივილს“ ქმრის ფრონტზე სავარაუდო დაღუპვის გამო. ამის გამო ის მეზობელი ქალების სალაპარაკო ხდება: „რა ქმარი დაეღუპა და იგი ერთხელაც არ მოიწყენსო[645]" - ამბობენ მეზობლის ქალები. თითქოს ადამიანი მხოლოდ მოწყენით გამოხატავდეს საყვარელი ადამიანის დაკარგვით გამოწვეულ ტკივილს.

მაცდური ქალის აღწერისას მწერლები იყენებენ უფრო კონკრეტულ სიტყვებს მათ დასახასიათებლად. მაცდური ქალი გამომწვევი და მიმზიდველია. თუმცა, ვინაიდან სოცრეალიზმისთვის მიუღებელი იყო ქალების სექსუალურობის გამოკვეთა, მწერლები ერიდებოდნენ დეტალიზებას. მისაბაძი საბჭოთა ქალისგან განსხვავებით, მაცდური ქალის გარეგნობის აღწერისას ცვლილებების შემჩნევა ადვილია. მაგ. ლ. ავალიანის მოთხრობაში „სიდუ“, ასე აღწერს ერთ-ერთ პერსონაჟს: “მისი გრძელი თმა ორ გრძელ ნაწნავად ეშვებოდა მკერდზე და მუხლებამდე სწვდებოდა...ტანთ ეცვა მოკლე კაბა, ქალი ფეხშიშველი იყო. მას მუხლებამდე მოუჩანდა ლამაზი, შიშველი წვივები“[646].

აღსანიშნავია, რომ სოცრეალიზმი ისეთ მწერალსაც კი უწუნებდა ენას, როგორიც კონსტანტინე გამსახურდია იყო. 1944 წელს მნათობის მე-6 ნომერში ს. შანშიაშვილი აკრიტიკებს „დიდოსტატის მარჯვენას“ და წერდა: „გამსახურდიას რომანი სავსეა ისეთი ადგილებით, რომლებიც ხელს უწყობენ გადაჭარბებული ვნებიანობის აშლას. აი, მაგალითი: “ნახევრად გაშიშვლებული ძუძუები,“ „შიშველ ტანზე უჩქმიტა ცოლს“[647]. შესაბამისად, ნათელია, რომ ბოლშევიკური იდეოლოგიისთვის მიუღებლად მიიჩნეოდა და ტაბუ ჰქონდა დადებული ინტიმური სცენების აღწერას

---

[644] **ლადო ავალიანი,** „სიდუ“, *მნათობი* N12 (1944 წლის დეკემბერი):49.
[645] **სანდრო ეული,** „ამირანის ანდერძი“, *ლიტერატურული საქართველო* N32 (243). (1942 წლის 11 აგვისტო): 2.
[646] **ლადო ავალიანი,** „სიდუ“, *მნათობი* N12 (1944 წლის დეკემბერი):44.
[647] **ს. შანშიაშვილი,** „შენიშვნები კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“ გამო“, მნათობი N6 (1944 წლის ივნისი):118.

და ეს უკანასკნელი ესთეტიკურ ღირებულებად არ აღიქმებოდა. ამიტომ, არც ქალების სხეულის მოყვანილობის თუ სხვა გარეგანი მაჩვენებლის აღწერა მიიჩნეოდა მიზანშეწონილად. საბჭოთა მწერალს სათქმელი ქალის სხეულის დეტალური აღწერის გარეშე უნდა ეთქვა. ამ ნაწილშიც კარგად ჩანს ქალის მიმართ დამოკიდებულება - ის უჩინარი უნდა იყოს, მისი ფიზიკური თუ სულიერი მდგომარეობა ნაკლებად საინტერესოა.

ქალის ჩაცმულობა ძალიან მნიშვნელოვანი იყო საბჭოთა იდეოლოგიის მიხედვით. ქალი არ უნდა ყოფილიყო გამომწვევად და ვულგარულად მოსიარულე. მწერლები ხაზს ქალის ხასიათის აღსაწერად, ხაზს უსვამდნენ მათ ჩაცმულობას. ამ მხრივ საინტერესოა ს. კლდიაშვილის „გორგასლანის თასი". ავტორი წერს: "კაბა, რომელიც შემოკვროდა ქალის ტანს, უპრეტენზიოთ იყო შეკერილი, მაგრამ სწორედ ამ სისადავეში იყო მისი პრეტენზია. ეს აღნაგი სხეული სრულიად არ საჭიროებდა ხელოვნურ დახმარებას..."[648] ეს პასაჟი კარგად აჩვენებს, რომ საბჭოთა ლიტერატურის მიხედვით მისაბაძი ქალი უნდა ყოფილიყო სადა, შეუმჩნეველი. ასევე, ცალკე ნიშნად იქცა დახასიათება: "ჭრელკაბიანი ასული[649]", რომელიც ხაზს უსვამდა სადა, უბრალო ქალს.

საბჭოთა იდეოლოგია მოწყალების დას, მედდას განსაკუთრებულ ვალდებულებას აკისრებდა - ის უნდა ყოფილიყო ჯარისკაცების სულიერი მკურნალი. ამის გამო მოწყალების და უნდა ყოფილიყო მშვიდი, ალერსიანი, მხიარული და მომღიმარი. ასეთ პერსონაჟს ხატავს ლეონიდ სობოლევი მოთხრობაში „საცოლე" ფენიას სახით. მოქმედება ლაზარეთში ხდება, სადაც დაჭრილი და სინათლე წართმეული ჯარისკაცი მკურნალობს, რომელსაც უნახავად უყვარდება მოწყალების და ფენია. საინტერესოა, რომ მისი წარმოდგენა ქალის ფიზიკური მონაცემების შესახებ, განსხვავდება რეალობისგან. სულ მალე ჯარისკაცი განიკურნება და თვალიც აეხილება, ფენია კი ამ დროს ჩუმად იპარება ლაზარეთიდან. როგორც ავტორი განმარტავს ფენია „მაღალი სულის ქალია", რომელმაც არჩია წასულიყო.. და დაეტოვებინა ოცნება დუშენკაზე, მშვენიერებაზე, ახალგაზრდა ქალზე, ვიდრე

[648] **ს. კლდიაშვილი,** „გორგასლანის თასი", *მნათობი* N2-3 (1944 წლის თებერვალი-მარტი):15.
[649] **კლდიაშვილი,** „გორგასლანის თასი",14.

გაემხილა სიმართლე, რომელიც მოსპობდა მის სიცოცხლეს.[650]“ ამ შემთხვევაში სიმართლეში იგულისხმება ფაქტი, რომ ფენია არც თუ მშვენიერი და არც თუ ახალგაზრდა იყო. თუმცა, ერთგვარი პროტესტის განცდას აჩენს მკითხველში, ქალი რომელიც მკურნალობდა, სულიერ დახმარებას უწევდა დაჭრილ ტანკისტს, უარყვეს მისი გარეგნობის გამო. ამიტომ, ქალი მიდის ისევ მსხვერპლზე, რომ კომფორტი შეუქმნას მამაკაცს. თითქოს ისიც ეთანხმება, რომ მისი გარეგნობის ქალი არ შეიძლება შეუყვარდეთ. ეს კი ამტკიცებს გენდერულ პარადიგმას, რომელიც საბჭოთა კავშირში ფესვგადგმული იყო. ქალს მოეთხოვება რომ იყოს ლამაზი და მიმზიდველი, რათა მამაკაცმა „აირჩიოს“.

ამისგან განსხვავებით, აკაკი ბელიაშვილის მოთხრობაში „ქორწილი სოფელში“ ვხედავთ სიუჟეტს, რომლის მიხედვით სოლიკო ფრონტიდან დაბრუნდა მარცხენა ხელის გარეშე. მას შინაგანი შფოთი აქვს და განიცდის, ფიქრობს რომ უხელობის გამო მიუღებელი იქნება ოჯახისთვის, განსაკუთრებით კი სატრფოსთვის - უმშვენიერესი ნათელასათვის. ოჯახი მას გულწრფელი სიხარულით ხვდება. მის წარმოდგენაში ნათელა უარს იტყვის ცოლად გაყვეს ცალხელა კაცს და მეტიც, კიდეც ამართლებს მას: „ბიჭები თავს იკლავენ მისთვის, რა გაუჭირდა ასეთი?[651]“. თუმცა, მოთხრობის ბოლოს მკითხველი იგებს, რომ ნათელას უყვარს სოლიკო და მზად არის, მიიღოს ისეთი, როგორიც არის. თან მისი აზრით, „სამშობლო მარტო მიწა-წყალი კი არ არის, არამედ, მშობლები, ნათესავები, სატრფო[652]“. შესაბამისად, ქალი ფიქრობს, რომ ეს არის საკუთარი ახლობლების გადასარჩენად გაღებული მსხვერპლი, ხოლო მისი ვალდებულებაა, იზრუნოს სატრფოზე და გაუადვილოს ომისგან მიღებული ტრავმების მოშუშების პროცესი. რა თქმა უნდა, ამ მოთხრობაშიც არ ჩანს ქალის შინაგანი მდგომარეობა. როგორც საბჭოთა ქართული ლიტერატურისთვის არის დამახასიათებელი, მთავარი ფიგურა მამაკაცია, რომელზე ზრუნვაც უპირველეს ღირებულებად ქცეულა ქალებისთვის, ხოლო თავად ქალების მდგომარეობას ლიტერატურა ნაკლებ ყურადღებას უთმობს.

---

[650] **ლეონიდ სობოლევი,** „საცოლე,“ *ლიტერატურული საქართველო* N29 (240) (1942 წლის 17 ივლისი): 2.
[651] **აკაკი ბელიაშვილი,** „ქორწილი სოფელში“, ლიტერატურული საქართველო N24 (300) (1943 წლის 26 სექტემბერი): 1.
[652] **ბელიაშვილი,** „ქორწილი სოფელში“, 1.

ასევე, ომის მიმდინარეობისას ქალის ფემინურობას მხოლოდ მისი გარეგნული მახასიათებლები არ განსაზღვრავდა. ფაქტი, რომ ომი ქალებს უფრო მეტად აშინებდა ვიდრე მამაკაცებს, ქალების ფემინურობის ხაზგასმად უნდა მივიჩნიოთ. რაჟდენ გვენეტაძე ლექსში „უკანასკნელი ღამე“ აღწერს ქალს, რომელიც მტრისგან ალყაშემორტყმულ სოფელშია: „აგერ ლელა, ბნელ კუნჭულში მიმალულა შიშით მშრალი... ლელას მუხლი ეკვეთება, მხრებზე აწევს მძიმე ლოდი[653]...“ ამავე ლექსში ჩნდება მისი სატრფო, რომელიც ქალს გადაარჩენს და თან გონებაში ფიქრობს ფრონტზე წასვლაზე, რადგან ამის გარეშე საბჭოთა პროპაგანდისტული იდეის მიხედვით, არც ერთი ქალისთვის მოსაწონი არ იქნება.

პ. სიმონოვის ნარკვევში „მარინა ლახნო“ მკითხველის წინაშე ჩნდება პერსონაჟი, რომელიც პროფესიით პილოტია, მაგრამ ქალურობას არ კარგავს. ავტორი მისი დახასიათებისას იყენებს სიტყვებს: ნაზი, ჯანსაღი სახის მქონე, ახალგაზრდა, მომღიმარი, მშვიდი.[654] მეორე მხრივ, ფემინური ქალი აერთიანებს ერთგული მეუღლის და მუშა ქალის არქეტიპულ სახეებს, რადგან მარინა ლახნო მართალია მშვიდია, მაგრამ როგორც კი საქმე მის ფრონტზე წასულ მეუღლეს ეხება, ის უჩვეულოდ მღელვარე და მშფოთვარე ხდება, ხოლო როგორც პილოტი, ის შეუდარებელია - ავტორის აზრით, ის ახერხებს, ხელიდან დაუძვრეს გერმანულ თვითმფრინავს, რომელიც კვალში მიყვება და თან არამხოლოდ თავისი თავი გადაარჩინოს, არამედ პირველ რიგში, იზრუნოს დაჭრილზე, რომელიც თვითმფრინავით გადაჰყავდა. შესაბამისად, მარინა ლახნო ქალის იდეალია: კარგი მეუღლეც არის, კარგი პილოტიც, რომელიც ფემინურობას ინარჩუნებს და ამასთან კარგი საბჭოთა მოქალაქეც, რომელსაც შეუძლია საკუთარზე წინ წითელარმიელის კეთილდღეობა დააყენოს. სწორედ ასეთი კომპლექსური მოთხოვნები ჰქონდა საბჭოთა სახელმწიფოს საკუთარი მოქალაქეებისადმი.

ამდენად, „მნათობის“ და „ლიტერატურული საქართველოს“ ანალიზი ცხადყოფს, რომ ქალები, რომლებიც საბჭოთა მხატვრულ ლიტერატურაში ჩნდებიან, ფემინურები არიან. მათი აღწერისას მწერლების უმეტესობა მოკრძალებულია, არ

---

[653] **რაჟდენ გვენეტაძე,** „უკანასკნელი ღამე“, *ლიტერატურული საქართველო* N47 (206) (1941 წლის 21 ნოემბერი): 2.
[654]**სიმონოვი,** „მარინა ლახნო“, 1.

მიმართავს კონკრეტიკას, ერიდება „გამომწვევ“ ლექსიკას. თავად ქალებისგან კი არსებობს მოლოდინი, რომ მათ არ უნდა დაკარგონ ქალურობა, იყვნენ სადა და ლამაზი და არა მაცდური და სექსუალურები. 1943 წელს რადიო-გამოსვლისას ოლგა ბერგოლტმა განაცხადა: ქალებმა ლენინგრადში ჩაანაცვლეს მამაკაცები, რომლებიც ფრონტზე წავიდნენ. ქალები დგანან მამაკაცების გვერდით როგორც სამხედრო, ისე საზღვაო ფრონტზე. მაგრამ, უპირველესად, ქალები კვლავ დარჩნენ დედებად, დებად და ცოლებად. ქალის მზრუნველობის, ყურადღების გარეშე ვერ შეძლებდა კაცობრიობა გადარჩენას.“[655] ოლგა ბერგოლტის გამოსვლა კარგად ასახავს საზოგადოების დამოკიდებულებას ქალის როლისადმი.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ფემინური ქალის არქეტიპული სახე კარგად გამოხატავს საბჭოთა იდეოლოგიის დამოკიდებულებას ქალთა სტატუსისადმი საზოგადოებაში. ქალები საზოგადოების მნიშვნელოვანი, მაგრამ დამხმარე ფუნქციის მქონე წევრები იყვნენ. ისინი მამაკაცების ცხოვრების უზრუნველყოფაში უნდა ყოფილიყვნენ მაქსიმალურად ჩართულნი. ომის პერიოდში მათ საკუთარ თავზე უნდა აეღოთ ოჯახის გადარჩენის პასუხისმგებლობა. ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო მათი გარეგნობა, რაც მთავარია ისინი უჩინარნი, კდემამოსილნი და ნაზი არსებები უნდა ყოფილიყვნენ. მართალია, საჭირო დროს იარაღის აღება და შურისძიებაც მოეთხოვებოდათ, მაგრამ ეს ძირითადად ომით გამოწვეული აუცილებლობა იყო და არა მუდმივი მოცემულობა. (იხ. დანართი - ცხრილი N2.6.).

დასკვნა. საბჭოთა პროპაგანდა მხატვრული ლიტერატურის საშუალებით ცდილობდა საერთო საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას. მოცემული კვლევის შედეგად გაირკვა, რომ 1941-1945 წლებში მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა პროპაგანდის გააქტიურება სამხედროებისა თუ ფრონტს მიღმა დარჩენილი ადამიანების ბრძოლისუნარიანობის ამაღლების მიზნით. შესაბამისად, სახელმწიფო პროპაგანდა ლიტერატურაში უხეში ჩარევის გზით ქმნიდა პერსონაჟებს, რომლებიც მისაბაძი მაგალითები უნდა ყოფილიყვნენ საზოგადოებისთვის. გამოიკვეთა ქალის ახალი როლური მოდელები, რომლებიც ხელისუფლების მიერ დადებითად იყო შეფასებული. დედის, მებრძოლი ქალის,

[655] **Hodgson**, "Women in Poetry," 211.

„მამაკაცურ პროფესიას“ დაუფლებული მშრომელი ქალის, მსხვერპლის და ფემინური ქალის სახის წარმოჩენა მხატვრულ ნაწარმოებებში მიზნად ისახავდა საბჭოთა მოქალაქის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას და პატრიოტიზმის გაღვივებას. ამასთანავე, დადგინდა თითოეული არქეტიპული სახის მახასიათებლები, თუ როგორ წარმოჩინდა ისინი საბჭოთა ლიტერატურაში. ასევე, გამოიკვეთა ნაწარმოებები, რომლებიც ქალების მიერ იყო შესრულებული. კვლევას განსაკუთრებულ ღირებულებას მატებს ემპირიული მასალების გამოყენება. დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, საბჭოთა ხელისუფლება საზოგადოებაზე გავლენის მოხდენის მიზნით აქტიურად იყენებდა მხატვრულ ლიტერატურას, ხოლო მეორე მსოფლიო ომის დროს გააქტიურებული ქალთა ემანსიპაციის პროცესი, ომის დასრულების შემდგომ შენელდა.

დასკვნა

საბჭოთა საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის საარქივო მასალების, მხატვრული ლიტერატურისა და პლაკატების ანალიზი საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. კვლევის ჰიპოთეზა ითვალისწინებდა დაშვებას, რომ გლობალური მასშტაბის ომები სახელმწიფოს აიძულებს, შეცვალოს შიდა პოლიტიკა და ქალთა მიმართ დამოკიდებულება, რაც საბოლოოდ დადებითად აისახება ქალთა მდგომარეობაზე საზოგადოებაში. დისერტაციამ დაადასტურა ეს ჰიპოთეზა - მიუხედავად იმისა, რომ ქალთა დატვირთვა გაორმაგდა, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საბჭოთა ქალებმა თანასწორი უფლებები მოიპოვეს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა იდეოლოგიაში გენდერული საკითხი ნაკლებად იყო აღქმული ემანსიპაციის ჭრილში. საბჭოთა პოლიტიკურ ელიტას მიაჩნდა, რომ ქალები „ქალური არსებები“ იყვნენ და მიუხედავად მამაკაცურ პროფესიებში ჩართულობისა, ისინი მაინც ინარჩუნებდნენ ქალურობას.

კვლევა დაეყრდნო სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის, ახალი და უახლესი ისტორიის არქივის მასალებს, ლიტერატურულ გამოცემებსა და პლაკატებს, რაც იძლევა მიღებული დასკვნების განზოგადების საშუალებას. კვლევის მიზანი იყო საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მაგალითზე, გამოგვევლინა საბჭოთა მმართველობის გენდერული პოლიტიკა 1936-1945 წლებში და ის ინსტრუმენტები, რომლებსაც იყენებდნენ ქალების მობილიზაციისთვის მეორე მსოფლიო ომის დროს. კვლევა არ განიხილავდა ქალთა მდგომარეობას ურბანულ ჭრილში. მისთვის მნიშვნელოვანი იყო, თუ რა როლი ენიჭებოდათ ქალებს სახელმწიფოს მიერ საზოგადოებაში და როგორ იხატებოდა იდეალური ქალი პროპაგანდის საშუალებით.

რაც შეეხება ისტორიულ კონტექსტს, კვლევის პირველ ნაწილში დადასტურდა, რომ ჯერ კიდევ 1930-იან წლებში სტალინის მმართველობის დროს ჩაეყარა საფუძველი გენდერულ პოლიტიკას, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდგომაც გაგრძელდა. 1930-იანი წლები ქალთა სტატუსის თვალსაზრისით მრავალმხრივ საინტერესო პერიოდად იქცა. 1936 წლის შემდეგ ქალთა საკითხთან მიმართებით

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. 1918 წლის საოჯახო კანონმა ქალებს კაცებთან იურიდიული თანასწორობა მიანიჭა – მათ უფლება ჰქონდათ, საკუთარი ხელფასი გაეკონტროლებინათ, ხოლო ბავშვებს ორივე მშობლისგან უნდა მიეღოთ მხარდაჭერა. 1918 წლის ახალმა კანონმა ასევე დაადგინა ქალების სრული პოლიტიკური თანასწორობა. 1918 წლის ოჯახის კანონმა აღიარა ქალთა სამართლებრივი თანასწორობა, ქორწინება სამოქალაქო პროცესად აქცია და ეკლესიისგან გამიჯნა, დაკანონდა განქორწინება და გაუქმდა განსხვავება კანონიერად და უკანონოდ დაბადებულ შვილებს შორის, რაც მამებს უკანონო შვილების მიმართ იმავე ვალდებულებებს აკისრებდა. საბჭოთა სახელმწიფო პოლიტიკისთვის მნიშვნელოვანი იყო თითოეულ დედას თავი დაცულად ეგრძნო. ამიტომ, 1918 და 1926 წლის კანონი ცდილობდა, განესაზღვრა გაურკვევლობის შემთხვევაში მამის ვინაობა და მისთვის დაეკისრებინა ვალდებულებები. ორსულ ქალს აძლევდა უფლებას, ესარგებლა დეკრეტული შვებულებით, ხოლო ახალშობილის დაბადების შემდეგ, ითვალისწინებდა დედის მდგომარეობას, რომელიც შესაძლოა შრომისუნარმოკლებული ყოფილიყო ბავშვის გაჩენის შემდგომ, ან არ ჰქონოდა საკმარისი შემოსავალი, ამიტომ 1 წლამდე ვადით მასზე ზრუნვის საკითხი მამის ვალდებულება ხდებოდა.

თუმცა, თუ 1926 წლის ოჯახის კანონი ღიად საუბრობდა აბორტის როგორც შესაძლებლობის შესახებ, ხოლო სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1936 წლის 27 ივნისის მიღებულმა N65 დადგენილებამ[656], აბორტი არალეგალურად გამოაცხადა. ამის მიზეზად კი დასახელდა შექმნილი სოციალური გარემო, რომელიც უზრუნველყოფდა ნებისმიერ ქალს საჭირო პირობებით, რათა აღეზარდა შვილი. ბოლშევიკები კი ქმნიდნენ ილუზიას, რომ ფინანსური პრობლემების გარდა, სხვა მიზეზი არ არსებობდა, რის გამოც ქალებს აბორტის გაკეთება სურდათ. მიჩნეულ იქნა, რომ საბჭოთა სახელმწიფომ მიაღწია განვითარების დონეს, რომლის ფარგლებში დაიძლია როგორც წარსულის „გადმონაშთები“ (იგულისხმება სოციო-კულტურული გარემოებები), ასევე აწმყოს „ეკონომიკური პირობები“.

[656] Постановление Центрального Исполнительного Комитета и Совета Народных Комиссаров. О запрещении абортов, 27 июня 1936 г. № 65/1134..., გვ. 308-309.

ეს იყო პროპაგანდისტული მიდგომა საკითხისადმი. როგორც ვნახეთ, ქალთა ისტორიის მკვლევრები აბორტის არალეგალურად გამოცხადებას საბჭოთა კავშირში დიდ უკანდახევად აფასებენ. 1936 წლის დადგენილება სტალინის გენდერული პოლიტიკის ნაწილი იყო. როგორც 1930-იანი წლების ისტორიული კონტექსტის შეფასებისას გამოჩნდა, ბოლშევიკური სახელმწიფოს პირველ წლებში ჩამოყალიბებული შეხედულებები ქალთა სრულად გათავისუფლების შესახებ სტალინისთვის მისაღები არ აღმოჩნდა. თუ 1920-იან წლებში მმართველ წრეებში ღიად საუბრობდნენ ქალების სახლის საქმეებისგან გათავისუფლების შესახებ, 1930-იანი წლების მეორე ნახევარში აშკარა გახდა ორმაგი ტვირთის მქონე ქალების ცხოვრება, რომლებიც ვალდებულები იყვნენ თანაბარი სიბეჯითით ემუშავათ სამსახურში და ამასთან, მისაბაძი ცოლები და დედები ყოფილიყვნენ. როგორც კვლევისას დადასტურდა, საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანა, ემანსიპაციის საბურველში გახვეული, იყენებდა ქალთა გათავისუფლების მოტივს მათ სამუშაო სფეროში ჩართვის მიზნით.

სსიპ საქართველოს ეროვნულ არქივის ახალი და უახლესი ისტორიის არქივში დაცული საბავშვო ბაგებისა და სამშობიარო სახლების მშენებლობის შესახებ არსებული დადგენილებები მოწმობს, რომ საბჭოთა საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკაში სახელმწიფო პოლიტიკა მიჰყვებოდა იმ ზოგად კურსს, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების მიერ იყო განსაზღვრული.[657] თუმცა მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, საგარეო პოლიტიკაში მომხდარმა ცვლილებებმა გავლენა იქონია საშინაო მიმართულებაზეც, რამაც ქალთა ყოფაც შეცვალა. ომის პერიოდში ახალი საჭიროებები წამოიჭრა და გრძელვადიანი დაგეგმვა შეიცვალა მოკლევადიანი, ყოველდღიური გამოწვევებით, რომლებიც საბჭოთა ოჯახებს შეეხო.

1944 წლის 8 ივლისს, სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო N37 ბრძანება „ორსული ქალების, მრავალშვილიანი დედების, მარტოხელა დედებისთვის სახელმწიფო დახმარების გაზრდის, დედათა და ბავშვთა დაცვის გაძლიერების, „გმირი-დედის“, საპატიო წოდების და დედობის „მედალის“ და დედობის ორდენის“ დაწესების შესახებ. 1944 წლის 08 ივლისის ბრძანება კარგი ილუსტრაციაა იმ პროცესების, რაც მოჰყვა მეორე მსოფლიო ომის დაწყებას. კვლევის პროცესში კარგად

[657] **სსცა,** ფ. 600, აღწ. 1. საქმე 4520, ფურც, 129.

გამოჩნდა, რომ საბჭოთა გენდერული პოლიტიკა ჯერ კიდევ 1936 წლიდან გადაისინჯა და ახალ მოცემულობას მოერგო. სტალინი მსოფლიო ომისთვის ემზადებოდა და გეგმავდა ქალთა რესურსის გამოყენებას საომარი (და არამხოლოდ) მიზნებისთვის. ამის დადასტურებაა აქტიური პროპაგანდა პრესაში, ლიტერატურასა და იკონოგრაფიაში ქალების ე.წ. „მამაკაცური როლების“ ათვისების შესახებ[658]. მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ ახალი რეალობა შექმნა, რომელშიც სახელმწიფოს მესვეურების გადმოსახედიდან, აუცილებლობად იქცა ნებისმიერი სქესის, ასაკის თუ პროფესიის ადამიანების ჩართვა და მათი „გამოყენება“ სასურველი შედეგის - გამარჯვების მისაღწევად.

1944 წლის 8 ივლისის N37 ბრძანების ანალიზისას გაირკვა, რომ ბრძანება მორგებული იყო საბჭოთა სახელმწიფოს გენდერულ პოლიტიკას ომის დროს. ომის დროს განსაკუთრებით მწვავე პრობლემა გახდა ადამიანური რესურსების დეფიციტი, მძიმე საცხოვრებელი პირობები ოჯახებისთვის ფრონტის ზურგში და გაუარესებული დემოგრაფიული მდგომარეობა. სახელმწიფო სწორედ ამ მიმართულებით ცდილობდა მდგომარეობის გაუმჯობესებას. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, 1944 წლის 8 ივლისის N37 ბრძანების მესამე პუნქტმა დააწესა სპეციალური ჯილდოები, როგორიცაა „დედობის მედალი“, „დიდება დედობას“ ორდენი და „გმირი დედის“ წოდება. ბრძანების თანახმად, „დედობის მედალს“ ორი ხარისხი ჰქონდა: პირველი ხარისხი გადაეცემოდა ექვსი ან მეტი შვილის აღზრდისთვის, ხოლო მეორე - ხუთი შვილისთვის.

ომის გამო წარმოქმნილი მძიმე საცხოვრებელი პირობები განსაკუთრებით დიდი სირთულე იყო მრავალშვილიანი დედებისთვის, რომლებიც უმეტესად მარტო ზრდიდნენ შვილებს, ხშირ შემთხვევაში მოხუცებულ მშობლებთან ერთად, რაც დამატებით პასუხიმგებლობებსაც ქმნიდა. ამის გამო, სახელმწიფო აწესებდა მათთვის მედლებსა და ჯილდოებს. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია მნიშვნელოვანი მასალები, სადაც აღწერილია, რომელი რეგიონის რომელ ქალს რა სახის დახმარება გაუწია სახელმწიფომ. (იხ. დანართი: ცხრილი N1.1.).

[658] იხ. თავი V და თავი VI (ავტ. შენიშვნა).

ბრძანება ყურადღებას ამახვილებს მარტოხელა დედებსა და ორსულ ქალებზე და ცდილობს მათ შეუქმნას სათანადო პირობები. მიუხედავად ამისა, რეალობა განსხვავდებოდა ბრძანებაში გაწერილი პროცესისგან. ხშირად ქალები დროულად ვერ იღებდნენ დახმარებას. ან იყო შემთხვევები, როდესაც მოულოდნელად შეუწყვეტდნენ დახმარებას, რაც ერთიორად ართულებდა მათ ყოფას. ამას მოწმობს საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული კორესპონდენციები[659].1944 წლის ბრძანება ითვალისწინებდა მძიმე მდგომარეობას, რომელიც მეორე მსოფლიო ომის გამო შეექმნათ საბჭოთა მოქალაქეებს. ამ ფონზე, ბრძანება, ერთი მხრივ ასახავს, იმ ძირითად ტენდენციებს, რომლებსაც საბჭოთა გენდერული პოლიტიკა მხარს უჭერდა: მაგალითად, მრავალშვილიანი ოჯახების, განსაკუთრებით დედების, მხარდაჭერას, ქალებისთვის სტიმულის მიცემას და მათ წახალისებას მეტი შვილის გაჩენისთვის, დედის იდეალური ხატის შექმნას, ორსულებისა და მეძუძური დედებისთვის უფრო კომფორტული სამუშაო პირობების შექმნას (მაგალითად, დეკრეტული შვებულების გახანგრძლივება და სპეციალური ოთახების მოწყობა საწარმოებში). მეორე მხრივ, ბრძანება გარკვეულ ზეწოლასაც ახდენდა საზოგადოების დაუქორწინებელ წევრებზე, რომლებიც ვალდებულნი იყვნენ, დამატებითი გადასახადები გადაეხადათ. ასე იქმნებოდა სტერეოტიპული წარმოდგენები მარტოხელა ადამიანებზე. ამგვარი სტანდარტების დამკვიდრებაში დიდი როლი ენიჭებოდა საბჭოთა პროპაგანდას, რაც თვალნათლივ ჩანდა მხატვრულ ლიტერატურასა და იკონოგრაფიაში.

1930-იანი წლების მეორე ნახევრიდან პოსტერებზე ჩნდება „ახალი ტიპის“ ქალი, რომელიც ერთდროულად ძლიერი და დამოუკიდებელია, მაგრამ ამავდროულად განასახიერებს სუსტი, დაუცველი ქალის როლსაც. საბჭოთა პროპაგანდაში ეს წინააღმდეგობრივი თვისებები თანაარსებობდა და ერთმანეთს ხელს არ უშლიდა. პოსტერების ანალიზის საფუძველზე შეფასდა ქალის რამდენიმე არქეტიპული სახე: პირველი - მებრძოლი ქალი, რომელიც ფაშისტების წინააღმდეგ შურისძიების სიმბოლოა, მეორე - დედის იდეალი, მესამე - მამაკაცის სამუშაოს სრულყოფილად შემსრულებელი მუშა ქალი, მეოთხე - მსხვერპლი ქალი, მეხუთე - ფემინური ქალი. თითოეული არქეტიპული სახე წარმოადგენდა მისაბაძ მაგალითს საბჭოთა

[659] იხ. თავი IV (ავტ. შენიშვნა).

მოქალაქეებისთვის. საბჭოთა სახელმწიფოს სურდა ქალებს საკუთარი თავი დამკვიდრებული არქეტიპული სახეებისთვის შეედარებინათ და იგივე ქმედებები განეხორციელებინათ საზოგადოებაში, რასაც პოსტერებსა თუ ლიტერატურულ ნაწარმოებებში პერსონაჟები აკეთებდნენ.

პლაკატების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ ერთ-ერთი მთავარი არქეტიპული სახე, რომელსაც საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანა ამკვიდრებს მეორე მსოფლიო ომის დროს, არის ქალი მებრძოლის სახე. მებრძოლი ქალის გამოსახვამ პლაკატებზე უმაღლეს ნიშნულს ე.წ. „დიდი სამამულო ომის“ დაწყების შემდეგ მიაღწია. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საბჭოთა პრესა ძირითადად ეხმიანებოდა ქალთა ტრადიციულ როლებს, როგორებიცაა: დედები, დები, ქალიშვილები და ექთნები. აღსანიშნავია, რომ პრესაში არ გაისმოდა პირდაპირი მოწოდება ქალების სამხედრო სამსახურში ჩართვისა და ფრონტზე, როგორც მებრძოლების, წასვლისკენ. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ მართალია საბჭოთა ქალები მეორე მსოფლიო ომის დროს აქტიურად აღმოჩნდნენ ჩაბმულნი საბრძოლო საქმიანობებში, სახელმწიფოს პირდაპირი მიზანი არ იყო მათი ჩართვა მებრძოლებად. სახელმწიფო მათ მოიაზრებდა ისეთ მეორეულ პოზიციებზე, როგორებიცაა: ექთანი, სანიტარი, მზარეული და სხვ. ეს მაშინ, როდესაც აქტიურად მიმდინარეობდა პროპაგანდა ქალი-მფრინავებისა და ქალი-სნაიპერების შესახებ. სწორედ აქ იჩენს თავს საბჭოთა პროპაგანდის ამბივალენტური ხასიათი.

საინტერესოა, რომ ქალები, რომლებიც საბჭოთა პოსტერებში ხშირად სუსტ და ფემინურ არსებებად არიან წარმოდგენილნი, ომის პერიოდში „კარგავენ სისუსტეს“ და მტკიცე, მებრძოლ ქალებად იქცევიან, რომლებიც მზად არიან საკუთარი ოჯახისა და სამშობლოს დასაცავად. ეს გარდასახვა ბუნებრივად მიიჩნევა და გამოწვეულია შექმნილი პირობებით. სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი სათქმელიც აქ იმალება, ომით გამოწვეულმა მდგომარეობამ შექმნა პრეცედენტი და ქალებს ხელში იარაღი ააღებინა. რაც ომის დასრულების შემდგომ არ უნდა გაგრძელებულიყო.

რაც შეეხება მშრომელი ქალების გამოსახვას პლაკატებზე მეორე მსოფლიო ომის დროს, პლაკატების ანალიზის შედეგად დადასტურდა, რომ პლაკატებს წამახალისებელი ფუნქცია ჰქონდათ, ის არწმუნებდა ქალებს, რომ მათ შეეძლოთ

მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანათ საერთო საქმეში და წარმატებით ჩაენაცვლებინათ ფრონტზე წასული მამაკაცები, სრულფასოვნად ჩართულიყვნენ სამეურნეო, ინდუსტრიულ თუ სხვა სახის საქმიანობაში. ამასთან, პლაკატი აგულიანებდა ყველა ასაკისა და სქესის ადამიანს, რომ მიუხედავად ომის სირთულეებისა, ქალების ჩართულობისა და სახელმწიფოს მხარდაჭერით ოჯახებს შიმშილი არ ემუქრებოდათ. შეიძლება ითქვას, რომ პლაკატების ძირითადი იდეა „ჩანაცვლება და გადარჩენაა“ – ქალები შეძლებდნენ შეესრულებინათ მამაკაცების როლი და, ამავდროულად, გადაერჩინათ სამშობლო. ხშირად მუშა ქალის სახე პლაკატზე წარმოჩენილია როგორც ძლიერი, ენერგიული, ახალგაზრდა ქალი, რომელსაც არ ეშინია სიახლეებისა და მზად არის ახალი გამოწვევებისთვის. ამასთან, ყველა ამ თვისებასთან ერთად, ის ინარჩუნებდა ქალურობასაც. ეს არის ის მახასიათებლები, რომლის მოლოდინიც სახელმწიფოს მშრომელი ქალებისგან ჰქონდა.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ჩამოყალიბებულ ქალთა სახეებს შორის განსაკუთრებული ადგილი დედის არქეტიპულ სახეს უჭირავს. დედის იდეალი რამდენიმე განსხვავებული სახით გვხვდება, როგორიცაა: დედა, როგორც სამშობლოს სიმბოლო; დედა, როგორც მებრძოლი; დედა, როგორც მსხვერპლი და, ასევე, დედა, როგორც აღმზრდელი და შვილებზე მზრუნველი. მიუხედავად ამ როლების წინააღმდეგობრივი ხასიათისა, საბჭოთა იდეოლოგია თანაბარი წარმატებით ამკვიდრებდა ამ მრავალფეროვან სახეებს საბჭოთა იკონოგრაფიაში.

ომის დაწყების შემდგომ, დედის არქეტიპულმა სახემ დამატებითი ღირებულება შეიძინა. დედა სიმბოლურად გაუთანაბრდა სამშობლოს. პროპაგანდისტული მიდგომის საფუძველზე პლაკატებზე გამოხატავდნენ შუა ხნის, ენერგიულ დედებს, რომლებიც მაგალითი უნდა ყოფილიყვნენ დანარჩენი ქალებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ე.წ. სუსტი სქესის წარმომადგენლები იყვნენ, შექმნილი გამოუვალი მდგომარეობის გამო მზად იყვნენ ებრძოლათ და თავი გაეწირათ საჭიროების შემთხვევაში. ეს იყო საპროგრამო პლაკატები უბრალო საბჭოთა მოქალაქეებისთვის, მათ უნდა გაეცნობიერებინათ, რომ მიუხედავად „ქალური სისუსტეებისა“ ომით შექმნილი ვითარება განსაკუთრებული იყო და მათგან მოითხოვდა თავგანწირვას, პიროვნულ ცვლილებას და ფიზიკურ მზადყოფნას „სამშობლოს გადასარჩენად“.

მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა პროპაგანდამ წარმატებით ჩამოაყალიბა ქალის, როგორც მსხვერპლის, არქეტიპი. ასეთი ქალი ჩუმად, მოთმინებისა და თავგანწირვის ხარჯზე ახერხებს მტერთან გამკლავებას. საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანის მიხედვით, მართალია, მას ფიზიკური მონაცემები არ უწყობს ხელს, რადგან საუბარია ფემინურ, სუსტ ქალზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, მას შეუძლია თავისი სიკვდილით მოიპოვოს გამარჯვება მტერზე და სხვებისთვის მაგალითად იქცეს. პროპაგანდის მიზანიც ეს არის, შექმნას ქალი პერსონაჟები, რომელთა სიკვდილის შემდეგ სხვებისთვის მისაბაძი გახდებიან. ეს შაბლონი წინააღმდეგობაში მოდის ქალი-მებრძოლის არქეტიპთან, რადგან როგორც ზემოთ ვიმსჯელეთ, ქალი მებრძოლი, მზად არის ხელში იარაღი აიღოს და საკუთარი სამშობლო გადაარჩინოს. მსხვერპლი ქალის არქეტიპულ სახეზე საუბრისას, არ უნდა გამოგვრჩეს პროპაგანდის დაშვება, რომელიც მნახველს/მკითხველს აცნობებს, რომ მტერი იმდენად დაუნდობელია, მას შეუძლია „უმწეო ქალებსა და ბავშვებზეც“ კი აღმართოს ხელი. მსხვერპლი ქალი თავისი არსით მოწყვლადი კატეგორიაა და მის წინააღმდეგ შეიარაღებული გერმანელისგან მტრის ხატის შექმნა საბჭოთა პროპაგანდის ერთ-ერთი მიზანი გახდა. მსხვერპლი ქალის არქეტიპული სახე თავის თავში აერთიანებს მეორე არქეტიპულ სახეს - ფემინურ ქალს.

უნდა ითქვას, რომ ქალთა არქეტიპული სახეები, რომლებიც პლაკატებზე ჩნდება, ძალიან ჰგავს და ხშირად იმეორებს ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში (მოთხრობები, ლექსები) შექმნილ ქალთა სახეებს. ისევე როგორც პლაკატების კვლევისას, საბჭოთა ლიტერატურაში განხილულ იქნა ქალთა შემდეგი არქეტიპული სახეები: პარტიზანი, მებრძოლი ქალი; დედის არქეტიპული სახე; მშრომელი ქალი; ფემინური ქალი; მსხვერპლი ქალი.

პარტიზანი, მებრძოლი ქალის სახე საბჭოთა ქართულ ლიტერატურაში წარმოდგენილია ურთიერთსაწინააღმდეგო თვისებებით. მებრძოლი ქალის სახე აერთიანებს ფემინური ქალისა და დედის არქეტიპულ მახასიათებლებს. აღსანიშნავია, რომ პარტიზანი ქალები მოთხრობების დასაწყისში წარმოადგენენ ტრადიციული გენდერული როლების შემსრულებლებს, მაგრამ ომის სირთულეები აიძულებთ მათ, შეიცვალონ და ახალი გამოწვევებისთვის მოემზადონ. ამ ქალების ხასიათის აღწერისას იკვეთება, რომ გარეგნულად ისინი ნაზები და ფემინურები

არიან, მაგრამ შინაგანად გამბედავები და თავგანწირულები. ამასთან, მათი ქცევები მოტივირებულია პატრიოტული გრძნობებით, რომელიც უბიძგებთ მათ, თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ფასად, თავი გაწირონ და სამშობლო დაიცვან.

საბჭოთა სისტემამ დედის რამდენიმე არქეტიპული სახე გამოავლინა და დაამკვიდრა: მებრძოლი და შურისმაძიებელი დედა, ჭაღარათმიანი, მოხუცი დედა, რომელსაც გადარჩენა სჭირდება, დედა, როგორც სამშობლოს სიმბოლო, მომლოდინე დედა და სხვა. ყველა ამ სახის გაერთიანება ემსახურება მიზანს: პირველი, რომ დედები გახდნენ შვილების გზის მაჩვენებლები და საკუთარი გამძლეობითა და სიმამაცით მებრძოლების ბრძოლისუნარიანობა აამაღლონ. მეორე, დედების სისუსტე და მოწყვლადობა უნდა იქცეს ჯარისკაცებისთვის შთაგონებად, რომ ისინი გაძლიერდნენ და მოიპოვონ გამარჯვება. ამ არქეტიპული დედის სახის დასახასიათებლად შეიძლება განისაზღვროს შემაჯამებელი კოდი - თავგანწირვა და სამშობლოს გადარჩენა ყველა შესაძლებლობის გამოყენებით.

მშრომელი ქალის დაწინაურება საბჭოთა პროპაგანდაში 1930-იანი წლებიდან დაიწყო, რომლის მიზანს წარმოადგენდა რაც შეიძლება მეტი ქალის ჩართვა სამუშაო სივრცეში. ამ მიმართულებით მუშაობდა პრესა, პლაკატები თუ ლიტერატურა. მიუხედავად ამისა, რეალობაში ქალებს ბევრად რთული გამოცდილებები უგროვდებოდათ, ვიდრე ეს ფურცლებზე ჩანდა. ერთ-ერთი წინააღმდეგობა მამაკაცებისგან მოდიოდა, მათ ხშირად უჭირდათ ქალების გვერდით მუშაობა, ქალებს მამაკაცები არაკომპეტენტურ კადრებად მიიჩნევდნენ. ასევე, ხშირი იყო ქალების სექსუალურ ობიექტად აღქმა. დამსაქმებელიც ნაკლებად იყო დაინტერესებული ქალების სამსახურში აყვანით, რადგან დეკრეტული შვებულების შემთხვევაში მას ახალი კადრის მოძიება უწევდა. თუმცა, რადგან სახელმწიფო განსაზღვრავდა დასაქმების პოლიტიკას, 1930-იანი წლები დაეთმო ხელოვნურად სამუშაო სივრცეში ქალების ჩართვის დაჩქარებას. მეორე მსოფლიო ომის გამოცდილებამ წინა პლანზე წამოწია გათავისუფლებული სამუშაო ადგილების საკითხი. ქალებმა ჩაანაცვლეს მამაკაცები თითქმის ყველა პოზიციაზე. თუ 1930-იან წლებში ქალები ე.წ. „ქალურ პროფესიებზე“ (აღმზრდელი, მასწავლებელი, მზარეული და სხვ.) საქმდებოდნენ, ომის დაწყების შემდგომ ეს მოცემულობა შეიცვალა, რაც პირდაპირ აისახა პოსტერებზე. ომის პირობებში, ქალები

გააქტიურდნენ სოფლის მეურნეობაში, ინდუსტრიულ და სამხედრო სფეროებში. ომით გამოწვეულმა ვითარებამ პლაკატებზე დააწინაურა მედდის, ინდუსტრიის მუშაკი ქალის, პილოტი ქალის და სხვ. სახეები. მიუხედავად ფემინური ხასიათისა, რომელიც ქალების სინაზესა და სისუსტეში გამოიხატებოდა, ეს არ გამორიცხავდა ქალების შრომისუნარიანობას, სიმამაცეს და თავგანწირვის უნარს. შესაბამისად, სახელმწიფო პროპაგანდის მიხედვით, ქალებს დაეკისრათ ორმაგი პასუხისმგებლობა — ერთდროულად გამხდარიყვნენ სანიმუშო მშრომელები ფრონტის ზურგში, ყოფილიყვნენ დიასახლისები და საჭიროების შემთხვევაში, თავიანთი სიცოცხლე გაეწირათ სამშობლოსთვის.

ომის დროს ქალები სოფლის მეურნეობის, ინდუსტრიის და სამხედრო სფეროებში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. ვითარებამ ჩამოაყალიბა ახალი სახეები - მედდების, ინდუსტრიის მუშაკებისა და პილოტების. მათი ფემინურობა სინაზესა და სისუსტეში გამოიხატებოდა, თუმცა ეს არ გამორიცხავდა მათ შრომისუნარიანობას, სიმამაცესა და თავგანწირვის უნარს. პროპაგანდის თვალსაზრისით, ქალები უნდა გამხდარიყვნენ სანიმუშო მშრომელები ზურგის ფრონტზე და საჭიროების შემთხვევაში თავიანთი სიცოცხლე გაეწირათ სამშობლოსთვის.

მეოთხე მნიშვნელოვან არქეტიპულ სახეს წარმოადგენს მსხვერპლი ქალი საბჭოთა ლიტერატურაში. მსხვერპლი ქალის ინსტრუმენტალიზაცია ხდება საბჭოთა პროპაგანდის მიერ და ამ გზით წითელარმიელების მობილიზაციის გაძლიერება. წითელარმიელს არ ჰქონდა უფლება სასო წარეკვეთა, თუნდაც მთელი ოჯახი ომის მსხვერპლი გამხდარიყო. მისი ვალი იყო, ქვეყნის სამსახურში დარჩენა და მტერზე შურისძიება. თუმცა, ქალების შემთხვევაში სხვაგვარად იყო. საბჭოთა გენდერული პარადიგმის მიხედვით, ქალები ემოციურად მიჯაჭვულნი იყვნენ მამაკაცებზე. საყვარელი ადამიანის დაკარგვა ზოგიერთ ქალში შურისძიების მოტივს აჩენდა, მაგრამ სხვებისთვის დეპრესიისა და ავადმყოფობის გამომწვევი ხდებოდა. ამგვარად, მსხვერპლი ქალის არქეტიპი ფემინურობის ელემენტებსაც მოიცავდა.

საბჭოთა გენდერული პოლიტიკის მიხედვით, ქალების მიზანი უნდა ყოფილიყო: (1) აღეზარდათ ღირსეული შვილები, რომლებსაც საჭიროების შემთხვევაში, სამშობლოს შესწირავდნენ, (2) პირადი ბედნიერება გვერდზე გადაედოთ და ქვეყნის ინტერესების

მიხედვით ემოქმედათ, (3) ოჯახში მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ეშრომათ და ებრძოლათ. ამ ამოცანებში ქალების პირადი, ინდივიდუალური იდენტობა სრულიად უგულებელყოფილია, ისინი „საჭირო მსხვერპლად“ აღიქმებიან „დიადი მისიის“ შესასრულებლად. არც ერთ ნამუშევარში არ ჩანს ქალის ემოციური გატეხილობა, რადგან სასოწარკვეთილების ჩვენება სისუსტედ მიიჩნეოდა.

ქალი-მსხვერპლის არქეტიპი მრავალსახოვანია და აერთიანებს სხვადასხვა სახეს: როგორც დედის, ისე ფემინური ქალისა და მშრომელი ქალის. საბჭოთა ლიტერატურული ტრადიცია ზოგჯერ ქალი-მსხვერპლის სახეს ქმნის, სადაც ის გარემოებათა მსხვერპლია, მაგალითად, გერმანელის ხელით დაღუპული. სხვა შემთხვევაში, ქალი თვითონ ირჩევს მსხვერპლად ყოფნას, რათა მისი თავგანწირვა სხვებისთვის მაგალითი და გზის მაჩვენებელი გახდეს. განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს „უსისხლო მსხვერპლშეწირვა“: ქალი, რომელიც ოჯახის თავკაცობას იკისრებს, როცა ქმარი ან ძმა ფრონტზეა და მამაკაცის პოზიციას იკავებს არა მხოლოდ ოჯახში, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც.

რაც შეეხება ფემინური ქალის არქეტიპულ სახეს საბჭოთა ლიტერატურაში, უნდა ითქვას, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ყველა არქეტიპულ სახეს აქვს ბმა ფემინურ ქალთან. თითოეული პერსონაჟი ქალი ფემინური არსებაა, თუნდაც მას იარაღის მოხმარება შეეძლოს. ფემინური ქალის არქეტიპი კარგად ასახავს საბჭოთა იდეოლოგიის დამოკიდებულებას ქალთა როლისადმი საზოგადოებაში. ქალები აღიქმებოდნენ საზოგადოების მნიშვნელოვან, თუმცა დამხმარე როლის შემსრულებლებად, რომლებსაც მაქსიმალურად უნდა ეზრუნათ მამაკაცების კეთილდღეობისათვის. ომის პერიოდში მათ დაეკისრათ ოჯახების გადარჩენის პასუხისმგებლობაც. ქალების გარეგნობა კი ნაკლებად მნიშვნელოვანად მიიჩნეოდა, არც მათ ფსიქოლოგიურ მდგომარეობასა და შინაგან განწყობებს ეთმობოდა დრო. მთავარი იყო, ისინი უჩინარნი, თავმდაბალნი და ნაზი არსებები ყოფილიყვნენ. მართალია, ომის პირობებში მათგან იარაღის აღება და შურისძიებაც მოითხოვებოდა, მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი აუცილებლობა იყო და არა მათი მუდმივი მოვალეობა.

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ სტალინის მმართველობის პერიოდში 1936-1945 წლებში, გადაიხედა ქალთა სტატუსი და მდგომარეობა საზოგადოებაში. ერთი შეხედვით, გაგრძელდა და გაძლიერდა ქალთა ემანსიპაციის პროცესი. თუმცა, საკითხის ღრმად შესწავლა ცხადყოფს, რომ სინამდვილეში დაწყებული ცვლილებების მიზანი ქალთა გათავისუფლება კი არ იყო, არამედ მათი გამოყენება სახელმწიფოს მიზნებისთვის. ვინაიდან, მივყვებით ჰიპოთეზას, რომ ომი ხელს უწყობს ქალთა სტატუსის გაძლიერებას, უნდა აღინიშნოს, რომ მეორე მსოფლიო ომმა ქალებს მისცა შესაძლებლობა აეთვისებინათ ის მიმართულებები და ჩართულიყვნენ იმ სფეროებში, რომლებიც მანამდე მათთვის ასეთი მასშტაბით ხელმისაწვდომი არ იყო: განსაკუთრებით სამხედრო ნაწილში, სადაც ქალთა მსახურება ნაკლებად მიღებული იყო. ეს, რა თქმა უნდა, წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. თუმცა, საბჭოთა პოლიტიკას ქალთა მიმართ შესაძლოა ვუწოდოთ ამბივალენტური. ამას მოწმობს ერთმანეთისგან განსხვავებული ქალთა არქეტიპული სახეების დამკვიდრება ლიტერატურასა და პლაკატებზე. მართალია, ქალებმა მოიპოვეს თანასწორი უფლებები მამაკაცებთან მიმართებით, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დროს, მათი დატვირთვა გაიზარდა. განსაკუთრებით ეს შეეხო ფრონტის ზურგში დარჩენილ ქალებს. მათ მოუწიათ, გამკლავებოდნენ ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო პრობლემებს, მცირეწლოვან შვილებთან და მოხუც მშობლებთან ერთად, ისინი უნდა ყოფილიყვნენ შეუცვლელი დედები, დიასახლისები და შვილები მოხუცი მშობლებისთვის. ფრონტის ზურგში ცხოვრება გაუსაძლისი იყო. სახელმწიფოს მიერ დაწესებული დახმარებები კი ხშირად ვერ უთანაბრდებოდა იმ გამოწვევებს, რომლის წინაშეც ქალები (და არამარტო ქალები) აღმოჩნდნენ.

საბჭოთა პოლიტიკა ქალთა მიმართ ორაზროვანი იყო, ამას მოწმობს, ერთი მხრივ, საკანონმდებლო ცვლილებები და მეორე მხრივ, საარქივო დოკუმენტები, სადაც თავმოყრილია კორესპონდენციები მეორე მსოფლიო ომის დროს. კვლევამ ცხადყო, რომ მართალია საკანონმდებლო დონეზე ქალებმა მიიღეს თანასწორობა და სოციალურ ცხოვრებაში ჩართულნი აღმოჩნდნენ, რეალურ ცხოვრებაში ასე მარტივად არ დადგა შედეგი. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქალთა მობილიზებას და მათ გამოყენებას სამუშაო სივრცეში ე.წ. „მამაკაცურ პოზიციებზე“ დროებითი ხასიათი ჰქონდა. ომის დასრულების შემდგომ საბჭოთა პროპაგანდა დაუბრუნდა

ტრადიციულ მოდელს და წახალისებას უკეთებდა ქალების ტრადიციულ არქეტიპულ სახეებს დედის და ფემინური ქალის სახით. [660]

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მიუხედავად წითელ არმიაში ქალთა ჩართულობის მაღალი ხარისხისა, მამაკაცებისგან განსხვავებით ქალების გაწეული ღვაწლი არ ან ნაკლებად დაფასდა. ფრონტზე წასული ქალები ახალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ სახლში დაბრუნების შემდგომ. საზოგადოებაში გაჩნდა სტერეოტიპული შეხედულებები ქალების შესახებ, რომლებიც ფრონტზე მსახურობდნენ. შესაბამისად, ქალებს ხელახლა უნდა დაემკვიდრებინათ ადგილი საზოგადოებაში და ებრძოლათ საკუთარი სახელისა და ღირსების აღსადგენად. მსგავსი წინააღმდეგობა მამაკაცების შემთხვევაში არ გვხვდება და პირიქით, ისინი როგორც დამსახურებული მებრძოლები დაუბრუნდნენ მშობლიურ გარემოს.

თუ შევაჯამებთ, ნათელი გახდება, რომ საბჭოთა სახელმწიფო ემანსიპაციის საბურველში გახვეული მოქმედებდა საკუთარი მიზნის მისაღწევად. მათ ქალები გაათავისუფლეს, მაგრამ ეს არ ყოფილა სრულყოფილი თავისუფლება. მათ ქალებს გაუორმაგეს პასუხიმგებლობა და გამოიყენეს ომის მიზნებისთვის. შესაბამისად, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, დავუბრუნდეთ საწყის კითხვას, თუ როგორ შეიცვალა საბჭოთა საზოგადოებაში ქალთა სტატუსი საბჭოთა საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის მაგალითზე, მეორე მსოფლიო ომის დროს. ქალთა სტატუსი გაძლიერდა და მიაღწია თანასწორობას მამაკაცებთან საკანონმდებლო დონეზე, თუმცა არ განხორციელდა ის მოდელი, რომელსაც მარქსისტები (ფ. ენგელსი, ა. ბებელი და სხვა) ამკვიდრებდნენ. სტალინიზმის პერიოდში შექმნილი ქალთა სტატუსი განსხვავდებოდა მარქსისტების დაშვებისგან, რომლის მიხედვით საოჯახო საქმისგან თავისუფალი ქალი იქნებოდა ნამდვილად თავისუფალი. სტალინის დროს ქალები არათუ გათავისუფლდნენ საოჯახო საქმისაგან, არამედ მათ დაიმატეს პასუხისმგებლობები, ხოლო საზოგადოება მამაკაცებისგან განსხვავებით, ნაკლები პატივისცემით ეპყრობოდა.

[660] **Bucher**, "Struggling to Survive," 144.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

წყაროები და დოკუმენტური მასალები:

1. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 600, აღწ. 2. საქმე 612. მიმოწერა, მოხსენებითი ბარათები, საკონფისკაციო მასალები.
2. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 600, აღწ. 2. საქმე 601. მოხსენებითი ბარათები და მიმოწერა საქ. პროკურატურასთან, სამხედროთა ოჯახების საყოფაცხოვრებო პირობების უზრუნველყოფის და სხვ. შესახებ.
3. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 600, აღწ. 2. საქმე 602. მოხსენებები და მიმოწერა. თბილისის სამხედრო ნაწილებში დისციპლინის განმტკიცებისა და წითელარმიელთა ოჯახების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ.
4. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 600, აღწ. 2. საქმე 604. მიმოწერები, ბრძანებები.
5. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 600, აღწ. 2. საქმე 636. საქართველოს გასაბჭოების წლისთავთან დაკავშირებით წარმოდგენილი სტატისტიკური ცნობები სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით.
6. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 600, აღწ. 2. საქმე 588. კავკასიის ფრონტის შტაბის ბრძანება, ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტალის დაჯილდოებისა და 90 წლისთავის იუბილის აღნიშვნის შესახებ.
7. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 600, აღწ. 1. საქმე 7203. მოხსენებითი ბარათები, დადგენილება და მიმოწერა. მასწავლებლების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის მდგომარეობის შემოწმების შესახებ.
8. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 600, აღწ. 1. საქმე 7070. მოხსენებითი ბარათები და მიმოწერა საქ. სსრ. სახკომსაბჭოსთან არსებული სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფის და საყოფაცხოვრებო მოწყობის სამმართველოსთან.
9. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 600, აღწ. 1. საქმე 7213. მოხსენებითი ბარათები, ცნობები, მიმოწერა.

10. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 600, აღწ. 1. საქმე 6598. წერილები, კორესპონდენციები, აქტები.
11. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 600, აღწ. 1. საქმე 6599. განცხადებები, ცნობები და მიმოწერა კერძო პირებთან. წითელარმიელთა ოჯახებისთვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა, საბინაო საკითხებზე და სხვ. შესახებ.
12. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 600, აღწ. 1. საქმე 609. საქართველოს სსრ კონსტიტუცია/ ძირითადი დებულება და მიმოხილვა, 1940 წ.
13. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 600, აღწ. 1. საქმე 4520, 1936 წლის 22 ოქტომბრის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება N1336.
14. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 600, აღწ. 1. საქმე 4521. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 9 დეკემბრის N1698 დადგენილება.
15. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 284, აღწ. 1. საქმე 856. 1928-30 წწ. საქორწინო, საოჯახო და სამეურნეო კანონთა კოდექსი.
16. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 284, აღწ. 1. საქმე 3137. კორესპონდენცია, მიმოწერები.
17. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 284, აღწ. 1. საქმე 3032. ქ. ტფილისში საკ. ცაკ-ის და სახკომსაბჭოს კანონპროექტის განხილვის შედეგები აბორტების აკრძალვის, მშობიარეთათვის მატერიალური დახმარების გადიდების, სამშობიარო სახლების და ბაგების გადიდების შესახებ.
18. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 284, აღწ. 1. საქმე 2510. მიმოწერა, დადგენილებები.
19. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 284, აღწ. 1. საქმე 5138, მოხსენებები, ბრძანებები, მიმოწერა.
20. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 284, აღწ. 1. საქმე 2423. კორესპონდენციები საქართველოს სსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.
21. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 284, აღწ. 1. საქმე 2459. 1933 წლის მესამე კვარტლის სამუშაო კალენდარული გეგმა.

22. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 284, აღწ. 1. საქმე 2385. დადგენილება სრულიად საქართველოს ცეკა პრეზიდიუმისა და 1933 წ. სახალხო მეურნეობაში ქალთა შრომის გამოყენების შესახებ.

23. *საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი,* ფ. 600, აღწ. 1. საქმე 4520 , დადგენილება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭოს რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი, სისხლის სამართლის კოდექსის N149 და N166 მუხლების შეცვლის შესახებ.

24. **1944 წლის 8 ივლისის N37 ბრძანება,** Сборник законов СССР и указов Президиума Верховного совета СССР. 1938-1944 г.г. — М.: Ведомости Верховного совета СССР, 1945.

25. **Lenin, Vladimir.** "*Can the Bolsheviks Retain State Power?"* October 1, 1917.. https://www.marxists.org/archive/lenin/works/1917/oct/01.htm. [ბოლო ვიზიტი 24/10/2024].

26. **Marx, Karl.** *Capital: A Critical Analysis of Capitalist Production*, London: Swan Sonnenschein and Co., Ltd, 1906.

27. **Sheide, Carmen.** "Unstintingly master warfare": Women in the Red Army". in the book: Women and Gender in Twentieth century Russia. edited by Melanie Ilic. Palgrave Macmillan, 2008.

28. **Stalin, Joseph.** *Speech on Agrarian Policy.* December 27, 1929. https://history.hanover.edu/courses/excerpts/111stalin.html. *[ბოლო ვიზიტი:10/11/2024].*

29. *The Order of the Badge of Honor*, USSR. 25 November, 1935. https://www.prlib.ru/en/history/619755 23/10/24. [ბოლო ვიზიტი 10/01/2025].

30. **Trotsky, Leon**. *The Revolution Betrayed: What Is the Soviet Union and Where Is It Going?* 1936. https://www.marxists.org/archive/trotsky/1936/revbet/ch07.htm#ch07-1.[ბოლო ვიზიტი 10/10/2024].

31. **Баскаков, М**. Товарищи! Сдавайте теплые вещи для красной армии! Хабаровск : ОГИЗ-ДАЛЬГИЗ, 1942. Web page: https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/445840 (16.10.24).

32. **Ливанова, В**. Да здравствуют советские женщины - пламенные патриотки страны социализма!, 1941. Web page: https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/443304 (16.10.24).

33. **Маршева, Б.** Вопросы женского труда, Охрана труда, 1930, вып. (3): 2.

34. **Мухина В. И.** *Рабочий и колхозница*. Модель скульптурной группы для Советского павильона на Международной выставке 1937 года в Париже. 1936. Отлив: 1937. https://rusmuseumvrm.ru/data/collections/sculpture/20/so-724/index.php

35. **Конституция** (основной закон) Союза Советских Социалистических Республик : [Принята 5 дек. 1936 г.]. - [Ленинград]: Партиздат ЦК ВКП(б), ББК 67.400.11-1(2)"1936". https://www.prlib.ru/item/420918 [ბოლო ვიზიტი 18/01/2025].

36. **Постановление Центрального Исполнительного Комитета и Совета Народных Комиссаров.** О запрещении абортов, увеличении материальной помощи роженицам, установлении государственной помощи многосемейным, расширении сети родильных домов, детских яслей и детских садов, усилении уголовного наказания за неплатеж алиментов и о некоторых изменениях в законодательстве о разводах. 27 июня 1936 г. № 65/1134 // Опубликовано в № 149 Известий ЦИК Союза ССР и ВЦИК от 28 июня 1936 г. Постановление Центрального Исполнительного Комитета (19.02.2025).

37. **Шмаринов, Д.** Слава освободителям Украиниы! Смерть немецким захватчикам. М.-Л. : "Искусство", 1944. Web page: https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/426067 (16.10.24).

სამეცნიერო ლიტერატურა:

38. **ალექსევიჩი, სვეტლანა.** ომს არ აქვს ქალის სახე. თარგმნილია თამარ კოტრიკაძის მიერ. თბილისი: ინტელექტი, 2017.

39. **ანთიძე, ქ. ჯ.** *საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ქალთა მონაწილეობა საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომში* (1941-1945წ.წ) (დისერტაცია, 1954).https://digitallibrary.tsu.ge/book/2020/feb/dissertations/disertacia31/antidze%20sabchota.pdf

40. **ბექიშვილი, ნინო. რედ.**, დაკარგული ისტორია - მეხსიერება რეპრესირებული ქალების შესახებ. თბილისი, 2012. https://taso.org.ge/114/geo/. [ბოლო ვიზიტი 01.11.2024].

41. **ბექიშვილი, ნინო. რედ.,** ქალი საბჭოთა სოფელში. 2021. https://taso.org.ge/114/geo/ [ბოლო ვიზიტი 01.11.2024.]

42. **გაფრინდაშვილი, ლელა.** „დედათა კითხვა და/თუ ქალთა საკითხი საქართველოში“. წიგნში *„გენდერი, კულტურა, თანამედროვეობა“.* თბილისი. 2005, გვ. 28-49.

43. **გაფრინდაშვილი, ლელა.** წერა, ბედისწერა და ქალების მიმოწერა. *ხმა ქართველი ქალისა* N1. თბილისი (2017): გვ.1-21. https://womensvoice.tsu.ge/index.php/WOM/article/view/1794.

44. **გაფრინდაშვილი, ნ. მირესაშვილი, მ. წერეთელი,** ნ.: *სოციალისტური რეალიზმის თეორიული ისტორია*, წიგნი I. თბილისი, გამომცემლობა ნეკერი, 2010.

45. **გაფრინდაშვილი, ნ. მირესაშვილი, მ. წერეთელი,** ნ.: *სოციალისტური რეალიზმის თეორიული ისტორია,* წიგნი II. თბილისი, გამომცემლობა ნეკერი, 2010.

46. **გაფრინდაშვილი, ნანა.** *სოცრეალიზმის ეპოქის ქართული სალიტერატურო ცხოვრება ლიტერატურული კომპარატივისტიკის თვალსაზრისით.* https://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/8/81 [ბოლო ვიზიტი 10/01/2025].

47. **გაჩეჩილაძე, მარიამ.** *ქართული პლაკატი.* თბილისი:გამომცემლობა არტანუჯი, 2023.

48. **ელბაქიძე, მაკა. რატიანი, ირმა. რედ.,** *„ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა: მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან სკკპ მე-20 ყრილობამდე (1941-1956 წწ.)“.* (თბილისი: გამომცემლობა მწიგნობარი, 2019).

49. **ვაჭარაძე, ანტონ. *რედ.,*** *ლიზიკო აბზიანიძის მოგონებები.* თბილისი, 2024. https://idfi.ge/ge/liziko_abzianidze_diary

50. **ორბელიანი, სულხან-საბა.** *სიტყვის კონა.* რედ. რევაზ დანელია. თბილისი: გამომცემლობა „ეგრისი“, 1993.

51. **ქართველიშვილი, მიხეილ.** *საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა და მისი ასახვის თავისებურებები 1953-1964 წლებში.* თბილისი, 2022.

52. **ქოქრაშვილი, ხათუნა.** „ქალთა ისტორია“ და გენდერული კვლევები საისტორიო მეცნიერებაში. *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები* 2, no. 6. (თბილისი: 2009), 384-400.

53. **Alfonso, Kristal L M**. “The Soviet Female Fliers of World War II Report Title: Femme Fatale Report Subtitle: An Examination of the Role of Women in Combat and the Policy Implications for Future American Military Operations.” Air University Press, 2009.

54. **Aristarkhova, Irina**. *Women and Government in Bolshevik Russia*. University of Warwick, 1995.

55. **Attwood, Lynne.** *Creating The New Soviet Woman.* London, Macmillan Press, 1999.

56. **Attwood, Lynne**. *The New Soviet Man and Woman. Sex Role socialization in the USSR.*Palgrave Macmillan, UK, 1990. doi:10.1007/978-1-349-21030-5.

57. **Bebel, August**. *Women under Socialism.* Unpublished E-book, 2009.

58. **Berkhoff C. K.** *Motherland in Danger: Soviet Propaganda during World War II.* Cambridge: Harvard University Press, 2012. https://doi.org/10.2307/j.ctt2jbqnd.

59. **Bernstein, Frances L**. "Envisioning Health in Revolutionary Russia: The Politics of Gender in Sexual-Enlightenment Posters of the 1920s: *Russian Review* 57, no. 2 (1998): 191-217.

60. **Bonnell, Victoria E**. *Iconography of Power Soviet Political Posters under Lenin and Stalin*. Berkeley:University of California Press, 1998.

61. **Boobbyer, Philip**. *The Stalin Era*. Routledge, London and New York, 2000.

62. **Friedrich, Carl, and Zbigniew Brzezinski.** *Totalitarian Dictatorship and Autocracy*. Cambridge, MA: Harvard University Press, 1965.

63. **Brintlinger, Angela.** "Mothers, Father(s), Daughter: Svetlana Aleksievich and *The Unwomanly Face of War*." *Canadian Slavonic Papers* 59, no. 3-4 (2017): 196-213. https://doi.org/10.1080/00085006.2017.1379114.

64. **Farnsworth, Beatrice Brodsky.** "Bolshevism, the Woman Question, and Aleksandra Kollontai." *The American Historical Review* 81, no. 2 (1976): 292–316. https://doi.org/10.2307/1851313.

65. **Bucher Greta**. "Struggling to Survive: Soviet Women in the Postwar Years." *The Journal of Women History* 12, no. 1 (2000): 144-160. https://doi.org/10.1353/jowh.2000.0018.

66. **Buckley, Mary**. "The Soviet 'wife-Activist' down on the Farm." *Social History* 26 no. 3 (2001): 282–97. doi:10.1080/03071020110070873.

67. **Buckley, Mary.** *Women and Ideology in the Soviet Union*. Ann Arbor: University of Michigan Press, 1989.

68. **Burke, Peter**. *Eyewitnessing The Uses of Images as Historical Evidence*. London, 2001.

69. **Carr, E.H.** *What is History*? Penguin Books, New York, 1961.

70. **Chatterjee, Choi**. "Ideology, Gender and Propaganda in the Soviet Union: *A Historical Survey". Left History* 2 (1999): 11-28.

71. **Cheles, Luciano**. *Iconic images in propaganda*. Modern Italy, 2016.

72. **Clements, Barbara**. A History of Women in Russia: From Earliest Times to the Present. Indiana University Press, 2012. http://www.jstor.org/stable/j.ctt16gz5pn [ბოლო ვიზიტი 10/01/2025].

73. **Clements, Barbara Evans**, "The Birth of the New Soviet Woman," in *Bolshevik Culture: Experiment and Order in the Russian Revolution,* edited by Abbott Gleason, Peter Kenez, and Richard Stites 220–237. Bloomington, IN: Indiana University Press, 1985.

74. **Clements, Barbara Evans**. *Bolshevik Women*. Cambridge, UK: Cambridge University Press, 1997.

75. **Clements, Barbara Evans**. *Daughters of Revolution: A History of World in the USSR.* Arlington Heights, IL: Harlan Davidson, Inc., 1994.

76. **Corbesero, S.** *Gender, State and Society in Soviet and Post-Soviet Russia*. London. 2000. https://doi.org/10.4324/9780203135730

77. **Corbesero, Susan.** "Female Images in Soviet Wartime Poster Propaganda, 1941–1945." *Aspasia* 4, no. 1 (March 1, 2010): 104.

78. **Davies, Sarah.** "A Mother cares ": Women workers and Popular Opinion in Stalin's Russia, 1931-41 in the book Women in the Stalin Era. Edited by Melanie Ilic. Palgrave Macmillan, New York, 2001.

79. **Dawson, S. T.** *Women and the Second World War. International Journal of military history and historiography* 39 (2019): 171-180. DOI: 10.1163/24683302-03902002

80. **DeHaan, Heather**. "Engendering a People: Soviet Women and Socialist Rebirth in Russia." *Canadian Slavonic Papers / Revue Canadienne Des Slavistes* 41, no. 3/4 (1999): 431–55. http://www.jstor.org/stable/40870101. [ბოლო ვიზიტი 10/01/2025].

81. **Duprat, Annie.** "The Iconography of twentieth-century Totalitarian Regimes. Review of *The Iconography of Twentieth-Century Totalitarian Regimes,* by Victoria E. Bonnell and Enrico Sturani." *Contemporary European History* 8, no. 3 (1999): 439–49. http://www.jstor.org/stable/20081722. [ბოლო ვიზიტი 10/01/2025].

82. **Dutton, D. G., and T. L. Nicholls**. "The Gender Paradigm in Domestic Violence Research and Theory: Part 1—The Conflict of Theory and Data." *Aggression and Violent Behavior* 10, no. 6 (2005): 680–714. https://doi.org/10.1016/j.avb.2005.02.001.

83. **Engels, Friedrich.** The Origin of the Family, Private Property, and the State. London: Penguin Group, 2010.

84. **Eshwin, Sarah. Ed**., *Gender, State and Society in Soviet and Post-Soviet Russia*. Routledge London and New York, 2000.

85. **Evans, Janet**. The Communist Party of the Soviet Union and the Women's Question: The Case of the 1936 Decree 'In Defense of Mother and Child'". *Journal of contemporary History* 16, no 4 (1981):757-775.

86. **Ewing, T.** Maternity and modernity: Soviet women teachers and the contradictions of Stalinism. *Women's History Review*, 19(3), (2010): 451-477. https://doi.org/10.1080/09612025.2010.489355

87. **Farnsworth, Beatrice**, "Bolshevik Alternatives and the Soviet Family: The 1926 Marriage Law Debates," in Women in Russia, Dorothy Atkinson, Alexander Dallin, and Gail W. Lapidus eds. (Stanford 1977), 139-65.

88. **Fitzpatrick, Sheila**. "'Middle-Class Values' and Soviet Life in the 1930s." In *Soviet Society and Culture: Essays in Honor of Vera S. Dunham*, edited by Terry L. Thompson and

Richard Sheldon, 20–38. London: Routledge, 1988. https://doi.org/10.4324/9780429307157-3.

89. **Fitzpatrick, Sheila.** *Everyday Stalinism*. Oxford University Press, 1999.

90. **Fitzpatrick, Sheila**. "War and Society in Soviet Context: Soviet Labor before, during, and after World War II". *International Labor and Working-Class* History, no 35 (1989): 37-52.

91. **Fuqua, Michelle.** *The Politics of the Domestic Sphere: The Zhenotdely, Women's Liberation, and the Search for a Novyi Byt in Early Soviet Russia*. Seattle: Henry M. Jackson School of International Studies, University of Washington, 1996.

92. **Geertz, Clifford**. "Ideology as a Cultural System." In *The Interpretation of Cultures*, 193–233. New York: Basic Books, 1973.

93. **Ghodsee, Kristen.** *Red Valkyries*. London and New York: Verso, 2022.

94. **Ghodsee**, **Kristen**.*The Left Side of History*. Durham and London: Duke University Press, 2015. https://doi.org/10.1215/9780822375821.

95. **Goldman, Wendy**. *Women at the Gates: Gender, Politics, and Planning in Soviet Industrialization*: Cambridge University Press, 2002.

96. **Goldman, Wendy.** *Women, the State and Revolution.* Cambridge: Cambridge University Press, 1993.

97. **Goldstein, S.** *War and Gender: How Gender Shapes the War System and Vice Versa*, Cambridge: Cambridge University Press, 2001.

98. **De Gouges, Olympe**. *The Rights of Woman* (1791). *The Rights of Women* .The Rights of Woman. . [ბოლო ვიზიტი, 20/02/2025]

99. **Gradskova, Yulia**. *Soviet People with Female Bodies: Performing Beauty and Maternity in Soviet Russia in the mid 1930-1960s*. PhD dissertation, Acta Universitatis Stockholmiensis, 2007. https://urn.kb.se/resolve?urn=urn:nbn:se:su:diva-6980.

100. **Harris, Adrienne**. *The Myth of the Woman Warrior and World War II in Soviet Culture*. PhD diss., University of Kansas, 2008.

101. **Heitlinger, Alena.** *Women and state socialism*. London: Macmillan Press, 1979.

102. **Hodgson, Katharine**. "The Other Veterans: Soviet Women's Poetry of World War 2." In *World War 2 and the Soviet People*, edited by J. Garrard and C. Garrard, 77–94. London: Palgrave Macmillan, 1993. https://doi.org/10.1007/978-1-349-22796-9_5.

103. **Hodgson, Katharine.** "Women in Poetry and Women Poets". Chapter. In *Written with the Bayonet: Soviet Russian Poetry of World War Two*. Liverpool University Press, (2011): 207–256. https://doi.org/10.5949/upo9781846317637.008

104. **Hooks, Bell.** *Feminist theory from margin to center.* The USA: South end Press, 1984.

105. **Hutton, Marcelline**. *Resilient Russian Women in the 1920s and 1930s*. Lincoln, 2015.

106. **Ilic, Melanic and Lynne Attwood.** *Women in the Stalin Era*. New York: Palgrave, 2001.

107. **Ilic, M**. *Soviet Women: Everyday Lives*. London and New York: Routledge, 2020. https://doi.org/10.4324/9780429330117.

108. **Issoupova, Olga.** "From duty to pleasure? Motherhood in Soviet and post-Soviet Russia" in "Gender, State and Society in Soviet and Post-Soviet Russia", edited by Sarah Ashwin London: Routledge, 2009.

109. **Ivashkin, A.** „Who's afraid of socialist realism?", *The Slavonic and East European Review.* 92 no (3) (2014): 430-448. https://doi.org/10.5699/slaveasteurorev2.92.3.0430

110. **Japaridze, Elene, Barkaia, Maia, Zhgenti, Nino. Amashukeli, Mariam .** *The Study of Georgian Youth`s Awareness, Perceptions and Attitudes of Gender Equality*. Tbilisi: Center for Social Sciences, 2014.

111. **Kabeer, Naila.** "Gender Equality and Women's Empowerment: A Critical Analysis of the Third Millennium Development Goal 1." *Gender and Development* 13, no. (1) 2010: 13-24.

112. **Kelly-Gadol, Joan**. "Did Women have a Renaissance?" in *Women in European history,* 1st ed., (1977): 137-164.

113. **Kirschenbaum, Lisa A.** "Our City, Our Hearths, Our Families": Local Loyalties and Private Life in Soviet World War II Propaganda*." Slavic Review* 59 no 4 (2005):825-847. doi:10.2307/2697421.

114. **Klots, Alissa**. "The Kitchen Maid as Revolutionary Symbol: Paid Domestic Labour and the Emancipation of Soviet Women." In *Women and Gender in Twentieth Century Russia*, edited by Melanie Ilic, 97. Palgrave Macmillan, 2008.

115. **Knopova, Yana.** *The Soviet Union and the international domain of Women's rights…,* (Unpublished) 2011.

116. **Kotkin, Stephen.** *Magnetic Mountain: Stalinism as a Civilization.* Berkeley: University of California Press, 1995. E-book.

117. **Kotkin, Stephen**."The Welfare State; Magnetic Mountain: Stalinism as a Civilization." In *Stalinism*, edited by D. L. Hoffmann, 108. Oxford: Blackwell Publishing, 2003. https://doi.org/10.1002/9780470758380.ch1.

118. **Krylova, Anna**. "Healers of wounded souls: The crisis of private life in soviet literature, 1944-1946." *Journal of Modern History* 73, no. 2 (2001):307–331. https://doi.org/10.1086/321026

119. **Krylova, Anna.** "Stalinist identity from the viewpoint of gender: Rearing a generation of professionally violent women-fighters in 1930s Stalinist Russia". *Gender and History*, 16, no. 3 (2004): 626–653. https://doi.org/10.1111/J.0953-5233.2004.00359.X

120. **Krylova, A**nna. „*Imagining socialism in the soviet century". Social History*, 42(3), (2017): 315–341. https://doi.org/10.1080/03071022.2017.1327640

121. **Krylova, Anna**. *Soviet Women in Combat: A History of Violence on the Eastern Front*. Cambridge: Cambridge University Press, 2010.

122. **Lapidus, G. W**. *Women in Soviet Society*. Berkeley: University of California Press, 1978.

123. **Lapidus, Gail Warshofsky**. "Women in Soviet Society: Equality, Development, and Social Change." In *Stalinism*, edited by D. L. Hoffmann, 218. Oxford: Blackwell Publishing, 2003. https://doi.org/10.1002/9780470758380.ch9.

124. **Lee, Stephen J**. *Stalin, and the Soviet Union*. London: Routledge, 1999.

125. **Lewin, Moshe**. "Social Origins. Grappling with Stalinism." In *Stalinism*, edited by D. L. Hoffmann, 40. Oxford: Blackwell Publishing, 2003. https://doi.org/10.1002/9780470758380.ch1.

126. **Mandel, William M.** Soviet Women in the Work Force and Professions. *American Behavioral Scientist.* (Berkeley, California, 1971): 255-279.

127. **Markwick, Roger D**. "'A Sacred Duty': Red Army Women Veterans Remembering the Great Fatherland War, 1941-1945." *Australian Journal of Politics and History* 54 no. 3 (2008):403-20.

128. **Markwick, Roger D**. "The Motherland Calls: Soviet Women in the Great Patriotic War: *1941-1945.* in *Women and Gender in Twentieth Century Russia*, edited by Melanie Ilic. 219-237. Palgrave Macmillan, 2008.

129. **Markwick, Roger D. and Cardona, Euridice Charon**. *Soviet Women on the Frontline in the Second World War*. New York: Palgrave Macmillan, 2012.

130. **Mohanty, Chandra**. "Cartographies of Struggle: Third World Women and the Politics of Feminism." In Third *World Women and the Politics of Feminism*, ed. by Mohanty C., Russo A., Torres L,. Bloomington: Indiana University Press, 1991: 1-47.

131. **Mukhina, Irina and Denisova, Liubov**, Edit., *Rural Women in the Soviet Union and Post-Soviet Russia.* London and New York: Routledge, 2010.

132. **Nakachi, M**. *Replacing the dead: The Politics of Reproduction in the Postwar Soviet Union.* Oxford University Press: New York, 2021.

133. **Nakachi, Mie.** "A postwar sexual liberation?", Cahiers du monde russe [En ligne], 52/2-3 | 2011, mis en ligne le 12 septembre 2014, consulté le 23 octobre 2024. http://journals.openedition.org/monderusse/9345

134. **Ofer, Gur. Vinokur, Aaron**. Work and Family Roles of Soviet Women: Historical Trends and Cross-Section Analysis. *Journal of Labor Economics*. 3 (1) (1985): 328-354.

135. **Ortner, Sherry B**. "Is Female to Male as Nature Is to Culture?" In *Woman, Culture, and Society*, edited by M. Z. Rosaldo and L. Lamphere, 68–87. Stanford, CA: Stanford University Press, 1974.

136. **Pavia-Logan, Madison.** *The Motherland Calls: the portrayal of women in war posters during the Great Patriotic War, 1941-1945.* Thesis. (unpublished), 2017.

137. **Pennington, Reina**. „Offensive Women: Women in Combat in the Red Army in the Second World War". *The Journal of Military History*; Lexington 74, no 3 (Jul 2010): 775-820.

138. **Petrone, K.** "Soviet Women's Voices in the Stalin Era". *Journal of Women's History* 16, no. 2 (2004): 197-208. https://doi.org/10.1353/jowh.2004.0049.

139. **Pipes, Richard**. *A concise history of the Russian Revolution*. New York: Vintage books, 1995.

140. **Pisch, Anita**. Stalin Saves the World - Stalin and the evolution of the Warrior and Saviour archetype in the book "*The personality cult of Stalin in Soviet posters*, 1929-1953". Australian National Press, 2016.

141. **Randall, Amy E**. "Abortion Will Deprive You of Happiness!': Soviet Reproductive Politics in the Post-Stalin Era." *Journal of Women's History* 23, no. 3 (2011):13-38.

142. **Reyes, M.** „Experiences of Soviet Women Combatants During World War II ". *History Thesis*, 2017. https://digitalcommons.buffalostate.edu/history_theses/41

143. **Reid, Susan E.** "All Stalin's Women: Gender and Power in Soviet Art of the 1930s." *Slavic Review* 57, no. 1 (1998): 152. https://doi.org/10.2307/2502056.

144. **Ripa, Cesare**. Iconologia, or, Moral emblems. London, 1709.

145. **Ronald Grigor Suny**. "Stalin and his Stalinism: Power and Authority in the Soviet Union, 1930–1953" In Stalinism, edited by D.L. Hoffmann. Blackwell Publishing, 2003. https://doi.org/10.1002/9780470758380.ch1

146. **Ruthchild, R.** Sisterhood and Socialism: The Soviet Feminist Movement. *A Journal of Women Studies.* N 7(2), (1983):4-12. https://doi.org/10.2307/3346279

147. **Sacks, Michael Paul**. *Women's Work in Soviet Russia: Continuity in the Midst of Change*. New York: Praeger, 1976.

148. **Saktaganova, Z.** Historiographical review of the problem "woman of the USSR in the great patriotic war – hero or victim?". Utopía y Praxis Latinoamericana, Universidad del Zulia, Venezuela 5(5), (2020): 279-287. https://doi.org/10.5281/zenodo.3984253

149. **Sandrine, Kott. Francoise, Thebaud. "**real socialism" and the challenge of Gender. CLO *Women, Gender, History* N41 (2015): 7-20. https://doi.org/10.4000/cliowgh.859

150. **Schuster, Alice**. Women's role in the Soviet Union: Ideology and Reality. *The Russian Review*, 30 (3), Jul 1971: 260-267.

151. **Scott, Joan W**. "Gender: A Useful Category of Historical Analysis." The American Historical Review 91, no. 5 (1986): 1053–1075. **https://doi.org/10.2307/1864376.**

152. **Shulman, Elena.** *Stalinism on the Frontier of Empire*. New York: Cambridge University Press, 2008.

153. **Starks, Tricia**. *Body Soviet: Propaganda, Hygiene, and the Revolutionary State*. Body Soviet: Propaganda, Hygiene, and the Revolutionary State. University of Wisconsin Press, 2008. DOI:10.1080/19409419.2009.10756745.

154. **Stites, Richard.** *The Women's Liberation Movement in Russia: Feminism, Nihilsm, and Bolshevism, 1860-1930 - Expanded Edition.* Princeton, NJ: Princeton University Press, 1990. https://doi.org/10.2307/j.ctv1m5922h.

155. **Trotsky, Leon**. *Women and the Family*. New York: Pathfinder Press. 1970.

156. **Trotsky, Leon**. The Permanent Revolution and Results and Prospects, New Park Publications, 1975.

157. **Usborne, C.** Female Sexual Desire and Male Honor: German Women's Illicit Love Affairs with Prisoners of War during the Second World War. *Journal of the history of Sexuality. Journal of the History of Sexuality* 26, no. 3 (2017): 467. http://www.jstor.org/stable/44862407 [ბოლო ვიზიტი 10/01/2025].

158. **Usha, K.B.** „Political Empowerment of Women in Soviet Union and Russia: Ideology and Implementation:*International Studies* 42, no. 2 (2005): 141-165. https://doi.org/10.1177/002088170404200203

159. **Waters, Elizabeth.** "The Female Form in Soviet Political Iconography, 1917–1932." In *Russia's Women: Accommodation, Resistance, Transformation*, edited by Barbara Evans Clements, Barbara Alpern Engel, and Christine D. Worobec, 226. Berkeley: University of California Press, 1991. https://doi.org/10.1525/9780520910195.

160. ***Women's Everyday Lives in War and Peace in the South Caucasus***, edited by Ulrike Ziemer. Cham: Palgrave Macmillan, 2020.

161. **Wood, Elizabeth**. *The Baba and the Comrade: Gender and Politics in Revolutionary Russia.* Bloomington, IN: Indiana University Press, 1997.

162. **Ziemer, U.** *Women's everyday lives in war and peace in the South Caucasus*. Palgrave Macmillan. Winchester, UK, 2020. https://doi.org/10.1007/978-3-030-25517-6

163. **Лидов, П.** «Таня». *Правда*, 27 января 1942 г. Любиимов, С. «Мы не забудем тебя, Таня!». *Комсомольская правда*, 27 января 1942 г.

164. **Хасбулатова, Ольга А.** Обзор опыта советской государственной политики в отношениях женщин. Санкт-Петербург: Алетейя, 2003. ȣ. 397-422.

http://www.owl.ru/win/books/genderpolicy/khasbulatova1.htm [ბოლო ვიზიტი 19.02.2025].

პერიოდული პრესის მასალები:

165. **"დავძაბოთ მთელი ჩვენი შემოქმედებითი ენერგია".** *გაზეთი ლიტერატურული საქართველო* N48 (207) (1941 წლის 28 ნოემბერი): 1-2.

166. **"ფაშიზმის სამყაროში".** *მნათობი* N6-7 (1941 წლის ივნისი-ივლისი): 212-222.

167. **"ქალთა საერთაშორისო დღე ".** *გაზეთი კომუნისტი* N49 (6993) (1944 წლის 8 მარტი): 1-4.

168. **„აბორტის აკრძალვის და დედათა დახმარების გაზრდის პროექტი".** გაზ. „პრავდა". N143 (6749), (1936 წლის 26 მაისი): 1.

169. **„გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს ქალთა ერთიან ანტიფაშისტურ ფრონტს!".** *გაზეთი კომუნისტი* N214 (6219) (1941 წლის 10 სექტემბერი): 1-4.

170. **„თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ი. ბ. სტალინის გამოსვლა რადიოთი".** *გაზეთი ლიტერატურული საქართველო* N27 (186). (1941 წლის 4 ივლისი): 1-2.

171. **„თბილი ტანსაცმელი მამაც წითელარმიელებს".** *გაზეთი კომუნისტი* N215 (6220) (1941 წლის 11 სექტემბერი): 1-4.

172. **„კაცი, ქალი თუ პატარა".** *გაზეთი ლიტერატურული საქართველო.* N30 (189). (1941 წლის 25 ივლისი): 1-2.

173. **იგ. იმედაძე.** კოლმეურნეები იხილავენ კანონპროექტს. *გაზეთი კომუნისტი.* N130 (4589). (1936 წლის 06 ივნისი): გვ. 3.

174. **„მთელი მსოფლიოს ქალებისადმი".** *გაზეთი კომუნისტი* N111 (6427) (1942 წლის 13 მაისი): 1-4.

175. **„მთელი მსოფლიოს ქალებს".** *გაზეთი კომუნისტი* N213 (6218). (1941 წლის 9 სექტემბერი): 1-4.

176. **„მტერი უკუქცეული იქნება".** *გაზეთი ლიტერატურული საქართველო* N44 (203). (1941 31 ოქტომბერი): 1-2.

177. „მწერლობა სამამულო ომის სამსახურში“. *გაზეთი ლიტერატურული საქართველო.* N30 (189). (1941 წლის 25 ივლისი): 1-2.

178. „საბჭოთა მწერალი - პოლიტიკური აგიტატორი“. *ლიტერატურული საქართველო* N39 (198). (1941 წლის 26 სექტემბერი): 1-2.

179. „საბჭოთა პატრიორი ქალი“. *გაზეთი ლიტერატურული საქართველო.* N6 (217). (1942 წლის 8 თებერვალი): 1-2.

180. „საბჭოთა პატრიოტი ქალების წმინდა მოვალეობა“. *გაზეთი კომუნისტი* N212 (6217). (1941 წლის 7 სექტემბერი): 1-4.

181. „საბჭოთა ქალი დიდი ძალაა“. *გაზეთი კომუნისტი* N239 (6244) (1941 წლის 9 ოქტომბერი): 1-4.

182. „საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან ქალთა საერთაშორისო დღის - 8 მარტის შესახებ. *გაზეთი კომუნისტი* N49 (6993) (1944 წლის 8 მარტი): 1-4.

183. „სტალინი ჩვენი გამარჯვების დროშაა“. *გაზეთი ლიტერატურული საქართველო.* N31 (190) (1941 წლის 1 აგვისტო): 1-2.

184. „სტალინური კონსტიტუციის დროშა მიუძღვის წინ საბჭოთა მებრძოლებს“. *გაზეთი „ლიტერატურული საქართველო “*N43(254) (1941 წლის 24 ოქტომბერი): 1-2.

185. „ფრონტისა და ზურგის გმირი ქალები“. *გაზეთი ლიტერატურული საქართველო.* N11 (222) (1942 წლის 15 მარტი): 1-2.

186. „შრომის ფრონტი და ჩვენი ამოცანები“. *გაზეთი ლიტერატურული საქართველო* N37 (196) (1941 წ 12 სექტემბერი): 1-2.

187. „წინ ჩვენი გამარჯვებისთვის!“. *გაზეთი ლიტერატურული საქართველო* N28 (187). (1941 წლის 10 ივლისი): 1-2.

188. Stalin's pronouncement on female 'heroes of labour' appears (with no heading) in Rabotnitsa, no. 4, (1938): 22.

189. აბაშელი, ალექსანდრე. „ლენინგრადი“, *მნათობი* N2 (1943 წლის თებერვალი): 13.

190. აბაშელი, ალექსანდრე. „წითელ არმიას“, *მნათობი* N2-3 (1945 წლის თებერვალი-მარტი): 6.

191. **აბაშელი, ალექსანდრე.** „წითელი ყვავილები“, *მნათობი* N11-12 (1943 წლის ნოემბერი-დეკემბერი): 21.

192. **აბაშიძე, გრიგოლ** „ფრონტის მეგობარი“. *გაზეთი ლიტერატურული საქართველო* N27 (186) (1941 წლის 04 ივლისი): 1- 2.

193. **ადამია, ალიო.** „ყირიმში გასაგზავნი წერილი“, *მნათობი* N5 (1942 წლის მაისი): 61.

194. **ავალიანი, ლადო**. “კიროვის პორტრეტი”, *მნათობი* N11-12 (1943 წლის ნოემბერი-დეკემბერი): 22.

195. **ავალიანი, ლადო.** „სიდუ“, *მნათობი* N12 (1944 წლის დეკემბერი):42-50.

196. **ავალიანი, ლადო.** „სტუმარ-მასპინძელი“, *მნათობი* N1 (1942 წლის იანვარი):101-111.

197. **ალექსიძე, ალ.** „ვებრძოლოთ ფარულ აბორტს“, *გაზეთი კომუნისტი* N93 (4552), (1936 წლის 22 აპრილი): გვ. 3.

198. **აფხაიძე, შალვა.** „წერილი დედას“, *მნათობი* N11-12 (1943 წლის ნოემბერი-დეკემბერი): 35.

199. **ბაგრატიონი, ვ.პ.** „უშიშარი სარდალი“, *მნათობი* N6-7 (1941 წლის ივნისი-ივლისი): 164-170.

200. **ბალიაური, ლადო.** „ქალი გრიგალში“, *მნათობი* N2 (1942 წლის თებერვალი): 40-48.

201. **ბარამიძე, ალექსანდრე. „**პატრიოტიული მოტივები ძველ-ქართულ პოეზიაში“. *გაზეთი ლიტერატურული საქართველო* N23 (234) (1942 წლის 6 ივნისი): 1-2.

202. **ბარბაქაძე, თათია.** „იდეოლოგია, გენდერი და პროპაგანდა. ქალის გამოსახულება მეორე მსოფლიო ომის პლაკატებზე“. ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისი, 2020): 1-48. https://feminism-boell.org/ka/2021/01/15/ideologia-genderi-da-propaganda [ბოლო ვიზიტი 09.10.2024].

203. **ბელიაშვილი, აკაკი.** „მორიელები“, *გაზეთი ლიტერატურული საქართველო* N22 (233) (1942 წლის 30 მაისი): 1-2.

204. **ბელიაშვილი, აკაკი.** „ქორწილი სოფელში“, *გაზეთი ლიტერატურული საქართველო* N24 (300) (1943 წლის 26 სექტემბერი): 1-2.

205. **ზერაია, აია.** ქალთა შრომა და სექსუალობა ქართულ საბჭოთა *სოფელში. ხმა ქართველი ქალისა,* ტომ. 2 (2018): 1-27.

206. **ბობოხიძე, კალე.** „მტარვალი“, *მნათობი* N12 (1941 წლის დეკემბერი):95.

207. **ბობოხიძე, კალე.** „ინჯას წერილი პოლიტხელ შამილისადმი“. *გაზეთი ლიტერატურული საქართველო* N43(202) (1941 წ. 24 ოქტომბერი): 1-2.

208. **ბობოხიძე, კალე.** „სახალხო ლაშქარი“, *გაზეთი ლიტერატურული საქართველო* N31 (190) (1941 წლის 1 აგვისტო): 1-2.

209. **გაბესკირია, ვიქტორ.** „ავადმყოფი“, *მნათობი* N7 (1943 წლის ივლისი): 13.

210. **გაბესკირია, ვიქტორ.** „მართა“, *მნათობი* N11 (1944 წლის ნოემბერი): 30.

211. **გაბესკირია, ვიქტორ.** „მოხუცი ცოლ-ქმარი“, *მნათობი* N12 (1944 წლის დეკემბერი): 27.

212. **გაბესკირია, ვიქტორ**. „წარსულში“, *მნათობი* N 7-8 (1944 წლის ივლისი აგვისტო): 13.

213. **გარიყული, მარიამ.** „დედისერთა“, *მნათობი* N6 (1942 წლის ივნისი): 49-56.

214. **გარიყული, მარიამ.** „შემთხვევა“, *მნათობი* N 9 (1941 წლის სექტემბერი): 28-36.

215. **გაჩეჩილაძე, დავით.** „ოცნება გმირზე“, *გაზეთი ლიტერატურული საქართველო* N41 (200) (1941 წლის 10 ოქტომბერი): 1-2.

216. **გაჩეჩილაძე, მარიამ.** „1958 წელს მოსკოვში ჩატარებული ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის აფიშები და მათი როლი ქართული სარეკლამო ხელოვნების შემდგომ განვითარებაში“, *ქართული ხელოვნება* https://www.georgianart.ge [ბოლო ვიზიტი 09.10.2024.]

217. **გეწაძე, აკაკი**. „გმირის სიკვდილი“, *მნათობი* N3 (1944 წლის მარტი): 34.

218. **გვენეტაძე, რაჟდენ.** „უკანასკნელი ღამე“, *გაზეთი ლიტერატურული საქართველო* N47 (206) (1941 წლის 21 ნოემბერი): 1-2.

219. **გვეტაძე, რაჟდენ.** „ყინულის ქანდაკება“, *მნათობი* N1-2 (1944 წლის იანვარი-თებერვალი): 47-54.

220. **გივარგილიანი, დ.** „ქართველი გმირები“, *გაზეთი ლიტერატურული საქართველო* N34 (245) (1942 წლის 1 სექტემბერი): 1-2.

221. **გორგაძე, ვასო.** “პსკოვის შარაზე“, *მნათობი* N9 (1941 წლის სექტემბერი): 4.

222. **გრომოვი. მ.** “რა არის სიმამაცე”, *მნათობი* N6-7 (1941 ივნისი-ივლისი):171-175.

223. დადიანი, შალვა. „თამბაქო“, *მნათობი* N3 (1942 წლის მარტი):8-30.

224. დგებუაძე, ფუცუ. (1944). „ქალის გული“, *მნათობი* N11 (1944 წლის ნოემბერი): 38-81.

225. დევდარიანი, კლავდია. „დედა“, *მნათობი* N7-8 (1942 წლის ივლისი-აგვისტო): 154-157.

226. დევდარიანი. კლავდია. „ზარი“, *მნათობი* N3 (1944 წლის მარტი): 31-34.

227. დოლიძე, ნინო. „ზინინკა“, *მნათობი* N11-12 (1942 წლის ნოემბერი-დეკემბერი):137-143.

228. ერენბურგი, ილია. „ვინ არიან ისინი“, *გაზეთი ლიტერატურული საქართველო* N30 (189) (1941 წლის 25 ივლისი): 1-2.

229. ეული, სანდრო. „ამირანის ანდერძი“, *გაზეთი ლიტერატურული საქართველო* N32 (243) (1942 წლის 11 აგვისტო): 1-2.

230. ვარდოშვილი, ხარიტონ. „ლენინგრადს“, *მნათობი* N3 (1944 წლის ნოემბერი): 11.

231. ვასაძე, დ. „მთელი მსოფლიოს მოწინავე მწერლები გერმანიის ფაშისტი ბარბაროსების წინააღმდეგ“, *გაზეთი ლიტერატურული საქართველო* N28 (187). (1941 წ. 10 ივლისი): 1-2.

232. ვასილევსკაია, ვანდა. „ცისარტყელა“, *მნათობი* N10 (1942 წლის ოქტომბერი):45-82.

233. ვასილევსკაია, ვანდა. “ცისარტყელა“, *მნათობი N11-12* (1942 წლის ნოემბერი-დეკემბერი): 107-137.

234. ვინეგრადოვი. ა. და დეიჩი, ა. „შარა-გზის ყაჩაღი“, *გაზეთი ლიტერატურული საქართველო* N31 (190) (1941 წლის 01 აგვისტო): 1-2.

235. ვინსეიტოვიჩი, ო. „პირველი პარაშუტისტი ქალები საბჭოთა კავშირში“, 1934 წ. თბილისი. გვ 1. https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/211101 [ბოლო ვიზიტი 16.10.2024.]

236. თავაძე, სოლომონ. „კავკასიონის კარებთან“, *მნათობი* N11-12 (1943 წლის ნოემბერი-დეკემბერი): 76-113.

237. თავაძე, სოლომონ. „დედა“, *გაზეთი ლიტერატურული საქართველო* N30 (189) (1941 წლის 25 ივლისი): 1-2.

238. თავაძე, სოლომონ. „დედის გული“, *გაზეთი ლიტერატურული საქართველო* N33 (244) (1942 წლის 21 აგვისტო): 1-2.

239. თავაძე, სოლომონ. „სიცოცხლის სიტკბო“, *გაზეთი ლიტერატურული საქართველო* N23 (182), (1941 წლის 6 ივნისი): 1-2.

240. თავაძე, სოლომონ. „ფრონტელთა პორტრეტები“, *მნათობი N10* (1942 წლის ოქტომბერი):38-45.

241. თავაძე, სოლომონ. „ქართველ მეომრებთან“, *მნათობი* N9-10 (1944 წლის ოქტომბერი-ნოემბერი): 107-132.

242. თავაძე, სოლომონ. „შენ გაიმარჯვებ“, *გაზეთი ლიტერატურული საქართველო* N26 (185) (1941 წ. 27 ივნისი): 1-2.

243. თევზაძე, სანდრო. „მარადი ხსოვნა“, *მნათობი* N1-2 (1944 წლის იანვარი-თებერვალი): 121.

244. თიკანაძე, ივ. ცაგარელი, გ. ედიბერიძე. ა. „სპეციალისტები კანონპროექტის შესახებ“, *გაზეთი კომუნისტი* N136 (4595) (1936 წლის 14 ივნისი): გვ. 1-4.

245. თიკანაძე, ივ. „აბორტის მავნებლობა“, *გაზეთი კომუნისტი* N20 (4479), (1936 წლის 26 იანვარი): გვ. 1-4.

246. თომაშვილი, დომენტი. „მინაწერი“. *მნათობი* N1-2 (1944 წლის იანვარი თებერვალი): 22.

247. ირემაძე, ქეთევან. „კოცონზე“, *გაზეთი ლიტერატურული საქართველო* N7 (283) (1943 წ 12 მარტი): 1-2.

248. ისინია, სევერიან. „ნახვამდის“, *გაზეთი ლიტერატურული საქართველო* N18 (294) (1943 წლის 30 ივლისი): 1-2.

249. კალანდაძე, ლავროსი. „სამამულო ომი და ქართული საბჭოთა პოეზია“, მნათობი N2 (1942 წლის თებერვალი): 119-133.

250. კაჭახიძე, გიორგი. „სამამულო ომში დაღუპული გმირებისადმი“, მნათობი N10 (1941 წლის ოქტომბერი): 38-40.

251. კეშელავა, ბონდო. „შვილობილი“, *მნათობი* N4-5. (1944 წლის აპრილი-მაისი): 74.

252. კლდიაშვილი, სერგო. „გორგასლანის თასი“, *მნათობი* N2-3 (1945 წლის თებერვალი-მარტი): 10-16.

253. კლდიაშვილი, სერგო. „ერისთავი ცოტნე“, *გაზეთი ლიტერატურული საქართველო* N4 (260). (1943 წლის 10 თებერვალი): 1-2.

254. კლდიაშვილი, სერგო. „ომის კანონი“, *გაზეთი ლიტერატურული საქართველო* N43 (202) (1941 წ. 24 ოქტომბერი): 1-2.

255. კლდიაშვილი, სერგო. „ფანტასმაგორი“, *მნათობი* N6 (1944 წლის ივნისი): 28-32.

256. კორნეიჩუკი, ალექსანდრე. „ფრონტი“, *მნათობი* N1 (1943 წლის იანვარი): 94-114.

257. ლევიტინა, სოფია. „პატარა ქალი“, *გაზეთი ლიტერატურული საქართველო* N13 (224) (1942 წლის 29 მარტი):1-2.

258. ლისაშვილი, იაკინთე. „პარტიზანები“, *მნათობი* N1 (1942 წლის იანვარი): 37-47.

259. ლისაშვილი, იაკინთე. „შერმადინი“, *მნათობი* N3 (1944 წლის მარტი): 13-30.

260. ლოლუა, ანა. *ქალთა რეპრეზენტაცია დიდი სამამულო ომისადმი მიძღვნილ გამოფენებში.* ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, 2021. https://feminism-boell.org/ka/2021/01/26/kalta-reprezentatsia-didi-samamulo-omisadmi-midzghvnil-gamopenebshi [ბოლოს ვიზიტი 09.11.2024.]

261. მანველიშვილი, ნანი. „ქალის სტატუსის ცვლილება სტალინის მმართველობის დროს საქართველოსა და საბჭოთა კავშირში (1922-1935 წლები)“, თბილისი, 2017.

262. მარგიანი, რევაზ. „ფრონტელის დღიურიდან“, *მნათობი* N11 (1944 წლის ნოემბერი): 34-38.

263. მარგიანი, რევაზ. „ფრონტელის დღიურიდან“, *მნათობი* N12 (1944 წლის დეკემბერი): 37-40.

264. მაშაშვილი, ალიო. „მამა“, *მნათობი N2 (1942 წლის* თებერვალი): 8-11.

265. მაშაშვილი, ალიო. „სიმღერა გამარჯვების“, *მნათობი* N6-7. (1941 წლის ივნისი-ივლისი): გვ. 17.

266. მეგრელიძე, ლ. „ქალი ცხოვრებასა და ლიტერატურაში”. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის არქივი (თარიღი უცნობია).

267. მიქავა, ნ. „კომისარი“, *მნათობი* N9 (1942 წლის სექტემბერი): 74-78.

268. მოლოტოვი, ვ. „სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის“... *მნათობი* N6-7 (1941 წლის ივნისი-ივლისი): 5-6.

269. მოსაშვილი, ილო, ლორთქიფანიძე, კონსტანტინე. „ერთხელ, ღამით“, *მნათობი* N6-7 (1941 წლის ივნისი-ივლისი): 23-35.

270. მრევლიშვილი, მაყვალა. „დედას ღირსეულს“, *გაზეთი ლიტერატურული საქართველო* N3 (259) (1943 20 იანვარი): 1-2.

271. ნატროშვილი, გიორგი. “დასავლეთის ფრონტზე”, *მნათობი* N9-10 (1944 წლის სექტემბერი-ოქტომბერი): 6-14.

272. ნატროშვილი, გიორგი. “ფურცლები საფრონტო დღიურიდან”, *მნათობი* N7 (1943 წლის ივლისი): 15-21.

273. ნონეშვილი, იოსებ. „ოთხი ძმა“, *გაზეთი ლიტერატურული საქართველო* N7 (218) (1942 15 თებერვალი): 1-2.

274. ორბელიანი, ელისაბედ. „თამარ მეფე და მისი მგოსანი“, *მნათობი* N11-12 (1942 წლის ნოემბერი-დეკემბერი): 143.

275. პოლუმორდინოვი, ელიზბარ. „მე ის მოვკალი“, *მნათობი* N2 (1942 წლის თებერვალი): 70-77.

276. რეხვიაშვილი, ჯიმშერ. „გასეირნება საბჭოთა ლექსიკისა და ტერმინოლოგიის სასაფლაოზე“. *რადიო თავისუფლება.* (2021 წლის 24 დეკემბერი). https://www.radiotavisupleba.ge [ბოლო ვიზიტი 16.10.24].

277. რუხაძე, ტრიფონ. „რუსეთის პირველი სამამულო ომი და მასში მონაწილე ქართველები“, *გაზეთი ლიტერატურული საქართველო* N48 (207). (1941 წ 28 ნოემბერი): 1-2.

278. სიმონოვი, პ. „იშვიათი შემთხვევა“, *გაზეთი ლიტერატურული საქართველო* N44 (203) (1941 წ. 31 ოქტომბერი): 1-2.

279. სიმონოვი, პ. „მარინა ლახნო“, *გაზეთი ლიტერატურული საქართველო* N47 (206) (1941 წ 21 ნოემბერი): 1-2.

280. სიმონოვი, პავლე. „მეზღვაურის დედა“, *მნათობი* N9 *(1942 წლის* სექტემბერი):78-85.

281. სობოლევი, ლეონიდ. „საცოლე“, *გაზეთი ლიტერატურული საქართველო* N29 (240) (1942 წლის 17 ივლისი): 1-2.

282. სტალინი, ი.ბ. „თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენება მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს ქ. მოსკოვის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა 1943 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე.“ მნათობი N11-12 (1943 წლის ნოემბერი-დეკემბერი): 5-16.

283. სტალინი, ი.ბ. „ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა“, *მნათობი* N 4-5 (1943 წლის აპრილი-მაისი): 3-7.

284. სტალინი, ი.ბ. „ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა“, *მნათობი* N11-12 (1943 წლის ნოემბერი-დეკემბერი):17-21.

285. სტალინი, ი.ბ. „ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა“, *მნათობი* N1-2 (1944 წლის იანვარი-თებერვალი): 3-7.

286. სტალინი, ი.ბ. „ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა“, *მნათობი* N2 (1943 წლის თებერვალი): 3-9.

287. სტალინი, ი.ბ. „ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა“, *მნათობი* N4-5 (1944 წლის აპრილი-მაისი): 3-7.

288. სტალინი, ი.ბ. „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავი“, *მნათობი* N11 (1944 წლის ნოემბერი): 3-13.

289. სტალინი, იოსებ. „თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თამჯდომარის ი.ბ. სტალინის გამოსვლა რადიოთი 1941 წლის 3 ივლისს“, *მნათობი* N6-7 (1941 წლის ივნისი-ივლისი): 10.

290. ტაბიძე, მაია. წარსულის რეპრეზენტაცია ქართულ ფემინისტურ ნააზრევში. ხმა ქართველი ქალისა N1 (2017 წლის 03 აპრილი). https://womensvoice.tsu.ge/index.php/WOM/article/view/1796. [ბოლო ვიზიტი 17.11.2024].

291. ტიხონოვი, ნიკ. „მძულვარება“, *მნათობი* N4-5(1944 წლის აპრილი-მაისი): 24-29.

292. ქორქია, როდიონ. „სიზმარშიც კი“, *გაზეთი ლიტერატურული საქართველო* N34(245) (1942 წლის 01 სექტ.): 1-2.

293. ქორქია, როდიონ. „შვილი“, *გაზეთი ლიტერატურული საქართველო* N25 (236) (1942 წლის 19 ივნისი): 1-2.

294. ქუჩიშვილი, გიორგი. „უკრაინისთვის“, *მნათობი* N6 (1942 წლის ივნისი): 27-31.

295. ქუჩიშვილი, გიორგი. „ცხრანი“, *მნათობი* N5 (1943 წლის მაისი): 5.

296. ღამბარაშვილი, გ. „აბორტის მნიშვნელობა“, *გაზეთი კომუნისტი* N90 (4549), (1936 წლის 18 აპრილი): გვ. 1-4.

297. შანშიაშვილი, ს. „შენიშვნები კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“ გამო“, *მნათობი* N6 (1944 წლის ივნისი): 112-131.

298. შატბერდაშვილი, გიორგი. „ერეკლე მეფის ანდერძი“, *მნათობი* N 3 (1944 წლის მარტი): 30

299. შენგელაია, დემნა. „მეოთხე ძმა“, *მნათობი* N8 (1941 წლის აგვისტო):7-18.

300. შენგელაია, დემნა. „გმირი“, *გაზეთი ლიტერატურული საქართველო* N31 (190) (1941 წლის 1 აგვისტო): 1-2.

301. ჩაჩიბაია, არჩილ. „მე ისევ შევცქერი მზეს“, *მნათობი* N4-5 (1943 წლის აპრილი-მაისი): 24-41.

302. ჩაჩიბაია, არჩილ. „მხედარი“, *მნათობი* N3 (1943 წლის მარტი):10-21.

303. ჩაჩიბაია, არჩილ. „შეხვედრა“, *მნათობი* N1 (1943 წლის იანვარი): 50-63.

304. ჩაჩიბაია, არჩილ. „ძვლები“, *გაზეთი ლიტერატურული საქართველო* N33 (244) (1942 წლის 21 აგვისტო): 1-2.

305. ჩაჩიბაია, არჩილ.“ ჰაშიმბაის სიმღერა“, *მნათობი* N9 (1943 წლის სექტემბერი): 9-32.

306. ჩიქოვანი, გრიგოლ. „დაბრუნება“, *მნათობი* N8 (1943 წლის აგვისტო): 8-33.

307. ჩიქოვანი, გრიგოლ. „მეორედ შეხვედრა“, *მნათობი* N2 (1943 წლის თებერვალი):22-42.

308. ჩიქოვანი, სიმონ. ”ამანათი“, *მნათობი* N1 *(1942 წლის* იანვარი): 33.

309. ჩიქოვანი, სიმონ. „დედაჩემი“ *მნათობი* N11-12 (1943 წლის ნოემბერი-დეკემბერი): 28.

310. ჩიქოვანი, სიმონ. „დედის ძახილი“, *გაზეთი ლიტერატურული საქართველო* N29 (240) (1942 წ.17 ივლისი): 1-2.

311. **ჩიქოვანი, სიმონ.** „ქართველი დედა“, *გაზეთი ლიტერატურული საქართველო* N29 (240) (1942 წ.17 ივლისი): 1-2.

312. **ჩხეიძე, ოთარ.** „გერი“, *მნათობი* N1 (1943 წლის იანვარი): 66-71.

313. **ცაგარელი, გიორგი**. „დონაურის ხმალი“, *მნათობი* N2 (1943 წლის თებერვალი): 72-86.

314. **ცოფურაშვილი, სალომე.** „ქალთა რეპრეზენტაციის მოდიფიკაცია 1920–იანი წლების ქართულ საბჭოთა მუნჯ ფილმებში - ორიენტალიზაცია, აგენტობა და კლასი. ავტორეფერატი. 2016. გამოუქვეყნებელი.

315. **ცქიფურიშვილი, ნინო.** ზურგის დიასახლისები. ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, 2021. https://feminism-boell.org/ka/2021/01/12/zurgis-diasakhlisebi [ბოლო ვიზიტი 09.11.2024.]

316. **ცქიფურიშვილი, ნინო. მუშკუდიანი, ლანა.** „8 მარტის გაშუქება ქალთა ჟურნალებში“. *ხმა ქართველი ქალისა* 2 (2021):1-24. https://doi.org/10.48614/vgw.2.2018.2501

317. **ცხადაძე, თამარ.** ანტიფემინიზმი: უმეცრება, უპასუხისმგებლობა თუ ბრძოლა პრივილეგიების შენარჩუნებისთვის? *ვის ეშინია ფემინიზმის საქართველოში.* ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი, (2013):11-25. DOI: 978-9941-0-6197-4.

318. **წვერავა, სიმონ.** „ზღვისპირული ქარი“, *მნათობი* N7-8 (1942 წლის ივლისი-აგვისტო): 136-154.

319. **ხიმშიაშვილი, კოტე.** „ნახტომი ღამეში“, *გაზეთი ლიტერატურული საქართველო* N15 (174). (1941 11 აპრილი): 1-2.

320. **ჯატიევი, ტ**. „პოეტი მეომარი“, *გაზეთი ლიტერატურული საქართველო* N26 (185) (1941 წლის 27 ივნისი): 1-2.

321. **ჯიბლაძე, გიორგი.** „გერმანიის მილიტარიზმის კრიტიკა ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკაში“, *მნათობი* N1 (1943 წლის იანვარი): 116-141.

322. “**Материнство – это особенное чувство, оно прекрасно**!”. *Работница*, №17, (1936): 1-5.

დანართი

1. ცხრილი N1.1. სსცა, ფ.600, აღწ. 1. N4520 და N4521 საქმის მასალები მრავალშვილიანი დედების შესახებ

	სახელი/გვარი	რაიონი	შვილების რაოდენობა	გამოყოფილი თანხა წელიწადში	დახმარების ამოწურვის ვადა
1	**ბარბაქაძე ოლღა**	**ორჯონიკიძე**	**7**	**2000 მანეთი**	**1937 წლის ივლისამდე**
2	ციკარაშვილი აგრაფინა	ორჯონიკიძე	7	2000 მანეთი	1937 წლის ივნისამდე.
3	კურტანიძე ნატალია	ორჯონიკიძე	8	2000 მანეთი	1938 წლის 22 ივნისამდე და შემდეგ, წლიურად ორი ათასი მანეთი 1941 წლის 27 ივლისამდე
4	გრიგალაშვილი ეკატერინე	ორჯონიკიძე	7	2000 მანეთი	1939 წლის 27 დეკემბრამდე.
5	გრიგალაშვილი ნინო,	ორჯონიკიძე	7	2000 მანეთი	1940 წლის 12 ოქტომბრამდე.
6	გრიგალაშვილი მარ	ორჯონიკიძე	7	2000 მანეთი	1940 წლის 15 მაისამდ
7	გრიგალაშვილი ვერა,	ორჯონიკიძე	7	2000 მანეთი	1940 წლის 10 აგვისტომდე
8	ტაბატაძე ლიდა	ორჯონიკიძე	7	2000 მანეთი	1940 წლის 30 აგვისტომდე
9	ლურსმანაშვილი ნინო	ორჯონიკიძე	7	2000 მანეთი	1940 წლის 7 თებერვლამდე.
10	ტაბატაძე თებრონე,	ორჯონიკიძე	7	2000 მანეთი	1940 წლის 21 აგვისტომდე.
11	შუბითიძე ტასო,	ორჯონიკიძე	7	2000 მანეთი	1938 წლის 16 ივნისამდე.

12	იჩქიტაძე ნინო,	ორჯონიკიძე	7	2000 მანეთი	1941 წლის 25 მაისამდე.
13	ნადარეიშვილი ანეა	აბაშა	9	2000 მანეთი	1936 წლის 13-მდე
14	გაბელაია ეკატერინა	აბაშა	7	2000 მანეთი	1941 წლის 20 მაისამდე
15	დონია ნინო	აბაშა	7	2000 მანეთი	1943 წლის 25 ოქტომბრამდე
16	ვარამაშვილი ოლღა	გურჯაანი	8	4000 მანეთი	1937 წლის 1 ივლისი და შემდეგ 2000 მანეთი 1939 წლის 1 მარტი
17	ბერკვაშვილი ელისო	გურჯაანი	7	2000 მანეთი	1939 წლის 15 დეკემბერი
18	ოთარაშვილი სოფიო	გურჯაანი	9	6000	1937 წლის 8 მარტამდე და შემდეგ წლიურად 4000 1939 წლის 1 იანვრამდე და 2000 მანეთი 1941 წლის 12 მარტამდე
19	დათუაშვილი სოფიო	გურჯაანი	7	2000 მანეთი	1939 წლის 20 იანვრამდე
20	კალანდაძე ელენთია	ჭიათურა	7	2000 მანეთი	1940 წლის 15 სექტემბრამდე
21	კაპანაძე მართა	ჭიათურა	7	2000 მანეთი	1941 წლის 10 იანვარი
22	ბუხრაშვილი მარია	ჭიათურა	7	2000 მანეთი	1941 წლის 10 ივნისამდე
23	გუგუნიშვილი ანეტა	ჭიათურა	7	2000 მანეთი	1940 წლის 15 ივნისამდე
24	ხვედელიძე სოფიო	ჭიათურა	7	2000 მანეთი	1936 წლის 9 სექტემბრამდე
25	ბოკოველი ევა	ჭიათურა	8	4000 მანეთი	1939 წლის 4 აპრილამდე და 2000 მანეთი 1941 წლის 25 მაისამდე
26	კავილაშვილი ელენეო	ჭიათურა	7	2000 მანეთი	1941 წლის 13 სექტემბრამდე

27	გაფრინადშვილი ქრისტინე	ჭიათურა	7	2000 მანეთი	1941 წლის 25 აგვისტომდე
28	მაჭარაშვილი ანეტა	ჭიათურა	7	2000 მანეთი	1940 წლის 7 სექტემბრამდე
29	გურული გაიანე	ჭიათურა	7	2000 მანეთი	1940 წლის 17 თებერვლამდე
30	ხვედელიძე ანეტა	ჭიათურა	7	2000 მანეთი	1939 წლის 28 იანვრამდე
31	სნესელი მარია	ჭიათურა	7	2000 მანეთი	1939 წლის 1 მაისამდე
32	დავითაშვილი მარია	ჭიათურა	7	2000 მანეთი	1941 წლის 12 აგვისტო
33	ბზიშვილი ბაბო	გორი	7	2000 მანეთი	1941 წლის 10 მაისამდე
34	ბარჯაძე ნინო	გორი	7	2000 მანეთი	1940 წლის 10 მაისამდე
35	გოლოგშვილი რუსუდან	გორი	7	2000 მანეთი	1940 წლის 9 ივნისამდე
36	ვანიშვილი ელენე	გორი	7	2000 მანეთი	1940 წლის 10 თებერვლამდე
37	მატალაშვილი ესთერ	ხაშური	7	2000 მანეთი	1941 წლის 19მარტამდე
38	ქურდაძე მარია	ხაშური	7	2000 მანეთი	1939 წლის 1 ივლისამდე
39	მიბეილაშვილი ნაკომი	ხაშური	7	2000 მანეთი	1939 წლის 17 სექტემბრადმე
40	ჩადუნელი მატრონა	ხაშური	7	2000 მანეთი	1938 წლის 15 აპრილამდე
41	ლაცაბიძე ანა	ხაშური	7	2000 მანეთი	1941 წლის 13 აგვისტომდე
42	გუგუშვილი ანა	აბაშა	7	2000 მანეთი	1940 წლის 4 დეკემ ბრამდე
43	გრიგოლია პელაგია	აბაშა	8	2000 მანეთი	1940 წლის 22 იანვრამდე
44	გვაბავა ეკატერინე	აბაშა	9	2000 მანეთი	1937 წლის 20 თებერვლამდე
45	ნადირაძე ლიუბა	ჭიათურა	7	2000 მანეთი	1938 წლის 24

					იანვრამდე
46	ასანიძე დარია	ჭიათურა	8	4000 მანეთი	1937 წლის 10 ოქტომბრადმე და შემდეგ წლიურად 2000 მანეთი 1940 წლის 25 ნოემბრამდე
47	კაკიაშვილი ლიუბოვ	ჭიათურა	8	4000 მანეთი	1939 წლის 25 თებერვლამდე, 2000 მანეთი 1941 წლის 10 მარტამდე.
48	გაბაძე კლავდია	ჭიათურა	7	2000 მანეთი	1938 წლის 12 სექტემბრამდე
49	ტყემალაძე ეკატერინე	ჭიათურა	7	2000 მანეთი	1937 წლის 22 აგვისტომდე
50	აბრამიშვილი კესარია	ჭიათურა	7	2000 მანეთი	1937 წლის 27 აპრილამდე
51	კირვალიძე ლეონინა	ჭიათურა	7	2000 მანეთი	1941 წლის 28 აგვისტომდე
52	ცუხიშვილი ეკატერინე	ჭიათურა	7	2000 მანეთი	1940 წლის 19 მაისამდე
53	ამირანაშვილი ანა	ტფილისის		2000 მანეთი	1940 წლის 2 ნოემბრამდე
54	მეთნულოვა სარა	ტფილისის		2000 მანეთი	1940 წლის 10 მარტამდე
55	ლოლაძე მარია	ტფილისის		2000 მანეთი	1940 წლის 3 ივნისამდე
56	ტრიოხგლაზოვა ანა	ტფილისის		2000 მანეთი	1939 წლის 9 ნოემბრამდე
57	სარადაშვილი მარია	ტფილისის		2000 მანეთი	1938 წლის 17 იანვრამდე
58	კოდელაშვილი პელო	ტფილისის		2000 მანეთი	1941 წლის 15 ივნისამდე
59	ფეიქრიშვილი სონა	ტფილისის		2000 მანეთი	1941 წლის 2 თებერვლამდე
60	ბოიაჯიან სირანუშ	ტფილისის		2000 მანეთი	1940 წლის 25 ოქტომბრამდე
61	როდნოვა ანა	ტფილისის		2000 მანეთი	1940 წლის 14

					თებერვლამდე
62	მაღალაშვილი ტასო	ტფილისის		2000 მანეთი	1941 წლის 20 იანვრამდე
63	მხითარიან გიული	ტფილისის		2000 მანეთი	1940 წლის 15 სექტემბრამდე
64	არუთნოვ ევგენია	ტფილისის		2000 მანეთი	1939 წლის 27 მარტამდე
65	ოგანოვა ფლორა	ტფილისის		2000 მანეთი	1940 წლის 5 ივნისამდე
66	მოსესიან სირანუშ	ტფილისის		2000 მანეთი	1940 წლის 9 სექტემბრამდე
67	კანდელაკი შაშე	ტფილისის		2000 მანეთი	1941 წლის 11 ივნისამდე
68	კაჭარავა გაიანე	ტფილისის		2000 მანეთი	1941 წლის 15 თებევრლადმე
69	ჩაჩავა ნადაჟდა	აბაშა		2000 მანეთი	1941 წლის 30 ივნისამდე
70	გადელია ევგენია	აბაშა		2000 მანეთი	1939 წლის 9 მარტამდე
71	ჭანტურია მარია	აბაშა		2000 მანეთი	1938 წლის 15 ივლისი
72	ჩიტეიშვილი თეოდოსია	აბაშა		2000 მანეთი	1940 წლის 18 თებერვლამდე
73	გოგიშვილი ეკატერინე	აბაშა		2000 მანეთი	1940 წლის 5 მაისამდე
74	ნოდია მარია	აბაშა		2000 მანეთი	1941 წლის 27 აგვისტომდე
75	ტერაბრამოვი ნინო	გორი		2000 მანეთი	1937 წლის 1 იანვრამდე
76	ნადირაძე ნინო	გორი		2000 მანეთი	1940 წლის 7 აპრილი
77	ათანელოვი ეთერი	გორი		2000 მანეთი	1937 წლის 3 სექტემბერი
78	ხუბულური დარია	გორი		2000 მანეთი	1941 წლის 25 თებერვლამდე
79	ბზიშვილი ანა	გორი		2000 მანეთი	1939 წლის 25 მარტამდე

80	კობახიძე მატრონა	ამბროლაური		2000 მანეთი	1940 წლის 22 მარტამდე
81	კობახიძე პეგასი	ამბროლაური		2000 მანეთი	1940 წლის 15 ნოემბრამდე
82	გეგეშიძე ოლღა	ამბროლაური		2000 მანეთი	1940 წლის 2 სექტემბრა,დე
83	კერესელიძე მარო	ამბროლაური		2000 მანეთი	1940 წლის 1 სექტემბრამდე
84	კერესელიძე ქრისტინე	ამბროლაური		2000 მანეთი	1941 წლის 2 აგვისტომდე
85	კობახიძე კესარია	აბაშა		4000 მანეთი	1936 წლის 20 ნოემბრამდე და 2000 მანეთი 1939 ლის 17 თებერვლამმდე
86	ლევიაშვილი ნინო	სამტრედია		4000 მანეთი	1938 წლის 15 აპრილამდე, და 2000 მანეთი 1940 წლის 10 მაისამდე.
87	მირალაშვილი მირო	სამტრედია		4000 მანეთი	1939 წლის 16 მაისამდე და 2000 მანეთი 1940 წლის 28 აგვისტომდე
88	ბურთელაშვილი ესთერ	სამტრედია		4000 მანეთი	1939 წლის 1 ივლისამდე და 2000 მანეთი 1941 წლის 1 აპრილამდე
89	მოძღვრიშვილი მაზი	სამტრედია		4000 მანეთი	1938 წლის 1 აპრილამდე და 2000 1941 წლის 15 თებერვლამდე
90	ბათაშვილი რივე	სამტრედია		4000 მანეთი	1939 წლის 18 მაისამდე, 2000 მანეთი 1941 წლის 30 მაისამდე.
91	შურვანიძე დესპინე	ლანჩხუთი	მეთორმეტე შვილზე	3000 მანეთი	1941 წლის 10 იანვრამდე
92	ლურსმანაშვილი აღათი	ხაშური		2000 მანეთი	1940 წლის 13 თებერვლამდე
93	ხაჩიძე თამარ	ხაშური		2000 მანეთი	1941 წლის 2 იანვრამდე

94	კროპაძე ანა	ხაშური		2000 მანეთი	1941 წლის 1 აპრილამდე
95	გელაშვილი დარია	ხაშური		2000 მანეთი	1941 წლის 2 მაისამდე
96	ჩიჩიაკ ტეიფურ	ახალციხე		2000 მანეთი	1940 წლის 3 დეკემბრმდე
97	მარალ აღალი	ახალციხე		2000 მანეთი	1940 წლის 27 ნოემბრამდე
98	რასო ყიზი პარი	ახალქალაქი		2000 მანეთი	1941 წლის 10 თებერვლამდე
99	კარამაზოვა ანა	ახალქალაქი		2000 მანეთი	1941 წლის 10 იანვრამდე
100	შუბითიძე ანეტა	ლაგოდეხი		2000 მანეთი	1941 წლის 28 იანვრამდე
101	შუბლაძე მართა	ლაგოდეხი		2000 მანეთი	1940 წლის 15 სექტემბრამდე
102	შუბლაძე მარია	ლაგოდეხი		2000 მანეთი	1941 წლის 2 იანვრამდე
103	ხარაიშვილი ელენე	ლაგოდეხი		2000 მანეთი	1941 წლის 17 მაისამდე
104	ბარბაქაძე ანა	ლაგოდეხი		2000 მანეთი	1941 წლის 15 იანვრამდე
105	გვათუა ეფროსინე	ცხაკაია		2000 მანეთი	1938 წლის 20 აგვისტომდე
106	გვასალია ოლღა	ცხაკაია		2000 მანეთი	1940 წლის 12 თებერვლამდე
107	ხოფერია ელენე	ცხაკაია		2000 მანეთი	1941 წლის 1 იანვრამდე
108	საშინავა თამარ	ცხაკაია		2000 მანეთი	1941 წლის 18 მაისამდე
109	ჩიქობავა ,არაა	ცხაკაია		2000 მანეთი	1941 წლის 29 მაისამდე
110	სირბილაძე ეკტარეინე	გორი		2000 მანეთი	1940 წლის 20 ივნისამდე
111	ლაგვილავა ძიბუ	ზუგდიდი		2000 მანეთი	1940 წლის 1 ივნისამდე
112	ბარბაქაძე ალექსადნრე	ორჯონიკიძე		2000 მანეთი	1940 წლის 5

					ივნისამდე
113	მარალ მაიმუტ ყიზი	ადიგენი		2000 მანეთი	1940 წლის 15 ვილისამდე
114	ალვაჩახ ყიზი	ადიგენი		2000 მანეთი	1939 წლის 15 ივნისამდე
115	ლიავუზე არიფ ყიზი	ადიგენი		2000 მანეთი	1910 წლის 17 ივლისამდე
116	იფერი იდრის ყიზი	ადიგენი		2000 მანეთი	1940 წლის 2 აგვისტომდე
117	აბალ მურად ყიზი	ადიგენი		2000 მანეთი	1940 წლის 7 დეკემბრამდე
118	ტიუკამბან ნიბი ყიზი	ლუქსემბრუგის		2000 მანეთი	1941 წლის 5 მაისამდე
119	მაიანა ნაბი	ლუქსემბრუგის		2000 მანეთი	1940 წლის 27 მაისამდე
120	პარუშან ისკანდერ ყიზი	ახალციხე		2000 მანეთი	1941 წლის 18 იანვრამდე
121	ალავიძე მარია	ახალციხე		2000 მანეთი	1941 წლის 25 თებვერლამდე
122	გილიუსტან ხალილ ყიზი	ახალციხე		2000 მანეთი	1939 წლის 25 ოქტომბრამდე
123	ბოლქვაძე მარია	ჩოხატაური		2000 მანეთი	1940 წლის 22 იანვრამდე
124	ქლაკიშვილი სიფორე	ქუთაისი		2000 მანეთი	1940 წლის 30 ივნისამდე
125	გორდაძე სოფიო	ქუთაისი		2000 მანეთი	1940 წლის 27 აპრილამდე
126	სანჩალოვა მატრონა	მანგლისი		2000 მანეთი	1940 წლის 9 მაისამდე
127	ეგოროვა თედოსია	მანგლისი		2000 მანეთი	1940 წლის 10 ნოემბრამდე
128	მაკიშვილი ნიკე	მანგლისი		2000 მანეთი	1940 წლის 1 ოქტომბრამდე
129	კემაშვილი ნინო	სიღნაღი		2000 მანეთი	1939 წლის 25 სექტემბრამდე
130	კოზაკიშვილი ანა	სიღნაღი		2000 მანეთი	1939 წლის 9 აგვისტომდე

131	ჯამაშვილი ელისაბედ	სიღნაღი		2000 მანეთი	1940 წლის 15 ივლისამდე
132	ბაგალაშვილი მარია	სიღნაღი		2000 მანეთი	1941 წლის 21 ივნისამდე
133	კუხტინოვა მარია	სიღნაღი		2000 მანეთი	1941 წლის 1 ივნისამდე
134	უნდილაშვილი ნინო	დუშეთი		2000 მანეთი	1940 წლის 2 ივლისამდე
135	გიორგაძე თეოდოსია	ორჯონიკიძე		2000 მანეთი	1940 წლის 20 ივნისამდე
136	ტაბატაძე ანა	ორჯონიკიძე		2000 მანეთი	1939 წლის 7 აგვისტომდე
137	ჩუბაძე ელპიტე	ორჯონიკიძე		2000 მანეთი	1940 წლის 10 თებერვალი
138	ღამბაშიძე მარია	ორჯონიკიძე		2000 მანეთი	1941 წლის 4 ივნისამდე
139	ოსეფაშვილი ნატალია	ჩოხატაური		2000 მანეთი	1940 წლის 30 აპრილამდე
140	ქეშელავა ანასტასია	ჩოხატაური	მეცხრე შვილზე	2000 მანეთი	1941 წლის 18 ივნისამდე
141	მინდაძე მავრა	ჩოხატაური		2000 მანეთი	1941 წლის 28 თებერვლამდე
142	გიორგაძე ეკატერინე	ჩოხატაური		2000 მანეთი	1940 წლის 25 დეკემბრამდე
143	ბეგლარიშვილი ელისაბედ	კასპი		2000 მანეთი	1939 წლის 15 ივლისამდე
144	კეშელაშვილი ევა	კასპი		2000 მანეთი	1939 წლის 1 ნოემებერი
145	ჩხარტაშვილი მატრონა	ლანჩხუთი		2000 მანეთი	1941 წლის 2 მაისამდე
146	კომახიძე გაიანე	ლანჩხუთი		2000 მანეთი	1940 წლის 13 მაისამდე
147	ნინუა ოლღა	ლანჩხუთი		2000 მანეთი	1937 წლის 16 აგვისტომდე
148	ტაბლიაშვილი ანა	ტფილისის		2000 მანეთი	1940 წლის 15 იანვრამდე
149	ბალახაძე ბარბალე	ბაშკიჩეთი		2000 მანეთი	1941 წლის 15

					მარტამდე
150	ტიუკაზბან ახმედ ყიზი	ბაშკიჩეთი		2000 მანეთი	1941 წლის 10 თებერვლამდე
151	სულთან ალი ყიზი	ბაშკიჩეთი		2000 მანეთი	1940 წლის 5 მაისამდე
152	არუთინიან ოგაპერ	ბოგანოვკა		2000 მანეთი	1940 წლის 25 ივლისამდე
153	კირაკოსიან ზორნა	ბოგანოვკა		2000 მანეთი	1940 წლის 22 იანვრამდე
154	ოგანესიან სბრუინე	ბოგანოვკა		2000 მანეთი	1941 წლის 14 თებერვლამდე
155	ფართანიან ბეტხენ	ბოგანოვკა		2000 მანეთი	1939 წლის 14 ოქტომბრამდე
156	კარაპეტიან ანა	ახალქალაქი		2000 მანეთი	1939 წლის 12 იანვრამდე
157	აბაქიან ჰაიასტან0	ახალქალაქი		2000 მანეთი	1940 წლის 1 სექტემბრამდე
158	შარაბიძე მინადორა	წულუკიძე		2000 მანეთი	1941 წლის 20 აპრილამდე
159	სანიძე პელაგია	წულუკიძე		2000 მანეთი	1940 წლის 1 აგვისტომდე
160	სანიძე ნინო	წულუკიძე		2000 მანეთი	1940 წლსი 10 ივნისამდე
161	ქუთათელაძე ეკატერინე	წულუკიძე		2000 მანეთი	1941 წლის 10 ივნისამდე
162	ბარაბაძე ლილო	წულუკიძე		2000 მანეთი	1939 წლის 29 მაისამდე
163	ხაშაბაევა სოფიო	ტფილისის		2000 მანეთი	1941 წლის 8 ივნისამდე
164	აკოფიან ტილბარ	ბოგანოვკა		2000 მანეთი	1941 წლის 15 თებერვლამდე
165	გოგუა ჟენია	ზუგდიდი		2000 მანეთი	1940 წლის 1 ივლისამდე
166	გვარამია ლენა	ზუგდიდი		2000 მანეთი	1938 წლის 18 აპრილამდე
167	დარასელია სოფიო	ზუგდიდი		2000 მანეთი	1938 წლის 13 დეკემბრამდე

168	გვილავა ელენე	ზუგდიდი		2000 მანეთი	1938 წლის 21 სექტემბრამდე
169	ამირხანოვა სირანუშ	ტფილისი		2000 მანეთი	1940 წლის 10 აგვისტომდე
170	ხვედელიძე ივდითი	ჯუღელი		2000 მანეთი	1940 წლის 18 სექტემბრამდე
171	კიკვაძე გაიანე	ამბროლაური		2000 მანეთი	1941 წლის 10 თებერვლამდე
172	გაბისიანი პელაგია	ამბროლაური		2000 მანეთი	1940 წლის 4 სექტემბრამდე
173	კუტუბიძე ნინო	ლანჩხუთი		2000 მანეთი	1940 წლის 10 ივნისამდე
174	კუდუხაშვილი ერმონი	კასპი		2000 მანეთი	1938 წლის 20 ნოემბრამდე
175	იობიძე მალინა	ქუთაისი		2000 მანეთი	1940 წლის 19 აგვისტომდე
176	გელენიძე ნინა	ზუგდიდი		2000 მანეთი	1941 წლის 5 იანვრამდე
177	იაშვილი ლიდია	ზუგდიდი		2000 მანეთი	1941 წლის 5 ივნისამდე
178	ლომია ფოტინე	ზუგდიდი		2000 მანეთი	1940 წლის 20 ივნისამდე
179	ხვედელიძე ოლღა	ჭიათურა		2000 მანეთი	1941 წლის 1 აპრიალამდე
180	შევჩენკო ოლღა	ბორჯომი		2000 მანეთი	1941 წლის 12 მარტამდე
181	ლიპარიდი პართენე	ბორჯომი		2000 მანეთი	1940 წლის 15 ოქტომბრამდე
182	სალატინ ალავერდი ყიზი	ასპინძა		2000 მანეთი	1939 წლის 4 იანვრამდე
183	კიულნიახ კერიბ ყიზი	ასპინძა		2000 მანეთი	1940 წლის 10 ოქტომბრამდე
184	ფატმა რუსტამ ყიზი	ბაშკიჩეთი		2000 მანეთი	1940 წლის 5 იანვრამდე
185	ცარუკიან არუსიაკ	ბოგანოვკა		2000 მანეთი	1941 წლის 2 იანვრამდე
186	ვოსკანოიან ელისაპეტ	ბოგანოვკა		2000 მანეთი	1941 წლის 25

					ივნისამდე
187	შურადიან პერსპოპ	ბოგანოვკა		2000 მანეთი	1937 წლის 14 მარტამდე
188	სირადეგიან ტაკო	ბორჩალო		2000 მანეთი	1940 წლის 6 დეკემბრამდე
189	ბუდინიან აშხენ	ბორჩალო		2000 მანეთი	1939 წლის 15 მაისამდე
190	ბეინაზ მამედ ყიზი	ბორჩალო		2000 მანეთი	1939 წლის 2 აგვისტომდე
191	აზიზა მავმოდ ყიზი	ახალციხე		2000 მანეთი	1940 წლის 3 ოქტომბრამდე
192	ინასარიძე ელისაბედ	ახალციხე		2000 მანეთი	1941 წლის 21 მაისამდე
193	სალვაი მუსტო ყიზი	ახალციხე		2000 მანეთი	1941 წლის 1 მარტამდე

2. სახელმწიფოს მიერ გაცემული დახმარება მრავალშვილიანი დედებისთვის, რეგიონების მიხედვით. ცხრილი N1.2



3. მრავალშვილიან დედებზე გაცემული სახელმწიფო დახმარება. ცხრილი N1.3.

		ერთჯერადად	ყოველთვიურად
	ორი შვილი და მესამე დაბადების შემდეგ	400 მანეთი	--
	3 შვილი და მეოთხეს დაბადების შემდეგ	1300 მანეთი	80 მანეთი
	4 შვილი და მეხუთეს დაბადების შემდეგ	1700 მანეთი	120 მანეთი
	5 შვილი და მეექვსეს დაბადების შემდეგ	2000 მანეთი	140 მანეთი
	6 შვილი და მეშვიდეს დაბადების შემდეგ	2500 მანეთი	200 მანეთი
	7 შვილი და მერვეს დაბადების შემდეგ	2500 მანეთი	200 მანეთი
	8 შვილი და მეცხრეს დაბადების შემდეგ	3500 მანეთი	250 მანეთი
	9 შვილი და მეათეს დაბადების შემდეგ	3500 მანეთი	250 მანეთი
	10 შვილით და შემდგომ შვილზე	5000 მანეთი	300 მანეთი

3. 1932 წლიდან 1945 წლის ჩათვლით, სკოლებში გოგონების რაოდენობა. ცხრილი N1.4. (რიცხვები გამოსახულია ათასებში).

	1932-1933	1933-1934	1937-1938	1938-1939	1939-1940	1940-1941	1941-1942	1942-1943	1943-1944	1944-1945
მოსწავლეების საერთო რიცხვი	502,6	531.2	661.1	690.8	717,7	726.9	651.8	530.0	569.6	611,7
მათ შორის გოგონები	209.4	236,5	294,2	309,2	322,7	334,2	309,2	266,8	291,4	309,8

4. ცხრილი N2.1 ქალი ავტორები ჟურნალ „მნათობში“

წელი	**ავტორების რაოდენობა**	**ნაწარმოები**	**ავტორი**
1941	1	„შემთხვევა“	მარიამ გარიყული
1942	5	„დედისერთა“, „დედა“, „ცისარტყელა“. „ზინინკა“, „თამარ მეფე და მისი მგოსანი	მარიამ გარიყული, კლავდია დევდარიანი, ვანდა ვასილევსკაია (2), ნინო დოლიძე, ელისაბედ ორბელიანი
1943	2	„ცისარტყელა“, „მოგონებანი კოტე მესხზე“.	ვანდა ვასილევსკაია, ნატო მესხი
1944	7	„მერცხლები აკაკის აივანზე“, „ორი მეგობარი“. „ზარი“, „ლევ ტოლსტოის ახლოს“, „იოანე მრისხანე რეპინის ტილოზე“, „დაბრუნება“, „ქალის გული“.	მარიკა ბარათაშვილი, რუსუდან ნიკოლაძე, კლავდია დევდარიანი, ნინო ნაკაშიძე, მარიკა მიქელაძე, კლავდია დევდარიანი, ფუცუ დგებუაძე.
1945	5	„მონადირე“, „გრიბოედოვი და ქართული საზოგადოებრიობა“, „ბავშვების პოეტი და მეგობარი ძია შიო“, „საყურის ჩრდილი“, „ი.ჭავჭავაძის „განდეგილი“,	თამარ სვანი,ანა ჩხეიძე, ნინო ნაკაშიძე, მარიკა ბარათაშვილი, ვენერა ურუშაძე

5. ცხრილი N 2.2. ქალი-პარტიზანი პერსონაჟები საბჭოთა მხატვრულ ლიტერატურაში:

ნაწარმოები	**ავტორი**	**წელი**
მე ის მოვკალი	ელიზბარ პოლუმორდვინოვი	1942
ზღვისპირული ქალი	სიმონ წვერავა	1942
ჰაშიმბაის სიმღერა	არჩილ ჩაჩიბაია	1943
კავკასიონის კარებთან	სოლომონ თავაძე	1941
ფრონტელთა პორტრეტები	სოლომონ თავაძე	1942
ცისარტყელა	ვანდა ვასილევსკაია	1942
სტუმარ-მასპინძელი	ლადო ავალიანი	1942
ზინინკა	ნ. დოლიძე	1942
თამბაქო	შალვა დადიანი	1942
პარტიზანები	იაკინთე ლისაშვილი	1942
შურისძიება	ელიზბარ პოლუმორდვინოვი	1941
დედა	სანდრო შანშიაშვილი	1945

6. ცხრილი N2.3. დედის პერსონაჟი ჟურნალ „მნათობში“.

ნაწარმოები	**მწერალი**	**წელი**
ლენინგრადს	ხარიტონ ვარდოშვილი	1944
წითელი არმია	ალ. აბაშელი	1945
მეზღვაურის დედა	პავლე სიმონოვი	1942
პარტიზანები	იაკინთე ლისაშვილი	1942
დედა	კლავდია დევდარიანი	1942

შვილობილი	ბონდო კეშელავა	1944
დედისერთა	მარიამ გარიყული	1942
ამანათი	სიმონ ჩიქოვანი	1942
მამას	ალიო მაშაშაშვილი	1942
ყირიმში გასაგზავნი წერილი	ალიო ადამია	1942
წერილი დედას	შალვა აფხაიძე	1943
გმირის სიკვდილი	აკაკი გეწაძე	1944
მოხუცი ცოლ-ქმარი	ვიქტორ გაბესკირია	1944
ფრონტის დღიურიდან	რევაზ მარგიანი	1944
მინაწერი	დომენტი თომაშვილი	1944
დასავლეთის ფრონტზე	გიორგი ნატროშვილი	1944
ძველი რვეული	კონსტანტინე ჭიჭინაძე	1945
სისხლიან ნაკვალევზე	პოლიო აბრამია	1945
ჩემი სოფელი	ა. საჯაია	1943
შეხვედრა	არჩილ ჩაჩიბაია	1943
მართა	ვიქტორ გაბესკირია	1944
დედის სურვილი	გიორგი კაჭახიძე	1944
მარადი ხსოვნა	ანდრო თევზაძე	1944
მეოთხე ძმა	დემნა შენგელია	1941
სამშობლოს ნათელი	გიორგი კაჭახიძე	1944
დაბრუნება	გრიგოლ ჩიქოვანი	1943
ბნელ ღამეში	სერგო კლდიაშვილი	1945
დიდება	პოლიო აბრამია	1945

დედის სიმღერა	ბონდო კეშელავა	1945
ისევ ფრონტზეა	გიორგი კაჭახიძე	1942
დედა და შვილი	ალიო მაშაშვილი	1942

7. ცხრილი 2.4. მშრომელი ქალი პერსონაჟი ჟურნალ „მნათობში“.

ნაწარმოები	**მწერალი**	**წელი**
შემთხვევა	მარიამ გარიყული	1941
მხედარი	არჩილ ჩაჩიბაია	1943
ფრონტი	კორნეიჩუკი ალექსანდრე	1943
ყინულის ქანდაკება	რ. გვეტაძე	1944
ფრონტის დღიურიდან	რ. მარგიანი	1944
ზღვისპირული ქარი	სიმონ წვერავა	1942
სოფლის ბოლოს თივას სთიბდნენ	გ. ქუჩიშვილი	1942
პარტიზანები	ი. ლისაშვილი	1942
ქალი გრიგალში	ლადო ბალიაური	1942
თამბაქო	შალვა დადიანი	1943
ერთხელ ღამით	მოსაშვილი ილო	1941
ერწოს კოლმეურნეები	ლევან ასათიანი	1943
დაბრუნება	გრიგოლ ჩიქოვანი	1943
ქართველ მეომრებთან	სოლომონ თავაძე	1944
ყინულის ქანდაკება	რ. გვეტაძე	1944
მე ისევ შევცქერი მზეს	ა. ჩაჩიბაია	1943
მეგობრები	იაკინთე ლისაშვილი	1942

8. ცხრილი N2.5. მსხვერპლი-ქალი პერსონაჟი ჟურნალ „მნათობში“.

ნაწარმოები	**მწერალი**	**წელი**
სამამულო ომში დაღუპული გმირებისადმი	გიორგი კაჭახიძე	1941
პსკოვის შარაზე	ვასო გორგაძე	1941
ლენინგრადს	ალექსანდრე აბაშელი	1943
მძულვარება	ნიკ ტიხონოვი	1944
ყინულის ქანდაკება	რ. გვეტაძე	1944
შურისძიება	ე. პოლუმორდვინოვი	1944
კომისარი	ნ. მიქავა	1942
ავადმყოფი	ვიქტორ გაბესკირია	1943
ფურცლები საფრონტო დღიურიდან	გიორგი ნატროშვილი	1943
წარსულში	ვიქტორ გაბესკირია	1944
მე ისევ შევცქერი მზეს	არჩილ ჩაჩიბაია	1943
ფრონტელის დღიურიდან	რევაზ მარგიანი	1944
დედა	სანდრო შანშიაშვილი	1944
სამშობლოს ბილიკებით	იოსებ ტატიშვილი	1945
სტალინგრადი	ალ. აბაშელი	1943
ფრონტელის დღიურიდან	რ. მარგიანი	1944
შურისგება	ალეკო შენგელია	1942
პარტიზანები	იაკინთე ლისაშვილი	1942
გენერალ-მაიორი ლესელიძე	კლ. გოგიავა	1942
პარტიზანი შურა	რ. გოგია	1942

9. ცხრილი N 2.6. ფემინური ქალი-პერსონაჟი ჟურნალ „მნათობში“.

ნაწარმოები	**მწერალი**	**წელი**
დაბრუნება	გრიგოლ ჩიქოვანი	1943
კიროვის პორტრეტი	ლადო ავალიანი	1943
შეხვედრა	არჩილ ჩაჩიბაია	1943
დედაჩემი	სიმონ ჩიქოვანი	1943
მე ისევ შევცქეი მზეს	არჩილ ჩაჩიბაია	1943
დედა	ს. შანშიაშვილი	1944
დონაურის ხმალი	გიორგი ცაგარელი	1943
მართა	ვიქტორ გაბესკირია	1944
ქალის გული	ფუცუ დგებუაძე	1944
გერი	ოთარ ჩხეიძე	1943
შერმადინი	ი. ლისაშვილი	1944
სიდუ	ლ. ავალიანი	1944
დედისერთა	მარიამ გარიყული	1942
ქეთო გოგუაძე	ს. თავაძე	1942
ცისარტყელა	ვ. ვასილევსკაია	1942
პირისპირ	ალექსანდრე ქუთათელი	1942
ახალი მისამართი	ლ. ავალიანი	1942
სამშობლოს ნათელი	გიორგი კაჭახიძე	1944
გორგასლანის თასი	ს. კლდიაშვილი	1945
ფრონტელის დღიურიდან	რევაზ მარგიანი	1944
პატარძალი	ოთარ ჩხეიძე	1945

1.

სურ.1.

ავტორი: თოიძე, ირაკლი
სახელწოდება: За Родину-Мать! "დედასამშობლოსთვის"
გამომცემლობა: Москва-Ленинград : Государственное издательство "Искусство" Москва : Типография газеты "Правда" им. Сталина.
წელი: 1943
მფლობელი: მასალა აღებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პლაკატების კოლექციიდან:
https://iverieli.nplg.gov.ge/handle/1234/359898?locale=ka

2. სურ. 2.

ავტორი: Рабичев, И.
სახელწოდება: Отомстим! Уничтожим фашистских людоедов!
გამომცემლობა: М.- Л. : "Искусство"
წელი: 1942
მფლობელი: მასალა აღებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პლაკატების კოლექციიდან: https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/425631

3. სურ. 3.
   ავტორი: მირზოევი, გრ. Мирзоев, Г.
   სახელწოდება: "დროზე და მთლიანად დავამთავრებთ კომბაინებისა და მოსავლის ასაღები სხვა მანქანების რემონტს..." /ქართველი გლეხობის სიტყვა/
   გამომცემლობა: თბილისი : კომუნისტი
   წელი: 1941
   მფლობელი: მასალა აღებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პლაკატების კოლექციიდან: https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/363300

სურ.4

4. ავტორი: Ревазишвили, Р. რევაზიშვილი, რ.
   სახელწოდება: კოლმეურნეობის ეზო
   გამომცემლობა: Тбилиси : Сахелгами/ თბილისი: სახელგამი.
   წელი: 1941
   მფლობელი: მასალა აღებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პლაკატების კოლექციიდან: https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/17752

სურ. 5

5. ავტორი: Слепченко, Валентин
სახელწოდება: Колхозная молодёжь, в бой за высокий урожай!
გამომცემლობა: Хабаровск : ОГИЗ-Дальгиз
წელი: 1943
მფლობელი: მასალა აღებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პლაკატების კოლექციიდან: https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/444105

6.

სურ. 6.

ავტორი: ვატოლინა, ნ. და დენისოვი, ნ.
სახელწოდება: ნუ ლაყბობ!
გამომცემლობა: თბილისი : სახელგამი.
წელი: 1941
მფლობელი: მასალა აღებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პლაკატების კოლექციიდან: https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/362536

7.

სურ.7

ავტორი: თოიძე, ირაკლი.
სახელწოდება: დედა-სამშობლო გვეძახის!
გამომცემლობა: თბილისი : სახელმწიფო გამომცემლობა საქართველოს სსრკ.მ.ს.კ-ის ლითოგრაფია.
წელი: 1941
მფლობელი: მასალა აღებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პლაკატების კოლექციიდან: https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/17615

8.

სურ. 8

ავტორი: Антонов, Ф.
სახელწოდება: Сын мой! Ты видишь долю мою...Громи фашистов в святом бою!
გამომცემლობა: М.- Л. : "Искусство"
წელი: 1942
მფლობელი: მასალა აღებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პლაკატების კოლექციიდან: https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/426604

9.

სურ. 9

ავტორი: საქართველოს ჯანსახკომის სანგანათლების განყოფილება.
სახელწოდება: ბავშვი პირველად აბანავეთ მხოლოდ იმის შემდეგ, როცა მოეცლება ჭიპლარი.
გამომცემლობა: თბილისი : საქმედგამი საქართველოს ს.ს.რ.კ.მ.ს. კ-ის ლითოგრაფია.
წელი: 1941
მფლობელი: მასალა აღებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პლაკატების კოლექციიდან: https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/17501

10.

სურ.10

ავტორი: საქართველოს ჯანსახკომის სანგანათლების განყოფილება.
სახელწოდება: უზრუნველყავით ახალშობილის წესიერი მოვლა.
გამომცემლობა: თბილისი : საქმედგამი საქართველოს ს.ს.რ.კ.მ.ს. კ-ის ლითოგრაფია.
წელი: 1941
მფლობელი: მასალა აღებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პლაკატების კოლექციიდან:
https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/17504

11.

სურ. 11

ავტორი: ერიომინა, ტ.
სახელწოდება: საბავშვო ბაღებისა და ბაგების სანიმუშო მუშაობით დავეხმაროთ ახალგაზრდა მუშა-ქალ დედების სწავლებას, ზრდასა და დაწინაურებას
გამომცემლობა: Москва-Ленинград : Искусство.
წელი: 1940
მფლობელი: მასალა აღებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პლაკატების კოლექციიდან: https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/315495

12.

სურ. 12.

ავტორი: გურრო, ი. Гуррo, И.
სახელწოდება: ...ყოჩაღის წინააღმდეგ თვითონ ცხვარია!
გამომცემლობა: თბილისი : საქმხატვარი
წელი: 1942
მფლობელი: მასალა აღებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პლაკატების კოლექციიდან: https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/17495

13.

სურ. 13

ავტორი: ახვლედიანი, ე. და გიგოლაშვილი, ა.
სახელწოდება: არ დავივიწყებთ გადაუხდით
გამომცემლობა: Тбилиси : "Грузхудожник"
წელი: 1942
მფლობელი: მასალა აღებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პლაკატების კოლექციიდან: https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/363439

14.

სურ. 14

ავტორი: Шмаринов, Д.
სახელწოდება: Слава освободителям Украиниы! Смерть немецким захватчикам!
გამომცემლობა: М.- Л. : "Искусство".
წელი: 1944.
მფლობელი: მასალა აღებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული

ბიბლიოთეკის პლაკატების კოლექციიდან:

https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/426067

15.

სურ.15

ავტორი: Баскаков, М.
სახელწოდება: Товарищи! Сдавайте теплые вещи для красной армии!
გამომცემლობა: Хабаровск : ОГИЗ-ДАЛЬГИЗ
წელი: 1942

მფლობელი: მასალა აღებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პლაკატების კოლექციიდან:

https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/445840

16.

სურ 16

ავტორი: Ливанова, В..
სახელწოდება: Да здравствуют советские женщины - пламенные патриотки страны социализма!
გამომცემლობა: Москва-Ленинград : Государственное издательство "Искусство"
წელი: 1941.
მფლობელი: მასალა აღებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პლაკატების კოლექციიდან:

https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/443304